

# ჰერმან ჰესე

hermann hesse  
narriss und goldmund

ნაწარმოი  
და გოლდმუნდი



ჰერმან ჰესე

# ნარცისი და გოლდმუნდი

Hermann Hesse

Narziss und Goldmund

გერმანულიდან თარგმნა მარიამ ქსოვრელმა

გამოცემაზე პასუხისმგებელი | ჯგუფი «სიესტა»

გამომცემელი | ქეთევან კილურაძე

ტექნიკური უზრუნველყოფა | გვანცა მახათაძე

ყდის დიზაინი | მაია მაჩალაძე

© Copyright 1930 by Hermann Hesse

All rights reserved by Suhrkamp Verlag Frankfurt am Main

© გამომცემლობა «სიესტა», 2013



გამომცემლობა შპს «სიესტა»

თბილისი, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 16

ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49 + 995 32 22 07 08

ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge;

www.siestabooks.blogspot.com;

www.siestagroup.ge

# თავი პირველი

მარიაბრონში მონასტრის კარიბჭის ორსვეტიან მრგვალ თაღთან, ზედ გზის პირზე, ერთი ნაბლის ხე იდგა, სამხრეთის ეული შვილი, რომში მიმავალი პილიგრიმის მიერ ოდესღაც ჩამოტანილი ძლიერი, კეთილშობილი ნაბლი. საამოდ გადაჰყარებოდა გზას ხის მომრგვალებული ვარჯი, ფართოდ მკერდგამლილი სუნთქავდა ქარში. გაბაფხულზე, როცა ირგვლივ ყველაფერი ამწვანდებოდა და მონასტრის კაკლის ხეებიც გამოიტანდნენ მოწითალო ნორჩ ფოთლებს, კარგა ხანს ელოდნენ მის გაფოთვლას, და მერე, უმოკლესი ღამეების დროს, ფოთლებიდან ამოყრილი უცნაური დაბინდული ღია მწვანე ყვავილების ნაკადები მოიწევდა და ირგვლივაც თითქოს რაღაცის მომასწავებელი და დამთრგუნველად მძაფრი სურნელი იფრქვეოდა, ხოლო ოქტომბერში, როცა ხილი და ღვინო უკვე მოწეული იყო, შეყვითლებული ტოტებიდან შემოდგომის ქარში ჩხვლეტია ბუდეებიდან ჯერ კიდევ უმწიფარი ნაყოფი ცვიოდა, მაგრამ მონასტრის ბიჭები ამას არაფრად დაგიდევდნენ, ხოლო სუბპრიორი გრიგოლი – წარმოშობით იტალიელი – ნაბლს ბუხარში ხალავდა ხოლმე თავის ოთახში. მონასტრის კარიბჭის თავზე უცხოდ და წყნარად ირწეოდა ღამაში კენწერო უცხო მხრიდან მოსული ნაბი და მცივანა სტუმრისა, რომელიც იდუმალი ნათესაობით დაკავშირებოდა შესასვლელის ქვიშაქვის თხელ სვეტებს, სარკმლების, თაღების, ლავგარდნებისა და ქვის კოლონების ჩუქურთმებს. ლათინებისათვის ეგზომ საყვარელი ხე აქაურებისათვის უცხო იყო და თვალგამტერებული შესცქეროდნენ ყველანი.

ამ უცხო ქვეყნიდან მოსული ხის ძირში სამონასტრო სკოლის შეგირდთა არაერთ თაობას ჩაუვლია ილიაში სანერ დაფაამოდებულს, საუბრით, სიცილით, თამაშით, კამათით, წლის დროთა შესაბამისად ფეხშიშველთ თუ ფეხთჩაცმულთ, ხან პირში ყვავილი ჰქონდათ გაჩრილი, ხან კაკალს პირდაპირ კბილით ამტვრევდნენ, ხანაც თოვლის გუნდა ეჭირათ ხელში. მოდიოდნენ ახალ-ახალი თაობები, ყოველ ორ წელიწადში იცვლებოდა სახეები, თუმცა უმეტესობა ერთმანეთს ჰგავდა: ქერა და ხუჭუტშიანნი იყვნენ. ზოგი იქვე რჩებოდა, მორჩილი ხდებოდა, მერე კი – ბერი; თმას იკრეჭდნენ, კაბით იმოსებოდნენ, წიგნებს კითხულობდნენ, ბიჭებს ასწავლიდნენ, ბერდებოდნენ, აღესრულებოდნენ.

ზოგიც, სწავლის დამთავრებისთანავე, შინ მიჰყავდათ მშობლებს რაინდთა სასახლეებში, ვაჭართა და ხელოსანთა სახლებში; დახეტილობდნენ, ერთობოდნენ, საქმიანობდნენ კიდევ, არ ივიწყებდნენ მონასტერსაც, უკვე დაკაცებულებს მოჰყავდათ თავ-თავიანთი პატარა ვაჟები შეგირდებად მამებთან, ღიმილითა და ჩაფიქრებით შეავლებდნენ თვალს წაბლის ხეს და ისევ გაუჩინარდებოდნენ. მონასტრის სენაკებსა და დარბაზებში, მძიმე თაღოვან სარკმლებისა და წითელი ქვის სვეტების გარემოცვაში ცხოვრობდნენ, ასწავლიდნენ, ხელმძღვანელობდნენ, მრავალნაირ ხელოვნებას და მეცნიერებას ეუფლებოდნენ და თაობიდან თაობას გადაეცემოდა სასულიერო და საერო ცოდნა, ნათელი და ბნელი.



იწერებოდა წიგნები და განმარტებანი, ჰქმნიდნენ სისტემებს, აგროვებდნენ ძველ ხელნაწერებს, ასურათებდნენ, ერის რწმენაზე ზრუნავდნენ, ცრუ რწმენას დასცინოდნენ; განსწავლულობა და ღვთისმოსაობა, გულუბრყვილობა და ცბიერება, სიბრძნე სახარებისა და სიბრძნე ბერძენთა თეთრი და შავი მაგია, ყველაფერი ყვაოდა აქ, ყველაფრისათვის მოიძებნებოდა ადგილი.

მოიძებნებოდა ადგილი როგორც განდეგილობისა და მონანიებისათვის, ისე გულლიობისა და კეთილდღეობისათვისაც. ამა თუ იმ აბატსა და ამა თუ იმ ეპოქის სულისკვეთებაზე იყო დამოკიდებული, რომელი რომელს გადასძლევდა და რომელი გაბატონდებოდა. მონასტერი ხალხს ხან რითი იზიდავდა და ხან რითი, ზოგჯერ ეშმაკთა განმსხმელებითა და დემონური ძალების მცოდნეებით, ზოგჯერ – საუცხოო მუსიკით ან რომელიმე წმინდა მამის სახელით, ზოგჯერ მკურნალობითა და სასწაულების მოხდენით, ზოგჯერაც – ქარიყლაპიას წვნიანითა და ირმის ღვიძლის პაშტეტით. ყველაფერს თავისი დრო ჰქონდა.

და მუდამ იყვნენ ბერთა და შეგირდთა, ღვთისმოსავთა და გულგრილთა, მარხულთა და კარგი ჭამა-სმის მოყვარულთა შორის, იმ მრავალთა შორის, ვინც აქ მოდიოდა, ცხოვრობდა და აღესრულებოდა, განსხვავებულნი და განსაკუთრებულნი; ყოველთვის იყო ვიღაც, ვინც ყველას უყვარდა ან ვისიც ყველას ეშინოდა, ვიღაც, ვინც რჩეული ჩანდა, ვისზეც კიდევ დიდხანს ლაპარაკობდნენ, როცა მისი თანამედროვენი უკვე აღარავის ახსოვდა.

ახლაც იყო მარიაბრონის მონასტერში ორი განსაკუთრებული და გამორჩეული ადამიანი, ერთი მოხუცი და ერთი ახალგაზრდა.

იმ ძმათა შორის, რომელნიც ირეოდნენ შეგირდთა საერთო საძინებლებში, ეკლესიებსა და სკრიპტორიუმებში, იყვნენ ორნი, რომელთაც ყველა იცნობდა, ყველა თვალს ადევნებდა. ეს იყო მოხუცი აბატი დანიელი და ახალგაზრდა შეგირდი ნარცისი, რომელიც ცოტა ხნის წინ მორჩილი გახდა, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭიერების გამო, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, უკვე მასწავლებლობას ანდობდნენ, განსაკუთრებით ბერძნულ ენაში. ორივეს – აბატსაც და მორჩილსაც – დიდ პატივს სცემდნენ მონასტერში. ისინი ცნობისმოყვარეობას აღუძრავდნენ ყველას, მათ ყველა აკვირდებოდა, მათ მიმართ აღტაცებას ვერ მაღავდნენ და ამავე დროს შურდათ კიდევ მათი და ფარულად სახელსაც უტეხდნენ.

აბატი უმრავლესობას უყვარდა, მას მტერი არ ჰყავდა. იგი აღსავსე იყო სიკეთით, უბრალოებითა და თავმდაბლობით, ოღონდ მონასტრის სწავლულების სიყვარულს მის მიმართ შემწყნარებლობის წილიც ერია: აბატი დანიელი შეიძლება წმინდანი კი იყო, მაგრამ მეცნიერი არ ეთქმოდა. მას ის უბრალოება ახასიათებდა, რაც სიბრძნეს უდრიდა; მაგრამ მისი ლათინური მოკრძალებული იყო, ხოლო ბერძნული სულ არ იცოდა.

იმ მცირედთ, ვინც აბატის უბრალოებას ხანდახან ცოტათი დასცინოდა, მით



უფრო აჯადოებდათ ნარცისი, ეს საოცარი ყმაწვილი, მშვენიერი ჯაბუკი თავისი დახვეწილი ბერძნულით, რაინდულად უზადო ყოფაქცევით, წყნარი და გამჭრიახი; ნარცისს ფიქრიათი მზერა და თხელი, ლამაზი, მკაცრად მოხაზული ტუჩები ჰქონდა. მან საუცხოო ბერძნული იცოდა და სწავლულთა მოწონებასაც იმსახურებდა; მისი კეთილშობილება და სინატიფე თითქმის ყველას მოსწონდა და უყვარდა. მისი მეტისმეტი სიწყნარე და თავდაჯერა, მისი გამოზომილი მანერები კი ბევრს აღიზიანებდა.

აბატი და მორჩილი - ორივე თავისებურად ეზიდებოდა რჩეულის ხვედრს, ორივე თავისებურად ცხოვრობდა, თავისებურად იტანჯებოდა. ორივენი ერთმანეთთან მეტ ნათესაობას გრძნობდნენ და მეტად იზიდავდათ ერთმანეთი, ვიდრე დანარჩენი მთელი მონასტერი და მაინც ერთმანეთთან მისასვლელი გზა ვერ მოეძებნათ. აბატი ჯაბუკს უდიდესი მზრუნველობით ეპყრობოდა, უდიდესი სიფრთხილით, როგორც იშვიათ, ნაზ, იქნებ ნაადრევად მომწიფებულ, იქნებ საფრთხეში მყოფ ძმას. აბატის ყოველ ბრძანებას, ყოველ რჩევას, ყოველ შექებას ჯაბუკი ღირსეულად ხვდებდა, არასოდეს ეწინააღმდეგებოდა, უხასიათობას არ ამჟღავნებდა, და თუკი აბატის მსჯავრი მის მიმართ სამართლიანი იყო და მის ერთადერთ ნაკლს ქედმაღლობა წარმოადგენდა, ჯაბუკს ისიც შეეძლო, ეს ნაკლი დიდებულად დაეფარა. ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებდა, ნარცისი სრულყოფილი იყო, ყველას აღემატებოდა; მაგრამ ნამდვილი მეგობარი, სწავლულების გარდა, ცოტა ჰყავდა და მისი კეთილშობილება ცივი ჰაერივით ერტყა გარს.

- ნარცის, - უთხრა ერთხელ აღსარების შემდეგ აბატმა, - უნდა გამოგიტყდე, დამნაშავე ვარ შენს წინაშე. მკაცრი მსჯავრი გამოგიტანე, ამპარტავნება დაგწამე, და იქნებ ეს უსამართლობაა ჩემი მხრივ. შენ მეტისმეტად მარტო ხარ, უმცროსო ძმაო, მარტოდმარტო. თაყვანისმცემელნი გყავს, მეგობრები კი - არა. ძალიან მინდა შენი გაკიცხვის მიზეზი მეჩონდეს, მაგრამ ვერ ვპოულობ. ზოგჯერ ძალიან მინდა არასწორად მოიქცე, როგორც შენს ტოლ ყმაწვილთ სჩვევიათ, მაგრამ შენ ასეთი არ ხარ. ცოტა ვშიშობ შენს გამო, ნარცის.

ჭაბუკმა თავისი მუქი თვალებით ახედა მოხუცს:

- ძალიან მინდა, მამაო, არ წუხდეთ ჩემს გამო. შეიძლება ამპარტავანი ვარ, მამაო, გთხოვთ, ამისათვის დამსაჯოთ.

ზოგჯერ თვითონ მინდა თავის დასჯა. განდევილად გამამწესეთ, მამაო, ანდა რაიმე მდაბიური სამსახური დამაკისრეთ.

- ორივესათვის მეტად ახალგაზრდა ხარ, საყვარელო ძმაო, - უთხრა აბატმა, - ესეც არ იყოს, ენების სწავლისა და აზროვნების დიდი უნარითა ხარ დაჯილდოებული, შვილო ჩემო: ღვთიით მომადღებული ნიჭი სხვა რამეში უნდა გამოიყენო, მდაბიურ სამსახურს ვერ დაგაკისრებ.

შენ მოძღვარი ანდა სწავლული გამოხვალ. განა შენ თვითონაც ეს არ გსურს?!

- შემინდეთ, მამაო, ჩემი სურვილების შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. მეცნიერება ყოველთვის დიდ სიხარულს მანიჭებდა, სხვაგვარად, აბა, როგორ იქნება? მაგრამ არა მგონია, მართო მეცნიერება იყოს ჩემთვის მთავარი.

ყოველთვის სურვილები ხომ არ განსაზღვრავენ კაცის ბედსა და დანიშნულებას, - ნება ღვთისაც.

აბატი გულისყურით უსმენდა. და მაინც, მის ბებრულ სახეზე ღიმილი გამოვრთა, როცა უთხრა: რამდენადაც ადამიანებს ვიცნობ, ხშირად, მეტადრე სიჭაბუკეში, განგებასა და ჩვენს სურვილებს ერთმანეთში ვურევთ ხოლმე. მაგრამ თუკი შენ გჯერა, რომ გამოიცანი შენი მოწოდება, მაშინ მითხარი, რას ფიქრობ, რისთვის ხარ მოწოდებული?

ნარცისმა მუქი თვალები ისე მოხუჭა, გრძელ შავ წამწამთა შორის თითქმის აღარც მოუჩანდა. იგი დუმდა.

- თქვი, შვილო ჩემო, - კარგა ხნის ლოდინის შემდეგ შეეხმიანა აბატი.

წყნარად ალაპარაკდა თვალდახრილი ნარცისი:

- მე ასე მგონია, პატიოსანო მამაო, რომ უწინარეს ყოვლისა სამონასტრო



ცხოვრებისათვის ვარ მოწოდებული. მე ასე მწამს, რომ ბერი გავხდები, ან მღვდელი, ან სუბპრიორი და შეიძლება აბატიც. ასე იმიტომ კი არ ვფიქრობ, რომ ასე მსურს. ჩემი სურვილი არ არის თანამდებობისაკენ სწრაფვა, ამას სხვები დამაკისრებენ.

დიდხანს დუმდა ორივე.

- რატომ გგონია ასე? - ყოყმანით ჰკითხა მოხუცმა, - განსწავლულობის გარდა კიდევ რა თვისება გაქვს, რაც ამას გაფიქრებინებს?

- ეს ის თვისებაა, - წარმოთქვა ნარცისმა ჩუმად, - რომ შემოიძლია არა მარტო ჩემი, არამედ სხვა ადამიანთა მოწოდება და დანიშნულებაც შევიგრძნო. ეს თვისება მაიძულებს სხვებისადმი სამსახურს. მათი ცხოვრების წარმართვა ძალმიძს. მე რომ სამონასტრო ცხოვრებისათვის არ ვიყო დაბადებული, მოსამართლე ანდა სახელმწიფო მოღვაწე გავხდებოდი.

- შესაძლებელია, - დაემოწმა აბატი. - ეგ შენი თვისება ადამიანთა და მათი ბედის შეცნობისა სინამდვილეში გამოგიცდია?

- გამომიცდია.

- შეგიძლია მაგალითი მომიყვანო?

– შემოიძლია.

– კეთილი. რაკი არ მინდა ჩვენი ძმების საიდუმლოებში დაუკითხავად ჩავიხედო, იქნებ მითხრა, რას ფიქრობ ჩემზე?

რა იცი შენი აბატის, დანიელის შესახებ?

ნარცისმა წამწამები ასწია და აბატს თვალებში ჩახედა.

– ეს ბრძანებაა, მამაო?

– დიახ, ბრძანებაა.

– მიჭირს ამაზე ლაპარაკი, მამაო.

– მეც ძალიან მიჭირს, შვილო ჩემო, ლაპარაკი გაიძულო.

და მაინც ვაკეთებ ამას. თქვი!

ნარცისმა თავი ჩაღუნა და ჩურჩულით თქვა:

– თქვენზე ცოტა რამ ვიცი, ღირსო მამაო. ვიცი, რომ თქვენ ის ღვთის მსახური

ხართ, ვისაც დიდ მონასტერში წინამძღვრობას ცხოვართა მწყემსვა ანდა მართოდმყოფს ბარების რეკვა და გლეხებისაგან აღსარების მოსმენა ურჩევნია. ვიცი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი განსაკუთრებულად რომ გიყვართ და ყველაზე ხშირად მისი ხატის წინ რომ ლოცულობთ. ხანდახან იმაზე ლოცულობთ, ბერძნულმა და სხვა მეცნიერებებმა, ამ მონასტერში რომ ისწავლება, თქვენი სულიერი შვილების სული არ აღრიოს და არაფერი ავნოს. ზოგჯერ იმაზეც ლოცულობთ, მომთმენი იყოს სუბპრიორი გრიგოლის მიმართ. ხანდახან ლოცულობთ მშვიდი აღსასრულისათვის. და მნამს, რომ უფალი შეისმენს თქვენს ვედრებას და მშვიდი აღსასრული გექნებათ.

სიჩუმე ჩამოწვა აბატის მომცრო კელიაში. მოხუცმა ბოლოს თქვა:

- შენ მეოცნებე ხარ და ხილვები გაქვს; ღვთიურმა და საამო ხილვებმაც შეიძლება აცდუნოს კაცი. ნუ დაენდობი მათ, როგორც მე არ ვენდობი. იქნებ შეგიძლია მითხრა, მეოცნებე ძმაო, რას ვფიქრობ გულში ამის თაობაზე?

- მე იმას ვხვდები, ძმაო, რომ თქვენი ფიქრი ერთობ კეთილგანწყობილია.

თქვენ ფიქრობთ: ამ ყმანვილ მოწაფეს, ცოტა არ იყოს, საფრთხე ემუქრება, მას ხილვები აქვს; იქნებ იმიტომ, რომ ზედმეტი დრო დაუთმია ჭვრეტისათვის; იქნებ საჭიროა ეპიტიმია დავადო, არ ავნებდაო, მაგრამ მის სასჯელს ჩემს თავსაც დავაკისრებდიო. აი, ესაა, რასაც თქვენ ახლა ფიქრობთ.



აბატი წამოდგა და ღიმილით დაუქნია თავი მორჩილს გამოთხოვების ნიშნად.

- კარგია, სერიოზულად ნუ მიიღებ შენს ხილვებს, უმცროსო ძმაო. ღმერთი ჩვენგან ხილვებზე უფრო მეტად სხვა რამეს მოითხოვს. იქნებ ბერიკაცს ასიამოვნე კიდევ იმით, რომ უჭირველი აღსასრული აღუთქვი და მანაც ერთ წამს სიამოვნებით გისმინა. ეს უკვე საკმარისია. ხვალ წირვის შემდეგ ერთგზის ფსკვნილზე ლოცვა ჩაათავე. ილოცე მორჩილებითა და მთელი არსებით. მეც ასევე მოვიქცევი. წადი ახლა, ნარცის, გვეყოფა ლაპარაკი.

ერთხელაც აბატ დანიელს მოუწია მოერიგებინა ერთმანეთში ერთ-ერთი ახალგაზრდა აღმზრდელთაგანი და ნარცისი, რომლებიც სასწავლო პროგრამის ერთი საკითხის გამო ვერ შეთანხმებულიყვნენ. ნარცისი დაჟინებით მოითხოვდა სწავლების წესებში გარკვეული ცვლილებების შეტანას, რასაც დამატებულად ასაბუთებდა კიდევ. მამა ლორენცს, იქნებ ერთგვარი ეჭვიანობის გამო, დათანხმება არ სურდა, და ამ საკითხზე დავა-კამათს უსიამოვნო სიჩუმე და გაბუტვა მოჰყვებოდა ხოლმე, ვიდრე თავის სიმართლეში დარწმუნებული ნარცისი ხელახლა არ წამოიწყებდა ლაპარაკს სასწავლო გეგმაში გასატარებელ ცვლილებებზე. ბოლოს მამა ლორენცმა ცოტა ნაწყენმა უთხრა:

- ნარცის, ამ დავას ბოლო უნდა მოვუდოთ. შენ კარგად იცი, რომ გადაწყვეტილების მიღება მე შევალება და არა შენ. შენ ჩემი კოლეგა კი არა,

თანაშემწე ხარ და შენი ვალია, დამყვე. მაგრამ რაკი შენ ამ საქმეს ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებ და მეც იერარქიით შენზე მაღლა კი ვდგავარ, მაგრამ ცოდნითა და ნიჭით ვერ გჯობივარ, არ მინდა თვითონ მივიღო გადაწყვეტილება; ამიტომ მივმართოთ ჩვენს აბატს, მოვახსენოთ საქმის ვითარება და მან გაარკვიოს ეს საკითხი.

ასეც მოიქცნენ; აბატმა დანიელმა მოთმინებითა და სათნოებით მოისმინა სწავლულთა კამათი გრამატიკის სწავლების თაობაზე. როცა ორივემ დაწვრილებით გამოთქვა და დაასაბუთა თავ-თავისი თვალსაზრისი, მოხუცმა ხალისიანად შეხედა მათ, ჭაღარა თავი ოდნავ გააქნია და თქვა:

«საყვარელო ძმანო, ხომ არა გგონიათ, ამ საქმისა თქვენზე უკეთ გამეგება. დასაფასებელია, რომ ნარცისს ასე ახლოს მიაქვს გულთან სკოლის საქმეები და სასწავლო გეგმის გაუმჯობესებას ლამობს, მაგრამ თუკი მისი უფროსი სხვა აზრისაა, ნარცისს გაჩუმება და დაჯერება მართებს, რადგან სკოლის წარმატება იმად არ ღირს, რომ მისი გულისათვის მონასტერში წესრიგი და მორჩილება დაირღვეს.

მე ვკიცხავ ნარცისს, დათმობა რომ ვერ მოუხერხებია. და ორივეს, ახალგაზრდა სწავლულებს, გისურვებთ, რომ არასოდეს მოგკლებოდეთ თქვენზე სულები უფროსი. ამპარტავნების სამკურნალოდ უკეთესი წამალი არ არსებობს». ამ კეთილი ხუმრობით დაითხოვა ორივენი, მაგრამ როდი

დაავინწყდა მომდევნო დღეებში თვალი ედევნებინა, აღდგა თუ არა მასწავლებელთა შორის კეთილი ურთიერთობა.

ერთხელაც, მონასტერში, რომელსაც ამდენი წამსვლელმომსვლელი უნახავს ახალი სახე გამოჩნდა და შეუძლებელი იყო, ეს სახე არ შეგემჩნია ანდა მალე დაგვეჩინებინა. ეს იყო ყმაწვილი, რომლის სამონასტრო სკოლაში მიბარების შესახებ მამამისი ადრევე შეთანხმებოდა ზედამხედველს და აი, გაზაფხულის ერთ დღეს ჩამოეყვანა კიდევ მარიაბრონში.

მოსულებმა, ჯაბუკმა და მამამ, წაბლის ხეზე მიაბეს ცხენები და დარაჯიც მაშინვე გამოეგებათ მონასტრის კარიბჭესთან.

ყმაწვილმა ნაბამთრევ ხეს ახედა: «რა ლამაზი და უცნაური ხეა, ასეთი არასოდეს მინახავს. ნეტავ რა ხეა?» მამას, ხანში შესულ კაცს, მოვლილი, ცოტა დაძაბული სახე რომ ჰქონდა, ყურადღება არ მიუქცევია ყმაწვილის სიტყვებისათვის.

დარაჯმა კი, რომელსაც ბიჭი მაშინვე მოეწონა, ხის სახელი უთხრა. ყმაწვილმა ზრდილობიანად გადაუხადა მადლობა, ხელი გაუწოდა და მიმართა: «მე გოლდმუნდი მქვია და აქ ამ სკოლაში უნდა ვისწავლო». კაცმა მეგობრულად გაუღიმა, მოსულები კარიბჭეში შეიყვანა და ფართო ქვის კიბეზე აჰყვა. გოლდმუნდმა მონასტერში გაბედულად შედგა ფეხი, გაბედულად და



იმედიანად, იმიტომ, რომ უკვე შეხვდა ორ არსებას, - ხესა და დარაჯს, - რომლებთანაც მას შეეძლო ემეგობრა.

მოსულნი ჯერ სკოლის ბედამხედველმა მიიღო, ხოლო საღამოს თვით აბატმა. მამამ, სამეფო კარის მოხელემ, თავისი ვაჟი გოლდმუნდი ორივეს წარუდგინა. მას შესთავაზეს რამდენიმე ხნით მონასტერში სტუმრად დარჩენილიყო. მამამ მხოლოდ ერთი ღამით ისარგებლა სტუმრად დარჩენის უფლებით და განაცხადა, ხვალ უნდა გავბრუნდეთ. ერთი ცხენი მონასტერს საჩუქრად შესთავაზა, რაც სიამოვნებით მიიღეს კიდევ. სულიერ მამებთან საუბარმა ზრდილობიანად და ცივად ჩაიარა, მაგრამ აბატიც და მღვდელიც სიხარულით შეჰყურებდნენ მოკრძალებულად დადუმებულ გოლდმუნდს.

ლამაზი, ნაზი ყმაწვილი მაშინვე მოეწონათ. მეორე დღეს მამის წასვლით გული დიდად არ დაწყვეტიათ, სამაგიეროდ, მისი ვაჟი სიამოვნებით დაიტოვეს.

გოლდმუნდი გააცნეს მასწავლებლებს და მერე საერთო საძინებელში საწოლიც მიუჩინეს. ბიჭი კრძალვით და ნაღვლიანად გამოეთხოვა მამას, იდგა და გაჰყურებდა, ვიდრე იგი ბედელსა და წისქვილს შორის ვიწრო თალიან ჭიშკარში არ გაუჩინარდა.

როცა შემობრუნდა, დარაჯმა მის გრძელ, ქერა წამწამებზე ცრემლი შეამჩნია და მაშინვე ალერსიანად დაჰკრა მხარზე ხელი:



- ნუ მოიწყენ, პატარა ბატონო, პირველ ხანებში უმეტესობას სევდა ეუფლება, დედ-მამა, და-ძმა ენატრება. მაგრამ მალე ნახავ: აქაც შეიძლება ცხოვრება, და არცთუ ურიგოდ.

- გმადლობთ, ძმაო, - უთხრა ყმანვილმა. - მე არც და-ძმა მყავს და არც დედა, მამა მყავს მხოლოდ.

- სამაგიეროდ აქ შეიძენ მეგობრებსა და ცოდნას, ისწავლი მუსიკას და ახალ, შენთვის ჯერ უცნობ თამაშებს, და კიდევ რაღაც-რაღაცეებს; აი, ნახავ... და თუ დაგჭირდეს ვინმე, ვისაც შენი კარგი გაეხარდება, ჩემთან მოდი.

გოლდმუნდმა შესცინა:

- ო, დიდი მადლობა. თუ გინდათ გამახაროთ, მალე მაჩვენეთ, სად არის ჩვენი ცხენი, მამაჩემმა რომ დატოვა.

მინდა ვნახო და მოვეფერო.

დარაჯმა მაშინვე წაიყვანა და ბელელთან, თავლაში შეიყვანა.

თბილი სადამო იყო. ბინდბუნდში ცხენების, ნეხვისა და ქერის მძაფრი სუნი ტრიალებდა. გოლდმუნდმა ერთ-ერთ ბაგასთან თავისი წაბლა ცხენიც

დაინახა, ცხენმა იცნო და თავი გამოუშვირა, ბიჭმა ხელები კისერზე შემოხვია, ლოყა მიადო ფართო, ნიშა შუბლზე, ხელი ნაზად გადაუსვა და ყურში ჩასჩურჩულა: «გამარჯობა, ბლეს, ჩემო საყვარელო, ჩემო ყოჩაღო, კარგადა ხარ? ისევ გიყვარვარ? საჭმელი თუ გაქვს? შენც სახლი გენატრება? ბლეს, ბიჭო, რა კარგია, რომ აქა ხარ; ხშირად მოვალ და დაგხედავ». ჩადაკეცილი სახელოდან საუბმისას გადანახული პურის ნაჭერი ამოიღო, დატეხა და ცხენს შეაჭამა. მერე გამოეთხოვა და დარაჯს გაჰყვა დიდი ქალაქის ბაზრის მოედანივით ფართო, ცაცხვებით დამრდილულ ეზოში; სკოლის შესასვლელთან მადლობა გადაუხადა და ხელი გაუწოდა. მერე მიხვდა, რომ სამეცადინო დარბაზთან მისასვლელი, გუშინ რომ აჩვენეს, დავიწყნოდა.

გაეცინა და წამოწითლდა, დარაჯს სთხოვა, მიმიყვანეო, ისიც სიამოვნებით გაუძღვა. ბიჭი დარბაზში შევიდა, სადაც ყმანვილთა ერთი ჯგუფი მერხებს უსხდა. მასწავლებლის თანამემწე, ნარცისი, მოსულს მოუბრუნდა.

– მე გოლდმუნდი ვარ, – თქვა ბიჭმა, – ახალი მოსწავლე.

ნარცისი მოკლედ მიესალმა, არ გაუღიშია, უკანა მერხზე ადგილი მიუთითა და მაშინვე გაკვეთილი განაგრძო.

გოლდმუნდი დაჯდა. გაოცებული იყო, ასეთი ახალგაზრდა, მასზე მხოლოდ რამდენიმე წლით უფროსი მასწავლებელი რომ დახვდა; გაუხარდა, ეს ჯაბუკი

მასწავლებელი ასეთი ლამაზი, ასეთი დახვეწილი, ასეთი სერიოზული, თანაც ასეთი გულისმომგები და სიყვარულის ღირსი რომ ეჩვენა.

დარაჯი სასიამოვნო ადამიანი გამოდგა, აბატი გულთბილად შეხვდა, თავლაში ბლესი ება, – მშობლიური პატარა სითბო, – აგერ კიდევ მასწავლებელიც, გასაოცრად ახალგაზრდა, მეცნიერივით სერიოზული და უფლისწულივით ნატიფი, მასწავლებელი, რომლის ხმაც ასე თავშეკავებულად, ასე ცივად, საქმიანად და მომნუსხავად ჟღერდა! ბიჭი მადლიერებით აღსავსე უსმენდა ნარცისს, თუმცა ყველაფერი როდი აღწევდა მის გონებამდე სრულად. სასიამოვნო განცდა დაეუფლა: კეთილ, სიყვარულის ღირს ადამიანებთან მოხვდა და მზად იყო, შეეყვარებინა ისინი და მათი მეგობრობა დაემსახურებინა. დილით, გაღვიძებისას, თითქოს შებოჭილად იგრძნო თავი, დაღლილიც იყო ხანგრძლივი მგზავრობით და მამასთან დამშვიდობებისასაც კინალამ ატირდა. მაგრამ ახლა აღარაფერი აწუხებდა. კმაყოფილებას განიცდიდა.

თვალს ვერ აშორებდა ახალგაზრდა, მოხდენილ, ტანმოქნილ მასწავლებელს, მის ცივად მოელვარე თვალებს, მკაცრად მოხაზულ ტუჩებს, ნათლად და გარკვევით რომ წარმოთქვამდნენ მარცვლებს, მოჭადოებულებით უსმენდა მის მომხიბლავ, ძლიერ ხმას.

მაგრამ როცა მეცადინეობა დამთავრდა და შეგირდები ხმაურით წამოიშალნენ, გოლდმუნდი უცბად გამოერკვა და მიხვდა, რომ ჩასძინებოდა.



თანაც მართო გოლდმუნდი კი არ მიხვდა ამას, მის გვერდით მსხდომთაც შეამჩნიეს და ჩურჩულით გადასცეს ერთმანეთს. გავიდა თუ არა ახალგაზრდა მასწავლებელი ოთახიდან, ამხანაგები ყოველი მხრიდან შეესივნენ გოლდმუნდს.

– გამოიძინე? – ჰკითხა ერთმა და გაიღრიჭა.

– შესანიშნავი მოსწავლე! – დასცინა მეორემ, – ეკლესიას ნამდვილად დაამშვენებს. ჯერ არ მოსულა და უკვე ძილქუში დააწვა!

– ლოგინში ჩააწვინეთ პატარა! – მოუწოდა მესამემ და მაშინვე ხელი სტაცეს მკლავებსა და ფეხებში და სიცილხარხარით გაიტანეს გარეთ.

გამოფხიზლებული გოლდმუნდი გაშმაგდა. მთელი სხეულით იგერიებდა მათ, გასხლტომას ცდილობდა. აქეთ-იქიდან მუჭლუგუნები ხვდებოდა, ბოლოს ხელი გაუშვეს და ძირს დაენარცხა. ერთი მაინც მაგრად ჩაფრენოდა ფეხში.

გოლდმუნდმა, როგორც იქნა, თავი დაიძვრინა, ერთ-ერთ ბიჭს მისწვდა და წამსვე ხელჩართული ჩხუბიც გაჩაღდა.

მოწინააღმდეგე ძლიერი აღმოჩნდა, ყველა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ორთაბრძოლას: რაკი გოლდმუნდი მაგრად დაუდგა და ღონიერ

მეტოქეს ერთი-ორჯერ ლაზათიანადაც უთავაზა, მაშინვე მეგობრებიც გამოუჩნდა, თუმცა ჯერ სახელიც კი არავისი იცოდა. მაგრამ უცებ ყველა ერთიანად მოწყდა ადგილს და ის იყო გაუჩინარდნენ, რომ სკოლის ზედამხედველი, მამა მარტინი შემოვიდა და მარტო დარჩენილ გოლდმუნდს შეეჩეხა პირისპირ. გაოცებით შეხედა წამოჭარხლებულ და ოდნავ სახედაბეჟილ ბიჭს, რომლის თვალებიც მორცხვად იმზირებოდნენ.

– ეს რა მოგსვლია? – ჰკითხა მან. – შენ გოლდმუნდი არა ხარ? დაგიშავეს რამე მაგ აბეზრებმა?

– ო, არა, – თქვა ბიჭმა, – მიიღო, რისი ღირსიც იყო.

– ვინ მიიღო?

– არ ვიცი. ჯერ არავის ვიცნობ. ერთი მეჩხუბა.

– აჰა, იმან დაიწყო?

– არ ვიცი. არა, მგონი, მე დავიწყე. დამცინეს და გავზრაზდი.

– კარგად კი იწყებ, ყმანვილო!.. დაიმახსოვრე: თუ კიდევ ერთხელ გამართავ საკლასო ოთახში ცემა-ტყეპას, დაისჯები.

ახლა სავახშმოდ გაემზადე, გასწი!

ღიმილით გააყოლა თვალი გოლდმუნდს, შერცხვენილი რომ გაიძურნა და თან გზადაგზა აწეწილ ქერა თმას ისწორებდა.

გოლდმუნდი თვითონაც იმ აზრისა იყო, რომ მისი პირველივე საქციელი მონასტერში მეტად უწესო და სულელური გამოვიდა. გულდამძიმებულმა მოძებნა სავახშმოდ დამსხდარი ამხანაგები, მაგრამ ისინი პატივისცემითა და მეგობრულად შეხვდნენ. გოლდმუნდიც რაინდულად შეურიგდა თავის მეტოქეს და იმ წუთიდანვე ამ წრეში მიღებულად იგრძნო თავი.



# თავი მეორე

გოლდმუნდი თუმცა ყველას დაუამხანაგდა, მაგრამ ნამდვილი მეგობარი მაშინვე ვერ შეიძინა. თანაკლასელთა შორის ვერავისთან გრძნობდა განსაკუთრებულ სიახლოვეს.

იმათ კი უკვირდათ, ის გულადი მოჩხუბარი, თითქმის ნამდვილ ყაჩაღანად მიჩნეული, ერთი წყნარი ყმაწვილი რომ გამოდგა, რომელიც, ეტყობოდა, სანიმუშო მოწაფის სახელს უფრო ესწრაფოდა.

ორი ადამიანი იყო მონასტერში, ვისკენაც გოლდმუნდს გული მიუწევდა, ვინც მას მოსწონდა, ვისზე ფიქრიც არ ასვენებდა, რომელთა მიმართაც აღტაცებას, სიყვარულსა და მოწინებას გრძნობდა: აბატი დანიელი და მასწავლებლის თანაშემწე ნარცისი. აბატი მას წმინდანად მიაჩნდა, მისი უბრალოება და სიკეთე, მისი ნათელი, მზრუნველი მზერა, მმართველ-გამგებლისა და წინამძღვრის მოვალეობის მორჩილებით, მსახურებასავით შესრულება, მისი კეთილი, დინჯი გამომეტყველება, ყოველივე იზიდავდა ყმანვილს.

ყველაფერს ერჩივნა, ამ ღვთისმოსავი ადამიანის პირადი მსახური ყოფილიყო, მედამ მორჩილად და დაუბარებლად ეტრიალა მის გვერდით, მთელ თავის ჭაბუკურ ძალას ჭეშმარიტად შეწირავდა მსხვერპლად მისდამი

ერთგულებას და თავდადებას და უცოდველ, პატიოსან, წმინდანებრივ ცხოვრებას ისწავლიდა მისგან, რადგან გოლდმუნდს გადანყვეტილი ჰქონდა, არა მარტო სამონასტრო სკოლა დაემთავრებინა, არამედ, რამდენადაც შესძლებდა, დარჩენილიყო მონასტერში და ცხოვრება უფლისათვის მიეძღვნა. ეს იყო მისი წადილი, ეს იყო მამამისის სურვილიც და ასე ენება ალბათ თავად უფალსაც. მშვენიერი, სახენათელი ყმაწვილის შემხედვარე კაცი ვერც კი იფიქრებდა, რომ მას ტვირთი აწვა, ტვირთი წარმოშობისა, რომ მას გამოსყიდვისა და მსხვერპლად შეწირვის იდუმალი მიზანი დაესახა. ვერც აბატი ამჩნევდა ამას, თუმცა გოლდმუნდის მამამ ორიოდ სიტყვით მიანიშნა ამის თაობაზე და ნათლად გამოხატა თავისი სურვილი, მინდა ჩემი ვაჟი სამუდამოდ მონასტერში დარჩესო.

ეტყობა, რაღაც იდუმალი ცოდვა ახლდა გოლდმუნდის დაბადებას, სადღაც რაღაც უთქმელი და დაფარული მოითხოვდა გამოსყიდვას. მაგრამ გოლდმუნდის მამა აბატს ისე არ მოსწონებია, მისი ლაპარაკისათვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭებინა, ამიტომაც პატივმოყვარე კაცის ამ სიტყვებს თავაზიანი თავშეკავებით შეხვდა.

მეორე ადამიანს, ვინც გოლდმუნდის გულში სიყვარული აღძრა, უფრო გამჭრიახი თვალი ჰქონდა და მეტს ხვდებოდა, მაგრამ თავი შორს ეჭირა. ნარცისმა, ცხადია, მაშინვე შეამჩნია, რა მშვენიერი ოქროს ჩიტი მიფრენილიყო მასთან.

თავის კეთილშობილებაში განმარტოებულმა, მაშინვე იგრძნო სულიერი ნათესაობა გულდმუნდთან, თუმცა ერთი შეხედვით ყველაფრით განსხვავდებოდა მისგან. თუ ნარცისი შავგვრემანი და ხმელ-ხმელი ჭაბუკი იყო, გოლდმუნდი გასხივოსნებული და ჯან-ღონით სავსე ყმაწვილი გახლდათ.

თუ ნარცისი მოაზროვნე და ანალიტიკოსი იყო, გოლდმუნდი მეოცნებე და ბავშვური სულის პატრონი ჩანდა. მაგრამ ამ ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანებს ერთი საერთო რამ აკავშირებდა. ორივე კეთილშობილი პიროვნება იყო, ჭეშმარიტი ნიჭიერებით დაჯილდოებული და ბედისწერისაგან საგანგებოდ გამორჩეული.

მხურვალე ინტერესით ადევნებდა თვალს ნარცისი ამ ყმაწვილის სულის განვითარებას, რომლის თავისებურება და ხვედრი მალე შეიცნო.

მგზნებარე ალტაცებით შეჰყურებდა გოლდმუნდი თავის მშვენიერ, არაჩვეულებრივად ჭკვიან მასწავლებელს. მაგრამ გოლდმუნდი გაუბედავი იყო, ნარცისის გულის მოსაგებად სხვა ვერაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ ქანცის გაცლამდე ცდილობდა ყურადღებიანი და ბეჭითი მოწაფე ყოფილიყო. ოღონდ მარტო მორიდება როდი აჩერებდა.

გოლდმუნდი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ნარცისი მისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და ეს გრძნობაც ხელს უშლიდა. მას არ შეეძლო იდეალად და



ნიმუშად ერთდროულად კეთილი, თავმდაბალი აბატიც ჰყოლოდა და უჭკვიანესი, განათლებული, გონებაგამჭრიახი ნარცისიც.

და მაინც მთელი თავისი ჭაბუკური სულიერი ძალებით ერთმანეთთან შეუთავსებელ ორივე იდეალს თანაბრად ესწრაფვოდა. ხშირად იტანჯებოდა ამის გამო. პირველ ხანებში ისე თავგზააბნეული და აფორიაქებული იყო, რომ იქაურობის მიტოვებასაც კი ფიქრობდა და რამდენჯერმე ლამის ამხანაგებზე ამოიყარა გულის ჯავრი და გასაჭირი.

ხშირად გულკეთილ ყმაწვილს მცირეოდენი გაქილიკება თუ რომელიმე მოწაფის უხეში ხუმრობა უეცრად ისე წამოანთებდა და გააცოფებდა, რომ მხოლოდ უკიდურესი დაძაბვით ახერხებდა თავს მორეოდა; თვალდახუჭული და გაფითრებული მდუმარედ მიდგებოდა განზე. მერე წავიდოდა თავლაში თავის ცხენთან, ბლესთან, კისერზე მიაყრდნობდა თავს, კოცნიდა და ტიროდა. თანდათან იმატა მისმა ტანჯვამ და ეს შესამჩნევიც გახდა: ლოყები ჩაუცვივდა, მზერა ჩაუქრა, მისი ღიმილი, ყველას რომ ასე უყვარდა, ძვირად სახილველი შეიქნა.

თავად ვერ ხვდებოდა, რა ამბავი ტრიალებდა მის თავს.

გულწრფელად სურდა კარგად ესწავლა, მალე გამხდარიყო მორჩილი, ხოლო შემდეგ მამათა შორის ღვთისმოსავი, წყნარი ძმათაგანი: სწამდა, რომ მთელი

მისი ძალები და უნარი ამ ღვთიური და სათნო მიზნისაკენ იყო მიმართული; მან არა იცოდა რა სხვა სწრაფვებისა. რა უცნაური და გულსატკენი იყო ამიტომ მისთვის იმის შეგნება, რომ ასეთი უბრალო და მშვენიერი მიზანი ასე ძნელი მისაღწევი აღმოჩნდა. როგორი გაოცებითა და გულისტკივილით ამჩნევდა ხოლმე თავს დასაძრახის მიდრეკილებებსა თუ განწყობილებას:

სწავლაში დაბნეულობასა და გულაცრუებას, გაკვეთილებზე ოცნება-ფანტაზიურობასა თუ უხალისობას, ლათინურის მასწავლებლისადმი არაკეთილგანწყობასა და მისთვის წინააღმდეგობის განწევის სურვილს, გულფიცხობასა და მრისხანე თავშეუკავებლობას ამხანაგთა მიმართ. ყველაზე თავგზაამრევი კი ის იყო, რომ ნარცისისადმი სიყვარული ვერა და ვერ გუობდა აბატ დანიელისადმი სიყვარულს. მაგრამ ხანდახან შინაგანი ხმა არწმუნებდა, რომ ნარცისსაც უყვარდა, რომ ის თანაუგრძნობდა და ელოდებოდა.

ნარცისი უფრო ხშირად ფიქრობდა მასზე, ვიდრე ეს გოლდმუნდს ეგონა. ნარცისს ამ ლამაზ, ნათელ, საყვარელ ყმაწვილთან მეგობრობა ეწადა. მასში თავის მეორე მხარეს, თავის შემავსებელ არსებას გრძნობდა; სურდა დაეახლოვებინა, მისი მეგზური გამხდარიყო, განათლება მიეცა, სულიერად აღემაღლებინა და სრულყოფილებამდე მიეყვანა. მაგრამ თავს იკავებდა. თავს იკავებდა მრავალი მიზეზის გამო და ეს მიზეზები თითქმის ყველა გაცნობიერებული ჰქონდა.

უპირველეს ყოვლისა, მას აბრკოლებდა ზიზღი, რასაც ზოგიერთი მასწავლებლისა და ბერის მიმართ გრძნობდა, მოწაფეებსა თუ მორჩილებს რომ შეიყვარებდნენ ხოლმე. მას ხომ თვითონაც ხშირად ეგრძნო უფროსი კაცების ხარბი მზერა, თვითონაც გაეწია ფარული წინააღმდეგობა მათი ალერსისა თუ შეხუმრებისათვის. ახლა უკეთ ესმოდა მათი – მასაც ეუფლებოდა ცდუნება, მშვენიერი გოლდმუნდის სიყვარული მოეპოვებინა, მისი მომხიბლავი სიცილი გამოეწვია, ნაზად მიაღერებოდა ხვეულ ოქროსფერ თმაზე. მაგრამ ამას არ იზამდა, არასოდეს. გარდა ამისა, ნარცისი, მართალია, მასწავლებლის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ მასწავლებლის თანამდებობასა და ავტორიტეტს არ ფლობდა და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფხიზლე ემართა:

შეეჩვია რამდენიმე წლით უმცროსების წინაშე ისე მდგარიყო, თითქოს ოცი წლით მათზე უფროსი ყოფილიყო; მკაცრად უკრძალავდა საკუთარ თავს რომელიმე მოწაფე გამოერჩია. თავს აიძულებდა, უღირსი მოწაფის მიმართ განსაკუთრებით სამართლიანი და მზრუნველი ყოფილიყო. მისი სამსახური სულიერი სამსახური იყო, ამას ეძღვნებოდა მისი მკაცრი ცხოვრება, და მხოლოდ მალულად, მთლად მარტო ყოფნის წუთებში თუ მისცემდა თავს ქედმაღლობის, საკუთარი ყოვლისმცოდნეობითა და გონებრივი უპირატესობით ტკბობის უფლებას. არა, რაგინდ მაცდური ყოფილიყო გოლდმუნდთან მეგობრობა, ეს სახიფათო იყო, და ნარცისის ცხოვრების გულისგულს იგი არ უნდა გაჰკარებოდა. მისი ცხოვრების გულისგული და აზრი



სულისადმი სამსახური, სიტყვის სამსახური იყო. ეს იყო დინჯი, მოფიქრებული, გამორჩენის სურვილისაგან თავისუფალი მოღვაწეობა თავის მოწაფეთათვის და არა მარტო მოწაფეთათვის, არამედ – უმაღლესი სულიერი მიზნებისათვისაც.

უკვე წელიწადზე მეტი იყო გასული მას შემდეგ, რაც გოლდმუნდი მარიამბრონის მონასტრის სკოლაში იმყოფებოდა.

ეზოში, ცაცხვებისა და მშვენიერი წაბლის ხის ძირში უკვე ასჯერ მაინც ექნებოდა ამხანაგებთან ერთად დაჯერობანა, ყაჩაღობანა, გუნდაობა და ბურთი ნათამაშები; ახლა გაბაფხული იდგა, გადაქანცული გოლდმუნდი თავს შეუძლოდ გრძნობდა. ხშირად სტკიოდა თავი და ძალიან უჭირდა ფხიზლად და ყურადღებით ყოფილიყო კლასში.

ერთ საღამოს ადოლფი დაელაპარაკა; ეს ის მოწაფე იყო, ვისთან ნაცნობობაც თავის დროზე მუშტი-კრივით დაიწყო და ვისთან ერთადაც იმ ზამთარს ევკლიდეს შესწავლას შეუდგა.

ეს ამბავი მოხდა ნავახშმევს, შესვენებისას, როცა საძინებელში თამაში, მოწაფეთა ოთახებში მუსაიფი და მონასტრის გარეთა ეზოში სეირნობა ნებადართული იყო.

- გოლდმუნდ, - უთხრა ადოლფმა და თან კიბეზე ჩაიყოლა, - მართალია, შენ სანიმუშო მოწაფე ხარ და ალბათ მომავალში ეპისკოპოსიც გახდები, მაგრამ მაინც უნდა გაგანდო ერთი საინტერესო რაღაც, ოღონდ ჯერ სიტყვა მომეცი, რომ მასწავლებლებთან არ დამასმენ.

გოლდმუნდმა მაშინვე მისცა სიტყვა. არსებობდა სამონასტრო ღირსება, იყო შეგირდთა ღირსებაც და ესენი ხანდახან ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ. გოლდმუნდმა ეს იცოდა; მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც დაუწერელი კანონი დაწერილზე ძლიერი იყო და ვიდრე მოწაფე ერქვა, მოწაფეთა კანონებსა და მათი ღირსების ცნებებს გვერდს ვერ აუვლიდა.

ჩურჩულით გაიყვანა ადოლფმა კარიბჭეში და ხეივანში გაჩერდნენ.

- სკოლაში რამდენიმე ბიჭი ვართ, ყველანი გულადი და სანდო ამხანაგები, - უთხრა ადოლფმა, - წინა თაობებისგან ჩვენც წესად გადმოვიღეთ, დროდადრო გავიხსენოთ, რომ ჯერ ბერები არ ვართ; საღამოობით ხანდახან მონასტრიდან ვიპარებით და სოფელში გავდივართ.

ეს მშვენიერი გასართობი და სათავგადასავლო რამეა და ნამდვილმა ვაჟკაცმა ამაზე უარი არ უნდა თქვას. დღესაც ვაპირებთ გასვლას და ღამითვე დავბრუნდებით უკან.

- კი მაგრამ, მაგ დროს ჭიშკარი ხომ ჩაკეტილია, - არ აცალა გოლდმუნდმა.

- საქმეც ეგაა, რომ ჩაკეტილია; უკან დასაბრუნებლად საიდუმლო გზები ვიცით, პირველად ხომ არ ვიპარებით, - განუმარტა ადოლფმა.

გოლდმუნდს გაახსენდა, რომ გაგონილი ჰქონდა გამოთქმა «სოფელში გასვლა»; ასე ეძახდნენ შეგირდების ღამეულ გასვლებს სხვადასხვა საიდუმლო სიამოვნებისა და თავგადასავლის საძებრად, რაც მონასტრის კანონებით სასტიკად იყო აკრძალული და მკაცრად ისჯებოდა. იგი შეკრთა. «სოფელში გასვლა» ცოდვის ჩადენას ნიშნავდა, ეს აკრძალული იყო. მაგრამ ისიც შესანიშნავად ესმოდა, რომ სწორედ ამის გამო სახიფათო საქმისთვის თავის არიდება «ნამდვილი ვაჟკაცისთვის» ღირსების დაკარგვას ნიშნავდა და ისიც ერთგვარ დაფასებას მოასწავებდა, როცა ამგვარ თავგადასავალში მონაწილეობას შემოგთავაზებდნენ.

ყველაფერს ერჩივნა უარი ეთქვა, უკან გაბრუნებულიყო და ლოგინში ჩაწოლილიყო. ძალზე დაღლილი იყო და თავს შეუძლოდ გრძნობდა, შუადღიდან მოყოლებული თავის ტკივილი აწუხებდა. მაგრამ, ცოტა არ იყოს, რცხვენოდა ადოლფისა.

ისე, ვინ იცის, იქნებ სულაც გარეთ, ამ თავგადასავალში ყოფილიყო რამე სასიამოვნო და ახალი, რაც თავის ტკივილს, მოთენთილობასა და ყველანაირ გაჭირვებას დაავიწყებდა.



იქნებ სწორედ ეს იყო გასვლა იმ სამყაროში, – თუმცა მალევე, აკრძალული და არც მთლად სანაქებო, – რაც ხსნასა და განცდებით აღსავსე სიამოვნებას ჰპირდებოდა. ყოყმანით უსმენდა ადოლფს, რომელიც მის დაყოლიებას ცდილობდა, მერე უცბად გაიცინა და დათანხმდა.

ადოლფთან ერთად შეუმჩნევლად გაძვრა ცაცხვებში ფართო, უკვე ჩაბნელებულ ეზოში. ალაყაფის კარი ამ დროს ყოველთვის ჩარაბული იყო. ამხანაგმა მონასტრის წისქვილში შეიყვანა, სადაც სიბნელესა და ბორბლების გამუდმებულ ხმაურში ადვილი იყო შეუმჩნევლად გაპარვა. უკვე მთლად უკუნეთში ფანჯრიდან გადავიდნენ სველ, შეკრულ სლიპინა ხის მორებზე, ერთი მორი გამოაძვრეს, წყალზე გადეს და ასე გააღწიეს გაღმა. და აი, უკვე მკრთალად განათებულ შარაგზაზე გავიდნენ, რომელიც შავი ტყის სიღრმეში იკარგებოდა.

ეს ყოველივე ამაღელვებელი და იდუმალი იყო და მეტად მოეწონა ყმანვილს.

ტყის პირას მათ უკვე ელოდებოდათ ერთი ამხანაგი, კონრადი, და კარგა ლოდიინის შემდეგ კიდევ ერთი მოძუნძულდა, ზორბა ებერჰარდი. ოთხნი გაუყვნენ ტყის სიღრმეში მიმავალ გზას, თავზემოდ ხმაურით ფრთხელობდნენ ღამის ფრინველები, ორიოდვე ვარსკვლავი გამოკრთოდა იდუმალებით მოცულ მოღრუბლულ ცაზე. კონრადი ლაყბობდა, იცინოდა და ოხუნჯობდა, ხანდახან სხვებიც აჰყვებოდნენ მის სიცილს და მაინც შიშნარევ, მოზეიმე ღამეულ განწყობას დაესადგურებინა მათში, გული უძგერდათ აჩქარებით.

ტყის იქითა მხარეს, ცოტა ხნის სიარულის შემდეგ, სოფელს მიაღწიეს.

ყველაფერი მიჩუმებული იყო, მკრთალად ციმციმებდნენ კოჭების ჩამუქებული თამასებიდან ამოზრდილი დაბალი ფრონტონები, შუქი არსად ჩანდა. წინ ადოლფი მიდიოდა, ხმაგაკმენდილებმა ფრთხილად აუარეს გვერდი რამდენიმე სახლს, გადაძვრნენ ბალის ღობეზე, ჩარბილებულ კვლებზე გადაიარეს, კიბეზე წაიფორხილეს და სახლთან შედგნენ. ადოლფმა დარაბაზე დააკაკუნა, მიაყურადა, ისევ დააკაკუნა, შიგნით რაღაცა გახმაურდა და მალე შუქიც აციმციმდა, დარაბა გაიღო და ისინიც ერთიმეორის მიყოლებით შელაგდნენ გაჭვარტლულ, საკვამურიან, მიწურ სამზარეულოში.

კერაზე პატარა ზეთის ლამპა იდგა, თხელ პატრუქზე სუსტი ალი ციმციმებდა. იქ ერთი გამხდარი მოახლე გოგო დახვდათ, შემოსულებს ხელი გაუწოდა. მას სიბნელიდან მეორე მოჰყვა, გრძელ, მუქნაწნავებიანი ბავშვი.

ადოლფს საჩუქრები მოეტანა, მონასტრიდან წამოღებული ცოტაოდენი თეთრი პური და კიდევ რაღაც ქაღალდში გახვეული.

გოლდმუნდის ვარაუდით ეს მოპარული საკმეველი, ან სასანთლე ცვილი, ან რაღაც ამგვარი უნდა ყოფილიყო.

წაწნავებიანი პატარა გოგონა გარეთ გავიდა, ჩაბნელებულ წინკარში ხელის

ფათურით გაიკვლია გზა, კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა და თან მოიტანა ლურჯყვავილიანი რუხი თიხის დოქი და კონრადს მიაწოდა. მან ჯერ თვითონ მოსვა და მერე სხვებს გადააწოდა, ყველამ დალია. ვაშლის მაგარი ღვინო იყო.

ლამპა სუსტად ბუუტავდა. გოგონები ხის სკამებზე ჩამოსხდნენ, ბიჭებმა კი პირდაპირ იატაკზე მოირთხეს ფეხი მათ გარშემო. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, შიგადაშიგ ღვინოს სვამდნენ. ადოლფი და კონრადი ხანდახან ადგებოდნენ და გამხდარ გოგოს თავზე გადაუსვამდნენ ხელს, თან ყურში ჩაუჩურჩულებდნენ რაღაცას, პატარას არ ეკარებოდნენ.

გოლდმუნდი ფიქრობდა, ალბათ უფროსი გოგო მოახლეა, პატარა და ლამაზი გოგონა კი ამ ოჯახის ქალიშვილიო.

თუმცა ეს მისთვის სულერთი იყო, არაფერი ესაქმებოდა მათთან; ამის მეტად აქ ფეხს აღარ მოადგამდა. მონასტრიდან გამოპარვა და ღამით ტყეში გასეირნება მშვენიერი რამ იყო, უჩვეულო, ამაღელვებელი, იდუმალებით აღსავსე და თანაც არც ისე საშიში. თუმცა ასეთი რამ აკრძალული იყო, მაგრამ ამ აკრძალვის დარღვევა სინდისის ქენჯნას როდი იწვევდა. ეს კი, ეს ღამეული სტუმრობა გოგონებთან, აკრძალულზე მეტი იყო და გრძნობდა, რომ ეს ცოდვის ჩადენას ნიშნავდა. სხვებისთვის შეიძლება ეს მხოლოდ პატარა შეცდომა ყოფილიყო, მაგრამ მისთვის – არა; მისთვის, ვინც ბერის ასკეტური



ცხოვრებისათვის ემზადებოდა, გოგონებთან თამაში ნებადართული არ იყო. არა, ის აქ მეტად აღარ მოვიდოდა, შიშით გული ძალუმად უცემდა ლამპის შუქით ოდნავ განათებულ ღარიბულ სამზარეულოში.

მის ამხანაგებს გოგონებთან გმირებად მოჰქონდათ თავი.

თავს იწონებდნენ ლათინური გამოთქმებით, საუბარში რომ ურთავდნენ ხოლმე. ეტყობა, სამივეს სწყალობდა მოახლე გოგო. დროდადრო მოუხეშავად ეფერებოდნენ, კოცნით კი ნაზად და მორცხვად კოცნიდნენ. ეტყობა ზუსტად იცოდნენ, რისი უფლება ჰქონდათ მათ აქ. და რაკი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ამ სურათს, ცოტა არ იყოს, სასაცილო ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ გოლდმუნდი ამას სხვაგვარად აღიქვამდა.

იგი მიწაზე ჩაცუცქებულიყო, ლამპის ალს მიშტერებოდა და დუმდა. დროდადრო, ცოტა არ იყოს, ხარბად და აღმაცერად გააპარებდა თვალს ალერსში გართულებისაკენ, მერე ისევ გაუნძრევლად იყურებოდა წინ. ყველაფერს ერჩია, პატარა ნაწნავებიანი გოგონასთვის ეცქირა, მაგრამ სწორედ ამას უკრძალავდა თავის თავს. ხოლო როცა ნებისყოფა უღალატებდა და თვალს გააპარებდა გოგონას წყნარი და საყვარელი პირისახისაკენ, ამჩნევდა, რომ გოგონას შავი თვალები მას უმზერდნენ, მონუსხულივით მიშტერებოდნენ.

ერთი საათი იქნებოდა გასული – ჯერ ასე არასოდეს გაგრძელებულა დრო გოლდმუნდისათვის – ბიჭებს გამოელიათ სალაპარაკო და აღარც ალერსი ეწადათ. სიჩუმე ჩამოვარდა და უხერხულად იგრძნეს თავი. ებერჰარდს მთქნარება დააწყებინა; წასვლის დროაო, შეახსენა გოგონამ.

ყველა წამოდგა, ხელი ჩამოართვეს მასპინძელს, გოლდმუნდმა ბოლომ გაუწოდა ხელი. მერე პატარას ჩამოართვეს ხელი, გოლდმუნდი იმასაც ბოლოს დაემშვიდობა მორიდებით.

ფანჯარაში ჯერ კონრადი გადაძვრა, მას ებერჰარდი და ადოლფი მიჰყვნენ. გოლდმუნდი რომ გადადიოდა, ვილაცამ მხარზე მოქაჩა. მიწაზე რომ დადგა ფეხი, მაშინლა მოახერხა მიეხედა უკან. ფანჯრიდან ნაწნავებიანი პატარა გოგონა გადმოიხარა.

– გოლდმუნდ, – დაიჩურჩულა მან. ბიჭი გაჩერდა. – კიდევ მოხვალ? – გოგონას გაუბედავი ხმა ძლივს ამოჰყვა სუნთქვას.

გოლდმუნდმა თავი გააქნია. გოგონამ ორივე ხელი გადმოჰყო ფანჯრიდან და ბიჭის თავს წაეტანა. ბიჭმა პატარა ხელების სითბო იგრძნო საფეთქლებთან. გოგონა ძლიერ გადმოიხარა, ვიდრე მისი შავი თვალები გოლდმუნდის თვალების პირისპირ არ აღმოჩნდა.

- კიდევ მოდი! - ჩასჩურჩულა და მისი ბაგენი ბავშვური კოცნით შეეხო ბიჭისას.

სწრაფად გამოუდგა უკან გოლდმუნდი დანარჩენებს, პატარა ბაღში წაიბოროძიკა, ნოტიო მიწისა და ნაკელის სუნი იგრძნო, ვარდის ბუჩქზე გაიკანრა ხელი, გადაძვრა ღობეზე და მიჰყვა წინწასულთ, რომელნიც სოფლიდან ტყისაკენ გარბოდნენ. «ალარასოდეს!» - უბრძანებდა გონება.

- «ხვალ ისევ!» - ემუდარებოდა გული.

არავინ შეხვედრია ღამის ფრინველებს, დაუბრკოლებლად დაბრუნდნენ მარიაბრონში, გადავიდნენ ღელეზე, გადაძვრნენ წისქვილში, გაიარეს ცაცხვების ხეივანი, საიდუმლო გზებით გადაცოცდნენ სახურავზე, სვეტით გაყოფილი ფანჯრიდან გადაძვრნენ მონასტერში და საძინებელ ოთახში ამოჰყვეს თავი.

დილით აცლავდა ებერჰარდი სულ მუჭლუგუნებით გააღვიძეს, ისე მაგრად ეძინა. ყველანი დროულად გამოცხადდნენ დილის წირვაზე, საუზმესა და აუდიტორიაში; მაგრამ გოლდმუნდი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა, ისე ცუდად, რომ მამა მარტინმა კიდევ ჰკითხა, ავად ხომ არა ხარო. ადოლფმა თვალები დაუბრიალა და იმანაც განაცხადა, არაფერი მიჭირსო. მაგრამ ბერძნულის გაკვეთილზე, შუადღისას, ნარცისს თვალი არ მოუცილებია



მისთვის. მანაც შეამჩნია, რომ გოლდმუნდი ვერ იყო კარგად, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ დაუინებით აკვირდებოდა. გაკვეთილის დამთავრებისთანავე თავისთან იხმო. მონაფეთა ყურადღება რომ არ მიეპყრო, რაღაც დავალება მისცა და ბიბლიოთეკაში გაგზავნა. მერე თვითონაც იქით გასწია.

- გოლდმუნდ, - უთხრა მან, - რით დაგეხმარო? ვხედავ, გიჭირს. იქნებ ავად ხარ? თუ ასეა, ლოგინში ჩაგანვენთ და ავადმყოფისათვის კუთვნილ წვნიანს და ერთ ჭიქა ღვინოს მოგიტანთ. შენ დღეს ბერძნულის თავი არა გაქვს.

დიდხანს ელოდა პასუხს. დაბნეული შეჰყურებდა გაფითრებული ბიჭი, ტუჩები უთრთოდა, უნდოდა რაღაც უთქვა, ვერ ახერხებდა. უცებ გვერდზე გადაიწია, კათედრას მიაყრდნო თავი, იმ ადგილას, სადაც ორი პატარა ანგელოზი იყო ამოკვეთილი ხეში, და ისეთი ტირილი წასკდა, რომ ნარცისმა უხერხულად იგრძნო თავი და ცოტა ხნით მზერა მოარიდა, მერე ხელი მოჰკიდა აზლუქუნებულს და წამოაყენა.

- კეთილი, - ასე გულთბილად არასოდეს მიუმართავს გოლდმუნდისათვის, - კეთილი, მეგობარო, იტირე, გულს მოგეშვება, ასე, დაჯექი; ნურაფერს იტყვი, გეტყობა, ძალიან განვალდი, ალბათ მთელი დილა ცდილობდი არაფერი დაგტყობოდა, კიდევ კარგად შესძელი. ახლა კი იტირე, ამაზე უკეთესს ვერაფერს იზამ. ხომ ასეა? გადაგიარა? დგები? კეთილი, მაშინ ჩვენ ახლა

ავადმყოფთა სენაკში წავალთ, ლოგინში ჩაწვები და დღეს საღამოსვე უკეთ იქნები. წავიდეთ!

მონაფეთა ოთახებს ჩაუარეს და სენაკში შევიდნენ. ორი ცარიელი საწოლიდან ერთ-ერთი შეურჩია და, როცა გოლდმუნდი მორჩილად შეუდგა გახდას, თვითონ მონასტრის წინამძღვართან გასწია, რათა მისთვის გოლდმუნდის ავადმყოფობა შეეტყობინებინა და ავადმყოფისათვის განკუთვნილი წვნიანი და ერთი ჭიქა ღვინოც შეეკვეთა; ორივე ეს სამონასტრო ნობათი დიდად სიამოვნებათ მსუბუქ ავადმყოფებს.

იწვა გოლდმუნდი და ცდილობდა გამოსავალი ეპოვნა აფორიაქებული მდგომარეობიდან. ერთი საათის წინ იქნებ არც გასჭირვებოდა იმის გარკვევა, თუ რამ მოქანცა დღეს ასე ძალიან, რას მოასწავებდა სულის ის გამანადგურებელი დაძაბულობა, რის გამოც გონება ებინდებოდა და თვალები ეწვოდა. ეს იყო იძულებითი, ყოველ წუთს განახლებული და თანაც ამაო დაძაბული მცდელობა გუშინდელი საღამოს და ვიწყებისა – უფრო სწორად, იმ ღამის დავიწყება კი არ სურდა, მონასტრის კედლებს გარეთ დაუფიქრებელი და მშვენიერი გასეირნება რომ მოაწყვეს, ან იმის დავიწყება კი არა, ტყე-ტყე რომ იარეს, წისქვილის რუზე მოლიპული ხიდით რომ გადავიდნენ, მერე ღობეებზე და ფანჯრებში რომ გადაძვრნენ, არა, დავიწყება სურდა იმ ერთი წამისა, სამზარეულოს ჩაბნელებულ ფანჯარასთან გოგონას სუნთქვას, სიტყვებს, მისი ხელების შეხებას, მის კოცნას რომ ახსენებდა წარამარა.

მაგრამ ახლა ამას ახალი რაღაც დაემატა, ახალი ელდა, ახალი განცდა. ნარცისმა გოლდმუნდს ყურადღება მიაქცია, ნარცისს იგი უყვარდა, ნარცისი მისთვის წუხდა – ნატიფი, კეთილშობილი, ჭკვიანი ნარცისი, გამხდარი, ოდნავ დამცინავლიმილიანი ნარცისი. გოლდმუნდმა კი თავი შეირცხვინა მასწავლებლის წინაშე, შეცბა, ენა დაეხს და ბოლოს ატირდა კიდევ!

ნაცვლად იმისა, რომ ამ აღმატებულის გული უკეთილშობილესი იარადით, ბერძნულით, ფილოსოფიით, სულიერი გმირობით და ღირსეული თავდაჭერილობით მოეგო, სუსტი და საცოდავი წარსდგა მის წინაშე! ამას ვეღარასოდეს აპატიებს თავის თავს, ვეღარასოდეს შეხედავს მასწავლებელს თვალებში.

მაგრამ ტირილმა დიდი დაძაბულობა განუმუხტა, ოთახში წყნარი განმარტოება და რბილი ლოგინი ეამა, სასოწარკვეთილებამ სანახევროდ და უფრო მეტადაც დაკარგა ძალა.

ერთი საათის შემდეგ მოვიდა ერთი მსახური ძმათაგანი, მოუტანა საფანელმოკიდებული წვნიანი, ერთი ნაჭერი თეთრი პური და მომცრო თასით წითელი ღვინოც, რაც შეგირდებს სხვა დროს მხოლოდ სადღესასწაულოდ ეძლეოდათ.

გოლდმუნდმა დალია ღვინო და შეჭამა ნახევარი თეფში კერძი. სცადა



ეფიქრა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა; ისევ გადასწვდა თეფშს, კიდევ რამდენიმე სავსე კოვზი ამოიღო.

და როცა მოგვიანებით წყნარად გაიღო კარი და ავადმყოფის დასახედად ნარცისი შემოვიდა, გოლდმუნდს უკვე ჩასძინებოდა. ღანვები წითლად შეფაკლოდა. დიდხანს აკვირდებოდა ნარცისი სიყვარულით, დიდი ცნობისწადილით და, ცოტა არ იყოს, შურიტაც. იგი ხედავდა: გოლდმუნდი არ იყო ავად, ხვალ აღარ დასჭირდებოდა მისთვის ღვინის მიტანა.

იმასაც მიხვდა, რომ გზა გაკვალული იყო, ისინი იმეგობრებდნენ.

თუ დღეს გოლდმუნდს უნდა დახმარებოდა, სხვა დროს იქნებ თავად მას დასჭირვებოდა მხარდაჭერა და სიყვარული. ამ ყმანვილისაგან შეძლებდა მიეღო ერთიცა და მეორეც, თუკი ოდესმე მდგომარეობა ამას მოითხოვდა.

# თავი მესამე

ნარცისისა და გოლდმუნდის დამეგობრება ბევრს უცნაურობად მიაჩნდა, ბევრს არც ესიამოვნა. ზოგჯერ თვითონ ახალდამეგობრებულებსაც არ მოსწონდათ ეს სიახლოვე.

უპირველეს ყოვლისა ნარცისს, მოაზროვნეს, გაუჭირდა.

იგი ყველაფერს სულით ჭვრეტდა, თვით სიყვარულსაც; მას არ შეეძლო, დაუფიქრებლად მისცემოდა გულის წადილს.

თავად იყო ამ მეგობრობის წარმმართველი, დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ მას ესმოდა ამ მეგობრობის ბედი, მისი არსი და აზრი; დიდი ხნის განმავლობაში მან მარტომ იტვირთა ეს სიყვარული და იცოდა, გოლდმუნდის სახით ნამდვილად მეგობარს მაშინ შეიძენდა, როცა ამ ურთიერთობას მასაც შეაცნობინებდა. გოლდმუნდი მთელი არსებით, გზნებით, უშუალოდ, ლაღად, უანგაროდ მიეცა ახალ ცხოვრებას; შეგნებითა და პასუხისმგებლობით შეხვდა ნარცისი თავის ბედს.

გოლდმუნდისათვის მეგობრობა თავდაპირველად ხსნა და განკურნება იყო: სიყვარულისადმი მისი ჭაბუკური ლტოლვა ცოტა ხნის წინ გაძლიერდა, როცა

ლამაზი გოგონა ნახა და მისგან კოცნა მიიღო, რამაც მაშინვე უიმედოდ დააფრთხო.

შინაგანად შეიგრძნო, რომ გოგონას კოცნა ფანჯარაში და მისი შავი თვალების შემოხედვა მთელ მის ადრინდელ ოცნებებს, მთელ მის რწმენას, მთელი მისი დანიშნულებისა და მოწოდების საფუძველთა საფუძველს დაემუქრა. მამისაგან ბერული ცხოვრებისათვის განწესებულმა, მთელი გულით მიმღებმა ამ განწესებისა, ღვთისმოსავ და მოსაგრე ასკეტურ იდეალს ჭაბუკური გზებით მინდობილმა, პირველივე ზედაპირული შეხებისას, მისი გრძნობებისადმი ცხოვრების პირველივე მიმართვისას, ქალურობასთან პირველივე შეხედრისას ცხადად იგრძნო, რომ აქ მისი მტერი და დემონი იყო ჩასაფრებული, რომ ქალი მისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

და აი, ბედმა ხსნაც მოუვლინა უკიდურესი გაჭირვების ჟამს ამ მეგობრობის სახით, და მის წინაშე აყვავებული ბალი გადაიშალა, მის მოწინებას ახალი საკურთხეველი გაუჩნდა.

და აი, მას მიეცა სიყვარულის ნება, უფლება ჰქონდა უცოდველად მისცემოდა გატაცებას და თავისი გული საოცარი, ღირსი, უფროსი, ჭკვიანი მეგობრისათვის მიეძღვნა, მგრძნობელობის სახიფათო ალი სამსხვერპლოს კეთილშობილ ცეცხლად აეგიზგიზებინა.



მაგრამ ამ მეგობრობის პირველ გაბაფხულზევე უცნაურ დაბრკოლებებს, მოულოდნელ, გამოუცნობ სიცივესა და საშიშ მოთხოვნებს წააწყდა.

მას ფიქრადაც არ მოსვლია, თავისი თავი მეგობრისაგან განსხვავებულად წარმოედგინა. ეგონა, მხოლოდ სიყვარული, მხოლოდ გულწრფელი გატაცება კმაროდა, რათა ორნი ერთ არსებად ქცეულიყვნენ, რათა განსხვავებანი ნაშლილიყო და წინააღმდეგობანი დაძლეულიყო.

რა მკაცრი და თავდაჯერებული, პირდაპირი და შეუბრალებელი იყო მაინც ეს ნარცისი! უწყინარი გატაცება და მეგობრობის სამყაროში ერთობლივი, სასიამოვნო მოგზაურობა მისთვის, ეტყობა, უცნობი იყო და არასასურველიც.

უმიზნო გზებს, ოცნებიან ხეტიალს, როგორც ჩანს, არ იცნობდა, ვერა ჰგუობდა. მართალია, როცა გოლდმუნდი შეუძლოდ იყო, მზრუნველობა არ მოუკლია, მართალია, ეხმარებოდა და მეგობრულ რჩევა-დარიგებას აძლევდა სკოლასა და სწავლასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, წიგნებში ძნელ ადგილებს განუმარტავდა, შეჰყავდა გრამატიკის, ლოგიკის და თეოლოგიის სამყაროში, მაგრამ არასოდეს დასტყობია, რომ ბოლომდე კმაყოფილი იყო მეგობრისა და ბოლომდე ეთანხმებოდა მას, ის კი არა, ხშირად თითქოს კიდევ დასცინოდა და არასერიოზულად უყურებდა. თუმცა გოლდმუნდი გრძნობდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ და მხოლოდ დამოძღვრა, არ იყო ცარიელი თავმოქმედება მასზე უფროსისა და ჯვკვიანისა, რომ ამის მიღმა სხვა რაღაცა იმალებოდა, რაღაც უფრო ღრმა, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი.

მაგრამ რა იყო ეს – ამის ამოცნობას ვერ ახერხებდა და ნარცისთან მეგობრობა ხშირად სევდას ჰგვრიდა და თავგზას უბნევდა.

სინამდვილეში ნარცისმა მშვენივრად იცოდა, რა სჭირდა მის მეგობარს. იგი ძალიან კარგად ხედავდა მის გაფურჩქნილ სილამაზეს, ბუნებით ნაბოძებ სასიცოცხლო ძალასა თუ ყვავილოვან სიუხვეს. იგი სულაც არ იყო ისეთი მოძღვარი, რომელიც მგზნებარე ჯაბუკურ სულს ბერძნულით გამოკვებავდა, უმანკო სიყვარულს ლოგიკით უპასუხებდა. მეტისმეტად უყვარდა ეს ქერა ყმაწვილი, ეს კი მისთვის სახიფათო იყო, რადგან სიყვარული ნარცისისათვის ბუნებრივი მდგომარეობა კი არა, სასწაული იყო. ნარცისს არ ჰქონდა შეყვარების უფლება, არ ჰქონდა უფლება ამ მშვენიერი თვალების საამო მზერით, ამ სხივოსან, ქერა არსებასთან სიახლოვით დამტკბარიყო, მას უფლება არ ჰქონდა ამ სიყვარულისთვის საშუალება მიეცა, თუნდაც ერთი წამით მაინც შეყოვნებულიყო მგრძნობელობის სამფლობელოში. რადგან თუკი გოლდმუნდს ბერობის, ასკეტობისა და მთელი ცხოვრების მანძილზე წმინდანობისადმი სწრაფვისაკენ მოწოდებულად მიაჩნდა თავი – ნარცისი ნამდვილად მოწოდებული იყო ამგვარი ცხოვრებისათვის. მისთვის სიყვარული მხოლოდ ერთადერთი, უმაღლესი ფორმით იყო ნებადართული.

გოლდმუნდის ასკეტური დანიშნულებისა კი ნარცისს არ სწამდა. მას სხვებზე უკეთ შეეძლო ადამიანის სულის ამოცნობა; აქ კი, რაკი სიყვარულიც ხელს უწყობდა, კიდევ უფრო დიდი სიცხადით ხედავდა. ხედავდა გოლდმუნდის

ბუნებას და დაპირისპირების მიუხედავად, არაჩვეულებრივად ღრმად ესმოდა მისი, რადგან ეს მისი საკუთარი ბუნების მეორე, დაკარგული ნახევარი იყო. ხედავდა, რომ ეს ბუნება ილუზიების, აღზრდის შეცდომებისა და მამისეული სიტყვების მაგარ ნაჭუჭში იყო მოქცეული; დიდი ხანია ხვდებოდა ამ ყმანვილური ცხოვრების არცთუ მაინცდამაინც რთულ საიდუმლოს.

თავისი ამოცანა ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი:

ეს საიდუმლო მისი მატარებლისთვის უნდა გაენდო, ნაჭუჭიდან გამოეყვანა და მისთვის მისი ნამდვილი ბუნება დაებრუნებინა.

ეს მეტად ძნელი იქნებოდა, უმძიმესი კი ის იყო, რომ ამის შედეგად ალბათ მეგობარს დაკარგავდა.

უსასრულოდ ნელა მიიწევდა იგი ამ მიზნისაკენ. თვეები გავიდა, სანამ პირველი სერიოზული შეტევა დაიწყებოდა, სანამ მათ შორის საფუძვლიანი საუბრის შესაძლებლობა შეიქმნებოდა.

ხომ ასეთი მეგობრობა ჰქონდათ, მაგრამ მაინც შორს იყვნენ ერთმანეთისაგან. მათი შემაერთებელი რკალი ვრცელ მანძილზე იყო გადაჭიმული. როგორც თვალხილული და ბრმა, ასე მიდიოდნენ ერთმანეთის გვერდით; ბრმამ რომ თავისი სიბრმავისა არაფერი იცოდა, ეს მხოლოდ თვითონ მის მდგომარეობას ამსუბუქებდა.



ნავსი პირველად ნარცისმა გატეხა, როცა იმ ამბის გამორკვევა სცადა, რამაც მაშინ განსაცდელში მყოფი ბიჭი მძიმე წუთებში მისი საპატრონო გახადა. ამის გაგება არც ისე ძნელი გამოდგა, როგორც ეგონა, გოლდმუნდს დიდი ხანია სურდა, იმლამინდელი თავგადასავალის გამო აღსარება ეთქვა, მაგრამ მის ნდობას აბატის გარდა არავინ იმსახურებდა, აბატი კი მისი მოძღვარი არ იყო. და როცა ნარცისმა შესაფერისი დრო მონახა, მეგობარს ერთმანეთთან დაახლოების დასაწყისი გაახსენა და სიფრთხილით შეეხო საიდუმლოს, გოლდმუნდმა მიუკიბ-მოუკიბავად უთხრა:

– სამწუხაროა, რომ ჯერ კურთხევა არ მიგიღია აღსარების მოსასმენად. როგორ მინდოდა აღსარება მეთქვა იმ ამბის გამო და გული შემემსუბუქებინა, კრძალვით მომენანიებინა.

მაგრამ ჩემს მოძღვარს ამას ვერ ვეტყვი.

სიფრთხილით, შეფარვით იკვლევდა ნარცისი. კვალი უკვე ნაპოვნი იყო.

– გახსოვს ის დილა, ავადმყოფს რომ ჰგავდი? – წამოიწყო მან, – თუმცა რა დაგავიწყებდა, ჩვენ ხომ მაშინ დავმეგობრდით.

ხშირად ვფიქრობ ამ ამბავზე. იქნებ შენ ვერც შეამჩნიე, მაგრამ მე მაშინ ძალზე უმწეო ვიყავი.

- შენ და უმწეო? - გოლდმუნდმა გაკვირვება ვერ დაფარა.

- უმწეო შენ კი არა, მე ვიყავი! ენაჩავარდნილივით ვიდექი, ხმას ვერ ვიღებდი და ბოლოს ტირილიც წამსკდა ბავშვივით. ავღრიალდი, ფუი, დღესაც მრცხვენია, ამას რომ ვიგონებ; ასე მეგონა, ველარ დაგენახვებოდი, რაკი ისეთი გასაცოდავებული მნახე.

სიფრთხილით მიიწევდა წინ ნარცისი:

- მესმის, შენთვის ეს უსიამოვნო ამბავი იყო. შენსავით მაგარსა და მამაც ბიჭს უცხო ადამიანის, მით უმეტეს, მასწავლებლის წინაშე ტირილი მართლაც არ შეშვენის. მაშინ ავად მეგონე, ციებცხელებიანი არისტოტელეს უცნაურად მოიქცეოდა. მაგრამ მაშინ ხომ შენ ავად არ ყოფილხარ! ეს არ იყო ციებცხელება! შენი სირცხვილიც ამით არის გამოწვეული.

აბა, ვის რცხვენია ციებ-ცხელებით გამოწვეული სისუსტისა, ასე არ არის? სულ სხვა რაღაცამ დაგჯახნა და ამიტომაც გრცხვენოდა. რამე განსაკუთრებული შეგემთხვა?

გოლდმუნდი ცოტა შეყოყმანდა, მერე ნელა წარმოთქვა:

- ჰო, რაღაც განსაკუთრებული მოხდა. მოდი, ვითომ შენა ხარ ჩემი მოძღვარი და აღსარებას გეტყვი, ერთხელაც ხომ უნდა ვთქვა.

თავდახრილმა უამბო მეგობარს იმდამინდელი ამბავი.

ნარცისმა ღიმილით მიუგო:

– დიახ, «სოფელში გასვლა» მართლაც აკრძალულია.

მაგრამ შეიძლება მრავალი აკრძალული რამ ჩაიდინო და არაფრად ჩააგდო ეს ამბავი, ან აღსარება თქვა და შეგიმსუბუქდეს, ბოლო მოეღოს სინდისის ქენჯნას. რა მოხდა, ერთხელ შენც ჩაიდინო ის პატარა სისულელები, რასაც თითქმის ყველა შეგირდი სჩადის? განა ეს ასე ცუდია?

თავშეუკავებელი აღშფოთებით აღმოხდა გოლდმუნდს:

– შენ მართლა მასწავლებელივით ლაპარაკობ! შენ ხომ ძალიან კარგად იცი, რას ვგულისხმობ! რა თქმა უნდა, მე დიდ ცოდვას არ ვხედავ იმაში, ერთი-ორჯერ რომ წესი დაარღვიო და მოსწავლეთა ოინებს აჰყვე, თუმცა ასეთი სავარჯიშო სულაც არაა გათვალისწინებული სამონასტრო ცხოვრებისთვის მოსამზადებლად.

– მოიცა! – წამოიყვირა ნარცისმა. – განა არ იცი, მეგობარო, რომ არაერთ წმინდა მამას სწორედ ასეთი მომზადება დასჭირდა? არ იცი, რომ ერთ-ერთი უმოკლესი გზა წმინდა ცხოვრებისაკენ შეიძლება უზნეო ცხოვრება იყოს?



- კარგი რა, გაჩუმდი! - თავს იცავდა გოლდმუნდი. - მე იმას ვამბობ, რომ მაგ მცირეოდენი ურჩობის გამო კი არ მქენჯნიდა სინდისი, სულ სხვა რამის გამო, გოგონას გამო.

ეს ის გრძნობა იყო, რომლის აღწერა არ შემიძლია! ეს იყო შეგრძნება იმისა, რომ თუ ცდუნებას ავყვებოდი, თუნდაც მხოლოდ ხელს გავიწვდიდი გოგონას შესახებად, უკან ველარასოდეს დავბრუნდებოდი, ცოდვა ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩამნთქავდა და თავს ველარასოდეს დავაღწევდი. და ეს იქნებოდა ყველა მშვენიერი ოცნების, ყოველგვარი სათნოების, ღვთისა და სიკეთისადმი მთელი სიყვარულის დასასრული.

ღრმად ჩაფიქრებულმა ნარცისმა თავი დაუქნია.

- ღვთის სიყვარული, - ისე ნელა წარმოთქვა, თითქოს სიტყვებს ეძებსო, - ყოველთვის როდი ნიშნავს სიკეთის სიყვარულს. ეჰ, ეს რომ ასე მარტივი იყოს! სიკეთე რა არის, ჩვენ ეს ვიცით, ეს მცნებებშია მოცემული. მაგრამ ღმერთი მარტო მცნებებში როდია, ისინი მხოლოდ მის უმცირეს ნაწილს შეადგენენ. შეიძლება მცნებები აღასრულო და ღმერთისაგან მაინც მეტად შორს იყო.

- შენ რა, ჩემი არ გესმის? - შესწუწუნა გოლდმუნდმა.

- მესმის, როგორ არა. ქალში, სქესში შენ ხედავ ყოველივე იმას, რასაც «ამა სოფელსა» და «ცოდვას» ეძახი. შენ გეჩვენება, რომ იმ ერთი ცოდვის გარდა სხვა ცოდვების ჩადენის უნარი ან საერთოდ არ გაქვს, ან თუ მაინც ჩაიდენდი, ასე არ დაგთრგუნავდნენ და ერთი აღსარებით ყველაფერი გამოსწორდებოდა.

- დიახ, სწორედ მაგას ვგრძნობ.

- ხომ ხედავ, მესმის შენი. და არცთუ მთლად გასამტყუნარი ხარ. ევასა და გველის იგავი უაზრო როდია. და მაინც არა ხარ მართალი, ძვირფასო. შენ მართალი მაშინ იქნებოდი, აბატი დანიელი რომ იყო, ანდა შენი ნათლობის აღმსრულებელი წმინდა ქრისტოსტომი, ეპისკოპოსი ან მღვდელი, ან თუნდაც ერთი პატარა უბრალო ბერი მაინც. მაგრამ შენ არც ერთი არა ხარ. შენ მოწაფე ხარ, და თუმცა მონასტერში სამუდამოდ დარჩენა განგიზრახავს - შეიძლება ეს მხოლოდ მამაშენის სურვილია, მონასტერში სამუდამოდ დაგტოვოს - ჯერ აღთქმა არ დაგიდია, ჯერ კურთხევა არ მიგიღია. შენ რომ დღეს თუ ხვალ ლამაზმა გოგომ მოგხიბლოს და ცდუნებას აჰყვე, ეს ხომ ფიცის გატეხა არ იქნება, ამით აღთქმა ხომ არ დაირღვევა.

- არ დაირღვევა დაწერილი აღთქმა! - წამოიძახა დიდად აღელვებულმა გოლდმუნდმა. - მაგრამ დაირღვევა აღთქმა დაუწერელი, უწმინდესი, რასაც მე გულით ვატარებ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ რაც მრავალთათვის

შესაძლებელია, ის ჩემთვის არ შეიძლება? შენ თვითონაც არ მიგიღია ჯერ კურთხევა, არც აღთქმა დაგიდია და მაინც არასოდეს მისცემდი თავს იმის უფლებას, რომ ქალს შეჰხებოდი. იქნებ ვცდები?

იქნებ სულაც არა ხარ ასეთი? იქნებ სულაც არა ხარ ის, ვინც მე მგონიხარ? ის ფიცი, რომელიც სიტყვით ჯერ არ მიგიცია უფროსებისათვის, შენს გულში ხომ დიდი ხანია შენც დადებული გაქვს და ხომ მიგაჩნია თავი ამის გამო სამუდამო ვალდებულად? განა შენც ჩემი მსგავსი არა ხარ?

- არა, გოლდმუნდ, მე არა ვარ შენი მსგავსი, ისე არა, როგორც შენ გგონია.

თუმცა მეც დადებული მაქვს ფარული აღთქმა, ამაში მართალი ხარ. მაგრამ შენი მსგავსი ნამდვილად არა ვარ. მე შენ ახლა რაღაცას გეტყვი და ერთხელაც იქნება მოგაგონდება ჩემი ნათქვამი: ჩვენს მეგობრობას არავითარი სხვა მიზანი და აზრი არა აქვს გარდა იმისა, რომ დაგანახოს, თუ რა დიდად განსხვავდები შენ ჩემგან!

განცვიფრებული იდგა გოლდმუნდი: ნარცისი ისე უმზერდა და ისეთ კილოზე ლაპარაკობდა, წინააღმდეგობის განევა შეუძლებელი იყო. ის დუმდა. კი მაგრამ, რატომ ამბობდა ამას ნარცისი? რატომ უნდა ყოფილიყო ნარცისის მდუმარე აღთქმა მისაზე უფრო წმინდა? იქნებ სერიოზულად არ უყურებდა გოლდმუნდს, იქნებ მასში მხოლოდ ბავშვს ხედავდა?



ხელახლა აიძალნენ ამ უცნაური მეგობრობით გამონვეული დაბნეულობანი და სევდიანი ფიქრები.

ნარცისს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა გოლდმუნდის საიდუმლოს ბუნებაზე: ეს ევა იყო, პირველყოფილი დედა, რომელიც ამ საიდუმლოს მიღმა იმალებოდა. მაგრამ როგორ მოხდა, რომ ასეთ მშვენიერ, ასეთ ჯანმრთელ, ასეთ გაფურჩქნილ ყმანვილში გაღვიძებული სქესი ასეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა? ეტყობა, აქ დემონის ხელი ერია, იდუმალი მტრის ხელი, რომელმაც მოახერხა, ეს დიდებული არსება შინაგანად გაეხლიჩა, მისი ბუნებრივი ლტოლვების წინააღმდეგ აემხედრებინა. დიახ, ნარცისს დემონი უნდა ეპოვნა, უნდა გამოეხმო იგი და ხილული გაეხადა, რათა დაემარცხებინა.

ამასობაში გოლდმუნდს სულ უფრო ჩამოშორდნენ და ზურგი აქციეს ამხანაგებმა, თუმცა თავად უფრო მიაჩნდათ თავი მისგან ზურგშექცეულად და რამდენადმე ნალალატებად.

არავინ უყურებდა მის მეგობრობას ნარცისთან კარგი თვალით.

ბოროტი ენები სახელს უტეხდნენ ამ მეგობრობას და არაბუნებრივად ნათლავდნენ, ნამეტნავად ისინი, ვინც ადრე თვითონ იყვნენ შეყვარებულნი ერთ-ერთ ამ ყმანვილთაგანზე.

მაგრამ სხვებიც კი, ვისთვისაც ნათელი იყო, რომ აქ ბიზიერებაზე ეჭვის მიტანა უსაფუძვლო ჩანდა, ამ კავშირს არ იწონებდნენ.

არავის გახარებია მათი დამეგობრება; ეჩვენებოდათ, თითქოს ამ შეკავშირებით ისინი არისტოკრატიული ქედმაღლობით გამიჯნვოდნენ დანარჩენებს, ვინც მათ მათი საზოგადოების ღირსად არ მიაჩნდათ; ეს არაამხანაგური იყო, არამონასტრული, არაქრისტიანული.

აბატ დანიელის ყურამდეც მივიდა ზოგი რამ ამ ორი მეგობრის შესახებ – ჭორები, ბრალდებები, ცილისწამება.

ორმოცწლიანი სამონასტრო ცხოვრების მანძილზე ყმანვილთა მრავალ მეგობრობას მოსწრებოდა იგი, ამის გარეშე სამონასტრო ცხოვრება ძნელი წარმოსადგენი იყო, ეს ხომ მშვენივრად ავსებდა აქაურ ცხოვრებას ზოგჯერ სიამით, ზოგჯერ ხიფათით. ყველაფერს ხედავდა, მაგრამ თავს იკავებდა, არაფერში ერეოდა. ასეთი განსაკუთრებული სიძლიერისა და სიმტკიცის მეგობრობა იშვიათობა იყო; უეჭველია, იგი არცთუ მთლად უსაფრთხო იქნებოდა. მაგრამ რაკი მისი სინმინდე წამითაც კი არ აეჭვებდა, ჩათვალა, მოვლენები თავისი გზით განვითარდებო. ნარცისი გამონაკლისი რომ არ ყოფილიყო შეგირდებსა და მასწავლებლებშიც, აბატი აღარ იყოყმანებდა, ბრძანებას გასცემდა და განაცალკევებდა მათ. გოლდმუნდისათვის არ იყო კარგი თანაკლასელებისაგან ჩამოშორება და მხოლოდ და მხოლოდ

უფროსთან, მასწავლებელთან ურთიერთობისათვის ზრუნვა. მაგრამ განა შეიძლებოდა ნარცისისათვის, არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული ნიჭით ცხებული ნარცისისათვის, რომელსაც მასწავლებლები სულიერებით თავის სწორად და აღმატებულადაც კი თვლიდნენ, ხელი შეეშალა მის მიერ არჩეულ გზაზე და აღმზრდელობითი საქმიანობისათვის ჩამოეშორებინა?

ნარცისს რომ მასწავლებლად აღარ ევარგა, ამ მეგობრობის გამო დაუდევრად რომ მოჰკიდებოდა საქმეს ან მიკერძოება გამოეჩინა, მაშინვე გადააყენებდა, მაგრამ მის წინააღმდეგ არაფერი მეტყველებდა, არაფერი, გარდა ჭორებისა, არაფერი, გარდა სხვათა ეჭვიანი უნდობლობისა. ამასთანავე აბატმა იცოდა ნარცისის არაჩვეულებრივი ნიჭი ადამიანთა სულში გასაოცრად ღრმად წვდომისა, ადამიანთა გამოცნობის მისი, ცოტა არ იყოს, კადნიერი უნარი. აბატი მაინცდამაინც არ აფასებდა ამგვარ ნიჭს, მისთვის ნარცისის ნიჭის სხვა გამოვლინებანი უფრო სასიამოვნო იქნებოდა; მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ნარცისმა მოწაფე გოლდმუნდში რაღაც განსაკუთრებული შენიშნა და ბევრად უკეთ იცნობდა ამ ყმაწვილს, ვიდრე თვითონ ან ნებისმიერი სხვა ვინმე.

თავად აბატს გოლდმუნდის მომხიბლავი ბუნების გარდა თვალში ხვდებოდა მისი ნაადრევად სერიოზული დამოკიდებულება სამონასტრო ცხოვრებისადმი. ყმაწვილს, ჯერ კიდევ შეგირდსა და სტუმარს, თავი ისე ეჭირა, თითქოს უკვე შინაური და საძმოს წევრიც კი ყოფილიყო. აბატის აზრით, ძნელი



ნარმოსადგენი იყო, ნარცისს ამ გულისამაჩუყებელი, მაგრამ ჯერ უმწიფარი ალტყინებისთვის ხელი შეეწყო და კიდევ უფრო გაემძაფრებინა; უმაღლესი იმისი ემინოდა, გოლდმუნდს მეგობრისაგან გარკვეული თვითდაჯერება და სწავლულებრივი ქედმაღლობა არ გადასდებოდა. მაგრამ ეს ხიფათიც, ალბათ, სწორედ ამ მოწაფეს ნაკლებად ემუქრებოდა, ასე რომ საგანგაშო არაფერი იყო. როცა იმაზე დაფიქრდებოდა, თუ რაოდენ ადვილი, მშვიდობიანი და მოსახერხებელია საშუალო ადამიანების მართვა დიდი და ძლიერი ბუნების მქონე ადამიანებთან შედარებით, ოხვრა აღმოხდებოდა და თან ღიმილიც მოერეოდა ხოლმე. არა, არ უნდოდა გულში უნდობლობას გაედგა ფესვი, არ სურდა უმადურობა გამოეჩინა იმის გამო, რომ ორი არაჩვეულებრივი ადამიანი ებარა.

ნარცისი ბევრს ფიქრობდა თავის მეგობარზე. თავისი განსაკუთრებული უნარით – განეჭვრიტა, შეეგრძნო და შეეცნო ადამიანთა თავისებურება და დანიშნულება – კარგა ხანია ამოეცნო გოლდმუნდის ბუნება. ყოველივე ცოცხალი და ელვარე, რაც კი ამ ჯაბუკში იყო, გარკვევით შეტყვევებდა:

მას ყველა ნიშანი ჰქონდა სულით მდიდარი, ნიჭიერი და ძლიერი ადამიანისა, იქნებ ხელოვანისაც, ყოველ შემთხვევაში, სიყვარულის დიდი ძალით განმსჭვალული ადამიანისა, რომლის დანიშნულება და ბედნიერება ადვილად ანთება და მთელი არსებით გატაცება იყო. რატომ ხდებოდა, რომ სიყვარულისათვის გაჩენილი ეს ადამიანი, ნატიფი, მდიდარი გრძნობების

მქონე, ადამიანი, რომელსაც შეეძლო ყვავილთა სურნელით დამტკბარიყო, რომელსაც შეეძლო ამომავალი მზისთვის, ცხენისთვის, ჩიტებისთვის ღრმა განცდით ეცქირა და მუსიკასაც მთელი არსებით მისცემოდა – ამავედროულად ჯიუტად თვლიდა, სულიერებისადმი მიდრეკილი ვარ და ასკეტიო? ბევრს ფიქრობდა ამაზე ნარცისი. მან იცოდა, რომ შვილის აკვიატებულ აზრებს გოლდმუნდის მამა მხარს უჭერდა. ნუთუ მამამ შთააგონა შვილს ეს აზრი?

ისეთი რა სასწაულით მონუსხა ვაჟიშვილი, რომ იმანაც ირწმუნა ამგვარი დანიშნულება და მოვალეობა? რა კაცი იყო მამამისი? თუმცა არაერთხელ განზრახ ჩამოუგდია სიტყვა მამაზე და გოლდმუნდსაც საკმაოდ ულაპარაკია მასზე, ნარცისმა ბოლომდე მაინც ვერ შეძლო მამამისის ამოცნობა. განა არ იყო ეს ყოველივე უცნაური და ფიქრის ამშლელი?

როცა გოლდმუნდი ბავშვობაში დაჯერილ კალმახზე ყვებოდა, როცა პეპელას აღწერდა, ჩიტის ჭიკჭიკს ბაძავდა, რომელიმე ამხანაგზე, ძალზე ანდა მათხოვარზე ლაპარაკობდა, მსმენელის თვალწინ ეს ყველაფერი სურათ-ხატად წარმოდგებოდა.

ხოლო როცა მამამისზე საუბრობდა, მაშინ კი ვერაფერს დაინახავდა კაცი. არა, მამას რომ გოლდმუნდის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი, ძლიერი და შთამბეჭდავი როლი ეთამაშა, მაშინ გოლდმუნდი სხვაგვარად დახატავდა მას, სხვა სურათებსაც მოძებნიდა მის აღსაწერად. ნარცისს დიდად არ მოსწონდა

ეს კაცი, ხანდახან ეჭვობდა კიდევ, ნამდვილად გოლდმუნდის მამაა თუ არაო. ის იყო მხოლოდ კერპი.

მაგრამ საიდან ჰქონდა ასეთი ძალა? როგორ მოახერხა, გოლდმუნდის სული ისეთი ოცნებებით აევსო, რომლებიც ყმანვილისათვის შინაგანად ასე უცხო იყო?

გოლდმუნდიც ბევრს ფიქრობდა. თუმცა თავისი მეგობრისადმი წრფელი სიყვარულით აღვსილიყო, მაინც არ შორდებოდა უსიამოვნო განცდა იმისა, რომ ნარცისი მას, როგორც ბავშვს, ისე უყურებდა. იქნებ იმიტომაც უმეორებდა ხშირად, ჩვენ ერთმანეთს არა ვგავართო?

მაგრამ ამ კითხვაზე თავის მტვრევა გოლდმუნდს მუდამ როდი შეეძლო? დიდხანს ჩაძიებით რამეზე ფიქრის უნარი მას არ ჰქონდა. რამდენი რამ ჰქონდა გასაკეთებელი მთელი დღის მანძილზე. ხშირად მიდიოდა კარისკაცთან, რომელთანაც მეგობრობდა. ხშირად ხვეწნა-მუდართი გამოსტყუებდა ხოლმე ერთი-ორი საათით თავის ცხენ ბლესს და აჭენებდა.

გოლდმუნდი ძალიან უყვარდა მეწისქვილესაც, ხშირად წავს ჩაუსაფრდებოდა ხოლმე მეწისქვილის შეგირდთან ერთად, ანდა კვერებს გამოაცხოვდნენ პრელატისათვის განკუთვნილი წმინდა ფქვილით, რომელსაც გოლდმუნდი სურნელით არჩევდა სხვა ფქვილისაგან. თუმცა ხშირად იყო ნარცისთან,



მაგრამ იმის დროც რჩებოდა, ჩვეულ გართობებსა და სიამოვნებათაც არ მოჰკლებოდა. ღვთისმსახურებაც ხშირად დიდ სიხარულს ანიჭებდა, ხალისით გალობდა შეგირდთა გუნდში, მონდომებით ჩამოიღოცავდა ერთ კრიალოსანს თავის საყვარელ საკურთხეველთან, ისმენდა წირვის მშვენიერ, ამაღლებულ ლათინურს, უმზერდა საკმევლის კვამლში გახვეული ოქროცვარული ნივთებისა და სამკაულების ციმციმს და სვეტებზე მდგარ წმინდანთა მშვიდ, ღირსეულ ფიგურებს, ცხოველთა სიმბოლოებით გამოსახულ მახარებლებს, იაკობს ქუდითა და მოგზაურის აბგით ხელში.

გრძნობდა, რომ თავისკენ იზიდავდნენ ეს გამოსახულებანი; ქვასა და ხეში გამოკვეთილ ამ ფიგურებსა და მას შორის იდუმალებით მოცული კავშირი იბშებოდა. თავისი ცხოვრების უკვდავ, ყოვლისმცოდნე ნათლიებად, მფარველებად და გზის მასწავლებლად ჯვრეტდა მათ. ასევე სიყვარულით, საიდუმლოებით იზიდავდნენ სარკმელთა სვეტები და სვეტთა თავები, საკურთხეველთა ჩუქურთმები, ნატიფად გამოყვანილი პროფილის ხაზები და თაიგულები, ქვის სვეტებზე ამოხეთქილი, ერთურთში მეტყველად ჩაწნული, ხვიარად ამოყრილი ფოთლები; ყმაწვილის არსებაში დაიუნჯა იმ ღრმა საიდუმლომ, რომ გარდა ბუნებისა, მცენარეებისა და ცხოველებისა, არსებობდა კიდევ მეორე, უტყვი, ადამიანის მიერ შექმნილი ბუნება, ქვისა და ხისაგან გამოთლილი ადამიანები, ცხოველები და მცენარეები. თავისუფალ დროს ხშირად უკვირდებოდა და იხატავდა ამ ფიგურებს, ცხოველთა თავებს და ფოთოლთა კონებს და ზოგჯერ ნამდვილი ყვავილების, ცხენებისა და

ადამიანთა სახეების შთაგონებით ხატვასაც ცდილობდა.

და კვლავ ძლიერ უყვარდა საეკლესიო საგალობლები, მეტადრე ღვთისმშობლის საგალობლები. უყვარდა მტკიცე, მკაცრი მდინარეა ამ სიმღერებისა, რომლებშიც კვლავ და კვლავ მეორდებოდა ვედრება და დიდებისმეტყველება.

მას შეეძლო ლოცვით მიჰყოლოდა საგალობელთა სათაყვანებელ აზრს. ისიც შეეძლო, აზრი დაევიწყებინა და ამ ლექსების ამაღლებული წყობით დამტკბარიყო, აღვსილიყო განელილი, დაბალი ბგერებით, ნათლად აჟღერებული ხმოვნებით, ნეტარებით სავსე განმეორებებით. გულის სიღრმეში განსწავლულობა არ უყვარდა; არ უყვარდა გრამატიკა და ლოგიკა, თუმცა ამათაც თავისებური სილამაზე ჰქონდათ; მეტად იზიდავდა ღვთისმსახურების ხატოვანი და მელოდირი სამყარო.

დროდადრო ცდილობდა მცირე ხნით მაინც გაერღვია მასსა და ამხანაგებს შორის გაჩენილი სიუცხოვე. აღიზიანებდა და სწყინდებოდა დიდხანს მართო ყოფნა, რადგან მიუსაფრობასა და სიცივეს გრძნობდა.

ხან გვერდით მჯდომი მოღუშული ამხანაგის გაცინებას მოახერხებდა, ხან საძინებელში სიტყვაძვირ მეზობელს აალაპარაკებდა, ერთი საათით თავს გამოიდებდა, ცოდვილობდა, თავს აყვარებდა ირგვლივ მყოფთ და

ზოგიერთის გულსაც ინადირებდა ცოტა ხნით მაინც. ერთი-ორჯერ ისე დაუახლოვდა ზოგიერთს თავისდა უნებურად, რომ ისევ შესთავაზეს «სოფელში გასვლა».

შეკრთა და სწრაფად დაიხია უკან. არა, მეტად აღარ გასულა სოფელში და ისიც შეძლო, რომ ნაწნავებიანი გოგონა დაევიწყებინა, არასოდეს ან თითქმის აღარასოდეს გაეხსენებინა იგი.



# თავი მეოთხე

დიდხანს ცდილობდა ნარცისი გოლდმუნდის საიდუმლოების ამოცნობას, მაგრამ უშედეგოდ. დიდხანს წვალობდა, თუმცაღა ამაოდ, რათა გამოეღვიძებინა, მისთვის ის ენა ესწავლებინა, რომლის მეშვეობითაც საიდუმლოს გაუზიარებდა.

მეგობრის მონათხრობმა თავის წარმოშობასა და სამშობლოზე ნარცისს ხატოვანი წარმოდგენა ვერ შეუქმნა. ეს იყო მხოლოდ უფერული, ხასიათწარმოუჩენელი, მაგრამ სათაყვანებელი მამა და კიდევ დიდი ხნის წინათ უგზოუკვლოდ დაკარგული თუ გარდაცვლილი დედის ამბავი, რომელიც მარტოდენ ბუნდოვან სახელად თუ იყო შემორჩენილი მის მეხსიერებაში. სულის გამოცნობაში გაწაფული ნარცისი თანდათან მიხვდა, რომ მისი მეგობარი იმ ადამიანებს განეკუთვნებოდა, რომელთაც თავიანთი ცხოვრების ერთი მონაკვეთი დაუკარგავთ; რაღაც გაჭირვებისა თუ ჯადოს ზემოქმედებით იძულებულნი გამხდარან, თავიანთი წარსულის ერთი ნაწილი დაევიწყებინათ. მიხვდა, რომ მარტო გამოკითხვა და ჯკუის სწავლება ამ შემთხვევაში უსარგებლო იყო, იმასაც მიხვდა, რომ ზედმეტად ყოფილიყო დარწმუნებული გონების ძალაში და ამაოდ ესაუბრა ამდენი.

მაგრამ უქმად არ ჩაუვლია იმ სიყვარულს, რაც მეგობართან აკავშირებდა, და არც მასთან ერთად გატარებულ დროს.

თუმცა ხასიათით განსხვავდებოდნენ, ბევრი რამ ისწავლეს ერთმანეთისაგან; მათ შორის გონებრივ ენასთან ერთად სულიერი და მინიშნებითი ენაც გაჩნდა, – როგორც ორ დასახლებას, რომელთა შორის მთავარ ქუჩაზე ეტლები დადიან და მხედრები ცხენებს მიაჭენებენ, ამ ქუჩის გარდა ათასი მიხვეულმოხვეული, მოვლითი გზაც აკავშირებს: ბავშვების პანაწინა ნაკვალევი, შეყვარებულთა ფარული ბილიკები, ძაღლისა და კატის ძნელად შესამჩნევი გზები. გოლდმუნდის ცოცხალმა გადმოცემის უნარმა რაღაც მაგიური ძალით მეგობრის ფიქრსა და მეტყველებაში თანდათან შეაღწია და მანაც ისწავლა ზოგი რამ გოლდმუნდის აზრისა და თავისებური აღქმის უსიტყვოდ გაგებასა და თანაგანცდაზე. ნელნელა მიიწევდა სიყვარული სინათლისაკენ, ახალი კავშირები იბმებოდა სულთა შორის და ამის შემდეგ იბადებოდა სიტყვები.

და ერთ დღეს, როცა არც ერთი მათგანი არ ელოდა, მეგობრებს შორის საუბარი შედგა არდადეგების დროს ბიბლიოთეკაში – საუბარი, რომელმაც ისინი თავიანთი მეგობრობის გულისგულში ჩაახედა და ახალი, შორს მწვდომი შექი მოჰფინა მათ ურთიერთობას.

ისინი ასტროლოგიაზე საუბრობდნენ, რაც მონასტერში აკრძალული იყო. ნარცისმა განაცხადა, ასტროლოგია არის მცდელობა უამრავ სხვადასხვა ყაიდის ადამიანში, მათ ბედილბალსა და დანიშნულებაში წესრიგი და სისტემა შეიტანოსო.

გოლდმუნდი შეეპასუხა:

- შენ სულ განსხვავებებზე ლაპარაკობ; თანდათან ვხვდები, რომ ეს შენი უმნიშვნელოვანესი თვისებაა. როცა, მაგალითად, შენსა და ჩემს შორის არსებულ დიდ სხვაობაზე საუბრობ, მეჩვენება, თითქოს ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შენ უცნაური დაჟინებით ეძიებ ამ განსხვავებებს!

ნარცისი: რა თქმა უნდა. შენ ზუსტად შენიშნე; მართლაც, შენთვის განსხვავებანი დიდს არაფერს ნიშნავს, მე კი მგონია, რომ ეს ყველაზე არსებითი რამ არის. მე ბუნებით სწავლული ვარ, ჩემი მოწოდება მეცნიერებაა. ხოლო მეცნიერება, შენი სიტყვები რომ გავიმეორო, სხვა არაფერია, თუ არა «დაჟინებული ძიება განსხვავებებისა». მისი არსის უკეთ გამოხატვა შეუძლებელია. ჩვენთვის, მეცნიერთათვის, უმთავრესი სწორედ სხვაობათა დადგენაა, მეცნიერება განსხვავების ხელოვნებაა.

მაგალითად, აღმოაჩინო ადამიანში სხვებისაგან განსხვავებული ნიშნები, ეს ნიშნავს, შეიცნო იგი.

გოლდმუნდი: კეთილი. ერთ კაცს გლეხის წულები აცვია და გლეხია, მეორეს გვირგვინი ადგას და ხელმწიფეა. რა თქმა უნდა, ეს განსხვავებანია. ამას ხომ ბავშვიც შეამჩნევს, რა მეცნიერება ამას უნდა?



ნარცისი: თუ გლეხსა და მეფეს ერთნაირად აცვიათ, მაშინ ველარ გამოარჩევს მათ ბავშვი ერთმანეთისაგან.

გოლდმუნდი: მაშინ ამას ვერც მეცნიერება გამოარჩევს.

ნარცისი: შეიძლება ეგრეც იყოს. მეცნიერება ბავშვზე ჭკვიანი როდია, ეს უნდა ვალიართ, მაგრამ მეცნიერება უფრო მომთმენია, იგი მართო აშკარად თვალში საცემ ნიშნებს როდი ხედავს.

გოლდმუნდი: ჭკვიანი ბავშვი მაგასაც მოახერხებს. მეფეს გამოხედვაზე ან ქცევაზე იცნობს. მოკლედ, თქვენ, მეცნიერები, თვითდაჯერებულნი ხართ, სხვები თქვენზე ბრიყვები გგონივართ. მეცნიერების გარეშეც შეიძლება ბრძენი იყო.

ნარცისი: მიხარია, რომ ჭვრეტას იწყებ. მალე იმასაც მიხვდები, როცა ჩვენს შორის განსხვავებაზე ვლაპარაკობ, გონიერებას რომ არა ვგულისხმობ. მე ხომ არ ვამბობ, რომ შენ უფრო ჭკვიანი ხარ ან უფრო უჭკუო, უკეთესი ხარ ან უარესი. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ შენ სხვანაირი ხარ.

გოლდმუნდი: ეგ ადვილი გასაგებია. მაგრამ შენ ლაპარაკობ არა მართო განსხვავებულ ნიშნებზე, არამედ ხშირად განსხვავებულ ბედსა და განსხვავებულ მოწოდებაზეც. მაგალითად, რატომ უნდა გქონდეს შენ სხვა

მოწოდება და მე კი სხვა? შენც ჩემსავით ქრისტიანი ხარ, შენც ჩემსავით მონასტერში დარჩენა გაქვს გადანყვეტილი, შენც ჩემსავით ღვთის შვილი ხარ. ჩვენ ორივეს ერთი მიზანი გვაქვს: მარადიული ნეტარება. ჩვენ ორივეს ერთი მოწოდება გვამოძრავებს:

ღმერთთან დაბრუნება.

ნარცისი: კეთილი და პატიოსანი. დოგმატიკის სახელმძღვანელოში, რასაკვირველია, ყოველი ადამიანი ზუსტად ისეთია, როგორც სხვა დანარჩენი, ცხოვრებაში კი ეს ასე არ არის. არა მგონია, მაცხოვრის საყვარელ მოწაფეს, ვინც მასთან გულით იყო მიხედობილი და იმ მოწაფეს, ვინც იგი გაჰყიდა, ერთნაირი მოწოდება ჰქონოდათ.

გოლდმუნდი: შენ სოფისტი ხარ, ნარცის! ამ გზით თუ ვიარეთ, ჩვენ ერთმანეთთან ვერ მივალთ.

ნარცისი: ჩვენ ვერანაირი გზა ვერ დაგვაახლოვებს ერთმანეთს!

გოლდმუნდი: ნუ ამბობ მაგას!

ნარცისი: მე ამას სერიოზულად ვამბობ. ჩვენი მიზანი ისევე არ არის ერთმანეთთან მიახლოება, როგორც მზესა და მთვარეს, ან ზღვასა და მიწას

ეს არ დაეკისრებათ. ჩვენ ორნი, ჩემო ძვირფასო, ვართ მზე და მთვარე, ზღვა და ხმელეთი.

ჩვენი მიზანი ერთმანეთში გადასვლა კი არა, ერთმანეთის შეცნობაა. ერთმა მეორეში ის უნდა დაინახოს და დააფასოს, რასაც ის წარმოადგენს: ერთიერთგანსხვავებულ ბუნებას და ერთმანეთის შევსებას ვგულისხმობ.

შეფიქრიანებულმა გოლდმუნდმა თავი ჩაჰკიდა, სახე მოელრუბლა:

- ამიტომ არის, რომ ჩემს აზრებს ხშირად სერიოზულად არ იღებ?

ნარცისმა დააყოვნა პასუხი. მერე მკაფიოდ და გარკვევით თქვა:

- შენ უნდა შეეგუო იმას, ძვირფასო გოლდმუნდ, რომ მხოლოდ თავად შენ გიყურებ სერიოზულად. მერწმუნე, შენს ლაპარაკს, შენს ქცევას, შენს ღიმილსაც კი სერიოზულად ვეკიდები, მაგრამ შენი აზრები ნაკლებ სერიოზულად მიმაჩნია. სერიოზულად ვუყურებ შენში იმას, რაც არსებითი და აუცილებელი მგონია. რად გინდა მაინცდამაინც შენს აზრებს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, მაშინ როდესაც სხვა მრავალ ნიჭსა და უნარს ფლობ?

გოლდმუნდმა მწარედ ჩაიცინა:



- ხომ ვამბობდი, ყოველთვის ბავშვად მიგაჩნდი!

ნარცისი მტკიცედ იდგა თავისაზე:

- ზოგიერთი შენი მოსაზრება ბავშვურად მიმაჩნია. გაიხსენე, წელან იმაზე ვლავარაკობდით, სულაც არ არის აუცილებელი, ჭკვიანი ბავშვი სწავლულზე უგუნური იყოსო. მაგრამ თუ ბავშვი მეცნიერებაზე საუბარში ჩაერთვება, ამას სწავლული სწორედ რომ ვერ მოეკიდება სერიოზულად.

- მაგრამ შენ მაშინაც დამცინი, როცა ჩვენ სულაც არ ვლავარაკობთ მეცნიერებაზე! - წყენით წამოიძახა გოლდმუნდმა, - ყოველთვის ისე გიჭირავს თავი, თითქოს მთელი ჩემი ღვთისმოსაობა, ჩემი მცდელობა სწავლაში წარმატებისა, ჩემი სურვილი ბერად შედგომისა მხოლოდ ბავშვური გატაცება იყოს.

ნარცისმა პირდაპირ შეხედა გოლდმუნდს:

- მთელი გულისხმიერებითა და ინტერესით გეკიდები, როცა შენ გოლდმუნდი ხარ. მაგრამ შენ ყოველთვის არა ხარ გოლდმუნდი. მე მინდა, რომ შენ მუდამ გოლდმუნდი იყო. შენ არა ხარ მეცნიერი, შენ არა ხარ ბერი - მეცნიერი და ბერი დაბალი ხარისხის ცომისაგანაც შეიძლება გამოცხვეს.

შენ გგონია, შენში განსწავლულობა, ლოგიკა, ღვთისმოსაობა მეცოტავება? ო, არა, - შენში მხოლოდ შენივე თავი მეცოტავება.

ამ ლაპარაკის შემდეგ შეცბუნებულმა და თითქმის შეურაცხყოფილმა გოლდმუნდმა უკან დახევა ამჯობინა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თვითონვე გამოამჟღავნა საუბრის გაგრძელების სურვილი. ამჯერად ნარცისმა მოახერხა მათ განსხვავებულ სულიერ სამყაროთა ისეთი სურათი დაეხატა, რომელიც გოლდმუნდისათვის შედარებით მისაღები აღმოჩნდა.

ნარცისი ალტყინებით საუბრობდა, გრძნობდა, რომ გოლდმუნდი ამ დღეს უფრო ხალისით და მორჩილებით უგდებდა ყურს მის სიტყვებს, ატყობდა, რომ მასზე ზემოქმედების ძალა შესწევდა. წარმატებამ აცდუნა და იმაზე მეტის თქმა მოინდომა, ვიდრე განზრახული ჰქონდა, შეტყველებამ გაიტაცა.

სიტყვებსაც კი ველარ პოულობდა საკუთარი აზრების გამოსახატად.

- მე შენ ერთადერთ რამეში გჯობივარ: მე უკვე გავიღვიძე, შენ კი ჯერ კიდევ ბურანში, ანდა სულაც ღრმა ძილში ხარ. ფხიზელს იმას ვეძახი, ვისაც გონებითა და ცნობიერებით თავის თავი, თავისი შინაგანი არაცნობიერი ძალები, ლტოლვები და სისუსტეები შეუცვნია და იცის, როგორ მართოს ისინი. ჩვენს შეხვედრას აზრი მაშინ ექნება, თუ შენ ამას მიხვდები. შენში, გოლდმუნდ, სული და ბუნება, ცნობიერება და ოცნებით შექმნილი სამყარო

ძალიან დაშორებულნი არიან ერთმანეთს. შენ შენი ბავშვობა დაგვიწყნია, შენი სულის სიღრმიდან მოიწევს იგი შენკენ. იგი მანამდე გაგანვალებს, ვიდრე არ მიუხვდები. მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!

გვეყო; სიფხიზლეში, როგორც გითხარი, შენზე ძლიერი ვარ, აქ მე შენზე მეტი ვარ და ამიტომ შემოძლია სარგებლობა მოგიტანო. სხვა ყველაფერში, ძვირფასო, შენ მჯობიხარ – უფრო სწორად, მაჯობებ, როგორც კი საკუთარ თავს იპოვი.

გოლდმუნდი გაოცებული უსმენდა, მაგრამ ამ სიტყვებზე – «შენ შენი ბავშვობა დაგვიწყნიაო» – ისარნაკრავივით შეკრთა. ნარცისს ეს არ შეუმჩნევია, რადგან ჩვეულებად ჰქონდა ან თვალდახუჭულს ელაპარაკა, ანდა თვალი მიეშტერებინა სივრცისათვის, თითქოს ასე უფრო უადვილდებოდა სიტყვების მოძებნა. მას არ დაუნახავს, როგორ შეეცვალა გოლდმუნდს სახე.

– გჯობივარ... მე შენ! – მონუსხულივით ამოილულლულა გოლდმუნდმა, მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც ეთქვა.

– რა თქმა უნდა, – განაგრძო ნარცისმა, – შენნაირი ადამიანები, ძლიერი და დახვეწილი მგრძნობელობის მქონენი, ზემთაგონებულნი, მეოცნებენი, პოეტურები, სიყვარულის მადლით ცხებულნი ჩვენზე, სულის ადამიანებზე, თითქმის ყოველთვის აღმატებულნი არიან. თქვენი წარმომავლობა დედისმიერია.



თქვენ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობთ, სიყვარულის ძალა და განცდის უნარი გაქვთ მონიჭებული.

ჩვენ კი, სულის მსახურნი, თუმცა ხშირად თქვენს მმართველებად და განმგებლებად ვჩანვართ, მაგრამ სისხლსავსე კი არა, მწირი ცხოვრებით ვცხოვრობთ. თქვენ გეკუთვნით სიუხვე ქვეყნისა, სიმწიფე ნაყოფისა, ბალი სიყვარულისა, მშვენიერი სამყარო ხელოვნებისა.

თქვენი სამშობლო დედამიწაა, ჩვენი კი – იდეა. თქვენ გრძნობათა მორევში ჩაძირვა გემუქრებათ, ჩვენ უჰაერო სივრცეში გამოგუდება. შენ ხელოვანი ხარ, მე მოაზროვნე. შენ დედის მკერდზე თვლემ, მე უდაბნოში ვფხიზლობ. მე მზე მინათებს, შენ მთვარე და ვარსკვლავები, შენი ოცნებები გოგონებზეა, ჩემი – ვაჟებზე...

ფართოდ თვალგახელილი უსმენდა გოლდმუნდი თავისივე მჭერმეტყველებით გაბრუებულ ნარცისს. მისი სიტყვები მახვილივით ხვდებოდა გულში; იგი გაფითრდა და თვალები დახუჭა. როცა ნარცისმა ეს შეამჩნია და ჰკითხა, რა გემართებაო, მთლად ფერწასულმა გოლდმუნდმა მიღეული ხმით მიუგო:

– მე ერთხელ უკვე ავქვითინდი შენს წინაშე სასომიხდილი, შენ ეს გახსოვს. ეს აღარ უნდა განმეორდეს. ამას ჩემს თავს ვეღარ ვაპატიებ და ვერც შენ ვაპატიებ! ახლა წადი და მარტო დამტოვე. შენ საშინელი სიტყვები მითხარი.

ნარცისი შეფიქრიანდა. საუბარმა გაიტაცა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ასე კარგად არასოდეს ელაპარაკა. ახლალა შეამჩნია შემფოთებულმა, რომ მის ნათქვამ რომელიღაცა სიტყვას ღრმად შეეძრა მეგობარი, რომელიღაცა სიტყვა ცოცხალ ჭრილობას მოხვედროდა. ძალიან გაუჭირდა ასეთ წუთებში მისი მართო დატოვება, წამით შეყოყმანდა, მაგრამ გოლდმუნდის შეჭმუხნული შუბლის დანახვაზე თავგზააბნეული გაშორდა იქაურობას; მიხვდა, რომ მეგობარს ახლა მართლა ესაჭიროებოდა მართო დარჩენა.

გოლდმუნდის სულიერი დაძაბულობა ამჯერად ცრემლებად არ გადმოღვრილა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ღრმად და უიმედოდ ყოფილიყო დაჭრილი, თითქოს მეგობარმა უეცრად შიგ გულში ჩასცაო დანა. სუნთქვა უჭირდა და გული მომაკვდინებლად შეკუმშვოდა, სახეზე სანთლის ფერი ედო, ხელები უსიცოცხლოდ ჩამოყროდა.

ეს ისეთივე შეჭირვება იყო, მაშინ რომ დაემართა, ოლონდ რამდენადმე უფრო ძლიერი და სულისშემხუთველი, რაღაც საშინელებისათვის უნდა გაესწორებინა თვალი, რაღაც ისეთისათვის, რაც მისთვის ძნელი გადასატანი იყო; მაგრამ ამჯერად ტირილითაც ვერ მოიოხა გული. ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, რა ხდება მის თავს? რა დაემართა? ვინმემ მოკლა თუ თვითონ მოკლა ვინმე? ნეტავ რა ითქვა მათ შორის ასეთი საშინელი?

გოლდმუნდს სუნთქვა უჭირდა. შხამივით დაუარა ამ განცდამ...

მის არსებაში ღრმად ჩაბუდებულიყო რაღაც მომაკვდინებელი, რისგანაც უნდა განთავისუფლებულიყო.

თითქოს წყალში მიცურავსო, ისე გავიდა ოთახიდან, შეუცნობლად მიაშურა მონასტრის ყველაზე მყუდრო და უკაცრიელ ადგილს. გაირბინა დერეფნები, ვიბეები, ღია ცის ქვეშ სუფთა ჰაერს დაეხარბა. მერე მონასტრის ყველაზე მიუვალ კუთხეს შეაფარა თავი, შიდა ეზოს გაღერებაში. მწვანე კვლებს მოწმენდილი ცა დაჰნათოდა, სარდაფის გრილ, ქვის სუნიტ გაჭერებულ ჰაერში ჭავლებად, ყოყმანით მოიწვედა ვარდების ტკბილი სურნელი.

ნარცისმა ახლა თავისდა უნებურად ის გააკეთა, რისი გაკეთებაც დიდი ხანია მისი სანუკვარი ოცნება იყო: მან იმ დემონს დაარქვა სახელი, რომელსაც მისი მეგობარი შეეპყრო და ჩაეჭირა. რომელიღაც მისი ნათქვამი სიტყვა გოლდმუნდის გულის საიდუმლოს შეეხო და ეს საიდუმლო მწვავე ტკივილად იქცა. დიდხანს ბორიალობდა ნარცისი მონასტერში და ეძებდა მეგობარს, მაგრამ ვერსად მიაგნო.

გოლდმუნდი ბალისკენ გამავალ ერთ-ერთ მძიმე ქვის თაღთან იდგა, თაღის სვეტებზე ძაღლებისა და მგლების თავები ამოეკვეთათ. ისინი თვალეზღაჟყეტილნი პირდაპირ მას გადმოჰყურებდნენ.

გოლდმუნდს გულს შემზარავად უღრღნიდა ჭრილობა, სინათლისაკენ გზას



უღობავდა, გზას უკეტავდა გონებისაკენ. სიკვდილის შიში ყელში მოსწოლოდა და გულ-მუცელს უწვავდა. უაზროდ აიხედა და სვეტის თავზე სამი ცხოველის გამოსახულება დაინახა. მოეჩვენა, თითქოს ეს სამი ნადირი მის შიგნეულში ღმუჯოდა და ბრდღვინავდა დუემორეული.

- ახლა მოვკვდები, - საშინელმა გრძნობამ დაუარა ტანში და შიშით ააპანკალა: - ახლა დავკარგავ გონებას და ამ მხეცების ხახაში მოვექცევი.

ცახცახით ჩაიკეცა სვეტის ძირას, ტკივილმა იძალა, უკიდურეს ზღვარს მიაღწია, გონება დაებინდა და ნელ-ნელა შევიდა სანატრელ არყოფნაში.

ის დღე აბაბ დანიელისათვის ნაკლებ სასიხარულო გამოდგა, ორი ხნიერი ბერი ეახლა, ღელავდნენ, ქოთქოთებდნენ, ერთმანეთს უჩიოდნენ, ძველი წვრილმანი ეჭვიანობის გამო ერთმანეთს ხელახლა წაჰკიდებოდნენ. მოუსმინა და სთხოვა, შერიგდითო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მკაცრად დაითხოვა და ორივეს საკმაოდ სასტიკი სასჯელი დაადო, მაგრამ გულში ისეთი გრძნობა დარჩა, ეს მოქმედება უსარგებლოდ ჩაივლიდა.

გადაქანცული განმარტოვდა ქვემო ეკლესიის სამლოცველოში.

ილოცა, მაგრამ მადლი ცოტა მოეფინა.

ვარდების საამო სურნელმა მიიზიდა; ერთი წუთით სულის მოსათქმელად შიდა ეზოს გალერეაში შევიდა და ქვის ფილებზე გართხმულ გულწასულ შეგირდს წააწყდა. ყმანვილის ლამაზი პირისახე გაფითრებული და ჩამქრალი რომ დაინახა, შეკრთა.

თარსი დღე გაუთენდა, ყველა უსიამოვნებას ახლა ესეც დაერთო! წამოყენება სცადა, მაგრამ ვერ მოერია.

ღრმად ამოიხვნეშა და ახალგაზრდა ძმების მოსაძებნად გაემართა, რათა გოლდმუნდის წამოყვანა დაევალებინა; მკურნალობაში განაფული მამა ანსელმიც დაადევნა. ნარცისი იხმო სასწრაფოდ; ისიც მაშინვე გამოცხადდა.

- გაიგე უკვე, რაც მოხდა? - ჰკითხა აბატმა.

- გოლდმუნდის ამბავი? დიახ, პატიოსანო მამაო, ახლახან მოვკარი ყური, ავად გამხდარა თუ დაშავებულია, ხელით მოუყვანიათ.

- ჰო, მე ვიპოვნე გალერეაში. ვაცმა რომ თქვას, იქ არაფერი ესაქმებოდა. გულწასული ეგდო მიწაზე. მე ეს არ მომწონს.

ვგონებ, ამ ამბავში შენც უნდა იყო გარეული, ანდა რაიმე იცოდე მაინც ამის თაობაზე; შენ ხომ მისი მესაიდუმლე ხარ. ამიტომ დაგიძახე. მითხარი, რა მოხდა.

ნარცისმა ჩვეული თავშეკავებითა და სიდინჯით მოახსენა გოლდმუნდთან დილანდელი საუბრის შესახებ და ისიც აღნიშნა, ამ საუბარმა მასზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინაო.

აბატმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

– უცნაურ საკითხებზე საუბრობთ, – თქვა და თავი აიძულა დამშვიდებულიყო, – რაც შენ მიაჩნებ, ეს ისეთი საუბარია, რასაც სხვის სულში ხელის ფათური შეიძლება უწოდოს კაცმა. ეს არის, მე ვიტყვოდი, სულის დამოძღვრა. მაგრამ შენ ხომ გოლდმუნდის სულიერი მოძღვარი არა ხარ? და საერთოდაც, შენ ჯერ არა ხარ სულიერ მოძღვრად ნაკურთხი. როგორ მოხდა, რომ შეგირდთან საუბრობ ისეთ თემებზე, რაც მხოლოდ სულიერი მოძღვრის საქმეა? ხომ ხედავ, ამან ცუდი შედეგი გამოიღო.

– შედეგი, – წყნარად, მაგრამ დატერებით მიუგო ნარცისმა, – ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია, პატიოსანო მამაო.

მე, ცოტა არ იყოს, შემამფოთა ამ ძლიერმა ზემოქმედებამ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი საუბარი გოლდმუნდისათვის სასიკეთო აღმოჩნდება.

– ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. მე ახლა შედეგს კი არ ვგულისხმობ, არამედ შენს საქციელს. რამ გამოიწვია გოლდმუნდთან ასეთი საუბრის სურვილი?



- მოგეხსენებათ, რომ ის ჩემი მეგობარია. მის მიმართ განსაკუთრებულ სიახლოვეს ვგრძნობ, და მგონი, საკმაოდ კარგადაც მესმის მისი. თქვენ მის მიმართ ჩემს დამოკიდებულებას სულიერ დამოძღვრას უწოდებთ. ისე არ გავკადნიერებულვარ, რომ სასულიერო პირად წარმოვიდგინო თავი. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ უკეთ ვიცნობ მას, ვიდრე თავად იგი იცნობს საკუთარ თავს.

აბატმა მხრები აიჩეჩა:

- ვიცი, შენ ეს არ შეგეშლება. იმედია, ამით არაფერი დაგიშავებია. გოლდმუნდი ავადაა? მგონი, მას რაღაც აწუხებს.

დასუსტებულია? როგორ სძინავს? როგორ ჭამს? ხომ არაფერი სტკივა?

- არა, დღემდე ჯანმრთელი იყო, სრულიად ჯანმრთელი.

- სხვა მხრივ?

- სულიერად კი სნეულია. თქვენ იცით, რომ ის იმ ასაკშია, როცა ჭიდილი იწყება სქესობრივ ლტოლვასთან.

- ვიცი. ჩვიდმედტისაა?

- თვრამეტის.

- თვრამეტის. კეთილი. უკვე დროა. მაგრამ ეს ჭიდილი ბუნებრივი რამაა, რაც ყველამ უნდა გაიაროს. ამის გამო სულით სნეულს ხომ ვერ ვუწოდებთ.

- არა, პატიოსანო მამაო, მარტო ამის გამო არა. მაგრამ გოლდმუნდი ადრევე იყო სულიერად შეწუხებული, დიდი ხნით ადრე, ამიტომ ეს ჭიდილი მისთვის უფრო სახიფათოა, ვიდრე სხვებისათვის. ჩემი დაკვირვებით, მას ის სტანჯავს, რომ საკუთარი წარსულის ერთი ნაწილი დავიწყებია.

- ჰო? რომელი ნაწილი?

- დედამისი და ყოველივე მასთან დაკავშირებული. მეც არაფერი ვიცი ამის თაობაზე. ვიცი მხოლოდ, რომ ეს უნდა იყოს მისი ავადმყოფობის წყარო. გოლდმუნდმა თითქმის არაფერი იცის დედაზე, გარდა იმისა, რომ ნაადრევად დაკარგა.

ოღონდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამის გამო რცხვენია. სწორედ დედისაგან უნდა მოსდევდეს უმეტესი წილი თავისი ნიჭიერებისა. მამა კი, როგორც თავად გოლდმუნდი ჰყვება, ეტყობა, ის კაცი არ არის, ვისაც შეიძლება ასეთი მშვენიერი, ნიჭიერი და გამორჩეული ვაჟი ჰყავდეს.

ყოველ შემთხვევაში, გოლდმუნდის საუბრებიდან ასე ჩანს.

აბატს ამ ლაპარაკზე, – ერთი შეხედვით, უმწიფარსა და გადაპრანჭულზე, – გუნებაში თავიდან ცოტა კიდევაც ეცინებოდა.

მთელი ეს ამბავი მოსაბეზრებელი და დამღლელი ეჩვენებოდა, ახლა კი ჩაფიქრდა. ჩაფიქრდა და გაახსენდა გოლდმუნდის მამა, ცოტა არ იყოს, გაბლენძილი და გულმიუსვლელი კაცი; გაახსენდა გოლდმუნდის დედაზე ამ კაცის ნათქვამი რამდენიმე სიტყვა: შემარცხვინა და გამექცაო, და ისიც დასძინა, ცდა არ დავაკელი, დედაზე მოგონება და დედისეული ნაკლი ბიჭში ჩამეკლაო. როგორც ჩანს, ჩემს მცდელობას შედეგიც მოჰყვა და გოლდმუნდი მზადაა, დედის ცოდვების გამოსასყიდად ცხოვრება ღვთის სამსახურს შეაღიოსო.

არასოდეს ყოფილა ნარცისი ასე უსიამოვნო აბატისათვის, და მაინც – რა სწორად მიმხვდარა, მართლაც რა კარგად ამოუცნია გოლდმუნდი!

ბოლოს, აბატმა კიდევ ერთხელ რომ ჰკითხა იმდღევანდელი ამბის შესახებ, ნარცისმა მიუგო:

– განზრახული არ მქონდა ის ძლიერი სულიერი ძვრა გამომეწვია, რაც დღეს გოლდმუნდმა გადაიტანა. შევახსენე მხოლოდ, რომ საკუთარ თავს არასოდეს ჩასწვდომია, რომ მას დავიწყებია საკუთარი ბავშვობა და დედა. რომელიღაც ჩემი სიტყვა გულში მოხვდა და იმ სიბნელეში შეაღწია, რომლის



გარკვევისთვისაც ამდენი ხანია ვიბრძვი. იგი გაოგნებული იყურებოდა, თითქოს ვერც მე მცნობდა და ვერც საკუთარ თავს. ხშირად მითქვამს მისთვის, შენ ჯერ კიდევ თვლემ, არ გამოფხიზლებულხარ-მეთქი მთლიანად. ახლა კი ეჭვი აღარ მეპარება, რომ გამოიღვიძა.

აბატმა ნარცისი დაითხოვა, საყვედური არ უთქვამს, ოღონდ აუკრძალა, დროებით ავადმყოფს ნუ მოინახულებო.

ამასობაში მამა ანსელმმა გულწასული ყმანვილი საწოლზე დააწვენინა და თვითონაც გვერდით მიუჯდა. ბიჭის გონს მოსაყვანდ არაფერი უღონია: ავადმყოფი ცუდად გამოიყურებოდა. კეთილად უმზერდა სახედანაოჭებული მოხუცი ჭაბუკს. მარტო მაჭა გაუსინჯა და გულს მოუსმინა.

რალა თქმა უნდა, ყმანვილმა რალაც მანყინარი შეჭამა, ფიქრობდა იგი, ბლომად მჟაუნა ან რამე ამის მაგვარი, როგორც ხდება ხოლმე. ენა ვერ უნახა. გოლდმუნდის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, მაგრამ მისი მეგობარი, ეს ნაადრევად მომწიფებული, მეტისმეტად ახალგაზრდა მასწავლებელი კი არ უყვარდა. აი, სადამდე მივიდა საქმე, უდავოდ, ნარცისსაც მიუძღვოდა ბრალი ამ ამბავში; რაში დასჭირდა ამ ხალას, თვალნათელ ჭაბუკს, ბუნების ამ ჭეშმარიტ შვილს, მაინცდამაინც თვითდაჯერებულ სწავლულს დაახლოებოდა, ქედმაღალ გრამატიკოსს, ვისთვისაც ბერძნული ამქვეყნად ყოველივე სულიერზე უფრო მნიშვნელოვანი იყო!

როცა კარგა ხნის შემდეგ კარი გაიღო და აბატი შემოვიდა, მამა ანსელმი ისევ გულწასულთან იჯდა და სახეში მიშტერებოდა.

რა საყვარელი, ნორჩი და უწყინარი იყო ეს სახე.

და აი, ზიხარ მის გვერდით, გინდა უშველო, მაგრამ უძლური ხარ. ცხადია, ჭვალი იქნება. მოდულებული, შეზავებული წითელი ღვინო დაუნიშნოს თუ რევეანდი? მაგრამ რაც უფრო დიდხანს დასცქეროდა ფერწასულ, შეწუხებულ სახეს, მით უფრო მეტად ეჭვობდა, სხვა უფრო დამაფიქრებელი რამ არ იყოსო. მამა ანსელმს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალჯერ ენახა ავი სულისაგან შეპყრობილი კაცი.

ყოყმანობდა, ეჭვს თავის თავსაც კი არ უმხელდა. მოიცდის და დააკვირდება. მაგრამ თუ სანყალი ბიჭი მართლა მოჯადოებულია, დამნაშავის მოსაძებნად შორს წასვლა არ მოუწევს და... ვაი მას, კარგი დღე არ დაადგება!

აბატი ახლოს მივიდა, ავადმყოფს დახედა. ფრთხილად აუწია ქუთუთო. «გავადვიდო?» – იკითხა.

– ცოტა კიდევ ვაცალოთ. გული ჯანმრთელი აქვს. ნურავის შემოვეშვებთ.

– საშიშია?

- არა მგონია. დაჭრილი არსად არის, ნაცემი ან დაცემული არა ჩანს. გულწასულია, შეიძლება ჭვალი იყოს. ისეთი ძლიერი ტკივილები იცის, გრძნობას კარგავენ ხოლმე. მოწამლული რომ იყოს, სიცხე ექნებოდა. არა, გაიღვიძებს და კარგად გახდება.

- იქნებ ეს სულიერი ტკივილისაგან მომდინარეობს?

- გამორიცხული არ არის. იქნება ვინმემ იცის რამე. იქნებ ძალიან შეშინდა? ვინმეს გარდაცვალების ამბავი ხომ არ შეიტყო? თუ ვინმეს მაგრად ეჩხება ანდა შეურაცხყოფა მიაყენეს, ყველაფერი გაირკვევა.

- არაფერი ვიცით. ყურადღება მიაქციეთ, აქ არავინ შემოვიდეს.

ჩემი თხოვნა იქნება, აქ დარჩეთ, სანამ გამოიღვიძებს.

თუ უარესობა დაეტყოს, დამიძახეთ, გინდაც შუალამე იყოს.

წასვლის წინ მოხუცი ერთხელ კიდევ დაიხარა ავადმყოფისაკენ.

თვალწინ დაუდგა ამ ბიჭის მამა და ის დღევ, როცა ეს მშვენიერი, ცოცხალი, ქერათმიანი ყმაწვილი მოჰგვარეს, და როგორ შეიყვარა მაშინვე ყველამ. თვითონაც უხაროდა მისი დანახვა. ერთში კი მართალი იყო ნარცისი: ეს



ყმაწვილი მამამისს არაფრით ჰგავდა! რამდენი საბრუნავია გარშემო, რაოდენ მცირეს ვიქმთ. მამის ხელი ხომ არ აკლია ამ საბრალო ბიჭს? მოძღვარი სწორად თუ შეურჩიეს? განა კარგია, მთელ მონასტერში ამ მოწაფეს ნარცისზე უკეთ რომ არავინ იცნობს? განა შეიძლება, ყმაწვილს დაეხმაროს ის, ვინც ჯერ მხოლოდ მორჩილია, არც ძმობაშია მიღებული და არც ნაკურთხია და რომლის ყველა აზრსა და შეხედულებაში რაღაც უსიამოვნო, ამპარტავანი და თითქმის მტრულიც კი დევს? ღმერთმა უწყის, იქნებ კარგა ხანია ნარცისის განვითარებაც არასწორი გზით მიდის? ღმერთმა უწყის, იქნებ მორჩილის ნილაბში რაღაც ცუდი იფარვის, იქნებ წარმართიცაა? თუ რა დადგებოდა საბოლოოდ ორივე ყმაწვილი, ამაზე პასუხი მასაც მოეკითხებოდა.

როცა გოლდმუნდი გონს მოეგო, უკვე ბნელოდა. თავში სიცარიელეს გრძნობდა და თავბრუ ესხმოდა. მიხვდა, ლოგინში იწვა; არ იცოდა, სად იყო, მაგრამ არც ფიქრობდა ამაზე.

ეს მისთვის სულერთი იყო. მაგრამ წელან სად იყო? აქ საიდან გაჩნდა, რომელი უცხო განცდების ქვეყნიდან? სადღაც კი იყო, სადღაც ძალიან შორს, რაღაც იხილა, რაღაც არაჩვეულებრივი, რაღაც დიდებული, თანაც საშინელი და დაუვინყარი და ეს ყველაფერი მაინც დაავინყდა. სად იყო ეს? რა ამოტივტივდა მის სულში? ასე ვეება, ასე მტკივნეული, ასე სანეტარო, მერე ისევ რომ გაქრა?

გულისყურით უსმენდა შინაგან ხმას, სადაც დღეს რაღაცამ ამოხეთქა, რაღაცა მოხდა – რა იყო ეს? უფერული სურათები ირეოდნენ მის თვალწინ, ხედავდა ძაღლის თავებს, სამი ძაღლის თავს, გრძნობდა ვარდის სურნელს. ო, რა სიმძიმე აწვა. თვალები დახუჭა. ო, რა საშინელი იყო ეს ტკივილი! კვლავ ჩაეძინა.

ისევ გაელვია და ის იყო უნდა გამქრალიყო სწრაფწარმავალი სიზმრისეული სამყარო, რომ დაინახა, ისევ წარმოესახა ის სურათი და გააჟრჟოლა, თითქოს რაღაც ტკივილიანი სიტყბო იგრძნო, ხილვა ჰქონდა. ხედავდა მას, გადიდებულს, გაბრწყინებულს, ალუბლისფერ პირბაგეს, თმას მოელვარეს.

ხედავდა დედამისს. და ამავე დროს თითქოს ყურში ჩაესმოდა:

«შენ შენი ბავშვობა დაგავიწყდა». ვისი ხმა იყო ეს?

სმენა დაძაბა, ფიქრში გაირინდა და მიხვდა. ეს იყო ნარცისი.

ნარცისი? და ერთ წამში, თვალის ერთ დახამხამებაში ყოველივე აღსდგა მის გონებაში: ყველაფერი გაახსენდა, ახლა ყველაფერი იცოდა. ო, დედა, დედა! ნაცარ-ფერფლიანი მთები, დავიწყების ზღვები განქრნენ, დიდებული, ცისფერი თვალებით ისევე უმზერდა მას დაკარგული, გამოუთქმელი საყვარელი არსება.

მამა ანსელმს, საწოლთან სავარძელში რომ ჩასძინებოდა, გამოეღვიძა.

შეატყო, ავადმყოფი შეირხაო, ყური მიუგდო მის სუნთქვას. ფრთხილად წამოდგა.

- აქ ვინ არის? - იკითხა გოლდმუნდმა.

- მე ვარ, ნუ გეშინია; შექს ავანთებ.

კედლის ლამპას მოუკიდა, შექმა გაანათა მისი დანაოჭებული სანდომიანი სახე.

- ავად ვარ? - იკითხა ბიჭმა.

- გული წაგივიდა, შვილო ჩემო. მოიტა ხელი, მაჭა გაგისინჯო.

თავს როგორ გრძნობ?

- კარგად. მადლობელი ვარ თქვენი, მამაო ანსელმ, თქვენ ძალიან კეთილი ხართ. აღარაფერი მტკივა, ოღონდ დაღლილი ვარ.

- ცხადია, დაღლილი იქნები. მალე ისევ ჩაგეძინება; ჯერ ერთი ყლუპი თბილი



ღვინო მოსვი, ერთად დავლიოთ თითოთითო ფიალა, ჩემო ბიჭო, ჩვენი მეგობრობა დავლოცოთ.

მზრუნველობით გაემზადებინა ერთი დოქი შემთბარი ღვინო, ცხელი წყლით სავსე ჭურჭელში ჩაედგა.

– კარგა ხანს გვძინებია ორივეს, – გაიცინა ექიმმა. – ეს რა კარგი მომვლელი ყოფილაო, იტყვი, ჩასძინებიაო. რას იზამ, კაცნი ვართ. ახლა ცოტა მოვსვათ ეს ჯადოსნური სასმელი, ჩემო პატარავ, რა სჯობია ღამით პატარა ნაქეიფებას!

აბა, გაგვიმარტოს!

გოლდმუნდს გაეცინა, მიუჭახუნა და მოსვა. დაშაქრული თბილი ღვინო მიხაკ-დარიჩინით იყო შეზავებული. ასეთი ღვინო ჯერ არ გაესინჯა. მოაგონდა, რომ სხვა დროსაც ყოფილა ავად, მაშინ ნარცისი უვლიდა. ამჯერად მამა ანსელში ადგა თავს, რომელიც ბიჭს ძალიან მოეწონა, მეტად სასიამოვნო და უცნაური იყო ღამპით განათებულ ოთახში წოლა შუაღამით და მოხუც მღვდელთან ერთად თბილი და ტკბილი ღვინის სმა.

– მუცელი ხომ არ გტკივა? – ჰკითხა მოხუცმა.

– არა.

- მე ჭვალი მეგონა, გოლდმუნდ. ესე იგი, ჭვალი არ არის.

ენა მაჩვენე. კეთილი. თქვენი მოხუცი ანსელში არც ახლა გამოდგა მართალი. მოისვენე. ხვალ ნუ ადგები, მოვალ და გაგსინჯავ. უკვე დალიე? კარგია, ღმერთმა შეგარგოს. მაჩვენე, დარჩა რამე? ნახევარ-ნახევარი თასი კიდევ შეგვხვდება, თუ პატიოსნად გავიყოფთ. ძალიან შეგვაშინე, გოლდმუნდ!

მკვდარივით იწექი გალერეაში. მართლა არ გტკივა მუცელი?

გაიცინეს და ტოლად გაიყვეს წამლად მოტანილი დარჩენილი ღვინო. მღვდელი ხუმრობდა და გოლდმუნდი მადლიერი და გახალისებული შეჰყურებდა წინანდებურად შექჩამდგარი თვალებით, შემდეგ მოხუცი დასაძინებლად გავიდა.

გოლდმუნდმა ერთხანს კიდევ იფხიზლა, ნელ-ნელა ისევ წამოიშალა მისი სამყაროდან ის ხატებანი. ისევ აგიზგიზდა მეგობრის ნათქვამი, ისევ წარმოჩნდა მის სულში გაბრწყინებული, ქერათმიანი ქალი - დედა. მშრალი, თბილი ქარივით დაჰქროლა მისმა სახემ; სიცოცხლის, სითბოს, სინაზის ღრუბელივით გადაიარა. ო, დედა! ო, როგორ მოხდა, რომ დედა დაივიწყა!

# თავი მეხუთე

აქამდე გოლდმუნდმა რაღაც-რაღაცეები კი იცოდა დედაზე, მაგრამ მხოლოდ სხვებისაგან განაგონი; დედის სახე მეხსიერებიდან ამოეშალა; იმ მცირედიდანაც, რაც ეგონა, დედაზე ვიცო, მეტი წილი ნარცისისათვის არ გაუმხელია.

დედაზე ლაპარაკი ეძნელებოდა და ერცხვინებოდა რატომღაც.

დედამისი მოცეკვავე ყოფილიყო, ლამაზი, ლალი და წარმოსადეგი, მაგრამ უკეთური, წარმართული წარმოშობისა.

გოლდმუნდის მამამ, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, სიდატაკესა და შერცხვენას გამოსტაცა იგი; რადგან მის ქრისტიანობაში ეჭვი შეიტანა, მონათვლინა და რელიგიას აზიარა, ცოლად შეირთო და პატივისაცემ ქალბატონად აქცია.

მან კი, რამდენიმე წლის წყნარი და წესიერი ცხოვრების შემდეგ, ისევ გაიხსენა ძველი ჩვევები და საქმიანობა, უსიამო ამბები დაატრიალა და კაცები აცდუნა, მთელი დღეებითა და კვირებით მიდიოდა შინიდან, კუდიანის სახელი დაიგდო და ბოლოს, მას შემდეგ, რაც ქმარმა რამდენჯერმე მოძებნა და



დააბრუნა, სამუდამოდ გაქრა. ამ ამბებზე კიდევ ერთხანს ლაპარაკობდნენ, ბოროტი ხმები კომეტის მოციმციმე კუდივით შემორჩა და შემდეგ ისიც მიინავლა. ქმარმა ნელ-ნელა მოითქვა სული იმ მღელვარების, შიშის, სირცხვილისა და გამუდმებული მოულოდნელობებისაგან, რასაც ამ ქალმა გადაჰკიდა; უგვანი ცოლი მოიშორა და ახლა მთელი არსებით მიეცა ვაჟის აღზრდის საქმეს, ვაჟისა, რომელიც ძალიან ჰგავდა დედას. კაცი გაბოროტდა და ავადმყოფურად ღვთისმოსავი შეიქნა, გოლდმუნდს შთააგონებდა, შენი ცხოვრება უფალს უნდა შესწირო დედაშენის ცოდვების გამოსასყიდადო.

აი, ის მცირედი, რასაც გოლდმუნდის მამა თავის დაკარგულ ცოლზე ყვებოდა, თუმცა ამის თაობაზე ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვარდა. აბატსაც გადაუკრა სიტყვა ამის შესახებ გოლდმუნდის მონასტერში მიყვანის დროს. ეს ყოველივე, შემზარავი თქმულების სახით, ვაჟისათვისაც ცნობილი იყო, თუმცა უკვე მასაც ესწავლა, ამ ამბისათვის გვერდი აეწლო და დაევიწყებინა. მართლაც სულ დაივიწყა და დაკარგა დედის ნამდვილი ხატი, ხატი, რომელიც მამისა და მსახურთა მონათხრობიდან, გაუგებარი და საშინელი ჭორებიდან არ წარმოსახულა.

დაივიწყა საკუთარი, ჭეშმარიტად განცდილი მოგონება დედაზე. და აი, ამ სახემ, მისმა ბავშვობის ვარსკვლავმა კვლავ ამოანათა.

«საოცარია, როგორ დავივიწყე ეს ყველაფერი, – უთხრა თავის მეგობარს. –

ჩემს სიცოცხლეში დედაზე ძალიან არავინ მყვარებია, ეგზომ საოცრად არავინ მითაყვანებია, ის იყო ჩემი მზე და მთვარე. ღმერთმა იცის, როგორ მოხდა, რომ ეს სხივოსანი სახე ჩემს სულში ჩაბნელდა და მისგან თანდათან ის ავი, ფერნასული და უსახური ჯადოქარი წარმოიშვა, რაც ჩემთვისაც და მამაჩემისთვისაც დიდი ხნის მანძილზე არსებობდა».

მალე ნარცისის მორჩილების დროც გავიდა და იგი შემოსეს.

უცნაურად შეიცვალა მისი დამოკიდებულება გოლდმუნდის მიმართ. კერძოდ, გოლდმუნდს, რომელიც ადრე მეგობრის მითითებასა და გაფრთხილებას ხშირად გაურბოდა, შემანუხებელ ყოვლისმცოდნეობასა და დამლულ კეთილმოსურნეობაში უთვლიდა, ახლა, დიდი განსაცდელის შემდეგ, მეგობრის სიბრძნე აოცებდა და აკვირვებდა. რამდენი რამ ასრულდა მისი სიტყვებიდან, რა ღრმად ჩასწვდა გოლდმუნდის სულს, რა ზუსტად მიაგნო მისი ცხოვრების საიდუმლოებას, მის ფარულ ჭრილობას და რა ჭკვიანურად განკურნა იგი!

ყმაწვილი კი მართლაც განკურნებული ჩანდა: გულის წასვლას არა მარტო ცუდი შედეგი არ გამოუღია, პირიქით, გოლდმუნდის არსებიდან უკვალოდ გაქრა ყოველივე ნათამაშები, უმწიფარი, ყალბი, რაც მას მანამდე ახასიათებდა; ის გათავისუფლდა ბერად შედგომის ნაადრევი სურვილისა და გამორჩეული მსახურებისადმი მოწოდებულობის გრძნობისაგან.

მას შემდეგ, რაც თავისი თავი იპოვნა, გოლდმუნდი თითქოს ერთდროულად გაიზარდა და გაახალგაზრდავდა.

ყოველივე ამას ნარცისს უმადლოდა.

ნარცისი კი მეგობარს განსაკუთრებული სიფრთხილით, ერთობ მოკრძალებით ეკიდებოდა. მის მოპყრობას უპირატესობის გრძნობისა და დამრიგებლობის აღარაფერი ეტყობოდა, თუმცა გოლდმუნდი მას ადრინდელზე უფრო მეტად ეთაყვანებოდა. ნარცისი თვალს ადევნებდა, როგორ ეწაფებოდა გოლდმუნდი იდუმალ წყაროებს, თავად მისთვის უცხო რომ იყო. ნარცისს უხაროდა, მისი გავლენისგან რომ განთავისუფლდა მეგობარი და ამავე დროს კიდევ ნაღვლობდა, თავს განვლილ საფეხურად, გადაგდებულ ნაჭუჭად გრძნობდა; გრძნობდა, როგორ ახლოვდებოდა მეგობრობის დასასრული, რომელიც მისთვის ბევრს ნიშნავდა. მან ახლაც მეტი იცოდა გოლდმუნდზე, ვიდრე თვითონ გოლდმუნდმა.

მართალია, გოლდმუნდს თავისი სულის საიდუმლოება აღმოეჩინა და მზად იყო მის ძახილს გაჰყოლოდა, მაგრამ საით წაიყვანდა იგი, ჯერ ვერ ხვდებოდა. ნარცისი კი ყველაფერს ხვდებოდა და უძლური იყო. გზა მის საყვარელ მეგობარს ისეთი ქვეყნებისკენ მიუძღვებოდა, სადაც თავად ვერასოდეს შეაბიჯებდა.

საგრძნობლად შემცირდა გოლდმუნდის ინტერესი მეცნიერებისადმი.



მეგობრული საუბრების სურვილმაც გაუარა, იხსენებდა და რცხვენოდა მათი საუბრებისა. ამასობაში, მორჩილების დასრულებისა თუ გოლდმუნდთან დაკავშირებული განცდების შედეგად, ახალგაზრდა ნარცისის სულში განმარტოების, ასკეტობის და სულიერი განწმენდის მოთხოვნამ გაიღვიძა. ეწადა მარხვა, ხანგრძლივი ლოცვა, ხშირი აღსარება და მონანიება. ნარცისის ეს მიდრეკილება გოლდმუნდს კარგად ესმოდა. გამოჯანმრთელების შემდეგ მგრძნობელობა გამახვილებოდა. თუმცა ჯერ არაფერს უწყოდა თავისი მიზნების შესახებ, საკუთარ თავს უფრო ძლიერად შეიგრძნობდა და ხშირად ცხადად ხედავდა, თუ როგორ ახლოვდებოდა მისი ბედისწერა. თითქმის დასრულებულიყო მშვიდობიანი, დაცული, წყნარი ცხოვრება და ყოველივე მის არსებაში დაძაბულიყო და მომწიფებულიყო.

წინათგრძნობა ხშირად ნეტარებას ანიჭებდა. ძილი არ ეკარებოდა ღამით და ტკბილად შესტრფოდა მოსალოდნელს; ხანდახან კი ჩამოინისლებოდა და მჭვუნვარებდა. დედა გამოეცხადა ისევ, დიდი ხნით მივიწყებული დედა. ბედნიერება ეწვია. მაგრამ რას ჰპირდებოდა დედის მიმზიდველი ძახილი? სად გაიტაცებდა, რა უცნობი და დახლართული გზებით ატარებდა? იქნებ სიკვდილისაკენაც უხმობდა? დედის სახეს იგი ნამდვილად არ მიჰყავდა სიწყნარეში, სინაზეში, უზრუნველობაში, ბერულ სენაკსა და მონასტრის ძმობაში არ ტოვებდა. მის ძახილს საერთო არაფერი ჰქონდა მამისეულ მოთხოვნებთან, ამდენ ხანს საკუთარ სურვილად რომ მიაჩნდა. გოლდმუნდის ღვთისმოსაობას ხშირად ეს გრძნობა ასაზრდოებდა, ძლიერი, საშიში და

მწველი შეგრძნებით რომ უბოჭავდა სხეულს. მოჭარბებული გრძნობით ლოცულობდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წინაშე, და ეს ლოცვები საკუთარი დედისკენ მიემართებოდა. ლოცვები უმეტესად იმ საოცარი და დიდებული ოცნებებით მთავრდებოდა, რითაც ახლა ხშირად იყო მოცული დედისეული ოცნებებით, მთელი გრძნობით რომ ეახლებოდა მას ხან დღისით და ხანაც მთვლემარეს. დედისეული სამყაროს სურნელი იფრქვეოდა მის ირგვლივ. დედა შემოსცქეროდა გამოუცნობი სიყვარულით სავსე თვალებით, სულისწამლებად ხმაურობდა ზღვასა და სამოთხესავით. ტიტინებდა ალერსიანად და უაზროდ, უფრო მეტად კი ესიყვარულებოდა, გემო ტკბილი ჰქონდა და მარილითაც იყო შეზავებული, აბრეშუმის თმით ეფერებოდა მის მწყურვალ ბაგესა და თვალებს.

დედისეულ სამყოფელში ყველაფერი მხოლოდ სანეტარო როდი დაბუდებულიყო, - ტკბილი და ცისფერი, მოსიყვარულე მზერა, ნეტარი და ბედნიერი ღიმილი და ალერსიანი ნუგეშისცემა. მის მშვენიერ საფარქვეშ იმალებოდა სიბნელეც, სიხარბეც, შიშიც, ცოდვაც ყოველი, ჭირი მრავალი, დაბადება ყოველის და გარდაცვალების გარდაუვალობაც ყოველის.

ღრმად ჩაიძირა ყმანვილი ამ ოცნებებში, ნეტარი აზრების ნაირგვარ ნართში, სადაც მართო მომაჯადოებელი და საყვარელი წარსული, ბავშვობა, დედის ალერსი და ოქროსავით მბრწყინავი სიცოცხლის დილა როდი ჩატეულიყო, აღთქმული, სანუკვარი და საშიში მომავალიც იმუქრებოდა.

ხანდახან ამ ოცნებებში დედა, ქალი და შეყვარებულიერთნი იყვნენ, და მაშინ ხდებოდა რაღაც შემზარავი დანაშაული და შეურაცხყოფა ღვთისა, – ვეროდეს გამოსყიდული ცოდვანი მომაკვდინებლნი.

სხვა დროს შვებას გრძნობდა, ჰარმონიას. იდუმალებით მიშტერებოდა ჭაბუკს ცხოვრება, წყვდიადით მოცული დაუსაბამო სამყარო, წარმოუდგენელი ხიფათებით სავსე, უღრანი და ეკალბარდიანი ტყე, მაგრამ ეს ხომ დედისეული საიდუმლოება იყო, დედისაგან მოდიოდა ყველაფერი და კვალადვე დედისაკენ მიუძღოდა, მის სხივოსან თვალეებში საიდუმლოებანი პატარა და ჩამუქებულ წრესა ქმნიდნენ, პატარა და საშიშ უფსკრულს.

გადავიწყებული ბავშვობა ამოტივტივდა დედისეულ ხილვებში.

უსასრულო სიღრმიდან და მივიწყებიდან თავს ამოჰყოფდნენ ხოლმე პატარ-პატარა მოგონებათა ყვავილები და ხარობდნენ, ოქროსფრად ელვარებდნენ, დამათრობლად აფრქვევდნენ სურნელს. მოგონებები ბავშვურ გრძნობებზე, განცდებზე, ხან სიზმრებზე. ხშირად ოცნებები გაიტაცებდნენ:

შავი და ვერცხლისფერი თევზები დაცურავდნენ მის თავს ზემოთ. ის ცივი და სლიპინა თევზები ხანდახან მის სხეულშიც დაცურავდნენ მშვენიერი სინამდვილისა და სანუკვარი ბედნიერების მახარობლელებით, კუდის ქნევით სხლტებოდნენ და ქრებოდნენ, რათა ისევ გამოჩენილიყვნენ და მარტო ამბები



კი არა, ახალ-ახალი საიდუმლოებანიც მოეტანათ თან. გოლდმუნდი ხშირად ჩაფიქრებულა, ნეტავ თევზები როგორ ცურავენ ან ჩიტები როგორ დაფრინავენო.

ყველა თევზი და ყველა ჩიტი თითქოს მისი ნაწილი ხდებოდა, მისი სუნთქვით სუნთქავდნენ, მისი თვალებით აშუქებდნენ, მისი აზრით იკვებებოდნენ და შემდეგ ეს ყველაფერი უკანვე უბრუნდებოდა მას. ხშირად ოცნებობდა ბაღზე, საუცხოო ბაღზე, ზღაპრული ხეებით, დიდი ყვავილებითა და ღრმა, ჩაბნელებული გამოქვაბულებით რომ იყო სავსე; ბალახებში უცნობი ცხოველების თვალები ანათებდნენ, ტოტებზე დასრიალებდნენ სლიპინა, დაძარღვული გველები, უსურვაგები და ბუჩქები ცვრიანი და დიდრონი ყურძნის მტევნებით ახუნძულიყო. მოწყვეტისას მარცვლები ხელში სკდებოდა და სისხლივით თბილი წვენი იღვრებოდა. ხან ეჩვენებოდა ყურძნის მარცვლები თვალებად ქცეულიყვნენ და ხარბად, მოუსვენრად წრიალებდნენ; ოცნებებში წასული გოლდმუნდი ხეს მიეყრდნო, შეაკრთო ვარჯსა და ტოტს შორის იდლიის თმასავით ხშირმა, ხვეულმა, აწეწილმა ბუდეშ.

ერთხელ საკუთარ თავზეც გაიტაცა ოცნებამ და თავის მოსახელე წმინდანზეც ფიქრობდა, ოქროპირზე; ქრიზოს ტომზე, ოქროს პირ-ბაგიდან ოქროსავე სიტყვები – პატარა ფრთოსნები – მოლივლივე გუნდებად რომ მოუფრინავდნენ.

ერთხელ ეგმანა, ვითომ უკვე გაზრდილიყო და წლები მომატებოდა, მაგრამ ბავშვივით ჩამჭდარიყო მიწაზე, წინ თიხა ედო და ასევე ბავშვივით ძერწავდა მისგან ფიგურებს:

კვიცს, პატარა კაცს, პატარა ქალს. მოსწონდა, ცხოველებსა და კაცებს სასაცილო, დიდ სასირცხო ორგანოებს რომ უძერწავდა. ძერწვით გული რომ იჭერა, თავი მიანება და წავიდა, იგრძნო, უკან რაღაც ცოცხალი, რაღაც უხმო, რაღაც დიდი მოსდევდა და უახლოვდებოდა. უკან მიიხედა, განცვიფრდა, შეძრწუნდა, თუმცა სიხარულის ჟრუანტელმაც დაუარა, მისი პატარა თიხის ფიგურები გაზრდილიყვნენ, სული ჩასდგომოდათ. ვეება, უტყვი გოლიათები მის წინ ჩამწკრივებულიყვნენ, მიდიოდნენ, თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდნენ, მდუმარედ მიიწევდნენ წინ, კოშკებივით აღმართულნი.

გოლდმუნდი სიზმარეულ სამყაროში უფრო მეტად ცხოვრობდა, ვიდრე სინამდვილეში. ნამდვილი ქვეყანა: სამეცადინო დარბაზი, მონასტრის ეზო, ბიბლიოთეკა, საძინებელი და მგალობელთა გუნდი წარმოადგენდა მისთვის მხოლოდ მოჭადოებელი, გებუნებრივი ხატოვანი სამყაროს ზედაპირს, თხელსა და მოფარფატე საფარს. სულ მცირედიც კმაროდა, ამ თხელ საფარში ჭჭრუტანა რომ გაჩენილიყო, კმაროდა მშრალი ლექციის დროს უეცრად გრძნეულად აჟღერებული ბერძნული სიტყვა, მამა ანსელმის მცენარეების აბგიდან ამოფრქვეული სურნელი და სარკმლის თალის სვეტებზე ამოკვეთილ ყვავილთა ხვეულებზე თვალის შევლებაც.

ამგვარ პატარ-პატარა ბიძგებს მწირი სინამდვილიდან გადაჰყავდა ხოლმე სულიერი, ხატოვანი სამყაროს ხმაურიან უფსკრულებში, ნაკადებსა და ქუჩებში. ლათინური ანბანის პირველი ასო დედის სურნელოვან სახეს ემსგავსებოდა, «ავე მარიას» წამღერებული კილო – სამოთხის კარს, ბერძნული ასო – გაჭენებულ ცხენს ან ყალყზე შემდგარ გველს, რომელიც უხმოდ გაიკლავებოდა ყვავილებში და მის ადგილს კვლავ გაქვავებული გრამატიკა იკავებდა.

გოლდმუნდი იშვიათად ლაპარაკობდა თავის სიზმარეულ სამყაროზე. სულ ერთი-ორჯერ უთხრა ნარცისს:

– მე მგონია, ყვავილის ერთი ფოთოლი ან მიწის ჭიაღუა უფრო მეტყველია, უფრო ბევრს მეუბნება, ვიდრე წიგნები.

წიგნებისა და ანბანის საშუალებით ძნელია რაიმეს თქმა.

ხანდახან, როდესაც ბერძნული ასოები კალმით ნელ-ნელა გამომყავს, ვთქვათ, თეტა ან ომეგა, ისინი თევზებად გადაიქცევიან ხოლმე და ეს თევზები კუდის ქნევით დასრიალებენ თითქოს ნაკადულებსა და მდინარეებში, უძლებენ ყველანაირ სიცივესა და სინოტივეს, აღწევენ ჰომეროსის ოკეანემდე და იმ წყლამდე, სადაც პეტრე მოციქულმა გაიარა.



ხანდახან ასოები ჩიტებს ემსგავსებიან, ბოლოებს აქანავებენ, ბუმბულს შეიფერთხავენ, დაიძახებენ, გაიცინებენ და გაფრინდებიან. შენ, ნარცის, ასეთი ასოები ალბათ არ მოგეწონება? გეუბნები, ამგვარი ასოებით დაწერა ღმერთმა სამყარო.

- ნამდვილად მომეწონება ასეთი ასოები, - ნაღვლიანად დაიწყო ნარცისმა, - ეს ჯადოსნური ასოებია. ამ ასოებით ყველა დემონს შეულოცავ, მაგრამ მეცნიერებისათვის ჯადოსნური ასოები მიუღებელია.

სულს სიმტკიცე უყვარს, სახოვანება. იგი თავის ნიშნებს უნდა ენდობოდეს. ყოფიერი უყვარს და არა რამედ ქცევადი, სინამდვილე და არა შესაძლებელი.

იგი ვერ დაელოდება, როდის გარდაიქმნება ომეგა გველად ან ჩიტად. ბუნებაში სული ვერ იარსებებს. სული ამ გარდაქმნათა წინააღმდეგაა მიმართული, მათი მეორე სახეა.

ახლა გჯერა ჩემი, გოლდმუნდ, რომ შენ ვერასოდეს გახდები სწავლული?

ოჰ, დიახ, დიდი ხანია ირწმუნა ეს გოლდმუნდმა და თანახმაც იყო ამაზე.

- სულაც აღარ ვესწრაფვი აღარც სულს და აღარც განსწავლულობას, - უპასუხა მან ნახევრად სიცილით, - სულისა და განსწავლულობის მიმართ

იგივე დამემართა, რაც მამასთან ურთიერთობაში: მეგონა, ძალიან მიყვარდა და მისი მსგავსი ვიყავი, მისი ყოველი ნათქვამი ჩემი საფიცარი იყო. და აი, გამოჩნდა დედა, მაშინვე შევიცანი, რა არის სიყვარული, და მასთან შედარებით მამა უცბად დაპატარავდა, თითქმის უღირსიც შეიქნა. ახლა უფრო იქითკენ ვიხრები, ყოველივე სულიერს, როგორც მამობრივსა და დედისადმი მტრულს, ნაკლებად მივაქციო ყურადღება.

გოლდმუნდი ხუმრობით ლაპარაკობდა, მაგრამ დანაღვლიანებული მეგობრის გამხიარულება ვერ მოახერხა. ნარცისმა მდუმარედ, ალერსით მიაპყრო მზერა, მერე უთხრა:

– კარგად მესმის შენი: კამათი აღარ გვჭირდება; შენ უკვე გამოიღვიძე, ჩემსა და შენს შორის არსებული განსხვავებაც შეიცანი; შეიცანი დედობრივი და მამობრივი წარმომავლობის ურთიერთსხვაობა, განსხვავება სამშვინველსა და სულს შორის. მალე იმასაც მიხვდები, რომ მონასტერში შენი ყოფნა და ბერული ცხოვრებისადმი სწრაფვა შეცდომა იყო – მამაშენმა დაგაკისრა ეს ვალი, რათა ცოდვები დედისა გამოგესყიდა სინანულით. ნუთუ ისევ გჯერა, რომ მთელი ცხოვრება მონასტერში დარჩენა შენი მოწოდებაა?

ჩაფიქრებული გოლდმუნდი მეგობრის ხელებს დაჰყურებდა, ამ მკაცრ, დახვეწილ, თხელსა და თეთრ ხელებს. არავინ დაეჭვდებოდა, რომ ეს ასკეტისა და სწავლულის ხელები იყო.

- არ ვიცი, - წამოიწყო გოლდმუნდმა წამღერებულ კილოზე, თითქოს უჭირსო ლაპარაკი, ყოველ მარცვალზე ჩერდებოდა, - მართლა არ ვიცი. მამაჩემს მკაცრად ნუ განსჯი, დედაჩემმა გაუტეხა გული. იქნებ მართალიც ხარ.

სამი წელია უკვე, სამონასტრო სკოლაში ვარ და ჯერ არ მოვეუკითხივარ, იმედოვნებს, რომ სამუდამოდ აქ დავრჩები.

იქნებ აჯობებდა, აქ დარჩენის სურვილი არ გამქრობოდა.

მაგრამ დღეს უკვე აღარ ვიცი, ნამდვილად რა მინდა, რა მზადია. ადრე ყველაფერი იოლი იყო, ახლა კი ყველაფერმა მრავალი მნიშვნელობა და სახე შეიძინა. არ ვიცი, ვინ გამოვალ, ახლა ამ საკითხზე ფიქრი არ შემიძლია.

- არც არის საჭირო, - უთხრა ნარცისმა, - თავად დაინახავ, სად წაგიძღვება გზა. ეს გზა უკვე გამოჩნდა, რათა დედასთან დაგაბრუნოს და უფრო მეტად დაგაახლოვოს.

მამაშენზე კი სულაც არა ვმსჯელობ მკაცრად. განა გინდა მამასთან დაბრუნდე?

- არა, ნარცის, ცხადია, არა, თორემ სკოლის დამთავრებისთანავე ანდა სულაც ახლავე წავიდოდი. სწავლული არ გავმხდარვარ, მაგრამ ლათინური,



ბერძნული და მათემატიკა საკმაოდ შევისწავლე. არა, მამასთან დაბრუნება არ მინდა...

- ფიქრებში წავიდა, მერე უცებ წამოიძახა: - როგორ ახერხებ ამას, ნარცის? ყოველი სიტყვა, ყოველი შეკითხვა, რომელსაც მისვამ, ჩემს საკუთარ არსებას ნათელს ჰფენს, საკუთარ თავს უკეთ დამანახვებს! ახლაც ტყუილად როდი მკითხე, მამასთან დაბრუნება თუ გინდაო. მკითხე და მეც მაშინვე მივხვდი, რომ არ მინდა: როგორ ახერხებ ამას? ნუთუ ყველაფერი შეგიძლია? ჩემზეც და შენს თავზეც ხშირად გითქვამს ისეთი სიტყვები, რომელთა აზრიც იმ ნუთას ვერ გამიგია, მერე კი დიდი მნიშვნელობა შეუძენია ჩემთვის. შენ უწოდებ პირველად ჩემს სულიერ საწყისს დედობრივი, შენ აღმოაჩინე, რომ მოჭადროებული ვიყავი და ბავშვობა დავიწყებული მქონდა. საიდან იცნობ ადამიანებს ასე კარგად?

ნეტავ მე თუ შევძლებ ამის სწავლას?

ნარცისმა ღიმილით გაიქნია თავი:

- არა, ჩემო საყვარელო, შენ ეს არ შეგიძლია. არიან ადამიანები, რომლებიც ბევრ რამეს სწავლობენ, მაგრამ შენ ასეთი არ ხარ. შენ სწავლა არასოდეს გამოგივა, გოლდმუნდ; ან კი რად გინდა? შენ ეს არ გჭირდება. შენ სხვა ნიჭი გაქვს, ჩემზე უფრო დიდი. შენ ჩემზე მდიდარიც ხარ და ჩემზე სუსტიც, ჩემსაზე

უფრო ლამაზი, მაგრამ უფრო მძიმე გზა გელის. ხანდახან არ გინდოდა გაგეგო, რას გეუბნებოდი, კვიცივით გაჯიქდებოდი ხოლმე. ყოველთვის როდი იყო ადვილი, შენს ტკივილს შევხებოდი. უნდა გამომეღვიძებინე, შენ ხომ გეძინა. პირველად დედა რომ გაგახსენე, გეტკინა, ძალიან გეტკინა, გულწასული გნახეს გალერეაში... ნუ მეფერები თმაზე, არ გინდა, მე ეს არ მჭირდება.

- ესე იგი, ვერაფერს ვისწავლი, ხომ? მუდამ ჩერჩეტი ბავშვი დავრჩები?

- შენ სხვა რამეს ისწავლი, სხვა მასწავლებლები გეყოლება, ჩემო საყვარელო. ხოლო რასაც ჩემგან ისწავლიდი, ის დასრულდა.

- ო, არა! - შესძახა გოლდმუნდმა, - განა ამისათვის დავმეგობრდით?

ეს რა მეგობრობაა, მიზანს რომ მიაღწევს და მერე უბრალოდ დამთავრდება? განა აღარაფერს მოელი ჩემგან? განა მომიძულე?

ნარცისი ბოლთას სცემდა მიწაზე თვალდაშტერებული, მერე მეგობრის წინ შეჩერდა:

- ნუ ამბობ ასე, - თქვა დაყვავებით, - შენც კარგად იცი, რომ არ მომიძულებიხარ.

ეჭვით შეაჩერდა მეგობარს, მერე ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა, ისევ გაჩერდა. გოლდმუნდი თვალს არ აშორებდა აღელვებულ მასწავლებელს.

ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ ალაპარაკდა ნარცისი: – მისმინე, გოლდმუნდი! ჩვენს მეგობრობას მიზანი ჰქონდა და კიდევ მიაღწია მას: შენ გამოგაფხიზლა.

ვიმედოვნებ, ჩვენს მეგობრობას დასასრული არა აქვს. ვიმედოვნებ, კიდევ და კიდევ განახლდება და ახალი მიზნებისკენ წაგვიყვანს. ამჟამად კი იგი უკვე უმიზნოა.

შენი გზა ჯერ გარკვეული არაა, მე ვერც წინ გაგიძღვები და ვერც გამოგყვები. ჰკითხე დედაშენს, ჰკითხე მის სახეებს, ყური მიუგდე! ჩემი მიზანი კი გაურკვევლობას ვერ ჰგუობს, ჩემი მიზანი აქ, მონასტერში ცხოვრებაა და ყოველ წუთს მიხმობს იგი. მე შემოიძლია შენი მეგობარი ვიყო, მაგრამ შენი სიყვარული არ შემოიძლია. მე ბერი ვარ, აღთქმა მაქვს დადებული. როცა მაკურთხებენ, მასწავლებლობიდან გადავდგები და მრავალი კვირა ვიმარხულებ, სულიერებაზე ვიზრუნებ. ამ ხანებში ვერ ვილაპარაკებ ამქვეყნიურ ამბებზე, ვერც შენთან ვისაუბრებ.

მიხვდა გოლდმუნდი. ნაღვლიანად თქვა: «მაშასადამე, შენ იმას გააკეთებ, რაც მე უნდა გამეკეთებინა, სამუდამოდ ორდენში რომ შევსულიყავი. დავალებებს შეასრულებ, იმარხულებ, მხურვალედ ილოცებ და გონება გაგინათდება.



მერე რა იქნება შენი მიზანი?

– შენ ეს იცი, – მიუგო ნარცისმა.

– ჰო, რამდენიმე წელიწადში პირველი მასწავლებელი გახდები, მერე ალბათ სკოლის რექტორიც. სწავლებას გააუმჯობესებ, ბიბლიოთეკას შეავსებ.

შეიძლება თვითონაც შექმნა წიგნები. ასე არ არის? მაგრამ რა იქნება შენი მიზანი?

ნარცისს ჩაეღიმა:

– მიზანი? შეიძლება სკოლის რექტორად გარდავიცვალო, აბატად ან ეპისკოპოსად. ეს სულერთია. მიზანი კი ეს არის:

მუდამ იქ ვიყო, სადაც უკეთ შემიძლია მსახურება. სადაც ჩემი ბუნება და ნიჭი ყველაზე უკეთეს ნიადაგს, დიდ სამოღვაწეო სარბიელს ჰპოვებს. სხვა მიზანი აღარ არსებობს.

გოლდმუნდი:

– ბერისათვის სხვა მიზანი ნუთუ აღარ არის?

ნარცისი:

- ო, როგორ არა, მიზანი საკმაოდაა. ბერისათვის ცხოვრების მიზანი ებრაული ენის შესწავლა, არისტოტელეს შრომების წვდომა, მონასტრის მოწყობა, საკუთარ თავში ჩაკეტვა და ჭვრეტა შეიძლება გახდეს, კიდევ უამრავი სხვა რამ. ჩემთვის ეს საქმიანობა მიზანი არაა. მე არც მონასტრის გამდიდრება მწადს და არც ორდენის ანდა ეკლესიის რეფორმა. მე მსურს მთელი არსებით, შეძლებისდაგვარად სულს ვემსახურო ისე, როგორც მესმის, სხვა არაფერი მინდა.

განა ეს მიზანი არ არის?

პასუხი დააგვიანა გოლდმუნდმა.

- მართალი ხარ. - უთხრა ბოლოს, - ჩვენი მეგობრობის მანძილზე შენი მიზნისთვის ხელი ხომ არ შემოშლია?

- ხელი შეგიშლია? ო, გოლდმუნდ, შენსავით ჩემი სულიერი სამყარო არავის გაუმდიდრებია. მართალია, სიძნელეები შემხვდა, მაგრამ მე სიძნელეებს არ გავურბივარ. მათგან ბევრი რამ ვისწავლე. ნაწილობრივ კიდევ გადავვალახე...

გოლდმუნდმა სიტყვა შეაწყვეტინა, ნახევრად ხუმრობით უთხრა:

- დასძლიე კი არა, საუცხოოდაც დასძლიე! მითხარი:

მე რომ დამეხმარე, გზა მიჩვენე, გამათავისუფლე და ჩემი სული გაატანსაღე, განა ამით ნამდვილად სულიერებას ემსახურე?

შენ ხომ ამით მონასტერს ბეჭითი და მონდომებული მორჩილი ჩამოაცილე, სასულიერო პირი კი არა, სულ სხვა ადამიანი ჩამოაყალიბე, რომლის რწმენა, ფიქრი და მისწრაფება იმის საწინააღმდეგო იქნება, რაც შენ სწორად მიგაჩნია!

- რატომაც არა, - თქვა ნარცისმა დინჯად. - ჩემო მეგობარო, შენ ჯერ კარგად არ მიცნობ! როგორც მომავალი ბერი, მე შენ უარგყავ და ამის სანაცვლოდ გზა მოგეცი უჩვეულო ბედისაკენ. ხვალვე რომ დაწვა ჩვენი მშვენიერი მონასტერი ანდა რაღაც სულელური, მცდარი მოძღვრება შექმნა, ერთი წუთითაც არ ვინანებ, რომ გზა გაჩვენე და დაგეხმარე.

მეგობრულად დააწყო ხელები გოლდმუნდს მხრებზე:

- შეხე, პატარა გოლდმუნდ, ესეც ჩემი მიზანი ყოფილა:

მასწავლებელი ვიქნები, აბატი, სულიერი მოძღვარი თუ სხვა ვინმე, - როცა მომეცემა საშუალება ძლიერ, ღირსეულ და განსაკუთრებულ ადამიანთან



შეხვედრისა, მოვალე ვარ მას მოვეუსმინო, შევიცნო და გზა ვუჩვენო. ამასაც გეტყვი: რაც არ უნდა გამოვიდეთ შენ ან მე, როგორც არ უნდა წარიმართოს ჩვენი ცხოვრება – როცა კი ნამდვილად მიხმობ, როცა კი მოგეჩვენება, რომ გჭირდება: არასდროს მნახავ შენდამი კარჩაკეტილს, არასდროს.

ეს სიტყვები გამომშვიდობებას ჰგავდა და მართლაც დაშორების წინასწარტკბობას განაცდევინებდა. გოლდმუნდი მეგობრის წინ იდგა და აკვირდებოდა მის ფიქრიან დახვეწილ სახეს, მიზნებისკენ მტკიცედ მიმართულ მზერას; მან ცხადად შეიგრძნო: ახლა ისინი ძმები, ამხანაგები და ერთმანეთის მსგავსნი აღარ იყვნენ, მათი გზები უკვე გაყრილიყო.

გოლდმუნდის წინ მეოცნებე ყმაწვილი როდი იდგა. ის არ ელოდა, ბედი საითკენ წაიყვანდა: ის იყო ბერი, რომელსაც თავისი გზა ნაპოვნი ჰქონდა, იცოდა, მკაცრ წესრიგსა და მოვალეობას აღასრულებდა.

ორდენის წევრი იყო, ეკლესიისა და სულის მსახური და ჯარისკაცი. თავად გოლდმუნდი კი დღეს მიხვდა: აქაურობას აღარ ეკუთვნოდა, უსამშობლოდ შთენილიყო, უცნობი სამყარო ელოდა. იმავე გზაზე იდგა, რომელსაც თავის დროს დედამისი გაჰყოლოდა. იმას სახლ-კარი ჰქონდა, ქმარ-შვილი ჰყავდა და ხალხიც იცნობდა, მოვალეობაც ეკისრა და პატივსაც სცემდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი დატოვა, რათა უცნობი სამყაროსთვის მიეცა თავი; ვინ იცის, დიდი ხანია დაიკარგა იქ. მასაც არ ჰქონია მიზანი, როგორც ახლა

გოლდმუნდს. სხვას შეიძლება მიზანი ჰქონოდა, მას არა. ო, რა კარგად დაინახა ეს ნარცისმა დიდი ხნის წინ და მართალიც გამოდგა.

იმ დღის შემდეგ ნარცისი თითქოს გაქრაო, გოლდმუნდს იგი აღარ უნახავს. მის მაგივრად სხვა მასწავლებელი ატარებდა ლექციებს, სამკითხველო დარბაზში დაცარიელდა მისი სამეცადინო მაგიდა. მთლიანად არ გაუჩინარებულა, ჯერ კიდევ აქ იყო; ხან შიდა ეზოს გალერეაში გამოჩნდებოდა ხოლმე, ხანაც ეკლესიის რომელიმე კუთხეში ხედავდნენ ქვის იატაკზე დაჩოქილს და მლოცველს, იცოდნენ, დიდი დავალება ჰქონდა შესასრულებელი, მარხულობდა და ღამეში სამჯერ სალოცავად დგებოდა. თუმცა ფიზიკურად ამქვეყნად იყო, მაგრამ სულ სხვა სამყაროში გადასულიყო; ნარცისის დანახვა, თუმცა იშვიათად, მაინც შეიძლებოდა, მაგრამ ვერავინ დაიპყრობდა მის გულს, მასთან საერთოს ვერ იპოვნიდა, ვერ ისაუბრებდა. გოლდმუნდმა იცოდა, რომ ნარცისი ისევ გამოჩნდებოდა, ისევ დაიკავებდა თავის სამუშაო ადგილს, დაიკავებდა თავის სკამსაც სატრაპეზოში, ისაუბრებდა, მაგრამ წარსული ურთიერთობიდან ველარაფერი განმეორდებოდა, ნარცისი მას აღარ დაუბრუნდებოდა.

ამაზე ფიქრში გოლდმუნდი მიხვდა, რომ ნარცისი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც მონასტერი და ბერობა, გრამატიკა და ლოგიკა, მეცადინეობა და სული შეაყვარა და მნიშვნელოვანი გახადა მისთვის; ნარცისის მაგალითი იზიდავდა გოლდმუნდს, ნარცისი იყო მისი იდეალი. მართალია, გოლდმუნდი

აბატსაც პატივს სცემდა, მასაც აფასებდა და უყვარდა, მაგრამ დანარჩენი – მასწავლებლები, ამხანაგები, საძინებელი და სასადილო დარბაზები, სკოლა, სავარჯიშოები, ღვთისმსახურება, მთელი მონასტერი – უნარცისოდ აღარაფერს ნიშნავდა მისთვის. მაშ, რაღა დარჩენოდა აქ?

მონასტრის ჭერს შეფარებოდა, იცდიდა, როგორც გაუბედავი მგზავრი, რომელიც წვიმაში ხის ქვეშ შეჩერდება და მხოლოდ მტრული სამყაროს შიშით აყოვნებს გზის გაგრძელებას.

გოლდმუნდმა მონასტერში ყოფნის ბოლო დღეები ყოყმანსა და დამშვიდობებას მოანდომა. ყველას და ყველაფერს, რაც მისთვის საყვარელი და მნიშვნელოვანი იყო, თავის სახელს არქმევდა. უკვირდა, რა ცოტანი იყვნენ ის ადამიანები, ვისთანაც განშორება გაუჭირდებოდა: ნარცისი, მოხუცი აბატი დანიელი, კეთილი, საყვარელი მამა ანსელმი, გოლდმუნდის მეგობარი მეკარე და მეზობლად მცხოვრები მხიარული მეწისქვილე – მაგრამ ეს სახეებიც კარგავდნენ მნიშვნელობას. უფრო ძნელი იქნებოდა გამოთხოვება დიდ ქვის ღვთისმშობელთან და კარიბჭის მოციქულთა ქანდაკებებთან; დიდხანს იდგა ლამაზად ამოტვიფრულ საგუნდო კათედრასთან, ჭასთან, შიდა ეზოს გალერეაში, სამი ცხოველის თავით შემკულ სვეტთან, ეფერებოდა ცაცხვებს და წაბლის ხეს. როდესმე ეს ყოველივე მისთვის მოგონებად, მის გულში პატარა სურათებიან წიგნად იქცეოდა. ახლაც კი ყველაფერი თითქოს ხელიდან უსხლტებოდა, დავიწყების ბურუსში ეხვეოდა და გოლდმუნდი



დაბორიალობდა ოდესღაც უკვე ნანახ აჩრდილთა შორის. მამა ანსელმთან ერთად, რომელსაც იგი ძალიან უყვარდა, ბალახის მოსაგროვებლად დადიოდა, მეწისქვილის მოჭამაგირესთან ღვინოსა და შემწვარ თევზს მიირთმევდა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე უცხოდ და ლამის მოგონებად ქცეულიყო. მწუხრისას იქ, გაღმა, ეკლესიის ბინდში ან სენაკში განმარტოვებით იმყოფებოდა მისი მეგობარი ნარცისი, გოლდმუნდისათვის ისიც აჩრდილად ქცეული; ყველაფერს შესცვლოდა სინამდვილის იერი, ჰაერში შემოდგომისა და წარმავალობის სურნელი ტრიალებდა.

ნამდვილი და ცოცხალი აღარაფერი იყო, გარდა მისი შინაგანი ცხოვრებისა, შიშით უძგერდა გული, მონატრება სამსჯვალად ესობოდა გულზე, ოცნებით გამოწვეულ მრავალ სიხარულსა და შიშს დაესადგურებინა მის სულში. სიზმარეულ სამყაროს მინდობოდა მთლად. კითხვისას და მეცადინეობისას, ამხანაგების წრეში უეცრად საკუთარ თავში იძირებოდა და ყველაფერს ივიწყებდა, მხოლოდ შინაგანი სამყაროს მოძალებულ ნაკადებსა და ხმებს მიჰყვებოდა, ნაღვლიანი მელოდიის ღრმა ჭაში იძირებოდა, ზღაპრული განცდების ფერადოვან უფსკრულში ეშვებოდა, რომელთა მუსიკა დედის ხმასავით მოესმოდა, რომელთა ათასობით თვალი დედის თვალები იყო.

# თავი მეექვსე

ერთ დღეს მამა ანსელმმა გოლდმუნდი თავისთან იხმო აფთიაქში.

კოხტა პატარა ოთახში მცენარეთა საუცხოო სურნელი ტრალეებდა. გოლდმუნდი აქაურობას კარგად იცნობდა.

მამა ანსელმმა ქაღალდის ფურცლებს შორის სუფთად შენახული გამხმარი მცენარე უჩვენა და ჰკითხა, თუ იცი, ეს რა მცენარეა და თუ შეგიძლია მინდორში მოძებნო.

გოლდმუნდმა ბალახი იცნო, კრაზანა იყო. ამოიწნო და ყველა მისი თვისებაც ჩამოთვალა. მოხუცი ბერი კმაყოფილი დარჩა და ახალგაზრდა მეგობარს დაავალა, ნაშუადღევს ერთი კარგი კონა კრაზანა მომიგროვეო; ის ადგილებიც მიასწავლა, სადაც კრაზანა იზრდებოდა.

– ნაშუადღევს მეცადინეობიდან გაგათავისუფლებ, ჩემო კარგო. ალბათ უარს არ იტყვი, დაკარგვითაც არაფერს დაკარგავ.

ბუნების შესწავლაც ხომ მეცნიერებაა, მართო თქენი უაზრო გრამატიკა როდი კმარა.

გოლდმუნდმა მადლობა გადაუხადა ამ მეტად სასურველი დავალებისათვის, მეცადინეობაზე დასწრებას ნამდვილად ერჩივნა ყვავილების შეგროება, და რახან სიხარულია, სიხარული იყოსო – მეჭინიბეს ბლესი სთხოვა, ნასადილევს ცხენი თავლიდან გამოიყვანა, მოესიყვარულა, მოახტა და კმაყოფილებით სავსემ გაქუსლა. თბილი, მზიანი დღე იდგა. ერთ საათზე მეტხანს ისიამოვნა და იჯერა გული სუფთა ჰაერით, ველ-მინდვრების სურნელით და უფრო მეტად კი ცხენის ჭენებით. მერე დავალება გაახსენდა და მამა ანსელმის მინიმუმად აღგილებს დაუწყო ძებნა. ნეკერჩხლის ჩრდილში დააბა ცხენი, დაუყვავა, პური აჭამა და ყვავილების ძებნას შეუდგა. მინდორს სარეველა მოსდებოდა. პატარა, საბრალო ყაყაჩოებს ფერი წასვლოდათ და სათესლედ მომწიფებულებიყვნენ, დამჭკნარ ცერცველებს, ცისფერ ვარდვაცკაცასა და ფერგასულ წიწიბურას შორის, აქა-იქ მიმოზნეულ რიყის ქვებში ხვლიკები ფუთფუთებდნენ. გოლდმუნდმა ახლად აყვავებული ყვითელი კრაზანა დაინახა და კრეფას შეუდგა.

იმდენი მოაგროვა, ყვავილები ხელში აღარ ეტეოდა, დასასვენებლად ქვაზე ჩამოჯდა. ცხელოდა, შორეული ტყის ჩრდილიან ნაპირს გახედა მონატრებით, მაგრამ ასე შორს ვერ წავიდოდა.

ყვავილებსა და ცხენს ხომ არ დატოვებდა, თვალი უნდა ედევნებინა. კვლავ თბილ ქვაზე იჯდა გასუსული, უნდოდა ენახა, როგორ მოგროვდებოდნენ დამფრთხალი ხვლიკები, კრაზანა დაყნოსა. შექმე გახედა, დააკვირდა პატარა, ყვითელ, აბუსუსებულ ყვავილის ფურცლებს.



უცნაურია, ფიქრობდა იგი, თითოეულ პატარა ფურცელზე ღამის ვარსკვლავებით მოჭედილი ცაა ამოჩხვლეტილი, უნაზესი ნაქარგივით. რა იდუმალი და ამოუცნობი იყო ყველაფერი, ხვლიკები, მცენარეები, ქვები, საერთოდ, ყველაფერი. მამა ანსელმს, რომელსაც გოლდმუნდი ასე უყვარდა, თვითონ აღარ შეეძლო კრაზანას შეგროვება, ფეხები სტკიოდა და სიარული უჭირდა, საკუთარი წამლობაც ვეღარ შველოდა.

ვინ იცის, მალე გარდაიცვლებოდა, მის ოთახში სამკურნალო ბალახები კვლავაც დააფრქვევდა სურნელს, მოხუცი პატერი კი აღარ იქნებოდა. ან იქნებ კიდევ დიდხანს ეცოცხლა, კიდევ ათ, ოც წელიწადს, კვლავ თმაჭაღარასა და თვალეზთან უცნაურად ნაოჭებშიყრილს; მაგრამ თავად გოლდმუნდი როგორღა იქნებოდა? რა ბედი ეწეოდა მას ამ ოცი წლის მანძილზე? აჰ, ყველაფერი გაურკვეველი იყო და სევდისმომგვრელი, თუმცა მაინც სასიამოვნო. არავინ არაფერი უწყობდა. ადამიანი ცხოვრობდა, ფუსფუსებდა, ცხენით სეირნობდა ტყეებში; იმდენი რამ იყო ქვეყნად, რაც უეცარი მოთხოვნით, აღთქმითა და ნატვრით შემოაცქერდებოდა ხოლმე: საღამოს ვარსკვლავი, ცისფერი მაჩიტა, ადამიანისა თუ ძროხის თვალები, მწვანე, ლერწმით დაფარული ტბა – თითქოს აი, ახლა ახდება რაღაც არნახული, დიდი ხნის ნანატრი და ყველაფერს საბურველი ჩამოსცილდებაო. მაგრამ არაფერი ხდებოდა, გამოცანა გამოუცნობი, იდუმალი ჯადო აუხსნელი რჩებოდა.

ქვებში ლოკოკინას ნიჟარა დაინახა, აიღო ხელში, მზეზე გამთბარიყო. ყურადღებით ათვალიერებდა ნიჟარის ხვეულებს, სადაფისფრად მბზინვარე ცარიელ ღრუს; გოლდმუნდმა თვალები დახუჭა, რათა მხოლოდ თითებით შეეგრძნო ნიჟარის ფორმები და მოხაზულობა. წინათ ერთობოდა ხოლმე ასე თვალებს მილულავდა, თითქოს ხედავდა, როგორ მოძრაობდა ლოკოკინა მის თითებში, ეფერებოდა, ესიყვარულებოდა, ტკბებოდა მისი საოცარი ფორმებით. ალბათ, ეს იყო სკოლის, განსწავლულობის მთავარი ნაკლი: გონების ეს თვისება - ყველაფერი ბრტყლად, ორგანზომილებიანად წარმოედგინა. გოლდმუნდს მოეჩვენა, თითქოს შემეცნების არასრულფასოვნება და ნაკლულობა ნათლად დაინახა, მაგრამ მერე აზრი დაებნა, ნიჟარა თითებიდან გაუსხლტა; დაღლილობა იგრძნო და რული მოერია. შეგროვებულ ყვავილებზე ჩამოეყვინთა, ჭკნობისას თანდათანობით მძაფრდებოდა მათი სურნელი - და მზის გულზე ჩაეძინა. ფეხსაცმელებზე ხვლიკები დაუსრიალებდნენ, მუხლებთან ყვავილები უჭკნებოდა, ნეკერჩხლის ძირას ბლესი ელოდა და ფლოქეს სცემდა მიწაზე.

შორეული ტყიდან ყმაწვილი ქალი გამოვიდა, გაცრეცილი, ლურჯი ქვედაკაბა ეცვა, შავი თმა წითელი თავსაფრით წაეკრა, სახე მზისგან გარუჯოდა. ქალი ახლოს მივიდა, ხელში ფუთა ეჭირა, პირში ხასხასა, მინდვრის პატარა მიხაკი გაერჭო. მოშორებით დადგა, იქიდან დიდხანს უყურა მძინარეს ცნობისმოყვარედ და უნდობლად. რომ დარწმუნდა, ძინავსო, ფრთხილად მიუახლოვდა. უნდობლობა გაუქრა, მშვენიერი, მძინარე ჭაბუკი საშინაო არ

ჩანდა. ძალზე მოეწონა – ნეტავ რამ მოიყვანა ამ უკაცრიელ მინდორში? ყვავილებიც რომ დაუკრეფია! გაეღიმა, უკვე დამჭკნარიყვნენ კიდეც.

ოცნებათა ტევრიდან დაბრუნებულმა გოლდმუნდმა თვალები გაახილა.

თავი ქალის კალთაში ედო. ნამძინარევ, გაოცებულ თვალებში უცხო, თბილი და თაფლისფერი თვალები ჩამოსცქეროდა ლამის ზედ სახესთან. იგი არ შემკრთალა, არც დამფრთხალა. მეგობრულად უმზერდნენ თბილი, თაფლისფერი ვარსკვლავები. და აი, ქალმა გაუღიმა სიყვარულით, ყმანვილს გულში სითბო ჩაედვარა და მასაც გაეღიმა.

ქალმა სალმის ნიშნად ნაზი ამბორი უძღვნა მის მომლიმარ ბაგეს. გოლდმუნდს სოფლის ის საღამო და ნაწნავებიანი პატარა გოგო გაახსენდა, მაგრამ ქალის ტუჩები ახლა სახეს უკოცნიდა, ეფერებოდა, თავისკენ იზიდავდა, ბოლოს კი ტუჩებზე ძლიერად და ხარბად დაეწაფა, ერთიანად გამოაფხიზლა. უხმოდ, ხან ფრთხილად, ხანაც ანცად და თამაშით დანებდა ვაჟს გარუჯული ქალი, ემალებოდა, თავს აძებნიებდა, რათა აღენთო და მხურვალეა დაეცხრო მისი.

სიყვარულის ხანმოკლე, საამო ნეტარება გუმბათივით ამოიბურცა მის თავზე, ოქროსფრად აენთო და ავარჯარდა...



მერე ჩაქრა. თვალებდახუჭული იწვა. სახე ქალის მკერდში ჩაერგო. სიტყვა არ უთქვამს. ქალი წყნარად, მშვიდად ეფერებოდა თმაზე, ნელ-ნელა აცალა გონს მოსვლა. ბოლოს ვაჟმა თვალები გაახილა.

- ვინა ხარ?

- ლიზე მქვია, - მიუგო.

- ლიზე, - გაიმეორა ტკბილად. - ლიზე, რა საყვარელი ხარ.

ქალმა ვაჟს ზედ ყურთან ჩასჩურჩულა: - შენთვის პირველი ვარ? ჩემამდე არავინ გყვარებია?

ვაჟმა თავი დაუქნია. უცბად წამოდგა. მინდორს მოავლო თვალი, ცას ახედა.

- ო! - წამოიძახა, - მზე ჩადის, უნდა წავიდე!

- სად უნდა წახვიდე!

- მონასტერში, მამა ანსელმთან.

- მარიაბრონში? იმათიანი ხარ? განა არ გინდა, ცოტა ხანს ჩემთან დარჩე?

– სიამოვნებით დავრჩებოდი.

– მაშინ დარჩი!

– არა, ასე არ ივარგებს. ცოტა კიდევ უნდა შევაგროვო ყვავილები.

– მონასტერში ცხოვრობ?

– კი, მოწაფე ვარ, მაგრამ იქ აღარ ვაპირებ დარჩენას.

შენთან რომ მოვიდე შეიძლება, ლიზე? სად ცხოვრობ, სად არის შენი სახლი?

– არსადაც არ ვცხოვრობ, ჩემო ძვირფასო. შენს სახელს არ მეტყვი? მაშ, გოლდმუნდი გქვია? ერთი მაკოცე და ისე წადი, გოლდმუნდ.

– არსად არ ცხოვრობ? აბა, სად გძინავს?

– სადაც შენ გინდა, შენთან ერთად გინდ ტყეში, გინდა თივაში. ამაღამ მოხვალ?

– კი, მაგრამ სად იქნები? სად მოგნახო?

– შეგიძლია ბუსავით დაიკივლო?

- არ მიცდია.

- აბა, სცადე.

ვაჟმა სცადა. ქალი იცინოდა კმაყოფილი.

- მაშინ დღეს საღამოს მონასტრიდან წამოდი და ბუსავით დაიკივლე. მე აქვე, ახლოს ვიქნები. მოგწონვარ, გოლდმუნდ, ჩემო პატარავ?

- ოჰ, ძალიან მომწონხარ, ლიზე. მოვალ. ღმერთი იყოს შენი მფარველი! ახლა კი წავედი.

ცხენი გააქროლა. უკვე შებინდებული იყო, მონასტერში რომ მივიდა. მამა ანსელში საქმეში გართული რომ დაინახა, გაუხარდა: ერთი ძმათაგანი მდინარეში ფეხშიშველი შესულიყო და ფეხში ნამსხვრევი შესობოდა.

ახლა ნარცისი უნდა მოეძებნა, სატრაპეზოში ჰკითხა ერთერთ მსახურ ძმათაგანს ნარცისის ამბავი, უთხრეს, ვახშამზე არ მოვაო. დღეს მარხულობს, ახლა ალბათ ძინავს, რადგან ღამით უნდა იფხიზლოსო.

გოლდმუნდი გაიქცა. მისი მეგობარი ხანგრძლივი სულიერი მომზადების დროს განმარტოებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ ოთახში იძინებდა, სულმოუთქმელად მიირბინა, კარს მიაყურადა, ჩქამი არ ისმოდა.



ფრთხილად შევიდა. იქ შესვლა სასტიკად აკრძალული იყო.

სიბნელეში ვიწრო ტახტზე იწვა ნარცისი, მიცვალებულს ჰგავდა, ფერწასულსა და სახემილეულს გულზე დაეკრიბა ხელები, მაგრამ თვალები გახელილი ჰქონდა. არ ეძინა. უსიტყვოდ შეხედა გოლდმუნდს, უსაყვედუროდ, არც შერხეულა, აშკარად ფიქრებში ჩაძირულიყო, სხვა სამყაროსა და დროში გადასულიყო, მაგრამ თავს ძალა დაატანა, მეგობარი იცნო, გონებით მისწვდა მის სიტყვებს:

- ნარცის, მაპატიე, მომიტევე, საყვარელო, ხელს რომ გიშლი, თავკერძობით არ მომდის. ვიცი, არ შეგიძლია ჩემთან საუბარი, მაგრამ მაინც გევედრები, მომხედე.

ნარცისმა გონება მოიკრიბა, თვალები მომეტებულად აახამხამა, თითქოს ძალას იკრებს გამოსაფხიზლებლად.

- აუცილებელი საქმეა? - ჰკითხა ჩამქრალი ხმით.

- აუცილებელია. მოვედი, რათა გამოგემშვიდობო.

- ესე იგი, საჭირო საქმეა. აქ ტყუილად არ მოხვიდოდი, მოდი, ჩამოტექი. თხუთმეტი წუთი გვაქვს დრო, მერე პირველი ვიგილია იწყება.

წამოიშართა. წელგამართული დაჯდა. ხმელ ტახტზე გოლდმუნდი გვერდით ჩამოუჯდა.

- ხომ მაპატიებ? - გოლდმუნდი თავს დამნაშავედ გრძნობდა. სენაკი, ფიცრული ტახტი, ნარცისის ამოღამებული, გადაღლილი სახე, მისი მინავლული მზერა - ყველაფერი ნათლად მეტყველებდა, როგორ ურღვევდა მყუდროებას.

- საბოდიშო არაფერია. ჩემზე ნუ ფიქრობ, მე არა მიშავს. მეუბნები, გამოგემშვიდობო. ესე იგი, მიდიხარ?

- დღესვე მივდივარ. ოჰ, არ ძალმიძს, გადმოგცე, უცბად მოხდა ყველაფერი.

- მამაშენია აქ? თუ რამე შემოგიტვალა?

- არა, არა. თავად ცხოვრება მოვიდა ჩემთან. მამის უკითხავად მივდივარ, შენ გარცხვენ, მივრბივარ.

თხელ, თეთრ ხელებზე დაიხედა ნარცისმა, ლანდივით რომ მოუჩანდა ფართო სახელოებიდან; დაქანცულ, კუშტ სახეზე არაფერი დასტყობია, მხოლოდ ხმაში გაუკრთა ღიმილი:

- დრო ცოტა გვაქვს, საყვარელო, რაც მნიშვნელოვანია, ის მითხარი, მოკლედ და გარკვევით. იქნებ სჯობს მე გითხრა, რაც შეგემთხვა?

- შენ მითხარი, - სთხოვა გოლდმუნდმა.

- შეყვარებული იქნები, პატარა ბიჭო. ქალი გაიცანი?

- საიდან იცი?

- შენი მდგომარეობა მამცნობს თვითონ. მხოლოდ სიყვარულით თრობამ იცის, ო ამიცე, ამდაგვარი აღტაცება.

მითხარი ყველაფერი, გთხოვ!

- შენ უკვე ყველაფერი თქვი, ოღონდ ამჯერად მთლად ზუსტად ვერ გამოიცანი, ნარცის. საქმე სულ სხვაგვარადაა.

მინდვრებში ვიყავი და სიცხისგან ჩამეძინა. როცა გამომეღვიძა, თავი ვიღაც ლამაზი ქალის კალთაში მედო. მაშინვე ვიგრძენი, რომ დედაჩემი მეწვია და ჩემს წასაყვანად მოვიდა. მაგრამ არა, დედა არ იყო ეს ქალი. მას მექი თაფლისფერი თვალები და შავი თმა ჰქონდა, დედაჩემი კი ჩემსავით ქერაა. მართალია, ეს ქალი არ ჰგავდა დედაჩემს, მაგრამ ის მაინც დედა იყო, მისი



ძახილი, მისი მაცნე. თითქოს სანუკვარი ოცნებებიდან გამოვიდაო, ისე გამომეცხადა უცებ ლამაზი უცხო ქალი, ჩემი თავი კალთაში ჩაიდო, ყვავილივით შემომცინა, მომეალერსა, მის პირველსავე კოცნაზე თითქოს სხეულში სითბო ჩამელვარაო და უცნაური ტკივილი ვიგრძენი.

მანამდე განცდილმა და ჩემს არსებაში მთვლემარე ყველა ლტოლვამ, ოცნებამ, სიტკბონარევმა შიშმა, ყველა საიდუმლომ თითქოს გამოიღვიძა, ყველაფერმა ფერი იცვალა, ჯადოსნური აზრი შეიძინა. მან მასწავლა, რა არის ქალი, რა საიდუმლოება აქვს მის ბუნებას. სულ რაღაც ნახევარ საათში რამდენიმე წელი მომემატა, ახლა ბევრი რამ ვიცი.

ვიცი და მთელი არსებით ვგრძნობ, ჩემი დარჩენა ამ სახლში აღარ იქნება, არც ერთი დღით; დაღამდება თუ არა, წავალ.

- რა უცებ მოხდა ყველაფერი, - თქვა ნარცისმა, - თუმცა მე ამას კარგა ხანია მოველოდი. ბევრს ვიფიქრებ შენზე. ძალიან დამაკლდები, ამიცვ. რით დაგეხმარო?

- გთხოვ, ჩვენს აბატთან სიტყვა შემაწიო, რომ არ შემაჩვენოს.

შენ გარდა ის ერთადერთი ადამიანია აქ, ვისი აზრიც მნიშვნელოვანია ჩემთვის. ის და შენ.

- ვიცი... სხვას არაფერს მთხოვ?

- ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს. მომავალში, როცა გაგახსენდები, ილოცე ჩემთვის! და... გმადლობ, ნარცის.

- მადლობაო? კი მაგრამ, რისთვის?..

- მეგობრობისათვის, მოთმინებისათვის, ყველაფრისათვის, იმისათვისაც, რომ დღეს, როცა ეს შენთვის არ შეიძლება, მაინც მისმენ, იმისთვისაც, რომ არ ცდილობ უკან მომაბრუნო.

- გასაკვირი ის იქნებოდა, შენი შეჩერება რომ მეცადა.

შენც იცი, რას ვფიქრობ ამის თაობაზე. ეს მითხარი, საით მიდიხარ, გოლდმუნდ? რა განიზრახე? იმ ქალთან წახვალ?

- იმასთან მივდივარ, დიახ. განზრახვით არაფერი განმიზრახავს.

ის ქალი უცხოა, უსამშობლო; ალბათ, ბოშაა.

- ჩემო საყვარელო, იმაზე თუ გიფიქრია, რომ შენი და იმ ქალის გზა შესაძლოა მოკლე აღმოჩნდეს? არა მგონია, მასზე დიდი იმედის დამყარება

ღირდეს; ალბათ, ნათესავები ეყოლება, იქნებ ქმარიც. ვინ იცის, როგორ მიგიღებენ?

გოლდმუნდი მეგობარს მხარზე მიეყრდნო.

- ეს ყველაფერი მესმის, თუმცა ამაზე ჯერ არც კი მიფიქრია.

ხომ გითხარი: არაფერი განმიზრახავს-მეთქი. ის ქალიც, რომელიც ჩემდამი სიყვარულითაა განმსჭვალული, სულაც არ არის ჩემი მთავარი მიზანი. მე მასთან მივდივარ არა მისთვის, არამედ იმიტომ, რომ უნდა წავიდე, იმიტომ, რომ რაღაც მიხმობს.

გოლდმუნდმა ამოიოხრა. მდუმარედ ისხდნენ გვერდიგვერდ, მჭმუნვარედ და მაინც ბედნიერნი თავიანთი ურღვევი მეგობრობით. გოლდმუნდმა კვლავ დააარღვია სიჩუმე: - არ იფიქრო, მთლად ბრმა და მიაშიტი ვიყო. არა; სიხარულით მივდივარ, რადგანაც ვგრძნობ, რომ ასეა საჭირო და იმიტომაც, რომ დღეს საოცარი რამ განვიცადე. მაგრამ ისიც ვიცი, რომ სრულ ბედნიერებასა და სიამოვნებაში არ მივექანები.

ვიცი, ეს გზა მძიმე იქნება; იმედია, ლამაზიც. მშვენიერი რამაა ქალს ეკუთვნოდე, და შენც გინდოდეს იგი! არ დამცინო, თუ სულელურად ჟღერს ჩემი ნათქვამი... ქალის სიყვარული, ქალით გატაცება, შენს არსებაში მისი



შემოსვლა, ასევე ქალისათვის შენი არსებობა, ეს ის არ არის, რასაც შენ «შეყვარებას» ეძახი და რასაც ცოტათი დამცინავადაც უყურებ. ეს არაა სასაცილო. ეს ჩემთვის ცხოვრების გზაა.

ამ გზას მიყვარარ ცხოვრების აზრისაკენ. აჰ, ნარცის, უნდა დაგტოვო! მე შენ მიყვარხარ, ნარცის; მადლობელი ვარ შენი, დაძინების ნაცვლად მე რომ შემომწირე დრო. მიჭირს შენთან განშორება. ხომ არ დამივიწყებ?

– კმარა, გულს ნუღარ დამიმძიმებ. მე არასოდეს დაგივიწყებ.

შენ ისევ მოხვალ ჩემთან, მე ამ დღეს დაველოდები.

თუ გაგიჭირდა, მოდი ჩემთან ანდა მიხმე. იცოცხლე, გოლდმუნდ, ღმერთი იყოს შენი მფარველი!

იგი წამოდგა. გოლდმუნდი მოეხვია. რაკი იცოდა, მისი მეგობარი მოფერებას ეკრძალოდა, არ ეამბორა, ხელებზე მოესიყვარულა.

ღამე ჩამოწვა. ნარცისმა სენაკის კარი მიიხურა და ქვაფენილზე სანდლების ფრატუნით ეკლესიისაკენ გასწია. გოლდმუნდი სიყვარულით ადევნებდა თვალს, როგორ შორდებოდა მეგობრის ხმელი ფიგურა, ვიდრე არ გაუჩინარდა და ეკლესიის კარიბჭის სიბნელემ არ შთანთქა იგი – სულიერ

წვრთნას, მოვალეობას, სიქველეს ეგზომ მოწყურებული და საკუთარი თავისადმი ეგზომ მომთხოვნი ეს ადამიანი. ო, რა გასაოცარი, რა უცნაურად აბურდული იყო ყველაფერი! რა უცნაური და შიშისაღმძვრელი იყო თუნდაც ის, რომ მხურვალე სიყვარულით აღსავსემ, ახლად გაფურჩქნილი გრძნობით გაბრუებულმა სწორედ მაშინ მიაკითხა მეგობარს, როცა ჯვრეტას, მარხვას და უძილობას ღონე გამოეცალა მისთვის, როცა მისი ახალგაზრდული წლები, მთელი გული და აზრები ჯვრისკენ იყო მიპყრობილი, მსხვერპლად ეწირებოდა მას და მორჩილების მკაცრ წესს ასრულებდა, რათა სულისათვის ემსახურა და სრულიად მინისტერ ვერბი დივინი გამხდარიყო!

მწოლიარე დახვდა, ქანცგანწყვეტილი, ჩამქრალი, მიცვალებულივით ფერმიხდილი და ხელებმიღეული, მაგრამ მაინც გაუხარდა, თბილად შეეგება შეყვარებულ მეგობარს, რომელიც ჯერაც მთვრალი იყო ქალის სურნელით, და არა მარტო შეეგება, არამედ მოუსმინა კიდევ და მონანიებისას ხანმოკლე შესვენების წუთებიც მას შესწირა! გასაოცარი იყო ყოველივე, გასაოცრად კარგი იყო, რომ ასეთი სიყვარულიც არსებობდა, სრულიად უშურველი და სულიერი; სულ სხვანაირია იყო ეს სიყვარული დღეს მზიან მინდორში განცდილ სიყვარულთან, დაბანგულ გრძნობათა ამ თავბრუსდამხვევ თამაშთან შედარებით! ორივეს სიყვარული ერქვა მაინც.

ეჰ, ახლა კი ნარცისი მისი აღარაა, ბოლო წუთებში კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა, როგორ განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან. დაღლილ

ნარცისს ახლა სალოცავად მუხლი მოეყარა საკურთხეველის წინ, მომზადებული და განწმენდილი ხვდებოდა იგი ღამესა და იმ ორ საათს, როცა დასვენებისა და ძილის ნება არ ჰქონდა. ამ დროს კი გოლდმუნდი აქედან უნდა გაქცეულიყო, სადღაც ხის ძირში ლიზე ეპოვნა და ის ტკბილი და ველური თამაში გაემეორებინა!

საინტერესოა, ნარცისი რას იტყოდა ამის შესახებ. ასეა თუ ისე: გოლდმუნდი გოლდმუნდი იყო და არა ნარცისი. მას არ ევალეობოდა ამ ღამაში და შემზარავი გამოცანების ახსნა და გარკვევა; არაფერი ევალეობოდა გარდა იმისა, რომ თავის გაურკვეველ, სულელურ, გოლდმუნდურ გზებს გაჰყოლოდა; არაფერი, გარდა იმისა, რომ ეკლესიაში ღამით მლოცველი თავისი მეგობარი არანაკლებ ჰყვარებოდა, ვიდრე ის ღამაში და თბილი ყმანვილი ქალი, მას რომ ელოდა.

ათასგვარმა გაურკვეველმა გრძნობამ ააღელვა იგი. ცაცხვების ხეივანი ჩაიარა, წისქვილიდან საიდუმლო გასასვლელი მოძებნა. ღიმილი მოჰგვარა იმ საღამოს გახსენებამ, პირველად კონრადთან ერთად ამავე გასაძრომით მონასტერი რომ დატოვა და «სოფელში გავიდა». რა ამაღელვებელი, იდუმალი და საფრთხით სავსე იყო მაშინდელი აკრძალული გასეირნება; დღეს კი სამუდამოდ მიდიოდა, მიდიოდა მრავალგზის აკრძალული და სახიფათო გზებით და აღარაფრის ეშინოდა, არც დარაჯზე ფიქრობდა, არც აბატზე და არც მასწავლებელზე.



ამჯერად მდინარეზე ფიცრები აღარ იყო გადებული, ტანსაცმელი გაიძრო და მეორე ნაპირზე ისროლა. მერე შევიდა ღრმა, ცივსა და ჩქარ წყალში, რომელიც მკერდამდე უწევდა.

გალმა ნაპირზე ტანთ რომ იცვამდა, კვლავ ნარცისს დასტრიალებდა მისი ფიქრები. ახლალა მიხვდა და შერცხვა, რომ ამ წუთშიც ისეთს არაფერს აკეთებდა, რაც ნარცისს წინასწარ არ განეჭვრიტა. გოლდმუნდი გრძნობდა, რომ ჭკვიანი, დამცინავი ნარცისი, რომელსაც უამრავი სისულელე მოესმინა გოლდმუნდისაგან, რომელსაც შეჭირვების წუთებში თვალები აეხილა მისთვის, ახლაც მის გვერდით იყო.

მაშინდელი საუბრიდან ახლაც გარკვევით ესმოდა ნარცისის სიტყვები: «შენ დედის მკერდზე სთვლემ, მე უდაბნოში ვფხიზლობ, შენი ოცნებები გოგონებზეა, ჩემი – ვაჟებზე».

წამით გული შეეკუმშა. შემზარავად მარტო დარჩენილიყო ღამეში. უკან მონასტერი იყო, მაინც მშობლიური, მაინც საყვარელი და ახლობელი.

მაგრამ ახლა სხვა რამესაც გრძნობდა: ამიერიდან ნარცისი მისი მეგბური და დამრიგებელი აღარ იყო, ამიერიდან შეგონება და გამოფხიზლება აღარ ჭირდებოდა. იგრძნო, რომ დღეს შეაბიჯა ახალ ქვეყანაში, სადაც თვითონ უნდა ეპოვნა გზები, რომლებისკენაც ნარცისი აღარ წაუძღვებოდა.

უხაროდა, რომ ეს გაიცნობიერა. უმძიმდა და რცხვენოდა, როცა იხსენებდა, რაოდენ იყო დამოკიდებული ნარცისზე.

ახლა კი თვალახელილი იყო, აღარ იყო ბავშვი და მონაფე.

კარგი იყო ამის ცოდნა, მაგრამ მაინც უძნელდებოდა განშორება! ნარცისს, ახლა რომ ეკლესიაში მოეყარა მუხლი, ველარაფერს მისცემდა, ველარაფრით დაეხმარებოდა. დიდი ხნით, იქნებ სამუდამოდაც დაშორდა მეგობარს, ველარაფერს შეიტყობდა მასზე. ველარ გაიგონებდა ნარცისის ხმას, კეთილშობილ თვალებში ველარ ჩახედავდა!

გამოერკვა და სწრაფად გაჰყვა ქვიან ბილიკს. მონასტრის გაღავანს ასიოდ ნაბიჯით რომ მოშორდა, შეჩერდა, სული მოითქვა და, როგორც შეძლო, ბუსავით დაიკივლა. მდინარის მხრიდან კივილითვე გამოეხმაურნენ.

«ცხოველებივით ვუხმობთ ერთმანეთს» – გაიფიქრა გოლდმუნდმა და ნაშუადღევის სიყვარულის წუთები გაახსენდა.

ახლაღა გააცნობიერა, რომ ის და ლიზე მხოლოდ ერთი-ორი არაფრისმთქმელი სიტყვით გამოელაპარაკნენ ერთმანეთს, ისიც ბოლოს, ალერსით გული რომ იჭერეს.

ნარცისთან კი რამდენი უსაუბრია! მაგრამ ახლა რატომღაც ეგონა, რომ ისეთ სამყაროში შეაბიჯა, სადაც არ ლაპარაკობენ, სადაც ერთმანეთს ბუს კივილით უხმობენ, სადაც სიტყვებს მნიშვნელობა დაკარგული აქვთ, სადაც სიტყვები და აზრები საჭირო არაა. გოლდმუნდი ლიზესკენ მიილტვოდა, უსიტყვოდ, ბრმა და გამოუთქმელ გრძნობებისა და ალტყინებისაკენ მიილტვოდა. ტკივილიან შერწყმისაკენ მიილტვოდა.

ლიზე ტყიდან გამოეგება. გოლდმუნდი ნაზად შეეხო თავზე, ყელზე, ჩამოქნილ სხეულზე, მკვრივ თეძოებზე. მერე ხელი მოხვია და წავიდნენ უსიტყვოდ, შეკითხვების გარეშე.

საით?

სიბნელეში, ტყეში მიჰყავდა იგი ქალს. გოლდმუნდს ლიზეს დანევა უჭირდა: ქალის თვალები ღამის სიბნელეში მელიის თუ კვერნას თვალებივით ხედავდა. არაფერს დაჯახებია, არსად წაბორძიკებულა. ვაჟი მიყვა ღამეში, ტყეში, ბრმა იდუმალებით მოცულ ქვეყანაში, უსიტყვოდ, უაზროდ. აღარ ფიქრობდა მითოვებულ მონასტერზე, აღარც ნარცისზე.

უხმოდ მიდიოდნენ ჩაბნელებულ ტყეში, ფეხი ხან რბილსა და ფაფუკ ხავსში ეფლობოდა, ხანაც მაგარ, ბებერ ფესვს მოხვდებოდა; ხანდახან ხის მეჩხერ კენწეროებში ცა გამოკრთებოდა, ხანდახან მთლად ჩამობნელდებოდა; ტოტები სახეში სცემდა, ტანსაცმელზე ედებოდა მაყვლის ეკლები.



ქალი იშვიათად ჩერდებოდა, იშვიათად ყოყმანობდა, ყველგან იკვლევდა გზას. კარგა ხნის სიარულის შემდეგ ორ ფიჭვს მიადგნენ. გაშლილ ადგილს ცა მკრთალად ანათებდა. ტყის პირზე გამოსულიყვნენ, მდელოზე თივის საამო სურნელი იდგა. პატარა მოლივლივე ნაკადულზე გადავიდნენ.

აქ, ღია ცის ქვეშ, უფრო დიდი სიჩუმე მეფობდა, ვიდრე ტყეში.

ბუჩქები არ შრიალებდნენ, ღამის ფრინველები დადუმებულიყვნენ.

გამხმარი ტოტებიც არ ტკაცუნობდნენ.

დიდ თივის გვინთან შედგა ლიზე.

- აქ შევჩერდეთ, - თქვა.

თივაში ჩასხდნენ, ამოისუნთქეს, დაღლილებს მუხლის გამართვა ეამათ, გაიზმორნენ, სიჩუმეს მიაყურადეს, შუბლი უხურდათ, მერე კი თანდათანობით სიგრილე იგრძნეს.

გოლდმუნდს სასიამოვნო მოთენთილობა მოერია, მუხლები თამამით მოხარა, მერე ისევ გაშალა. ღრმად ჩაისუნთქა, ღამისა და თივის სურნელი შეისრუტა, არც წარსულზე ფიქრობდა და არც მომავალზე. ნელ-ნელა საყვარლის

ნელსურნელებამ და სითბომ მიიზიდა, მოაჯადოვა. ხელზე ეფერებოდა და ალტაცებით გრძნობდა, როგორ იწევდა ნელნელა მისკენ ალმურმოდეული ქალი. არა, ამ წუთებში სიტყვები და აზრები საჭირო აღარ იყო. ცხადად გრძნობდა ყველაფერს, რაც მნიშვნელოვანი და ლამაზი იყო, ჭაბუკურ ძალას და ქალის სხეულის ბუნებრივ, ჯანსაღ სილამაზეს, თბილ ჟრუანტელს და წადილს. იმასაც ცხადად გრძნობდა, რომ ქალს ამჯერად სხვაგვარი სიყვარული სურდა, ვიდრე პირველად, რომ ახლა ვაჟს აღარაფერს ასწავლიდა, მის შეტევას, მის ვინს ელოდა. ქალი ელოდა. ვაჟი მშვიდად ეგებებოდა საკუთარ არსებაში მომდინარე ნაკადებს, ბედნიერებით აღვსილმა მიიღო უხმო ცეცხლი, რომელიც ჩუმად გაღვივდა მის არსებაში. ეს ცეცხლი ორივეს მოედო და მათი პატარა თავშესაფარიც იდუმალ ღამეში სიცოცხლითა და მხურვალეობით ააგიზგიზა.

გოლდმუნდი დაიხარა და სიბნელეში ლიზეს ბაგეს დაეწაფა, მკრთალი ნათელი მოეფინა ქალის თვალებსა და შუბლს. გაოცებული უცქერდა გოლდმუნდი, მერე მიხვდა და ცას ახედა: ჩამუქებული, უღრანი ტყის პირიდან მთვარე ამოდიოდა და უცნაურად დაჰნათოდა ქალს; რბილ, ვერცხლისფერ შუქად ეღვრებოდა შუბლზე, ღანვებზე, ყელზე, აღელვებულმა ვაჟმა წყნარად ჩასჩურჩულა: «რა ლამაზი ხარ!» მერე ნეტარებით აღვსილმა ოდნავ წამოსწია ქალი, ფრთხილად ააცურა თავზე სამოსი, გახდაში მიეხმარა. შიშველი მხრები და მკერდი აქათქათდა მთვარის შუქზე. დაბნედილი ვაჟი თვალებითა და ტუჩებით ეალერსებოდა ნაზ ჩრდილებს, მზერას ვერ აშორებდა, ბაგეებს

იტკობდა ქალის სილამაზით. ქალი კი მონუსხულივით დადუმებულიყო, ფიქრი და სიამე ჩადგომოდა თვალებში, თითქოს საკუთარი მშვენება მხოლოდ ახლა, ამ წუთში შეიგრძნო და სახილველ იქმნა მისთვისაც.



# თავი მეშვიდე

მინდვრებს სიგრილე ეფინებოდა. მთვარე თანდათან მალლამალლა მიიწევდა; მკრთალი შუქი დაჰნათოდა შეყვარებულთა სარეცელს. თამაშით თავდავიწყებულებს ჩაძინებოდათ.

გამოფხიზლდებოდნენ თუ არა, კვლავ ერთმანეთისაკენ მიიქცევდნენ პირს, კვლავ აღანთებდნენ ერთმანეთს, კვლავ ერთმანეთში იძირებოდნენ, კვლავ ძილს აძლევდნენ თავს.

ბოლოს ტრფიალმა დაქანცა ისინი, ლიბე თივაში მოიკუნტა, მძიმედ სუნთქავდა. გოლდმუნდი პირაღმა იწვა და არ იძვროდა. მთვარის მკრთალი ნათელით დაფერილ ცას მიშტერებოდა. ორივეს ერთი დიდი წუხილი ჰქონდა და ამ წუხილს ძილში ემალებოდნენ. ღრმად, მკვდრებივით ეძინათ, ეძინათ ისე ხარბად, ისეთი სასონარკვეთით, თითქოს ეს ძილი უკანასკნელი იყო. თითქოს მარადიული ღვიძილი მიუსჯიათ მათთვის და მანამდე, ამ წუთებში სამყაროს ყველანაირი ძილით უნდა გამოიძინონო.

გოლდმუნდმა თვალი გაახილა, ლიბესაც უკვე გამოღვიძებოდა და თმას ისწორებდა. ვაჟი ერთხანს დაბნეული უყურებდა და თან ნელ-ნელა ფხიზლდებოდა.

- გაიღვიძე?

ქალი შეკრთა, ელდანაკრავივით შემობრუნდა.

- უნდა წავიდე, - უთხრა შეწუხებულმა და დარცხვენილმა.

- არ მინდოდა გამეღვიძებინე.

- გავიღვიძე. განა უკვე მივდივართ? ჩვენ ხომ უსახლკარონი ვართ!

- მე უნდა წავიდე, - თქვა ლიზემ, - შენ კი მონასტერში დაბრუნდი.

- მე აღარ ვეკუთვნი მონასტერს. მეც შენსავით სრულიად მარტო და უმიზნო ვარ. ცხადია, შენთან ერთად წამოვალ.

ქალმა თვალი აარიდა:

- გოლდმუნდ, ჩვენ ერთად ვერ წავალთ. მე სახლში ქმარი მელოდება. ღამე მინ რომ არ გავათიე, მცემს. მე კი ვეტყვი, გზა ამებნა-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებს.

მაშინვე გაახსენდა გოლდმუნდს ნარცისის წინასწარმეტყველება.

წამოდგა, ხელი გაუწოდა:

– მოვტყუვდი, მეგონა, ერთად ვიქნებოდით. ნუთუ მართლა არ გამაღვიძებდი და გამოუმშვიდობებლად დამტოვებდი?

– აჰ, მე მეგონა, გამიბრაზდებოდი და ჩემი ქმრისა არ იყოს, შენც გამლახავდი. მე კი არ მინდოდა შენც გაგელახე.

გოლდმუნდმა ხელზე ხელი მოუჭირა:

– ლიზე, მე შენ არასოდეს არა გცემ. იქნებ ჩემთან წამოსულიყავი, თუკი ასეთ ცემა-ტყეპაში ხარ?

ქალმა ხელი ძალით წაგლიჯა:

– არა, არა, არა! – ისეთ ხმაზე შეჰყვირა, რომ გოლდმუნდმა იგრძნო, ქალის გული სხვას ეკუთვნოდა და მის სასიყვარულო სიტყვებს ქმრის ცემა ერჩივნა. მაშინვე გაუშვა ხელი. ლიზე ატირდა, სახეზე ხელები აიფარა და გაიქცა.

გოლდმუნდს აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ სიბრალულით თვალი გაადევნა ატირებულ ქალს, რომელიც ისე გარბოდა მოთიბულ მინდორში, თითქოს რაღაც ძალა ეწევაო, იდუმალი, გოლდმუნდისთვის აქამდე უცნობი ძალა.



ებრალეობდა ლიბე, ებრალეობდა საკუთარი თავიც. რას იზამდა, ბედმა არ გაუღიმა. რაღაც სულელურად დარჩა აქ მარტო.

კიდევ უფრო მოეძალა დაღლილობა, ძილიც მოერია: არასოდეს დაქანცულიყო ასე. ლიბეს გამოტირებას მოგვიანებითაც მოასწრებდა. ისევ ჩაეძინა. როცა გამოეღვიძა, მზე უკვე კარგად ამოწვერილიყო.

დაღლილობამ გაუარა, წამოდგა, ნაკადულთან მიირბინა, ხელ-პირი დაიბანა და წყალიც დალია. მოგონებები მოეძალა.

განვლილი ღამის სასიყვარულო წუთები გაიხსენა, ნაირნაირი ყვავილებით სურნელოვანი და ფერად-ფერადი სურათები დაუდგა თვალწინ, ნაზი და ამაღელვებელი. ამ ფიქრებით გართული გაუყვა გზას. ისე ცოცხლად გრძნობდა ყოველივეს, ისე ხელშესახებად, რომ თითქოს გემოთიც შეიტკბობდა და ყნოსვითაც. რამდენი ოცნება აუსრულა მას ამ უცხო, გარუჯულმა ქალმა, რამდენი კოკორი აუყვავა და გამოუკვირტა. რამოდენა ცნობისმოყვარეობა და ლტოლვა დაუცხრო და რამდენი ახალი რამ გამოაღვიძა მის არსებაში!

წინ მინდორ-ველი გაშლილიყო, შორს გამომხმარი, დაუმუშავებელი მიწა და ჩამუქებული ტყე მოჩანდა, ტყის გაღმა კი სოფლისა თუ ქალაქის სახლები, ეზოები და წისქვილები ილანდებოდა. გოლდმუნდს პირველად გაუხსნა გული

სამყარომ, რომელიც ელოდა მას, რათა აღევსო სიხარულითაც და ტკივილითაც. გოლდმუნდი აღარ იყო ის მოწაფე, ფანტრიდან რომ შესცქეროდა ქვეყანას; მისი მოგზაურობა აღარ ჰგავდა იმ გასეირნებას, რომელიც მაშინ უკან დაბრუნებით მთავრდებოდა. ეს დიდი სამყარო ახლა ნამდვილი გახდა, გოლდმუნდი ამ სამყაროს ნაწილი იყო, ამ სამყაროს ეკუთვნოდა მისი ბედი, ამ სამყაროს ცა მისი ცა იყო, ამ სამყაროს ამინდი – მისი ამინდი. რა მცირედ მოჩანდა იგი ამ დიდ სამყაროში, კურდღელი, ხოჭო იყო იგი ამ სამყაროს ცისფერ და მწვანე უსასრულობაში. აქ ბარი აღარ მოუხმობდა გასაღვიძებლად, არც ეკლესიაში, არც ლექციაზე და არც სადილად.

ო, როგორ შიოდა! ერთი ნაჭერი ქერის პური, ერთი ჭიქა რძე... რა საუცხოო მოგონებებს იწვევდა! თითქოს მგელი ჩაუჭდაო კუჭში. ყანას მიადგა. პურის თავთავი მწიფობაში შესულიყო, თითებითა და კბილებით არჩევდა ხორბალს, ხარბად ფქვავდა პატარა, კრიალა მარცვლებს, გამალებით კრეფდა და კრეფდა, ჭიბეები დაიტენა, მერე კაკალსაც მიაგნო, ხალისიანად კბეჩდა და ახრამუნებდა ჯერ ისევ მწვანე წენგოს. ესეც მოიმარაგა.

ისევ ტყე დაიწყო, ფიჭვნარში მუხა და იფანი გარეულიყო, მოცვიც ბლომად იყო. გოლდმუნდმა შეისვენა, მოცვს გემო გაუსინჯა. გაგრილდა. ტყის ბალახში მაჩიტები მოჩანდა. ყავისფერი, მზისფერი პეპლები დაფრინავდნენ, სწრაფად და უცნაურად ქრებოდნენ სადღაც. ასეთ ტყეში ცხოვრობდა ალბათ წმინდა

ვენევიევა. გოლდმუნდს ყოველთვის იზიდავდა მისი ცხოვრება. რა სიამოვნებით შეხვდებოდა ახლა მას!

სულაც სიამოვნებით გადასახლდებოდა ტყეში, მოხუც წვეროსან მღვდელთან გამოქვაბულში ანდა ხის ქერქით დახურულ ქოხში. იქნებ ამ ტყეში მენახშირეები ცხოვრობდნენ?

მათაც სიამოვნებით გამოელაპარაკებოდა. იქნებ ყაჩაღებიც აფარებდნენ ტყეს თავს? ალბათ გოლდმუნდს არაფერს დაუშავებდნენ. კარგი იქნებოდა ვინმე სულიერს გადაჰყოფოდა.

მაგრამ გოლდმუნდმა იცოდა, რომ შეიძლება დიდხანს ევლო ტყეში, დღეს, ხვალ და ზეგაც, და არც არავინ შეხვედროდა.

ამასაც უნდა შეჰგუებოდა, თუკი ბედს ასე ენება. ბევრი ფიქრი საჭირო არ იყო, ყველაფერს დრო მოიტანდა.

კოდალას კაკუნს მიუგდო ყური, უნდოდა მიჰპარვოდა, მაგრამ კარგა ხანს ამაოდ ეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაინახა; ერთხანს უყურა, ხეზე აკრული ჩიტი რა გამალებით აკაკუნებდა ნისკარტს. ნეტავ რად არ ძალუძთ ადამიანებს ცხოველებთან და ფრინველებთან საუბარი? რა კარგი იქნებოდა, კოდალასათვის დაეძახა, რაღაცა კარგი ეთქვა, ტყეში მის მართოსულ ცხოვრებაზე, მის სიხარულსა თუ ტკივილზე რაიმე შეეტყო!



ოჰ, რა კარგი იქნებოდა, ადამიანებს გარდასახვის უნარი რომ ჰქონოდათ!

მოაგონდა, გრიფელის დაფაზე როგორ ხატავდა მოცალებობის ჟამს ყვავილებს, ფოთლებს, ხეებს, ცხოველებს, პორტრეტებს.

დიდხანს ერთობოდა ხოლმე ამით, ხანდახან პატარა ღმერთივით საკუთარი ნება-სურვილით ახალ ქმნილებებს იგონებდა. ერთხელ ყვავილის ფურცელზე თვალეხი და პირი დაახატა, გაფოთლილი ხის ტოტიდან ფიგურები გამოიყვანა, ხეს თავი დაახატა. ამგვარი გართობა ცოტა ხანს სიამოვნებას ანიჭებდა, აჯადოებდა; თავადვე რჩებოდა აღტაცებული, როცა ხის ფოთოლს, თევზის თავს, ხან მელიის კუდს, ხანაც ადამიანის წარბს გამოიყვანდა. ნეტავ ასევე შეეძლოთ ადამიანებსაც გარდასახვა, როგორც თამაშ-თამაშით გამოყვანილ ფიგურებს! სიამოვნებით გადაიქცეოდა გოლდმუნდი კოდალად, ერთი დღით მაინც, იქნებ ერთი თვითაც, კენწეროებზე იცხოვრებდა, ტოტიდან ტოტზე იხტუნავებდა ტანაყრილ ხეზე, მაგარ ნისკარტს ჩაუკაკუნებდა ქერქს, კუდს შეიფერთხავდა, კოდალას ენაზე ილაპარაკებდა და მერქანშიც კარგ რაღაც-რაღაცეებს მიაგნებდა. საამოდ, გამოკვეთილად ისმოდა კოდალას კაკუნი.

რაღა არ შეხვდა გოლდმუნდს ტყეში. კურდღლები კორომიდან გამორბოდნენ, უცხოს ჯერ მიაშტერდებოდნენ, მერე კი ადგილიდან მოსხლტებოდნენ და ყურაცქვეტილები გარბოდნენ.

პატარა მდელოზე გრძელი გველი განოლილიყო უმოძრაოდ. მკვდარი იყო; იქვე მისი გამოცვლილი პერანგი ეგდო. გოლდმუნდმა აიღო და დააცქერდა: ნაცრისფერი და ყავისფერი ხაზები ლამაზად გასდევდა ზურგზე, მზის შუქზე ისეთი თხელი მოჩანდა, თითქოს აბლაბუდააო. ყვითელნისკარტა შავ შაშვებს გამტერებულ თვალებში შიში ჩადგომოდათ.

დაფრთხნენ, მაგრამ ძალიან მაღლა არ აფრენილან.

გულწითელებსა და ნიბლიებს ტყეში თვლა არ ჰქონდათ.

გოლდმუნდი ბლანტ, მწვანე წყლით სავსე გუბეს მიადგა.

ბედაპირზე მოუსვენრად დაფუსფუსებდნენ გაუგებარ თამაშში გართული გრძელფეხა ობობები, მათ თავზე კი მექლურჯფრთებიანი ნემსიყლაპიები ირეოდნენ. ერთხელ, სადამოს პირზე, რაღაცას მოკრა თვალი, უფრო სწორად, მხოლოდ მოძრაობა გაარჩია და ფოთლების შრიალი, ტოტების ტკაცანი და სველ მიწაზე ტყაპა-ტყუპი გაიგონა. დიდი, ძლიერი ცხოველი დაინახა, რომელიც ბუჩქნარს მიაპობდა ლანალუნით.

იქნებ ირემი იყო ან ტახი? უკვე ყველაფერი მიწყნარდა, ის კი კიდევ დიდხანს იდგა შიშით აქლოშინებული და აღელვებული აყურადებდა ცხოველის ნაბიჯების ხმას.

გოლდმუნდმა ტყიდან გამოსასვლელი გზა ვერ იპოვნა, მაშასადამე, ღამე აქ უნდა გაეთია. სანამ დასაძინებლად ადგილს ეძებდა და ხავსისგან საწოლს იმზადებდა, იმაზე ფიქრობდა, რა მოხდებოდა, ტყიდან გზა რომ ვერ გაეგნო და სამუდამოდ აქ დაედო ბინა. იგი მიხვდა, რომ ეს დიდი უბედურება იქნებოდა. მართალია, ავად თუ კარგად კენკრითაც გაიტანდა თავს, ხავსზე წოლასაც მიეჩვეოდა, ქოხსაც უეჭველად აიშენებდა, იქნებ ცეცხლის დაანთებაც მოეხერხებინა, მაგრამ სამუდამოდ მარტო დარჩენა, მთვლემარე ხეთა ძირში დაბინავება და ცხოველთა გარემოცვაში ცხოვრება, რომლებიც ადამიანს გაურბოდნენ და რომლებთან საუბარიც არ შეეძლო, აუტანელი იქნებოდა. ადამიანებს აღარ შეხვედროდა, სახეში, თვალებში არ ჩაეხედა მათთვის, აღარავის მისალმებოდა და არავის გამომშვიდობებოდა, გოგონებს არ გამოლაპარაკებოდა, აღარ შეეგრძნო კოცნის გემო, აღარ დამტკბარიყო ქალის სხეულისა და ბაგეთა შეხებით – ამის წარმოდგენაც კი უჭირდა. თუ ეს ეწერა ბედად, მაშინ სჯობდა ცხოველად გადაქცეულიყო – დათვად ან ირმად – და მარადიულ ნეტარებაზე უარი ეთქვა. არა, დათვობა და ძუ დათვის შეყვარება არც ისე ცუდი იქნებოდა.

ყოველ შემთხვევაში, იმას ნამდვილად სჯობდა, მეტყველება და აზროვნება შეენარჩუნებინა და უღიმღამოდ, მარტოობასა და უსიყვარულობაში გაეტარებინა ცხოვრება.

სანამ დაიძინებდა, ხავსის საწოლიდან ცნობისმოყვარეობითა და შიშით



უსმენდა ღამეული ტყის მრავალნაირ, ამოუცნობ ჩურჩულს. ეს ხმები მისი ბედის მოზიარენი იყვნენ, ამ ხმებთან ერთად უნდა ეცხოვრა, მათთან ერთად ეფიქრა, ეგრძნო და გადაეტანა ყოველივე. ამიერიდან მელიებსა და შვლებთან, ნაძვებსა და ფიჭვებთან ერთად უნდა ესუნთქა ჰაერი, მათთან უნდა გაენაწილებინა მზის სინათლე, მათთან ერთად დალოდებოდა დღეს, მათთან ერთად ეშიმშილა და დანაყრებულიყო.

გოლდმუნდს ჩაეძინა, ცხოველები და ადამიანები ესიზმრა.

ვითომ დათვი იყო და ლიზე სიამოვნებით გადასანსლა. შუალამეზე რატომღაც შიშით ატანილს გამოელვოდა. ცოტა ხანს ვერ გარკვეულიყო, სად იყო, მერე თანდათან მოვიდა გონს. გაახსენდა, რომ გუშინ და დღეს ძილის წინ არ ელოცა.

წამოდგა, თავის ხავსის საწოლთან დაიჩოქა და ორჯერ წარმოთქვა ძილად მისვლის ლოცვები, გუშინდელიცა და დღევანდელიც.

მალე ისევ ჩაეძინა.

დილით გაოცებულმა მიმოიხედა, უცებ ვერ გაიხსენა, სად იყო. ტყისა აღარ ეშინოდა, პირიქით, სიხარულითაც კი შეეგება ტყის ცხოვრებას. ისევ დაადგა გზას. მიმართულებას მზის მიხედვით იგნებდა. ტყის ერთი მონაკვეთი

მთლიანად უზარმაზარ, ბებერ სოჭის ხეებს დაეპყროთ. სოჭნარში მიმავალ გოლდმუნდს მონასტრის ეკლესიის სვეტები გაახსენდა, სწორედ იმ ეკლესიისა, სადაც ჩაშავებულ ალაყაფში ნარცისი მიეფარა თვალს. ნუთუ მხოლოდ ორი დღის წინ მოხდა ეს?

ორი დღე და ღამე იარა, სანამ ტყიდან გააღწევდა. სიხარულმა შეიპყრო, ადამიანების სიახლოვის ნიშნები რომ შეიცნო:

სოფელი, ჭვავისა და შვრიის ყანები, მინდვრები, ბილიკები.

გოლდმუნდმა ჭვავის თავთავი მოფშვნა თითებში და პირისაკენ გააქანა. მეგობრული სითბოთი შეჰყურებდა გადახნული მიწა, ადამიანური და საამო ეჩვენებოდა ყველაფერი უკაცრიელ ტყეში ხეტიალის შემდეგ. ბილიკიც, შვრიაც, დაყვავილებული მიხაკიც. სადაცაა ადამიანებს შეხვდებოდა. ყანის პირას ჭვარი აღემართათ; დაიჩოქა და ილოცა. გზის მოსახვევს რომ გამოსცდა, უეცრად დიდ, ჩრდილოვან ცაცხვის ხესთან აღმოჩნდა; წყლის სუნი ეცა და აღფრთოვანებულმა წყაროს რაკრაკი გაიგონა. წყალი ღარიდან ხის გრძელ გობში ჩაჩუხჩუხებდა. საოცრად ცივი, გემრიელი წყალი დალია; სიხარულით მოჰკრა თვალი გადაშავებულ, მწიფე ანწლიანში ჩალის სახურავებს. განსაკუთრებით ძროხის ზმუილმა გაუხარა გული. სიამე, სითბო და სიმყუდროვე ჩაედვარა მთელ სხეულში, ეს ზმუილი მიესალმა და კეთილი მობრძანება უსურვა თითქოს.

გოლდმუნდმა იქაურობა შეათვალიერა და ერთ ქოხს მიუახლოვდა, საიდანაც ძროხის ზმეილი მოესმა. სახლის წინ წითური, ღია ცისფერთვალება ბიჭი იჯდა მტვერში, გვერდით წყლის სავსე თიხის ქოთანს დაედგა. უკვე მოესწრო შიშველი ფეხების ტალახში ამოსვრა, მთელი გატაცებით ზელდა მიწას, პატარ-პატარად აგუნდავებდა და ფორმების გამოყვანაში ნიკაპსაც იშველიებდა.

– ღმერთმა მოგიმართოს ხელი, ბიჭიკო, – მიესალმა გოლდმუნდი თბილად და მეგობრულად. მაგრამ პატარამ რომ უცხო კაცი დაინახა, ჯერ პირი დააღო, მერე ბუთხუბა სახე შეჭმუნა, წამოხტა და ღრიალით შევარდა სახლში.

გოლდმუნდი ბიჭს მიჰყვა და უცებ თავი სამზარეულოში ამოჰყო. სამზარეულო ისეთი ბნელი იყო, რომ პირველად ვერაფერი დაინახა. ყოველი შემთხვევისათვის წარმოთქვა სალამი, არავინ გამოეპასუხა. შეშინებული ბავშვის ღრიალს საიდანდაც მოხუცის მისუსტებული ხმა შეერია; ბიჭის დამშვიდებას ცდილობა, ეალერსებოდა.

მერე სიბნელეში მომცრო ტანის დედაკაცი წამოიმართა, სტუმარს მიაუხლოვდა და ხელით თვალები მოიჩრდილა.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, დედი, – მიესალმა ხმამაღლა გოლდმუნდი, – ყოველმა წმინდანმა დალოცოს შენი კეთილი სახე; სამი დღეა, კაციშვილი არ შემხვედრია.



შტერად, ბეცი თვალებით უყურებდა დედაბერი.

- რა გინდა? - ჰკითხა უნდობლად.

გოლდმუნდი ხელზე მიეფერა.

- ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ამის თქმა მინდა, დედილო, ცოტას დავისვენებ. ცეცხლის დანთებაშიც მოგეხმარები.

ერთ ნაჭერ პურსაც თუ მომცემ, მადლიერი დარჩები, მაგრამ საჩქარო არ არის.

გოლდმუნდმა სიბნელეს თვალი შეაჩვია, კედელში ჩამაგრებული სკამი დაინახა და ჩამოჯდა. მოხუცი ქალი პურის ჭრას შეუდგა, პატარა ბიჭი უკვე ცნობისწადილით შეპყრობილი მიშტერებოდა უცნობს, თუმცა ჯერ კიდევ ყოველ წამს სატირლად და გასაქცევად იყო გამზადებული.

ბიჭს პური რომ მისცა, მოხუცმა მეორე ნაჭერიც ჩამოჭრა პურს და გოლდმუნდს გაუწოდა.

- დიდი მადლობა, ღმერთი გიშველის.

- ძალიან გმია? - ჰკითხა ქალმა.

- არა, მოცვი ვჭამე.
- აჰა, შეჭამე! საიდან მოდიხარ?
- მარიამბრონის მონასტრიდან.
- მღვდელი ხარ?
- მღვდელი არა, მონაფე ვარ. გზას ვარ დამდგარი.

დედაბერმა ნახევრად დამცინავად, ნახევრად სულელურად შეხედა და ოდნავ გადააქნია თავი. გამხდარი დანაოჭებული ყელი მოუჩანდა. ბიჭს ერთი-ორი ლუკმა შეაჭამა და გარეთ გაუშვა. შერე კვლავ სტუმარს მიუბრუნდა ცნობისმოყვარეობით:

- ახალი რა იცი?
- ისეთი არაფერი. მამა ანსელმს იცნობ?
- არა. რა მოუვიდა?
- ავად არის.

- ავად? მოკვდება?

- არ ვიცი. ფეხები სტკივს. კარგად ვერ დადის.

- მოკვდება?

- არ ვიცი. შეიძლება.

- კარგი. მოკვდება და მოკვდეს. წვნიანი უნდა გავაკეთო.

შეშის დაპობაში მომეშველე .

ქალმა კერასთან გამომშრალი ნაძვის კვარი და დანა მიაწოდა.

გოლდმუნდმა იმდენი დათალა, რამდენიც ქალს სჭირდებოდა.

ყურადღებით ადევნებდა თვალს, როგორ დაუდო დედაბერმა კვარი ნაცარში, როგორ უბერავდა სულს, მერე რალაც ამოუცნობი, მკაცრი წესრიგის დაცვით დაულაგა ნაძვისა და წიფლის შეშა. ცეცხლი აბრიალდა. ქალმა დიდი, შავი ქვაბი ჩამოკიდა საკვამურიდან ჩამოშვებულ გამურულ ჯაჭვზე.

გოლდმუნდს წყაროდან წყალი მოატანინა, თასში რძისთვის თავი



მოახდევინა. მერე გოლდმუნდი გაკვამლულ სიბნელეში იჯდა და ცეცხლის მოთამაშე ალით განათებულ მოხუცის გამხდარ, დანაოჭებულ სახეს შესცქეროდა, წითლად მოციმციმე შუქზე სახე ხან გამოჩნდებოდა, ხან მიიმალებოდა; ფიცრული კედლის მიღმა, ბაგაში ძროხა ბორგავდა.

გოლდმუნდს მოსწონდა ეს ყველაფერი: ცაცხვი, წყარო, ცეცხლის თამაში, მოჩუხჩუხე ქვაბი, ძროხის ბორგვა, ქშენა და რქების კედელზე ხათქახუთქი. მოსწონდა, ძლივს განათებულ ოთახში მაგიდასთან რომ იჯდა და ტანჩია დედაბრის ფუსფუსს ადევენებდა თვალს. ეს ყოველივე მშვენიერი იყო და ადამიანებთან სიახლოვეთ გამოწვეული სიამით, სიმშვიდით, მაძღრისობით, მშობლიური სითბოთი ევსებოდა მთელი არსება. მასპინძელს ორი თხაც ჰყავდა თურმე, ღორებიც – საღორე სახლის უკანა მხარეს იყო. პატარა ბიჭი მისი შვილთაშვილი იყო. ბიჭს კუნო ერქვა, არ ისვენებდა, გადი-გამოდიოდა; თუმცა ჯერ კიდევ უნდობლად იყურებოდა და ხმას არ იღებდა, მაგრამ აღარ ტიროდა.

ამასობაში გლეხიც მოვიდა თავის ცოლთან ერთად. გლეხი დედაბრის შვილიშვილი იყო. გაუკვირდათ, უცხო კაცი რომ დახვდათ სახლში. უკმაყოფილო გლეხმა უნდობლად მიიყვანა კართან ყმანვილი, დღის სინათლეზე რომ შეეხედა, მერე გაეცინა, მხარზე ხელი დაჰკრა მეგობრულად და მაგიდასთან მიიწვია. ისინი სუფრას მიუსხდნენ. რძიან თასში მანამდე აწებდნენ პურს რიგ-რიგობით, ვიდრე რძე ძირამდე არ დაიყვანეს, ბოლოს კი გლეხმა თასი მოიყუდა და ფსკერზე დარჩენილი რძე სულ ამოსვრიპა.

გოლდმუნდმა ჰკითხა, ნებას ხომ არ დამრთავთ, დამე თქვენს ჭერქვეშ გავათიოო. არაო, უთხრა გლეხმა, აქ ადგილი არა გვაქვს, გარეთ თივაა და იქ დაწეწიო.

ქალს ბავშვი გვერდით მოესვა და საუბარში არ მონაწილეობდა, მაგრამ სამაგიეროდ ჭამის დროს ცნობისმოყვარე მზერას არ აცილებდა ახალგაზრდა უცხო კაცს. სტუმრის კულულებმა და გამოხედვამ მაშინვე მიიპყრო ქალის ყურადღება.

მოეწონა მისი ლამაზი თეთრი ყელი, ჩამოქნილი, თლილი ხელების დახვეწილი მოძრაობა. რა ლამაზი, რა კეთილშობილი იყო ეს უცნობი, თან რა ახალგაზრდა! ყველაზე მეტად კი ქალს სტუმრის ხმა იზიდავდა და ატყვევებდა – იდუმალი შელოდით აღსავსე, თბილი და მომნუსხველი ახალგაზრდა კაცის ხმა, ალერსივით რომ ჩაესმოდა.

ნასადილევს გლეხი ბოსელში შეუდგა საქმიანობას, გოლდმუნდი სახლიდან გავიდა, წყაროზე ხელები დაიბანა და იქვე, გრილში ჩამოჯდა. აქ აღარაფერი ესაქმებოდა, მაგრამ წასვლაც ენანებოდა. წყაროსთან გლეხის ცოლი მოვიდა, ჭურჭელი წყალს შეუდგა და ყმაწვილ კაცს ხმადაბლა უთხრა: «დღეს სადამოს ახლომახლო თუ იქნები, საჭმელს მოგიტან. აქვე, ზემოთ, მინდორში თივა ყრია, ხვალამდე არ აიღებენ. დამელოდები?» ქალის დიდი, ნათელი თვალებიდან და დაჭორფლილი სახიდან სითბო იღვრებოდა. ვაჟს გაუღიმა,

სავსე სათლს ღონიერი ხელი წამოავლო, ქოხისკენ გაემართა და კარის სიბნელეში მიიმალა. გოლდმუნდი მადლიერი იჭდა, ერთობ კმაყოფილი უსმენდა წყაროს ჩუხჩუხს. ცოტა ხნის შემდეგ ისიც შევიდა ქოხში, კაცსა და დედაბერს ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა. ქოხში ცეცხლის, ჭვარტლისა და რძის სუნი ტრიალებდა. მცირე ხნით შეაფარა აქ თავი, მცირე ხნით სამშობლო ჰპოვა; ახლა კი კვლავ უცხო შეიქნა ყველაფერი მისთვის. მასპინძლებს დაემშვიდობა და ქოხიდან გავიდა.

სახლების რიგს რომ გასცდა, სამლოცველოს მიადგა. იქვე, ახლოს, ბებერი, ძლიერი მუხები ლამაზად გაბარჯულიყვნენ.

მუხების ძირში ბალახი მწვანედ ბიბინებდა. გოლდმუნდი ბოლთის ცემას მოჰყვა. უცნაური რამ არის ქალებთან ურთიერთობა, სიყვარულის გრძნობა! ამ დროს სიტყვები მართლაც ზედმეტია, მხოლოდ ერთი სიტყვა დასჭირდა ამ ქალს პაემანის დასანიშნად. დანარჩენი უსიტყვოდ უთხრა. რითი?

თვალებით, მოგუდული ხმის უცნაური ჟღერით და კიდევ რაღაცით, იქნებ სურნელით, იქნებ კანის ნაზი, იდუმალი გამოსხივებით, რასაც ქალები და კაცები მაშინვე შეიცნობენ, როცა ერთურთს ელტვიან. მეტად დახვეწილი და საიდუმლოებით სავსეა ეს ენა; რა სწრაფად შეისწავლა იგი გოლდმუნდმა! სიხარულით ელოდა საღამოს. ცნობისმოყვარეობას შეეპყრო. ნეტავ, როგორი იქნებოდა ეს დიდი, ქერა ქალი, როგორი გამოხედვა და ხმა, როგორი ტანი



და მოძრაობა ექნებოდა, როგორი კოცნა ეცოდინებოდა - ალბათ, სულ სხვანაირი, ვიდრე ლიზეს. ნეტავ სად არის ახლა ლიზე, თმაგადატყეცილი, გარუჯული და ვნებიანი? ნეტავ ქმარმა თუ სცემა? ნეტა თუ დაივიწყა გოლდმუნდი? ნეტა ახალი სატრფო გაიჩინა თუ არა? თუმცა გოლდმუნდმაც გაიჩინა დღეს ახალი სატრფო. რა სწრაფად ხდებოდა ყველაფერი, როგორი ბედნიერება ელოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე; რა ლამაზი და მხურვალე იყო ყოველივე და რა წარმავალი! ეს ცოდვა იყო, ეს იყო მრუშობა, ცოტა ხნის წინ ამ ცოდვის ჩადენას სიკვდილი ერჩივნა. ახლა კი უკვე მეორე ქალს ელოდა, სინდისი კი არ აწუხებდა. უფრო სწორად, იქნებ აწუხებდა კიდევ, მაგრამ არა მრუშობის, არა ავხორცობის გამო. სხვა რამ იყო, რაც მის სინდისს ტვირთად აწვა, სხვა რამ, რისთვისაც სახელი ვერ დაერქმია. ეს იყო არა ჩადენილი დანაშაულის შეგრძნება, არამედ იმ დანაშაულისა, დაბადებიდან თან რომ დაჰყვება კაცს. იქნებ სწორედ ამას უწოდებდნენ თეოლოგები თანშობილ ცოდვას? დიახ, ალბათ თავად ცხოვრებას ახლდა დანაშაული, თორემ ისეთი სპეტაკი და მცოდნე ადამიანი, როგორიც ნარცისია, ბოროტმოქმედივით სასჯელს რატომ დაიდებდა და ან რატომ უნდა აღძროდა თავად გოლდმუნდს სულის სიღრმეში დანაშაულის გრძნობა? განა გოლდმუნდი ბედნიერი, ჯანმრთელი და ჩიტივით თავისუფალი არ იყო?

განა ის ქალებს არ უყვარდათ? განა საოცარი არ იყო იმის შეგრძნება, რომ შეეძლო ქალისათვის ეჩუქნა იგივე სიხარული, რასაც თვითონ განიცდიდა? მაშ, რად არ იყო მაინც მთელი არსებითა და სისრულით ბედნიერი? რატომ

უნდა სწვეოდათ – თუნდაც დროდადრო – ეს ტკივილი, ეს იდუმალი შიში, ეს სამდურავი წარმავლობისა ასე ახალგაზრდა და ბედნიერ გოლდმუნდს და ასე ქველსა და ბრძენ ნარცისს?

გოლდმუნდს რა ჰქონდა სანაღვლო და საფიქრალი? მან ხომ იცოდა, რომ მოაზროვნედ არ იყო დაბადებული?

და მაინც მშვენიერი იყო სიცოცხლე. ბალახში პატარა, იისფერი ყვავილი მოწყვითა, დააკვირდა მის დაძარღვეულ, ბუსუსებიან წვრილ-წვრილ ფოთლებს, რომლებშიც ისე ფეთქავდა და ზეიმობდა სიცოცხლე, როგორც ქალის საშოში ანდა მოაზროვნის ტვინში. ო, რა ცოტა იცის ადამიანმა! ნეტავ შეეძლოს ამ ყვავილთან ლაპარაკი! ორი კაციც კი ხშირად ვერ ახერხებს ერთმანეთთან ნამდვილ საუბარს. ამისათვის ბედნიერი შემთხვევა, განსაკუთრებული მეგობრობა და სურვილია საჭირო. არა, ბედნიერებაა, რომ სიყვარული სიტყვებს არ მოითხოვს; ლაპარაკი უგუნურობა იქნებოდა, სიტყვები მხოლოდ გაუგებრობას მოიტანდა. ო, ლიზეს თვალების, მისი მიზნედილი თვალების, უმაღლესი ნეტარების ჟამს მხოლოდ თეთრად რომ გამოსჭვიოდა ათრთოლებულ ქუთუთოებს შორის, მისი მოტეხილი მზერის აღსაწერად ვერავითარი განსწავლულობა და პოეტური სიტყვები ვერ იკმარებდა. არა, სიტყვებით ვერაფერი გამოითქმება, ვერც მოიაზრება – და მაინც კვლავ გამოხატვის მოთხოვნილება გვაქვს, კვლავ ვესწრაფვით აზროვნებას.

გოლდმუნდი გულდასმით აკვირდებოდა პაწია ფოთლებს, რომლებიც ღეროზე ასე მიმზიდველად, ასე აზრიანად და მოწესრიგებულად დამსხდარიყვნენ. დიდებულია ვირგილიუსი, მაგრამ განა მას ყველა ლექსში აქვს გამოხატული სათქმელი ასე აშკარად, ასე ჭკვიანურად, ასე ლამაზად და შინაარსიანად, როგორც ეს მოახერხა ღეროზე სპირალურად ამოყრილმა პაწაწინა ფოთლებმა? რამდენ ტკობას, ბედნიერებას, აღმაფრენასა და კეთილშობილებას იგრძნობდა ადამიანი, ერთადერთი ასეთი ყვავილის შექმნა რომ ხელეწიფებოდეს?

მაგრამ ეს არავის ძალუძს – არც გმირს, არც მეფეს, არც მღვდელს და არც წმინდანს.

მზემ ჩასვლა რომ დააპირა, გოლდმუნდმა გლეხის ქალის მიერ დათქმული პაემანის ადგილი მოძებნა. აქ უნდა დალოდებოდა ქალს. კარგი იყო ლოდინი, კარგი იყო იმის ცოდნა, რომ სიყვარულით სავსე ქალი მისკენ მოიჩქაროდა!

ქალმა სელის ტილოში გამოკრული ლორი და პურის მოზრდილი ნაჭერი მოუტანა. შეკრულა გახსნა და გოლდმუნდს წინ დაუფინა.

– შენთვის წამოვიღე, – თქვა მან, – ჭამე!



- ჯერ არ მინდა, - უთხრა გოლდმუნდმა, - მე პური არ მშია, მე შენ მინდისარ.  
ო, მაჩვენე, რა მომიტანე!

ბევრი რამ მოუტანა ქალმა; ძლიერი, ხარბი ტუჩები, თეთრი, ელვარე  
კბილები, მზედაკრული ღონიერი მხრები, მოხდენილი ყელი.  
სიტყვაძუნობდა, მაგრამ სადღაც ყელში მღეროდა ნეტარი, მიმზიდველი  
ხმით. ხოლო როცა მამაკაცის ფაქიზი, ალერსიანი, მგრძნობიარე ხელები  
შეეხო - რაც აქამდე არასოდეს განეცადა - ტანში ჟრუანტელმა დაუარა და  
ნებიერი კატასავით აკრუტუნდა. მან ლიზესავით მრავალი თამაში არ იცოდა,  
სამაგიეროდ საოცრად ძლიერი იყო, მამაკაცს სჯობნიდა. ბავშვური და ხარბი  
იყო მისი სიყვარული, მარტივი და მაინც მორცხვი. გოლდმუნდი დიდ  
ბედნიერებას ეზიარა.

მერე ქალი ძალისძალ მოწყდა გოლდმუნდს, დაღონებული გაუყვა გზას.  
უმძიმდა წასვლა, დარჩენა კი არ შეიძლებოდა.

ბედნიერსა და სევდიან გოლდმუნდს მოგვიანებითლა გაახსენდა პური, ლორი  
და მარტო შეექცა. ღამე უკვე ჩამოწოლილიყო.

# თავი მერვე

კარგა ხანს იხეტიალა გოლდმუნდმა. იშვიათად თუ რჩებოდა ღამის გასათევად ერთსა და იმავე ადგილას. ყველგან მოსწონდათ ქალებს და ბედნიერებასაც იღებდა მათგან.

მზებზე გაირუჯა, გზამ და უჭმელობამ ხორცი დააყრევინა.

დილაობით ქალები აცილებდნენ ხოლმე კვლავ გზაზე დამდგარს, ზოგს ცრემლიც კი უკიაფებდა თვალში. რამდენჯერ უფიქრია გოლდმუნდს: «რატომ არც ერთი არ რჩება ჩემთან? რატომ? თუკი ვუყვარვარ და ღამეს ჩემთან ატარებენ, თუკი ოჯახს ღალატობენ – რატომ ბრუნდებიან ყველანი თავ-თავიანთ ქმრებთან, სადაც ცემა-ტყეპა მოელოთ? ჯერ არც ერთს არ უთხოვია, აქ დარჩიო, არც ერთს არ ყვარებია იმდენად, რომ თან გაჰყოლოდა და მოგზაურობის ჭირიც და ლხინიც გაეზიარებინა მასთან. მართალია, გოლდმუნდს არც არავისთვის უთქვამს, წამომყევით. გულისგულში მასაც თავისუფლება ერჩია და ერთ შეყვარებულსაც ვერ გაიხსენებდა, მონატრებოდა და ისევ მასთან დაბრუნება ესურვა, მაგრამ მაინც უკვირდა და სევდა ეუფლებოდა: რატომ იყო სიყვარული ასე სწრაფწარმავალი, არა მარტო ქალების სიყვარული, მისი საკუთარი გრძნობაც. ცეცხლი გაღვივებას ვერც ასწრებდა, რომ მაშინვე ცხრებოდა. ნუთუ ყველგან და ყოველთვის ასე

ხდებოდა? ან იქნებ თვითონ იყო ასეთი, იქნებ მხოლოდ მისი ბედი იყო, ქალებს მოსწონებოდათ, მაგრამ მასთან საერთო ვერაფერი გამოენახათ, გარდა ხანმოკლე უსიტყვო სიყვარულისა თივასა თუ მინდორში? იქნებ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ერთი მოხეტიალე და უსამშობლო კაცი იყო და ასეთი კაცის შიში კი მუდამ ჰქონდათ მკვიდრ მოსახლეებს? იქნებ თვით გოლდმუნდის ბუნება ითხოვდა, რომ ქალებს ლამაზ თოჯინასავით შეეყვარებინათ და გულში ჩაეხუტებინათ, მერე კი თავ-თავიანთ ქმრებთან გაქცეულიყვნენ, თუმცა იცოდნენ, რომ ცემა არ ასცდებოდათ?

ახსნა ვერა და ვერ მოეძებნა გოლდმუნდს.

დაუღალავად სწავლობდა ქალებს. უფრო მეტად გოგონებისკენ ისწრაფოდა, მთლად ნორჩებისკენ, უქმროებისა და გამოუცდელებისაკენ.

სწყუროდა მათი სიყვარული, მაგრამ უმეტესად ისინი მისთვის მიუღწევლნი რჩებოდნენ, მართალია, შეყვარებულნი, მაგრამ მორცხვნი და ფრთხილნი.

თუმცა ქალებისაგანაც ბევრს სწავლობდა, ყველა რაღაცას უტოვებდა: თავისებურ ჟესტს, სხვანაირ კოცნას, სხვა სახის თამაშს, სხვაგვარ დანებებასა თუ თავის დაცვას. გოლდმუნდიც ყველაფერზე პასუხობდა. ბავშვივით გაუმადლარი და დამყოლი იყო, ადვილი შესაცდენი და ამიტომაც მაცდური.



მხოლოდ მისი სილამაზე არ იკმარებდა ქალების ასე იოლად მოსახიბლად: სწორედ გოლდმუნდის გულუბრყვილობა, გულდიობა, ცნობისმოყვარე უცოდველობა, ქალის წინაშე, ქალის სურვილების წინაშე სრული მზადყოფნა იზიდავდა მათ. ყოველ მათგანთან სწორედ ისეთი იყო, როგორიც თავად ქალს სურდა და ენატრებოდა. ერთს თუ სინაზით და მოწინებით ეკიდებოდა, მეორეს სწრაფად და უეცრად დაეპატრონებოდა, ხან ისეთი ბავშვური იყო, თითქოს პირველად იგემა სიყვარულით, ხან კი - დახვეწილი და გამოცდილი.

იგი მზად იყო თამაშისა და ჭიდილისათვის, კვნესისა და სიცილისათვის, მორიდებისა და უსირცხვილობისათვის; გოლდმუნდი იმას აკეთებდა, რაც ქალს სურდა, რასაც ქალი ელოდა. ყველა ჯკვიანი ქალი მაშინვე ხვდებოდა ამას და ამიტომაც უყვარდათ იგი.

გოლდმუნდი კი სწავლობდა. მოკლე დროში არა მარტო სიყვარულის მრავალსახეობასა და ხელოვნებას დაეუფლა, არა მარტო მრავალი სატრფოს გამოცდილება შეიწოვა და გაითავისა - თავად ქალებსაც სწავლობდა, ჯვრეტდა მათ, გრძნობდა მათ, ხელით ეხებოდა, სურნელს იყნოსავდა; სმენა დაეხვეწა, მყის შეეძლო ამოეცნო ქალის ხმის თავისებურება და სიყვარულის უნარიც. რაც უფრო აკვირდებოდა ქალებს, მით უფრო ალაფრთოვანებდა ყოველი მათგანის განუმეორებლობა და სილამაზე - თავი, ყელი, შუბლი, მუხლისთავი. თვალდახუჭულს, სიბნელეში თითების ნაზი შეხებით შეეძლო გამოეცნო, ვის როგორი თმა, კანი და ბესუსი ჰქონდა. ადრევე მიხვდა, რომ

აღბათ სწორედ ეს იყო მისი მოგზაურობის მიზანი, აღბათ სწორედ იმისთვის მიჰყავდა ბედს ერთი ქალიდან მეორისკენ, რათა შეცნობისა და განსხვავების ეს უნარი სულ უფრო მრავალგვარი სახითა და სიღრმით განეფითებინა და დაეხვეწა. იქნებ ეს იყო მისი დანიშნულება: ქალები, სიყვარულის მრავალფეროვნება ძირისძირობამდე შეესწავლა, როგორც მუსიკოსს, ერთ საკრავზე კი არა, სამ, ოთხ და უფრო მეტზე რომ შეუძლია დაკვრა. მაგრამ რატომ იყო ეს მაინცდამაინც კარგი და საით ეწეოდა, ვინ იცოდა; გოლდმუნდი მხოლოდ იმას ხვდებოდა, რომ ეს გზა არ უნდა დაეგდო. მართალია, ლათინურისა და ლოგიკის შესწავლის უნარიც გააჩნდა, მაგრამ ეს არ იყო დიდი, გასაოცარი, განსაკუთრებული ნიჭი. აქ კი, სიყვარულში, ქალებთან ურთიერთობაში სწორედ ასეთი ნიჭი აღმოაჩნდა, აქ არაფერი ავიწყდებოდა, გამოცდილება თავისთავად ემატებოდა და უნესრიგდებოდა.

თითქმის ორი წელიწადი დაჰყო გოლდმუნდმა ხეტიალში, როცა ერთ დღეს ერთი კეთილშობილი რაინდის სასახლეს მიადგა. რაინდს ორი მშვენიერი ასული ჰყავდა. შემოდგომის პირი იყო. მალე გრილ ღამეებს დაიჭერდა. წინა შემოდგომამ და ზამთარმა გოლდმუნდს გამოცდილება შესძინა – მომავალ თვეებზე უნდა ეზრუნა. ზამთარში მოგზაურობა ძნელი იქნებოდა. სასახლეში საჭმელი და ღამის გასათევი ითხოვა.

ჩინებულად დაუხვდნენ, ხოლო როცა რაინდმა შეიტყო, სტუმარი ნასწავლი კაცია და ბერძნულიც იცისო, მსახურთა მაგიდიდან საკუთარ სუფრასთან მიიწვია და თანასწორივით მიიღო.

რაინდის ასულები მორცხვად, თვალდახრილნი ისხდნენ.

უფროსი თვრამეტისა იყო, უმცროსი – თექვსმეტისა, ლიდია და იულია ერქვათ.

მეორე დღეს გოლდმუნდმა გზის გაგრძელება დააპირა.

იმედი არ ჰქონდა, ამ მშვენიერ ქერათმიან ქალიშვილებს მოვეწონებო, სხვა ქალები კი აქ არ იყვნენ, რომ მათი გულისთვის დარჩენილიყო. ნასაუზმევს ხნიერმა რაინდმა თავისთან მოიხმო გოლდმუნდი და თავის სამუშაო ოთახში შეუძღვა.

იქ გული გადაუშალა ყმანვილს, დიდად ვაფასებ განსწავლულობას და მიყვარს კითხვაო. აჩვენა ხელნაწერებით სავსე პატარა სკივრი, თავისი გემოვნებით გაკეთებული საწერი მერხი და კარგი ხარისხის ქაღალდისა და პერგამენტის მარაგი.

რაინდი ღვთისმოსავი იყო; როგორც გოლდმუნდმა თანდათან გაარკვია, ახალგაზრდობაში თურმე სწავლობდა, მაგრამ მერე ომისა და ცხოვრების ორომტრიალში ჩაეფლო და მძიმე ავადმყოფობაც გადაიტანა. ბოლოს ღვთის რისხვის შიშმა გამოაფხიზლა და თავისი ცოდვიანი ახალგაზრდობის მოსანანიებლად რომსა და კონსტანტინეპოლს წავიდა. უკან დაბრუნებულს მამა გარდაცვლილი და სახლი ცარიელი დაუხვდა.



აქ დარჩა, დაქორწინდა, დაქვრივდა, ქალიშვილები გაზარდა, ახლა კი, მოხუცებულობის ჟამს დაჯდა და წარსულში თავს გადამხდარი ამბების წერას მიჰყო ხელი. ყმაწვილს გამოუტყდა, რამდენიმე თავი კი დავწერე ლათინურ ენაზე, მაგრამ ზოგიერთი ადგილი არ მომწონს და იქნებ დამეხმაროთ, გამისწოროთ და გადამიწეროთ კიდევცო. მოგვიანებით კი წერის გაგრძელებაც მზადიყო, თან ახალი ტანსაცმელი და ცალკე ოთახი შესთავაზა.

შემოდგომა იდგა, გოლდმუნდმა კი იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს მოხეტიალე მოგზაურისთვის, ახალი სამოსელი ხომ სწორედ მისწრება იქნებოდა! ყველაზე მეტად კი ის მოსწონდა, რომ კიდევ დიდხანს დარჩებოდა ამ სახლში, ორ მშვენიერ დასთან ერთად. მაშინვე დათანხმდა. ორ დღეში მეკუჭნავემ საგანგებოდ გოლდმუნდისათვის ლამაზი ყავისფერი ტილო შეარჩია, რომლისგანაც ტანსაცმლის და ქუდის შეკერვა შეუკვეთეს. მართალია, რაინდი თავიდან მაგისტრის შავი ფერის სამოსელზე ფიქრობდა, მაგრამ სტუმარმა ეს აზრი შორს დაიჭირა და მასპინძელიც დაიყოლია, ისე რომ საბოლოოდ მშვენიერი სამოსი გამოუვიდა, ნახევრად პაჟის და ნახევრად მონადირისა, რომელიც ძალზე შვენოდა.

არც ლათინურის საქმე მიდიოდა ცუდად. უკვე დაწერილს ერთად გადახედეს და გოლდმუნდმა არა მარტო არაბუსტად ნახმარი სიტყვები გაასწორა, არამედ ალაგ-ალაგ რაინდის მოუხეშავი, მოკლე ფრაზები ლამაზი ლათინურით გამართა, consecution temporum-იც ზედმიწევნით შეამოწმა.

დიდ სიამოვნებას ანიჭებდა რაინდს ეს საქმიანობა, ქებას არ იშურებდა, ყოველდღე სულ ცოტა ორ საათს მუშაობდნენ.

ციხე-სიმაგრეში, რომელსაც მეტ-ნაკლებად გამაგრებული, მოზრდილი გლეხური კარ-მიდამო უფრო ეთქმოდა, გოლდმუნდი ხანდახან ერთობოდა კიდევ. ნადირობაშიც მონაწილეობდა, მონადირე ჰინრიხი ასწავლიდა არბალეტის სროლას, ძაღლებიც მიიჩვია და, როცა კი მოისურვებდა, ცხენის გამოყვანასაც არავინ უშლიდა. იშვიათად იყო მარტო.

ხან ძაღლებს, ხან ცხენებს ელაპარაკებოდა, ხანაც ჰინრიხს ან მეკუჭნავე ლეას ესაუბრებოდა – სქელ მოხუც ქალს, კაცის ხმა რომ ჰქონდა და ხუმრობა და სიცილი უყვარდა, – ხანაც ძაღლების მომვლელ ბიჭთან, ან მეცხვარესთან, ან მეზობელ მენისქვილის ცოლთან ხედავდნენ. ამ ქალთან სასიყვარულო კავშირის გაბმა გაუადვილდებოდა, მაგრამ თავი შორს ეჭირა, გამოუცდელს თამაშობდა.

გოლდმუნდს რაინდის ორივე ასული მოსწონდა. უმცროსი უფრო ლამაზი იყო, მაგრამ ძალზე თავდაჭერილი, გოლდმუნდს სიტყვასაც არ ეუბნებოდა. თუმცა ვაჟი დებს უდიდესი ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობოდა, ისინი მის სიახლოვეს გამუდმებულ არშიეობად აღიქვამდნენ. უმცროსი სიმორცხვის გამო გატიქდა და მთლად ჩაიკეტა; უფროსმა კი, ლიდიამ, განსაკუთრებული ტონი შეირჩია მის მიმართ:

ნახევრად მოწინებით, ნახევრად გაკენწლვით უამრავ მიამიტ შეკითხვას უსვამდა «ამ უცნაურ ახალგაზრდა სწავლულს», სამონასტრო ცხოვრებისადმიც იჩენდა ინტერესს, ოღონდ ყოველივე ამას ოდნავი ქედმაღლობით, ოდნავი დაცივნით აკეთებდა. გოლდმუნდიც არაფერში ეწინააღმდეგებოდა დებს: ლიდიასთან ისე ეჭირა თავი, როგორც დიდგვაროვან ქალბატონს შეეფერებოდა, იულიას, როგორც პატარა მონაზონს, ისე მიმართავდა; თუ მოახერხებდა, ნავახშმევს ჩვეულებრივზე დიდხანს ემუსაიფებოდა ხოლმე სუფრასთან მსხდომ გოგონებს. და თუ ლიდია ეზოში ანდა ბაღში ერთხელ მაინც გამოელაპარაკებოდა, გოლდმუნდი კმაყოფილი რჩებოდა და ამას წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევდა.

თუმცა შემოდგომა იდგა, ეზოში მაღალ იფნებს ფოთლები ჯერ არ დასცვენოდათ. ბაღში ასტრაც და ვარდიც ჯერ კიდევ ყვავდა. ერთ დღეს რაინდს სტუმრები ეწვივნენ – მეზობელი მემამულე მეუღლისა და მეჭინბის თანხლებით.

ცხენით სეირნობისას თბილმა ამინდმა უჩვეულოდ შორს გაიტყუა სამივენი და აი, აქ შეჩერდნენ ღამის გასათევად.

მასპინძლებმა დიდებულად მიიღეს. გოლდმუნდის საწოლმა სასტუმრო ოთახიდან სამეცადინო ოთახში გადაინაცვლა, სასტუმრო ოთახი კი მოსულებს დაუთმეს. მასპინძელმა ქათმები დააკვლევინა, წისქვილში კაციც გაგზავნა



თევზზე. გოლდმუნდი სიამოვნებით შეუერთდა საბეიმო განწყობილებას და იმწამსვე იგრძნო უცხო ქალის ყურადღება, მაგრამ როგორც კი მის ხმასა და მზერაში მოწონება და სურვილი ამოიცნო, მაშინვე ისიც შენიშნა, რომ ლიდია უეცრად შეიცვალა, ჩუმი და გულჩათხრობილი გახდა და სტუმარ ქალს მალულად თვალთვალი დაუწყო; ხოლო როცა საბეიმო სუფრას მოუსხდნენ და ქალის ფეხი მაგიდის ქვეშ ფეხზე შეეხო, ყმაწვილი კაცი არა მარტო ამ თამაშმა გაიტაცა, არამედ კიდევ უფრო იმ ფარულმა დაძაბულობამ, რომელიც ლიდიას ცნობისმოყვარე, ანთებულ თვალებში ამოიკითხა. გოლდმუნდმა განგებ გააგდო დანა ხელიდან, დაიხარა და მაგიდის ქვეშ ალერსიანად მოუსვა ხელი ქალს ფეხზე. არ გამოპარვია, ერთიანად გაფითრებული ლიდია როგორ იკვნეტდა ტუჩებს. გოლდმუნდმა მონასტრის ამბების მოყოლა განაგრძო, გრძნობდა, რომ უცხო ქალი მის მომწესხავ ხმას უფრო გატაცებით უსმენდა, ვიდრე ამბებს.

გოლდმუნდს სხვებიც უსმენდნენ, მისი მფარველი – დიდი გულისყურით, სტუმარი რაინდი – უძრავი სახით, თუმცა მასაც ის ცეცხლი მოსდებოდა, რომელიც გოლდმუნდის სულში გიზგიზებდა. ლიდია პირველად ხედავდა ასე გატაცებით მოსაუბრე გოლდმუნდს. ვაჟი ფრთაშესხმული ჩანდა, თვალები უელავდა, ხმაში ბედნიერება და სიყვარული უფლერდა. სამივე ქალი აყურადებდა ამ ხმას, სამივე სხვადასხვაგვარად:

პატარა იულია მძაფრი წინააღმდეგობისა და უარყოფის გრძნობით, სტუმარი

რაინდის ცოლი მოხეიმე კმაყოფილებით, ლიდია გულის მწვავე ტკივილით, აუტანელი ეჭვიანობისგან სახედავიწროებული და თვალეხანთებული.

ქალების მღელვარება გოლდმუნდის სასიყვარულო ძახილს იდუმალად ეპასუხებოდა. ჩიტებივით მოფრინავდნენ მისკენ სატრფიალო იდილები, გარს ეხვეოდნენ, ნებდებოდნენ მას, ეწინააღმდეგებოდნენ, ერთურთს ექიმპებოდნენ.

ნავახშმევს იულია წამოდგა, უკვე დაღამებულიყო; თიხის შანდალში ჩადგმული სანთლით ხელში პატარა მონაზონივით ცივად დატოვა ღია აივანი. სხვები ერთ საათს კიდევ ისხდნენ და სანამ მამაკაცები მოსავალზე, მეფესა და ეპისკოპოსზე ლაპარაკობდნენ, ლიდია აგზნებული უსმენდა გოლდმუნდისა და ქალის უაზრო, ზოგჯერ აგდებულ საუბარს.

ამ ორ ადამიანს შორის გაბმულმა ძაფებმა თითქოს ბუდე მოქსოვესო და ამ ბუდეში ერთმანეთის სიახლოვით, ერთმანეთის ცქერით და ერთმანეთთან საუბრით ტკბებოდნენ; ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა იდუმალი მნიშვნელობით, შინაგანი მხურვალეებით იყო განმსჭვალული. გოგონას ერთდროულად აწვალებდა ვნებაც და ზიზღიც, და როცა ხედავდა ან გრძნობდა, გოლდმუნდის მუხლი მაგიდის ქვეშ სხვის მუხლს ეხებაო, ისე კრთოდა, თითქოს თავად ყოფილიყო ის სხვა. თითქმის მთელი ღამე თეთრად გაათენა, საკუთარი გულის ბაგაბუგს უსმენდა. დარწმუნებული იყო, ისინი

ერთად იყვნენ ახლა, და მის გულში აღსრულდა ის, რაც იმ ორს აღკვეთილი ჰქონდა; ლიდია ხედავდა, როგორ ჩაჰკონებოდნენ ისინი ერთმანეთს, ესმოდა მათი კოცნა და მღელვარებისაგან ცახცახებდა. ერთდროულად ეშინოდა და ნატრობდა, სტუმარი კაცი თავს წასდგომოდა შეყვარებულებს და საზიზღარი გოლდმუნდისათვის გულში ჩაეცა დანა.

გათენდა. ნოტიო ქარი ქროდა. სტუმარმა მასპინძლის თხოვნაზე – ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყვნენ – უარი თქვა. ლიდია ანგარიშმიუცემლად დაემშვიდობა გზად დამდგარ სტუმრებს, მთელი არსებით გოლდმუნდს აკვირდებოდა, თვალს არ აშორებდა მას. როცა სტუმარ ქალს ცხენზე შეჯდომისას გოლდმუნდმა ხელი შეაშველა, ლიდიამ იგრძნო, როგორ მყარად მოეჭდო მისი ფართე ხელისგული ქალის ფეხს და წამით ასე ეჭირა.

სტუმრები წავიდნენ. გოლდმუნდიც თავის სამეცადინო ოთახს დაუბრუნდა. სულ რაღაც ნახევარ საათში ქვემოდან ლიდიას მბრძანებლური ხმა მოესმა, გაიგონა, როგორ გამოუყვანეს ცხენი. რაინდი ფანჯარასთან მივიდა, ღიმილით გადააქნია თავი. ორივემ თვალი გააყოლა ლიდიას, რომელმაც ცხენზე ამხედრებულმა დატოვა ეზო და მალე თვალს მიეფარა. იმ დღეს სამუშაო კარგად არ წაუვიდათ, გოლდმუნდი საქმეს გულს ვერ უდებდა; კეთილმა რაინდმაც ჩვეულებრივზე ადრე დაითხოვა.

გოლდმუნდი შეუმჩნევლად გავიდა ცხენით ეზოდან. შემოდგომის ნისლიანი



დღე იყო. წინ ცივი და სველი ქარი შემოეგება. სწრაფად გაქუსლა, იგრძნო, ცხენი თანდათან როგორ გახურდა, თვითონაც სისხლი აუჩქეფდა. ნაწვერალ მინდვრებში, ხრიოკში, ხან სერ-სერ, ხან ისლიან ჭაობში მიაგელვებდა ცხენს, მურყნარი და ფიჭვნარი გაიარა, ღრმად ისუნთქავდა ნესტიან ჰაერს, ბოლოს ისევ ტრიალ მინდორზე გავიდა.

მაღალი ბორცვის თხემზე, ნათელ, ნაცრისფერ ცის ფონზე მკაფიოდ გამოკვეთილ ლიდიას ფიგურას მოჰკრა თვალი; მაღლა ამხედრებულს, წელგამართულს, წელი ჩორთით მიჰყავდა ცხენი. გოლდმუნდი მისკენ გაქანდა. როგორც კი მდევარი შენიშნა, ლიდიამ ცხენს ქუსლი ჰკრა და გააჩენა; ხან მიიმალებოდა, ხან კვლავ გამოჩნდებოდა ქარში თმაგაშლილი.

როგორც ნადავლს, ისე მისდევდა გოლდმუნდი, მკერდში გული უცინოდა, ხმადაბალი, ალერსიანი შეძახილით ამხნევებდა ცხენს, მიაჩენებდა და თან თვალწინ ჩაქროლილ ბუნების სურათებს – დაყვავილებულ მინდვრებს, მურყნარს, ნეკერჩხლებს, ტბორების თიხიან ნაპირს – აღიქვამდა. მერე ისევ თავისი სამიზნესკენ, მშვენიერი მონავარდისაკენ გაექცეოდა თვალი. სადაცაა დაენოდა კიდევ.

გოლდმუნდი რომ მიუახლოვდა, ლიდიამ უცებ შეანელა ნაბიჯი. მდევრისაკენ არც იხედებოდა. ამაყად, გულგრილად მიიწევდა წინ, ვითომც არაფერიო. გოლდმუნდი დაეწია, გვერდით ამოუდგა. მშვიდად, მიჯრით მიაბიჯებდა ორივე ბედაური, თუმცა ცხენებიცა და მხედრებიც ჯერ კიდევ ჭენების ჟინით ხურდნენ.

- ლიდია! - ხმადაბლა მიმართა.

გოგონას პასუხი არ გაუცია.

- ლიდია!

გოგონა კვლავ დუმდა.

- რომ იცოდე, ლიდია, რა ლამაზი იყავი, შორით მქროლავს რომ გხედავდი. შენი გაშლილი თმა ოქროს ელვასავით ბრწყინავდა. ო, რა მშვენიერი იყო! რა კარგი იყო, რომ გამეჩეცი!

მაშინღა მივხვდი, რომ ცოტათი მაინც გიყვარვარ.

აქამდე არ ვიცოდი, გუშინ სადამოს თითქოს ვიგრძენი რაღაც, მიხვედრით კი მხოლოდ ახლა მივხვდი, - როცა ჩემგან გაქცევა სცადე, - რომ გიყვარდი. ლამაზო, საყვარელო, დაიღლებოდი, ჩამოვხდეთ ცოტა ხნით!

გოლდმუნდი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან და ლიდიას ცხენს სადავე მოქაჩა, ისევ არ გამეჩეცესო. სახეგაფითრებული იყურებოდა ლიდია; როცა გოლდმუნდმა ცხენიდან ჩამოსვა, ტირილი წასკდა. ვაჟმა მზრუნველად, ნაზად დასვა ბალახზე.

ლიდია იჭდა და ცრემლებს ებრძოდა, მამაცად იბრძოდა და ბოლოს მოერია თავს.

- აჰ, რა ცუდი ყოფილხარ! - ძლივს წარმოთქვა, როცა ოდნავ დამშვიდდა.

- განა ასე ცუდი ვარ?

- ქალების მაცდუნებელი ხარ, გოლდმუნდ, ეს რა უსირცხვილო სიტყვები მითხარი წელან. არ გეკადრება ჩემთან ასეთი ლაპარაკი. რამ გაფიქრებინა, რომ მიყვარხარ? დავივიწყოთ ეს ყველაფერი! მაგრამ როგორ დავივიწყო, რაც ჩემმა თვალებმა გუშინ საღამოს ნახეს?

- გუშინ საღამოს? მაინც რა ნახე ასეთი?

- აჰ, ნუ თვალთმაქცობ! დაგავიწყდა, რა უსინდისოდ ექცეოდი იმ ქალს ჩემ თვალწინ? უსირცხვილოდ ეფერებოდა ფეხით მაგიდის ქვეშ, ჩვენი მაგიდის ქვეშ! თანაც ჩემი თანდასწრებით!

ახლა კი მოდიხარ ჩემთან, რადგან ის წავიდა.

ნუთუ მართლა ასეთი უსირცხვილო ხარ?

გოლდმუნდი უკვე ნანობდა წელან ნათქვამ სიტყვებს. რა სისულელეა!



სიყვარულს რად უნდა სიტყვები, სჯობდა გაჩუმებულიყო.

აღარაფერი უთქვამს გოლდმუნდს. ლიდიას გვერდით დაიჩოქა.

მისი უმწეობა და სილამაზე რომ დაინახა, მასაც გადაედო ლიდიას წუხილი, მაგრამ მის ტკივილით ათრთოლებულ ბაგეებზე, მის თვალებში მაინც სიყვარულს კითხულობდა და ამ თვალების უფრო სჯეროდა, ვიდრე სიტყვებისა.

ლიდია პასუხს ელოდა. რაკი პასუხი ვერ მიიღო, თვალცრემლიანმა გაუმეორა: «მართლა უსირცხვილო ხარ?» – მაპატიე, – თქვა გოლდმუნდმა მორჩილებით, – ჩვენ ახლა ისეთ საკითხზე ვლაპარაკობთ, რაზეც არ უნდა ილაპარაკო.

ჩემი ბრალია, მაპატიე! შენ მეკითხები, მაქვს თუ არა სირცხვილის გრძნობა. როგორ არა, ნამდვილად მაქვს.

მაგრამ მე ხომ შენ მიყვარხარ, სიყვარულმა კი სირცხვილი არ იცის, ნუ გამიჯავრდები!

ლიდია თითქოს ყურს არ უგდებდა, მდუმარედ გაჰყურებდა სივრცეს. გოლდმუნდი არასოდეს ჩავარდნილა ასეთ მდგომარეობაში; სიტყვების ბრალი იყო ყველაფერი.

ფრთხილად ჩამოდო თავი ლიდიას მუხლზე და იგრძნო, როგორ ეამა ეს შეხება, მაგრამ რაღაცნაირი გაურკვეველობა და სევდა დაეუფლა. ლიდიაც თითქოს ჯერ კიდევ დარდობდა, გახევებული მდუმარედ გაჰყურებდა შორეთს. ო, რა დიდი კდემა და უსასრულო ნალველი შემოსწოლოდა! გოგონას მუხლზე სიყვარულით დაადო ლოყა, მუხლმაც ნაზად, მადლიერებით მიიღო მისი ალერსი. გოლდმუნდმა თვალები დახუჭა და ნელ-ნელა, ტკივილნარევი სიხარულით აღიქვა ამ ნორჩი, კეთილქმნილი არსების ჩამოქნილი ფეხები, რომელთა ფორმაც ასე ზუსტად შეესაბამებოდა მის ლამაზ, მკაცრად ჩამოთლილ, ვარდისფერფრჩხილებიან თითებს.

მადლიერებით აღვსილი ნაზად ეფერებოდა გოგონას მუხლს.

უცებ იგრძნო, რა ფრთხილად და მსუბუქად შეუცურდა თმაში საყვარელი ხელი; წყნარად და მიამიტად ეფერებოდა თმაზე.

ნაზი თითები გაუბედავად ესაუბრებოდა მის კულულებს.

ეს ენა ბავშვური იყო და შიშნარევი, მაგრამ ეს იყო სიყვარულის ენა. გოლდმუნდი ტკბებოდა ლიდიას ალერსით.

- უკვე დროა. წავიდეთ, - თქვა უცებ ლიდიამ.

გოლდმუნდმა თავი ასწია, ნაზად შეხედა და სათუთად დაუკოცნა გრძელი თითები.

- ადექი, გეთაყვა, შინ წავიდეთ.

გოლდმუნდი დაჰყვა მის სურვილს, ცხენებზე შესხდნენ და წავიდნენ. ვაჟს გული ბედნიერებით ავსებოდა. რა მშვენიერი იყო ლიდია, ბავშვივით სუფთა და ნაზი! ჯერ არც კი ეკოცნა, მაგრამ მისგან მაინც მიიღო უკვე ჯილდო. სწრაფად მიდიოდნენ ცხენებით, ჭიშკართან ლიდია შეშინდა: «ერთად არ უნდა მოვსულიყავით, რა სულელები ვართ!» ბოლო წამს, როცა ცხენებიდან ჩამოხდნენ და მეჭინბემ მათთან მოირბინა, აგზნებულმა ლიდიამ გოლდმუნდს სწრაფად უჩურჩულა ყურში: «მითხარი, წუხელ იმ ქალთან იყავი?» გოლდმუნდმა უარის ნიშნად რამდენჯერმე გააქნია თავი და ცხენს აღვირი აჰყარა.

ნასადილევს, როცა რაინდმა სამუშაო დაამთავრა და წავიდა, ლიდიამ სამეცადინო ოთახში ამოყო თავი.

- ნამდვილად? - ჰკითხა შემოსვლისთანავე, და გოლდმუნდიც მაშინვე მიხვდა, რას ეკითხებოდნენ. - მაშ, რატომ ეთამაშებოდი ასე საძაგლად იმ ქალს, რატომ შეაყვარე თავი?



- ყველაფერი შენ გამო გავაკეთე, - მიუგო გოლდმუნდმა, - მერწმუნე, ათასჯერ მეტი სიყვარულით შევუხებოდი შენს ფეხს, ვიდრე მისას. მაგრამ შენი ფეხი არ გამკარებია და არც უკითხავს, მიყვარხარ თუ არა.

- მართლა გიყვარვარ, გოლდმუნდ?

- ო, დიახ.

- მერე, რა გველის?

- არ ვიცი, ლიდია. მე ეს არ მაღელვებს. მე ბედნიერებით მავსებს შენი სიყვარული, ხოლო რა გველის, ამაზე არ ვფიქრობ.

მიხარია, როცა ცხენზე ამხედრებულს გხედავ, როცა შენი ხმა მესმის, როცა შენი ხელი ჩემს თმას ეხება.

უფრო გამიხარდება, თუ კოცნის ნებას დამრთავ.

- მხოლოდ საცოლის კოცნა შეიძლება, გოლდმუნდ. განა ამაზე არ გიფიქრია?

- არა. რატომ უნდა მეფიქრა? შენ ხომ ჩემი საცოლუ ვერასოდეს გახდები.

- ვიცი, რომ ჩემი ქმარი არ გახდები, ჩემთან სამუდამოდ არ დარჩები, ამიტომაც არ მიმაჩნია მართებულად, სიყვარულზე რომ მელაპარაკები. შენ ალბათ დარწმუნებული ხარ, რომ მაცდუნებ.

- არა, არც მიფიქრია, ლილია. მე საერთოდ ძალიან ცოტას ვფიქრობ, არაფერი მინდა შენი ერთი კოცნის გარდა.

რამდენს ვლაპარაკობთ. შეყვარებულები ასე არ იქცევიან.

ასე მგონია, შენ არ გიყვარვარ.

- დღეს დილით სულ სხვა რამ მითხარი.

- შენც სულ სხვანაირად მოიქეცი.

- მე? რას გულისხმობ?

- ცხენით მომავალი რომ დამინახე და გამექეცი, მაშინ ვიფიქრე, ვუყვარვარ-მეთქი. მერე ატირდი და ამასაც ჩემდამი სიყვარული დავარქვი. მერე შენს მუხლზე ლოყადადებულს თმაზე მეფერებოდი და ესეც ჩემდამი სიყვარულს მივანერე. ახლა კი სასიყვარულოს არაფერს სჩადი.

- მე ის ქალი არა ვარ, გუშინ ფეხზე რომ ეფერებოდი.

გეტყობა, ასეთ ქალებს მიჩვეული ხარ.

- არა, მადლობა ღმერთს, შენ მას ბევრად ჯობიხარ, უფრო ლამაზი და ნაზი ხარ.

- მე მაგას არ ვგულისხმობ.

- ჰო, მაგრამ ეს ასეა. განა არ იცი, რა ლამაზი ხარ?

- სარკე მაქვს.

- მერე? არ დაგინახავს შენი შუბლი, ლიდია, მხრები, ნატიფი თითები, მუხლები? არ შეგიმჩნევია, რა უნაკლოა ეს ყველაფერი, როგორ შვენის ერთმანეთს, როგორ ქმნის ერთ სრულყოფილ, დახვეწილ, ჩამოქნილ ფორმას?

- როგორ ლაპარაკობ! არა, ეს ყველაფერი არასოდეს დამინახავს.

მაგრამ ახლა, როცა მეუბნები, ვხვდები, რასაც გულისხმობ.

მაცდური ხარ, გოლდმუნდ, ჩემი მოთაფლვა გინდა.

- სამწუხაროდ, ამის გაკეთება ნამდვილად არ შემიძლია.



ან რატომ უნდა ვცდილობდე შენს მოთაფლვას? შენ ლამაზი ხარ და მინდა დაგანახო, რომ ამისათვის მადლობელი ვარ.

შენ მაიძულებ, ეს გრძნობა სიტყვებით გამოვხატო. ათასჯერ უფრო კარგად შევძლებდი ამის თქმას უსიტყვოდ. სიტყვებით არ შემოიძლია დაგასაჩუქრო. სიტყვებით ვერც შენგან ვისწავლი რამეს და ვერც ვერაფერს გასწავლი.

- რა უნდა ვისწავლო შენგან?

- მე შენგან უნდა ვისწავლო, ლიდია, და შენ ჩემგან. მაგრამ შენ ეს არა გსურს. შენ მხოლოდ იმ კაცის სიყვარული გინდა, ვისი საცოლევ იქნები. მას კი გაეცინება, როცა დაინახავს, რომ არაფერი გისწავლია, კოცნაც კი.

- მაშასადამე, კოცნაში გინდა გამომანართო, ბატონო მაგისტრო?

გოლდმუნდმა გაუღიმა. თუმცა ლიდიას სიტყვები არ მოეწონა, მათ მიღმა ლიდიას ნაზ, გამოუცდელ ბუნებას ხედავდა, რომელიც მოზღვავენულ ვნებათაგან თავის დაცვას ცდილობდა.

გოლდმუნდი აღარ შეპასუხებია, ღიმილით უყურებდა ლიდიას აფორიაქებულ თვალებს, რომლებიც ნელ-ნელა დამორჩილდნენ მას. წყნარად მიუახლოვა სახე და ფრთხილად შეეხო მის ტუჩებს. ლიდიამ პატარა, ბავშვური კოცნით

უპასუხა და ტკივილნარევი გაკვირვებისგან შეკრთა, როცა გოლდმუნდმა აღარ გაუშვა. ვაჟი ნაზად დაეძებდა მის პირბაგეს, სანამ ლიდიამ გაუბედავად, ყოყმანით კვლავ არ უპასუხა.

მონუსხული სწავლობდა გოგონა კოცნის ხელოვნებას, ვიდრე არ დაიღალა და თავი მხარზე არ ჩამოადო ვაჟს. ბედნიერებით მთვრალი გოლდმუნდი ისრუტავდა ლიდიას ქერა თმის სურნელს და ყურში ნაზ, დამამშვიდებელ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ამ წუთებში რატომღაც ბოშა ლიზე გაახსენდა.

სწორედ ამ ბოშა ქალმა შეასწავლა მას სიყვარულის საიდუმლოებანი. ო, რა შავი თმა ჰქონდა, რა გარუჯული კანი, რა მწველი იყო მზე და რა დამათრობელი კრაზანას სურნელი! და რა შორს იყო ეს ყველაფერი ახლა, როგორ გასვლოდა ყავლი და ფერები იმ სიყვარულს.

ნელა წამოიმართა სახეშეცვლილი ლიდია, ფართოდ გახელილ თვალებში სიყვარული ჩასდგომოდა:

- ახლა ნავალ, გოლდმუნდ, დიდხანს დავრჩი შენთან.

ჩემო საყვარელო!

ისინი ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. გოლდმუნდი უცნაური ბედნიერებით აღავსო ამ გოგონას სიყვარულმა.

ლიდიას შეეძლო მთელი საათი ხელში სჭეროდა გოლდმუნდის ხელები, შეეძლო თვალებში ეცქირა და მერე ბავშვური კოცნით დამშვიდობებოდა. ხანდახან ვნებით და დაუღალავად კოცნიდა. ერთხელ, მთლად ალენილმა, მკერდი უჩვენა: დარცხვენით ამოაპარა გულისპირიდან პატარა თეთრი კოკორი.

როცა ვაჟი დაიხარა და აკოცა, სწრაფად დაიფარა.

ხშირად საუბარში კლავდნენ დროს, ერთმანეთს გაუთამამდნენ და სახელებიც შეარქვეს. ლიდია გატაცებით უყვებოდა ვაჟს თავის ბავშვობაზე, ოცნებებზე. იმასაც ხშირად ეუბნებოდა, კარგი არ არის, ერთმანეთი რომ გვიყვარს, რაკი ცოლად ვერასოდეს შემიერთავო. სევდით და მორჩილებით ამბობდა ამას და ეს იდუმალი სევდა შავი რიდესავით ამშვენებდა მათ სიყვარულს.

პირველად იგრძნო გოლდმუნდმა ქალისაგან არა მარტო სურვილი, არამედ სიყვარულიც.

ერთხელ ლიდიამ უთხრა: «შენ ძალიან ლამაზი ხარ და მუდამ მხიარული ჩანხარ, მაგრამ თვალები სულ არა გაქვს მხიარული, იქ მხოლოდ წუხილი ჩამდგარა. თითქოს შენმა თვალებმა იცოდნენ, რომ ბედნიერება არ არსებობს, რომ ყოველივე მშვენიერი და საყვარელი წარმავალია და დიდი ხნით არ რჩება ჩვენთან. შენ ყველაზე ლამაზი თვალები გაქვს და ყველაზე



სევდიანი. ალბათ იმიტომ, რომ უსამშობლო ხარ. შენ ტყიდან მოხვედი ჩემთან და კვლავ ტყეში წახვალ. ჩემი სამშობლო კი სადღაა? შენ წახვალ, მე მამასთან და დასთან დავრჩები, მექნება ოთახი, სარკმელი და შენზე ფიქრები, მაგრამ სამშობლო არ მექნება.» გოლდმუნდი მდუმარედ უსმენდა, ხანდახან უღიმოდა, ხანდახან წუხდა. სიტყვით არასოდეს ანუგეშებდა, მხოლოდ ეფერებოდა, თავს მკერდზე მიადებდა და ხმადებლა რაღაცას ზუზუნებდა, ზუსტად ისე, როგორც მტირალ ბავშვებს უსიტყვოდ უმღერიან ხოლმე ძიძები დასაყუჩებლად. ერთხელ ლიდიამ უთხრა: «ნეტა რა ბედი გელის, გოლდმუნდ.

ხშირად მიფიქრია ამაზე. შენ ჩვეულებრივი, იოლი ცხოვრება არ გექნება. აჰ, ნეტავ კარგად წაგივიდეს საქმე! ზოგჯერ მგონია, რომ პოეტი გახდები, მეოცნებე და ლამაზად გამომხატველი შენი სათქმელის. მთელ ქვეყანას მოივლი, ქალებს ეყვარები, და მაინც მარტოსული იქნები. სჯობს კვლავ მონასტერში დაბრუნდე შენს მეგობართან, ვისზედაც ამდენი რამ გიამბია ჩემთვის! მე ვილოცებ შენთვის, რათა სიკვდილი ტყეში მარტოს არ წამოგეწიოს.» ხანდახან ასე ლაპარაკობდა ლიდია, ღრმად ჩაფიქრებული, თვალგაშტერებული; მაგრამ ცოტა ხანში უკვე სიცილით მიაგელვებდა ცხენს გოლდმუნდის გვერდიგვერდ გვიანი შემოდგომის წიაღში, შექცეულ სახუმარო გამოცანები ეთქვა ან ჩამოცვენილი ფოთლები და რკო დაეყარა მისთვის თავზე.

ერთხელ გოლდმუნდს არა და არ მიეკარა ძილი. გული ნეტარი ტკივილით ავსებოდა, მძიმედ უცემდა მკერდში სიყვარულით, სევდითა და გაურკვევლობით სავსე. უსმენდა, ნოემბრის ქარი როგორ ეჭაჭურებოდა სახურავს. ლამის უკვე ჩვევად ექცა გვიანობამდე არ დაეძინა. წყნარად წარმოთქვა ღვთისმშობლის საგალობელი:

*Tota pulchra es Maria, et macula orifinalis non est in te.  
Tu laetitia Israel, tu advocata pectorum!*

სინაზით ავსებდა მის სულს ეს საგალობელი. გარეთ კი ქარი მღეროდა შფოტსა და მოგზაურობაზე, ტყეზე, შემოდგომაზე, უსახლკაროთა ცხოვრებაზე. გოლდმუნდი ლიდიამდე ფიქრობდა, ფიქრობდა ნარცისზე და დედაზე, შინაგან წუხილს დაემძიმებინა მისი გული.

უცებ შეკრთა და ურწმუნოდ მიაშტერდა ოთახის კარს:

კარი გაიღო, სიბნელეში გრძელ, თეთრ პერანგში გახვეული ლანდი გაკრთა. ლიდია უხმაუროდ შემოვიდა ოთახში, ფეხშიშველამ ფრთხილად მიხურა კარი და გოლდმუნდის საწოლზე ჩამოჯდა.

- ლიდია, ჩემო ნუკრო, ჩემო თეთრო ყვავილო! ლიდია, რას აკეთებ?

– შენთან მოვედი მხოლოდ ერთი წამით. კიდევ ერთხელ მინდა ვნახო ჩემი საყვარელი გოლდმუნდი თავის საწოლში.

გვერდით მიუწვა. გული ძალუმად უძგერდა ორივეს. ლიდიამ კოცნის ნება დართო, გოლდმუნდის ხელები გაკვირვებითა და აღფრთოვანებით ეფერებოდა მის სხეულს. ცოტა ხანში ლიდიამ ფრთხილად მოიცილა გოლდმუნდი, თვალები დაუკოცნა და ისევე უხმოდ და სწრაფად გაქრა, როგორც მოვიდა.

კარმა გაიჭრიალა, სხვენზე ქარი ბუზუნებდა. ირგვლივ ყოველივეს იდუმალება, შიში და მექარა დაუფლებოდა.

გოლდმუნდს ვერ მოესაზრებინა, რა ხდებოდა... რომ გამოეღვიძა, ნახა, მისი ბალიში ცრემლებს დაესველებინა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გამოეცხადა ის ტკბილი და თეთრი მოჩვენება და ლამის ნახევარი საათი მასთან დაჰყო.

გოლდმუნდის მკლავებში მოქცეული, ათას რამეს უჩურჩულებდა ყურში, ბევრი ჰქონდა მოსაყოლი, ბევრი საჩივარი.

გოლდმუნდი უსმენდა, ლიდია მარცხენა მკლავზე ესვენა, მარჯვენა ხელით ნაზად ეფერებოდა მუხლზე.



- გოლდმუნდ, - ეუბნებოდა ლიდია ხმადაბლა და ლოყაზე ეკვროდა, - რა ცუდია, რომ შენი ვერ გავხდები. ჩვენს პატარა ბედნიერებას დიდი დრო აღარ უწერია, ჩვენს საიდუმლოს საფრთხე ელის. იულია, მგონი, ხვდება რაღაცას.

ადრე თუ გვიან ყველაფერს მათქმევინებს; ან მამაჩემი შეამჩნევს რამეს. მან რომ შენთან საწოლში მნახოს, ჩემო პატარა ოქროს ჩიტო, შენი ლიდიას საქმე ცუდად წავა; - თავის შეყვარებულს ხეზე ჩამოკიდებულს და ქარში მოქანავს ნახავს. - აჰ, უნდა გაიქცე. ახლავე უნდა გაიქცე, თორემ მამაჩემი გაგკოჭავს და ჩამოგახრჩობს. ერთხელ უკვე ვნახე ჩამოხრჩობილი ქურდი. არ ვიცი, რა მომივა, შენ რომ ხეზე ჩამოკიდებული დაგინახო. უნდა გაიქცე, უნდა დამივიწყო, გოლდ, თუ არ გინდა მოკვდე და ეგ ცისფერი თვალები ჩიტებმა ამოგიკორტონ! მაგრამ, რას ვამბობ, ჩემო ძვირფასო, სად უნდა წახვიდე, რა მეშველება, მართო რომ დამტოვებ?!

- ჩემთან ერთად წამოსვლა არ გინდა, ლიდია? ერთად გავიქცეთ, ქვეყანა დიდია!

- კარგი იქნებოდა, აჰ, რა კარგი იქნებოდა შენთან ერთად ქვეყნიერების ნახვა! მაგრამ მე ტყეში ძილი და ხეტიალი არ შემიძლია, უსახლკაროდ ყოფნა არ შემიძლია. ბალახბულახით ამოვსებულ თმას ვერ ავიტან. არც ის შემიძლია, მამა შევარცხვინო. ნუ, ნურაფერს მეტყვი, ნამდვილად ასეა!

ოდნავ ჭუჭყიანი თეფშიდანაც კი ვერ შევვამ საჭმელს და ვერც კეთროვანის ლოგინში ჩავწვები. აჰ, ჩვენ ბედნიერება გვეკრძალება, ჩვენ ტანჯვისთვისა ვართ გაჩენილნი. გოლდ, ჩემო საბრალო ბიჭო, ბოლოს მაინც ჩამომხრჩვალს გხედავ.

მე კი ჩამკეტავენ და შემდეგ მონასტერში გამამწყვდიან. უსაყვარლესო, უნდა დამტოვო, ისევ ბოშებთან და გლეხის ქალებთან ჰპოვო ბინა. აჰ, წადი, წადი, ვიდრე დაგიჭერდნენ და გაგკოჭავდნენ! ჩვენ არასოდეს ვიქნებით ბედნიერნი, არასოდეს.

ვაჟი მდუმარედ ეალერსებოდა ფეხზე, ნაზად შეეხო მის საშოს და მუდარით უთხრა: – ჩემო ყვავილო, ჩვენ შეგვიძლია ძალიან ბედნიერები გავხდეთ. ნუთუ არა გვაქვს ამის უფლება?

ლიდია არ გაბრაზებულა, მაგრამ გოლდმუნდის ხელი მოიშორა და ოდნავ განზე გაიწია.

– არა, არა, არ შემიძლია, ჩემთვის არ შეიძლება. შენ, ბოშა ბიჭო, ამას ვერ მიხვდები. მე ცუდი გოგო ვარ, მთელ ჩემს ოჯახს ვარცხვენ. მაგრამ სულის სიღრმეში ჯერ კიდევ ამაყი ვარ. ჩემს სულში ვერავინ შეაღწევს. ჩემს სულს ნუ შეეხები, თორემ შენთან ოთახში ვეღარასოდეს მოვალ.

გოლდმუნდი უსიტყვოდ ემორჩილებოდა ლიდის ყოველ სურვილს, ყოველ ბრძანებას, ყოველ მინიშნებას. თვითონაც უკვირდა, რომ ლიდის ესოდენ დიდი ძალაუფლება მოეპოვებინა მასზე. გოლდმუნდი იტანჯებოდა, მისი წადილი დაუკმაყოფილებელი რჩებოდა, მისი გული ხშირად უჯანყდებოდა ლიდის გავლენას. ხანდახან გათავისუფლებას ცდილობდა, ხანდახან პატარა იულიას მოსახიბლად ძალას არ იშურებდა და დახვეწილი ქათინაურებით მის მოჯადოებას ლამობდა – რაც თავისთავად აუცილებელი იყო, რადგან იულიას კეთილგანწყობის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

უცნაური იყო იულიასადმი გოლდმუნდის დამოკიდებულება, ამ პატარა გოგოსადმი, რომელიც ხან მეტისშეტად მიაშიტი ჩანდა, ხან კი ყოვლისმცოდნე. იულია უდავოდ ლიდიაზე უფრო ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი, და ეს სილამაზე, იულიას ბავშვურ უცოდველობასთან ერთად, ძლიერ იზიდავდა გოლდმუნდს, რომელიც ხშირად უგონოდ იყო იულიაზე შეყვარებული.

მაგრამ სწორედ ამ ხიბლის ძალამ აღმოაჩენინა გაოცებულ გოლდმუნდს განსხვავება ლტოლვასა და სიყვარულს შორის. თავიდან ორივე და მოსწონდა, ორივესკენ ილტვოდა, თუმცა იულია უფრო ლამაზი და მაცდუნებელი ერყვნებოდა. ორივეს მოხიბლვა სურდა განურჩევლად და ორივეზე გამუდმებით თვალი ეჭირა. ახლა კი გამოდის, რომ ლიდიამ დაიმორჩილა! ახლა გოლდმუნდს ლიდია ისე ძლიერად უყვარდა, რომ მზად



იყო უარი ეთქვა თავისი წადილის ასრულებაზე. ლიდიას სული მისთვის ნაცნობი და ახლობელი შეიქნა, მისი გულუბრყვილობა, სინაზე და მარტოსულობისაკენ სწრაფვა საკუთარ ბუნებას აგონებდა. ხშირად განცვიფრებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა, როცა ამჩნევდა, თუ რა ჰარმონიულად ერწყმოდა ეს სული ლიდიას სხეულს.

ლიდიას ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი, ყოველი სურვილი, იმავე ბეჭდით იყო დაღდასმული, რაც მისი თვალების ჭრილი, მისი თლილი თითების ფორმა.

ხანდახან, როცა ეჩვენებოდა, რომ ლიდიას სულისა და სხეულის ერთიანობის არსს ჩანვდა, გოლდმუნდი თავისი შთაბეჭდილების ქაღალდზე გადმოტანას ცდილობდა. კალმის ერთი მოსმით ხან თავის მოყვანილობა გამოჰყავდა, ხან წარბის ხაზი, ხელი ან მუხლი. მერე ამ ნახატებს საგულდაგულოდ მალავდა.

იულიასთან ურთიერთობა გართულდა. იულია ხედავდა სიყვარულის ტალღას, რომელშიც მისი უფროსი და ცურავდა, მისი გრძნობა ცნობისმოყვარედ უტრიალებდა ამ აყვავებულ წალკოტს, თუმცა გონებით ჯიუტად უარყოფდა ამას.

გოლდმუნდს ხან ცივად ხვდებოდა, ხან კი ავიწყდებოდა სიმკაცრე და გაოცებული და სურვილიანი თვალებით აკვირდებოდა.

ლიდიას ნაზად ეპყრობოდა, გვერდით საწოლში მძინარისაგან მალული სიხარბით შეისუნთქავდა სიყვარულის სურნელს, ელოლიაგებოდა სქესის აკრძალულსა და მომხიბლავ საიდუმლოს. სხვა დროს ლამის შეურაცხმყოფელი სიცხადით აგრძნობინებდა უფროს დას, შენს უსაქციელობას ვხედავ და მეზიზღებაო. ეს ლამაზი და ჭირვეული ბავშვი გამუდმებით შორი-ახლოს უტრიალებდა შეყვარებულ წყვილს, გამომწვევი და ხელისშემშლელი; მალულად და ხარბად უსინჯავდა გემოს მათ სანუკვარ საიდუმლოს. ხან თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, ხან სახიფათოდყოვლისმცოდნე ჩანდა; ძალიან სწრაფად პატარა ბავშვიდან საშიშ ძალად გადაიქცა.

ამ ამბავმა ლიდიას უფრო მეტი სატანჯველი გაუჩინა, ვიდრე გოლდმუნდს, რომელიც პატარა გოგონას მარტოოდენ სუფრასთან თუ ხედავდა. ლიდიას არც ის ამბავი გამოპარვია, რომ გოლდმუნდი იულიას მისდამი ლტოლვას გრძნობდა და პასუხობდა კიდევ, არაერთხელ შეუმჩნევია, რა სიყვარულითა და ნდომით შესცქეროდა ხოლმე მას გოლდმუნდიც, მაგრამ ვერაფერი ეთქვა. ირგვლივ დამძიმდა ყველაფერი, ყველაფერი საშიში გახდა, იულიას უსიამოვნება უნდა ასცდენოდა.

ყოველ დღესა და ყოველ საათს ელოდა, რომ მისი საიდუმლო სიყვარული გამჟღავნდებოდა, რომ მისი ტკბილმწარე ბედნიერებაც დასრულდებოდა და იქნებ საბედისწეროდაც კი დასრულებულიყო.

გოლდმუნდს ზოგჯერ უკვირდა, რატომ აქამდე არ გავექეცი აქაურობასო, უძნელდებოდა ასე ცხოვრება; უიმედო სიყვარული, აკრძალული და ხანმოკლე ბედნიერება, სურვილების აუსრულებლობა, რასაც აქამდე სულაც არ იყო შეჩვეული – გაღიზიანება, დაუკმაყოფილებელი ლტოლვა და თანაც მუდმივი შიში – რითი იყო ასეთი ცხოვრება სახარბიელო, ნეტავ რა აკავებდა აქ, რითი იზიდავდა აქაურობა, რატომ იტანდა ამ სირთულეებსა და გრძნობათა ჭიდილს?

ასეთი განცდები და გრძნობები ხომ მხოლოდ საკუთარ ჭერქვეშ თბილად მოკალათებულ წესიერ ადამიანებს გააჩნიათ?

უსამშობლოსა და უმიზნო კაცს განა არ შეეძლო ამ მყუდრო და ამავე დროს რთულ გარემოს გაშორებოდა, მისგან დაცივნას მორიდებოდა? შეეძლო, ნამდვილად უგუნურება იყო სამშობლოს ძებნა და ამის გამო ამდენი ტკივილსა და სირცხვილის ატანა. არ ეშვებოდა აქაურობას, სიამოვნებას ჰგვრიდა ეს ტანჯვა, ის კი არადა, სადღაც სულის სიღრმეში ბედნიერიც კი იყო. ეს სულელური, მძიმე, რთული და დამღლევი სიყვარული მაინც საოცარი გახლდათ თავისი თანმდევი იდუმალი და ნეტარი მწუხარებით, სიგიჟითა და უიმედობით; მაინც მშვენიერი იყო უძილო, ფიქრიანი ღამეები, ისეთივე მშვენიერი და ძვირფასი, როგორც ლიდიას ამბორი, როგორც გულში ჩამწვდომი ჟღერა მისი ხმისა, როცა იგი თავის სიყვარულსა და დარდზე ლაპარაკობდა. და ეს ყოველივე, ეს დიდი ვნებათაღელვა სულ ორიოდ



კვირის განმავლობაში ჩაუსახა და აგრძნობინა ვაჟს ლიდიას ნორჩმა სახეებამ, მისმა სრულქმნილებამ. აკი შეეცადა კიდევ გოლდმუნდი, კალმით გადმოეცა მისი სინორჩე და სილამაზე.

გოლდმუნდმა იგრძნო, თავად როგორ შეიცვალა ამ რამდენიმე კვირაში: შესაძლოა უფრო ჯკვიანი არ გამხდარა, მაგრამ უფრო მეტი გამოცდილება ნამდვილად შეიძინა; შესაძლოა უფრო ბედნიერიც არ გამხდარა, მაგრამ უფრო მეტად რომ მომწიფდა და სულიერად გამდიდრდა, ამას წყალი არ გაუვიდოდა: გოლდმუნდი ბავშვი აღარ იყო.

გულში ჩამწვდომად უთხრა ერთხელ ლიდიამ: «შენ არ უნდა იდარდო ჩემი გულისთვის, მე შემეძლო გამემხიარულებინე და გამეხედნიერებინე, მაგრამ მაპატიე, თუ ტკივილი მოგაყენე, თუ მხოლოდ შიში და დარდი გარგუნე. უცნაური სიზმარი ვნახე წუხელ: ვითომ უდაბნოში დავდიოდი, სიტყვებით ვერ აღვწერ, ისეთი დიდი და ჩაშავებული უდაბნო იყო, დავბორიალობდი, შენ გეძებდი ვითომ, მაგრამ ამაოდ.

ვიცი, დაგკარგე და ალბათ მუდამ ასე მარტო ვიბორიალებ შენს ძებნაში. ჰოდა, რომ გამომეღვიძა, გამეხარდა: რა კარგია, რა დიდებულია, რომ ის ჯერ კიდევ აქ არის და ვნახავმეთქი.

მართალია, ერთი-ორი კვირა თუ ერთი-ორი დღე მოგვიწევს ერთად ყოფნა,

მაგრამ მაინც კარგია, რომ ჯერ კიდევ აქ არის-მეთქი!» ერთ დილას გოლდმუნდს დილაუთენია გამოეღვიძა, ერთხანს ჩაფიქრებული იწვა, არეულ-დარეული სიზმრებიდან ჯერაც ვერ გამოსულიყო. დედა დაესიზმრა და ნარცისი.

ორივე სახეს ჯერ ისევ მკაფიოდ ხედავდა. როცა სიზმრისეულ ბურანს თავი დააღწია, ნახა, რომ სარკმლიდან უცნაური სინათლე შემოჭრილიყო ოთახში. წამოხტა, ფანჯარასთან მიირბინა და დაინახა, ირგვლივ ყველაფერი თეთრად გადაპენტილიყო:

თავლის სახურავი, ეზო და შარა პირველ თოვლს დაეფარა. ღელვით აღსავსე საკუთარ გულსა და ზამთრის ამ წყნარ, მიმზიდველ სურათს შორის არსებულმა სხვაობამ მთელი არსებით შეძრა იგი. რა მშვიდი, რა ნეტარებით სავსე ჩანდა აქაურობა: ყანა, ტყე, მთა, მდელო, რა გულისამაჩუყებელი მორჩილებით ეძლეოდა მზეს, ქარს, წვიმას, სიმშრალესა თუ თოვლს, რა ნაზი ტკივილითა და მოთმინებით ზიდავდა ზამთრის ტვირთს ნეკერჩხალი და იფანი! ნუთუ შეუძლებელია მათსავით დგომა, იქნებ გვესწავლა მათგან?

გოლდმუნდი ეზოში გავიდა, ჩაფიქრებული მიაბიჯებდა თოვლში, თოვლი აიღო მუჭით; აღტაცებული შესცქეროდა დათოვლილ ღობეს, თოვლის სიმძიმისაგან წელში მოხრილ ვარდის ბუჩქებს.

საუბმებზე ფქვილმოკიდებული წვნიანი მიირთვეს, ყველა პირველ თოვლზე ლაპარაკობდა; ყველანი – მათ შორის გოგონებიც – უკვე გასულიყვნენ ეზოში. წელს გვიან მოვიდა თოვლი, საშობაო დღეებიც მოახლოებულიყო. რაინდი სამხრეთულ ქვეყნებზე ყვებოდა, სადაც თოვლი არ იცის.

მაგრამ ის ამბავი, რამაც გოლდმუნდისათვის ზამთრის ეს პირველი დღე დაუვინყარი გახადა, მოხდა შუალამით.

იმ დღეს დებს ჩხუბი მოუვიდათ, რის შესახებაც გოლდმუნდმა არაფერი იცოდა. ღამით, როცა სახლში სიჩუმემ და სიბნელემ დაისადგურა, ლიდია შევიდა მის ოთახში და ჩვეულებისამებრ მდუმარედ მიუწვა გვერდით. თავი მკერდზე დაადო, რათა ვაჟის გულისცემა მოესმინა და ამ სიახლოვეს ენუგეშებინა.

ლიდია მოწყვნილი და შეშინებული იყო, იულიას ღალატისა ეშინოდა, მაგრამ ვერ გაბედა სატრფოსთან ეთქვა რამე ამის თაობაზე, ვაითუ ისიც ავაფორიაქო. ასე იწვნენ ისინი ერთხანს, გოლდმუნდს ესმოდა მისი ალერსიანი ჩურჩული და თვითონაც თითებს დააცურებდა ლიდიას თმაში.

უეცრად ლიდია შეშინებული წამოჭდა სანოლში და გოლდმუნდიც არანაკლებ დაფრთხა: გაღებულ კარში ლანდი დაინახეს.



გოლდმუნდი ისე იყო შემკრთალი, უცბად ვერც კი იცნო ოთახში შემოსული, ხოლო როცა მოჩვენება საწოლს მიუახლოვდა, გულაძგერებულმა მაშინლა გაარჩია სიბნელეში, რომ ეს იულია იყო. იულიამ მოსასხამი გაიძრო და იატაკზე დააგდო. თითქოს გულში დანა ჩასცესო, ლიდის ტკივილიანი კვნესა აღმოხდა და გოლდმუნდს მიეკრა.

იულიამ დამცინავად და ღვარძლიანად, მაგრამ მაინც გაუბედავად წარმოთქვა: «როდემდე ვიწვე ოთახში ასე მარტო?

არ შემიძლია. ან სამივენი ერთად დავწვეთ, ან არადა, წავალ და მამას გავალვიძებ».

- ჰო, მაშინ მოდი, - უთხრა გოლდმუნდმა და საბანი გადასწია - ფეხები გაგეყინა, ხომ?

იულია ძლივს მოთავსდა ვიწრო საწოლზე. ლიდის სახე ბალიშში ჩაერგო და არ იძვროდა. ასე იწვნენ ისინი, სამნი, გოლდმუნდი შუაში იწვა. თავის ცხოვრებაში ერთი წუთითაც ვერ წარმოიდგენდა ასეთ რამეს. არადა, სულ ცოტა ხნის წინ სწორედ ამას ნატრობდა. საოცარი შიშით, და მაინც აღფრთოვანებით გრძნობდა იულიას თეძოებს თავის გვერდით.

- ერთი უნდა ვნახო... - დაიწყო იულიამ, - რა ლოგინია ასეთი, ჩემი და რომ გიჟდება!

ლიდია რომ დაემშვიდებინა, გოლდმუნდი ნაზად შეეხო ლოყით მის თმას, ფრთხილად მიუალერსა თეძოებსა და ფეხებზე და იულიაც კატასავით გაიტრუნა. ცნობისმოყვარეობით, მდუმარედ ეტმასნებოდა მის ხელს; გრძნობაარეული მორჩილად და წინააღმდეგობის გაუნევლად ეძლეოდა მის ჯადოს. გოლდმუნდი ლიდიამეც ზრუნავდა, ყურში ათასგვარ სასიყვარულო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, ცდილობდა ლიდიას თავი აეწია როგორმე. უკოცნიდა ტუჩებსა და თვალებს.

ვიდრე გოლდმუნდის ერთი ხელი პატარა დას ეალერსებოდა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ როცა მეორე ხელმა მეორე დის ლამაზი და წყნარად მომლოდინე სხეული მოძებნა, მაშინ კი მოეგო გონს, გოლდმუნდმა მხოლოდ ახლა იგრძნო, რამდენადაც მშვენიერი და უიმედო იყო ლიდიასადმი სიყვარული, იმდენად გათელილიც იყო მის მიერ იგივე სიყვარული.

როცა მისი ტუჩები ლიდიას სახესა და ტუჩებს ეხებოდა, ხოლო ხელები – იულიას სხეულს, გოლდმუნდს ამით თითქოს სურდა ლიდია აეძულებინა ან დაჰყოლოდა მის ნებას, ანდა გზიდან ჩამოსცილებოდა. სიყვარულიც და ამავე დროს სიყვარულობანაზე უარის თქმა გამტანჯავი და უსამართლო იყო.

– ჩემო ძვირფასო, – ეჩურჩულებოდა ლიდიას ყურში, – ამაოდ ვიტანჯებით. რა ბედნიერნი ვიქნებოდით ახლა სამივენი! მოდი, ჩვენი სისხლის დუღილს მივყვეთ.

რადგან ლიდიამ საბარელი რამ იგუმანა და ვაჟი აირიდა, გოლდმუნდმა თავს ველარ სძლია და მეორე დას მოხვია ხელები.

ქალიშვილს ვნებიანი კვნესა აღმოხდა. ამ კვნესაზე ლიდია ეჭვმა შეიპყრო, თითქოს შხამი ჩაანვეთესო, უეცრად საბანი გადაიძრო, ფეხზე წამოხტა და დაიყვირა: «იულია, გვაცალე!» იულია შეკრთა: ამ მოულოდნელ და მკაცრ ძახილს შეეძლო სამივენი გაეცა. ამის წარმოდგენაზე ისიც შეშინებული წამოხტა. ვნებით შეპყრობილი და განადგურებული გოლდმუნდი ახლა მის წინ წამომართულ იულიას მოეხვია, მკერდს უკოცნიდა, თან აღგზნებული ეჩურჩულებოდა ყურში: «ხვალ, იულია, ხვალ!» ფეხშიშველი, პერანგისამარა ლიდია სიცივისაგან კანკალებდა.

ქვის იატაკიდან იულიას მოსასხამი აიღო და მორჩილი, ნატანჯი გამომეტყველებით მოახურა დას. იულიას სიბნელეშიც არ გამოპარვია ეს გამომეტყველება, რომელმაც გული აუჩუყა და კვლავ შეურიგა ლიდიას. დები ჩუმად გასხლტნენ ოთახიდან. გოლდმუნდი წინააღმდეგობრივი გრძნობით აყურადებდა მათ ნაბიჯებს და შვებით ამოისუნთქა, როდესაც სახლში სიჩუმემ დაისადგურა.

სამი ახალგაზრდა არსება ერთნაირად და ერთიანად შეეპყრო ამ უჩვეულო ურთიერთობაზე ფიქრს. დები მდუმარედ ჩანვნენ ლოგინში და კარგა ხანს ძილი არ გაჰკარებიათ.



უბედურების, შფოთის, უაზრობის, მართობისა და სულის აღრევის დემონი დაპატრონებოდა ამ სახლს. შუალამითლა ჩაიძინა გოლდმუნდმა, იულიამ კი – გამთენიისას. მხოლოდ ლიდია იწვა უძილობისგან გატანჯული, ვიდრე თოვლიანი დღე არ გათენდა. მერე წამოდგა, ჩაიცვა და დაჩოქილმა დიდხანს ილოცა თავისი მაცხოვრის პატარა ხის ხატის წინ.

როცა კიბეზე მამის ნაბიჯების ხმა მოესმა, სწრაფად გავიდა და უთხრა, სლაპარაკო მაქვს შენთანო. ლიდიას გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ საქმისათვის წერტილი დაესვა. გოლდმუნდსა და იულიას ჯერ ისევ ეძინათ, როცა რაინდმა უკვე ყველაფერი იცოდა. ამ თავგადასავალში იულიას მონაწილეობის შესახებ ლიდიას კრინტი არ დაუძრავს.

როცა გოლდმუნდი ჩვეულ დროზე სამეცადინო ოთახში შევიდა, რაინდი უკვე იქ დახვდა. უჩვეულოდ გამონწყობილ მასპინძელს ეტყობოდა, ნაწერების გასწორებას არ აპირებდა.

საშინაო ფეხსაცმლისა და ბეწვის ქვედა კაბის მაგივრად ჩექმები და ქურთუკი ჩაეცვა და წელზე მახვილი ჩამოეკიდა.

გოლდმუნდიც მაშინვე მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს ყოველივე.

– დაიხურე ქუდი და წადი აქედან, – უთხრა რაინდმა.

გოლდმუნდმა საკიდიდან ქუდი ჩამოიღო და თავის ბატონს კიბეზე ჩაჰყვა. ეზოში მათ ფეხქვეშ მოყინულ თოვლს ხრამახრუში გაჰქონდა. ცას ჯერ ისევ პირისფერი ედო. მდუმარედ მიდიოდა რაინდი, ყმანვილიც მდუმარედ მისდევდა უკან. ერთი-ორჯერ სახლისაკენ მიიხედა, თავისი ოთახის ფანჯრებსა და დათოვლილ სახურავს შეაფლო თვალი. ველარასოდეს დაინახავდა ის ამ სახურავსა და ამ ფანჯრებს, ველარასოდეს შევიდოდა სამეცადინო ოთახში, ველარასოდეს შეხვდებოდა ამ ორ დას. კარგა ხანია აქედან წასვლაზე ფიქრობდა, მაგრამ ასე წასვლა, ასე გამოუმშვიდობებლად წასვლა არ უნდოდა. მწარე იყო ეს გამოთხოვება.

თითქმის ერთი საათი მიდიოდნენ უბრად სტუმარი და მასპინძელი.

გოლდმუნდმა ფიქრი დაიწყო თავის ბედზე. რაინდი შეიარაღებული იყო, იქნებ მისი მოკვლა უნდოდა, მაგრამ ის ამაზე, სულ არ ფიქრობდა. საშიშროება მცირე იყო. იგი აქედან გაიქცეოდა და მოხუცი თავისი მახვილით ვერაფერსაც ველარ დააკლებდა. არა, მისი სიცოცხლე საფრთხეში არ იყო. მაგრამ ეს უბრად სვლა შეურაცხყოფილი კაცის უკან, ეს გამოგდება ოჯახიდან უფრო და უფრო ტკენდა გულს გოლდმუნდს. ბოლოს რაინდი გაჩერდა.

- ახლა კი, - წამოიწყო რაინდმა, - მარტო წადი, ამ მიმართულებით იარე, დაუბრუნდი შენტვის ჩვეულ ღარიბულ ცხოვრებას. თუ ოდესმე ჩემს სახლთან გამოჩნდები, იცოდე, მოგკლავენ.

ახლა შურს არ ვიძიებ, რადგან ჩემი ბრალიც არის:

ყმაწვილი კაცი არ უნდა შემომეშვი იმ სახლში, სადაც ქალიშვილები იყვნენ. მობრუნება არ გაბედო, მოგკლავ. ახლა კი წადი. ღმერთმა შეგინდოს.

თოვლიანი დილის მკრთალი შუქი ჭაღარა წვერზე დაჰფენოდა რაინდს. კარგა ხანს იდგა იგი თვალებჩამქრალი და გახევებული. ამასობაში კი გოლდმუნდი მთას მიეფარა.

ღრუბლიან ცაზე ვარდისფერი ციაგი გაქრა. მზე კი არ ჩანდა.

ნელა, ნარნარად წამოვიდა თოვლის ფანტელები.



# თავი მეცხრე

გოლდმუნდი ამ მხარეს კარგად იცნობდა, ხშირად უვლია ფეხით აქეთ; იცოდა, ლელიანის იქით რაინდის ფარდული იდგა. მოშორებით კი – ერთი გლეხის სახლი, სადაც მას იცნობდნენ. აქ, ამ მხარეში შეეძლო დაესვენა და ღამეც გაეთენებინა. დანარჩენზე დილით იფიქრებდა. თანდათან დაეუფლა თავისუფლებისა და უცხოობის გრძნობა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში გადაჩვეოდა. თუმც უცხო ქვეყანაში ზამთრის სუსხიანი, ყინვიანი დღე იდგა, თუმც ტანჯვა, შიმშილი და გაჭირვება ელოდა, მაგრამ ვნებას აყოლილ და აფორიაქებულ გოლდმუნდს ამ ქვეყნის სიშორე, სიდიადე და სასტიკი ულმოობლობა მაინც დამამშვიდებელი და მანუგეშებელი ეჩვენებოდა.

გოლდმუნდი დაღლილი იყო და მაინც მიიჩქაროდა, ცხენი აღარ ჰყავდა. ო, შორეულო ქვეყანავ!.. თოვდა. შორეულ სივრცეში ნაცრისფერი დასდებოდა ტყესა და ღრუბლებს.

მთელი ქვეყანა სიჩუმეს მოეცვა თითქოს. ნეტავ საბრალო, გულმფრთხალი ლიდია როგორ არის? მწარე სინანულმა მოიცვა გოლდმუნდი. სინაზით გაიხსენა ლიდია, როცა ლელიანში განმარტოებით მდგარ შიშველი იფნის ძირას ჩამოჭდა დასასვენებლად. სიცივემ აიტანა, ფეხები ლამის წაეყინა, ადგა და კვლავ ნელ-ნელა განაგრძო გზა. მოღრუბლული მკრთალი სინათლე

უკვე ქრებოდა. ცარიელ მინდვრებში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ფიქრის აღარც დრო ჰქონდა და აღარც სურვილი, რაოდენ გრძნობიერი და სინაზით აღვსილნი არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. მთავარი იყო დროზე მოეძებნა თბილი და მყუდრო ღამის გასათევი ადგილი. კვერნასა და მელიასავით ხომ არ იხეტიალებს ამ ცივ, მიუსაფარ გარემოში? არა, თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროს მხოლოდ, სხვა დანარჩენზე ფიქრი ახლა არ არის საჭირო.

უცებ მისდა გასაკვირად ცხენის ფლოქვთა თქარათქური მოესმა. ნუთუ ვიღაც დაედევნა? გოლდმუნდმა ჯიბისაკენ გააქანა ხელი, მონადირის დანა მოსინჯა. აი, გამოჩნდა მხედარი. გოლდმუნდმა შორიდანვე იცნო რაინდის თავლის ცხენი, რომელიც ელვის უსწრაფესად გაჩნდა მის წინ. გაქცევას აზრი არ ჰქონდა, არც შეშინებია, მაგრამ მაინც დაიძაბა, უკეთურმა აზრმა გაუელვა თავში: «თუ მოვახერხე და ეს მხედარი მოვკალი, ცხენი მე დამრჩება და ქვეყანაც ჩემი იქნება!» მაგრამ როცა მხედარში ახალგაზრდა, ჭრელთვალება, ბავშვივით კეთილი და მიამიტი მეჭინბე ჰანსი შეიცნო, ღამის სიცილი წასკდა; ქვის გული უნდა გქონდეს კაცს, ეს საყვარელი ბიჭი რომ მოკლა. მეგობრულად მიესალმა ჰანსს, ცხენსაც – ჰანიბალს – ნაზად მიეფერა თბილსა და ოფლიან კისერზე.

– საით გაგიწევია, ჰანს? – ჰკითხა მეჭინბეს.

– შენ გამოგედევნე, – ბიჭმა ჩაწიკნიკებული კბილები გამოაჩინა, – კარგად გივლია. დიდხანს ვერ გავჩერდები, აი, ეს უნდა გადმოგცე.

- მოკითხვას ვინ მითვლის?

- ფროილან ლიდია. უსიამოვნო დღე გაგვითენდა, მაგისტრო გოლდმუნდ. მიხარია, რომ ცოტა ხანს მაინც შევძელი თავის გამორიდება.

თუ ბატონმა შეამჩნია ჩემი გამოპარვა, თანაც ასეთი დავალებით, ძალზე ცუდად წამივა საქმე.

აჰა, აიღე! - პატარა ფუთა ამოიღო და გოლდმუნდს გაუწოდა.

- ჰანს, ჯიბეში პურის ნატეხი ხომ არ გიდევს?

- პური? მოიცა, იქნებ ვიპოვნო რამე. - ხელი აფათურა ჯიბეში და შავი პურის ნატერი ამოიღო.

- ლიდია როგორ არის? წერილი არ გამოგატანა?

ში დიდი დაძაბულობაა. მეფე საულივითა სცემს ბოლთას ჩვენი ბატონი. საჩუქარი გამოგიგზავნეს. ჩქარა უნდა გავბრუნდე.

- ჰანს, იქნებ მონადირის დიდი დანა დამითმო? მე პატარა დანა მაქვს. ვაითუ მგლებს გადავეყარო. საერთოდაც არ ვიცი, გზაში რა შემხვდება.



მაგრამ ამისი წარმოდგენა ჰანსს არ უნდოდა. კი გაიფიქრა, მართლა რაზე არ შეეშინებოდა, მაგრამ თავის ბასრ დანას მაინც ვერასოდეს გაიმეტებს, არც გაყიდის, არც რაიმეში გაცვლის, წმინდანმაც რომ სთხოვოს, იმასაც კი არ მისცემს.

გამომშვიდობებისას ხელი მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს.

ბიჭი წავიდა, გულდანწყვეტილმა გააყოლა მას თვალი გოლდმუნდმა. შემდეგ აუჩქარებლად გახსნა ხბოს ტყავის თასმით შეკრული ფუთა. თასმა მოეწონა და გაუხარდა კიდევ.

ფუთაში ლიდიას მოქსოვილი რუხი ფერის შალის პერანგი იყო, ქალაქში კარგად გახვეული ლორის ნაჭერი, რომელიც შუაში ჩაეჭრათ და იმ ჩაჭრილში პრიალა ოქროს დუკატი ჩაედოთ. ბარათი კი არსად ჩანდა. გოლდმუნდი დაბნეული იდგა თოვლში, მერე ქურთუკი გაიხადა და შალის სვიტრი გადაიცვა. სასიამოვნო სითბომ დაუარა მთელ სხეულში. ქურთუკიც სწრაფად ჩაიცვა. საიმედოდ შეინახა ოქროს ფული ჯიბეში, თასმა წელზე შემოიჭირა და კვლავ მინდორს გაუყვა, დაიქანცა. მაგრამ რომელიმე გლეხის ოჯახში არ უნდოდა მისვლა, თუმცა იცოდა, იქ სითბოც დახვდებოდა და რძესაც დაალევიანებდნენ, ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა.

ამიტომ ღამე ფარდულში გაათენა. გზას კი ალიონზე დაადგა ყინვასა და ძლიერ ქარში. გამალებით მიდიოდა.

არაერთი ღამე გაატარა რაინდზე, მის ხმალსა და ორ დაზე ფიქრში. არაერთხელ შემოაწვა მარტოობის ნაღველი გულზე.

ერთხელ ერთი სოფლელი გლეხის ოჯახში მოუწია ღამის გათევა. ამ გლეხს პური თუ არა, ბურღულის წვნიანი მაინც ექნებოდა, მაგრამ გოლდმუნდს აქ სხვა, უჩვეულო განცდები ელოდა. გლეხის ცოლი იმ ღამეს მშობიარობდა. თივაში თბილად მოკალათებულ გოლდმუნდს უხმეს დასახმარებლად, თუმცა დიდი არაფერი გაუკეთებია. ვიდრე ბებია ქალი მშობიარეს თავს დასტრიალებდა, გოლდმუნდს კვარი ეჭირა ხელში და უნათებდა. პირველად ნახა მშობიარობა და გაოცებული შეჰყურებდა ტკივილებისაგან გატანჯულ ქალს.

და მაშინ მან მოულოდნელად ახალი რამ აღმოაჩინა: ქალის გატანჯული სახე თითქმის არ განსხვავდებოდა იმისაგან, რაც მას სასიყვარულო ნეტარებაში მყოფი ქალების სახეზე ენახა. მართალია, ტკივილიანი სახე უფრო ულამაზო შესახედავია, ვიდრე სახე დიდი სიხარულის დროს, მაგრამ ძირითადად ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებოდნენ. ეს თითქმის ერთი და იგივე იყო. ერთი და იგივე იყო წვალება, აღგზნება და მინაბვა. ამ აღმოჩენამ უცნაურად მოაჯადოვა იგი; ტკივილი და სიხარული და-ძმასავით ერთმანეთს ჰგავდნენ თურმე.

მეორე დღეს კიდევ ერთი რამ გადახდა ამ სოფელში გოლდმუნდს:

მეზობლის ქალმა მის ნდომით სავსე თვალებს თვალებითვე უთხრა თანხმობა და გოლდმუნდი მეორე ღამესაც დარჩა სოფელში. ამ ქალმა იგი დიდად გააბედნიერა, ამდენი აუხდენელი სურვილისა და გაცრუებული სიყვარულის შემდეგ, როგორც იქნა, ჩაუცხრა ცეცხლი. ამ ქალის წყალობით მოხდა ისიც, რომ მეორე დღეს იმავე სოფელში მონასტრიდან კარგა ხნის წინ გამოგდებულ ერთ კაცს დაუამხანაგდა, სახელად ვიქტორს, რომელიც მღვდელსაც ჰგავდა და ყაჩაღსაც.

ვიქტორი მას ლათინურად მიესალმა და თავი გააცნო, მოწაფე ვარ და დავეხეტებო, თუმცა სკოლის წლები დიდი ხანია უკან ჩამოეტოვებინა.

ეს გრძელწვერა კაცი გოლდმუნდს იმ განსაკუთრებული სითბოთი და ხალისით მიესალმა, მაწანწალებს რომ სჩვევიათ ყმაწვილების მოსაზიდად. გოლდმუნდის შეკითხვაზე, რომელი სკოლის მოწაფე იყო და საით ჰქონდა გეზი აღებული, უცნაურმა ძმობილმა ასე უპასუხა:

- უმაღლესი სკოლები საკმაოდ მოვიარე მე სანწყალმა.

კიოლნშიც ვიყავი და პარიზშიც, მაგრამ ვერაფერს წავაწყდი იქ ღვიძლის ძეხვის მეტაფიზიკაზე უფრო საინტერესოსა და საგულისხმოს, რაზედაც ჩემს დისერტაციაში ვიმტვრიე თავი.



მას შემდეგ, მეგობარო, დავეხეტები მე საწყალი, ძალღივით დავძრწივარ მთელ გერმანიაში, შიმშილითა და წყურვილით სული გავიწამე. გლეხების დამწიოკებელს მეძახიან.

ისე, ჩემს ხელობას ახალგაზრდა ქალების ლათინურში გაწვრთვნა და შებოლილი ძეხვის მუცელში გადაძახება წარმოადგენს.

ჩემი მიზანია ბურგომისტრობას მოვესინჯო კბილი და, თუ მანამდე ყვავების დასაკორტნი არ გავხდი და როგორმე გადავრჩი, იქნებ მთავარეპისკოპოსობასაც გამოვკრა ხელი.

ჩემო პატარა კოლეგავ, უმჯობესია ცხოვრება გაატანჯლო, ვიდრე თავად ცხოვრებამ შენ გაგატანჯლოს. უმჯობესია მხოლოდ შენმა კუჭმა იგემოს შემწვარი კურდღლის ხორცის გემო. უნდა დახარბდე. ბოჰემიის მეფე ჩემი ძმაა და უფალი მასაც ჩემსავით წყალობს, მაგრამ მე მაინც უფრო მეტ საზრუნავს მიჩენს. გუშინწინ მამებისთვის ჩვეული სიმკაცრე გამოიჩინა ჩემ მიმართ, მშიერი მგლის მიმართ, მაგრამ ვიმარჯვე და სიცოცხლე შევინარჩუნე: საქონელი რომ არ დამეკლა, ბატონო კოლეგა, არც პატივი გექნებოდა ჩემი სასიამოვნო ნაცნობობისა. Saeculorum, amen.

გოლდმუნდს არ მოსწონდა ამ მცირედ განსწავლული, მწარე იუმორის მქონე, მოხეტიალე მსახიობის ლათინური.

უფრთხოდა, რამე მოუზომელი უხეშობა არ დასცდესო, არც მისი უმიზეზო სიცილი ართობდა მაინცდამაინც, მაგრამ ამ მაწანწალამ რაღაცით თითქოს მიიზიდა და შესთავაზა კიდევ ერთად გაეგრძელებინათ მოგზაურობა, ერთმანეთს გაამხნევებდნენ გზაში, შიშსაც იოლადად სძლევდნენ და მგლებსაც უფრო გაუმკლავდებოდნენ. მაგრამ ვიდრე გზას გაუდგებოდნენ, მის ძმობილ ვიქტორს გლეხებთან ლათინურად ლაპარაკი მოუნდა და ერთ ახალგაზრდა გლეხკაცთან დაბინავდა.

გოლდმუნდისაგან განსხვავებით, ის რომელიმე გლეხის ოჯახში კი არ ჩერდებოდა და თავის მოგზაურობაზე იქ კი არ ჰყვებოდა, არამედ მთელ სოფელს შემოირბენდა, ერთ ქოხს არ გამოტოვებდა, ქალებს გამოელაპარაკებოდა, ყველა თავლასა და სამზარეულოში ცხვირს შეყოფდა და მანამ არ მოცილდებოდა იქაურობას, ვიდრე რამეს არ გამოსძალავდა. ხან კელტების ქვეყნის ომის ამბებს უყვებოდა გლეხებს, ხან კერიის პირას იჯდა და პავიას ბრძოლაზე შეთხზულ სიმღერას მღეროდა, ხანაც დედაბრებს ურჩევდა, როგორ უნდა ეშველათ მტკივანი სახსრებისა და კბილებისათვის.

სოფლელებიც უჯერებდნენ, ამისი უცოდინარი არაფერი არ არის, ქვეყანა შემოუვლიაო. ძმობილი ვიქტორი ქამრით შემოჭერილ პერანგს ყელამდე აივსებდა ხოლმე პურით, კაკლით და მსხლის ჩირით. გაოცებული შეჰყურებდა გოლდმუნდი ამ კაცს. განცვიფრებული იყო მისი დაუღლელობით, მისი უნარით – შიშით, სიცრუით თუ თვალთმაქცობით მოენუსხა ადამიანი, თავბრუ

დაესხა მისთვის ვითომდა განსწავლულობით, კოჭლი ლათინურით, ხანდახან კი ქუჩური გამოთქმებით.

ლაპარაკისას ხალხს დაჟინებით აშტერდებოდა და მათაც მოჰქონდათ ღვინო და პურის ნატეხები. გოლდმუნდისათვის უკვე აშკარა ხდებოდა, რომ ეს კაცი იყო გზაარეული, მრავალჭირგადატანილი და მრავლისმნახველი უსამშობლო კაცი, მთელი მისი ცხოვრება ხიფათით, შიმშილითა და სიცვიით იყო სავსე. სწორედ ამ ცხოვრებამ ბევრი რამ კარგი შესძინა მას და ასევე გააუხეშა და გაატლანქა კიდეც. გამოდის, ასეთები ხდებიან ისინი, რომლებიც დიდ დროს ატარებენ მოგზაურობაში.

ნეტავ გოლდმუნდიც ასეთი გახდება ოდესმე?

მეორე დღეს გზას დაადგნენ, პირველად მოუხდა გოლდმუნდს სხვასთან ერთად მოგზაურობა. სულ რაღაც სამი დღე დაჰყვეს ერთად გზაში და გოლდმუნდმა უკვე შეისისხლხორცა ვიქტორისაგან უსამშობლო კაცისათვის საჭირო სამი რამ: მზადყოფნა სიცოცხლის გადასარჩენად, ღამის გასათენებელი ადგილის მონახვა და საბრდოს მოპოვება. ბევრ რამეს ისწავლის კაცი წლების მანძილზე ხეტიალისას. კერძოდ:

ღამის გასათევად სახლების შერჩევას, ზამთარსა თუ ზაფხულში, დღისით თუ ღამით დასასვენებელი თუ დასაძინებელი ადგილების მოძებნას ტყესა თუ



მინდორში, სახლში შესვლისთანავე ერთი თვალის შევლებით გამოცნობას, რა ოჯახში მოხვდა – შეძლებულსა თუ გაჭირვებულში, ასევე სწრაფად გამოცნობას, რა კაცი იყო თავად მასპინძელი: კეთილი, მშიშარა თუ ცნობისმოყვარე. ეს ყველაფერი ზედმინევებით კარგად იცოდა ვიქტორმა. ერთი-ორი რაღაც თავისი გამოცდილებიდან სიტყვიერადაც აუხსნა ყრმა თანამგზავრს.

ერთხელ გოლდმუნდი შეეპასუხა, ადამიანებს ანგარებით არ უნდა დაუახლოვდეთ. ვიქტორი არც იყო ანგარებიანი, ისეთი ხვეწნა-მუდართით ითხოვდა, შემეჩიეთო, რომ სტუმართმოყვარეობის წესი იშვიათად თუ დარღვეულა. აყლაყუდა ვიქტორს გაეცინა და თქვა: «მაშ ასე, გოლდმუნდ, შენ ბედნიერი და მომხიბვლელი ახალგაზრდა ხარ, თანაც უცოდველს ჰგავხარ.

ეს კარგია. ქალებს მოსწონხარ, კაცები კი ფიქრობენ:

აჰ, ღმერთო, ეს რა უწყინარი ყმაწვილია, არავის არაფერს დაუშავებსო. მაგრამ, ჩემო ძმაო, ადამიანი ხანში შედის, სახე წვერით ეფარება, უნაოჭდება, შარვალი უცვდება, და ეს ადამიანი შეუხედავი და არასასურველი სტუმარი ხდება, სიყმაწვილისა და სინწინდის ნაცვლად მისი თვალებიდან მხოლოდ შიმშილი იცქირება. ამიტომ საჭიროა ძალა, მონდომება, რომ ამ ცხოვრებიდან რამე ისწავლო, თორემ თუ სიბინძურეში ჩავარდი, ველარაფერი გიშველის. მე როგორც ვხვდები, დიდი ხანი არ არის, რაც შენ დახეტილობ, მეტად ნაზი

ხელები და ლამაზი კულულები გაქვს. შენ ალბათ ისევ იქით გასწევ, სადაც უკეთესად შეძლებ ცხოვრებას: თბილ ცოლ-ქმრულ სარეცელს გაიზიარებ, ან სადმე პატარა მონასტერში დამკვიდრდები, ან მყუდრო სამუშაო ოთახში მოიკალათებ. ისე დიდებულად გაცვია, იუნკერი ეგონები კაცს.

ვიქტორი იცინოდა, ხელით უსინჯავდა გოლდმუნდს ტანსაცმელს.

გოლდმუნდს არ გამოჰპარვია, რა გულმოდგინებით გაუსინჯა ვიქტორმა ჯიბეები და თავისი გადამალული დუკატი გაახსენდა. მერე რაინდთან სტუმრობის შესახებ წამოიწყო მოყოლა. ისიც უამბო, ლათინურის გამო რომ დაიმსახურა ეს ტანსაცმელი. ვიქტორი დაინტერესდა, რატომ მიატოვა გოლდმუნდმა ასეთი თბილი ადგილი ამ მკაცრ ზამთარში.

და გოლდმუნდმაც, ტყუილს შეუჩვენებლმა, მოუთხრო მცირეოდენი რამ რაინდის ორ ქალიშვილზე. და მაშინ პირველად წაკამათდნენ ისინი. ვიქტორი მიხვდა, რომ გოლდმუნდი თავისი სიჭიუტით ციხე-კოშკიდან უბრალოდ გამოიქცა და ქალიშვილიც იქ ღვთის ანაბარად მიატოვა. აჯობებდა ისევ მონახულებინა, ისევ დაბრუნებულიყო იქ. ცხადია, თვითონ გოლდმუნდი არ გამოჩნდებოდა, მაგრამ ვიქტორს დაავალებდა ლიდიასათვის მისი წერილი გადაეცა. ვიქტორიც ციხე-კოშკს დაათვალიერებდა და, რა თქმა უნდა, იქიდან ისე არ წამოვიდოდა, რაღაც-რაღაცეები, ფული და ნივთები თან არ წამოეყოლებინა, ამაზე გოლდმუნდმა სასტიკი უარი განუცხადა, ასეთი რამ თუ

კიდევ გითქვამს, ან რაინდი გიხსენებია, იცოდე, მაშინვე გზიდან ჩამოგცილდებო.

გაგულისებულები ამხანაგის დანახვაზე ვიქტორს, როგორც ყოველთვის, ახლაც გაეცინა და დაუდევრად უთხრა:

- კარგი, კარგი, ნუ ბრაზობ! მაგრამ ერთს კი გეტყვი:

ძალიან ცდები, ამ სარფიან საქმეს ხელიდან რომ უშვებ... ეს არის ამხანაგობა? შენ კეთილშობილი ბატონი ბრძანდები, შეჯდები ცხენზე, შენს ციხე-კოშკში მიბრუნდები და იმ ქალიშვილზე იქორწინებ! მე კი?.. კარგი, ნუ მიბრაზდები... ნავიდეთ, განვაგრძოთ გზა, ფეხები მოვიყინოთ.

გოლდმუნდს ხმა არ ამოუღია საღამომდე. კარგა მანძილი ისე გაიარეს, დასახლებული ადგილი და ადამიანის ნაკვალები არ შეხვედრიათ, არადა, როგორ გაიხარებდნენ, რომ ენახათ. ვიქტორმა გამოსაძინებლად ტყისპირი შეარჩია, ნაძვის ტოტები ბლომად დაიგო ქვეშ. ვიქტორის გატენილი ჩანთიდან ყველი და პური ამოიღეს და შეჭამეს. გოლდმუნდს შერცხვა, რატომ გავუბრაზდი ამხანაგსო, და თავისი შალის პერანგი ჩააცვა, ღამე არ შესცივდებო. შეთანხმდნენ, მონაცვლეობით იფხიზლებდნენ ნადირის შიშით. პირველად გოლდმუნდს მოუწია მორიგეობა, ვიქტორი კი დანვა. დიდხანს იყო გოლდმუნდი ნაძვზე ჩუმად მიყრდნობილი, ამხანაგისათვის რომ ძილი არ



დაეფრთხო, მაგრამ ლამის გაიყინა და აქეთ-იქით მოჰყვა სიარულს. ნაძვები მკრთალი ცისაკენ აჭრილიყვნენ. ზამთრის ღამის ღრმა სიჩუმეს რაღაც მოზეიმე და რაღაც დამთრგუნველიც დაჰკრავდა. გოლდმუნდი გრძნობდა, რა უმწეოდ ფეთქავდა მისი თბილი გული ამ ცივ, უპასუხო სიჩუმეში, ესმოდა მძინარე ამხანაგის სუნთქვაც.

უწინდელზე უფრო ძლიერად შემოაწვა უსამშობლობის განცდა, იმ კაცის განცდა, ვისაც წუთითაც არ უცდია დიდ შიშს დამალვოდა სადმე, რომელიმე სახლში, ციხე-კოშკსა თუ მონასტერში. მარტოდმარტო დაეხეტებოდა ამოუცნობ, მტრულ სამყაროში, მარტოდმარტო ცხოვრობდა დამცინავად მოციმციმე ვარსკვლავეთის ქვეშ. მოთმინებით მდგარ ხეთა ძირში ათენებდა ღამეს ჩასაფრებული ნადირის მომლოდინე.

არა, გოლდმუნდი ვიქტორს არასოდეს დაემსგავსება, თუნდაც მთელი სიცოცხლე მოგზაურობაში გაატაროს, გადარჩენის ასეთ გზასა და ხერხებს ვერ გაიზიარებს, ვერც ქურდობას შეძლებს და ვერც უტიფრობას, არც ლაქლაქი შეუძლია, არც ტრაბახი და არც უკბილო ანგლობები. იქნებ სულაც ჭკვიანი და მართალია ეს აბეზარი კაცი, იქნებ გოლდმუნდი სულაც არ დაემსგავსოს მას – მოხეტიალე მსახიობს – და ერთ მშვენიერ დღეს ტყე-ტყე ხეტიალს სახლის კედლები ამჭობინოს? უსამშობლო და უმიზნო კაცი შეიძლება იყოს გოლდმუნდი, მაგრამ სამყარო თავისი ამოუცნობი სილამაზითა და სიმკაცრით ყოველთვის მიიზიდავს მას. ყოველთვის მიუგდებს ყურს ამ სიჩუმეს და

გაიგონებს საკუთარი გულის ფეთქვას, შიშით რომ მოცულა და წარმავლობა ემუქრება. აქა-იქ მოჩანდა ვარსკვლავები, ნიავი არ ქროდა, ცაზე ღრუბლები მიცურავდნენ.

გოლდმუნდმა არ გააღვიძა ვიქტორი, კარგა ხნის შემდეგ კი მან თვითონ გამოიღვიძა და ამხანაგს დაუძახა:

– მოდი, ახლა შენ დაიძინე, თორემ ხვალ გაგიჭირდება სიარული!

გოლდმუნდი დაწვა და თვალები დახუჭა. დადლილი იყო, მაგრამ მაინც არ ჩაეძინა. ფიქრებმა მოსვენება დაუკარგეს, მაგრამ კიდევ ერთი რაღაც აწუხებდა, რომელსაც თავის თავსაც კი ვერ უმხელდა. ეს იყო შიშისა და უნდობლობის გრძნობა, რაც ამხანაგის მიმართ დაეუფლა.

ვერაფრით ვერ ეპატიებინა თავისთვის, ამ თავხედ, მასხარა და უტიფარ მათხოვარს ლიდიას ამბავი რომ უამბო. უსათუოდ რაღაც უნდა მოიფიქროს და ჩამოშორდეს. ის იყო ძილი მოერია, რომ შეშინებულმა და გაოცებულმა იგრძნო, როგორ უფათურებდა ვიქტორი ხელებს ტანსაცმელზე. გოლდმუნდს ერთ ჯიბეში დანა ედო, მეორეში – დუკატი. ნამდვილად ორივეს ამოაცლის ვიქტორი, თუ მიაგნო. გოლდმუნდმა თავი მოიმძინარა, ვითომ ძილში შეიშმუშნა, მხარი იცვალა.

ვიქტორი მოსცილდა. სიბრაზე მოაწვა გოლდმუნდს, გადანყვითა, ხვალ უსათუოდ ჩამოვცილდებიო.

მაგრამ, როცა ერთი საათის შემდეგ ვიქტორი ხელახლა დაიხარა მისკენ და ფათური დაუწყო, გოლდმუნდი სიბრაზისაგან გაშრა. არც განძრეულა, ისე გაახილა თვალები და აგდებით შეუძახა: «მომშორდი, მოსაპარი არაფერი მაქვს!» შეშინებულმა ქურდმა გოლდმუნდს ხელები წაუჭირა ყელში.

გოლდმუნდმა წამოდგომა და ვიქტორის ხელიდან დასხლტომა სცადა, მაგრამ მან მაშინვე მკერდზე დააჭირა მუხლი.

გოლდმუნდს სუნთქვა შეეკრა, მთელი სხეულით დაიძაბა, რათა თავი გამოეხსნა ვიქტორის ხელებიდან, მაგრამ ამაოდ.

უცებ სიკვდილის შიშმა დაუარა და ეს საკმარისი იყო, გონება განათებოდა: ხელი ჯიბისკენ წაიღო, დანა ჩაბლუჭა და ბრმად ჩასცა რამდენჯერმე მისკენ დახრილ არაკაცს. წამი და, ვიქტორმა ხელები მოწყვეტით გაშალა. გოლდმუნდმა რაკი ყელზე შემოჭდობილი მარწხეები მოიშორა, ხარბად ამოისუნთქა, სული მოითქვა, წამოდგომა სცადა, მაგრამ ზემოდან მძიმედ აწვებოდა ტკივილისაგან აკვნესებული ვიქტორი.

მისი სისხლი გოლდმუნდს სახეზე დასდიოდა. როგორღაც მოახერხა და



წამოდგა. ღამის რუხ სინათლეზე დაინახა გრძელი, გაშოტილი კაცი, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა. თავი ძლივს წამოუწია, მკერდიდან და ყელიდან სისხლი მოსჩქეფდა, სიცოცხლე სტოვებდა მის სხეულს.

«კაცი მოვკალი, – მომაკვდავი ვიქტორისკენ დაიხარა იგი და დაინახა, სახე როგორ უფითრდებოდა. – დედაო ღვთისავ, კაცი მოვკალი», – ბუტბუტებდა გოლდმუნდი.

უცებ დანას დასწვდა და პერანგზე განმინდა, იმ პერანგზე, ლიდიამ რომ მოუქსოვა და ახლა სხვას ეცვა. დანა ხის ბუდეში ჩადო, წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა.

გოლდმუნდს სული დაუმძიმა მხიარული, მოხეტიალე მსახიობის სიკვდილმა. გათენებულზე თოვლით მოიცილა სისხლი ტანსაცმლიდან. კიდევ ერთი დღე და ღამე იხეტიალა შეშინებულმა უმიზნოდ. იმ სხეულის სიმძიმეს ახლაც გრძნობდა და მწარედ ნანობდა თავის საქციელს.

უკაცრიელ, თოვლიან მხარეში ხეტიალმა, უსახლკარობამ, უგზო-უკვლობამ, შიმშილმა და ღამის უძილოდ გატარებულმა ღამეებმა ქანცი გაუნყვიტეს გოლდმუნდს.

ნადირივით უღმუოდა სტომაქში შიმშილი, ხანდახან ქანცმილეული ტრიალ

ველზე ჯდებოდა, თვალებს დახუჭავდა და ფიქრებში ჩაიძირებოდა: თოვლში სიკვდილს ნატრობდა.

მაგრამ უცებ ისევ აენთებოდა, დაუბრუნდებოდა ძალა და სიცოცხლეს ებლაუჭებოდა. ეს ძალა – სიცოცხლისაკენ ველურად ლტოლვის ძალა იყო. ყინვისაგან გალურჯებული ხელებით პატარა, დათოვლილ კენკრას წყვეტდა და ღეჭავდა, თან ნაძვის მწარე-მწარე წიწვებს აყოლებდა ზედ. ეს უფრო უმძაფრებდა შიმშილის გრძნობას. წყურვილს თოვლით იკლავდა, გათოშილ ხელებს საკუთარი სუნთქვით ითბობდა.

ბორცვზე შეიცადა დასასვენებლად, მოათვალიერა იქაურობა, მინდვრისა და ტყის გარდა არაფერი მოჩანდა, არსად შეიმჩნეოდა ადამიანის ნაკვალევი. თავზე რამდენიმე ყვავმა გადაუფრინა, ცუდად ენიშნა. ვიდრე მუხლში ცოტაოდენი ძალა მაინც შერჩენია, ვიდრე სისხლი ჯერ კიდევ არ გაჰყინვია, უნდა დაამარცხოს სიკვდილი, ამ ყვავებს თავი არ უნდა დააკორტინოს. წამოდგა, თავგამეტებით გაიქცა სიკვდილის დასამარცხებლად. ისე მირბოდა, დასცხა კიდევ.

უცნაური ფიქრები თან სდევდნენ. სულელივით ესაუბრებოდა თავის თავს, ხან ბუტბუტებდა, ხან კი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

მეტადრე ვიქტორს მიმართავდა დამცინავად:

«ხომ მიიღე საკადრისი, ცბიერო ძმაო, მთვარე დაჰნათის შენს ნაწლავებს... როგორია, ჰა? შენს ირგვლივ მელიები დასუნსულობენ. როგორაო, მგელი უნდა მოვკლავო? ყელში უკბინე თუ კუდი მოაჭამე, ჰა? ჩემი დუკატის მოპარვა მოინდომა ვაჟკაცმა! მაგრამ ვერ მოგართვი. პატარა გოლდმუნდმა გძლია. ღირდა კი ამაღ, ძველო? ნევნები ითვალე ახლა!

ტომარა პურით, ძეხვით, ყველით გაგივსია, შე ღორო,» – გოლდმუნდი ბურტყუნებდა, თავის გადარჩენას ზეიმობდა, მკვდარს ლანძღავდა, დასცინოდა, რეგვენმა, ლენჩმა, მატყუარამ თავი ძალით მომაკვლევიანაო.

მალე ვიქტორზე ფიქრს მოეშვა. ახლა უკვე იულია ელანდებოდა, პატარა, ლამაზი იულია, სწორედ ისეთი, როგორიც იმ ღამეს დატოვა; ეფერებოდა გაიჟური, უსირცხვილო სინაზით, ცდილობდა ეცდუნა, მიეზიდა, გაეშიშვლებინა, რათა ორივეს ზეციური სიამე ეგრძნოთ და მერე თუნდაც მომკვდარიყვნენ, გატანჯული სულის ამოსვლამდე ერთი წამით მაინც განეცადათ ცხოვრების სიტკბო. სთხოვდა, მოწყალებას ევედრებოდა გოგონას კოკორ მკერდს, წვივებს, მხრებზე ჩამოშლილ ქერა კულულებს მოეღოთ მოწყალება.

და ვიდრე იგი გათოშილ, უგრძნობელ ფეხებს დათოვლილ მანანაზე მიათრევდა, ტკივილის მიუხედავად სუსტად მბჟუტავი სიცოცხლის ჭიბრზე უცებ მაღალფაროდვნად ალაპარაკდა.



ახლა იგი ნარცისს ესაუბრებოდა, თავის თავგადასავალს – ცოდვებს, ზოგჯერ ჭკვიანურსა და ზოგჯერაც სასაცილო აზრებს უზიარებდა:

– საშინელებაა, ხომ, ნარცის? გზარავს, ხომ, ეს ამბავი?

დიახ, უპატიოსნესო, სამყარო სიკვდილითაა სავსე, ყოველ ღობეზე მოკალათებულა, ყოველი ხის უკან იმალება. თქვენ არაფერი გიშველით, აშენებთ ოთახებს, სამლოცველოებსა და ეკლესიებს. სიკვდილი ფანჯრიდან იმზირება, იცინის, ის თქვენ კარგად გიცნობთ ყველას. შუალამისას თქვენ გესმით, ფანჯრებს მიღმა ჩასაფრებული როგორ იცინის სიკვდილი, როგორ წარმოთქვამს თქვენს სახელებს. თქვენ კი მიდით და იგალობეთ თქვენი ფსალმუნები, დაანთეთ საკურთხეველთან სანთლები, აღავლინეთ მწუხრისა და ცისკრის ლოცვანი, შეაგროვეთ მცენარეები ლაბორატორიისათვის, წიგნები – ბიბლიოთეკისათვის! მარხულობ, მეგობარო? გაგიკრთა ძილი? მოვა სიკვდილი და ყველაფერს წაგართმევს, მხოლოდ ძვლებს დაიტოვებს შენსას. გაექეცი, უძვირფასესო, ქარივით გაიჭერი, სიკვდილი ველად დადის, ჰაიდა, გაექეცი მას, ეცადე მთელი შეინარჩუნო ძვლები, რომელთაც დაშლა სურთ, ჩვენთან დარჩენა არ სწადიათ. აჰ, ჩვენი საბრალო ძვლები, აჰ, ჩვენი საბრალო ყელი და კუჭი, აჰ, ჩვენი საბრალო ციციქნა თავის ტვინი! ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი ეშმაკისაა, ხეზე ყვავები ჩამომსხდარან, შავი მღვდელები!

შეშლილმა გოლდმუნდმა არ იცოდა, საით მირბოდა, სად იმყოფებოდა, რას ამბობდა, იწვა თუ იდგა. ბუჩქებს თელავდა, ხეებს გვერდს უვლიდა, თოვლში ვარდებოდა, ეკლებზე იკანრებოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ, სიცოცხლის უინი სჯობნიდა, ხელს უბიძგებდა არ გაჩერებულიყო და მაინც გაჩერდა, თოვლზე დავარდა, ძალა აღარ ეყო წამოსადგომად.

გოლდმუნდი კვლავ იმ პატარა სოფელში აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე დღის წინ მოხეტიალე მოწაფეს გადაეყარა, სადაც ღამით მშობიარე ქალთან ფიჭვის კვარი დააჭერინეს.

სოფლელებმა იპოვეს გრძნობადაკარგული, ყაყანიტ შემოერთყნენ გარს, მაგრამ მას არაფერი ესმოდა.

ქალმა, ვისი სიყვარულიც გოლდმუნდმა იგემა, იცნო იგი და შეებრაღა არაქათგამოცლილი მოგზაური. ქმარს თვალეზი დაუბრიაღა და მალე ცოცხალ-მკვდარ გოლდმუნდს მიეშველნენ, რათა თავღამდე მიეღწია.

დიდი ხანი არ გასულა, რომ გოლდმუნდი კვლავ ფეხზე დადგა.

სიტბომ, ძიღმა და თხის რძემ, რომელსაც ქალი ასმევდა, მოაღონიერა.

თითქოს დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ვიქტორთან ერთად იარა

ტყე-ველად და რაც ის შემზარავი ამბავი მოხდა ზამთრის ცივ ღამეს იმ ნაძვის ძირში. უკან დარჩა ყმანვილური განცდები ვიქტორის შემადრწუნებელი სიკვდილის, ყინვიანი დღეებისა და ღამეების, შიმშილისა და მრავალგზის სასონარკვეთის გამო. ყველაფერი წარსულად იქცა, თითქოს დაივიწყა კიდეც; მაგრამ არა, დავინწყება არ ეთქმოდა ამას. ეს იყო მხოლოდ განცდილის გადატანა, გამოუთქმელი კი კვლავ დარჩა შემზარავი და ამავე დროს ღირსეულიც, დამაფიქრებელი და მარად მოსაგონებელი გამოცდილება. განცდილმა თითქოს გემო დაუტოვა პირში, სალტესავით შემოერთყა გულზე. გოლდმუნდმა თითქმის ბოლომდე შეიცნო ამ ორ წელიწადში მოხეტიალე კაცის ცხოვრების ლხინიც და ჭირიც: მარტოობა, თავისუფლება, ტყისა და ცხოველების ყურისგდება, წამიერი სიყვარულობანი, სიკვდილისათვის თვალის გასწორება; ზამთარ-ზაფხულ მინდვრებისა და ტყეების სტუმარი იყო, დიდ თოვლში უვლია, სიკვდილისათვის თვალებში ჩაუხედავს და მაინც დიდებული რამ იყო ამ დაუძლურებული, მარტოსული კაცის სასონარკვეთილი, შეუპოვარი ჭიდილი სიკვდილთან; დიდებული რამ იყო ულამაზესი და უძლიერესი ძალა სიცოცხლისა.

სწორედ ეს ძალა მღეროდა სადღაც ღრმად გოლდმუნდის სულში, ისეთივე წამიერი და მრავლისმეტყველი, როგორიც იმ მშობიარე ქალს აღბეჭდვოდა ტკივილისაგან დაღმეჭილ სახეზე, როგორიც ვიქტორს ეხატა თვალებში, როცა ის სისხლისაგან იცლებოდა. თავად გოლდმუნდს რამდენჯერ მოშიებია, რამდენჯერ გათოშილა სიცივისაგან, რამდენჯერ უჭობნია სიკვდილისათვის.



როგორ ეშინოდა სიკვდილისა და მაინც როგორ დაჯაბნა იგი! ამაზე დიდი განსაცდელი აღარ ეგულებოდა. ნარცისთან შეეძლო ამაზე ლაპარაკი, სხვასთან არავისთან.

როცა გოლდმუნდი თავლაში თივაში ჩაწოლილი პირველად მოეგო გონს, ჯიბეში დუკატი ველარ იპოვნა. ალბათ მაშინ დაკარგა, შიმშილისაგან თითქმის გონდაკარგული რომ მიბარბაცებდა გზაში. ძალიან დაწყდა გული. უყვარდა ეს დუკატი.

ვერ ეგუებოდა მის დაკარგვას. ფული მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, თუმცა იცოდა მისი ფასი, მაგრამ ეს პატარა ოქრო გოლდმუნდისათვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. ჯერ ერთი, ეს იყო საჩუქარი ლიდიასაგან – ლიდიამ პერანგიც აჩუქა, მაგრამ ეს პერანგი ახლა სისხლით გაჟღენთილი ეგდო სადღაც ტყეში ვიქტორთან ერთად – მეორეც, ეს იყო ოქროს მონეტა, რისი გულისთვისაც მოკლა კაცი.

თუ დუკატი დაიკარგა, მაშინ იმლამინდელი მძიმე განცდები ამაო ყოფილა. დიდხანს აწვლა ფიქრმა და ბოლოს გადაწყვიტა გლეხის ქალს განდობოდა.

- ქრისტინე, ოქროს მონეტა მქონდა ჯიბეში და აღარ არის.

- პა, ვერ იპოვე? - ქალს ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, დასუსტებულმა გოლდმუნდმა ქალს ხელები მოხვია.

- რა უცნაური ბიჭი ხარ, ჭკვიანი, მომხიბლავი და ამავე დროს სულელიც! აბა, ვინ ჭკვიანი ინახავს ასე დუკატს? ო, შე სულელო ბიჭო, ტკბილო, პატარა სულელო ბიჭო! მე ვიპოვნე შენი ოქროს მონეტა, როცა ჩალაზე გაწვენიდი.

- შენა გაქვს?

- თუ ბიჭი ხარ, იპოვნე. - მართლაც დიდხანს ეძებდა გოლდმუნდი, ვიდრე ქვედა კაბაზე საგულდაგულოდ მიკერებული არ იპოვნა. ქალმა დედასავით დაარიგა ჭკუა, ურჩია, ფრთხილად ყოფილიყო. გოლდმუნდს მისი რჩევა-დარიგებები მალე დაავიწყდა, სამაგიეროდ არასოდეს დაავიწყდებოდა ის თბილი ზრუნვა და მოვლა-პატრონობა, რაც ამ გლეხის ქალმა გამოიჩინა მისდამი. მადლიერი იყო გოლდმუნდი. როცა ისე მომჭობინდა, რომ სიარული შეეძლო და წასვლაც მოინდომა, ქალმა ურჩია, ხვალამდე დაიცადე, დღეს მთვარე იცვლება, ცხადია, ხვალიდან თბილ ამინდებს დაიჭერსო.

მართლაც ასე მოხდა. როცა გოლდმუნდი გზას დაადგა, თოვლითა და ნესტით გაუღენთილ ჰაერში თბილი ქარის ოხვრა ისმოდა.

# თავი მეათე

ისევ გადნა ყინული მდინარეებზე, ისევ ამოაფრქვია იამ სურნელი ნეშომპალიდან, ისევ ხეტიალში გაატარა გოლდმუნდმა წელიწადის ფერად-ფერადი დრო. მთელი ეს ხანი ხარბი თვალეებით ეწაფებოდა ტყეებს, მთებს და ღრუბლებს, დადიოდა კარდაკარ, სოფელ-სოფელ. ხვდებოდა ხან ერთ, ხან მეორე ქალს. ზოგჯერ დაჯდებოდა საღამოს სიგრილეში რომელიმე სარკმლის ქვეშ დაღვრემილი და გულდამძიმებული.

იქ კი, სარკმლის მიღმა აგიზგიზებულიყო და ალისფრად განათებულიყო ყველაფერი. გოლდმუნდს ნეტარი და მიუღწეველი ეჩვენებოდა ბედნიერება, სამშობლო და მშვიდი ცხოვრება. რაც ხდებოდა, მას ყველაფერი გავლილი, გამოცდილი და განცდილი ჰქონდა უკვე. მისთვის უკვე ნაცნობი იყო ეს ყველაფერი, თუმცაღა იგი ყოველთვის მაინც სხვაგვარად ხდებოდა. ველ-მინდვრებზე თუ გზებზე ხეტიალი, ბაფხულის ღამეებში ტყეში ძილი თუ სოფელ-სოფელ წანწალი, ყმაწვილ ქალებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული დაბრუნება სათიბებიდან თუ სვიის ბაღებიდან, შემოდგომის კოკისპირული წვიმები თუ ზამთრის მკაცრი ყინვები – ეს ყველაფერი კვლავაც ხდებოდა და ამგვარად, უსასრულოდ იწელებოდა ჭრელაჭრულა ცხოვრება მის თვალთა წინაშე.



თოვლ-წვიმა დასდიოდა გოლდმუნდს თავზე, როცა ერთ დღეს მთაზე შეფენილ მეჩხერ, მაგრამ მწვანედ შებუმბულულ წიფლიანიდან ახალი ხედი გადაეშალა თვალწინ და ოცნებებითა და იმედებით აივსო. გოლდმუნდმა კარგა ხანია იცოდა, რომ ამ მხარეს სადაცაა მიაღგებოდა, რომ იგი სადღაც ახლოს იყო და მას ელოდებოდა, და მართლაც აი ახლა, ნაშუადღევს, თვალით იხილა კიდეც და იგრძნო, მოლოდინი გაუმართლდებოდა.

რუხი ხეები წყნარად ირხეოდნენ. გოლდმუნდი მთის თხემიდან დასცქეროდა ყავისფერსა და მწვანე დაბლობს, რომლის შუაგულშიც განიერი მდინარე ცისფრად ბრწყინავდა. ახლა უკვე იცოდა, რომ დიდი ხნით დამთავრდა მისი ტყე-ღრე მოგზაურობა, სადაც იშვიათად თუ გადააწყდებოდა ეზო-კარს თუ ღარიბ სოფელს მაინც. ქვემოთ მდინარის გასწვრივ მიემართებოდა ამ სამეფოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმნიშვნელოვანესი შარაგბათაგანი. ეს იყო მდიდარი და ნაყოფიერი ქვეყანა, მდინარეებში დაცურავდა ათობით ტივი და ნავი, შარაგბა კი მიემართებოდა ლამაზი სოფლებისაკენ, ციხე-სიმაგრეებისაკენ, ტაძრებისა და მდიდარი ქალაქებისკენ. ყველას შეეძლო ამ შარაგბაზე ევლო, რამდენ ხანსაც მოისურვებდა, და ევლო ისე, სულაც არ ეფიქრა, რომ ეს შარაგბა ღარიბული სოფლის ბილიკებივით უცბად სადღაც, ტყეში ან ნესტიან ლელიანში დაიკარგებო.

გოლდმუნდის ცხოვრებაში რაღაცა ახალი ხდებოდა და ეს ახარებდა.

იმავე საღამოს ერთ მშვენიერ სოფელში შევიდა. სოფელს ერთ მხარეს მდინარე ჩაუდიოდა, მეორე მხარეს ვაზის ტალავრები ეკრა. ფრონტონებიანი სახლების ეზოებში ადგილადგილ მოჩანდა წითლად შეღებილი საწარმოები, სადაც მორებს ამუშავებდნენ. თალიანი ჭიშკრები და ქვის კიბეებიანი პატარა ქუჩაბანდები ლაზათს მატებდა სოფელს.

სამჭედლოდან ცეცხლის წითელი ალი გამოკრთოდა და გრდემლის წკრიალიც ისმოდა. ცნობისწადილით შეპყრობილი დადიოდა სტუმარი ქუჩებში, სარდაფების ჩასასვლელებთან კასრებისა და ღვინის სურნელით თვრებოდა და მდინარის ნაპირას წყლიდან მონაბერ თევზის სუნით გაჟღენთილ ჰაერს ყნოსავდა. ღვთის სახლიც მოინახულა და სასაფლაოც.

აქ დიდხანს დაჰყო; მოხერხებულ ფარდულს ეძებდა ღამის გასათევად. მანამდე კი ტაძარში შესვლა და ზიარების მიღება გადაწყვიტა. ტაძარში მსუქანი, წითელთავა მღვდელი დახვდა, მღვდლის შეკითხვებს ხან სიჩუმით პასუხობდა, ხან კი თავის ამბებს უყვებოდა. ტაძარმა გოლდმუნდი მეგობრულად მიიღო. საღამოხანს კარგადაც დაანაყრეს და ღვინოც კარგად ასვეს, რაკილა ხანგრძლივად საუბრობდა მღვდელთან. მეორე დღეს ისევ ქუჩაში გავიდა, რომელიც მდინარეს მიუყვებოდა. მდინარეში ტივები და ტვირთით სავსე ნავეები დაცურავდნენ. გოლდმუნდმა უკან ჩამოიტოვა საწარმოები და სოფლის სანახები... სწრაფად გაირბინა გაზაფხულის მრავალფეროვანმა დღეებმა. გოლდმუნდს სოფლები და პატარპატარა ქალაქები მასპინძლობდნენ მონაცვლეობით.

ქალები უდიმოდნენ შეღობილი ბაღებიდან, ყავისფერ მიწაზე ჩამუხლულნი დღისით ჩითილებს რგავდნენ, საღამოობით კი სოფლის შუკებში მღეროდნენ.

ერთ წისქვილში ერთი ყმაწვილი ქალი ისე ძალიან მოეწონა, რომ ორი დღე დარჩა ამ მხარეში. ქალი მხიარულად ესაუბრებოდა.

გოლდმუნდმა გაიფიქრა, ნეტავ მენისქვილე ვიყო და სამუდამოდ აქ ვრჩებოდეთ. ხან მეთევზეებთან იჯდა, ხან მეეტლეებს ეხმარებოდა ცხენების გამოკვებასა და დაურვებაში, სამაგიეროდ, პურსა და თევზს შოულობდა.

მეეტლეებთან ერთად მიუყვებოდა გზას. ხანგრძლივი მარტოობის, გულჩათხრობილობის და მათხოვრობის შემდეგ ადამიანებთან ურთიერთობამ, საუბარმა, მხიარულებამ და ყოველდღიურმა ნოყიერმა საჭმელმა ცხოვრება საამური გაუხადა. იგი მხიარულად ჩაიხვია და გაიყოლია დროის ტალღამ.

რაც უფრო უახლოვდებოდა საეპისკოპოსო ქალაქს, მით მეტი სიხალისე შეიმჩნეოდა მთავარ ქუჩებში.

ერთ უახლოეს სოფელში გადაწყვიტა ღამე გაეთენებინა.

კარგა ხანს დადიოდა წყლის პირას გაშენებულ გაფოთლილ ხეივანში.



სწრაფად და უხმოდ მოედინებოდა მდინარე, ხეთა ფესვებს წვდებოდა დუდუნი. მთიდან მთვარე ამოიწვერა, მდინარეს სხივები დააფინა და ხეთა ჩრდილებიც გააწვინა მიწაზე. უცებ გოლდმუნდი ერთ გოგონას წააწყდა.

გოგონა იჯდა და ტიროდა. თურმე სატრფოსთან უჩხუბია და სწორედ იმ სატრფოს მიუტოვებია აქ მართო. გოლდმუნდი გვერდით მიუჯდა, ხელზე მიეფერა, მერე ტყესა და შვილებზე მოუყვა ამბები, ცოტაოდენ ანუგეშა, ცოტაც გააცინა და ცოტა კოცნითაც მოულობო გული. მაგრამ იმ გოგოს გულისწორი ისევ გამოჩნდა. დაწყნარებულიყო და უნანია, რად შევეკამათეო. როცა გოლდმუნდი დაინახა მასთან მჭდომი, მაშინვე ეცა და მუშტები დაუშინა. გოლდმუნდს საიმისო ძალა კი ეყო, ამ ვაჟისაგან თავი დაეცვა, მომხდურს სძლია და ისიც დარცხვენილი გაიქცა სოფელში. გოგონა კი უკვე გაუჩინარებულიყო. გოლდმუნდმა, კვლავ რაიმე ხიფათს რომ არ გადაჰყოფდა, ღამისგასათევი ადგილი მიატოვა და მდუმარებით მოცულ ვერცხლისფერ ტყეში მთვარიანი ღამის შუქზე განაგრძო გზა. ფრიად კმაყოფილი იყო, უხაროდა, მუხლმა არ მიმტყუნაო, მერე კი, როცა ცვარმა ფეხსაცმლიდან მტვერი ჩამოურეცხა, უცბად დაღლილობა იგრძნო, იქვე ხის ძირში მიწვა და ჩაეძინა. უკვე გათენებულიყო, სახეზე ღიტიწმა რომ გამოაღვიძა. შეეშინდა, მაგრამ ძილ-ბურანს თავი მაინც ვერ დააღწია და ისევ ჩასთვლიმა.

სახეზე კვლავ მოუღიტინეს. ახლა კი მართლა გამოიღვიძა.

თურმე გლეხის ქალი წასდგომოდა თავს მძინარეს და უღიტინებდა სახეზე ტირიფის წკეპლით. გოლდმუნდი წამოდგა, ღიმილით დაუკრეს თავი ერთმანეთს, ქალი ფარდულისაკენ წაუძღვა, იქ უკეთ გამოიძინებო. ფარდულში ცოტა ხანს წაიძინეს ერთმანეთის გვერდით, მერე ქალი გაიქცა და რძით სავსე ჭურჭელი მოარბენინა. რძე ჯერ ისევ თბილი იყო.

ვაჟმა ამას წინათ ქუჩაში ნაპოვნი ცისფერი ბაფთა აჩუქა.

განშორებისას კიდევ ერთხელ აკოცეს ერთმანეთს. ქალს ფრანცისკა ერქვა. გოლდმუნდს გული დაწყვიტა მისმა წასვლამ.

ერთ საღამოს გოლდმუნდმა მონასტრის სახურავს მოჰკრა თვალი. მეორე დღით კი წირვას დაესწრო. აეშალა მოგონებები, რაღაც ნაცნობი და ახლობელი სწვდებოდა მის ყნოსვას ქვის თაღებიდან, ქვის იატაკზე სანდლების ფლატუნშიც კი რაღაც მშობლიური ესმოდა. როცა წირვა დასრულდა და მონასტრის ეკლესიაში სიჩუმემ დაისადგურა, ფიქრებით უჩვეულოდ გულდამძიმებულმა გოლდმუნდმა დაიჩოქა, წარსულის წაშლა და მომავალი ცხოვრების შეცვლა ინატრა, რატომ ინატრა, არ იცოდა, იქნებ მარიაბრონი და თავისი ნეტარი სიყმაწვილე მოაგონდა. რაღაცა ძალა ეწეოდა, პატარპატარა ცოდვები და შეცდომები ეღიარებინა, აღსარება ეთქვა და სულიერად განწმენდილიყო. განსაკუთრებით ვიქტორის სიკვდილმა დაუძძიმა სული, მისი ხელით რომ იყო მკვდარი. ერთ-ერთი მამათაგანი

მოძებნა, აღსარება უთხრა, უამბო, როგორ ჩასცა დანა საბრალლო ვიქტორს ყელსა და ზურგში, ო, რამდენი ხანია აღსარება არ უთქვამს? ცოდვების სიმრავლე და სიმძიმე ცხადლივ დაინახა და მზად იყო, საკადრისად დასტილიყო. მაგრამ მღვდელმა, რომელმაც აღსარება მიიღო, ეტყობა, ყარიბთა ცხოვრება იცოდა და აღმსარებელს წყნარად და უსიტყვოდ მოუსმინა, მერე მეგობრული გულისხმიერებით გაურჩია საქმე, ჭკუა დაარიგა და დაამშვიდა კიდეც, შენს შეჩვენებას არ ვაპირებო.

თითქოს ტკივილი მოეხსნა გოლდმუნდს. მამაოს დარიგებისამებრ საკურთხეველთან ილოცა და ის იყო ეკლესიიდან უნდა გამოსულიყო, რომ სარკმლიდან შემოჭრილ მზის შუქზე იქვე გვერდით სამლოცველოში მდგომი ფიგურა შეამჩნია. ეს ფიგურა ესოდენ მრავლისმეტყველი და მიმზიდველი ეჩვენა, რომ სულით ხორცამდე მონუსხულმა თვალი ვერ მოაცილა. ეს იყო ხეში გამოკვეთილი ღვთისმშობელი, რომელსაც სათნოდ და ნეტარად დაეხარა თავი, თხელ მხრებზე ცისფერი მოსასხამი ჩამოშვებოდა. რა ნაზი ჩანდა ქალწულებრივი ხელი, თვალებდახრილს რა ტკივილიანი ბაგეები ჰქონდა, რა ნათელი ადგა შუბლზე! ასეთი ბუნებრივი, ასეთი მშვენიერი და სულიერებით აღსავსე რამ არასოდეს არაფერი ენახა გოლდმუნდს. მოჯადოებულებით მიშტერებოდა მის ბაგეებს, საყვარლად დახრილ თავს და ცქერით ვერ გამძღარიყო. ეჩვენებოდა, თითქოს ასეთი რამ სიზმრებსა და წარმოსახვებში ბევრჯერ უხილავს, ერთი-ორჯერ წასვლა დააპირა, მაგრამ ფეხი ვერ მოიცვალა აქედან.



- მოგწონს? - მეგობრულად ჰკითხა იმ მღვდელმა, რომელსაც აღსარება უთხრა გოლდმუნდმა.

- ენით უთქმელი სილამაზეა.

- ამას ცოტა ამჩნევს, - თქვა სულიერმა მამამ, - ზოგს ჰგონია, ეს ნამდვილი ღვთისმშობელი არ არის, ამბობენ, მეტისმეტად თანამედროვე და მიწიერიაო, გაზვიადებული და მოგონილიაო, და ბევრს კამათობენ ამის თაობაზე. რაკი მოგწონს, მე ეს მახარებს. უკვე ერთი წელიწადია ჩვენს ეკლესიაში დგას, ჩვენი ეკლესიის ერთი კეთილისმყოფელი კაცის შემოქმედებაა. მხატვარმა ნიკლაუსმა შექმნა იგი.

- მხატვარმა ნიკლაუსმა? ვინ არის იგი? სად არის? იცნობთ მას? ო, გთხოვთ, მიამბეთ რამე მასზე! დიდებული და ღვთითმომადლებული ნიჭის პატრონი უნდა იყოს ის, ვინც მსგავსი რამის შექმნა შეძლო.

- მე ცოტა რამ ვიცი მის შესახებ. იგი მოქანდაკეა ჩვენს საეპისკოპოსო ქალაქში, რომელიც აქედან ერთი დღის სავალზეა.

ერთ-ერთი იმ აღიარებულ ხელოვანთაგანია, რომელიც წმინდანობაზე არ ზრუნავს, ნიჭიერი და მადლიანი კაცია, ცხადია, მინახავს კიდევ...

- ოჰ, გინახავთ? როგორია?

- შვილო ჩემო, გეტყობა, შენზე ძალიან იმოქმედა მისმა ნამუშევარმა.

მაშინ მოძებნე და მამა ბონიფაციისაგან მოკითხვაც გადაეცი.

გოლდმუნდმა უღრმესი მადლობა გადაუხადა მღვდელს და კმაყოფილებით სავსე წავიდა. მღვდელი კი დიდხანს იდგა იდუმალეზით მოცულ ქანდაკებასთან, რომლის სუნთქვასაც შეიგრძნობდა თითქოსდა, რომლის სახეზეც ერთდროულად ტანჯვაც და ნეტარებაც აღბეჭდილიყო.

გოლდმუნდი სრულიად გარდაქმნილი გამოვიდა ეკლესიიდან, მის სულში ცვლილება მოხდა. წმინდა ქანდაკების ნახვამ აქამდე უცნობი გრძნობით ალავსო. სხვა დროს ხშირად დასცინოდა ამ გრძნობას, ხანაც შურით ივსებოდა მის მიმართ. ახლა კი გოლდმუნდს ჰქონდა მიზანი, უსათუოდ მიაღწევს მას. და მერე მთელი მისი არეული ცხოვრება საზრისსა და ღირებულებას შეიძენს. გოლდმუნდი სიხარულითა და შიშით განმსჭვალა ამ ახალმა გრძნობამ, ნაბიჯი გაუმსუბუქდა. ეს ლამაზი, ხალისიანი ქუჩა გუშინდელი ქუჩა აღარ იყო - მშვენიერი სამოქმედო და მოხერხებული ღამის სათევი - ის ახლა ქალაქისაკენ მიმავალი გზა იყო, ოსტატისაკენ მიმავალი გზა. გოლდმუნდი აღელვებული მიქროდა.

ჯერ მოსაღამოებული არ იყო, გალავნის მიღმა კოშკები რომ გამოჩნდა. ჭიშკარზე ღერბი ამოეტვიფრათ, აბრები შეეღებათ. გოლდმუნდი მხედრებს და

ეტლებს, ქალაქს და ეპისკოპოსს აინუნში არ აგდებდა. ჭიშკართან შემხვედრ პირველსავე კაცს ჰკითხა, მხატვარი ნიკლაუსი სად ცხოვრობსო, და საკმაოდ განაწყენდა, ამ ხელოვანზე რომ არაფერი იცოდა ამ კაცმა.

გოლდმუნდი მოედანთან მივიდა. მოედანს თვალში საცემი სახლები შემოკვროდა გარს, მოხატული და ქანდაკებებით შემკობილი. ერთ-ერთი სახლის შესასვლელის თავზე მხიარული ფერებით შეღებილი მოჭამაგირის დიდი ქანდაკება იდგა. მონასტრის ეკლესიის ღვთისმშობლის ქანდაკებასავით ლამაზი არ იყო, მაგრამ, ეტყობა, რაღაცის გამო იდგა აქ; სხეული დაკუნთული ჰქონდა და წვეროსანს სახე წინ წაეზიდა. გოლდმუნდმა იფიქრა, იქნებ ეს ფიგურაც იმავე მხატვარმა შექმნაო, და სახლის შესასვლელში შევიდა, კარზე დააკაკუნა.

კიბე აიარა თუ არა, ერთ ბეწვმოვლებულ ხავერდის ქვედა კაბიან ბატონს შეეფეთა, ჰკითხა, მხატვარ ნიკლაუსის ნახვა სად შეიძლებაო. რა გნებავსო, დაინტერესდა ბატონი.

გოლდმუნდმა ძალა მოიკრიბა, და მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რაღაც მაქვს გადასაცემიო. ბატონმა მიასწავლა, სადაც ოსტატი ცხოვრობდა, და ვიდრე გოლდმუნდი იმ ქუჩას კითხვა-კითხვით მიაღწევდა, კიდევ დაღამდა.

დაღლილი და მაინც ბედნიერი იდგა იგი ოსტატის სახლის წინ, ფანჯრებში



იყურებოდა და კინალამ შესვლაც დააპირა, მაგრამ ჯკუას მოუხმო: ჯერ ერთი, უკვე გვიანი იყო და მეორეც, მთელი დღის ნახეტიანებს ტანსაცმელი გაოფლოდა და მტვერში ამოგანგლოდა. ხვალამდე უნდა მოეთმინა. მაინც დიდხანს იდგა სახლის წინ. ის იყო წასასვლელად მოემზადა, რომ ერთ სარკმელში შუქი აინთო და ულამაზესი ქერა გოგონა გამოჩნდა.

გოგონას თმას ოთახში ანთებული ლამპის შუქი ანათებდა.

მეორე დილით, როცა ქალაქმა გაიღვიძა და ახმაურდა, გოლდმუნდმა ხელ-პირი მონასტერში დაიბანა, სადაც იგი ღამით მივიდა, ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოიბერტყა, ფეხსაცმელი გაიწმინდა და ისევ იმ სახლისაკენ გაეშურა.

კაკუნზე ქალი გამოვიდა. ქალმა მაშინვე არ შეიყვანა მხატვართან, მაგრამ გოლდმუნდმა მოახერხა მოხუცი ქალის გულის მოღობობა და თავი შეაშვებინა. პატარა დარბაზში, რომელიც სახელოსნოს წარმოადგენდა, წინსაფარაკრული ხელოვანი იდგა, ასე, ორმოც-ორმოცდაათი წლის გრძელწვერა კაცი იყო. მან მოსულს მეტყველი, ღია ცისფერი თვალები შეავლო და მოკლედ ჰკითხა, რა გინდაო. გოლდმუნდმა მოკითხვა გადასცა მამა ბონიფაციისაგან.

– მეტი არაფერი?

– მხატვარო, – წამოიწყო სუნთქვაშეკრულმა გოლდმუნდმა, – მე თქვენი ღვთისმშობელი ვნახე იქ, მონასტერში.

აჰ, დამიჯერეთ, მხოლოდ სიყვარულმა და პატივისცემამ მომიყვანა თქვენთან. მხდალი არ გეგონოთ, დიდხანს ვიხეტიალე ქვეყნად. ტყე-ტყე სიარული, სიცივე და შიმშილი არ დამკლდება. არავისი არ მეშინია დედამიწის ზურგზე. ერთადერთი სურვილი მაქვს, რაც ასე მანვალებს და მტანჯავს.

- რა სურვილია ეს?

- მინდა, თქვენი შეგირდი გავხდე, თქვენთან ვისწავლო.

- შენ ერთადერთი არა ხარ, ყმანვილო, ვისაც ესა სურს.

მე არ მიყვარს შეგირდები, ორი თანაშემწე კი უკვე მყავს.

საიდან ხარ და ვინ არიან შენი მშობლები?

- მშობლები არა მყავს, არსაიდან არა ვარ. სამონასტრო სკოლის მოწაფე გახლდით, იქ შევისწავლე ლათინური და ბერძნული ენები, მერე გამოვიქეცი და აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია გზაში ვარ.

- რატომ გგონია, რომ ხეზე ამოკვეთას ისწავლი? გიცდია როდისმე? ნახატები გაქვს?

- ბევრჯერ დამიხატავს, მაგრამ არც ერთი არ შემომრჩა.

თუ რატომ მწადია ამ ხელოვნების შესწავლა, ალბათ შევძლებ აგიხსნათ. არაერთი სახე და ფიგურა მინახავს, არაერთხელ ჩავფიქრებულვარ მათზე. ეს ფიქრები დღესაც მანვალებს და მოსვენებას არ მაძლევს. მივხვდი, რომ ყველა სახეში გარკვეული ფორმა და ხაზი მეორდება და სხეულის ნაწილები – შუბლი, მუხლი, მხარი თუ თეძო – ერთმანეთთან გარკვეულ შესაბამისობაში არიან. და ეს ყველაფერი შინაგანად მსგავსი და ერთიანია ადამიანის არსებასა და სულთან, რომელსაც სწორედ ისეთივე მუხლი, ისეთივე მხარი და შუბლი აქვს. და ერთ ღამეს იმასაც მივხვდი, როცა მშობიარეს ვეხმარებოდი, რომ უდიდეს ტკივილსა და უძლიერეს ვნებასაც თითქმის ერთნაირი გამოხატულება აქვს.

გამჭოლად უყურებდა ოსტატი უცხოს.

– იცი, შენ ახლა რას ამბობ?

– დიახ, ოსტატო, ეს ასეა: თქვენს ღვთისმშობელში ჩემი უდიდესი ნეტარება და შეცბუნება დავინახე გამოხატული; დიახ, ამიტომ მოვედი. ოჰ, ამ მშვენიერ ნეტარ სახეში რამდენი ტანჯვაა და ამავე დროს რამდენი ბედნიერება და ღიმილი!

როცა ეს ვნახე, აღვენთე, თურმე ამაოდ არ მიოცნებია და მიფიქრია წლობით. მაშინვე ვიგრძენი, რა უნდა მეკეთებინა და საითკენ წავსულიყავი. ძვირფასო მხატვარო ნიკლაუს, გულით გთხოვთ დამტოვოთ თქვენთან სასწავლებლად.



მართალია, ნიკლაუსს სახეზე სითბო არ გამოხატვია, მაგრამ ყურადღებით კი მოუსმინა.

- ყმაწვილო, - უთხრა, - საოცრად ლაპარაკობ ხელოვნებაზე.

მიკვირს, ასეთი ახალგაზრდა ვნებასა და ტკივილზეც ასე რომ მსჯელობ. სიამოვნებას მომანიჭებს სადამოს შენთან ერთად ერთი ჭიქა ღვინოს დალევა და ამ საკითხზე საუბარი. მაგრამ ერთმანეთთან სასიამოვნო და ჭკვიანური საუბარი სხვაა და ერთმანეთის გვერდით ცხოვრება და მეშაობა წლების მანძილზე კი სულ სხვა. აქ სახელოსნოა, სახელოსნოში კი მეშაობენ, არ ლაპარაკობენ, აქ არავის სცალია განსჯისათვის, აქ მხოლოდ ის იცის ყველამ, რომ უნდა შეისწავლოს ხეში გამოკვეთა. რაკილა ამ საქმეს სერიოზულად უყურებ, უარით ვერ გაგისტუმრებ. ვნახავ, რა შეგიძლია... თიხიდან და სანთლისაგან რამე თუ გამოგიძერწავს?

გოლდმუნდს უცებ ის სიზმარი გაახსენდა, დიდი ხნის წინ რომ დაესიზმრა: ვითომ პატარა ფიგურები გამოძერწა თიხისაგან, მერე ვითომ ეს ფიგურები წამოიმართნენ და გოლიათებად იქცნენ. რა თქმა უნდა, ეს სიზმარი მხატვრისთვის არ უამბნია და მოკრძალებით უპასუხა: ასეთი რამ ჯერ არ მიცდიაო.

- კარგი, კარგი... იქნებ რამე დახატო. აი, მაგიდა, ქაღალდი და ნახშირი.

დაჯექი და დახატე, რაც გინდა, დრო გაქვს შუადღემდე, თუნდაც საღამომდე იმუშავე. ვნახავთ, რისი შემძლეცა ხარ. ახლა გვეყოფა ლაპარაკი. მე ჩემს სამუშაოს მივხედავ, შენ – შენსას.

სახატავ მაგიდასთან სავარძელში იჯდა გოლდმუნდი. არ ჩქარობდა, რაღაცის მომლოდინე შემკრთალი მოწაფესავით იჯდა და ცნობისწადილითა და მოწიწებით მისჩერებოდა ოსტატს, რომელიც მისგან ნახევრად ზურგშექცეული თიხისაგან პატარა ფიგურას ძერწავდა. გოლდმუნდი ყურადღებით აკვირდებოდა ოსტატს, მის ოდნავ შეჭალარავებულ თმას, აოცებდა ამ სახეკუმტ, მაგრამ კეთილშობილი და ჭეშმარიტი ხელოვანის ხელების ჯადოქრული ძალა. მხატვარი სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე გოლდმუნდს წარმოედგინა:

უფრო ხანში შესული, მოკრძალებული, ჭკვიანი, უბრალო, საყვარელი და არცთუ ბედნიერი ჩანდა. მისი გამომცდელი მზერა ახლა სამუშაოსკენ იყო მიმართული და გოლდმუნდიც უფრო თამამად და სრულად აღიქვამდა მის სახეს. ეს კაცი სწავლულიცაა, ხელოვნებას ნაზიარები დინჯი და მკაცრი მკვლევარიცაო, – ფიქრობდა გოლდმუნდი, – ეს კაცი თავის გამოცდილებასა და შემოქმედების საიდუმლოებას მისაწვდომს გახდის თავისი მიმდევრებისა და მომავალი თაობებისათვის.

დაკვირვებული კაცი ოდნავ მაინც ამოიცნობდა მის მოთმინებას,

განსწავლულობას, სიბეჭითეს, მოკრძალებასა და ადამიანის ყველანაირი სამუშაოს სკეპტიკურად შეფასების უნარს. მის მზერაში მიზანდასახულობაც გამოსჭვიოდა, თუმცა მისი ხელები სულ სხვაზე მეტყველებდნენ. ხელებსა და გონებას შორის წინააღმდეგობა არსებობდა. მტკიცე და მგრძნობიარე თითები თიხას ეძალებოდნენ, თითები აძლევდნენ მას ფორმას, თავს ისე ევლებოდნენ, როგორც შეყვარებულის ხელები თავის საყვარელ არსებას. სიყვარულით, სიფაქიზით, მთრთოლავი მგრძნობელობითა და მონატრებით ევლებოდნენ და კაცი ვერ გაარჩევდა, რომელს რომელი უფრო უყვარდა. ვნება და ნეტარება ისე დახვეწილად და ოსტატურად ერწყმოდა ერთმანეთს, რომ აშკარად ჩანდა დიდი გამოცდილება. აღფრთოვანებული და მოჭადოებული შეჰყურებდა გოლდმუნდი ამ კურთხეულ ხელებს. სიამოვნებით დახატავდა ოსტატს, რომ არ ყოფილიყო მის სახესა და ხელებს შორის წინააღმდეგობა.

ვიდრე გოლდმუნდი თითქმის მთელი საათი შესცქეროდა მუშაობაში გართულ ოსტატს და ლამობდა მის ამოცნობას, მის წარმოსახვაში სხვა სახე იკვეთებოდა, იხატებოდა სურათი ადამიანისა, ვისაც ყველაზე უკეთ იცნობდა, ძალიან უყვარდა და სულიერად მოჭადოებული იყო მისით; ეს სახე იხატებოდა ყოველგვარი დავისა და დაბრკოლებების გარეშე, თუმცა იგი ნაირგვარად წარმოუდგებოდა გოლდმუნდს და არაერთ ბრძოლასაც ახსენებდა. ეს იყო მისი მეგობრის, ნარცისის სურათი. თანდათან იკვეთებოდა, ცხადი და ხილული ხდებოდა ამ ძვირფასი ადამიანის შინაგანი პორტრეტი:



კეთილშობილი, სულიერებით განმსჭვალული, სულისადმი მსახურებით გასპეტაკებული, მშვენიერი, მოკუმული პირბაგე, ნაღვლიანი თვალები, სულიერებისათვის ბრძოლაგადატანილი მხრები, მაღალი ყელი, ნაზი, დახვეწილი ხელები.

მონასტრიდან წამოსვლის შემდეგ ასე ცხადად არასოდეს დაუნახავს მეგობარი. ასე, მთელის არსებით არასოდეს უხილავს მეგობრის ხატი.

თითქოს ოცნებაშიაო, ისე დაიწყო გოლდმუნდმა ხატვა.

სურვილით დიდად არ სურდა, მაგრამ აუცილებლად რომ უნდა დაეხატა, ეს კი იცოდა და ამიტომაც შეუდგა მუშაობას.

სიყვარულითა და პატივისცემით დაიწყო იმ ადამიანის სახის მოხაზვა, მის გულში რომ სახლობდა. ისე გაიტაცა მუშაობამ, რომ აღარც ოსტატი ახსოვდა, აღარც საკუთარი თავი და არც ის, სად იმყოფებოდა. ის ვერ ხედავდა, რომ დარბაზში ჩრდილი დროდადრო მოძრაობდა: ოსტატი დროდადრო დაჰყურებდა. თითქოს მსხვერპლს სწირავსო, ისეთი სიბეჭითით მოჰყავდა თავისი დავალება სისრულეში, ამ დავალებამ მთელი არსებით შეიპყრო, მეგობრის სულიერება დაანახა. მეგობრის სახე უნდა გამოეკვეთა ისეთი, როგორიც ახლა წარმოიდგინა და ახსოვდა. არც დაფიქრებულა, დავალება ისე მიიღო და ისე ხატავდა, თითქოს ვალს იხდისო, თითქოს მადლობას სწირავსო.

ნიკლაუსი მიუახლოვდა და უთხრა: «სადილის დროა, საჭმელად მივდივარ, მენც შეგიძლია წამოხვიდე. აბა, ვნახოთ, შენ რაღაც დაგიხატავს».

გოლდმუნდის უკან დადგა და ნახატს დააცქერდა, ხელში აიღო. გოლდმუნდი სიზმრიდან გამოფხიზლდა და შიშით ელოდა ახლა ოსტატის პასუხს. ოსტატი კი იდგა, ორივე ხელში ეჭირა ნახატი და გულისყურით აკვირდებოდა; მკაცრი, ცისფერი თვალებით გამჭოლავად ჩასჩერებოდა ნახატს.

– ეს ვინ არის, ვინ დახატე? – ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

– ჩემი მეგობარია, ახალგაზრდა ბერი და სწავლული.

–ვარგი, დაიბანე ხელები ეზოში, იქ წყალი მოდის. მერე ვისადილოთ. ჩემი თანაშემწეები აქ არ არიან, სხვაგან მუშაობენ.

გოლდმუნდი დამორჩილდა და ეზოში წყაროზე ხელები დაიბანა. რას არ მისცემდა, ოღონდაც ოსტატის აზრი შეეტყო.

ეზოდან მობრუნებულს მასპინძელი იქ აღარ დახვდა.

გაიგონა, რაღაცას აკეთებდა გვერდით ოთახში; მერე ისიც გამოჩნდა, იმასაც დაებანა და წინსაფრის ნაცვლად ლამაზი, მაუდის ქვედა კაბა ჩაეცვა, საზეიმოდ გამოიყურებოდა.

გოლდმუნდს წინ გაუძღვა, ანგელოზებით დამშვენებული კაკლის ხის კიბე აიარეს, გაიარეს იატაკაჭრელებული დერეფანი და ლამაზ, ხით მოპირკეთებულ ოთახში შევიდნენ.

სარკმელთან კუთხეში გაშლილი მაგიდა იდგა. ქალიშვილმა მოირბინა; გოლდმუნდმა იცნო გუშინ საღამოს ნანახი ლამაზი გოგონა.

– ლიზბეტ, – მიმართა ოსტატმა, – სტუმარი მოვიყვანე, ჭურჭელი მოართვი. აი, ეს არის, დიახ, მისი სახელი ჯერ არც კი ვიცო.

გოლდმუნდიო, უთხრა.

– ესე იგი, გოლდმუნდი. მივუსხდეთ სუფრას?

– ახლავე, მამა.

გოგონამ გოლდმუნდს თეფში დაუდგა, მერე გაიქცა და ვიღაც ქალთან ერთად მობრუნდა. ქალმა ღორის ხორცი, ოსპი და თეთრი პური შემოიტანა. მამა-შვილი სადილობისას საუბრობდა, გოლდმუნდი ჩუმად იჯდა, ცოტას ჭამდა, თავს უხერხულად გრძნობდა. გოგონა ძალიან მოეწონა, მშვენიერი არსება თითქმის მამის სიმაღლე იყო, დარცხვენილი იჯდა და არც ხმა გაუცია და არც შეუხედავს უცხოთვის.



სადილის შემდეგ ოსტატმა თქვა: «ნახევარ საათს კიდევ დავისვენებ.

შენ თუ გინდა, სახელოსნოში წადი, გინდა გარეთ გაიარ-გამოიარე ცოტა. მერე კი საქმეზე ვილაპარაკოთ».

გოლდმუნდი დაემშვიდობა და გარეთ გავიდა. თითქმის ერთი საათი იყო, რაც მხატვარმა მისი ნახატი ნახა, თქმით კი არაფერი უთქვამს. ახლა კიდევ ნახევარი საათი უნდა მოითმინოს! რა გაეწყობა, დაელოდება! სახელოსნოში არ შევიდა, ახლა არ უნდოდა თავისი ნახატი ხელმეორედ ენახა.

ეზოში გავიდა და წყაროსთან ჩამოჯდა. წყლის ნაკადი მილიდან ქვის აუზში ეშვებოდა, პატარა ჭავლებს ქმნიდა და მერე სიღრმეში იკარგებოდა, რათა კვლავ ზედაპირზე ამოტივტივებულიყო თეთრ მარგალიტებად. წყლის ჩამუქებულ სარკეში გოლდმუნდი საკუთარ სახეს ხედავდა, მაგრამ ის გოლდმუნდი, წყლიდან რომ უცქერდა, უკვე აღარ იყო მონასტრის გოლდმუნდი, აღარც ლიდიას გოლდმუნდი და აღარც ტყეებისა. გოლდმუნდი ფიქრობდა, როგორც მე, ისე ყოველი კაცი ამ წყლის სარკეში ავირეკლებითო, მუდამ ვიცვლებითო, ბოლოს ჩვენი სახე გამოიკვეთებაო, როცა ხელოვანი მარად უცვლელ ამ სახეთა მსგავს სახეებს შექმნისო.

იქნებ ფიქრებმა გაიტაცეს გოლდმუნდი. ყველანაირი ხელოვნება და ყოველი სულიერი სიკვდილის წინაშე ძრწის.

ჩვენ გვაძრწუნებს სიკვდილი, ჩვენ გვეშინია წარსულისა, ნაღვლიანად შევცქერით ყვავილთა ჭკნობას, ფოთოლცვენას და ვგრძნობთ, რომ ჩვენც წარმავალნი ვართ და მალე დავჭკნებით. მაგრამ თუკი ხელოვანი კაცი შექმნის სურათს, თუკი მოაზროვნე კაცი კანონს ჩაწვდება, მაშინ ეს ადამიანები სიკვდილის როკვას თავს დააღწევენ და მერეც იცოცხლებენ თავიანთი შემოქმედების წყალობით. ქალი, ვისი ხატების მიხედვითაც ამ მხატვარმა შექმნა მშვენიერი მადონა, იქნებ უკვე დაჭკნა ანდა აღარც არის ამქვეყნად? ხელოვანიც მოკვდება, მის სახლში სხვები მოვლენ და სხვები შემოუსხდებიან სუფრას, მაგრამ ხელოვანის მიერ შექმნილი ქანდაკება კი კვლავ იდგება მყუდრო ეკლესიაში დღეს, ხვალ და ასი წლის შემდეგაც და კვლავაც იბრწყინებს თავისი სიმშვენიერითა და ნაღვლიანი ღიმილით.

გოლდმუნდს მოესმა ოსტატის ნაბიჯები და სახელოსნოში გაიქცა. ოსტატი ბოლთას სცემდა, თან გოლდმუნდის ნახატს ათვალიერებდა, მერე ფანჯარასთან შეჩერდა და მისთვის ჩვეულ მშრალ კილოზე თქვა: «ჩვენ იმ შემთხვევაში ვიღებთ შეგირდს, თუ იგი სულ ცოტა ოთხ წელიწადს ისწავლის და მამამისი მასწავლებელს სწავლის ფულს გადაუხდის».

გოლდმუნდმა იფიქრა, ოსტატს ეშინია, ვაითუ ჩემგან შეგირდობის ფული ვერ მიიღოსო, და ელვის სისწრაფით ამოიღო ჭიბიდან დანა, ჩაკერებული დუკატი ამოაძრო და ოსტატს გაუწოდა. გაოცებულ ნიკლაუსს გაეცინა:

- ეგ რა გაიფიქრე, არა, ყმაწვილო, ეგ ოქროს ფული შენ შეინახე. მე მხოლოდ ის გითხარი, რა შემთხვევაში ვიღებთ სახელოსნოში შეგირდს. მაგრამ არც მე ვარ ჩვეულებრივი მასწავლებელი და არც შენ იქნები ჩვეულებრივი შეგირდი.

შეგირდი სწავლას გადის თხუთმეტ წელიწადს. აქედან ნახევარი დრო დამხმარე სამუშაოებს აკეთებს და ოსტატდება.

შენ უკვე ჩამოყალიბებული ყმაწვილი ხარ და შეგიძლია შეგირდიც გახდე და ოსტატიც. სახელოსნოში წვეროსანი შეგირდი ჯერ არ გვყოლია. იმასაც გეტყვი, რომ სახლში შეგირდის მოყვანა არ მიყვარს. შენ არ ჰგავხარ ისეთ კაცს, ვისაც შენს ნებაზე ატარებ.

გოლდმუნდს მოთმინების ფიალა აევსო, ოსტატის ყოველი სიტყვა მტანჯველი და მოსაწყენი ეჩვენებოდა. ველარ მოითმინა და ცოტა მკვახედ წამოიძახა:

- კი მაგრამ, რატომ მეუბნებით ამას, მე ხომ სულაც არ ვფიქრობ შეგირდობას.

ოსტატმა კვლავ დინჯად განაგრძო:

- ერთი საათი ვფიქრობდი, რა მეპასუხა შენს თხოვნაზე, მოთმინება იქონიე და ყური დამიგდე: შენი ნახატი ვნახე.

მთლად სრულყოფილი არ არის, მაგრამ მაინც ლამაზია.



ასე რომ არ იყოს, მაშინ ნახევარ გულდენს გაჩუქებდი და აქედან გაგისტუმრებდი. შენს ნახატზე მეტი არაფრის თქმა არ მსურს. მინდა დაგეხმარო, რომ ხელოვანი გახდე, იქნებ სწორედ ეს არის შენი მოწოდება? მაშასადამე, როგორც ამბობ, შეგირდობა არ გინდა. ვინც შეგირდი არ ყოფილა და ვისაც არ უსწავლია, ჩვენს სახელოსნოში მას შეგირდობისა და ოსტატობის ნება არა აქვს. თუ შეგიძლია, რამდენიმე ხნით ამ ქალაქში დარჩე, იარე ჩემთან, უსათუოდ შეიძენ ბევრ სასარგებლოს. არავითარი წინასწარი ვალდებულება და შეთანხმება არაა საჭირო. შეგიძლია წახვიდე, როცა მოგესურვება.

გინდაც ბევრი საჭრეთელი გაგიტყდეს ან ხის მასალა გაგიფუჭდეს, თავიდათავია გამოჩნდეს, რისი შემძლე ხარ. ხოლო თუ გამოჩნდება, რომ ხეზე კვეთისა არა გაგეგება რა, სხვა საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი. რას იტყვი ამ პირობაზე?

გოლდმუნდი შეაცბუნა და ღრმად დააფიქრა მხატვრის ნათქვამმა.

– გულითად მადლობას გიძღვნი. მე, უთვისტომო კაცს, ამ ქალაქში ისევე მომიწევს ხეტიალი, როგორც ტყეებში ვხეტილობდი.

მესმის, თქვენ ჩემზე არც პასუხისმგებლობას აიღებთ და არც იბრუნებთ, როგორც შეგირდზე. მაგრამ თავს ბედნიერად ვთვლი, თქვენთან სწავლის ნება რომ დამრთეთ.

გულითად მადლობას გიხდით, რომ ჩემთვის სიკეთის ქმნა ისურვეთ.

# თავი მეთერთმეტი

ახალმა სანახაობებმა გაიტაცა გოლდმუნდი, ახალი ცხოვრება დაიწყო მისთვის. რაკი ამ ქალაქმა ხალისიანად, მიმზიდველად და მდიდრულად მიიღო, ახალი ცხოვრებაც ასეთივე ხალისიანი და მრავალფეროვანი ესახებოდა. ქალაქის ნაირგვარმა ყოფამ მიიზიდა გოლდმუნდი, მაგრამ ნაღველი და ცოდნის მიღების წყურვილი მის სულში კვლავ ხელშეუხებელი რჩებოდა. დღევანდელი დღე გოლდმუნდისათვის მართლაც მხიარული და იოლი იყო. ის ხომ იმ ძლიერ საეპისკოპოსო ქალაქში იმყოფებოდა, სადაც ყვაოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგები, სადაც ქალები და ათასნაირი გართობა და სანახაობა ელოდა კაცს. გოლდმუნდის არსებაში ახალი ფერებითა და თვალსაწიერით გაიღვიძა არტისტულობამ.

მხატვარმა თევზის მოედანზე ოქრომჭედლის სახლში მოუნახა თავშესაფარი და გოლდმუნდიც ხის, თაბაშირის, ზეთის საღებავებისა თუ ოქროს ფირფიტების დამუშავებას სწავლობდა მხატვართანაც და ოქრომჭედელთანაც.

გოლდმუნდი იმ ბედკრულ ხელოვანებს როდი მიეკუთვნებოდა, რომელთაც ნიჭი კი აქვთ, თუმცა გამოხატვით ვერ გამოხატავენ. ზოგიერთები სამყაროს მშვენიერებას ღრმად სწვდებიან, ამაღლებულად აღიქვამენ, მაგრამ საკუთარ



არსებაში დაატარებენ შესანიშნავ ქმნილებებს, რადგან ვერ აგნებენ იმ გზას, რა გზითაც უნდა მოიტანონ ეს ქმნილებები სხვებამდე, ანუ სხვათა გასახარად და გასაზიარებლად.

გოლდმუნდს ეს თვისება არ აკლდა. ეადვილებოდა და ეხალისებოდა მასალის დამუშავება, რასაც თანდათან ალღოს უღებდა და ეჩვეოდა. ერთნაირად ემარჯვებოდა საღამოობით ამხანაგებთან ერთად ბარბითზე დაკვრაც, კვირა დღეებში სოფელ-სოფელ საცეკვაო მოედანზე ცეკვაც. იოლად ითვისებდა ყველაფერს, საქმე თავისთავად გამოსდიოდა და მაინც ყველაზე დიდი გულისყურით ეპყრობოდა ხეზე კვეთას, იცოდა, სიძნელეებსაც წააწყდებოდა, ბევრჯერ იმედიც გაუცრუვდებოდა, ბევრ ხესაც გააფუჭებდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მუყაითი შრომით აუცილებლად მიაღწევდა თავის საზაფხულს. მუშაობდა თავაუღებლივ, ხშირად აღწევდა მიზანს, მაგრამ მხატვარი მაინც ებუზღუნებოდა, სამუშაოს უწუნებდა. ერთხელ უთხრა: – სჯობს შეგირდობას თავი დაანებო, გოლდმუნდ, ქუჩიდან და ტყეებიდან ხარ მოსული და კვლავ იქ დაბრუნდები ალბათ. ვინც არ იცის, რომ შენ ქალაქელი ხელოსანი კი არა, ერთი უთვისტომო და მოხეტიალე კაცი ხარ, იგი ადვილად შეცდება და შენგან იმასვე მოითხოვს, რასაც სხვა ხელოსნები – თავიანთი შეგირდებისაგან.

შენ ძალიან კარგი მუშა ხარ, როცა მოგეხასიათება, ეს ბოლო დღე კი ხეტიალში გაატარე. გუშინ სახელოსნოში ნახევარი დღე გეძინა, არადა, ორი ანგელოზის ფიგურა უნდა გაგეპრიალებინა.

მართალი იყო მხატვარი და გოლდმუნდიც მდუმარედ იდგა, არ ცდილობდა, თავი გაემართლებინა. თვითონაც კარგად იცოდა, რომ სანდო და მშრომელი კაცი არ იყო. ვიდრე სამუშაოს შეეჩვეოდა და სიძნელეებს წააწყდებოდა, ხალისიანად და გულმოდგინედ მუშაობდა. თუ ცოტა რთული საქმე შეხვდებოდა, რომელსაც გულისხმიერება და ძალისხმევა სჭირდებოდა, ეზარებოდა. ამის გამო ხანდახან თვითონაც გაოცებული რჩებოდა. ნუთუ ასე ცოტა ხანში გახდა ბარმაცი და უქნარა? ნუთუ დედის მხრიდან მოსდგამს ეს თვისება?

კი მაგრამ, რა დაემართა ასეთი? განა სულ ახლახან არ იყო, სამონასტრო სკოლაში რომ გამოირჩეოდა მეყაითობითა და კარგი სწავლით? საიდან ჰქონდა მაშინ ამდენი თმენის უნარი? ახლა სად დაეკარგა იგი? ბერძნულში, ლათინურ სინტაქსში მაშინ რატომ მეცადინეობდა დაუღალავად, როცა მის გულს სულაც არ ეკარებოდა? თავს იტეხდა ამაზე ფიქრით გოლდმუნდი... ეს იყო სიყვარული, რომელმაც იმხანად გამოაწრთო და გამოზარდა. მისი სწავლა სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა დაჟინებული სწრაფვა ნარცისისაკენ, ვისგანაც გოლდმუნდმა ყურადღება და აღიარება დაიმსახურა. წუთი, საათი, დღე არ იყო, გოლდმუნდს საყვარელ მასწავლებელზე არ ეფიქრა და სანატრელ მიზანსაც მიაღწია: ნარცისი მისი მეგობარი გახდა. საოცარი ის იყო, რომ სწორედ სწავლულმა ნარცისმა დაანახა გოლდმუნდს მისი გამოუსადეგარობა და სადღაც სულის კუნჭულში მიკარგული დედის სახე გამოუღვიძა. ნაცვლად სწავლულობის, ბერული ცხოვრებისა და სათნოებისა

გოლდმუნდის არსებას დაეუფლა ძლიერი იმპულსები: ქალებისადმი სიყვარული, დამოუკიდებლობისაკენ, ხეტიალისადმი სწრაფვა, მაგრამ როცა მან მხატვარ ნიკლაუსის ღვთისმშობლის ქანდაკება იხილა, მაშინვე საკუთარ თავში ხელოვანი აღმოაჩინა და ახალ გზას დაადგა მტკიცედ. მაგრამ ახლა რა ხდება? საით მიდის ეს გზა? ეს რა დაბრკოლებები ელოდება წინ?

გოლდმუნდი თავდაპირველად ვერაფერს ხვდებოდა, მხოლოდ ხედავდა: მხატვარი ნიკლაუსი ფრიად ანცვიფრებდა, მაგრამ ისე არ უყვარდა, როგორც იმ წლებში ნარცისი.

გოლდმუნდს ერთგვარად სიხარულსაც კი ჰგვრიდა, როცა მხატვარი უჯავრდებოდა, იმედი გამიცრუეო. როგორც ჩანდა, მხატვარი ნიკლაუსი გაორებული იყო: მის მიერ შექმნილი ქანდაკებები – მათ შორის ზოგიერთი მართლაც დიდებული – გოლდმუნდს ძალზე მოსწონდა, მაგრამ თავად მხატვარი მისთვის მაგალითს არ წარმოადგენდა.

ამ ხელოვანი კაცის არსებაში, ვინც ნაღვლიანი, უმშვენიერესი ღვთისმშობელი გამოკვეთა, ამ ყოვლისმხედველი და სწავლული კაცის არსებაში, ვისი ხელებიც თავისი პატრონის ნააზრევსა და ნაფიქრს ხილულ სურათებად აქცევდა, იგრძნობოდა მეორე კაციც: მკაცრი და მფრთხალი მამა, საამქროს მხატვარი, ქვრივი კაცი, რომელიც ქალიშვილთან და აუტანელ შინამოსამსახურებთან ერთად ცხოვრობდა თავის მყუდრო სახლში წყნარად



და კარჩაკეტილად. ამ კაცისთვის უცხო და მიუღებელი იყო გოლდმუნდის ძლიერი ლტოლვები და მისწრაფებები. იგი მშვიდ, ზომიერ, მოწესრიგებულ ცხოვრებას შესჩვეოდა.

თუმცა გოლდმუნდი თავის მასწავლებელს პატივს სცემდა, თუმცა არასოდეს უკადრია სხვებთან ზედმეტად ელაპარაკა მასზე, ერთი წლის შემდეგ უკვე იცოდა ყველაფერი ის, რაც შეიძლება ერთ კაცს სცოდნოდა მეორე კაცზე. მხატვარი გოლდმუნდს სჭირდებოდა, უყვარდა და სძულდა კიდეც.

მხატვარი მოსვენებას არ აძლევდა და ისიც სიყვარულითაც და უნდობლობითაც იმსჯვალეობდა მის მიმართ. თან ცნობისწადილი ჰკლავდა, ამოეცნო მისი ბუნება და გაეცნობიერებინა მისი წყნარი ცხოვრების არსი. ნიკლაუსს არც ერთი შეგირდისათვის და არც ერთი დამხმარე მომუშავისათვის თავშესაფარი არ მიუცია თავის სახლში, თუმცა საკმაოდ დიდი სახლი ჰქონდა. სახლიდან იშვიათად გადიოდა და სტუმრებსაც იშვიათად იღებდა. თავისი ლამაზი ქალიშვილი მოშურნეობით უყვარდა და ყველას არიდებდა. გოლდმუნდმა იცოდა, რომ ქვრივი კაცის მკაცრი და ნაადრევი მართობის მიღმა მაინც იმალებოდა ცოცხალი იმპულსები: თუ მოუწევდა ქალაქიდან გასვლა, უარს არ იტყოდა გართობაზე, ალბათ ახალგაზრდობას გაიხსენებდა. ერთხელ ისიც შეამჩნია, რომ ნიკლაუსმა ერთ უცხო პატარა ქალაქში, სადაც ეკლესიაში ჩუქურთმიან კათედრას დგამდნენ, ერთ საღამოს მალულად მონახა ერთი მეძავი ვაჭარი ქალი და მას შემდეგ მოუსვენრობა და ცუდი გუნება არ მოშორებია.

ამ ცნობისწადილის გარდა კიდევ იყო სხვა რაღაც, გოლდმუნდს ოსტატის სახელში რომ აჩერებდა და აძლებინებდა.

ეს იყო მშვენიერი ფროილაინ ლიზბეტი, რომელიც ძალზედ მოსწონდა. გოლდმუნდი ლიზბეტს იშვიათად ხვდებოდა, ქალიშვილი სახელოსნოში არ შედიოდა. გოლდმუნდი დარწმუნებით ვერ იტყოდა, ქალიშვილის გულგრილობა და მიუკარებლობა ვაჟების მიმართ მამისადმი შიშით იყო გამოწვეული თუ მისი გულჩახვეულობით. მხატვარი გოლდმუნდს სუფრაზე არასოდეს ეპატიჟებოდა, ქალიშვილს არიდებდა, და ამას აკეთებდა გოლდმუნდისათვის შეუმჩნევლად. ლიზბეტი მეტად საყვარელი, ზნეკეთილი და მიუწვდომელი არსება იყო, ქორწინების გარეშე ალბათ არც არავისთან გააბამდა სასიყვარულო კავშირს. ლიზბეტი ალბათ ერთ კარგ ოჯახიშვილს, საამქროს მფლობელს, ფულიანსა და მამულის პატრონ კაცს მითხოვდებოდა ცოლად.

ლიზბეტის სილამაზემ, გლეხი ქალების სილამაზისაგან განსხვავებით, პირველ დღიდანვე დაატყვევა გოლდმუნდი.

ლიზბეტს ჰქონდა რაღაც, რაც გოლდმუნდისათვის უცნობს, განსაკუთრებულს წარმოადგენდა, რაც მას ძლიერ იზიდავდა და იმავდროულად უნდობლადაც განაწყობდა ქალიშვილისადმი.

დიახ, აღიზიანებდა მისი საოცარი არაბავშვური თავდაჯერებლობა და უმწიკვლობა, აღზრდა და სისპეტაკე, ამ თვისებებისა და ქცევების უკან დამალული გულგრილობა და ქედმაღლობა. ქალიშვილის უბინოება არ ბოჭავდა გოლდმუნდს, ხიბლავდა და თავისკენ იზიდავდა, მის სახეს ლამის საკუთარ არსებაში დაატარებდა. ზედმინევნით შეისწავლა იგი და მოინდომა გამოეჩანდაკებიანა არა ისეთი, როგორიც ამჟამად იყო – გულგრილი და მიუკარებელი – არამედ გრძნობებითა და განცდებით აღსავსე, არა პატარა ქალწული, არამედ გამოცდილი ქალი. ზოგჯერ იმისი წყურვილი ჰკლავდა, ეს წყნარი, ლამაზი და უმფოთველი სახე ვნებით გატანჯულიც ეხილა და ნეტარებით აღვსილიც, გოლდმუნდს სურდა ქალის იდუმალი ბუნება გამჟღავნებულიყო ამ სახეში.

გოლდმუნდის სულში სხვა სახეც ცოცხლობდა; ეს სახე გოლდმუნდმა სრულად ვერ აღიქვა, მხოლოდ ერთხელ ჩაწვდა და მოინადინა დახატვა, მაგრამ იგი ხელიდან უსხლტებოდა და იდუმალებით იბურებოდა. ეს იყო დედის სახე. ეს სახე დიდი ხანია უკვე ის აღარ იყო, პირველად ნარცისთან საუბრისას მიკარგული მოგონებებიდან რომ წამოტივტივდა.

ტყე-ღრე ხეტიალისას, სასიყვარულო ღამეებში, დიდი საფრთხისა თუ სიკვდილთან მიახლოებისას დედის სახე ნელ-ნელა იცვლებოდა, ახალი ფერებით ივსებოდა, ღრმავდებოდა და სხვადასხვა სახით ჩნდებოდა. ეს აღარ იყო საკუთარი დედის სახე, ეს იყო სახე ევასი, ადამიანთა მოდგმის დედისა.



ისე როგორც მხატვარი ნიკლაუსი ღვთისმშობლის ტკივილიან სახეს მთელი სისრულითა და სიძლიერით გამოსახავდა, – რაც გოლდმუნდს შეუდარებელი ეჩვენებოდა, – ასევე გოლდმუნდსაც ეგონა თავდაპირველად, რომ შეძლებდა მიწიერი დედის, ევას ხატის შექმნას, რომელიც უძველეს და უსაყვარლეს სიწმინდედ ინახებოდა მის გულში, მაგრამ ეს მის გულში დავანებული სურათი ჯერ მხოლოდ გახსენებული სახე საკუთარი დედისა და მისდამი სიყვარულიც – ხშირად იცვლებოდა. ბოშა ლიზეს, რაინდის ქალიშვილის, და არა ერთ სხვა სახეთა წყალობით იპოვნა გოლდმუნდმა უძველესი სახე და ამ ერთ სახეში იძირებოდა არა მარტო შეყვარებულ ქალთა სახეები, არამედ ყოველივე ის, რაც სულს უძრავდა გოლდმუნდს: სულიერი გამოცდილებები და განცდები, რაიც თანდათან შეიძენდა ფორმას.

ეს სახე, თუკი შეძლებდა მის გამოხატვას, ერთი გარკვეული ქალის სახე კი არა, თავად ცხოვრება – უძველესი დედა – იქნებოდა. გოლდმუნდს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ცხადად ხედავდა სურათს, ზოგჯერ ესიზმრებოდა კიდევ, მაგრამ თქმით კი ვერ ამბობდა, ევას ამ სახის შექმნა რომ უნდოდა.

ალბათ ეცდებოდა, ეჩვენებინა ამ სახეში ცხოვრების სიტკბოების სულიერი ნათესაობა ადამიანურ ტკივილთან და სიკვდილთან.

ერთ წელიწადში გოლდმუნდმა ბევრი რამ ისწავლა. მალე გამოავლინა ხატვის დიდი უნარი. ნიკლაუსმა ნება დართო ხეზე კვეთის გარდა თიხაზეც

ემუშავა. გოლდმუნდის პირველი ნამუშევარი - თიხისაგან გამოძერწილი ქანდაკება - ორი მტკაველი სიმაღლისა იყო. გოლდმუნდმა თიხაში აამეტყველა ლიდიას დის, პატარა იულიას ვნებით სავსე მაცდუნებელი სახე. მხატვარმა მოუწონა ნახელავი, მაგრამ გოლდმუნდის თხოვნას იმის თაობაზე, რომ ეს ფიგურა ლითონში ჩამოესხა, უარით უპასუხა. მხატვრისთვის ამ ფიგურას მიწიერობა დაჰკრავდა და არც გონივრულობით გამოირჩეოდა. ამიტომაც არ მიაჩნდა დიდ ნარმატებად.

გოლდმუნდმა შემდეგ ნარცისის ხის ფიგურაზე დაიწყო მუშაობა. სურდა ამ სახეში იოანე მახარებლის სახე აემეტყველებინა.

თუკი ეს ნაწარმოები გამოუვიდოდა, ნიკლაუსი სხვა ქანდაკებებთან ერთად ამითაც შეამკობდა ჯვარცმას, რომელიც დაკვეთილი ჰქონდა და რომელზედაც უკვე კარგა ხანია ორი დამხმარე კაცი მუშობდა.

ნარცისის სახის შექმნას გოლდმუნდი დიდი გატაცებით შეუდგა. აქ გამოჩნდებოდა სწორედ საკუთრივ მისი შესაძლებლობები, მისი ხელოვნება, მისივე სული, თუკი, რა თქმა უნდა, - და ეს არცთუ იშვიათად ხდებოდა, - ცდუნებას არ აჰყვებოდა, სასიყვარულო თავგადასავლებს, ცეკვებს, ამხანაგებთან ქეიფს, კამათლების გორებას და აყალმაყალს არ გადაყვებოდა. ასეთ შემთხვევაში რამდენიმე დღით სახელოსნოს ტოვებდა ხოლმე და მერე უგულოდ უბრუნდებოდა საქმეს. თავის მოციქულ იოანეზე კი,

ვისი საყვარელი და მგრძნობიარე სახე ხეში უფრო და უფრო ნათლად იკვეთებოდა, შთაგონებით, გატაცებითა და მოთმინებით მუშაობდა. ამ წუთებში იგი არც მხიარული იყო და არც არაფერი ახსოვდა ქვეყნად, არც დღევანდელი დღე და არც სიცოცხლის წარმავლობა ადარდებდა. გულში ის კეთილი და ნათელი გრძნობა უღვივოდა, რომლითაც მაშინ სასურველ მეგობართან იყო დაკავშირებული. ეს გოლდმუნდი კი არ იყო, აქ რომ იდგა და საკუთარი სურვილით მეგობრის სურათხატს ჰქმნიდა, ეს სხვა, მეორე კაცი იყო, ეს ნარცისი იყო, რომელიც თავად გამოხატავდა საკუთარ თავს, რათა ცხოვრების წარსული და წარმავლობა დაეძლია და საკუთარი არსების ნამდვილი სურათხატი წარმოესახა.

გოლდმუნდმა უკვე იგრძნო, როგორ იქმნებოდა ნამდვილი ნაწარმოებები. ასე შეიქმნა ნიკლაუსის დაუვინწყარი მადონა, რომლის სანახავადაც გოლდმუნდი ხშირად დადიოდა ეკლესიაში.

ამ იდემალებითა და სინშინდით მოცულ გარემოებაში ასევე დაიბადა ალბათ რამდენიმე საუკეთესო ნაწარმოები, რომელიც ნიკლაუსს სხვენში ჰქონდა შენახული. ასევე იშვებოდა ის სურათიც, ის მეორე, ის ერთადერთი სურათი, რომელიც გოლდმუნდისთვის უფრო იდემალი და ფასეული იყო, – სურათი ადამის მოდგმის დედისა. აჰ, მხოლოდ ადამიანის ხელს ძალუძს შექმნას ასეთი ხელოვნება. ასეთი წმინდა, ღირშესანიშნავი, პატივმოყვარეობის კარნახის გარეშე დახატული სურათები! მაგრამ განა ყოველთვის ამგვარად



იქმნებოდა ნაწარმოებები, ეს ხომ მან დიდი ხანია იცოდა. შეიძლებოდა სხვა სურათების, ლამაზი და აღმაფრთოვანებელი სურათების შექმნა, რომლებიც ხელოვნების მოყვარულთ დიდად გაახარებდა, შეიძლებოდა ეკლესიებისა და ხალხმრავალი დარბაზების მორთვა-მოკაზმვა, ლამაზი საგნების წარმოჩენა, დიახ, მაგრამ ეს არ იქნებოდა წმინდა, ჭეშმარიტი სულიერი სურათები! გოლდმუნდს ნიკლაუსისა და სხვა მხატვართა არაერთი ისეთი ნაწარმოები უნახავს, რომლებიც დიდი მიმზიდველობით, სიღრმითა და გულმოდგინებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მაინც გასართობებს წარმოადგენდნენ!

უნახავს და მათ მაგიერ შერცხვენია და დაღონებულა კიდევ. ბევრჯერ თვითონაც უგრძვნია, მუშაობის დროს მიმხვდარა, არაერთი მხატვარი ასეთ ლამაზ სურათებს მხოლოდ გასართობად, პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად რომ ქმნიდა.

როცა ეს შეიცნო, სასო წარეკვეთა. აჰ, რაც არ უნდა მშვენიერი და ლამაზი ყოფილიყვნენ ანგელოზები და სხვა ნაკეთობები, მათ შემქმნელს ხელოვანს ვერ დაარქმევდა.

ხელოსნებისათვის და უბრალო მოქალაქეთათვის, არაფრის მომთხოვნი, უპრეტენზიო, კმაყოფილი ადამიანებისათვის შეიძლება ეს ნაწარმოებები რაღაცას წარმოადგენდა, მაგრამ გოლდმუნდისათვის გროშის ფასი ჰქონდა მათ. გოლდმუნდისათვის ხელოვნება და ოსტატობა არაფრად ფასობდა, თუ

მზესავით არ იკაშკაშებდა და ქარიშხლის ძალა არ ექნებოდა, თუ ისინი მხოლოდ კმაყოფილებას გამოიწვევდნენ, მხოლოდ სიამოვნებას, მხოლოდ პატარა ბედნიერებას. გოლდმუნდი სხვა რამეს ეძებდა. ღვთისმშობლის გვირგვინის მდიდრულად და ლამაზად მოოქროვება მისთვის სამუშაოს არ წარმოადგენდა, თუნდაც კარგი გასამრჯელო მიეცათ. რატომ ასრულებდა მხატვარი ნიკლაუსი ასეთ დავალებებს? რატომ აიყვანა მან ორი კაცი დამხმარედ? რატომ უსმენდა საათობით სიგრძის საზომით ხელში ქალაქის საბჭოს წევრებსა თუ საეკლესიო იერარქებს, როცა ისინი ეკლესიის შესასვლელის ან კათედრის მორთვას უკვეთავდნენ? ცხადია, ნიკლაუსი ამას აკეთებდა ორი უბადრუკი მიზეზის გამო. ერთი, რომ სურდა ცნობილი და მრავალი საქმით დატვირთული ხელოვანის სახელი გავარდნოდა და მეორეც, ფული უნდოდა, ფული, არა დიდი საქმეებისა და დროის გასატარებლად, არამედ თავისი ქალიშვილისათვის, რომელიც უკვე დიდი ხანია მდიდარი საპატარძლო იყო. ნიკლაუსს ფული სჭირდებოდა ქალიშვილის მზითვისათვის, ფარჩის ტანსაცმლის, კაკლის ხის საწოლების, ძვირფასი გადასაფარებლების და ნაირ-ნაირი ნივთების საყიდლად! თითქოს ამ ლამაზი გოგონასაგან სიყვარულის გამოცდას თივის ზვინში ვერ ჩაიბარებდა.

საათობით იძირებოდა გოლდმუნდი ამგვარ ფიქრებში, გულს დედისეული სისხლი უჩქროლებდა, ამ ამაყ და ბოგანო კაცს აქაური შეძლებული ხალხის სიძულვილი უჩნდებოდა.

ზოგჯერ უგემურ სადილივით ეკიდებოდა სამუშაოს, ეჭავრებოდა მხატვარი, ბევრჯერ აქაურობის მიტოვებაც განიზრახა.

თავის მხრივ მხატვარიც ბრაზდებოდა, ასეთი მძიმე ხასიათის ყმაწვილი სახლში რამ შემომაშვებინაო. მაშინ ხომ მთლად გაგიჟდა, როცა გაიგო, გოლდმუნდი დაეხეტება, ქონება და ფული არ ადარდებს, მფლანგველია, ქალების მოყვარული და ჩხუბისთავიო. ნეტავ რამ მოაყვანილა აქ დამხმარედ ეს საეჭვო ბოშა ყმაწვილი? არ გამოჰპარვია, როგორი თვალებით უყურებდა მის ქალიშვილს ეს მანანნალა. გოლდმუნდს თუ ბევრს უთმენდა, მოვალეობის გრძნობისა და შიშის გამო კი არა, უფრო სიყვარულისა და სულიერი ნათესაობის გამო. ჯერ კიდევ სრულად და კარგად არ იცნობდა. ტყეებიდან გამოქცეულ ამ ბოშას, რომელმაც ასე სულში ჩამწვდომი, ლამაზი, მაგრამ მაინც უგერგილო გრაფიკული ნახატი შექმნა და ამ ნახატის გამო თავისთან დაიტოვა. რაც შეეხება მოციქულის ფიგურას, აქ კი შეგირდი დიდ გულმოდგინებას იჩენდა, ჯიუტად და შეუცდომლად კვეთდა ხეზე მოციქულის ფიგურას. ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი ავად თუ კარგად, ადრე თუ გვიან დასრულდებოდა.

ასეთი ნაწარმოების შექმნა არც ერთ მის შეგირდს არ შეეძლო, ბევრჯერ დიდ მხატვრებსაც მოცარვიათ ხელი. რამდენი რამ არ მოსწონებია მხატვარს თავისი შეგირდისა, რამდენჯერ ნაკლზე მიუთითებია, რამდენჯერ გასჯავრებია, მაგრამ იოანეზე სიტყვაც არ დასცდენია. ჯაბუკური მომხიბლაობა



და გულუბრყვილობა, რომლის გამოც გოლდმუნდი ბევრს მოსწონდა, წლების მანძილზე ნელ-ნელა ქრებოდა. გოლდმუნდი უფრო დამშვენდა და დავაჟკაცდა. ქალები მეტისმეტად ეტანებოდნენ, მამაკაცებს ნაკლებად მოსწონდათ. მისი სულიერება მას შემდეგ შეიცვალა, როცა ნარცისმა მონასტრის ნეტარი ძილიდან გამოაღვიძა, როცა ბუნებამ და მოგზაურობამ გამოძერწა იგი. სადღა იყო ნაზი და ლამაზი, მონასტერში ყველასათვის საყვარელი ღვთისმომში და ლიტურგიის მსმენელი მოწაფე? ახლა იგი სულ სხვა კაცი იყო. ნარცისმა გოლდმუნდი გამოაღვიძა, ქალებმა ცოდნა შესძინეს, მოგზაურობამ საღერღელი აუშალა. მეგობრები არ ჰყავდა. მისი გული ქალებს ეკუთვნოდა. ქალები მას იოლად იპყრობდნენ. ერთი შეხედვა კმაროდა საამისოდ. ქალს ადვილად ნებდებოდა, უხმო სიყვარულზე უარს არ ეუბნებოდა. სილამაზის ჭეშმარიტი შემფასებელი იყო. მეტისმეტად ყმანვილი ქალები იზიდავდა, თუმცა არც მთლად ლამაზი და ასაკოვანი ქალებისთვის დაუკლია ხელი. საცეკვაო მოედანზე ბევრჯერ რომელიმე ძველმოდურ, ნაღვლიან გოგონას აჰყიდებია. გოგო, რომელიც არავის მოსწონდა, გოლდმუნდის თანაგრძნობას იწვევდა და არა მარტო თანაგრძნობას, მეტისმეტ ცნობისმოყვარეობასაც.

რამდენი ხანიც არ უნდა ყოფილიყო ერთ ქალთან – რამდენიმე კვირა თუ რამდენიმე საათი – ეს ქალი იყო მისთვის მომხიბლავი არსება. ამ ქალის ტყვე იყო იგი. გამოცდილებით იცოდა, ყოველ ქალს – ლამაზსა თუ ულამაზოს – შეეძლო სიამოვნების მონიჭება, რომ განსაკუთრებით ულამაზო, კაცებისაგან

უყურადღებოდ მიტოვებული ქალი ამჟღავნებდა მეტ სითბოსა და სიყვარულს. იცოდა, რომ ასაკოვანი ქალის ალერსი დედობრივი და სევდიანი სინაზით იყო სავსე, რომ თითოეულ ქალს თავისი საიდუმლოება და თავისი ხიბლი ჰქონდა და რომ მათთან ურთიერთობა ბედნიერ წუთებს განაცდევინებდა. ნაკლი თუ უნაკლობა ერთმანეთს აწონასწორებდნენ. რა თქმა უნდა, ყველა ქალს არ შეეძლო დიდხანს ყოფილიყო მისი საყვარელი. გოლდმუნდს ლამაზ ყმაწვილ ქალებზე ნაკლებ როდი უყვარდა შეუხედავი ქალები, ნაკლებად როდი ემადლიერებოდა მათ, მით უმეტეს, რომ მთელი არსებით იცოდა სიყვარული. იყვნენ ისეთი ქალებიც, დიდხანს რომ უწევდნენ საყვარლობას და იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირველ შეხვედრისთანავე იწურებოდნენ და მივიწყებულნიც ხდებოდნენ.

სასიყვარულო ნეტარება იყო გოლდმუნდისათვის ის, რითაც სიცოცხლეს, მისი აზრით, ხალისი და მნიშვნელობა ენიჭებოდა. უცხო იყო მისთვის პატივმოყვარეობა, ეპისკოპოსსა და მათხოვარს ერთნაირად უყურებდა. ფულისა და ქონების გიჟი არასოდეს ყოფილა, რასაც შოულობდა, მაშინვე ფლანგავდა. ქალების სიყვარულს, მათთან არშიყობას ანიჭებდა უპირატესობას, ხეტიალი და სიტკბოების წარმავლობა მწუხარებასა და მოწყენილობას ზრდიდა მის სულში. სწრაფწარმავალი აგიზგიზება სიყვარულის ცეცხლისა, ასევე სწრაფი ჩაქრობა ნეტარებით აღსავსე ვნებისა – მხოლოდ ეს იყო მისთვის ყოველი განცდის საბაბი, ტკივილი თუ სიხარული. ისეთივე ძალით ეძლეოდა თავის სულში დავანებულ წარმავლობის ნაღველს,



როგორც სიყვარულს, და ეს მელანქოლია იყო სიყვარულიცა და ვნებაც. ისე როგორც სიყვარულის სიტკბოება აღწევს ჯერ უმაღლეს, უნეტარეს დაძაბულობას, ხოლო შემდეგ ინავლება და ქრება, ასევე ბორგნეული იყო მისი შინაგანი მარტოობა და მწუხარებისადმი მიდრეკილებაც, ურთიერთს რომ ერწყმოდნენ ცხოვრებისეული მოთხოვნილების და ცხოვრების ნათელი მხარისკენ ახალი ძალისხმევის გამო. სიკვდილი და ვნება ერთი იყო. ცხოვრების დედას შეიძლება სიყვარული და ხალისი დარქმეოდა. შეიძლება სამარეც და ხრწნაც ეწოდებინა კაცს. მაგრამ ეს დედა ევა იყო. ეს იყო წყარო ბედნიერებისა და წყარო სიკვდილისაც. ის ბადებდა, ის კლავდა. მასში სიყვარულიც იყო და შეჭირვებაც. ეს სახე სიმბოლოდ და წმინდა სურათად იქცა გოლდმუნდისათვის.

გოლდმუნდმა არა სიტყვებით, არა ცნობიერებით, არამედ საკუთარი სისხლით შეიცნო, რომ მისი გზა დედისკენ, ვნებისა და სიკვდილისაკენ მიიმართებოდა. მამისეული ცხოვრების მხარე – სული, ნება მის არსებაში სამშობლოს ვერ კპოვებდა. ეს ნარცისის სახლი იყო და ახლალა გაითავისა გოლდმუნდმა მთელი არსებით თავისი მეგობრის სიტყვები, ამ სიტყვებში დაინახა თავისი არსების მეორე, საწინააღმდეგო მხარე, ეს ყველაფერი მან ჩააქსოვა იოანეს ქანდაკებაში და ხილულქმნა იგი. ზოგჯერ ისე ენატრებოდა ნარცისი, ლამის ეტირა. ნარცისი ბევრს ენატრებოდა, მაგრამ გოლდმუნდისნაირად არავის.

გოლდმუნდი რაღაც იდუმალი გრძნობით წინასწარ ჯვრეტდა თავისი



ხელოვნების საიდუმლოებას, თავის სიყვარულსა და სიძულვილსაც ხელოვნებისადმი, დაუფიქრებლად შეიგრძნობდა და ჭვრეტდა: ხელოვნება იყო შერწყმა მამისეული და დედისეული სამყაროების, სულისა და სისხლის.

ხელოვნება შეიძლება გრძნობით დაიწყოს და აბსტრაქციით დამთავრდეს, წმინდა იდეების სამყაროში თავისი საწყისი ჰპოვოს და სისხლით და ხორციით დასრულდეს. ყველა ამ ხელოვნების ნაწარმოებს – არა გასართობად შექმნილთ, არამედ მხატვრის ღვთისმშობელივით ამაღლებულთ, მარადიული იდემალებით მოცულთ – ყველა ამ ნამდვილ, ყველა ამ ჭეშმარიტ და უეჭველ ხელოვნებას ჰქონდა ეს საშიში, მომღიმარი, გაორებული სახე, ეს მამაკაცური და ქალური საწყისი, ეს ურთიერთლტოლვით შეერთებული საწყისი და წმინდა სულიერება. უფრო მეტად უძველესი დედის, ევას გაორებული სახე უნდა ენახათ ადამიანებს და თუკი გოლდმუნდი მოახერხებდა, უნდა შეექმნა ეს სახე.

იყო ხელოვანი და შემოქმედი – გოლდმუნდისათვის ნიშნავდა მის სულში არსებული დიდი წინააღმდეგობების, მარადიული მშვენიერების აღქმის შერწყმას თავის გაორებულ ბუნებასთან. ხელოვნება არ იყო ღვთითნაბოძები, არამც და არამც, არ იყო იგი ასე იოლი. იგი ძვირად ფასობდა. იგი მსხვერპლს მოითხოვდა. გოლდმუნდი აგერ უკვე სამ წელზე მეტია რაც კი რამ უმაღლესი და უწმინდესი გააჩნდა, მას სწირავდა. სიყვარულის სიტკბოების შემდეგ თავისუფლება იყო მისთვის მთავარი. სწორედ ეს თავისუფლება,

ტყე-ღრე ხეტიალი, მარტოობა და დამოუკიდებლობა, ყველაფერი ეს მან გაიღო. ზოგს იგი ჯიუტი, ჭირვეული და თვითნება კაცი ეგონა, როცა ხანდახან სახელოსნოსა და სამუშაოს მიაგდებდა.

არადა, მისთვის ეს ცხოვრება ტყვეობა იყო. ცხოვრება არ იყო მხატვარი, ვისთვისაც უნდა დაეჭვებინა, არც მომავალი იყო და არც გაჭირვება – ეს თავად ხელოვნება იყო. ხელოვნება ხილული, სულიერი ღმერთქალი, უამრავი წვრილმანით დატვირთული! გოლდმუნდს ჯერი სჭირდებოდა თავზე, ხელსაწყოები, ხის მასალა, თიხა, საღებავები, ოქრო სჭირდებოდა. ხელოვნება გარჯასა და მოთმინებას მოითხოვდა. გოლდმუნდმა ტყეთა ველური თავისუფლება შესწირა მას და კვლავაც უნდა შეეწირა სულისშემძვრელი განშორების, მოსალოდნელი საფრთხის, ათასი გაჭირვებისა და ტანჯვის ფასად.

შეწირულის რაღაც ნაწილს ისევ პოულობდა, ხანდახან სამაგიეროს უხდიდა მონურ წესრიგსა და აქაურ მკვიდრთ.

აწინდელ ცხოვრებაში თავგადასავლებს ეძებდა, რაც სიყვარულსა და აყალმაყალში იხატებოდა. ყოველგვარი თავშეკავება, მოთოკვა საკუთარი არსებისა უკიდურესად ეძნელებოდა, სულს უმძიმებდა. გოლდმუნდი ცნობილი ჩხუბისთავი გახდა. ქალთან მიმავალს ანდა ცეკვიდან შინ დაბრუნებისას ბნელ ქუჩაში თავს ესხმოდნენ, ერთი-ორჯერ ჯოხიც უთავაზეს თავში. თავდაცვის

მიზნით შეტევაზე გადადიოდა, მეტოქეს მუშტს ნიკაპში არტყამდა, თმით ათრევდა ან მთელი ძაღლონით ყელში უჭერდა ხელს. ასეთ შემთხვევაში დიდ სიამოვნებას განიცდიდა, ასაზრდოებდა თავის ბნელ ძალებს.

და ქალებს ესეც მოსწონდათ.

ეს ყველაფერი ცხოვრებას უმრავალფეროვნებდა და, ვიდრე მოციქულ იოანეზე მუშაობდა, სასარგებლოც კი იყო მისთვის, კარგა ხნით გადადებდა ხოლმე ქანდაკებას და მერე აღმაფრენით ჩაუჭდებოდა. პატარა ხის ფარდულში, დამხმარე სახელოსნოს უკან, მისი სამუშაო დასასრულს უახლოვდებოდა. თენდებოდა, როცა ფიგურამ საბოლოო სახე მიიღო. გოლდმუნდმა ჯაგრისით ფრთხილად და გულმოდგინედ ჩამოწმინდა ხის ტვერი, მერე დადგა და დიდხანს უცქირა. ასეთი საზეიმო განწყობილება, ასეთი დიდი განცდა იმ ადამიანს ეუფლება ხოლმე, ვისთვისაც ასეთი შემთხვევა ჯერ კიდევ სანატრელია ან ერთადერთია მის ცხოვრებაში. ასეთი განცდა შეიძლება ჰქონდეს კაცს თავისი ქორწილის ან რაინდად კურთხევის დღეს, ქალს – პირველი მშობიარობის შემდეგ. ასეთ განცდას ყოველთვის ახლავს სერიოზული შიში იმისა, რომ ეს საამო წუთი შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გაქრეს და ცხოვრების ჩვეულებრივ მდინარეებაში ჩაიკარგოს.

გოლდმუნდი წამოდგა, ერთხელ კიდევ შეხედა თავის მეგობარ ნარცისს, მოძღვარს თავისი ჭაბუკობის წლებისას, რომელიც გარინდებული, სულიერად



ამაღლებული იდგა ლამაზ სამოსელში ჩაცმული და რომლის სახეშიც საყვარელი მოციქულის სახე ამოიკნობოდა. უფლისათვის შეწირულ მოძღვარს სიმშვიდე და ღვთისადმი მოკრძალება დაჰფენოდა ღიმილიან სახეზე. ამ ლამაზი და ღვთისმოსავი სახისათვის, ამ თხელი და ჰაეროვანი ფიგურისათვის, ამ ჩამოქნილი, ლოცვისას ბეაჰყრობილი ხელებისათვის უცხო არ იყო არც ტკივილი და არც სიკვდილი, მაგრამ მათ მაინც ეტყობოდათ შინაგანი მუსიკაც და ისიც, ახალგაზრდული რომ იყვნენ, თუმცა ამ სახისთვის უცხო იყო სასონარკვეთა, უნესრიგობა, დაბრკოლება. ამ კეთილშობილ ნაკვთების მიღმა სული ხარობდა და მწუხარებდა კიდევ. ის იყო უმნიკვლო, მას უთანხმოებაც არა ტანჯავდა.

გოლდმუნდი იდგა და თავის ნაწარმოებს ათვალიერებდა.

მოწინებით შეჰყურებდა თავისი ახალგაზრდობისა დამეგობრობის ქანდაკს. მაგრამ მეგობრის სახეს თვალი რომ მოსწყვითა, შფოთიანმა, მძიმე ფიქრებმა მოიცვა. აი, აქა დგას მისი ნახელავი ლამაზი მოციქული, ვისი სათნო სულიც არასოდეს დაჰკნება. ის კი, ვინც ნაწარმოები შექმნა, უნდა გამოემშვიდობოს თავის ნაწარმოებს, რომელიც ხვალიდან უკვე მისი კუთვნილება აღარ იქნება, აღარ მიენდოს თავის ხელებს, აღარაფერს მიუმატებენ და აღარც არასდროს გაახარებენ ისინი თავის შემქმნელს. გოლდმუნდისათვის ეს ნაწარმოები თავშესაფარს აღარ წარმოადგენდა, აღარც ნუგეშსა სცემდა და აღარც ცხოვრების აზრს სძენდა. სულში თითქოს სიცარიელე იგრძნო, უკან გადადგა

ნაბიჯი. სჯობდა, დღესვე გამომშვიდობებოდა მარტო ამ იოანეს კი არა, მხატვარსაც, ქალაქსაც და ხელოვნებასაც. მას აქ აღარაფერი ესაქმებოდა. აღარაფრის დახატვა აღარ სურდა და ამოსაკვეთიც აღარაფერი ჰქონდა. ის სანატრელი სურათთა სურათი, კაცობრიობის დედის სახე მისთვის მიუღწეველი იყო, ყოველ შემთხვევაში, ჯერ შორს ჩანდა. ნუთუ ისევ ანგელოზები უნდა გაეპრიალებინა და ორნამენტები ამოეკვეთა? გოლდმუნდმა მხატვრის სახელოსნოს მიაშურა, წყნარად შევიდა და კართანვე შეჩერდა.

- რა მოხდა, გოლდმუნდ? - ჰკითხა ნიკლაუსმა.

- ქანდაკება დავამთავრე. სანამ მაგიდას მიუჭდებოდეთ, იქნებ წამოხვიდეთ და ნახოთ.

- სიამოვნებით, ახლავე მოვდივარ, ამ წუთში. - ერთად გავიდნენ და კარი ღია დატოვეს, რათა შუქი უკეთ შემოსულიყო.

ნიკლაუსს დიდი ხანია ფიგურა აღარ ენახა - გოლდმუნდი ხომ დამოუკიდებლად მუშაობდა - და ახლა სურათს დუმილითა და ყურადღებით შეჰყურებდა. მიუკარებელი კაცის სახე თითქოს განათდაო. გოლდმუნდმა დაინახა, როგორ გაუბრწყინდა მკაცრი, ცისფერი თვალები.

- კარგია, ძალიან კარგია. ეს შენი ნაწარმოები უკვე ოსტატის ნამუშევარია, გოლდმუნდ, შენ უკვე გისწავლია. შენს ფიგურას საამქროს ხალხს ვაჩვენებ და ვთხოვ, მხატვრის მოწმობა გადმოგცენ. შენ ეს დაიმსახურე.

გოლდმუნდი საამქროს ხალხს დიდად არ აფასებდა, მაგრამ მხატვარმა რომ აღიარა და შეაქო, ეს კი უხაროდა.

ნიკლაუსმა კიდევ ერთხელ შემოუარა იოანეს ფიგურას, ამოიკვნესა და თქვა:

- ეს ფიგურა ღვთისმოშიშობითა და სინმიდითაა სავსე, დამაფიქრებელია, ბედნიერებითა და სიმშვიდითაა მოცული.

ყველა იფიქრებს, რომ ეს იმ ადამიანმა შექმნა, ვის გულშიც ეს სახე წარუშლელია და სხივოსანი.

გოლდმუნდმა გაიღიმა.

- თქვენ იცით, რომ ამ ფიგურაში მე ჩემი თავი კი არა, ჩემი საყვარელი მეგობარი გამოვსახე. ეს მე არა ვარ, ეს მან შემოიტანა სურათში სისპეტაკე და სიმშვიდე. მაშასადამე, მე არ შემიქმნია ეს სურათი. მან შემოიტანა ჩემს სულში იგი.



- შეიძლება ასეც იყოს, - თქვა ნიკლაუსმა - საიდუმლოებაა ამ სურათის წარმოშობის ამბავი. ჩემი ბევრი ნაწარმოები შენსას ჩამორჩება არა ხელოვნებითა და დახვეწილობით, არამედ სინამდვილის გამოსახვით. ო, შენ თავადაც იცი, რომ ასეთი ნაწარმოების განმეორება შეუძლებელია. ეს ამოუხსნელი რამაა.

- დიახ, - მიუგო გოლდმუნდმა. - როცა ფიგურამ საბოლოო სახე მიიღო და მას შევხედე, გავიფიქრე: ასეთ ნაწარმოებს შენ ვეღარ შექმნი-მეთქი. ამიტომ ვფიქრობ, მხატვარო, რომ კვლავ ყარიბის გზას უნდა დავადგე.

გაოცება და უკმაყოფილება ვერ დაფარა ნიკლაუსმა.

კვლავ გაუმკაცრდა მხერა:

- ჩვენ ამ საკითხზე კიდევ ვილაპარაკებთ. შენთვის ახლა იწყება მუშაობა. რა დროს ყარიბობაა. დღეს სადღესასწაულო სადილზე გპატიუებ.

სადილად გოლდმუნდი დაბანილ-დავარცხნილი და საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი მივიდა. ახლა იცოდა, რამდენს ნიშნავდა და რა იშვიათი კეთილგანწყობა იყო მხატვრის მხრიდან სადილზე მიპატიუება. როცა კიბეს აუყვა ფიგურებით გადაჭედული სახურავისაკენ, მისი გული ისეთივე ღრმა პატივისცემითა და სიხარულით იყო ავსილი, როგორც მაშინ, როცა პირველად იხილა ეს ლამაზი, წყნარი ოთახი.

ლიბბეტიც მორთულ-მოკაზმული იყო, ყელზე მძივიც შემოეხვია, სუფრაზე კობრი თევზისა და ღვინის გარდა კიდევ ერთი სიურპრიზი დახვდა: მხატვარმა მას აჩუქა ტყავის ქისა და ორი ოქრო, შესრულებული სამუშაოს გასამრჯელოდ.

ამჯერად მამა-შვილის საუბარში ისიც ერეოდა, თანაც ორივენი მას ელაპარაკებოდნენ და სასმისებსაც უჭახუნებდნენ.

გოლდმუნდის თვალებს არაფერი გამოჰპარვია, შემთხვევა მიეცა დაკვირვებით შეეთვალიერებინა ეს მშვენიერი, კეთილშობილი და გარკვეულწილად ქედმაღალი ასული, რომელსაც თვალეზზე ეტყობოდა, მოსწონდა იგი. ლიბბეტი თავდაჭერილად იქცეოდა, არც წითლდებოდა, არც სითბოს ამჟღავნებდა, გოლდმუნდს ლამის სასო წარკვეთოდა, სურდა ეს მშვენიერი და გულგრილი სახე მხოლოდ მისკენ ყოფილიყო მიქცეული და აეძულებინა, მისი საიდუმლოება ამოეცნო.

სადილზე მიპატიჟებისათვის მადლობა უთხრა მასპინძელს, დაემშვიდობა, ერთხანს მოჩუქურთმებულ ჯერს უცქირა, შემდეგ კი დღის მეორე ნახევარი ქალაქში უაზროდ იხეტიალა.

იგი დაბნეული იყო, იგი უმიზნოდ დარჩა. მხატვრის შეფასებამ მოლოდინს გადააჭარბა, მაგრამ რატომღაც ამ ამბავმა დიდად არ გაახარა. კი მაგრამ, რატომ არ გაახარა?

გოლდმუნდმა უცბად გადაწყვიტა, ცხენი დაიჭირავა და იმ მონასტრისაკენ გაქუსლა, სადაც ამ რამდენიმე წლის წინ პირველად ნახა მხატვრის ქმნილება და სადაც პირველად გაიგონა მისი სახელიც.

ევლესიაში შევიდა და ღვთისმშობლის ფიგურას მიაჩერდა.

დღესაც მოხიბლა და დაატყვევა ამ ფიგურამ. ეს უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მისი იოანე. სულიერებითა და იდუმალებით თითქოს ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ შესრულებითა და ჰაეროვნებით ეს სჭობდა. ახლა სხვა თვალით, მცოდნე ხელოვანი კაცის თვალით აფასებდა გოლდმუნდი ამ ნაწარმოებს.

წყნარი, ნაზი მოძრაობები, გაბედულად მოხაზული ხელები და თითები, ხეზე მუშაობაზე აუცილებელი სიფრთხილე, ხის შეგრძნებაც – ყველა ეს მშვენიერება არაფერი იყო თავად სახის სრულყოფილებასა და სულიერებასთან, მხოლოდ ნიჭიერ კაცს ხელეწიფება ნაწარმოებს ასე ბოლომდე ჩასწვდეს. ამგვარი ნაწარმოების შესასრულებლად ხელოვანს მხოლოდ სულში დავანებული სურათები როდი შველის. მას განვრთნილი თვალი და განაფული ხელიც სჭირდება. იქნებ ღირდა გოლდმუნდს მთელი თავისი ცხოვრება ხელოვნებისათვის მიეძღვნა თავისუფლებისა და დიდი განცდების ხარჯზე, იქნებ ღირდა ერთხელაც შეექმნა ასეთი მშვენიერება, რომელიც მნახველს არა მარტო აღავსებს გრძნობით, არა მარტო თვალში ეცემა და მისდამი სიყვარულით განმსჭვალავს ყველას, არამედ ნამდვილ ხელოვნებასაც ამოიკითხავს მასში. ეს კი ცოტას როდი ნიშნავდა.



გოლდმუნდი გვიან ღამით დაბრუნდა დაღლილი. ქალაქში ერთი სამიკიტნოლა იყო ღია. პური შეჭამა და ღვინო დააყოლა.

მერე თევზის მოედანზე თავის ბინისაკენ გასწია უამრავი ფიქრით, კითხვითა და ეჭვით სავსემ.

# თავი მეთორმეტე

მეორე დღეს ვერ გადაეწყვიტა გოლდმუნდს, სახელოსნოში წასულიყო თუ არა. ადრინდელივით ეს დღეც ქალაქში გაატარა უღიმღამოდ. შესცქეროდა ბაზარში მიმავალ ქალებს.

თევზის მოედანზე წყალთან შეჩერდა. თევზით მოვაჭრეები და მათი ტლანქი ცოლები გამვლელებს თევზს სთავაზობდნენ და ევაჭრებოდნენ. შემზარავად პირდაფჩენილ ვერცხლისფერ თევზებს კასრებიდან იღებდნენ და დახლზე ალაგებდნენ. თევზები წყნარად მინდობოდნენ სიკვდილს, თუმცა შემზარავ, ცივ ოქროსფერ თვალებში რისხვა და სასოწარკვეთა ჩასდგომოდათ. გოლდმუნდმა ერთხელ უკვე გამოხატა თავისი თანაგრძნობა თევზებისა და გულისწყრომა ადამიანთა მიმართ; რატომ იყვნენ ადამიანები ასე ურცხვნი, გამოფიტულნი და სულელნი? რატომ ვერაფერს ხედავდნენ ადამიანები, მეთევზენი, მათი ცოლები და მუშტრები? რატომ ვერ ხედავდნენ ამ დაფჩენილ პირებს, სიკვდილის შიშისაგან გადმოკარკლულ თვალებს და გამწარებით მოფართხალე კუდებს, ამ მკაცრ უთანასწორო, სასოწარკვეთილ ბრძოლას, საოცრად ლამაზი წყლის ბინადართა აუტანელ სიკვდილს?

ბოლო გაფართხალე კუდისა, ხოლო ადამიანები ხარბად სანსლავდნენ უკვე ნაჭრებად ქცეულთ. ადამიანები ვერაფერს ხედავდნენ, არაფერი გაეგებოდათ,

არარაობასთან იყვნენ წილნაყარნი. მათთვის სულერთი იყო გინდ საბრალლო, მშვენიერი ცხოველის სიკვდილი ეხილათ, და გინდ მხატვრის მიერ უმაღლესად გამოკვეთილი წმინდანის სახე – სახე იმედიათ, კეთილშობილი, ტკივილიანიც და შიშის დამთრგუნველიც.

ადამიანები ვერაფერს ხედავდნენ, არარაობაში შთანთქმულიყვნენ!

ისინი კმაყოფილნი იყვნენ, სულ ფუსფუსებდნენ, გაბლენძილებს ვითომ სულ სადღაც ეჩქარებოდათ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს პირში უბოყინებდნენ, ლაზღანდარობდნენ, ორ გროშზე აყალმაყალს ტეხდნენ; ეს ყველაფერი მათთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ყველანი მოწესრიგებულნი იყვნენ და ამაყად შეჰყურებდნენ საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც. ღორები იყვნენ ისინი, აჰ, ღორებზე უარესები! არაფრის მაქნისები!

დიახ, გოლდმუნდი ხშირად ყოფილა ამ ადამიანების გვერდით, მაშინ ვერ შეუმჩნევია მათი არარაობა. მათთან ერთად რამდენჯერ ასდევნებია გოგოებს, შემწვარი თევზიც რამდენჯერ მიურთმევია გემრიელად, მაგრამ იყო შემთხვევა, როცა უცაბედად, თითქოს ვიღაცამ ჯადო გაუკეთაო, სიხარული და სიმშვიდე სადღაც გაქრობია, სიგიჟე და თვითკმაყოფილება მობეზრებია და თავდავიწყებული უაზრო დროსტარება ყელში ამოსვლია. ასეთ წუთებში სულიერად აფორიაქებული და ნაღველშემოწოლილი, მარტოობას



მონატრებული კვლავ მოგზაურობას წამოიწყებდა ხოლმე. იქ უკეთ გრძნობდა, უკეთ აკვირდებოდა ტკივილს, სიკვდილს, იქ სასოწარკვეთილების უფსკრულის პირას გარინდებული იდგა. იმედი არსაიდან ჰქონდა. უსაგნო და საშიში ეჩვენებოდა ცხოვრება, მაგრამ უცებ კვლავ გახალისდებოდა, კვლავ გატაცებით მიეცემოდა ნახატში ჩაქსოვილ მშვენიერებას, მუსიკას. ყვავილთა სურნელებით ტკბებოდა, კატას ეთამაშებოდა და ამ თამაშით თითქოს ცხოვრებას კვლავ უბრუნდებოდა. ახლაც ალბათ სულ მალე დაუბრუნდებოდა ცხოვრების სიხალისეს და სამყარო კვლავ აზრითა და სიკეთით აივსებოდა მისთვის.

მერე კვლავ ეწვეოდა სევდა, მოწყენა, უმწეობა, სიბრალული მოფართხალე თევზებისა და მჭკნარი ყვავილებისადმი, შიში ადამიანთა უაზრო, ღორული, უსაქმური და მიუხვედრელი ცხოვრების გამო. ასეთ წუთებში ტანჯავდა, ღრმა სევდას ჰგვრიდა ვიქტორზე ფიქრი, იმ ვიქტორზე, რომელსაც მაშინ ნეკნებში გაუყარა დანა და რომელიც სისხლში მოსვრილი ნაძვების ტოტებზე მიწოლილი დატოვა. ახლა ალბათ ძვალიც აღარ იქნება მისი, ალბათ ნადირმა შეჭამა, იქნებ ძვლები დარჩა, მისი ბალნიანი ხელების დარჩა. ნეტავ რამდენი ხანი სჭირდება, რამდენი წელიწადი, რომ ძვლები მიწად იქცნენ?

ეჰ, დღეს, როცა თევზების მიმართ თანაგრძნობით იყო განმსჭვალული და ბაზრის ხალხს ზიზღით შესცქეროდა, გული შიშნარევი სევდით ევსებოდა მთელ სამყაროზე და საკუთარ თავზეც შემომწყრალს.

ვიქტორზე ფიქრობდა, იქნებ იპოვნეს და დაასაფლავეს?

თუ ასეა – მაშინ ძვალზე ხორციც ექნება შერჩენილი, იქნებ სულ გაიხრწნა უკვე?

ან იქნებ ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი თმა და წარბები?

ნეთუ აღარაფერი დარჩა ვიქტორის ცხოვრებიდან, აღარც თავგადასავლები, აღარც მახვილგონივრული ხუმრობები და აღარც ნაირ-ნაირი შემთხვევები? თუმცა არა, დარჩა ერთი მოგონება, რომელიც აწვალებდა მის მკვლელს, მოგონება იმ კაცზე, ვისი ყოფაც და ცხოვრებაც ჩვეულებრივი არ იყო!

ნეტავ თუ კიდევ ოცნებობდნენ ვიქტორზე მისი ტურფები?

აჰ, ყველაფერმა ჩაიარა, ყველაფერი გაქრა. ასე ემართებოდა ყველას, ყველას და ყველაფერს, აყვავდება, მერე დაიყვავილებს, მერე თოვლით დაიფარება... ნეტავ თავად გოლდმუნდის სულში რა აყვავდა, როცა რამდენიმე წლის წინ ამ ქალაქში ჩამოვიდა ხელოვნებისადმი სიყვარულით, შიშით და მხატვარ ნიკლაუსისადმი ღრმა პატივისცემით აღსავსე დარჩა კიდევ რამე ამ ცხოვრებიდან? არა, არაფერი, გარდა საწყალი ვიქტორისა, აწოწილი ყაჩაღისა. რას წარმოიდგენდა გოლდმუნდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ნიკლაუსი მის ნიჭს აღიარებდა, მხატვრის ბარათს უბოძებდა, ის კი იმის

მაგივრად, რომ გახარებოდა, არაფრად ჩააგდებდა ამ ამბავს დამტკნარი, გამხმარი ყვავილივით.

გოლდმუნდი ამ ფიქრებში იყო, რომ უცებ სახე გამოეცხადა.

ეს იყო წამიერი, უეცარი გაელვება. მას უძველესი დედის სახე ეჩვენა, ცხოვრების უფსკრულთან დახრილ ქალს ლამაზსა და მკაცრ სახეზე ღიმილი ეხატებოდა. ღიმილით შესცქეროდა ახალშობილებს, მიცვალებულებს, ყვავილებს, მოშრიალე შემოდგომის ფოთლებს, ღიმილით უყურებდა ხელოვნებას, ღიმილით – ხრწნას.

უძველესი დედისთვის ყველაფერი ერთი იყო, უძველესი დედის იდუმალი ღიმილი მთვარესავით საერთო იყო ყველასთვის, მას ასევე უყვარდა მელანქოლიური გოლდმუნდი, როგორც თევზის მოედნის მოკირწყლულ ქუჩაზე მომაკვდავი კობრი, როგორც ამაყი, ცივი ქალწული ლიზბეტი, როგორც ვიქტორის ტყეში დაფანტული ძვლები, იმ ვიქტორისა, გოლდმუნდისათვის დუკატების მოპარვა რომ უნდოდა.

ისევ ჩაქრა ელვარება, დედის იდუმალი სახე მიინავლა.

მაგრამ გოლდმუნდის სულში მკრთალი ნათება მაინც დარჩა.



ცხოვრების მწველი მონატრების ტალღამ ტკივილით დაუსერა გული. არა, არა, მას არ უნდოდა ისეთი ბედნიერება და ისეთი სიმაძღრე, თევზის გამყიდველებს, მოქალაქეებს, საქმეში გართულ ხალხს რომ ჰქონდა. ეშმაკსაც წაუღია ისინი.

აჰ, ეს გაელვებული, გაცრეცილი სახე, ეს სავსე, მწიფე, მძიმე ბაგენი, რომელზეც უსახელო სიკვდილის ღიმილი დათამაშობდა ქარივით და მთვარის ნათებასავით!

გოლდმუნდმა ოსტატის სახლისაკენ გასწია ნაშუადღევს, კართან შეიცადა, გაიგონა, როგორ დაანება თავი ნიკლაუსმა სამუშაოს, რათა ხელები დაეხანა. გოლდმუნდი შევიდა.

ნება მომეცით, რამდენიმე სიტყვა გითხრათ, მხატვარო, ვიდრე ხელებს დაიბანთ და ქვედა კაბას ჩაიცვამთ. მე მთელი არსებით მივიღტვი ჭეშმარიტებისაკენ, მინდა რაღაც გითხრათ, რისი თქმაც ალბათ სწორედ ახლა შემიძლია და არა სხვა დროს. ამჟამად ადამიანთან ლაპარაკი მინდა და თქვენ ხართ ერთადერთი კაცი, რომელიც გამიგებთ. მე იმ კაცს არ ველაპარაკები, ვისი სახელოსნოც ყველასათვის ცნობილია, ვინც სხვადასხვა ქალაქებიდან და მონასტრებიდან შეკვეთებს იღებს, ორი დამხმარე ჰყავს და ლამაზი და მდიდრული სახლი აქვს. მე ველაპარაკები მხატვარს, რომელმაც ღვთისმშობელი, არნახული სილამაზის ხატი შექმნა ეკლესიის კედლებს

მიღმა. მე ეს კაცი დავაფასე, შევიყვარე და მიზნად დავისახე, დავახლოვებოდი მას. ახლა იოანეს ფიგურა შევქმენი, მაგრამ მე ვერ შევძელი მისი იმგვარად სრულქმნა, როგორც თქვენი ღვთისმშობელია; თუმცა ის ზუსტად იოანეა.

მეორე ნაწარმოები ჯერ არ შემისრულებია, იგი ჯერ არ არსებობს, მაგრამ თავისკენ მეწევა და მეძახის. უფრო სწორად, ჩემს წარმოსახვაში არსებობს შორეული წმინდა სახე, რომელსაც ოდესმე შევქმნი. დღეს კი მისი გამოსახვა მე არ ძალმიძს. საამისოდ ჯერ არ ვარ მზად. შესაძლოა სამოთხე წელიწადში შევქმნა, შესაძლოა ათ წელიწადში ან არც არასდროს. მანამდე კი, მხატვარო, არ მინდა ხელოსნობას გავყვე, ფიგურები ვღებო, კათედრები შევამკო ფულის გულისათვის და სხვა ხელოსნებს დავემსგავსო. ხელოსნობა არ მიტაცებს. მინდა ვიმოგზაურო, ცხოვრება შევიგრძნო, ზამთარი და ზაფხული შევიგრძნო, ქვეყანა მოვიარო; მისი სილამაზით დავტკბე, მის სიმკაცრეს გემო გავუსინჯო. მინდა შიმშილი და წყურვილი მკლავდეს, მინდა ეს ყველაფერი, რაც აქ ვნახე და ვისწავლე, დავიწყებას მიეცეს. ვისურვებდი ოდესმე თქვენი ღვთისმშობელივით მშვენიერი და ღრმა ნაწარმოები შემესრულებინოს, მაგრამ არ ვისურვებდი თქვენნაირი გავმხდარიყავი და თქვენი ყაიდით მეცხოვრა.

ოსტატმა ხელები დაიბანა, გაიმშრალა, შემობრუნდა და გოლდმუნდს შეხედა. მკაცრი სახე ჰქონდა, მაგრამ არა ბოროტი.

- შენ ლაპარაკობდი, - წარმოთქვა, - მე კი გისმენდი.

კარგი, ასე იყოს. სამუშაოზე აღარ დაგელოდები, თუმცა საქმე ბევრია. მე არ გიყურებ როგორც შეგირდს, მე ვიცი, შენ თავისუფლება გჭირდება. სხვა საქმეებზე მინდა გესაუბრო, ძვირფასო გოლდმუნდ, ახლა არა, ხვალ-ზეგ... მანამდე შეგიძლია შენს ნებაზე გაატარო დრო. იცოდე, მე ბევრად უფროსი ვარ შენზე და რაღაც-რაღაცები უკეთ გამეგება. მე სხვაგვარად ვფიქრობ, ვიდრე შენ, მაგრამ გაგებით შემიძლია გაგიგო. რამდენიმე დღეში დაგიძახებ. შენს მომავალზე ვილაპარაკებთ, მანამდე მოითმინე! კარგად ვიცი, რა ხდება იმ წუთებში, როცა გულით საყვარელ ნაწარმოებს დაასრულებ.

მეც მიგრძვნია ეს სიცარიელე. ეს გაივლის, დამიჯერე.

გულნაკლული წავიდა გოლდმუნდი, მხატვარს მისთვის სიკეთე კი სურს, მაგრამ დახმარება განა შეუძლია?

გოლდმუნდმა მდინარესთან ერთი ადგილი იცოდა, აქ წყალი ღრმა არ იყო, ჩხრიალ-ჩხრიალით მოედინებოდა.

გარეუბნელი მეთევზეები მდინარეში ყველანაირ ნაგავს ყრიდნენ. გოლდმუნდმა მდინარისკენ გასწია, სანაპირო ჯებირზე ჩამოჯდა და წყალში დაიწყო ცქერა. წყალი ძალიან უყვარდა, წყალი ყოველთვის იზიდავდა. ახლაც ჩააშტერდა ფსკერს, კამკამა წყალში თითქოს რაღაც საგნებს ხედავდა.



ოქროსფრად მოციმციმე, ბრჭყვიალა საგნები ხან ძველი თეფშის ნატეხს მიაბსგავსა, ხან ნამგალს. იქნებ სულაც ქვა ბრჭყვიალებდა, ან მოჭიქული აგური, ან სულაც შლამის თევზი, ან მსუქანი თავდიდა, ან ფარფლწითელა, რომელსაც ლამის ფსკერამდე ჩაღწეული მზის სხივი წამიერად უნათებდა ქერცლს. ზუსტად ვერავინ იტყოდა, რა იყო ნამდვილად, მაგრამ ფსკერზე ჩაძირული ოქროს განძის დაიბინდული ნათება კი ნამდვილად მომაჯადოებელი იყო. წყლის ამ პატარა საიდუმლოებას ჰგავდა ყველა ჭეშმარიტი საიდუმლოება, ადამიანის სულში არსებული ყველა ნამდვილი, ნათელი სურათი:

მათ არც კონტური გააჩნდათ და არც ფორმა, ისინი მხოლოდ შორეულ სილამაზედ აღიქმებოდნენ. ისინი დაფარულნი, მაგრამ საჭირონი იყვნენ. ისე როგორც მდინარის ამ დაბინდულ, ჩამწვანებულ სიღრმეში გაიელვებდა ხოლმე რაღაც გაურკვეველი, ოქროსფრად თუ ვერცხლისფრად აბჭყვრიალებული საგანი და ეს გაელვება ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ მაინც რაღაცას მოგაგონებდა, - ასევე მივიწყებული ადამიანის მარტო პროფილის დანახვაზეც კი შესაძლებელი იყო უსასრულოდ ლამაზი რამ წარმოგედგინა და დიდი გულისტკივილი გეგრძნო. შეიძლებოდა დაგენახა ფარნის შუქზე, როგორ მიაპობდა მატარებელი ლამის სიბნელეს, როგორ ხატავდა იდუმალ სურათებს მიწაზე განრთხმული მისი მრბოლავი უზარმაზარი ჩრდილი და ეს სურათები ვირგილიუსის პოემასავით აღგექვა და წაგეკითხა.

ამ დაუჯერებელმა და უცნაურმა ამბებმა გოლდმუნდს ოცნებები აუშალა ამ ღამით. უაზრობაში ინთქმებოდა სამყაროს ყველა სურათი. წყლის ერთ წვეთში შეიძლებოდა აღქმულიყო ადამიანის, ცხოველის, ანგელოზისა თუ დემონის სახეები.

კვლავ ათინათის თამაშს დაუკვირდა ფიქრებში ჩაძირული გოლდმუნდი. ფსკერზე მოლივლივე, უფორმო ნათებამ სამეფო გვირგვინები და ქალის მოშიშვლებული მხრები გაახსენა.

მარიამბრონიც გაახსენდა, რამდენჯერ უხილავს ლათინურ და ბერძნულ ასოებში მსგავსი სურათები. აღარ ახსოვს, ამის თაობაზე ნარცისს თუ ელაპარაკა მაშინ. აჰ, როდის იყო ეს, ალბათ საუკუნის წინ? აჰ, ნარცის! ოღონდ კვლავ შეხვდეს ნარცისს, ერთი საათით მაინც ესაუბროს, ხელი ჩამოართვას, მისი ხმა გაიგონოს და მზად არის თავისი ორი ოქროს დუკატი გაიღოს.

ნეტავ რატომ იყო ეს საგნები ასე ღამაში, რატომ იყო ასე თვალისმომტაცი ეს ოქროსფერი ნათება წყლის ქვეშ, ეს ჩრდილები და სურათები, ეს ზღაპრული სახეები? რატომ იყო ეს ყველაფერი ასე მშვენიერი და დამატკბობელი?

ეს ყველაფერი ხომ სწორედ იმას უპირისპირდება, რასაც ხელოვანი მშვენიერს ეძახის და მშვენივრად აქცევს. რაკილა იმ უსახელო საგანთა

მშვენიერებას ფორმა არა აქვს და მართოდენ იდუმალებით სავსეა, ცხადია, ეს ყველაფერი ხელოვნების ნაწარმოებებს უპირისპირდება, ხელოვნების ქმნილებანი თავიდან ბოლომდე ფორმაშია მოქცეული და სრულქმნილებაზე მეტყველებს. სხვა არაფერია იმაზე უფრო ცხადზე ცხადი და გარკვეული, ვიდრე დახატული ანდა ხეში ამოკვეთილი თავის თუ პირის გამოსახულება. ზუსტად, ზედმიწევნით შესძლებდა გოლდმუნდი ნიკლაუსის ღვთისმშობლის ქანდაკებიდან ქვედა ტუჩის ან წამწამების გადახატვას, რადგან აქ არაფერი იყო გაურკვეველი, ბუნდოვანი და ყალბი.

გოლდმუნდი ფიქრებმა გაიტაცა: ვერ ხვდებოდა, როგორ შეიძლებოდა აზრიანი, გასაგები, დასრულებული ქმნილება და გაუგებარი, უსახური და უსახელო საგნები ერთნაირად მოქმედებდნენ ადამიანის სულზე. გოლდმუნდს არაერთი თითქოს უნაკლოდ შესრულებული ხელოვნების ნაწარმოები უნახავს, მაგრამ რატომღაც არ მოსწონებია. ვერ იტყოდა, ამ ქმნილებებს სილამაზე აკლიაო, მაგრამ დიდხანს ვერ უყურებდა მათ, თითქმის სძულდა. სახელოსნოები, ეკლესიები და სასახლეები ასეთი უსიამო ხელოვნების ნაწარმოებებით იყო სავსე. ერთი-ორი მისი გაკეთებულიც იყო; ძალიანაც არ მოსწონდა, რადგან რაღაც უმაღლესის შექმნას ესწრაფვოდა და ასეთი კი გამოუვიდა. მათ მთავარი აკლდათ:

იდუმალება.



დიახ, ის, რაც ოცნებებსა და უმაღლესი ხელოვნების ნაწარმოებს საერთო ჰქონდა, იდუმალება გახლდათ.

გოლდმუნდი კვლავ ფიქრებში გაერთო: იდუმალება ისაა, რაც მე მიყვარს, რის კვალსაც მიყვები, რაც რამდენიმეჯერ გამოკრთა და დავინახე, და როგორც ხელოვანს მსურს, თუ ოდესმე მოვახერხე, გამოვსახო. ეს დიდი მშობლის, უძველესი დედის სახეა, და მისი საიდუმლოება, როგორც სხვა ფიგურების, უნდა გამოხატოს არა ამა თუ იმ წვრილმანმა, არა დასრულებულობამ თუ ნაკლმა, არა სიტლანქემ თუ მორთულობამ, არა ძალამ თუ მიმზიდველობამ, არამედ ამ სახეში გამოსახულმა სამყაროში არსებულმა უდიდეს წინააღმდეგობათა – სიცოცხლისა და სიკვდილის, სიკეთისა და ბოროტების, შენებისა და ნგრევის ურთიერთშერწყმამ.

იქნებ არ ღირს ამ ფიგურაზე ამდენი ფიქრი, იქნებ ეს მხოლოდ ჩემი ფიქრის ნაყოფი ანდა პატივმოყვარე ხელოვანის სურვილია, იქნებ სჭობდა ამ სახეში რაღაც ნაკლი გამომეძებნა და ხელი ამელო მის შექმნაზე? მაგრამ არა, უძველესი დედა მართო ფიქრი როდია, მე არ გამომიგონებია, მე იგი ვიხილე! ის ჩემში ცოცხლობს, მუდამ ჩემთან არის. პირველად მაშინ ვიხილე ეს სახე, როცა სოფელში ზამთრის ერთ ღამეს მშობიარე გლეხი ქალის საწოლთან ჭრაქი მეჭირა ხელში. სწორედ მაშინ დაიწყო ამ სახემ ჩემში სიცოცხლე.

ხანდახან ის მშორდება, დიდი ხნით იკარგება, მაგრამ უცბად კვლავ

გამოკრთება ხოლმე. დღესაც ასეა. დედაჩემის სახე, თავდაპირველად ჩემი უსაყვარლესი სახე, ამ ახალ სახეში ისე მოექცა და მოემწყვდა, როგორც ალუბალში კურკა.

გოლდმუნდი ცხადად გრძნობდა ახლა თავის მდგომარეობას, გადანწყვეტილების სიმძაფრეს; გრძნობდა, რომ სწორე გზაზე იდგა მაშინდელივით, როცა ნარცისსა და ეკლესიას გამოემშვიდობა: დედისკენ მიმავალ გზაზე. ერთხელაც იქნებ დედის სახე დაეხმარება შექმნას ყველასათვის ხილული, სახესრული ხატი. იქნებ ეს იყო მისი მიზანი, მისი ცხოვრების აზრი? იქნებ კი მან ეს ჯერ არ იცოდა. ერთი იცოდა მხოლოდ:

თუ დედისკენ მიმავალ გზას გაჰყვებოდა და დედასთან ერთად ივლიდა, გინდაც შემდეგ დაშორებოდა, კვლავ მას მოუხმობდა, კარგი იქნებოდა, ეს ცხოვრება იქნებოდა.

თუნდაც ვერ შექმნას მისი ხატი, თუნდაც მისი ეს ოცნება ოქროსავით ელვარე, წმინდა, მარადიულ საიდუმლოებად დარჩეს, გოლდმუნდი მაინც უნდა მიჰყვეს ამ ოცნებას, რამეთუ მას მიანდო თავისი ბედი. დედა იყო მისი ვარსკვლავი.

და აი, უკვე მტკიცე გადანწყვეტილების წინაშე იდგა, ყველაფერი ნათლად გაირკვა. ხელოვნება მშვენიერი რამ იყო, მაგრამ მისთვის ღვთაება და მიზანი არ ყოფილა; ის ხელოვნებას კი არა, დედის ძახილს უნდა გაჰყოლოდა. რა

უნდა ელონა, რომ სამუშაო კიდევ უფრო დაეხვეწა? მხატვარ ნიკლაუსის შემოქმედებას ეტყობოდა, საითკენაც მიემართებოდა.

მისი შემოქმედება სახელის მოხვეჭისა და დიდებისაკენ მიდიოდა, ფულისა და დამკვიდრებისაკენ და იმ შინაგან აზრთა დაშრეტისა და დაუძლურებისაკენ, როცა საიდუმლოება მხოლოდ წარმავლობაა. ნიკლაუსის გზა მიემართებოდა ლამაზი, ძვირფასი გასართობი ნივთების შექმნისაკენ, მდიდრული საკურთხევლებისა და კათედრებისაკენ, წმიდა სებასტიანებისა და ლამაზკულულებიანი ანგელოზებისაკენ, თითო რომ ოთხ ტალერად ფასობდა. ო, კობრას თვალში ჩასმული ოქრო და თხელი, ვერცხლისფერი გინგლი პეპელას ფრთებზე უფრო ლამაზი, ცოცხალი და ღირებულია, ვიდრე ხელოვნების ნაწარმოებებით გადაჭედილი დარბაზი!

ერთმა ბიჭმა სიმღერითა და პურის ჭამა-ჭამით ჩაიარა სანაპიროს ქუჩაზე. პურს რომ ჩაკბეჩდა, მელოდია მიწყდებოდა ხოლმე. გოლდმუნდმა პატარა ნატეხი გამოართვა, ორი თითით პურს გული ამოაცალა და დაანამცევს. მერე სანაპირო ჯებირზე გადაწოლილი კარგა ხანს ყრიდა წყალში პურის ნამცეცებს და თან ჩასცქეროდა, ჩამუქებულ წყალში როგორ ესეოდნენ თევზები. ამ სანახაობას სიამოვნებით ადევნებდა თვალს გოლდმუნდი... მერე შიმშილმა შეაწუხა და ერთი თავისი საყვარელი მოძებნა, ყასაბის სახლში მოახლედ რომ იდგა. ქალს გოლდმუნდი «ძევისა და ლორის ბატონ-პატრონს» ეძახდა. გოლდმუნდმა სამზარეულოს ფანჯარასთან დაუსტვინა. ამჩატებულ გუნებაზე



იყო, მოინდომა გარეუბანში, მდინარის გაღმა, ვაზიან ფერდობზე ქალთან ერთად წაეჭეიფა. ფერდობის ძონისფერი ნოყიერი ნიადაგი მსხმოიარე ვენახის ფონზე მეტისმეტად ჭრიდა თვალს. აქ გაბაფხულობით სუმბული ყვაოდა და ნაზ სურნელს აფრქვევდა ირგვლივ.

მაგრამ დღეს გადაწყვეტილებათა და შეცნობათა დღე იყო.

და ამიტომაც, როცა კატრინი ფანჯარას მოადგა და უტიფრად გაუღიმა, როცა გოლდმუნდს ის იყო ხელით უნდა ენიშნებინა, გამოდიო, უცბად ის დრო გაახსენდა, აქ ბევრჯერ რომ მდგარა მოლოდინში, და იმწამსვე თითქოს თვალი აეხილაო, ცხადად წარმოუდგა თვალწინ ყველაფერი, რაც შემდგომ წუთებში უნდა მომხდარიყო. ქალი ნიშანს მიუხვდებოდა, სწრაფად მოშორდებოდა ფანჯარას, მერე სახლის უკანა კართან გამოჩნდებოდა, შებოლილ ძეხვს გამოუტანდა, გოლდმუნდი მოეფერებოდა და გულშიც ჩაიკრავდა, ჰოდა, როცა ეს ყველაფერი წარმოიდგინა, სისულელედ და გულისამრევად ეჩვენა. ყელში ამოუვიდა ერთი და იგივე, დაბეპირებულივით მეორდებოდა ყველაფერი: ძეხვის მირთმევა, ქალის ძლიერი მკერდის მოზიდვა, ჩახუტება. უცებ მოუნდა ქალის კეთილ, უხეშ სახეზე რაღაც მარტივი და მეგობრული, რაღაც უბრალო და ანგარიშშიუცემელი ამოეკითხა.

უნდოდა უღირსობაც ამოეკითხა ამ სახეზე. წინანდებურად ვეღარ ანიშნა ხელით. ღიმილი შეეყინა სახეზე. უყვარდა, გულით მიილტვოდა კი ამ

ქალისკენ? არა! მართალია, აქ ხშირად დადიოდა, ხშირად ხედავდა ამ ერთფეროვან ღიმილს, მაგრამ მის გულს აღარ ეკარებოდა. რასაც გუშინ ანგარიშშიუცემლად აკეთებდა, დღეს უცებ შეუძლებელი გახდა. მოახლე იდგა და უყურებდა, გოლდმუნდი კი მობრუნდა და ქუჩაში გაუჩინარდა, რათა აქ მეორედ აღარ მოსულიყო. სხვა ქალს მოსძებნიდა, სხვა აჭმევდა ასეთ გემრიელ ძეხვს! საერთოდ აქ, ამ გამაძლარ ქალაქში რას არ ჭამდნენ, რაში აღარ ფლანგავდნენ ფულს! რა ბარმაცები, და რა განებივრებულები იყვნენ ეს ჩასუქებულ-ჩასუქებული ადამიანები! ყოველდღე რამდენ ღორსა და ხბოს კლავდნენ, რამდენი ლამაზი, საცოდავი თევზი ამოჰყავდათ მდინარიდან! თავად გოლდმუნდიც როგორ განებივრდა და გაირყვნა, რა შემზარავად დაემსგავსა ამ ჩასუქებულ ადამიანებს! ტყე-ღრე ხეტიალისას თოვლში ხეზე შემხმარი ქლიავი ან გამხმარი პურის ქერქი ერჩივნა აქაურ საუკეთესო კერძებს. ო, მოგზაურობავ, ო, თავისუფლებავ, ო, მთვარით განათებულ მინდორო და რიჟრაჟზე შეთრთვილ ბალახზე ნადირის კვალის თვალთვალო!.. აქ, ქალაქში, ყველაფერი რა იაფად ფასობდა, სიყვარულიც კი.

კმარა, მიუფურთხებია ყველაფრისათვის. აქაურმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა, გაუფერულდა. მშვენიერი იყო და აზრი ჰქონდა მანამ, სანამ ნიკლაუსი გოლდმუნდისათვის მაგალითს, ხოლო ლიბბეტი პრინცესას წარმოადგენდა; აქ ყოფნა გასაძლებელი იყო, ვიდრე იოანეზე მუშაობდა. სამუშაო დამთავრდა და გაქრა კეთილსურნელებაც, ყვავილი ჩაჰკნა.

გოლდმუნდი მეტისმეტად განიცდიდა მძიმე, სატანჯველ, დამათრობელ წარსულს. ყველაფერმა დაიყვავილა! ყველანაირი ხალისი სწრაფად გაქრა. დარჩა მხოლოდ ძვალი და მტვერი... აღარაფერი დარჩა და მაინც დარჩა კიდევ ერთი რამ: მარადიული დედა, უძველესი და მარად ახალგაზრდა, რომელსაც სახეზე აღბეჭდვოდა სევდით, ტკივილითა და სიყვარულით აღსავსე ღიმილი. გოლდმუნდს კვლავ წარმოუდგა იგი წამიერად: იჭდა ქვეყნიერების კიდესთან, დიდი და თმაში ვარსკვლავებგაბნეული, იჭდა ოცნებაში წასული, კრეფდა ყვავილებს – სიცოცხლეებს – და აუჩქარებლად ჰყრიდა უსასრულობაში.

როცა გოლდმუნდი მიხვდა, რომ აქ მისი ცხოვრება გაფერმკთალდა და დაიპრიტა, რომ დრო იყო აქაურობას სევდით გამომშვიდობებოდა, მხატვარ ნიკლაუსს საფიქრალი გაუჩნდა:

მას სურდა გოლდმუნდის მომავალზე ეზრუნა, ეს მოუსვენარი სტუმარი საბოლოოდ დაემკვიდრებინა აქ. საამქროში გოლდმუნდს მხატვრის მოწმობა უკვე უბოძეს.

გოლდმუნდი ამიერიდან მისი ხელქვეითი და დამხმარე კი არა, თანამშრომელი უნდოდა გამხდარიყო და მუდმივად მასთან ყოფილიყო, ყველა შეკვეთა მასთან ერთად შეესრულებინა, შემოსავალიც თანაბრად გაეყოთ. ნიკლაუსს ამავე დროს სარისკოც ეჩვენებოდა გოლდმუნდის



დატოვება ლიბბეტის გამო. ხომ შეიძლება ეს ახალგაზრდა კაცი ერთ მშვენიერ დღეს მისი სიძე გახდეს! გოლდმუნდმა ისეთი სრულყოფილი იოანე გამოკვეთა ხეში, რომ ვერც ერთი მისი შეგირდი, საუკეთესოც კი, ვერასოდეს შეძლებდა ამის გაკეთებას. თვითონ ნიკლაუსსაც წლები ემატება, იდეებითა და შემოქმედებითი ძალებით ღარიბდება, ჰოდა, თავის ცნობილ სახელოსნოს მართლა ჩვეულებრივ სახელოსნოდ ხომ არ აქცევს? იცის, გაუძნელდება ამ თემაზე ლაპარაკი გოლდმუნდთან, მაგრამ უნდა სცადოს, უნდა გაბედოს.

ოსტატს განზრახული ჰქონდა გოლდმუნდისათვის მხატვართა ამქარშიც მისაღებად ახალი, ლამაზი სამოსლითაც დაესაჩუქრებინა. ლიბბეტის მოსაზრებასაც ამის თაობაზე სიფრთხილით უნდა მოკიდებოდა. იმდღევანდელ სიდილობისას არ გამოჰპარვია მის თვალს თავისი ასულის ქცევა.

და თუ მართლაც ეს ყმანვილი აქ დარჩებოდა და მხატვრის სახელიც დაერქმეოდა, ლიბბეტი თავის ღირსად მიიჩნევდა.

აქაც გაუმართლა მხატვარს. ბოლოს და ბოლოს, თუ მხატვარი ნიკლაუსი და მისი დამხმარეები ვერ შეძლებენ ამ ბოშა ყმანვილის მოთოკვა-მოშინაურებას, სამაგიეროდ, ლიბბეტი მოახერხებდა ამას.

ასე მოაწყო ყველაფერი. ჩიტს ლამაზი მახე დაუგეს, და ერთ დღესაც კაცი

გაუგზავნეს გოლდმუნდს, რომელიც მას შემდეგ მხატვართან აღარ გამოჩენილა, და კვლავ სადილად მიიწვიეს. კვლავ გამოწვეპილი ეახლა მასპინძლებს, კვლავ იმ ღამაზ, საზეიმო ოთახში იჯდა, მხატვარს და მის ასულს კვლავ ჭიქას უჭახუნებდა, მერე ლიზბეტი გავიდა, კაცები მარტო დარტოვა, და ნიკლაუსმაც არ დაახანა, თავის განზრახვასა და ჩანაფიქრზე წამოიწყო ლაპარაკი.

ყური მიგდე, გოლდმუნდ, ყველა ახალგაზრდა როდი ახერხებს ვადაზე ადრე მიაღწიოს მხატვრის სახელს და მერე თბილი ბუდე მოიწყოს. შენ ბედმა გაგიღიმა, გოლდმუნდ.

გაოცებულმა და შეწუხებულმა გოლდმუნდმა შეხედა მხატვარს და უხერხულად წვდა ნახევრად შევსებულ სასმისს.

მან წინასწარვე იცოდა, ნიკლაუსი უქმად გატარებული დღეებისათვის ჯერ საყვედურს ეტყოდა და შემდეგ დამხმარედ დარჩენას შესთავაზებდა. მართლაც ასე მოხდა. გოლდმუნდი შეცბუნდა, დაიბნა და მაშინვე ვერ გასცა პასუხი.

მხატვარი დაიძაბა, იმედი გაუცრუვდა: მისი პირველი, საპატიო წინადადება სიხარულითა და მორჩილებით არ იქნა მიღებული. იგი წამოდგა:

- ჩემი წინადადება შენთვის მოულოდნელია, იქნებ ჯერ დაფიქრდე. ისე, მართალი გითხრა, მეგონა, დიდ სიხარულს გიმზადებდი... მაგრამ შენ როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე.

- ნუ მიწყენთ, გმადლობთ კეთილი სურვილისათვის და მეტადრე გმადლობთ იმ მოთმინებისათვის, რომელიც ჩემ მიმართ, როგორც შეგირდის მიმართ, გამოიჩინეთ. არასოდეს დავივიწყებ, რა ვალში ვარ თქვენ წინაშე, მაგრამ დასაფიქრებელი არაფერი მაქვს, დიდი ხანია გადავწყვიტე...

- რა გადაწყვიტე?

- გადავწყვიტე მანამ, ვიდრე სადილად მომიწვევდით...

რასაც შემომთავაზებდით, ვხვდებოდი. მე აქ დიდხანს აღარ დავრჩები, სამოგზაუროდ მივდივარ.

გაფითრებულმა ნიკლაუსმა წყენაჩამდგარი თვალებით შეხედა.

- მერწმუნეთ, თქვენი წყენა არ მინდა, - განაგრძო გოლდმუნდმა.

- უკვე გითხარით, რაც გადავწყვიტე და ეს აღარ შეიცვლება. უნდა წავიდე, ვიმოგზაურო, თავისუფლება შევიგრძნო. ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გიძღვნათ გულითადი მადლობა, ერთმანეთს მეგობრულად დავემშვიდობოთ.



გოლდმუნდმა ხელი გაუწოდა, ცრემლი მოადგა, ნიკლაუსს ხელი არც გაუტოკებია, ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში.

ასეთი გაბრაზებული და გაფითრებული არასოდეს უნახავს იგი გოლდმუნდს.

ნიკლაუსი უცებ გაჩერდა, თავი მოთოვა, გოლდმუნდისათვის არც შეუხედავს, ისე გამოსცრა კბილებში; – კარგი, წადი! მაგრამ ახლავე წადი, აღარ დამენახო!

რადაც არ ჩამადენინო და სული არ წამაწყმედინო.

კვლავ გაუწოდა ხელი გოლდმუნდმა მხატვარს, მაგრამ მხატვარს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს განვდილ ხელზე უნდა დააფურთხოსო. გაფითრებული გოლდმუნდი მობრუნდა, ოთახიდან წყნარად გავიდა, ქუდი დაიხურა და ნელა ჩაუყვა კიბეს მოჩუქურთმებულ მოაჯირს ჩაჭიდებული.

ეზოში გამართულ პატარა სახელოსნოში შევიდა გამოსამშვიდობებლად, ერთხანს თავის იოანეს წინ შეჩერდა და მერე უფრო დიდი გულისტკივილით დატოვა ეს სახლი, ვიდრე რაინდის სასახლე, სადაც საწყალი ლიდია გატანჯა.

რა მალე გავიდა დრო! «არაფერი მიკადრებია უხეირო», – ეს ერთადერთი ნუგეშისმომგვრელი ფიქრი იყო, როცა ზღურბლს გადააბიჯა. ქუჩა და ქალაქი შეცვლილი და უცხო ეჩვენა.

ყველაფერს მძაფრად აღიქვამდა და გულით ეთხოვებოდა, სახლისკენ მოიხედა – ეს სახლი მისთვის უცხო და კარმიხურული იყო უკვე.

თავის ბინაზე მისულმა გამგზავრებისათვის დაიწყო მზადება.

ბევრი არაფერი სჭირდებოდა; გამომშვიდობების გარდა სხვა საქმე არ ჰქონდა, კედელზე მისი ნახატი ეკიდა – მშვენიერი მადონა, აქ ყველაფერი მისი საკუთრება იყო:

საგარეო ქუდი, რამდენიმე წყვილი საცეკვაო ფეხსაცმელი, ნახაზების რვეული, პატარა ბარბითი, თიხის ფიგურები, საყვარლების ნაჩუქარი ნივთები: ხელოვნური ყვავილების თაიგული, ლალისფერი სასმისი, ძველი, გამხმარი ნამცხვარი გულის ფორმისა და სხვა ათასნაირი წვრილმანი, რომელთაც თითოეულს თავისი მნიშვნელობა და ისტორია ჰქონდათ და თუ ოდესღაც გულს უხარებდნენ, ახლა კი ხარახურად ქცეულიყვნენ.

მოგზაურობაში თან ხომ არ წაიღებდა ამათ? ლალისფერი სასმისი სახლის პატრონს გაუცვალა მონადირის დანაში, რომელიც მერე თვითონ გაღესა ქვაზე; ნამცხვარი მეზობლის ქათმებს დაუყარა; მადონას სურათი დიასახლისს აჩუქა და, სამაგიეროდ, კარგი საჩუქარიც მიიღო: ტყავის ძველი სამგზავრო აბგა და მდიდრული საგბალი. აბგაში ერთი-ორი პერანგი, ჯოხზე დახვეული ნახაზები და საგბალი ჩაალაგა.

ქალაქში ახლა რამდენიმე ქალს უნდა გამომშვიდობებოდა აუცილებლად.

ერთ ქალთან გუშინ ისე გაატარა ღამე, სიტყვაც არ დაუძრავს თავის გამგზავრებაზე, მას ხომ ყველაფერი ავიწყდებოდა, როცა მოგზაურობაზე ფიქრს ჩაიდებდა თავში. სახლის პატრონების გარდა არავის გამომშვიდობებია.

ეს სადამოსვე მოათავა, რათა სისხამ დილით გზას გასდგომოდა.

დილით ვიღაცამ მაინც დაასწრო გაღვიძება. ის იყო გოლდმუნდი გაპარვას აპირებდა, რომ სამზარეულოში მიიპატიჟეს რძეზე. ეს გახლდათ სახლის პატრონის ქალიშვილი, თხუთმეტი წლის მომხიბლავი, თვალმახარა, მაგრამ თეძოამოვარდნილი გოგონა – მარია. ნამძინარევი, ფერმკრთალი, მაგრამ კოჰნიად ჩაცმულ-დავარცხნილი გოგონა სამზარეულოში ცხელი რძითა და პურიტ გაუმასპინძლდა. იგი დადარდიანებული ჩანდა გოლდმუნდის წასვლის გამო. გოლდმუნდმა მადლობა გადაუხადა და გამომშვიდობებისას აკოცა თხელ ტუჩებზე. გოგონას ფართოდ გახელილ თვალებში ფიქრი ჩასდგომოდა.



# თავი მეცამეტე

ახალი მოგზაურობის პირველ ხანებში, ხელახლა მოპოვებული თავისუფლებით მთვრალ გოლლდმუნდს კვლავ უნდა ეგემნა მოგზაურის უსამშობლო და დროშეუგრძნობელი ცხოვრება. დაუჭერებელთ, ამინდებსა და წელიწადის დროებზე დამოკიდებულთ, მშიერ-მწყურვალთ უმიზნოდ და მართოდ-მართო უწევთ ხეტიალი. ბავშურად მიამიტ, მაგრამ მამაც მოგზაურებს ხიფათით აღსავსე, გაჭირვებული და ძნელი გზა ელით. ისინი ადამის ძენი არიან სამოთხიდან გამოდევნილნი და უცოდველ ნადირთა ძმები. მუდამ ციდან ელოდებიან ყველაფერს: მზეს, წვიმას, ნისლს, თოვლს, სითბოსა თუ სიცივეს, ჭირსა თუ ლხინს. მათთვის დრო არ არსებობს, არც ისტორია, არც რას მიესწრაფვიან, განვითარებასა და წინსვლას კერპად არ შერაცხენ, ქონების პატრონიან ადამიანებისაგან განსხვავებით. მოხეტიალე კაცი, როგორიც არ უნდა იყოს: დახვეწილი, თუ უბრალო ხელოვანი, ჭკუასუსტი, გაბედული თუ მხდალი, გულით მაინც ბავშვია, თითქოს იგი სამყაროს შექმნის პირველ დღეს დაესწრო, მსოფლიო ისტორიის დაწყების კვირადღეს, მოხეტიალე კაცის ცხოვრება თავისი გაჭირვებითა და მარტივი სურვილებით შემოისაზღვრება. ან ჭკვიანია, ან სულელი. ვინც საკუთარ თავს კარგად იცნობს, არ გაუჭირდება იმის მიხვედრა, რა მყიდვა, რა წარმავალია ყველანაირი ცხოვრება, რა ვაივაგლახით და შიშის ფასად ინარჩუნებს ყველა სულდგმული ამ ცივ სამყაროში თბილ სისხლს, სხვა გზა არა აქვს, კუჭის

მოთხოვნასაც უნდა ათხოვოს ყური მთელი ბავშურობითა და სიხარბით – იგი მუდამ უპირისპირდება მდიდარსა და ადგილობრივ მკვიდრს. დაუნდობლად მტრობს, სძულს და ეშინია ამ ადამიანების, რადგან არ უნდა ცხოვრების წარმავლობის, ცხოვრების მუდმივი ჯკნობის, დედამიწაზე გამეფებულ დაუნდობელსა და ცივ სიკვდილზე ფიქრი.

მოხეტიალე კაცის ცხოვრების უშუალობამ, მისმა დედისეულმა წარმოშობამ, მის მიერ კანონის უგულველყოფამ, მისმა სულმა, ბედის ანაბარად ყოფნამ და ფარულად მარადიულ სიკვდილთან მიახლოების გრძნობამ დიდი ხანია გოლდმუნდის სული ღრმად შეძრა და ეს გრძნობა ჩაებეჭდა კიდეც შიგ. რამეთუ სული და ნება მის არსებაში დავანებულიყო, რამეთუ გოლდმუნდი ხელოვანი იყო და ცხოვრებას თან იძნელებდა და თან იმდიდრებდა. ყოველი ცხოვრება ხომ თავდაპირველად გაორებითა და წინააღმდეგობით იწყება და ვითარდება. რა იქნებოდა გონება და განსჯა ტკბობის შეუცნობლად? რა იქნებოდა გრძნობიერება და ტკბობა, მათ უკან სიკვდილი რომ არ იმალებოდეს? და რა იქნებოდა სიყვარული სქესთა მუდმივი დაუნდობელი ჭიდილის გარეშე?

საცაა ზაფხული დადგებოდა, მერე შემოდგომა. ძლივს გაჰქონდა თავი გოლდმუნდს მწირ თვეებში, თვრებოდა ტკბილი და სურნელოვანი გაზაფხულით. წელიწადის დროები სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. კვლავ სწრაფად ჩადიოდა ზაფხულის თაკარა მზე; წელიწადი წელიწადს

მიჰყვებოდა და ისე ჩანდა, თითქოს გოლდმუნდს ყველაფერი გადავიწყებოდა, მიმშილის, სიყვარულისა და წელიწადის დროების მონაცვლეობის გარდა. ეტყობოდა, გოლდმუნდი მთელი არსებით დედისეულ ღტოლვებით სავსე პირველყოფილ სამყაროში იყო ჩაფლული. ოცნებებში წასული მიაპყრობდა ხოლმე მზერას ხან აყვავებულ, ხანაც დამჭკნარ მიდამოს. იგი ხელოვანი იყო, სტანჯავდა მძაფრი მონატრების გრძნობა, ცხოვრების საამო წინმსწრაფი უაზრობა გონის მეშვეობით გარდაესახა და აზრად ექცია.

გოლდმუნდი ვიქტორთან სისხლიანი თავგადასავლის შემდეგ აღარ შესდგომია მოგზაურობას. ჰოდა, ახლა პირველად შეხვდა ერთ კაცს და დიდხანს არც დასცილებია. ეს ახალგაზრდა კაცი, სახელად რობერტი, ვიქტორს სრულებითაც არ ჰგავდა. საეკლესიო კაბა ეცვა და მლოცველის ქუდი ეხურა, ბოდენზეესთან ცხოვრობდა და რომში მიდიოდა სალოცავად.

მამა ხელოსანი ჰყოლია, თვითონაც დიდხანს უმუშავია დურგლად, ჯერ კიდევ წმიდა გალის სამონასტრო სკოლაში მოსვლია აზრად რომში სალოცავად წასულიყო და სანატრელ ოცნებას მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ შეასხა ფრთები.

მოხუცის დასაფლავებისთანავე დედასა და დას უთხრა, უკან ველარაფერი დამახევინებს, საკუთარი და მამის ცოდვების მოსანანიებლად რომში სალოცავად უნდა გავემგზავრო.



ამაოდ ემუდარებოდნენ ქალები, მაგრამ მან მაინც თავისი გაიტანა და გზას გაუდგა. ნაცვლად იმისა, ორივე ქალისთვის მოეწვლო, – რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს, ხოლო დამ ნამუსზეც შეაგდო, – მან მოგზაურობა აირჩია. უნდა ითქვას, რომ ეს მოგზაურობა ღვთისმოშიშობამაც გადააწყვეტინა, რაც ეკლესიებთან ახლოს ცხოვრებამ აღუძრა. საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობა სიამოვნებას ჰგვრიდა: იყო ეს ჟამნის კითხვა, ნათლობა, წესის აგება, წირვა, თუ საკმევლის სურნელი და სანთლის ალი. ცოტა ლათინური იყოდა, მაგრამ ეს არ იყო ის განათლება, რისკენაც მისი ბავშვური სული მიისწრაფვოდა ოდესღაც. ეკლესიათა გრილ თაღებქვეშ იგი ყველაფერს უკვირდებოდა და ტკბილ ოცნებებს ეძლეოდა. ბიჭობაში წირვის დროს სტიქაროსნობაზე ოცნებობდა. გოლდმუნდს ეს ახალგაზრდა კაცი დიდი გულითადობით არ მიუღია, მაგრამ მოწონებით კი ძალიან მოეწონა, სულიერად ენათესავებოდნენ ერთმანეთს.

ორივეს მოგზაურობა, ხეტიალი იტაცებდა. რობერტმა მაშინ სიამოვნებით იმოგზაურა და თითქმის რომამდეც ჩავიდა, არაერთი მონასტერი ნახა, არაერთი მღვდელი გაიცნო, მთიანეთი და სამხრეთი მოიარა და რომის ყველა ეკლესიაში ღვთისმსახურებას დაესწრო, ასობით წირვა მოისმინა, უმნიშვნელოვანესი და უწმინდესი ადგილები მოილოცა, საიდუმლოებებს გაეცნო და უფრო მეტი საკმევლის სურნელი ჩაისუნთქა, ვიდრე თავისი ჭაბუკობისა და მამამისის მცირედი ცოდვებისათვის იყო საჭირო. ერთ წელზე მეტი იყო, მამისეული სახლი არ ენახა და როცა იგი შინ დაბრუნდა, როგორც

დაკარგულს, ისე არ შეხვედრიან, დას საოჯახო საქმეები განემტკიცებინა, შეგირდად მოსულ ბეჯით დურგალს გაჰყოლია ცოლად და სახლსა და სახელოსნოსაც ისე შესანიშნავად უძღვებოდა, რომ შინ დაბრუნებულმა რობერტმა ცოტა ხანში ზედმეტად იგრძნო თავი, ისე რომ აღარავის უხვეწნია მისთვის, დარჩიო, როცა მან ისევ წამოიწყო ლაპარაკი მოგზაურობაზე, დედას ურცხვად გამოართვა ცოტაოდენი დანაბოგი ფული, ისევ ანაფორით შეიმოსა და უმიზნოდ დაადგა სულიერებას აყოლილი მომლოცავის გზას ამა სოფლის ბილიკებზე. მიდიოდა და თან ნაცნობი ადგილების სამახსოვრო სპილენძის მონეტებს და ნაკურთხ კრიალოსნებს აჩხრიალებდა.

სწორედ ამ ხანებში შეხვდა გოლდმუნდს და ერთი დღე მასთან ერთად იხეციალა. შემდეგ ერთ პატარა ქალაქში დასცილდნენ ერთმანეთს, მაგრამ რამდენჯერმე ისევ რომ მოუხდათ შეხვედრა, ბოლოს აღარც დაშორებულან. ხათრიან და გამგებიან რობერტს გოლდმუნდი ძალიან მოეწონა.

აოცებდა მისი განსწავლულობა, გამბედაობა, სულიერება, ჯანმრთელობა, ძალა და გულდიაობა. ერთმანეთს შეეჩვივნენ და შეეთვისენ. ოღონდ ეს იყო, როცა გოლდმუნდს სევდა მოაწვებოდა, ამ დროს ჯიუტად დუმდა, ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. ასეთ წუთებში არ ღირდა მასთან დალაპარაკება, ნუგეშისცემაც კი. ეს რობერტმა მალე აითვისა. მალე გაიგო, რომ გოლდმუნდმა არა მარტო ლათინური ლექსები და სიმღერები იცოდა, არამედ შეეძლო განემართა მონასტრის შესასვლელის ქვის ფიგურების მნიშვნელობა;

ის კი არადა, ერთხელ გალავანის კედელზე სწრაფად მოხატა რამდენიმე სახე და თანაც ისე, ცოცხლებს ჰგავდნენ. ყოველივე ამის მერე რობერტმა თავისი ამხანაგი ღვთის საყვარელ შვილად და ჯადოქრად მიიჩნია. მხოლოდ ის არ მოსწონდა, ქალებს ერთი შეხედვითა და ღიმილით რომ იმორჩილებდა გოლდმუნდი.

არ მოსწონდა, მაგრამ გაკვირვებით კი უკვირდა.

მათი მოგზაურობა ერთ დღეს მოულოდნელად შეწყდა.

როდესაც ისინი ერთ სოფელს მიუახლოვდნენ, წინ შემოხვდათ გლეხები კეტებით, ლატნებით და ჯაჭვებით ხელში.

წინამძღოლმა შორიდანვე დაუყვირა, ახლავე წადით აქედან, თქვენი ფეხი არ ვნახოთ აქ, თორემ დაგხოცავთო. ვიდრე გოლდმუნდი შეეცდებოდა გაეგო, რა ხდებოდა, ქვა მოხვდა მკერდში. რობერტმა მიმოიხედა და გიჟივით მოკურცხლა.

მუქარით მოიწევდნენ გლეხები წინ, სხვა გზა აღარ იყო, გოლდმუნდი გაქცეულ ამხანაგს მიჰყვა კვალში. აკანკალებული რობერტი შუა მინდორში აღმართულ ჯვართან შედგა.

ჯვარზე მაცხოვარი იყო გამოკვეთილი.



- ვაჟკაცურად კი გაიქცევი, - გაიცინა გოლდმუნდმა, - ნეტავ რა დაემართათ ამ ოხერტიალებს? ომია? შეიარაღებული მცველები სოფლის შესასვლელში დგანან და არავის უშვებენ. რა ხდება აქ?!

ვერც ერთი ვერ მიხვდა ვერაფერს. მეორე დილით კი სოფლის განაპირას, ერთი გლეხის ეზო-კარში გაარკვიეს ყველაფერი. მწვანედ აბიბინებულ ეზოში ქოხი, ბოსელი და საბძელი იდგა. გარს ხეხილი ერტყა, იქაურობას იდუმალი სიჩუმე დაუფლებოდა. არანაირი ხმა არ ისმოდა - არც კაცისა, არც ბავშვებისა, არც ცელისა. აბალახებულ ეზოში ძროხა ისე ზმუოდა, ნამდვილად მოსაწველი იყო. ქოხის კარზე დააკაკუნეს. პასუხი არავინ გასცათ. მოღიავებული ბოსელიც ცარიელი დახვდათ. საბძლის სახურავზე ხასხასა ხავსი ბრწყინავდა მზეზე, არც აქ ჭაჭანებდა კაციშვილი. ისევ ქოხთან მივიდნენ. გაოცებულნი მუშტებს უბრახუნებდნენ კარზე, ისევ არავინ ეპასუხებოდა. გოლდმუნდი კარს მიაწვა და მისდა გასაოცრად კარი ჩაკეტილი არ დახვდა. გოლდმუნდი ბნელ ოთახში შევიდა. «აქა მშვიდობა! - ხმამაღლა დაიძახა, არის ვინმე შინ?» პასუხი არსაიდან ისმოდა. რობერტი კართან შეჩერდა. გოლდმუნდი წინ ცნობისმოყვარედ მიიწევდა. საშინელი, გაუსაძლისი სუნი ტრიალებდა ქოხში.

ნაცრით სავსე კერიას სული შეუბერა, დანახშირებულ შეშებში ნაპერწკლები გამოკრთა და სიბნელეში კერიასთან ვიღაც დაინახა. დედაბერი არც შერხეულა. გოლდმუნდმა ახლალა გაარჩია, რომ დედაბერი თმიდან

მუხლებამდე აბლაბუდაში გაბმულიყო. «მკვდარია», – გაიფიქრა და რომ დარწმუნებულიყო, ცეცხლის დანთება გადაწყვიტა. იმდენხანს უბერავდა სულს, ვიდრე ალი არ მოედო შეშას. ცეცხლის შუქზე უკეთ გამოჩნდა დედაბრის ნაცრისფერი თმა და მოლურჯო-მოშავო სახე. იგი მართლა მკვდარი იყო. ცალი თვალი საზარლად დარჩენოდა ღია, მისი გამოცარიელებული მხერა კაცს გააშეშებდა. ქალი სკამზე მომკვდარიყო. აღარაფერი ეშველებოდა.

ანთებული მუგუზლით ხელში გოლდმუნდი წინ მიიწევდა.

იმავე ოთახში კიდევ ერთი გვამი იპოვნა, ასე რვა-ცხრთ წლის ბიჭი, სახედასიებული და დამახინჯებული, პერანგის ამარა დამხობილიყო ზღურბლზე. მუცელზე იწვა, ორივე ხელი სიმწრით მაგრად მოემუშტა. ეს მეორეა, გაიფიქრა გოლდმუნდმა და, თითქოს კოშმარულ სიზმარშიაო, უკანა ოთახში შევიდა.

ღია დარბაზებიდან დღის სინათლე აღწევდა ოთახში. ფრთხილად ჩააქრო მუგუზალი. ნაპერწკლები იატაკზე დაცვივდა.

ნაცრისფერი ბეწრის ქვეშ ჩალა ეფინა. მეორეზე წვეროსანი კაცი იწვა, თავმოღრეცილი და თვალგაშტერებული, წვერიანი ნიკაპი წინ გამოშვეროდა. გლეხი უნდა ყოფილიყო. მის ჩაფიქრებულ სახისათვის დაუნდობელ

სიკვდილს ფერის ნატამალი არ შეერჩინა. კაცს ხელი გადმოკიდებული ჰქონდა საწოლიდან. აქვე წყლის ცარიელი თიხის დოქი ეგდო, დოქიდან გადმოღვრილი წყალი ჯერ ისევ აჩნდა იატაკს. მეორე საწოლში კი სელის ქსოვილზე საკუთარ ნარწყევში პირქვე იწვა ზორბა ტანის ქალი. მისი უხეში ჩალისფერი თმა დღის სინათლეზე თითქოს ანათებდა. ქალს მოზრდილი გოგონა ჩასტიდებოდა. გოგონა თითქოს ლოგინში დაუჭვრიათ და მოუხრჩვიათო, ისიც ჩალისფერთმიანი იყო, მონაცისფრომოლურჯო ლაქები ეყარა სახეზე.

ხან ქალს შესცქეროდა გოლდმუნდი, ხან გოგონას; გოგონას ახლა უკვე დამახინჯებულ სახეს შეჰყინვოდა სიკვდილის წინაშე უძლურება. დედის კეფასა და თმაში, თითქოს იკითხებოდა სიბრაზე, შიში და გაქცევის სურვილით გამოწვეული ტანჯვა-წამება. მისი გაშლილი თმა სიკვდილისთვის არ იყო გასამეტებელი; გლეხის სახეში შეუპოვრობა და გაბოროტებული ტანჯვა ჩანდა, ეტყობოდა, მძიმედ, მაგრამ ვაჟკაცურად, როგორც ბრძოლის ველზე კვდება მებრძოლი, ისე მოკვდა, შორეთში მზერამიყინული. უღმობელ სიკვდილთან მისი შებრძოლება ლამაზიც კი ჩანდა. ეს არ იყო პატარა, მშიშარა კაცი. გულს მოგიკლავდათ ზღურბლზე დამხობილი პატარა ბიჭის გვამი. ბიჭს სახეზე არაფერი ეხატა. მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ იწვა და რა მაგრადაც მოემუშტა პატარა ხელები, აშკარად ეტყობოდა, აუტანელ ტკივილებს რომ მოეკლა. იქვე, ბიჭის თავთან კარებში კატასაც ბევრი უფხოჭნია იატაკი. ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა გოლდმუნდი. ამ



ქოხში მართლაც ყველაფერი შემზარავი იყო. გვამების სუნი სულს უხუთავდა, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც რაღაცნაირად იზიდავდა. აქ ბედისწერა ბატონობდა, რაღაც უდიდესი და ჭეშმარიტი ბატონობდა, რამაც გოლდმუნდის სულში შეაღწია და სიყვარული გაუღვიძა.

ამასობაში რობერტმა გარედან დაუძახა. მის ხმაში მოუთმენლობა და შიში შეიმჩნეოდა. გოლდმუნდს რობერტი უყვარდა, მაგრამ ამ წუთას, მიცვალებულებთან შედარებით არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მისთვის ცოცხალ კაცს თავისი შიშითა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით.

გოლდმუნდმა რობერტს პასუხი არ გასცა; მთელი არსებით მისცემოდა მიცვალებულთა ჭვრეტას. ხელოვანის დაკვირვებული თვალითა და დიდი თანაგრძნობით შესცქეროდა მათ სახეებს, ხელებს, გაქვავებულ პოზას! რა სიჩუმე გამეფებულიყო ამ მოჭადოებულ ქოხში! ნეტა რა ყარდა ასე საშინლად? როგორი იყო ამ პატარა ადამიანთა კერა, სადაც ცეცხლი ჯერ კიდევ ბუუტავდა, კერა, რომელიც მოჩვენებებითა და გვამებით დამძიმებული სიკვდილს შთაენთქა?

კიდევ ცოტა ხანი და ეს მშვიდი სახეები განიძარცვებიან ხორცისაგან. მათ ძვლებსაც ვირთხები დახრავენ. ის, რაც მიცვალებულებს საერთოდ კუბოებსა და საფლავებში ცოცხალთ თვალს მიღმა ემართებათ, აქ, ამ სახლში, ვითომც არაფერიო, დღისით-მზისით ყველას დასანახად იხრწნებოდა ხუთი ადამიანი.

გოლდმუნდს უკვე რამდენიმე მიცვალებული ენახა, მაგრამ სიკვდილის დაუნდობლობას პირველად ხედავდა. ღრმად აღიბეჭდა ეს ყოველივე მის სულში.

რობერტმა კვლავ დაუძახა და ქოხიდან გამოსულ გოლდმუნდს შიშით შეხედა.

– რა მოხდა, ქოხში არავინაა? ამოიღე ხმა!

გოლდმუნდმა გულგრილად შეხედა:

– შედი და თვითონ ნახე ეს საოცარი სახლი. მერე იქნებ ძროხა მოვწველოთ. შედი!

ყოყმანით შევიდა რობერტი ქოხში, დედაბერი დაინახა კერიასთან მჭდარი, მიუახლოვდა, ხელით შეეხო და, როცა ნახა, მკვდარი იყო, ყვირილი აღმოხდა. სწრაფად გამოტრიალდა უკან.

– ღმერთო ჩემო! იქ კერიასთან მკვდარი ქალი ზის. სად არის ჭირისუფალი? რატომ არ მარხავენ? ო, ღმერთო, უკვე იხრწნება!

გოლდმუნდს გაეღიმა.

დიდი ლომგული კი ხარ, რობერტ, მაგრამ რაღაც მეტისმეტად ჩქარა გამოვარდი ქოხიდან. დიახ, კერიასთან მჯდომი მკვდარი ქალი მართლაც რომ შთამბეჭდავი სანახავია, მაგრამ იქვე რამდენიმე ნაბიჯზე უარესიც შეგიძლია ნახო.

ხუთნი არიან, რობერტ, ხუთი მიცვალებულია იქ, სამი საწოლშია, ერთი – ბლურბლზე. ყველა მკვდარია, მთელი ოჯახი ამოწყვეტილა, დაქცეულა. ძროხის მომწველავი არ დარჩენილა არავინ.

რობერტი შეშინებული მიაშტერდა, მერე უცბად თქვა:

– ახლა მივხვდი, რომ არ გვიშვებდნენ გლეხები სოფელში.

ო, ღმერთო ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ჭირია!

მგონი, მე საბრალოსაც შემეყარა ჭირი. გოლდმუნდ, შენხომ ქოხში დიდხანს იყავი, მიცვალებულებს ხელით შეეხე ალბათ!

ნადი, არ მომეკარო, შენი საქმეც წასულია, გოლდმუნდ.

მეცოდები, მაგრამ უნდა დაგტოვო, შენთან ვეღარ დავრჩები...



რობერტი უნდა გაქცეულიყო, მაგრამ ანაფორა გამოედო ფეხებში და გოლდმუნდმაც ხელის ძლიერად მოქაჩა. თუმცა გაუძალიანდა.

- ჩემო პატარა ბიჭო, - უთხრა გულმომბაღმა გოლდმუნდმა ოდნავ დაცინვით, - არ მეგონა, თუ ასეთი ჯკვიანი იყავი, მართალი ხარ, ყველაფერს სოფლელებისგან შევიტყობთ.

ალბათ ჭირია მოდებული ამ მხარეში. ვნახოთ, როგორ დავაღწევთ თავს აქაურობას. გაქცევით ვერ გაიქცევი, არ გაგიშვებ, პატარა რობერტ, მე გულკეთილი, ერთგული კაცი ვარ და ვერ წარმომიდგენია, მაგალითად, შენ ჭირი შეგეყაროს და მე გავიქცე, მომაკვდავი მიგატოვო. ხომ მომკლავს მერე იმის ჯავრი, ამხანაგს თვალები ვერ დავუხუჭე, საფლავიც ვერ გავუთხარე-მეთქი. ამიტომ, ძვირფასო მეგობარო, მომისმინე და კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი, რადგან მეორედ აღარ გაგიმეორებ. შეიძლება ორივეს შეგვეყაროს ჭირი. ეს კი იმას ნიშნავს, ერთად უნდა ვიყოთ, ან ერთად დავიხოცოთ, ან ერთად გადავურჩეთ ამ წყეულ ჭირს. თუ შენ შეგეყრება ჭირი და მოკვდები, მე დაგმარხავ, ეს ასე იქნება. თუ მე მოკვდები, შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი. გინდა დამმარხე, გინდა დაუმარხავი მიმაგდე. მანამდე კი, ძვირფასო, ვერ გაიპარები, დაიმახსოვრე, ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. აღარაფერი მითხრა, ახლა ადექი და ბოსელში ჭურჭელი მოძებნე, იქნებ ძროხა მოვწველოთ.

ასეც მოხდა. ამ წუთიდან გოლდმუნდი მბრძანებელი იყო, რობერტი კი შემსრულებელი. რობერტი გოლდმუნდს დაემორჩილა.

ეს კი ორივესთვის სასარგებლო იყო. რობერტმა გადაიფიქრა გაქცევა. ახლა უკვე მშვიდად უთხრა ამხანაგს:

– სულ რაღაც ერთი წუთით შემეშინდა, შენი სახე არ მომეწონა, ცუდად გამოიყურებოდი, როცა მკვდრების ქოხიდან გამოხვედი. ან ჭირის ბრაღია, ან არადა, რა ნახე იქ ისეთი?

– ცუდი არაფერი მინახავს, – თქვა გოლდმუნდმა ყოყმანით.

– ქოხში ვნახე ის, რაც მე, შენ და, საერთოდ, ყველას გველოდება ჭირის შეუყრელადაც.

შემდეგ და შემდეგ გზად ყველგან შავი სიკვდილი ხვდებოდათ, სიკვდილი მძვინვარებდა ქვეყანაში. ზოგ სოფელში უცხოებს არ უშვებდნენ, ზოგში თავისუფლად შეეძლოთ ქუჩებში სიარული. წინ ხვდებოდათ:

მიტოვებული სახლები, დაუმარხავი, გახრწნილი გვამები სახლებსა და ეზოებში, მოუწველავი, მშიერი ძროხები ბოსლებში, უპატრონო საქონელი მინდვრებში. გოლდმუნდი და რობერტი ძროხისა და თხის რძით ირჩენდნენ

თავს, ხანდახან უპატრონო ციკანს ან გოჭს დაკლავდნენ და ტყის პირას შეწვავდნენ. ასევე უპატრონოდ მიგდებულ სარდაფებიდან ღვინო და სხვა სასმელი გამოჰქონდათ. თითქოს აინწყეს ცხოვრება, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ტკებოდნენ. რობერტი გამუდმებულ შიშში იყო, ჭირი არ შემეყაროსო. მიცვალებულების დანახვაზე ხომ ცუდად ხდებოდა. მეტისმეტად დამფრთხალი, თმასა და ხელებს დიდხანს იმშრალეზდა ხოლმე ცეცხლის ალზე.

ძილშიც კი ხელს იფათურებდა ტანზე, ფეხებზე, მკლავებზე, იდლიებში, სადმე გამონაყარი ხომ არა მაქვსო!

გოლდმუნდი ხან ლანძლავდა, ხან დასცინოდა. რობერტის მეტისმეტი ზიზღი და მეტისმეტი შიში ალიზიანებდა. თვითონ რაღაცნაირად დაძაბული და ნაღვლიანი დადიოდა.

სიკვდილის ქვეყანაში მოგეიმე სიკვდილის შემყურეს შიში იპყრობდა, სულში დიდი შემოდგომა ჩასდგომოდა, გულდამძიმებული შესცქეროდა სიკვდილის ცელის ნამოქმედარს.

ხანდახან მარადიული დედის სახე ეცხადებოდა – ფერმკრთალი, უბარმაზარი, მედუზასთვალებიანი, უსიხარულო ღიმილიანი, ტკვილითა და სიკვდილით სავსე სახე.



ისინი კარგად გამაგრებულ პატარა ქალაქს მიადგნენ. ქალაქის კარიბჭიდან გამოგრიხინდა საბადრაგო უზარმაზარი ეტლი და გალავანს გაჰყვა. არსად არ იდგნენ ყარაულები.

რობერტს არ უნდოდა ქალაქში შესვლა და გოლდმუნდის დაყოლიებას ცდილობდა. ემუდარებოდა, წავიდეთ აქედანო.

ამასობაში ზარების რეკვა მოესმათ, კარიბჭესთან მღვდელი გამოჩნდა ხელში ჯვრით, უკან სამი ფორანი მოსდევდა გვამებით. სავსე ორმოში ცხენები შეებათ, ერთში – ხარები.

ფორნებს რამდენიმე კაცი მოჰყვებოდა კაპიუშონიან მოსასხამებში გახვეულნი და სახედამალულნი. საქონელსაც მიერეკებოდნენ.

რობერტი გაოგნდა, სახეზე მკვდრისფერი დაედო, გოლდმუნდი კი ერთ ფორანს შორიახლოს გაჰყვა. მალე ტრიალ მინდორზე გავიდნენ. სასაფლაო არსად ჩანდა. შუა მინდორში არც ისე ღრმა, სამაგიეროდ დიდი დარბაზისოდენა ორმო გაეთხარათ. გოლდმუნდი იდგა და შეჰყურებდა, კაპიუშონიანი მსახურები გვამებს ლატნებითა და ბარჯებით როგორ ჰყრიდნენ ეტლებიდან პირდაპირ ორმოში. მღვდელმა ბუტბუტით გადასახა ჯვარი მიცვალებულებით სავსე ორმოს და იქაურობას გაეცალა. მსახურებმა ორმოს ცეცხლი წაუკიდეს და ისე გაიქცნენ ქალაქისაკენ, თითქოს ეშინოდათ, ჩვენც არ გვტაცოს ვინმემ ხელი და ორმოში არ ჩაგვყარონო.

გოლდმუნდმა ორმოში ჩაიხედა ცეცხლში ხან ხელი გამოჩნდებოდა, ხან ფეხი. ერთმანეთზე დახვავებულიყო ორმოცდაათამდე გვამი, უმეტესად – შიშვლები. აქა-იქ თუ გაიფრიალებდა ნიაჭზე ვიღაცის პერანგი.

ქალაქის შესასვლელში ყარაული არ იდგა. გოლდმუნდი მოკირწყლულ ქუჩაზე მიაბიჯებდა და არაერთი ქალაქი აგონდებოდა თავისი კარიბჭეებით.

აგონდებოდა ქუჩებში ბავშვების ჟრიამული, ქალების ჩხუბი, სამჭედლოებიდან გამომავალი ფოლადის საამო წკრიალი, ეტლების ხრიგინი და კიდევ ბევრი სხვა ხმა – ერთმანეთში ჩანწული და ჩახლართული, ნაზიც და უხეშიც, რაც მონშობდა, რომ აქ ადამიანები შრომობდნენ, ხარობდნენ, მეგობრობდნენ და საქმიანობდნენ. ამ ქალაქში კი კაცის ჭაჭანება არ ჩანდა ქუჩაში; ადამიანის ხმა არსაიდან ისმოდა, სიჩუმეს მხოლოდ წყაროს მეტყველი, საამო სიმღერა არღვევდა.

უცებ ღია ფანჯარაში თაროზე გამოფენილ პურფუნთუშეულის გვერდით ხაბაზი დაინახა. გოლდმუნდმა ანიშნა, ერთი ფუნთუშა მინდაო. ხაბაზმა საგანგებო საპურე ნიჩბით ფრთხილად გამოაწოდა ფუნთუშა და დაელოდა, ვიდრე გოლდმუნდი ნიჩაბზე ფულს დადებდა, მაგრამ რა დაინახა, უცხო სულაც არ აპირებდა ფულის გადახდას, ფუნთუშა გემრიელად ჩაკბიჩა და წავიდა; გაბრაზებულმა უხმოდ მიხურა ფანჯარა.

ერთი ლამაზი სახლის ფანტრებზე თიხის ქოთნები კი ჩამოემწკრივებინათ, მაგრამ სადღა იყო ყვავილები, საცოდავად გაძარცულიყვნენ და დამტყნარიყვნენ. რომელიღაც სახლიდან ბავშვების კვნესა ისმოდა. ერთ ქუჩაზე გოლდმუნდმა მალლა აიხედა და ფანჯარაში მშვენიერ გოგონას მოჰკრა თვალი, გოგონა იდგა და თმას ივარცხნიდა, გოლდმუნდმა იქამდე უყურა, ვიდრე გოგონამ არ იგრძნო, ვიღაც მიყურებსო, და ქუჩაში გადმოიხედა. ვაჟის დანახვაზე ჯერ ღაწვები შეეფაკლა, ხოლო მერე მის მეგობრულ ღიმილს ღიმილივე შეაგება.

- მალე მორჩები თმის ვარცხნას? - ასძახა ქვემოდან ვაჟმა.

გოგონას სახე გაუნათდა. - თუ სენი არ შეგყრია... - გოგონამ თავი გაუქნია; - მაშინ ერთად წავიდეთ ამ მკვდარი ქალაქიდან, ტყეში ვიცხოვროთ. - გოგონა გაოცებული იყურებოდა. - დიდი ფიქრი არ უნდა ამას, - არ ეშვებოდა გოლდმუნდი, - მშობლებთან ხარ, თუ უცხო ხალხს ემსახურები?

მამასადამე, უცხოებთან ხარ, ჰოდა, საყვარელო ბავშვო, დაე მოხუცებმა წაიღონ ჩვენი ჭირი, ჩვენ ხომ ახალგაზრდები ვართ და ჯანმრთელები, რა მოხდება, ცოტა ხანს რომ კარგად ვიყოთ. მოდი, წაბლისფერთმიანო, გულით გეუბნები.

გოგონამ გამომცდელად, ყოყმანით შეხედა. გოლდმუნდი უიმედოდ მოცილდა



სახლს, გავიდა მეორე ქუჩაზე, მესამეზე, არსად კაციშვილი არ დაიარებოდა, მაშინვე უკან მობრუნდა. გოგონა ისევ ფანჯარასთან დახვდა. გაუხარდა ვაჟის დანახვა, ხელი დაუქნია, ვაჟი დინჯად გაუყვა გზას, ქალაქის ჭიშკარს არ იყო მიტანებული, რომ გოგონა დაენია, ხელში პატარა ფუთა ეჭირა, თავზე წითელი თავსაფარი გაეკრა.

- რა გქვია? - ჰკითხა გოლდმუნდმა.

- ლენე. შენთან ერთად წამოვალ. საშინელებაა, ამ ქალაქში ყველა კვდება, იქნებ გადავრჩეთ.

რობერტი იქვე, ჭიშკართან მიწაზე ჩამომჯდარიყო უხალისოდ.

გოლდმუნდის დანახვისთანავე წამოხტა და თვალები კინაღამ გადმოუცვივდა, გოგონა რომ დაინახა. იცრუა, რაღაც აბდაუბდა მოიგონა, ვიღაცამ ერთი ქალიშვილი ამოიყვანა იმ დაწყევლილ ჭირიანთა ორმოდანო, ვიღაცეები მთხოვდნენ მისი საზოგადოება ამეტანა, ეს კი უგუნურებაზე უფრო მეტია, ეს ღვთის გამოცდაა, და იგი ფეხს ითრევდა, მათ აღარ გაჰყვებოდა, რომ მოთმინების ფიალა უკვე აევსო.

- გეყოფა, - შეაწყვეტინა ლაქლაქი გოლდმუნდმა, - საკმაოდ დიდხანს იჭიკჭიკე. ჩვენთან ერთად წამოხვალ და ყველაფერი კარგად იქნება. ამას ლენე ჰქვია, ჩემთან რჩება.

შენც მინდა გაგახარო, რობერტ, შავი ჭირი რომ ავიცილოთ და მშვიდად ვიცხოვროთ, კარგი ადგილი უნდა შევარჩიოთ, ცარიელი ქოხიც. ანდა თვითონვე ავაშენოთ.

მინდა ოჯახის უფროსი ვიყო, ლენემ კი დიასახლისობა გამიწიოს. შენ ჩვენი მეგობარი ხარ და ჩვენთან ერთად იცხოვრე. ყველანი მეგობრულად ვიქნებით. თანახმა ხარ?

ო, რატომაც არ იქნებოდა რობერტი თანახმა?! ოღონდ ნუ მოსთხოვენ, ლენეს ხელი ჩამოართვიო, და...

- არა, - თქვა გოლდმუნდმა, - რაც შენი საქმე არ არის, ის არც მოგეთხოვება. ის კი არა, სასტიკად გეკრძალება ლენესთვის თითის დაკარებაც კი, გესმის?

სამივე ერთად გაუდგა გზას. გოგონა ჯერ ვერ ბედავდა ლაპარაკს, მერე კი ამოიღგა ენა. გახარებული იყო, რომ ცას, ხეებს, მინდვრებს ხედავდა. რა საშინელება ტრიალებდა იქ, შავი ჭირის ქალაქში, ენა ვერ აღწერდა ამას, გულშენუხებული იგონებდა შემზარავ ამბებს, რომელთა ხილვაც ბედმა არგუნა. პატარა ქალაქი ჯოჯოხეთს ჰგავდაო; ერთი ექიმი მოკვდა, მეორეს ცოცხალი ავადმყოფი აღარც დარჩაო; გვამები იხრწნებოდნენ, მათი დამმარხავი არავინ იყო.

მკვდრებს თავიანთი მსახურებივე ძარცვავდნენ, გვამებთან ერთად მომაკვდავ სნეულებსაც ფორნებზე ჰყრიდნენ და თხრილებში აგდებდნენო. ბევრი საშინელი ამბავი ჰქონდა მოსაყოლი. რობერტი გატანჯული უსმენდა, გოლდმუნდს მშვიდად ეჭირა თავი, ლენეს არ აწყვეტინებდა ლაპარაკს, იქნებ გულზე მოეშვასო. ბოლოს ლენე დაიღალა, სათქმელს ველარ უყრიდა თავს. გოლდმუნდმა ნაბიჯი შეანელა და სიმღერა წამოიწყო. ჯერ ხმადაბლა მღეროდა, მერე თანდათან მოუმატა ხმას, ლენე იღიმებოდა, რობერტი გახარებული და გაოცებული იყო – არასოდეს მოესმინა გოლდმუნდის სიმღერა, ყველაფერი იცის, ყველაფერი ემარჯვება ამ გოლდმუნდს.

მიდიოდა და მღეროდა ეს საოცარი კაცი! გულში ჩამწვდომად მღეროდა, მაგრამ ხმადაბლა. ლენე ჯერ გაუბედავად აჰყვა, მერე კი მთელი ხმით აუბა მხარი. საღამოვდებოდა.

შორს, მინდვრის იქით ჩაბნელებული ტყეები გამოჩნდა, ტყეებს მიღმა პატარა, ცისფერ მთებს ნელ-ნელა, თითქოს თავისითო, სილურჯე ემატებოდათ. მხიარულად, საზეიმო სიმღერებით მწყობრად მიაბიჯებდნენ სამივენი.

– დღევანდელი დღით კმაყოფილი ხარ? – ჰკითხა რობერტმა გოლდმუნდს.

– ჰო, კმაყოფილი ვარ, მშვენიერი სატრფო ვიპოვე. აჰ, ლენე, რა კარგია, რომ ქალაქს გამომარიდე. ხვალ პატარა თავშესაფარს ვიპოვნით, კარგად



მოვენწყობით და ბედნიერად ვიცხოვრებთ, რადგან ჯერ კიდევ შეგვრჩენია ძვალი და ხორცი. ლენე, თუ გინახავს ტყეში შემოდგომაზე დიდი სოკო, ლოკოკინები რომ დასევიან შესაჭმელად?

- ო, დიახ, - გაეცინა გოგონას. - ბევრჯერ მინახავს.

- შენი თმაც იმ სოკოსფერია, ლენე. სოკოსავით საამო სურნელსაც აფრქვევს. კიდევ ვიმღეროთ? თუ მოგშივდა, ჩემს ჩანთაში მოიძებნება რამე.

მეორე დღეს, რასაც ეძებდნენ, მიაგნეს კიდევ. ერთ პატარა არყიანში შეშის მჭრელების თუ მონადირეების მიერ აშენებულ ქოხს წაადგნენ, ქოხი ცარიელი დაუხვდათ. კარი შეამტკრიეს.

ადგილიც და ქოხიც ძალიან მოეწონათ. საშიშროება აღარ ელოდათ. გზაზე ერთი უპატრონო ლამაზი თხაც დაიჭირეს და თან წამოიყვანეს.

- რობერტ, - მიმართა გოლდმუნდმა მეგობარს. - ბევრს არაფერს დაგავალებ, დურგლობა ხომ იცი. ჩვენ აქ უნდა ვიცხოვროთ, ამიტომ ჩვენს სასახლეში შუაკედელს ამოიყვან, რომ ორი ოთახი გვქონდეს. ერთი ლენესა და ჩემთვის, ერთიც შენთვის და თხისთვის. დღეს თხის რძე ვიკმაროთ, ხვალ რამეს ვიშოვით. მთავარია, ოთახი გადავტიხროთ, რათა ჩვენ-ჩვენი ღამის სათევი ადგილი გვქონდეს. ხვალ საჭმელად რამეს გავახერხებ. ყველამ საქმეს მოჰკიდა ხელი.

გოლდმუნდი და ლენე გვიმრისა და ბალახბულახის მოსატანად წავიდნენ, ლეიბის მაგივრობა რომ გაეწია. რობერტმა თავისი დანა ქვაზე გალესა, აქაოდა, ნორჩ ხეებს გადავჭრი კედლისთვისო, მაგრამ ასეთი დანით ერთ დღეში რას მოასწრებდა და ის ღამე ღია ცის ქვეშ გაათია. გოლდმუნდისათვის ლენე გამართობი იყო, მშიშარა და გამოუცდელი, მაგრამ მოსიყვარულე. ნაზად მიიკრა გოგონა მკერდთან და დიდხანს ფხიზლობდა, ესმოდა მისი გულისცემა, დაღლილს თვალი არ მოუხუჭავს. ნაბლისფერი თმის სურნელი ათრობდა.

მაგრამ ცეცხლმოკიდებული ორმო და ის კაპიშონიანი ეშმაკებიც, გვამები ორმოში რომ გადაუძახა – თვალიდან არ შორდებოდა. მშვენიერი იყო სიცოცხლე, მშვენიერი და წარმავალი იყო ბედნიერება, ლამაზად და სწრაფად ჭკნებოდა ახალგაზრდობა.

შესანიშნავი გამოვიდა ქოხის შუა კედელი – რობერტი ტრახახობდა, შალაშინი, ჩაქუჩ-ლურსმანი და სხვა ხელსაწყოები რომ მქონოდა, უკეთეს კედელს გავაკეთებდიო, შიშველი ხელებითა და დანით, მიკვირს, ასეთიც როგორ გამომივიდაო.

თორმეტიოდე არყის ხისგან უხეში, მაგრამ გამძლე კედელი ამოაშენა. განიზრახა, აქეთ-იქით ოთახებიც დაემატებინა, კურდღლისცოცხას წნულკედლებიანი. ამას დრო სჭირდებოდა, მაგრამ სამივენი ხალისიანად და

ერთმანეთის მხარდამხარ მუშაობდა. ლენე კენკრის შესაგროვებლად დადიოდა, თხასაც უვლიდა, გოლდმუნდი იქაურობას ზვერავდა და საკვებზე ბრუნავდა. ეცნობოდა შემოგარენს, ხან რა მოჰქონდა, ხან – რა. ადამიანისშვილს ვერსად ხვდებოდნენ და რობერტსაც უხაროდა, საძულველი ჭირი არ შეგვეყრებო.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, ეს არის მხოლოდ საჭმელი აკლდათ. იქვე ახლოს უპატრონოდ მიტოვებული გლეხის ქოხი იდგა. ქოხში მიცვალებულები არ იყო. გოლდმუნდმა იფიქრა, იქნებ ეს ქოხი სჯობდეს საცხოვრებლადო, მაგრამ რობერტი დადგა უარზე. საცხოვრებლად კი არა, გოლდმუნდი რომ შედი-გამოდიოდა ამ ქოხში და ხან რა გამოჰქონდა და ხან რა, – რობერტს ამაზეც უსიამოდ სცრიდა სხეულში. იმ ქოხიდან გამოტანილ ყველა ნივთს ცეცხლის ალზე გადააბარებდნენ ხოლმე და მერე კარგად რეცხავდნენ.

სხვანაირად რობერტი ხელს არ მოკიდებდა, ისეთი ზიზღიანი იყო. ასე გაჩნდა მათ ქოხში იმ ქოხიდან გადმოტანილი ორი ხის სკამი, რძის ჭურჭელი, ერთი-ორი თიხის ჭამი, ცული და კიდევ მინდორში დაჭერილი ორი ქათამი.

ლენე შეყვარებული და ბედნიერი იყო. სამივენი თავს დასტრიალებდნენ ქოხს, დღითი დღე ალაამაზებდნენ.

რადგან პური არ ჰქონდათ, ერთი თხა კიდევ მოიყვანეს, ჭარხლის ნათესასაც



მიაგნეს. დღე დღეს მისდევდა. დაწნული კედელი მოათავეს. უკეთესი საწოლებიც გაიკეთეს და კერიაც გამოაცოცხლეს.

წყარო იქვე იყო. სუფთა და გემრიელ წყალს სვამდნენ, მუშაობისას ღიღინებდნენ.

ერთ დღეს, როცა რძეს შეექცეოდნენ და შინაურ საქმეებზე ლაპარაკობდნენ, უცებ ლენემ დაღონებით იკითხა:

«ზამთარში რა გვეშველება?» პასუხი არც ერთმა არ გასცა. რობერტმა გაიცინა. გოლდმუნდი ფიქრიანად იყურებოდა. ლენე მიხვდა, ზამთარზე არავინ ფიქრობდა, მაშასადამე, აქ დარჩენას არც ერთი არ აპირებდა.

სამშობლო აქ არ ეგულებოდათ, ისინი მოხეტიალენი იყვნენ. ლენემ თავი ჩაღუნა.

გოლდმუნდმა ხუმრობით, როგორც ბავშვს, ისე მიმართა ლენეს.

– შენ მშრომელი გლეხის შვილი ხარ, ლენე, ნუ გეშინია, შავი ჭირი ადრე თუ გვიან ჩაივლის და შენც მშობლებს მიუბრუნდები, ანდა ქალაქში სამსახურს იშოვნი და შენი ლუკმაპურის ფული გექნება. ახლა ჯერ ბაფხულია, ამ მხარეში ყველგან შავი ჭირი მძვინვარებს, ჩვენ კი აქ კარგად ვართ.

ამიტომ აქ მანამ დავრჩებით, ვიდრე არ მოგვწყინდება.

- მერე?! - უცბად წამოიძახა ლენემ. - მერე ყველაფერი დამთავრდება? შენ წახვალ? კი მაგრამ, მე რას მიპირებ?

გოლდმუნდმა ნაწნავზე მოქაჩა და მისი თმის სურნელი შეისუნთქა.

- პატარა სულელო ბავშვო, დაგავინწყდა მიცვალებულთა გამპატიოსნებლები, ამონყვეტილი ოჯახები და ჭიშკრის წინ დიდი ორმო, სადაც ჯერ კიდევ ხრჩოლავს ცეცხლი?

უნდა გიხაროდეს, რომ იმ თრხილში არ წევხარ და თავზე არ დაგწვიმს. ნუთუ არ გიფიქრია იმაზე, რომ უბედურება უკან მოიტოვე, წინა გაქვს მთელი ცხოვრება, რომ შეგიძლია კვლავაც იცინო და იმღერო.

ეს ის პასუხი არ იყო, რასაც ლენე ელოდა თავის შეკითხვაზე.

- არც მე წავალ და არც შენ გაგიშვებ... რა გამამხიარულებს...

როგორ უნდა ვიცხოვრო, როცა ყველაფერი დამთავრებული იქნება ჩემთვის.

გოლდმუნდმა ისევ მეგობრულად უპასუხა, თუმცა ხმაში სიბრაზეც გაურიბა.

- ჩემო ლენე, ამ საკითხზე არაერთ ბრძენსა და წმინდანს უმტკრევია თავი. ამქვეყნად სრული ბედნიერება არ არსებობს. თუ ის არ გაკმაყოფილებს და არ გახარებს, ახლა რაც გვაბადია, მაშინ ახლავე გადავწვავ ქოხს. და ჩვენც ჩვენ-ჩვენს გზას გავუყვებით. კარგი, ლენე, საკმარისად ვილაპარაკეთ.

ლენე გაყუჩდა, მაგრამ მათ სიხარულს უკვე ბზარი გასჩენოდა.



# თავი მეთოთხმეტე

სანამ ჯერ კიდევ ბაფხული მთლად ჩაცხრებოდა, ქოხში ცხოვრებამ დასასრული ჰპოვა, სხვაგვარად წარიმართა ყოველივე, ვიდრე ისინი ამაზე ფიქრობდნენ. გოლდმუნდმა დიდხანს იხეციალა შურდულით ხელში იმ იმედით, იქნებ კაკაბი ანდა სულაც რომელიმე ნადირი დავიჭიროო, რადგან საჭმელი თითქმის შემოელიათ. ლენე იქვე ახლოს იყო და კენკრას აგროვებდა, ხანდახან რომ ჩაუქროლებდა ამ ადგილს გოლდმუნდი, დაინახავდა ბუჩქებში ლენეს თავს, სელის პერანგიდან რომ გამოეყო, და მის გარუჯულ ყელს, ხან კი სიმღერა შემოესმოდა მისი. ერთხელ რამდენიმე ცალი კენკრა ააცალა და პირიც ჩაიგემრიელა, მერე ხეციალი განაგრძო და მისთვის კარგა ხანი თვალი აღარც მოუკრავს.

ლენეზე ხან სიბრაღულით ფიქრობდა, ხან ბრამზორევით, რადგან ქალი ისევ ელაპარაკებოდა შემოდგომაზე, ელაპარაკებოდა მომავალზე, იმაზედ, მგონი, ფეხმძიმედ ვარო.

ამიტომ ვერსად გაუშვებდა. თუმცა ყველაფერი მალე მორჩება, ფიქრობდა გოლდმუნდი, მალე დამთავრდება, მერე მარტო ვიმოგზაურებ და რობერტსაც ჩამოვიცილებ, იქნებ ბამთრამდე დიდ ქალაქში ისევ ნიკლაუსთან მივიდე, ბამთარში იქ დავრჩე, მომავალი გაბაფხულისთვის ახალი, კარგი ფეხსაცმელი

ვიყიდო და უმიზნოდ ვიარო მანამ, სანამ ჩვენს მარიაბრონის მონასტერს არ მივადგები და ნარცისს არ შევხვდები. ალბათ ათი წელია, რაც აღარ მინახავს. უნდა ვნახო ერთი ან ორი დღით.

ანაზღად საშინელმა კივილმა გამოარკვია ფიქრებიდან და გონს მოეგო, მიხვდა, ფიქრებსა და ოცნებებს მეტისმეტად შორს გაეტაცა და აქაურობას მოსწყდომოდა. სული განაბა.

შამზარავი კივილი გამეორდა. იგი ლენეს ხმას მიაშვავსა და იმ ხმას მიჰყვა, თუმცა არ ეამა, რომ ეძახდა. მალე უკვე ახლოს აღმოჩნდა – დიახ, ეს ლენეს ხმა იყო, და იგი მის სახელს ისე ყვიროდა, დიდი გაჭირვების დროს ვინმეს რომ უხმობენ ხოლმე საშველად. სირბილს უმატა ცოტათი გაბრაზებულმა, განმეორებულ ძახილზე კი გული მოუღბა და სევდა შემოაწვა. ბოლოს დაინახა პერანგშემოფხრეწილი ლენე ჩამჭდარიყო და ჩამუხლულიყო მინდორში და კივილით უძალიანდებოდა ვილაც კაცს, ნამუსის ახდას რომ უპირებდა.

გოლდმუნდმა დიდი ნახტომებით მიირბინა მასთან და მთელი თავისი სიბრაზე, აღშფოთება და ნაღველი საშინელი გამმაგებით იმ უცხო ბოროტმოქმედზე გადმოანთხია.

სწორედ მაშინ მიასწრო, როცა მას ლენე უნდა დაეგდო მიწაზე. შიშველ

მკრედზე სისხლი სდიოდა ქალს. უცხოს მხეცურად ამოეგლიჯა ხორცი. გოლდმუნდი უცხოს ეძგერა და როცა ცოფმორეულმა ხელები წაუჭირა ყელში, მისი სიძლიერე და კუნთები იგრძნო. სახე წვერით ჰქონდა დაფარული.

გოლდმუნდი აღტყინებით უჭერდა ყელში ხელს, მანამ ქალი არ გააგდებინა და იგი ძალაგამოლეული მკლავზე არ ჩამოეკიდა.

ასე ყელში ხელწაჭერილმა გაათრია უღონო და მოხრიალე კაცი მიწაზე, ვიდრე მიწიდან ამოშიშვლებული რუხი კლდის შვერილებთან არ მიიყვანა. ჯერ ორჯერ, სამჯერ ასწია ზევით, თუმცა მძიმე იყო და თავი წვეტიან კლდეზე არტყმევინა, მერე კისერი მოუგრიხა და სულამოსული მოისროლა, მაგრამ ცოფმა გოლდმუნდს ბოლომდე მაინც არ გაუარა, მას რომ შეძლებოდა, კიდევ რაღაცას უზამდა.

სახეგანათებულმა შეხედა ლენემ. მკერდიდან სისხლი სდიოდა, მთელი სხეულით ისევ ცახცახებდა და მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ მალე მოიკრიბა ძალა. ვნებითა და გაოცებით შეჰყურებდა თავის ძლიერ მეგობარს, ვინაც მოაშორა მოძალადე, დაახრჩო, გადაუმტვრია კისერი და გვამი მოისროლა.

მოკლული უხსენებელივით განოლილიყო იქვე, დამტვრეული, უმოძრაო და უსულო. სახეგანაცრებულს წვერაბურძგნილი და გაქაჩილებული თავი უკან საბრალისად გადაეგდო. ლენე ამაყად წამოიმართა და გოლდმუნდს გულში



ჩაეხუტა, მაგრამ უცებ გაფითრდა, შიში ჯერ არ გამოსვლოდა სხეულიდან, რაღაც უსიამოვნო შეგრძნება ჰქონდა და მოცვის ბუჩქებში უღონოდ ჩაიკეცა. მალე გოლდმუნდთან ერთად ქოხში წასვლა შეძლო. გოლდმუნდმა მკერდი მობანა, მაგრამ ცალი ძუძუ დაგლეჯილი ჰქონდა, ისე დაეკბინა იმ ველურს.

რობერტი მეტად ააღელვა ამ ამბავმა, გაცხარებით ეკითხებოდა ბრძოლის ყველა წვრილმანს.

– რა თქვი, კისერი გადავუტეხეო? ყოჩაღ, გოლდმუნდ!

როგორ არ შეგეშინდა?

გოლდმუნდს კი ამაზე ლაპარაკი აღრა უნდოდა, მის გულში სიცივეს დაესადგურებინა, მკვდარი რომ მიატოვა გზაში.

საწყალ ავაზაკ ვიქტორზე ფიქრობდა. ეს მეორე კაცი შემოაკვდა ხელში. რობერტი რომ თავიდან მოეშორებინა უთხრა: «რამე მაინც გააკეთე. წადი, იქნებ გვამი სადმე წაიღო.

ორმოს ამოთხრა თუ გაგიძნელდა, ლელიანთან გუბურაში ჩააგდე, ქვა ან მიწა დააყარე კარგად.» იმაზე არც უფიქრია, რომ გვამისთვის იქნებ ხელიც ვერ ეხლო რობერტს, რადგან არავინ უწყოდა, ჭირით დაავადებული იყო თუ არა.

ლენე ქოხში დანვა, ნაკბენი მკერდი სტკიოდა, თუმცა მალე თავი კარგად იგრძნო, ისევ წამოდგა, ცეცხლი დაანთო და საღამოსათვის რძე აადუღა, კარგ გუნებაზე ჩანდა, მაგრამ დასაძინებლად მაინც ადრე გაუშვეს, ცხვარივით დამჭერი გახდა ახლა, რაც მეტად აოცებდა მდუმარე და დაღონებულ გოლდმუნდს. რობერტი ხედავდა მის უგუნებობას და ხელს არ უშლიდა. გოლდმუნდმა თავისთვის ჩალა მოძებნა, მერე დაიხარა და ლენეს მიაყურა. ქალს ეძინა. კაცი მოუსვენრობამ შეიპყრო, ვიქტორზე ფიქრი, შიში და მოგზაურობის წყურვილი მოეძალა.

გრძნობდა სამშობლობანას თამაში დამთავრებულიყო. თუმცა ერთი რამ განსაკუთრებით აფიქრებდა. თვალი შეასწრო, როგორ შეხედა ლენემ, როცა მკვდარი ბიჭი შეანჯღრია და გადააგდო. ეს ფრიად მნიშვნელოვანი რამ იყო. მან იცოდა, ამ მზერას არასოდეს დაივიწყებდა. გაფართოებული, შეშინებული და აღფრთოვანებული თვალებიდან გამოსჭვიოდა სიამაყე და შურისძიების საზეიმო გრძნობა, რაც ქალის სახეზე არასოდეს ამოეკითხა და ვერც წარმოედგინა. ეს მზერა რომ არა, ლენეს სახე მოგვიანებით, წლების შემდეგ დაავიწყდებოდა. ამ მზერამ კი გლეხის გოგონას სახე საოცრად ლამაზი გახადა. კარგა ხანი მის თვალებს მსგავსი არაფერი ენახა, თუმცა სურვილიც კი ჰქონდა ასეთი რამის დახატვისა. ამ მზერით შეძრულს ეს სურვილი განუახლდა.

თვალი ვერა და ვერ მოხუტა, ბოლოს ადგა და ქოხიდან გავიდა. გრილოდა,

არცის ხეებში ნიავი ქროდა. სიბნელეში ბოლთას სცემდა, მერე ქვაზე ჩამოვდა და ღრმად დამწუხრებული, ფიქრებში წავიდა. ეცოდებოდა ვიქტორი, ისიც ეცოდებოდა, ვინც დღეს მოკლა, ენანებოდა დაკარგული უცოდველობა და ბავშვურობა თავისი სულისა. ნუთუ იმიტომ გამოიქცა მონასტრიდან, იმიტომ მიატოვა ნარცისი, მხატვარ ნიკლაუსსაც იმიტომ მიაყენა შეურაცხყოფა, მშვენიერ ლიზბეტსაც იმიტომ უთხრა უარი, რომ აქ, მინდორში, მოესვენა, გაქცეულ ნადირს ჩასაფრებოდა და ამ ქვებზე ეს საწყალი ბიჭი მოეკლა? ჰქონდა კი აზრი ამ ყველაფერს, ღირდა მისი სიცოცხლე? გული შეუკუმშა ამ უაზრობამ და საკუთარი თავი შეეზიზღა. ზურგზე გადაწვა და ღამის გაცრეცილ ღრუბლებს მიაშტერდა, დიდხანს იყო მიშტერებული, ფიქრი ფიქრს მისდევდა, არ იცოდა, ღრუბლიან ცას უყურებდა თუ საკუთარ შინაგან ნაღვლიან სამყაროს. უცებ, როცა წამიერად ქვაზე ჩაეძინა, ცაზე მიმავალ ღრუბლებში ციალივით გაკრთა დიდი სახე, სახე ევასი, დათრგუნული და დაღვრემილი რომ იმზირებოდა. უცებ ფერმკრთალმა სახემ თვალები ფართოდ გაახილა – სიცოცხლის ხალისითა და სიკვდილის წყურვილით გაფართოებული თვალები. გოლდმუნდს მანამდე ეძინა, ვიდრე ნამი არ დაეპყრა.

მეორე დღეს ლენე ავად გახდა. უნდა წოლილიყო, საქმე კი ბევრი გაუჩნდათ. რობერტი დილით ორ ცხვარს გადაწყდომია ტყეში, გოლდმუნდი წაიყვანა, თითქმის ნახევარი დღე სდიეს და მარტო ერთი ცხვარი დაიჭირეს; ძალზე გადაქანცულები დაბრუნდნენ საღამო ხანს. ლენე თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. გოლდმუნდი დააკვირდა და ტანზე გამონაყარი შეამჩნია, მაგრამ



არ გაამხილა. რობერტი მაინც დაეჭვდა, როცა გაიგო, ლენე ავად არისო, მეტხანს ქოხში აღარც გაჩერებულა. გარეთ უნდა მოეძებნა დასაძინებელი ადგილი, თან თხას წავიყვან, თქვა, თორემ შეიძლება გადამედოსო.

- ეშმაკსაც წაუღიხარ! - დაუყვირა გოლდმუნდმა გაჭავრებით, - აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! - თხას ხელი ჩაავლო და კურდღლისცოცხასგან დაწნული კედლის უკან გაიყვანა. რობერტს ხმა არ გაუღია, იცოდა, თხის გარეშე რომ თავს ვერ გაიტანდა და შიში შეიპყრობდა, შიში ჭირისა, შიში გოლდმუნდისა, შიში ღამისა და მარტოობისა.

ის ქოხთან ახლოს დაწვა.

გოლდმუნდმა ლენეს უთხრა:

- შენთან დავრჩები ნუ გეშინია. მალე გამოჯანმრთელდები.

ქალმა თავი გააქნია.

- ფრთხილად იყავი, ძვირფასო, რომ ავადმყოფობამ შენც არ დაგრიოს ხელი, ჩემთან ახლოს მოსვლა არ შეიძლება. ნუღარ მანუგეშებ.

მე უნდა მოვკვდე, და მირჩევნია კიდევ მოვკვდე, ვიდრე ერთ დღეს დავინახო,

რომ შენი საწოლი ცარიელია და მიმატოვე. ყოველ დილით ამაზე ვფიქრობ და მეშინია. არა, მირჩევნია, მოვკვდე.

დილით უკვე ცუდად შეიქნა ლენე. გოლდმუნდი დროდადრო თითო ყლუპ წყალს ასმევდა, თითო-თითო საათით იძინებდა, ახლა, დღის შუქზე ლენეს აშკარად დაეტყო მოახლოებული სიკვდილი, სახე დაჰკნობოდა და მისუსტებულიყო.

ვაჟი ერთი წუთით გავიდა ქოხიდან, ჰაერს ჩავყლაპავ, ცას შევხედავო. ტყის პირზე რამდენიმე გადაღუნული წითელი ფიჭვი მზეს გაეჩახჩახებინა. ჰაერი სუფთა და საამური იყო. დილის ნისლებში შორეული ბორცვები ჯერ არ მოჩანდა. ცოტა გაიარა, გაიზმორა დაღლილობის მოსაშორებლად და ღრმად ამოისუნთქა. ლამაზი იყო ეს ქვეყანა ამ მოწყენილ დილას. აი, მალე დაიწყებოდა მოგზაურობა.

გამომშვიდობება იყო საჭირო.

რობერტმა ტყიდან დაუძახა, რომ წავიდე, იქნებ სჯობდესო.

ჭირი რომ არ გაჩენილიყო, აქ დარჩებოდა, აღარც გოლდმუნდი გაუჭავრდებოდა, ცხვარსაც მიხედავდა.

- ჯანდაბაშიც წასულხარ შენი ცხვრიანად! - დაუყვირა გოლდმუნდმა, - ლენე კვდება, მეც გადამედო.

ეს ბოლო სიტყვები იყო; მაგრამ იმიტომ უთხრა, იქნებ ჩამომცილდესო.

კეთილი ბიჭი მაინც იყოს ეს რობერტი, გოლდმუნდს ყელში ამოუვიდა.

მხდალი და უჭკუო კაცი გამოდგა, საკუთარი ბედის განცდისა და სულიერი ტკივილების ჟამს მისი ატანა გაუძნელდა. რობერტი წავიდა და აღარც მობრუნებულა. მალე მზემ გააბრწყინა იქაურობა.

როცა გოლდმუნდი ლენესთან შევიდა, მძინარე დაუხვდა.

თვითონაც ჩაიძინა, თავისი ცხენი ბლესი და მონასტრის მშვენიერი წაბლის ხე ესიზმრა; ასე ეგონა, თითქოს უსასრულო შორეთიდან და უდაბურებიდან დაკარგულ, ტურფა სამშობლოს ხედავდა. და როცა გამოიღვიძა, ცრემლები სდიოდა სახეზე, ქერა წვერზე. ლენეს დასუსტებული ხმა შემოესმა; ეგონა, ეძახდა და საწოლიდან წამოიწია, მაგრამ ის არავის ელაპარაკებოდა, მხოლოდ სიტყვებს ლულლულებდა თავისთვის, ხან სააღერსოს, ხან საღანძღავს, ოდნავ გაიცინებდა ხოლმე, მერე მძიმედ დაიწყო ოხვრა და ყლაპვაც გაუჭირდა, მერე თანდათან მიწყნარდა. გოლდმუნდი ადგა, დაიხარა მის უკვე დამახინჯებულ სახესთან, და უსიამოვნო ცნობისმოყვარეობით



გააყოლა თვალი ხაზებს, მომაკვდავს რომ უმრავლდებოდა ხოლმე სახეზე ტკივილებისაგან. საყვარელო ლენე, ეძახდა მისი გული, საყვარელო კეთილო ბავშვო, შენც გინდა მიმატოვო? უკვე მოგწყინდი?

სიამოვნებით გაიქცეოდა აქედან სამოგზაუროდ, სახეტილოდ, ჰაერის სასუნთქად, დასაქანცად, ახალი სურათების სანახავად, სიამოვნებით გააკეთებდა ამას, ეს შეუმსუბუქებდა ალბათ მძიმე ტანჯვას. მაგრამ არ შეეძლო, მომაკვდავ გოგონას მართო ხომ არ დატოვებდა. ერთი პირობა კიდევ გადაწყვიტა რამდენიმე საათით, ცოტა ხნით მაინც გასულიყო სუფთა ჰაერზე. რადგან ლენე რძეს ვეღარ სვამდა, გოლდმუნდი სვამდა ბევრს, სხვა საჭმელი მაინც აღარაფერი ჰქონდათ. თხაც საბალახოდ რამდენიმეჯერ გაიყვანა, წყალიც დააღვინა. მერე ისევ ლენეს საწოლთან იდგა, ტკბილად ეჩურჩულებოდა, თვალმოუშორებლად შეჰყურებდა და უნუგეშოდ, თუმცა კი ყურადღებით ადევნებდა თვალს სიკვდილის მოახლოებას. ლენე გონზე იყო, ხანდახან ჩაეძინებოდა და, როცა გამოიღვიძებდა, დაღლილ და მისუსტებულ თვალებს ძლივს ახელდა. თვალებისა და ცხვირის გარშემო წუთი წუთზე უჭკნებოდა კანი, ქორფა, ახალგაზრდა ყელი დაეჭმუჭნა. სახე დაეხურდა. ხანდახან ერთ სიტყვას ამოიძახებდა.

მხოლოდ «გოლდმუნდ» ან «ესაყვარლესო», დასიებული, გალურჯებული ტუჩების ენით დასველებას ლამობდა.

გოლდმუნდმა ერთი-ორი წვეთი წყალი ჩააყლაპა.

მეორე ღამეს გარდაიცვალა იგი დაუჩივლელად. ერთიღა შეირხა, წყნარად ამოისუნთქა და ტანზე თრთოლვამ გადაუარა.

ამის შემხედვარეს გული შეუწუხდა გოლდმუნდს, ბაზრობაზე ნანახი საბრალო, მომაკვდავი თევზები გაახსენდა.

ისინიც სწორედ ასე ჩაქრნენ ერთი გაფართხალების შემდეგ, ცახცახმა ტანზე გადაურბინათ და ბრწყინვალეობა და სიცოცხლე გაუქრათ. გოლდმუნდი გარეთ გავიდა და მანანას ბუჩქებში ჩაჯდა. თხა გაახსენდა, კიდევ ერთხელ შევიდა და პირუტყვი გამოაგდო. თხამ ცოტა ხანს გაიარ-გამოიარა და შემდეგ დაწვა. ვაჟიც მის გვერდით წამოწვა და თავი ფერდზე დაადო. გათენებამდე ეძინა. აი, უკანასკნელად შევიდა ქოხში და დაწნული კედლის იქით უკანასკნელად დაინახა საბრალო მიცვალებულის სახე. მიცვალებულს ასე უპატრონოდ ვერ დატოვებდა. წავიდა და რამდენიმე ილღია ფიჩხი და ჩინჩხვარი მოაგროვა, ქოხში შეიტანა და ცეცხლი წაუკიდა.

ქოხიდან არაფერი წამოუღია სანთებელას გარდა. წამშივე ააღდა გამხმარი კურდღლისცოცხას კედელი. გოლდმუნდი გარეთ იდგა, სახეს ცეცხლი უწვავდა, ქოხს მანამდე შეჰყურებდა, სანამ მთელ სახურავს ალი არ მოედო და წინა ბოძები არ ჩაიქცა. დამფრთხალი თხა აკივინდა. კარგს იზამდა, თხა დაეკლა, ერთი ნაჭერი მაინც შეენვა და შეეჭამა, რომ სამოგზაუროდა ძალა მოეკრიბა. მაგრამ ამისი თავი არ ჰქონდა. თხა მიწდორში გაუშვა და

თვითონაც იქაურობას გასცილდა. ლამის შუა ტყემდე მიჰყვებოდა კვამლი. ასე უსასოოდ გზას არასოდეს გაჰყოლია.

მაგრამ ის, რაც მოელოდა, მაინც უფრო ცუდი იყო, ვიდრე თავად ფიქრობდა. ეს პირველივე ებოსა და სოფლიდან დაიწყო და შორსა და შორს გრძელდებოდა. მთელი მიდამო, მთელი ქვეყანა სიკვდილის ღრუბელით იყო გარემოცული, გაჭირვება, შიში და მწუხარება დაუფლებოდა ირგვლივ ყველაფერს.

საშინელება იყო არა ამონყვეტილი ოჯახები, ჯაჭვებზე დაბმული, დამშეული და მილასლასებული ძაღლები, დაუმარხავი გვამები, გამათხოვრებული ბავშვები და საერთო სასაფლაოები ქალაქების შესასვლელთან – არამედ, საშინელება იყო ცოცხლად დარჩენილი ადამიანები, რომლებსაც ძრწოლამ და სიკვდილის შიშმა თავგზა აუბნიათ.

საოცარი და საშინელი ამბები ესმოდა ყოველი მხრიდან ყარიბს.

მშობლებმა შვილები და ქმრებმა ცოლები მიატოვეს, როცა მათ სნება შეეყარათ. მიცვალებულთა მომვლელნი და ჰოსპიტალის მსახურნი ჯალათებივით პარპაშებდნენ, ძარცვავდნენ ამონყვეტილ ოჯახებს, მიცვალებულებს თვითნებურად ხან დაუმარხავს ტოვებდნენ, მომაკვდავებს სულის ამოსვლამდე საწოლებიდან აგდებდნენ და ფორანზე ყრიდნენ.



შეშინებული ლტოლვილნი მართოდ დაეხეტებოდნენ, გაველურებულებს ადამიანებთან ყოველგვარი ურთიერთობა ეკრძალებოდათ.

სიკვდილის შიშით მათ არავინ იკარებდა. ზოგნი აგზნებულნი და შეშინებულნი, ჯერ კიდევ სიცოცხლის წყურვილით გაერთიანებულნი ქეიფობდნენ, სამეჭლისო საღამოებს აწყობდნენ, სადაც სიკვდილი ვიოლინოზე უკრავდა. მიუსაფარნი, ნაღველით თუ სიძულვილით თვალეშმშლილნი ჩამუხლულიყვნენ ზოგნი საფლავებთან თუ დაცარიელებული სახლების წინ. ყველაფერზე უარესი კი ის იყო, რომ აუტანელი გაჭირვების გამო ყველა ეძებდა განტევების ვაცს, ყველა ცდილობდა გამოეცნო ის წყეულები, რომლებსაც სენის გავრცელებაში მიუძღოდათ ბრალი და ხალხის წინაშე ესოდენ საშინელი დამნაშავენი იყვნენ. მათ ტარტაროებს ეძახდნენ და ჭინაზე ავრცელებდნენ სიკვდილს, როცა დასნებოვნებული მიცვალებულიდან ეპიდემიის შხამს იღებდნენ, კედლებს, გალავნებსა და კარის სახეღურებზე აცხებდნენ, წყაროებსა და საქონელს იმით წამლავდნენ. ვისზეც ამ შემზარავ საქციელში ეჭვი შეიტანეს, გადაიკარგა, რომ არ გამოაშკარავებულიყო, რადგან კანონით ან ბრბოს მიერ სიკვდილით დაისჯებოდა. გარდა ამისა, მდიდრები ამაში ღარიბებს სდებდნენ ბრალს და პირიქით, ანდა შეიძლება ისინი სულაც ებრაელები, უცხოელები ან ექიმები იყვნენ. ერთ ქალაქში გოლდმუნდს გული დაუმძიმდა, ებრაელების მთელი ქუჩა იწვოდა. სახლი სახლზე ინაცრებოდა, ირგვლივ გამწარებული ხალხი იდგა.

ბარდაცემულ ლტოლვილებს იარაღის მუქარით ცეცხლში ერეკებოდნენ. ირგვლივ შიში და ბოროტება მეფობდა, რის გამოც ყველგან უდანაშაულონი იწვოდნენ და იტანჯებოდნენ.

ბრაბითა და ბიზლით შეყურებდა გოლდმუნდი ყოველივე ამას, დაიქცა ქვეყნიერება, მოიწამლა, აღარ არსებობს სიხარული, უცოდველობა, სიყვარულიო. ხშირად გაერეოდა ხოლმე სიცოცხლით მტკბობელებთან დიდ ბეიმებში. ყველგან სიკვდილის ვიოლინო უკრავდა, მის ჰანგს მყისვე გამოიცნობდა ხოლმე. ხშირად მიუღია მონაწილეობა წრეგადასულ ნადიმებში, ხშირად უკრავდა ბარბითზე და ცეკვავდა კვარის შუქზე მწველ ღამეებში.

ის შიშს არ გრძნობდა. მხოლოდ ერთხელ შეიგრძნო სიკვდილის შიში, იმ ზამთრის ღამეს ნაძვების ძირში, როცა ვიქტორი ყელში უჭერდა თითებს და კიდევ მაშინ, როცა ყინავდა და შიმშილი აწუხებდა იმ საშინელ მოგზაურობათა დღეებში.

ეს ის სიკვდილი იყო, რომელსაც ებრძვიან და რომელსაც გაურბიან. ისიც თავს იცავდა გათოშილი ხელ-ფეხით, ცარიელი კუჭით, დაღლილი სხეულით; და კიდევაც სძლია და დაუსხლტა მას. მაგრამ ამ შავი ჭირის სიკვდილთან ბრძოლა შეუძლებელი იყო. იგი ბოხოქრობდა, ხალხს იმონებდა და გოლდმუნდიც ერთი პირობა მინებდა მას. არ ეშინოდა. ასე ეგონა, აღარაფერი შეხვდებოდა ცხოვრებაში იმაზე მეტი მას შემდეგ, რაც ლენე

ქოხში დაწვა, რაც დღიდან დღემდე სიკვდილისაგან გაუკაცრიელებულ ქვეყანაში დაიარებოდა, იგი შეეპყრო საშინელ ცნობისმოყვარეობას, რომელიც აფხიზლებდა, მედგრად უცქერდა სიცოცხლის მცელავს, მედგრად უსმენდა წარსულის სიმღერას. არსად არასდროს გადაუხვევია მისგან. ყველგან იპყრობდა ეს ჩუმი ჭმუნვა, ჯოჯოხეთისაკენ მიმავალ გზას ხარბი თვალებით გაჰყურებდა გატანჯული. დაობებულ პურს ჭამდა მიტოვებულ სახლებში, მღეროდა და ღვინით თვრებოდა უაზრო სუფრებზე.

სიხალისის მჭკნობ ყვავილს სწრაფად წყვეტდა, უმზერდა ქალების მთვრალ, გაშტერებულ თვალებს, ჩაჰყურებდა ღვინით გაღეშილების გარინდებულ, უაზრო თვალებს, ჩასცქეროდა მომავდავთა ჩამქრალ თვალებს, მოსწონდა სასონარკვეთილი, სიცხით გავარვარებული ქალები, მკვდრების გამოტანაში ეხმარებოდა ხალხს ერთი თეფში წვნიანისათვის, ორ-ორ გროშად ეხმარებოდა შიშველი გვამებისათვის მიწის მიყრაში, სიბნელე და სიველურე მეფობდა სამყაროში. თავის სიმღერას აკვნესებდა სიკვდილი. გოლდმუნდი გულისყურით, მწველი ტანჯვით ისმენდა. მის მიზანს ოსტატ ნიკლაუსის ქალაქი წარმოადგენდა. ამას კარნახობდა გული. გზა გრძელი იყო და სიკვდილით სავსე, გზა ჭკნობისა და გარდაცვალების.

მოწყენილი მიდიოდა იქითკენ. მოატადოვა სიკვდილის სიმღერამ.

ისმოდა სამყაროს ხმამაღალი და მჭახე სიმღერა.



სევდიანი იყო ეს სიმღერა და ცეცხლივით ედებოდა გულზე.

ფხიზელ გონებას შორს მიჰყავდა იგი.

ერთ-ერთ მონასტერში გოლდმუნდმა ახლახან მოხატული კედელი ნახა, რომელსაც დიდხანს უცქირა. ზედ სიკვდილის როკვა იყო გამოსახული, ცეკვავდა ფერმიხდილი, ძვალტყავად ქცეული სიკვდილი, ცოცხლებიდან ყველა, მეფე, ეპისკოპოსი, აბატი, გრაფი, რაინდი, ექიმი, გლეხი, დაქირავებული მუშა, ყველა უკან მიჰყვებოდა მას, მუსიკოსები ძლივს უკრავდნენ ცარიელ ძვლებზე. ხარბად ისრუტავდა სურათს გოლდმუნდის მწყურვალე მზერა, აი, უცნობი კოლეგა იმ მოძღვრებას უზიარებდა მნახველთ, რაიც შავი სიკვდილით შეიცნო. ხალხს მჭახე ხმით უქადაგებდა გარდაცვალების მწარე აუცილებლობას; კარგი იყო სურათი. იგი დიდებულ ქადაგებას წარმოადგენდა. ცუდად არ დაენახა და გამოეკვეთა ამ უცხო კოლეგას ეს ამბავი. ძვლების ჭახჭახს გამოსცემდა და საზარლად ჟღერდა ველური სურათი. მაგრამ ეს მაინც არ იყო ის, რაიც გოლდმუნდს თავად ენახა და განეცადა. ეს იყო სიკვდილის მკაცრი და უღმობელი უცილობლობა და ეს იყო აქ გამოსახული. გოლდმუნდი კი სხვა სურათს ისურვებდა, სულ სხვაგვარად ჟღერდა მასში სიკვდილის ველური სიმღერა, არა მკაცრად, არა ძვლების ჭახჭახით მოხმიანე, არამედ უფრო ტკბილი და მაცდუნებელი, დედობრივი გრძნობით შინისაკენ რომ მიეზიდება კაცს. იქ, სადაც სიკვდილი თავის ხელს ცხოვრებაში ჩაურევდა, არა მარტო მკაფიო და ბრძოლის ჟინით

სავსე იყო სიკვდილის ხმა, არამედ გულში ჩამწვდომი და ერთობ მოსიყვარულეც, შემოდგომისებურ ბარაქიანი, სიკვდილის მოახლოებისას ცხოვრების ჩირაღდანაც უფრო კაშკაშა ხდებოდა, უფრო სიღრმისეული. თუ სიკვდილი სხვისთვის მეომარი, ჯალათი თუ მკაცრი მამა იყო, მისთვის სიკვდილი დედაც და სატრფოც გახლდათ, მისი ხმოვა-ძახილი – სიყვარულის ჭრჭოლისნაირი. როცა გოლდმუნდმა სიკვდილის როკვის სურათი დაათვალიერა და წავიდა, გაახლებულმა ძალისხმევამ მას შემოქმედებისაკენ მოუწოდა, ყველგან ახალი სურათები და განცდები ხვდებოდა, მთრთოლვარე ნესტოებით იცნოსდა სიკვდილის ხალისს, თანაგრძნობა და ცნობისწადილი მისგან მუდამ ითხოვდა ერთ საათს, ერთ დღეს. სამი დღე ამყოფა ერთი პატარა, სლუკუნა გლეხის ბიჭი თავისთან, საათობით დაატარებდა ზურგით ხუთი თუ ექვსი წლის ნახევრად მშიერ საბრალო ბიჭუნას, რომელმაც საზრუნავი და საფიქრალი გაუჩინა და რომლის მოშორება გაუჭირდა. ბოლოს ბიჭი ერთმა მენახშირის ცოლმა აიყვანა შვილად, ქვრივი იყო და უნდოდა გვერდში ვინმე ჰყოლოდა. მერე ერთი უპატრონო ძაღლი მთელი დღეები დაჰყვებოდა უკან გოლდმუნდს. მისი ხელიდან ჯამდა, ძილის დროს ათბობდა, ერთ დილით კი ისევ დაეკარგა. ეცოდებოდა ძაღლი, შეეჩვია მასთან ლაპარაკს; დიდხნობით ესაუბრებოდა მოწყენილ ცხოველს ადამიანთა სიავეზე, ღმერთის არსებობაზე, ხელოვნებაზე, რაინდის ახალგაზრდა ასულ იულიას მკერდსა და თეძოებზე, პირველად რომ გაიცნო სიჭაბუკეში.

რა გასაკვირია, თუ გოლდმუნდი სიკვდილის ამ გზაზე ოდნავ შეირყა კიდევ.

ეპიდემიის მხარეში ზოგი კაცი ცოტათი გადავიდა ჯკუიდან, ზოგიც მთლად გაგიჟდა. ალბათ ოდნავ შეშლილი იყო რებეკა, თვალეზანთებული, ლამაზი, შავგვრემანი ებრაელი ყმაწვილი ქალი, რომელთანაც გოლდმუნდმა ორი დღე გაატარა.

ქალიშვილს პატარა ქალაქის წინ მდებარე მინდორში გადაეყარა.

შავ, დანახშირებულ ნანგრევებში ჩაცუცქული გოდებდა, თავპირში იცემდა ხელებს, გრძელი, გაშლილი ლამაზი თმა მხრებზე დაფენოდა, გოლდმუნდმა გამწარებულ გოგონას ხელები დაუჭირა, გააკავა და ლაპარაკი დაუწყო.

მის თვალს არ გამოჰარვია გოგონას მშვენიერი სახე და ტანი.

მამის გამო მოსთქვამდა თურმე, თოთხმეტ ებრაელთან ერთად მთავრობის ბრძანებით ცეცხლში დაუნვავთ. გოგოს შეეძლო გაქცეულიყო, მაგრამ სასონარკვეთილი უკან მობრუნდა და ტირილით თავს იკლავდა, რატომ მეც მათთან ერთად არ დამწვესო. გოლდმუნდს მოთმინებით, მაგრად ეჭირა მისი აკანკალებული ხელები, თანაგრძნობით, გულში ჩამწვდომად ელაპარაებოდა, მფარველობასა და დახმარებას აღუთქვამდა, გოგონამაც თხოვა, მიშველე, მამა დამამარხვინეო.

ჯერ ისევ ცხელი ფერფლიდან ძვლები შეაგროვეს და მინდვრის გადაღმა



უჩემრად დაფლეს მიწაში. ამასობაში მოსაღამოვდა, გოლდმუნდმა დასაძინებელ ადგილს დაუწყო ძებნა. მუხნარში მოუწყო გოგონას საწოლი, დაპირდა, ვიფხიზლებო, ესმოდა, რა გულამოსკვნით ტიროდა საბრალო. ბოლოს მიყუჩდა. მერე გოლდმუნდსაც ცოტა ხნით ჩაეძინა, მეორე დღეს გოგონას ურჩია, შენი აქ დარჩენა არ შეიძლება, ებრაელი რომ ხარ გიცნობენ და მოგკლავენო, თანაც ტყეში გარყვნილ კაცებსა და მგლებს რა გამოლევსო.

მებრალეები და გირჩევ, მე გამომყვე.

მეცოდები, მგლისა და ავი კაცისაგან დაგიცავ, არაფერს გაგიჭირვებ, იმდენი ჭკუა კი მაქვს, შენი სილამაზე დავინახო. ეს ტკბილი, ჭკვიანი თვალები და ეს ლამაზი მხრები ნადირს როგორ შევაჭმევინო, ან კოცონზე როგორ დავაფერფლინო. გოგო მოღრუბლული უსმენდა, მერე წამოხტა და გაიქცა. გოლდმუნდი გაეკიდა და დაიჭირა:

- რებეკა, - უთხრა, - ხომ ხედავ, რამდენს ვფიქრობ შენზე. მესმის, რომ მამას გლოვობ და სიყვარულზე არაფრის გაგონება არ გინდა, იგლოვე, სანამ საჭიროა, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მე არაფერს გაგიჭირვებ, თითსაც არ დაგაკარებ, მაგრამ მოგვიანებით კი კვლავ დაგელაპარაკები სიყვარულზე.

მაგრამ ყველაფერი წყლის ნაყვა გამოდგა. გოგონა საკუთარ სიხარულზე ვერ იფიქრებდა. ასეც უთხრა ბრაზიანად გოლდმუნდს, იმას გავაკეთებ, რაც

ტკივილს მომაცენებს, არ ვიფიქრებ სიხარულზე, თუ მგელი შემჭამს უკეთესიც იქნება, წადი, მაინც ვერაფერს მიშველი, ისედაც ბევრი მელაპარაკეო.

- შენ ვერ ხედავ, რომ ყველგან სიკვდილია, - უთხრა გოლდმუნდმა. - რომ ყველა სახლში და ქალაქში ადამიანები იხოცებიან, რომ ყველგან გაჭირვება ჩაბუდებულია.

იმ ადამიანთა სიბოროტეც, რომლებმაც მამაშენი დაწვეს, გაჭირვებისა და უბედურების ნაყოფია. ის დიდი ტკივილიდან მოდის მხოლოდ. ნახავ, ჩვენც მალე წაგვიყვანს სიკვდილი, ჩვენ მინდორში გავიხრწნებით, ჩვენს ძვლებს თხუნელა დაღრღნის. მოდი, მანამდე მაინც ვიცოცხლოთ, ერთმანეთი შევიყვაროთ. ჰოი, მიწისთვის როგორ გავიმეტო შენი თეთრი ყელი და პატარა ფეხები. საყვარელო, ლამაზო გოგონა, მოდი ჩემთან, მე შენ არ შეგეხები, მინდა მხოლოდ გიყურო და ვიზრუნო შენზე.

კიდევ დიდხანს ემუდარებოდა ასე და უცბად თვითონვე მიხვდა, რა უსარგებლო იყო სიტყვებითა თუ რაიმე საბუთებით მისი მონადირება. გაჩუმდა და რებეკას ნაღვლიანად შეხედა. რებეკა დედოფალივით იდგა და ამაყ სახეზე უარი ეწერა.

- ასეთები ხართ თქვენ, - წარმოთქვა ბოლოს სიძულვილითა და აგდებით, - ასეთები ხართ ქრისტიანები! ჯერ მოეხმარები ქალიშვილს მამის დამარხვაში,

რომელიც შენმა ხალხმა მოკლა და რომლის თითის ფრჩხილადაც არ ღირხარ, მერე კი, რახან რაღაც გაუკეთე, გინდა დაეპატრონო და მასთან დრო გაატარო. ასეთები ხართ თქვენ! პირველად კარგი ადამიანი მეგონე, მაგრამ როგორ იქნები კარგი. ოჰ, თქვე მართლა ღორებო.

მის თვალებში სიძულვილის გარდა კიდევ რაღაცა გაკრთა, რამაც გოლდმუნდი შეაწუხა და გულის სიღრმეში სინდისის ქენჯნა აღუძრა. ქალის თვალებში მან დაინახა სიკვდილი, მაგრამ არა სიკვდილის აუცილებლობა, არამედ სიკვდილის სურვილი, სიკვდილის ნდომა, სიკვდილისადმი მშვიდი მინდობა, რომელიც დედასავით უხმობდა ქალს.

- რებეკა, - უთხრა ჩუმად, - იქნებ მართაღს ამბობ, კარგი კაცი არა ვარ, თუმცა შენთვის ცუდი არ მომინდომებია.

მაპატიე, ახლალა მიგიხვდი.

ქუდის მოხდითა და ისეთი მოკრძალებით გამოემშვიდობა, როგორც თავადის ქალს ემშვიდობებიან ხოლმე და იქაურობას გულდამძიმებული გასცილდა. დიდხანს გაჰყვა გოლდმუნდს ნალველი, არავისთან დალაპარაკება აღარ უნდოდა.

რა მცირე მსგავსებაც უნდა ყოფილიყო, ეს ამაყი, საბრალო ებრაელის



გოგონა რაღაცით რაინდის ასულ ლიდიას აგონებდა. ასეთი ქალების ტრფიალს ტანჯვა მოჰქონდა მისთვის, თუმცა ერთხანს ეგონა, ისე არავინ არ შემეყვარებია, როგორც ეს ორნიო, სანყალი, მშიშარა ლიდია და მხდალი, საცოდავი ებრაელი გოგონა.

კიდევ რამდენიმე დღე ფიქრობდა ამ შავგვრემან, საოცარ გოგონაზე და რამდენიმე ღამე ოცნებობდა მისი სუსტი სხეულის მწველ სილამაზეზე, ბედნიერებისა და გაფურჩქვნისათვის გაჩენილზე და მაინც უკვე სასიკვდილოდ განწირულზე.

ჰოი, ეს ბაგე და მკერდი, «ღორების» ნადავლი რომ შეიქნება და მინდორში გაიხრწნება! ნუთუ არ არსებობდა ისეთი ძალა, ან ჯადო, ეს ძვირადფასეული სილამაზე გადაერჩინა? კი, იყო ასეთი ძალა: იგი მის სულში განაგრძობდა სიცოცხლეს, მის სულში აისახებოდა და დაიმარხებოდა. გოლდმუნდი შიშითა და კრთომით გრძნობდა, რომ მისი სული სავსე იყო სურათებით, რომ სიკვდილის ქვეყანაში ამ ხანგრძლივი მოგზაურობის დროს სახეებით გამდიდრდა. ო, რარიგ დაბავდა ეს სისავსე მის შინაგან სამყაროს და როგორი მონატრებით მოითხოვდა მისგან მშვიდად ფიქრს, ფიქრთა ნაკადებად მდინარებას და შემდგომ სურათებად დაღუქვას. უფრო მეტი შემოქმედებითი წვითა და უფრო მეტი ალტკინებით მიილტვოდა ამისკენ, უფრო ფართოდ გახელილი თვალებითა და ცნობისმოყვარეობით, და უფრო მეტად ენატრებოდა ქალაღდი და ფანქარი, თიხა და ხე, სახელოსნო და მუშაობა.

ბაფხული გავიდა. ბევრს ეგონა, შემოდგომაზე ან ზამთრის პირზე ეპიდემია ჩაქრებაო. უსიხარულო შემოდგომა იდგა. გოლდმუნდი გარს უვლიდა იქაურობას. ჩამოცვნილი ხილი ღპებოდა, მისი ამღები კი არავინ იყო. ზოგან ქალაქებიდან ჩამოსული ველური ბანდები დაძრწოდნენ და დაყაჩაღობდნენ.

ნელ-ნელა უახლოვდებოდა გოლდმუნდი საწადელს. ამ ბოლო ხანებში რამდენჯერმე შეიპყრო შიშმა, ადრე თუ გვიან ჭირი შემეყრება და სადმე ბოსელში ამომხდება სულიო. მას ახლა აღარ სურდა სიკვდილი, არა, ვიდრე თავს ბედნიერად გრძნობდა, უნდოდა კიდევ ერთხელ მდგარიყო სახელოსნოში და ემუშავა. მის სიცოცხლეში პირველად იყო სამყარო ასე დიადი, გერმანული სახელმწიფო კი – დიდი.

ვერც ერთი პატარა მშვენიერი ქალაქი ველარ დაატყვევებდა მას, ვერც ერთი კოხტა გლეხის გოგო ველარ დაიპყრობდა მას, მხოლოდ ღამის იდუმალება ხიბლავდა გოლდმუნდს.

ერთხელ ერთ ეკლესიას ჩაუარა, კარიბჭესთან მოჩუქურთმებულ ღრმა ნიშებში არაერთი ძველთაძველი ქვის ქანდაკება იდგა, – ანგელოზების, მონაშემების ქანდაკებანი, რომელთა მსგავსებიც ხშირად ენახა. მის მონასტერში, მარიამბრონშიც იყო ერთი-ორი ასეთი ქანდაკება. ადრე, ყმანვილობაში ძალიან მოსწონდა ისინი, მაგრამ ახლა ყოველგვარი განცდის გარეშე ათვალიერებდა მათ; თუმცა ღამაზი და ძვირფასი ეთქმოდა მათ, მაგრამ

რალაცნაირად გაშეშებულნი, გადამეტებულად მედიდურნი და ამავე დროს მოძველებულიც ჩანდნენ. მოგვიანებით გაახსენდა, როგორ მოეწონა, როგორ აღაფრთოვანა თავისი პირველი დიდი მოგზაურობის დასასრულს ნანახმა ოსტატ ნიკლაუსის მიერ შესრულებულმა იმ ტკბილმა და ნაღვლიანმა ღვთისმშობელმა.

იმასთან შედარებით ეს ძველფრანგული, სადღესასწაულო ქვის ქანდაკებანი მეტისმეტად მძიმენი, გაშეშებულნი და უცხონი ჩანდნენ.

გოლდმუნდი ახლა უკვე გარკვეული ქედმაღლობით ათვალიერებდა მათ, ოსტატის სტილში ბევრი რამ აღმოაჩინა ახალი, ცოცხალი და გასულიერებული. დღეს კი, – როცა მისი სულიერი სამყარო სურათებით, როცა სული დაბაფრული და დამძიმებული ჰქონდა თავგადასავლებითა და განცდებით, როცა მისი არსება სავსე იყო ტკივილიანი ლტოლვებითა და ამ სამყაროს შეცნობისა და შემოქმედებისაკენ სწრაფვით, – ამ ძველთაძველმა გოროზმა ქანდაკებებმა მის გულში უცებ უდიდესი ძალით შეაღწია. ეჭვატანილი იდგა იგი ამ ღირსეული სურათების წინ, რომლებშიც სიცოცხლეს განაგრძობდა მრავლისგანმცდელი გული, უკვე ჩავლილი შიში და კრთომა მრავალგზის განცდილი სიყვარულისა, წარმავლობის მიუხედავად საუკუნეთა კუთვნილნი რომ გამხდარიყო და ქვაში გარინდებულყო. თრთოლვითა და მოწიწებით აღივსო გოლდმუნდის გაველურებული გული. უღრმესი პატივისცემის გრძნობამ შეიპყრო დაკარგული, ჩაფერფლილი სიცოცხლისადმი.



მან ის გააკეთა, რაც ძალზე დიდი ხანია არ გაუკეთებია.

სააღმსარებლოს დაუწყო ძებნა, რათა ყოველივე გაეცნობიერებინა და სასჯელი მიეღო.

ეკლესიაში სააღმსარებლოები კი იყო, მაგრამ მღვდელი არ ჩანდა არსად. ვინ მომკვდარიყო, ვინ ჰოსპიტალში იწვა, ვინ გაქცეულიყო, სახადს გარიდებოდა. ეკლესია გაუკაცრიელებულიყო.

გოლდმუნდს ქვის თაღებში მხოლოდ საკუთარი ნაბიჯების ხმა ესმოდა. ცარიელ საამღსარებლოში დაიჩოქა, თვალები დახუჭა და ჩურჩულით წარმოთქვა:

«უფალო ღმერთო, ხედავ, რაც გამოვიდა ჩემგან. უკეთური და უბნეო მოვბრუნდი იმ სამყაროდან. ახალგაზრდობის ჟამი ფუჭად გავლიე, დრო ვფლანგე, სასიკეთო ცოტა რამ დამრჩა.

მკვლელი გავხდი, ვიპარე, ვიმრუშე, უქმად ვიხეტიალე.

სხვისი ლუკმა-პურის შემყურე ვიყავი. ღმერთო ჩემო, რად გაგვაჩინე ასეთები? რად დაგყავართ ასეთ გზებზე? ნუთუ შენი შვილები არ ვართ? ნუთუ ძე შენი ჩვენთვის არ ივნო?

წმინდანები, ანგელოზები წინ რად არ მიგვიძღვიან?

ან იქნებ ეს ყოველივე მშვენიერი და გამოგონილი ამბავია, ბავშვებისათვის მოსაყოლი და თავად მღვდელთათვის სასაცილო.

უფალო ღმერთო, გამიქრა შენდამი რწმენა, შენ ეს სამყარო უკეთურად შეგიქმნია, ცუდად მოგიწყვია. მიცვალებულთა სავსე სახლები და ქუჩები მოვიარე. ვნახე, მდიდრები თავიანთ სახლებში როგორ ჩაიბუდნენ, ღარიბებმა დაუმარხავად როგორ მაიტოვეს თავიანთი ძმები, როგორი უნდობლობით იმსჯვალვოდნენ ერთმანეთის მიმართ, ებრაელები საქონელივით როგორ დახოცეს. მრავალი უცოდველი კაცის ბედი მაწუხებს. ვიხილე მრავალი უდანაშაულოს ტანჯვა და უკანასკნელი წუთები, მრავალი ბოროტის უზრუნველი ცხოვრება. შენ სრულიად მიგვივიწყე და მიგვატოვე. შენს შვილებზე გული აიყარე, ნუთუ გინდა ყველა უფსკრულის პირას დავდგეთ?»  
ოხვრით გამოვიდა მაღალი კარიბჭიდან და მდუმარე ქვის სურათებს – გარინდულ ანგელოზებსა და წმინდანებს მიაჰყრო მზერა, გამხდრებსა და მაღლებს ნაოჭდაყრილი სამოსელი რომ ეცვათ. გახევებულნი, მიუწვდომელნი, გეადამიანურნი და მაინც კაცის ხელის მიერ და კაცის სულისმიერ ქმნილნი მკაცრად და მდუმარედ იდგნენ თავ-თავიანთ ვიწრო ნიშებში. ვერა თხოვნა და ვერა კითხვა ვერ მიაღწევდა მათთან, და მაინც უსასრულო ნუგეშს იძლეოდნენ, მოგვიმე გამარჯვებას წარმოადგენდნენ სიკვდილსა და სასოწარკვეთილებებზე, იდგნენ ისინი თავიანთი ღირსებითა და

სილამაზით აღსავსენი და მოკვდავი ადამიანები სხვა, სულიერ სამყაროში განაგრძობდნენ სიცოცხლეს.

ჰოი, აქ საბრალო, ლამაზი ებრაელი გოგონა რებეკაც ცოცხლობდა, საცოდავი, ქოხში ჩამწვარი ლენეც, მშვენიერი ლიდიაც და ოსტატი ნიკლაუსიც! ერთხელაც ასევე ქვად იქცევიან ისინი და განაგრძობენ ისევ სიცოცხლეს. გოლდმუნდი შექმნის მათ. და მათი სახეები, გოლდმუნდისათვის დღეს სიყვარულითა და ტანჯვით, შიშით და ტკივილით რომ არსებობენ, მოგვიანებით ცოცხლების გვერდით აისვეტებიან უსახელოდ და უისტორიოდ, მშვიდად და მდუმარედ, კაცობრიობის ეს გულისშიერი სურათები.



# თავი მეთხუთმეტი

ბოლოს და ბოლოს მიზანს მიაღწია გოლდმუნდმა და სანატრელ ქალაქში იმ კარიბჭით შევიდა, რომლითაც მაშინ, ამდენი წლის წინ, ოსტატს რომ ეძებდა. გზად საეპისკოპოსო ქალაქის შესახებ შეიტყო, რომ იქაც დარევიან ჯირი, შეიტყო შფოთისა და სახალხო გამოსვლებზე, იმაზე, რომ მეფის ნაცვალის ჩამოსულა წესრიგის დასამყარებლად, აუცილებელი კანონის მისაღებად, მოქალაქეთა ადგილ-მამულისა და სიცოცხლის დასაცავად, რადგანაც ეპისკოპოსს ეპიდემიის გაჩენისთანავე დაუტოვებია ქალაქი და ერთ შორეულ სოფელში თავის ერთ-ერთ სასახლეში გადასახლებულა. ეს ამბები მოგზაურს დიდად არც ადარდებდა. ოღონდ ის სახელოსნო ენახა, სადაც მუშაობა უნდოდა, სხვა დანარჩენს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ქალაქში რომ ჩავიდა, ჯირი უკვე ჩამცხრალიყო, ეპისკოპოსის დაბრუნებას ელოდნენ, უხაროდან მეფის ნაცვლის გამგზავრება და ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ცხოვრების გაგრძელება.

გოლდმუნდს ქალაქში კვლავ დაბრუნებისას მონატრებისა და სამშობლოს გრძნობის ადრეული განცდა აღარ დაუფლებია, მისთვის უჩვეულოდ გოროზი თავდაჭერილობა არჩია.

ო, აქ ყველაფერი ისევ ისე დახვდა: ჯიშკრები, ლამაზი ჯები, საკათედრო

ტაძრის ძველი და ტლანქი ღვთისმშობლის ეკლესიის ახალი, ნაზი სამრეკლოები, წმინდა ლორენციდან ბარების წკრიალი, დიდი, გაკაშკაშებული საბაზრო მოედანი!

ო, რა კარგია, რომ ეს ყველაფერი ელოდებოდა. გზაში ხომ ისე ეგონა, აქ ჩამოსულს ყოველივე უცხო და შეცვლილი, ლამის განადგურებული და დანგრეული დაუხვდებოდა, უცნაური, არაფრისმთქმელი ახალი შენობების გამო ვეღარც იცნობდა მას. ლამის ეტირა ქუჩებში სიარულის დროს, ყოველ სახლს სცნობდა. ნუთუ ახლა მაინც არ იყო შესაშური აქაური მკვიდრთა ბედი, კოხტა, საიმედო სახლებში რომ ცხოვრობდნენ მშვიდობიან მოქალაქეთა პირობაზე, ოთახებსა თუ სახელოსნოში გამოკეტილნი ცოლებთან და შვილებთან, მსახურებთან და მეზობლებთან ერთად?

ჯერ მოსაღამოებული არ იყო და მზის მხარეს ქუჩაში სახლებს, სასტუმროებისა და სახელოსნოების აბრებს, მოჩუქურთმებულ კარებს და ყვავილების ქოთნებს ნათელი ეფინა.

ყველაფერს დავიწყებოდა, რომ ამ ქალაქშიც ბობოქრობდა სიკვდილი, ადამიანთა სიგიჟე და ჟინის წამრთმევი შიში. ცივად, მომწვანო-მოცისფროდ მიედინებოდა ხიდის ხმაურიან თაღებქვეშ ანკარა მდინარე. გოლდმუნდი ერთხანს სანაპიროს მოაჯირზე ჩამოჯდა, ქვევით ისევ დაცურავდნენ წყლის მწვანე ბროლში შავი თევზები, ხანდახან ჩერდებოდნენ, თავით დინებისაკენ

მიქცეულნი. აქ ისევ ამოსჭვიოდა სიღრმის ბუნდოვანება და ის სუსტი ოქროვანი ნათება, რაიც ადამიანის ოცნებას ასხამს ფრთებს. სხვა მდინარეებშიც ასე იყო ალბათ, სხვა ხიდები და ქალაქებიც ლამაზი სანახავი იქნებოდა, და მაინც ეგონა, რომ ამის მსგავსი რამ არც ეხილა და არც განეცადა.

ყასბის ორი ბიჭი სიცილით მოსდევდა ხბოს, თან მოახლისაკენ იყურებოდნენ, რომელიც მათ ზემოთ ტალავარში სარეცხს ჰკრეფდა. რა სწრაფად გაიარა ყველაფერმა! ცოტა ხნის წინათ ჭირი ბუგავდა აქაურობას და საშინელი ჰოსპიტლების მსახურნი ბატონობდნენ. ახლა ცხოვრება კვლავ ძველებურად მიედინებოდა. იცინოდნენ, ხუმრობდნენ; არც ის შეცვლილიყო, იჭდა და აქ ჩამოსვლა ახარებდა. მადლიერების გრძნობა დაუფლებოდა, ის კი არადა, აქაური ეგონა თავი, თითქოს გაჭირვება და სიკვდილი არ ენახოს, ლენესა და ებრაელი გოგონას ამბავი არ განეცადოს. ღიმილით წამოდგა და წავიდა, და როცა ოსტატ ნიკლაუსის სახლისაკენ იმ ქუჩას გაუყვა, რომლითაც ყოველდღე რამდენიმე წლის წინ სამუშაოდ დადიოდა, გული ლამის ამოვარდნოდა მკერდიდან.

ნაბიჯს აუჩქარა, დღესვე უნდოდა ოსტატის ნახვა და რაღაც რაღაცების გაგება, ვერ ითმენდა, ახლავე უნდა ენახა. ხვალამდე ვერ დაიცდიდა. ისევ ნაწყენი შეხვდებოდა მხატვარი? ეს ხომ დიდი ხნის წინ იყო, იქნებ აღარც ახსოვდა გოლდმუნდი. ამასაც შეეგუებოდა. მხატვარი იყოს მხოლოდ იქ, ის და სახელოსნო, შემდეგ ყველაფერი კარგად წავიდოდა.



თითქოს აგვიანდებო, კარგად ნაცნობ სახლს აჩქარებით მიუახლოვდა, კარის სახელურს ჩასჭიდა ხელი და ძაღზე შეეშინდა, ჭიშკარი დაკეტილი რომ დაუხვდა. რამე ცუდს ხომ არ ნიშნავდა? ადრე არასდროს ყოფილა, ეს ჭიშკარი დღისით ჩაეკეტათ.

ჯავრით ჩაჰკრა სარაკუნა და დაელოდა.

შიში გაუძლიერდა.

იგივე მოხუცი მსახური ქალი გამოვიდა, რომელმაც მაშინ პირველად მიიღო სახლში. ადრინდელივით არ გამოიყურებოდა, დაბერებულიყო და უფრო გამკაცრებულიყო. გოლდმუნდი ვერ იცნო. მან კი შეშინებულმა მხატვარი იკითხა. გამოთაყვანებულმა ქალმა უნდოდ შეხედა:

- მხატვარი? აქ არავინ არის მხატვარი. წადით, ადამიანო, აქ არავინ შემოგიშვებს.

ჭიშკრიდან უნდოდა მისი გაგდება, მაგრამ გოლდმუნდმა მკლავით დაიჭირა და დაუყვირა:

- მარგრიტ, ღვთის გულისათვის. მე გოლდმუნდი ვარ, ველარ მცნობ? მხატვარ ნიკლაუსის ნახვა მინდა.

შორსმხედველ, მიმქრალ თვალეებში სიხარული არ გამკრთალა.

- მხატვარი ნიკლაუსი აღარ არის, გარდაიცვალა. კმარა, თქვენს გზას ეწიეთ. აქ დგომა და ლაყბობა არ შემიძლია.

ვიდრე გოლდმუნდი ამ ამბავს გაიაზრებდა, მოხუცი განზე გასწია, ყვირილით რომ გამოევიდა უკან, და ბნელი შესასვლელის გავლით სახელოსნოსკენ წავიდა. იგი დაკეტილი იყო. ვიდრე მოხუცი ლანძღვა-გინებით მისდევდა, მან სახლის კიბე სწრაფად აირბინა, ჩაბნელებულ ოთახში შეგროვებული ქანდაკებები დაინახა. ხმამაღლა ეძახდა ფროილან ლიბბეტს.

ოთახის კარი გაიღო, ლიბბეტი გამოჩნდა, მისმა თვალებმა გული შეუძრა გოლდმუნდს. აქ, ამ სახლში ყველაფერი - იმ შიშისმომგვრელ ჩაკეტილ ჭიშკარივით - მომნუსხველი იყო. ლიბბეტის შემხედვარეს მართლაც ტანში გააჟრჟოლა.

სადღა იყო ლამაზი, ამაყი ლიბბეტი. სწეულივით გაყვითლებულს, მხრებშიც მოხრილს, სადა შავი კაბა ეცვა, უნდოდ იმზირებოდა.

- მაპატიეთ, - უთხრა ქალს, - მარგრეტს ჩემი შემოშვება არ უნდოდა. ვერ მიცანით? მე ხომ გოლდმუნდი ვარ.

აჰ, მითხარით: მართალია, რომ მამათქვენი გარდაიცვალა?

თვალეზზე შეატყო, ლიზბეტმა ამჯერად იცნო, ისიც მაშინვე შეამჩნია, რომ კარგ მოგონებებს არ აღუძრავდა მას.

- მაშ, გოლდმუნდი ხართ? ხმაში ადრინდელი ქედმაღლობის ნიშანი გამოერია. - ამაოდ გამოგიწევიათ აქეთკენ.

მამაჩემი გარდაიცვალა.

- სახელოსნოზე რაღას მეტყვით? - სულმოუთქმელად ჰკითხა გოლდმუნდმა.

- სახელოსნო? დაკეტილია. ვისაც სამუშაო უნდა, სხვაგან უნდა ეძებოს.

გოლდმუნდმა ძლივს შეიკავა თავი.

- ფროილან ლიზბეტ, - უთხრა მეგობრულად; - მე სამუშაოს არ ვეძებ. ღმერთმანი, ოსტატი და თქვენ მინდოდა მომეკითხეთ. გაგონილმა ძალიან დამაღონა. ვხედავ, რომ გაგჭირვებიათ. როგორც მამათქვენის მადლიერ მოწაფეს, იქნებ რაიმე სამსახურის განევა შემეძლოს, მე ეს გამახარებს.

აჰ, ფროლან ლიზბეტ, გული ლამის გამისკდეს, როცა ასე ღრმად დამწუხრებულს გხედავთ.

ლიზბეთი კარისკენ წავიდა.



- გმადლობთ, - ყოყმანით წაილაპარაკა თან. ვერც მას გაუწევთ სამსახურს და ვერც მე. მარგრიტი გაგაცილებთ.

უსიამოდ ჟღერდა მისი ხმა. ცალკერძ ბოლმით, ღვარძლით, ცალკერძ შიშით იყო სავსე. გრძნობდა: რომ შეძლებოდა, აქედან ლანძღვით გააგდებდა.

უკვე ქვევით იყო ჩასული გოლდმუნდი, უკვე მიუხურა დედაბერმა ჭიშკარი, როცა მოესმა ორივე ურდულის რიხინი, ისე რომ გაჟღერდა, ვით კუბოზე სახურავის დაფარების ხმა.

კვლავ მიბრუნდა სანაპიროზე და კვლავ მოაჭირზე დაჯდა.

მზე ჩასულიყო, სიცივე მოდიოდა წყლიდან, ის ქვაც გაცივდა, რომელზედაც იჯდა. სანაპირო ქუჩა მიწყნარდა, ხიდის ბურჯებს წყლის ნაკადი ეხეთქებოდა, სიღრმე ჩამუქდა, ოქროვანი ციმციმი აღარ ამოსჭვიოდა.

ოჰ, ფიქრობდა, ახლა რომ მოაჭირიდან გადავხტე და მდინარეში ჩავიკარგო!

კვლავ სიკვდილი მეფობდა ქვეყნად. ერთი საათი გავიდა, ბინდი ღამემ შეცვალა. ბოლოს ტირილი მოერია. იჯდა და ტიროდა, მუხლებზე დაწყობილ ხელებზე თბილი ცრემლები ეფრქვეოდა. ტიროდა გარდაცვლილ ოსტატს, ტიროდა ლიბბეტის დაკარგულ სილამაზეს, ტიროდა ლენეს, რობერტს და ებრაელ გოგონას, თავის მკვნარ, ფუჭად გარდასულ სიჭაბუკეს.

მოგვიანებით აღმოჩნდა იგი ღვინის დუქანში, სადაც წინათ ამხანაგებთან ერთად ხშირად უქეიფია. მედუქნემ იცნო.

გოლდმუნდმა ერთი ნაჭერი პური მოითხოვა, მედუქნემ ერთი ჭიქა ღვინოც დაუდგა. გოლდმუნდს არც პური აუღია და არც ღვინისთვის დაუკარებია პირი. სკამზე ჩაეძინა. აქვე გაათენა ღამე. მედუქნემ დილით გააღვიძა, გოლდმუნდმა მადლობა გადაუხადა და წავიდა. გზაში შეჭამა პურის ნაჭერი.

თევზის ბაზართან მივიდა, სადაც წინათ ერთ სახლში ბინად იდგა. ჭის გვერდით მეთევზეთა ცოლები ცოცხალ თევზსა ჰყიდდნენ. გოლდმუნდი კასრში ლამაზად მბრწყინავ თევზებს ჩააშტერდა, ადრეც ხომ ხშირად უნახავს. კვლავ მოაგონდა, როგორ ებრალებოდა თევზები, როგორ ბრაზობდა თევზების გამყიდველებზეც და მყიდველებზეც. გაახსენდა, ერთხელ ისე გააოცეს თევზებმა, ისე შეაცოდეს თავი და დააღონეს, რომ მთელი დილა აქ გაატარა. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გოლდმუნდი ძალზე ნაღვლიან გუნებაზე დადგა, თუმცა რამ დააღონა ასე, ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ ასე კი იყო. გაქრა ნაღველი, ტკივილიც და სასოწარკვეთაც გაუფერულდა, სიღრმე და ფასი დაკარგა, და ბოლოს დადგა დრო, როცა აღარ ფიქრობდა იმაზე, თუ რა მოხდა უწინ, რამ მიაყენა ტკივილი. ტკივილებმაც გადაიყვავილეს და დაჭკნენ.

ნუთუ დღევანდელი მისი ტკივილიც ასევე დაჭკნება და გაუფერულდება, ასევე

გაქრება სასონარკვეთა იმეზე, რომ მხატვარი აღარ არის, რომ გოლდმუნდზე წყენა მას საფლავში ჩაჰყვა, რომ მისთვის სახელოსნო ღია აღარაა. შემოქმედებითი ბედნიერებისა და სულში ჩამოწოლილი სურათების ტვირთის შესამსუბუქებლად? დიახ, ეს ტკივილიც, ეს მწარე შეჭირვებაც დაძველდება და ამოიწურება, დაივიწყება. თურმე არაფერს არ ჰქონია სიმყარე, ტკივილსაც კი.

იმ დროს, როცა თევზებზე ფიქრში ასე იყო ჩაფლული, ვიღაცამ ხმადაბლა, სიტბოთი სავსე ხმით დაუძახა. როცა მიიხედა, ნაზი და ავადმყოფური იერის გოგონა დაინახა, ლამაზი და მუქთვალეებიანი. გოლდმუნდმა ვერ იცნო.

– გოლდმუნდ! შენა ხარ ხომ? – ჰკითხა მორიდებულად.

– როდის ჩამოხვედი? ვეღარ მცნობ? მე ხომ მარია ვარ.

მაინც ვერ იცნო. გოგონამ გაახსენა, რომ მისი ყოფილი სახლის პატრონის ასული იყო, ისინიც მოაგონა რომ გამგზავრების წინ დილა ადრიან სამზარეულოში რძე დააღუევინა.

უყვებოდა და თან წითლდებოდა.

დიახ, ეს მარია იყო, ის საწყალი თეძომტკივანი გოგო, ასე გულთბილად და მორიდებულად რომ გაირტა მაშინ მისთვის.



გოლდმუნდს მოაგონდა ყველაფერი. ნეტავ კვლავაც დაელოდება ამ ცივ დილით და მაშიდელივით კვლავაც დააღონებს მისი გამგზავრება? გაახსენდა როგორ აჩუქა კოცნა, რომელიც გოგონამ მშვიდად და დინჯად, ვით საიდუმლო, ისე მიიღო. მას აქეთ გოლდმუნდს არც გახსენებია იგი. მაშინ მარია ბავშვი იყო. ახლა გაზრდილიყო და ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა, თუმცაღა ისევ კოჭლობდა და ავადმყოფური იერიც ჰქონდა. გოლდმუნდმა ხელი გაუწოდა, გაუხარდა რომ ვიღაცა კიდევ იცნობდა ამ ქალაქში და უყვარდა იგი.

მარიამ თან წაიყვანა. გოლდმუნდს ოდნავ ეხატებოდა კიდევ. ოთახში სადაც გოლდმუნდის ნახატი ისევ ეკიდა და მისი ნაჩუქარი ლალისფერი ჭიქა ბუხარზე იდგა, – გოგოს მშობლებთან ერთად უნდა ესადილა. მასპინძლებს გაუხარდათ მისი ნახვა და სამი დღე დარჩიო, თხოვეს. გოლდმუნდმა აქ შეიტყო, რაც მისი მხატვრის სახლში მოხდა. ნიკლაუსი ჭირით არ მომკვდარა, ჭირი მშვენიერ ლიზბეტს შეყროდა და ლამის სასიკვდილოდ გადადებულს მამა უვლიდა, თუმცაღა, მის მთლიანად გამოჯანმრთელებას ვეღარ მოესწრო.

ლიზბეტი გადარჩა, ოღონდ დაუშნოვდა.

– სახელოსნო ცარიელია, – თქვა სახლის პატრონმა, – მუყაითი მხატვრისათვის ის კარგი სამუშაო ადგილი იქნებოდა და საკმარის ფულსაც გააკეთებდა. დაფიქრდი აბა, გოლდმუნდ! ის უარს არ გეტყვის. სხვა არჩევანი არც აქვს.

ჭირიანობისდროინდელი სხვა ამბებზეც შეიტყო: ბრბომ თურმე საავადმყოფო გადაწვა, მოგვიანებით რამდენიმე მდიდრის სახლსაც დასხმიან თავს და გაუძარცვავთ. ერთი ხანობა უწესრიგობამ დაისადგურა ქალაქში და საშიში გახდა იქ ყოფნა, რადგან ეპისკოპოსი გაიქცა. მეფემ, იმხანად ქალაქის ახლოს რომ იმყოფებოდა, ნაცვალი გამოგზავნა, გრაფი ჰაინრიხი. დიახ, იგი მამაცი ბატონი აღმოჩნდა, რამდენიმე ცხენოსნისა და ჯარისკაცის დახმარებით ქალაქში წესრიგი დაამყარა. მაგრამ დრო გადიოდა და მისი ბატონობაც შეწყდებოდა ამ ქალაქში, რადგან ეპისკოპოსი უნდა დაბრუნებულიყო უკან. გრაფი მოქალაქეთა მიმართ დიდ სიმკაცრეს აღარ იჩენდა და აღარც თავისი ხასა აგნესის სათვალთვალოდ იწუხებდა მეტისმეტად თავს, რომელიც ნამდვილი ეშმაკის კერძი იყო. გრაფი და მისი ამაღა მალე დასტოვებდნენ ქალაქს, სახალხო საბჭოს რა ხანია მობეზრებოდა კეთილშობილი ეპისკოპოსის ნაცვლად მეფის ფავორიტ, საერთო და სამხედრო კაცის ქალაქში ბატონობა, გაუთავებელივ მისიებსა და დელეგაციებს რომ იღებდა, როგორც მთავარი.

სტუმარსაც გამოკითხეს თავისი თავგადასავალი. აჰ, - წარმოთქვა გოლდმუნდმა სევდიანად. - ამაზე ლაპარაკი არცა ღირს. მე სულ მოგზაურობაში ვიყავი, ყველგან ჭირი მეფობდა, ყველგან მკვდრები ეყარა, ყველგან შეშლილი და გაბოროტებული იყო ხალხი შიშისაგან. მე ცოცხალი გადავრჩი, ალბათ მოვა დრო და ყველაფერს დავიწყებას მივცემ.

ახლა უკან მოვბრუნდი, მაგრამ ჩემი ოსტატი კი გარდაცვლილი დამიხვდა! რამდენიმე დღე დავრჩები თქვენთან ძალ-ღონის მოსაკრეფად, მერე ისევ წავალ.

მაგრამ დასვენების გამო არ დარჩენილა აქ. დარჩა იმიტომ, რომ იმედგაცრუებული და თან გაურკვეველ მდგომარეობაში იყო, ამ ქალაქის ტკბილი მოგონებები გოლდმუნდს ხალისს მატებდა და საბრალო მარიას სიყვარული გულზე უფონებდა, თუმცა სიყვარულითვე ვერ უპასუხებდა, მეგობრობისა და თანაგრძნობის გარდა ვერაფერს მისცემდა, – მისი ჩუმი თაყვანისცემა მაინც ათბობდა. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად აქ აკავებდა მწველი სურვილი, კვლავ ხელოვანი გამხდარიყო, თუნდაც სახელოსნო ვერ ენახა და თუნდაც უკანასკნელი ძალების შეწირვა ყოფილიყო საჭირო.

რამდენიმე დღე ხატვის გარდა გოლდმუნდს სხვა არაფერი უკეთებია. მარიამ ქალაქდებითა და კალმით მოამარაგა.

გოლდმუნდი იჯდა ოთახში და საათობით ხატავდა, დიდი ფურცლები ზოგან მოხაზული ჩანახატებით, ზოგიც მიმზიდველი, ნაზი ფიგურებით აავსო, მის სულში არსებული მოგზაურობის სურათებით სავსე წიგნი ქალაქდზე გადმოიტანა.

ბევრჯერ დახატა ლენეს სახე, მისი კმაყოფილი, სიყვარულით სავსე ღიმილი,



მანანწალის სიკვდილის შემდეგ რომ შენიშნა მაშინ, მისი უკანასკნელი ღამის გამომეტყველება, როცა უკვე ერწყმოდა უფორმობას და მიწისკენ იქცევდა პირს. დახატა ის გლეხის ბიჭი, ხელებმომუჭული ზღურბლზე რომ ეგდო მკვდარი მშობლებთან ერთად. დახატა გვამებით სავსე ფორანი, სამი ჯაგლაგი ცხენი ძლივს რომ მიათრევდა, ხოლო გვერდით მიჰყვებოდნენ ჯალათები გრძელი ლატნებით ხელში და ნიღბებიდან ჩამუქებული თვალებით აღმაცერად იყურებოდნენ. ისევ და ისევ ხატავდა რებეკას, გამხდარ, შავთმიან ებრაელ გოგონას, მის სახეს, ტკივილითა და აღშფოთებით სავსეს, მის ლამაზ, ნორჩ ტანს, ამაყ სიყვარულისათვის რომ იყო შექმნილი, სიმწრით მოკუმულ მის მიუკარებელ ბაგეს. ხატავდა თავის თავს, მოგზაურს, შეყვარებულს, გაქცეულს მცელავი სიკვდილისაგან, მროკავს სიცოცხლის მწყურვალთა ჭირის ნადიმებში. იგი მიიჯაჭვა თეთრმა ქალაღდმა. ხატავდა ქედმაღალ ფროილაინ ლიბბეტის ჩამოქნილ სახეს, როგორსაც ადრე იცნობდა, მოხუცი მოახლის მარგრეტის სახეს, ოსტატ ნიკლაუსის საყვარელსა და შეშინებულ სახეს. რამდენჯერმე მონიშნა წვრილი, წინასწარ ნააზრევი ხაზებით მიწის დედის, დიდი ქალის ფიგურა.

ქალი კალთაში ხელებჩანყობილი იჯდა, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ღიმილი უკრთოდა. უსაზღვრო სიამოვნებას ჰგვრიდა გოლდმუნდს ხატვის პროცესი. მის წარმოსახვაში არსებულ სახეებს ხატვის დროს იმორჩილებდა. რამდენიმე დღეში გაუთავდა მარიას მოტანილი ფურცლები. ბოლოს შემორჩენილ ერთადერთ ფურცელზე ლამაზთვალება, გაბუტულტუჩება მარიას

სახე დახატა და აჩუქა.

ხატვამ სული შეუმსუბუქა, დამძიმებული წარმოსახვისა და დაგუბებულ გრძნობათაგან გაანთავისუფლა. ხატვისას არ იცოდა, სად იმყოფებოდა, მთელ ქვეყნიერებას მისთვის მაგიდა, თეთრი ქალაღდი და სანთელი წარმოადგენდა. მერე როცა გამოფხიზლდა, ახალმა განცდებმა შეიპყრეს, კვლავ მოგზაურობისაკენ გაუწია გულმა. გოლდმუნდი ქალაქში დაეხეტებოდა საოცრად გაორებული გრძნობით, მონატრებისა და გამომშვიდობების გრძნობით სავსე.

ამ ხეტიალ-ხეტიალში ერთ ქალს გადაეყარა, ამ ქალის მზერამ ყველაფერი დაავიწყა და გულში ისარივით მოხვდა.

ეს გახლდათ ცხენზე ამხედრებული ქერა ქალი, წარმოსადეგი, ოდნავ ცივი, ცნობისმოყვარე, ცისფერთვალებიანი, ჩამოქნილ სახეზე სიამაყე ეხატა და ამავე დროს ტკბობის წადილით, საკუთარ გრძნობათა და ვნებათა წყურვილით ჰქონდა სახე განათებული. თუმცა, მბრძანებლურად და მედიდურად იჭდა წაბლისფერ ცხენზე, გულდახურული და მიუკარებელი მაინც არ ჩანდა. ათრთოლებული ნესტოები მზად იყო ყველა სურნელის შესაყნოსად, მსხვილი, ხორციანი პირი კი თავდავიწყების მისაცემად. მის დანახვაზე მყის გამოფხიზლდა გოლდმუნდი და წადილმა შეიპყრო, ამ ამაყ ქალს გატოლებოდა. მისი დაპყრობის სურვილი ისე შემოენთო, რომ გზაში

მასთან კისერიც რომ მოეტეხა, სულელურ სიკვდილად არ ჩათვლიდა. იმწამსვე იაზრა, ეს ქერა ძუ ლომი მე მგავსო. გრძნობებითა და სულით მდიდარი, ყველანაირი შერკინებისთვის მზადმყოფი, ველური და თან ნაზი, სისხლში მჩქეფარე ვნებათა უძველესი გამოცდილების მქონეაო.

ცხენი დაძრა ქალმა. კაცმა თვალი გააყოლა. ხვეული ქერა თმისა და ცისფერი ხავერდის საყელოს ქვეშ მსხვილი, მაგრამ ნაზი კეფა მოუჩანდა.

გოლდმუნდს რატომღაც სურდა ერწმუნა, რომ ასეთი ლამაზი ქალი არასოდეს შეხვედრია.

მოუნდა ხელებით შეხებოდა ამ კეფას და მისი თვალებიდან ცივი, ცისფერი საიდუმლოება გამოეტაცა. გოლდმუნდი მიხვდა, ვინც იყო ეს ქალი. იგი სასახლეში ცხოვრობდა და მეფისნაცვლის საყვარელი – აგნესი გახლდათ. ეს ქალი ისეთ თვალებში იყურებოდა, რომ დედოფლობასაც შესძლებდა ალბათ. აუზთან შეჩერდა და თავის ანარეკლს დააკვირდა გოლდმუნდი. სურათი ძმასავით ჰგავდა ქერა ქალს, მაგრამ ეს სურათი მეტისმეტად გავლელურებული იყო. იმწუთსვე ნაცნობი დალაქი მონახა და სთხოვა, თმა და წვერი მოკლედ და ლამაზად შეეჭრა.

დევნა ორი დღე გაგრძელდა. აგნესი სასახლიდან რომ გამოვიდა, ქერა უცხო უკვე ჭიშკართან იდგა და ქალს გაოცებით შეხედა თვალებში. აგნესმა ცხენით გარს რომ შემოუარა ციხე-სიმაგრეს, უცხო კაცი მურყნარიდან გამოვიდა.



აგნესმა ოქრომჭედელთან რომ შეიარა, იქიდან გამოსული კვლავ შეეყარა უცხოს. ერთხანს მომნუსხავი თვალებით მიაშტერდა, ცხვირის ნესტოები უთრთოდა. მეორე დილით, როცა გამობრძანდა და ისევ აქ მდგარი დაინახა, გამომწვევად გაუღიმა. გოლდმუნდმა გრაფიც ნახა, მეფისნაცვალი.

ეს გახლდათ საერო, დარბაისელი მამაცი კაცი, მაგრამ უკვე ჯაღარაშერეული და ცხოვრებით გადაღლილი. გოლდმუნდმა იგრძნო, ეს კაცი მას ვერ აჯობებდა.

ამ ორმა დღემ გააბედნიერა იგი. ხელახლა დაბრუნებულმა სიჭაბუკემ ისევ გზნება შემატა. რა დიდებული იქნებოდა ამ ქალისათვის ამის ჩვენება და მისთვის ბრძოლის შეთავაზება. რა დიდებული იქნებოდა საკუთარი თავისუფლების შეწირვა ამ სილამაზისათვის.

რა ლამაზი და მომხიბლავი იყო იმის შეგრძნება, რომ მისი ცხოვრების მიზანი მხოლოდ ის გახდა.

მესამე დილით აგნესი ცხენით გამოვიდა სასახლიდან.

ცხენოსანი მსახური მიაცილებდა. ბრძოლის ჟინით სავსე მზერა შეაგება ჭიშკართან ატეხულ მზერას. ქალმა მსახური დავალებაზე გაგზავნა, თვითონ კი დინჯად გადაიარა ხიდი.

მხოლოდ ერთხელ მოიხედა უკან. დაინახა, უცხო მოსდევდა, გადანწყვიტა პილიგრიმების სანკტ ვაიტესკენ მიმავალ გზასთან დალოდებოდა. გზა ამ დროისათვის თითქმის უკაცრიელი იყო. ნახევარი საათი მოუწია ქალს ცდა, უცხო კაცი ნელა მოდიოდა, აქაოდა არსად არ მეჩქარებო. ხალისიანად, ღიმილით წავიდა მისკენ ქალი, შემწიფებული ასკილის ტოტი გაერჭო პირში. მერე ცხენიდან ჩამოხდა, ქვის გალავანთან სუროს მიეყრდნო და მდევარს მიაგება მზერა. კაცმა თვალი თვალში გაუყარა და შეჩერდა, ქუდი მოიხადა.

– რატომ მომსდევ? – ჰკითხა ქალმა, – რა გინდა ჩემგან?

– მინდა უფრო მეტი გაჩუქო, ვიდრე შენგან მივიღებ. მინდა საკუთარი თავი საჩუქრად მოგიძღვნა, მშვენიერო ქალბატონო, როგორც გინდა, ისე მიმსახურე. – მიუგო გოლდმუნდმა.

– კარგი, ვნახოთ, რაში გამომადგები. მაგრამ თუ აქ, გარეთ, სადაც საფრთხე არ გელის, ერთი კოცნის მიღებაც – ერთი ყვავილის მოწვევებაც – კი განგიზრახავს, იმედი აღარ იქონიო. მე მხოლოდ იმ მამაკაცების შეყვარება შემიძლია, ვინც ხიფათის დროსაც არ დაიხევს უკან.

– შეგიძლია მიბრძანო.

ფრთხილად მოიხსნა ქალმა თხელი ოქროს ძეწკვი ყელიდან და გაუწოდა.

- რა გქვია?

- გოლდმუნდი.

- გოლდმუნდი? ჩინებულია. გავიგებ, როგორი ოქროპირიც ხარ. კარგად მისმინე: ეს ძეწკვი სალამო ჟამს სასახლეში მოიტანე. ეგრევე მოდი, როგორცა ხარ, შეიძლება მათხოვარიც გაითამაშო. უნდა იცოდე, რომ სასახლეში ორი სანდო კაცი მყავს: მეჭინიბე მაქსი და ჩემი მოახლე ბერტა, რომელიმემდე უნდა მიაღწიო და ჩემთან მოგიყვანენ.

ყველა დანარჩენს სასახლეში, გრაფის ჩათვლით, ერიდე. ისინი მტრები არიან. გაფრთხილებ, შეიძლება ძვირად დაგიჯდეს.

ქალმა ხელი გაუწოდა, კაცი სათუთად ეამბორა ზედ და ნაზად მიიტანა ლოყასთან. შემდეგ ძეწკვი შეინახა. მდინარეს დაღმა დაუყვა, ქალაქისაკენ წავიდა. ვენახები უკვე გაშიშვლებულიყვნენ. ხეებიდან ყვითელი ფოთლები მოქროდა.

გოლდმუნდმა ღიმილით გააქნია თავი, როცა ქალაქს გადახედა, ასეთი მეგობრული და საყვარელი არასოდეს ყოფილაო.

რამდენიმე დღის წინ დროის მდინარეებზე ძალზე დაღონებული იყო,



დაღონებული იმაზე, რომ გაჭირვებაც და ტანჯვაც კი წარმავალია. სინამდვილეში გაჭირვება და ტანჯვაც უკვე წარვიდა. ტოტიდან ჩამოცვენილი ოქროსფერი ფოთლებივით დაეშვნენ მიწაზე. ისე ეგონა, ამ ქალის სიყვარულზე ძლიერ ჯერ არასოდეს არც ერთი ქალის სიყვარული არ შემონთებია. მისი ტანადობა, ქერა თმა, სიცოცხლით სავსე მოცინარე სახე დედამისის სახეს ახსენებდა, მაშინ, ჯერ ბიჭმა, მარიამბრონში გულში რომ დიამარხა. გუშინწინ ვერც წარმოიდგენდა, რომ სამყარო კიდევ ერთხელ ასე მხიარულად შესცინებდა სახეში. რომ კიდევ ერთხელ იგრძნობდა სიცოცხლის, სიხარულის, ახალგაზრდულ ძალთა მოზღვავენას ძლიერად და სისხლის ამაჩქროლებლად.

რა ბედნიერებაა, რომ ისევ ცოცხალია, რომ ამ საშინელ თვეებში სიკვდილმა დაინდო!

საღამოს სასახლეში აღმოჩნდა. სასახლის ეზო გამოცოცხლებულიყო, ცხენებს უნაგირს ხსნიდნენ. შიკრიკნი მიდი-მოდოდნენ, პატარა ეტლით მღვდლებს და სასულიერო იერარქებს მსახურნი შიდა ჭიშკრიდან კიბემდე აცილებდნენ.

გოლდმუნდი მათ უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ კარისკაცმა შეაჩერა. მან ძეწკვი ამოიღო და უთხრა, დამარიგეს სხვის ხელში რომ არ ჩავარდეს, თავად მოწყალე ქალბატონს ან მის მოახლეს გადავცეო. მსახური გააყოლეს. დიდხანს მოუწია გასასვლელში ლოდინმა. ბოლოს კოხტა ქალი გამოჩნდა, მოიჩქაროდა, გვერდით რომ ჩაუარა, ჩუმად ჰკითხა:

«თქვენ გოლდმუნდი ხართ?» და ხელით ანიშნა გამომყევით.

ქალი მალე კარის იქით გაუჩინარდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაუქნია ხელი, მოდიო.

პატარა ოთახში შევიდა კაცი, სადაც მძაფრ, ტკბილ სურნელს აფრქვევდა ბენჯეული და სუნამო, იქაურობა სავსე იყო კაბებითა და პალტოებით, ქალის ქუდები ხის ჭანჭიკებზე ჩამოეკიდათ, ყველანაირი ფეხსაცმელი ელაგა ღია სკივრში. გოლდმუნდი აქ იცდიდა თითქმის ნახევარ საათს.

კაბებიდან სურნელი იფრქვეოდა, ბენჯეულებს ხელი გადაუსვა.

ცნობისმოყვარედ და ღიმილით შეჰყურებდა ყველა აქ დაკიდებულ ლამაზ ნივთს.

ბოლოს შიდა კარი გაიღო და მოახლე კი არა, თავად აგნესი შემობრძანდა, ყელზე თეთრბენჯშემოვლებული ღია ცისფერი კაბა ეცვა. ჩუმად მივიდა მომლოდინესთან, ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად შეანათა ცისფერი თვალები.

- გალოდინე, - უთხრა წყნარად. - ვფიქრობ, ახლა გულმშვიდად ვიქნებით. სასულიერო პირების დელეგაცია ჰყავს გრაფს. მათთან ტრაპეზობს, მათთან მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდება. მღვდლებთან სხდომები მალე არ მთავრდება.

ეს დრო ჩვენი. კეთილი იყოს შენი მობრძანება, გოლდმუნდ. მწველი ტუჩები შეაგებეს ერთმანეთს, მდუმარედ მიესალმნენ ერთმანეთს პირველი კოცნით. გოლდმუნდმა ფრთხილად დაადო ხელი ქალს კეფაზე. კარისაკენ წაუძღვა ქალი და მაღალ, ჩახჩახა, სანთლებით განათებულ, თავის საძინებელ ოთახში შეიყვანა. მაგიდაზე ვახშამი იყო მომზადებული. დასხდნენ. ქალმა კარაქი და პური მზრუნველად დაუდო წინ, ხორცეულიც, ლამაზ, მოცისფრო ჭიქაში თეთრი ღვინო დაუსხა. ჭამდნენ, ორივენი ამ სასმისიდან სვამდნენ.

ხელებით ერთმანეთს ეთამაშებოდნენ ფრთხილად.

- მაინც საიდან მოფრინდი? - ჰკითხა, - ჩემო ლამაზო ჩიტო? მეომარი ხარ, მუსიკოსი თუ ერთი ღარიბი მოხეტიალე?

- ყველაფერი ვარ, რაც შენ გინდა, - გაიღიმა კაცმა.

მთლიანად შენი ვარ. მუსიკოსი ვიქნები, თუ შენ გინდა, ჩემო ტკბილო ბარბითო, თითებს შენს ყელს რომ შევახებ და დავუკრავ, ანგელოზების სიმღერას მოვისმენთ. მოდი, ჩემო ძვირფასო, საჭმელად და სასმელად არ მოვსულვარ აქ. მე შენთან მოვედი.

ნელა ჩამოაცილა ყელიდან ბეწვი და ნელა გახადა კაბა.



მოლაპარაკება მიდიოდა გარეთ კარის ამაღლასა და მღვდლებს შორის, უხმაუროდ მიმოდიოდნენ მსახურები თუ მილეული მთვარე მთლიანად ჩაცურებულიყო ხეებში, შეყვარებულებს ეს არ ანაღვლიანებდათ. მათთვის სამოთხე ჰყვოდა, ერთმანეთს ჩახვეულნი და გადაჭდობილნი ღამეში ჩაკარგულიყვნენ.

მათთვის სამოთხის თეთრი ყვავილების საიდუმლოებების ბინდბუნდი იდგა. წყვეტდნენ ნაზი და მადლიერი ხელებით მონატრებულ ნაყოფს. ჯერ არასდროს არ დაეკრა მუსიკოსს ასეთ ბარბითზე, ასე არასოდეს აჟღერებულა ბარბითი ძლიერი და მცოდნე თითებით.

- გოლდმუნდ, - მწველად ეჩურჩულებოდა ქალი ყურში, - რა ჯადოქარი ხარ! შენგან, ოქროს თევზო, შვილი მინდა მყავდეს. და უფრო სიამოვნებით მოვკვდებოდი შენი გულისთვის. შემსვი, სატრფოვ, დამადნე, მომკალ! მკერდიდან ბედნიერების ხმა ამოსდიოდა. ქალის თვალებში სიცივე და სიამაყე გამქრალიყო. როგორც სიკვდილის წინარე ნაზმა გაფართხალებამ, ისე გაიელვა მის თვალებში კანკალმა, მომაკვდავ თევზის კანზე ვერცხლისფერი ცახცახივითა თუ ღრმა წყალში იმ ჯადოსნური ციმციმის ოდნავ ოქროსფერ გამონათებასავით.

კაცს ეგონა, ყველანაირი ბედნიერება ერთად განვიცადე ამ წუთსო.

თვალეზმინაბული და აცახცახებული რომ იწვა, კაცი უცბად უხმოდ წამოიწია და ჩაცმა დაიწყო. კვნესით უთხრა ქალს ყურში: – ჩემო ძვირფასო საუნჯევ, გტოვებ. არ მინდა სიკვდილი, არ მინდა გრაფმა მომკლას. კიდევ ერთხელ მინდა დღევანდელივით ვინეტაროთ. კიდევ ერთხელ და კიდევ ბევრჯერ!

მდუმარედ იწვა ქალი, კაცმა საბანი დაათარა და თვალეზზე აკოცა.

– გოლდმუნდ, – უთხრა ქალმა, – ვაი, რომ მიდიხარ!

ხვალ ისევ მოდი! თუ საშიშროება იქნება, გაგაფრთხილებ, მოდი ისევ, ხვალ ისევ მოდი!

მოახლეს ბარი დაურეკა. ტანსაცმლის ოთახის კარში დახვდა იგი გოლდმუნდს და სასახლიდან გაიყვანა. სიამოვნებით მისცემდა მას ოქროს მონეტას; წამით შერცხვა კიდევ თავისი სიღარიბისა.

შუალამისას თევზის მოედანზე იდგა და მარიას სახლს შეჰყურებდა.

გვიანი იყო, აღარავის ეღვიძებოდა, ცხადია, ღამე გარეთ მოუწევდა ყოფნა. გასაკვირი იყო, სახლის ჭიშკარი ღია რომ დაუხვდა. ჩუმად შეიპარა და ჭიშკარი მიიკეტა. გზა მისი ოთახისაკენ სამზარეულოზე გადიოდა. იქ შუქი ენთო, სამზარეულოს მაგიდის ზეთის პატარა ლამფასთან მარია იჯდა.

სწორედ ახლა ჩაეთვლიმა, ორი-სამი საათი ეცადა. გოლდმუნდის შესვლით შეშინდა და უცებ წამოხტა.

– ოჰ, მარია, ისევ ფეხზე ხარ?

– მღვიძავს, თორემ კარი დაკეტილი დაგხვდებოდა.

– მაპატიე, მარია, რომ გალოდინე, გვიანი ყოფილა. არ გამიბრაზდე.

– შენ არასდროს გაგიბრაზდები, გოლდმუნდ. ცოტა კი დავლონდი.

– არ უნდა დალონდე. რამ დაგალონა მაინც?

– აჰ, გოლდმუნდ, მე მინდა ჯანმრთელი, ლამაზი და ძლიერი ქალი ვიყო. მაშინ ღამით უცხო-უცხო სახლებში აღარ ივლიდი და სხვა ქალებს აღარ შეიყვარებდი. მაშინ ერთხელ ჩემთანაც დარჩებოდი და სიყვარულს გამიზიარებდი.

მის ხმაში არც იმედი და არც სიმწარე, მხოლოდ სევდა ჟღერდა.

დარცხვენილი იდგა კაცი მის წინ, ებრალებოდა, არ იცოდა, რა ეთქვა. ფრთხილად შეახო თავზე ხელი და თმაზე მოეფერა, ქალიშვილს ცახცახმა



დაუარა სხეულში. გული აუჩუყდა, მერე წელში გაიმართა და დარცხვენით  
უთხრა:

- წადი, დაიძინე, გოლდმუნდ, სისულელეები გელაპარაკე.

ნამძინარევი ვიყავი. ღამე მშვიდობისა.

# თავი მეთექვსმეტე

ბედნიერი მოუთმენლობით სავსე ეს დღე გოლდმუნდმა მთის კორდებზე გაატარა. ცხენი რომ ჰყოლოდა, დღესვე გაქუსლავდა მონასტერში თავისი ოსტატის ნახელავი მშვენიერი მადონას სანახავად.

კიდევ ერთხელ შეხედავდა. ხშირად ოცნებობდა მხატვარ ნიკლაუსზე. ჰოდა, უნდა მოესწრო.

აგნესთან ეს ბედნიერი სიყვარული რომც ხანმოკლე აღმოჩენილიყო, რომც ცუდ რასმე ამბავს გადაჰყოფდა-დღეს ყვავილობდა მისი აზრები, დრო არ უნდა გაეცდინა. დღეს არ უნდოდა ადამიანების ნახვა, არ სურდა გონება გაჰფანტვოდა, გარეთ გაატარებდა ნაზ შემოდგომის დღეს ხეებსა და ღრუბლებს შორის. მარიას უთხრა, სოფელში წასვლა გადავწყვიტე და შეიძლება გვიან მოვიდეთ, ცოტა მეტი პური მომეცი და გვიანობამდე ნულარ დამელოდებით. გოგოს ამაზე არაფერი უთქვამს, ჩანთა პურითა და ვაშლებით აუვსო, ძველი ქურთუკი ჯაგრისით გაუნმინდა – ამოკემსვით კი პირველსავე დღეს ამოუკემსა – და ჩააცვა.

გოლდმუნდმა მდინარეზე გაისეირნა, ციცაბო კალთებით კორდებს აუყვა შემოძარცვულ ვაზიანისაკენ. ზევით, ტყეში, დაიბნა და ვერ გარკვეულიყო

ციცაბო კალთებით აღმართზე თუ ადიოდა. აქ შიშველი ხეების ტოტებიდან მზე აცხუნებდა.

მისი ნაბიჯების ხმაზე შაშვები დაფრთხნენ და ჩირგვნარში შეიყუვნენ, შეშინებულები კრიალა შავი თვალებით იყურებოდნენ ტევრიდან. ქვემოთ, შორს, ცისფერ ზოლად მიედინებოდა მდინარე და ქალაქი პატარა სათამაშოსავით მოჩანდა.

იქიდან არა ხმა არ ამოდიოდა, გარდა აღვლენილი ლოცვის ხმისა. აქ, მაღლა, ძველთა ძველი, წარმართული ხანის მიწაყრილები და ბორცვები შეინიშნებოდა, დაბალი ბალახით რომ დაფარულიყო. შეიძლება აქ ციხეები და აკლადემიბიც ყოფილიყო.

ერთ-ერთ კორდზე შეისვენა. მოშრიალე შემოდგომის ბალახში აქ შეიძლებოდა მშრალად მჯდარიყო. გადახედა უკიდევანო შორით მდებარე ხეობას, მდინარის გაღმა გორებსა და მთებს, მთაგრეხილი მთაგრეხილს მიჰყვებოდა იქამდე, ვიდრე მთები და ცა მოლურჯო თამაშ-თამაშით ერთმანეთს არ შეეყრებოდნენ და შეერწყმოდნენ. მთელი ეს შორეული ქვეყანა და იმაზე კიდევ შორეულიც, სადამდეც თვალი გაუწვდებოდა, ფეხით ჰქონდა შემოვლილი. მთელი ეს მხარე, ახლა ასე შორეული და მოგონებად ქცეული, უნინ ახლო და ანმყო იყო მისთვის. რამდენჯერ უძინია აქ, კენკრა უჭამია, უშიშმილია და სიცოცხლეში გაყინულა, აქ, ამ ქედებზე და ველებზე უხეტიალია, მხიარულიც ყოფილა და მოწყენილიც.



გახალისებულა და დაღლილა კიდევ. სადღაც, ასევე შორს, ხილულის მიღმა მიწად იქცა კეთილი ლენეს ძვლები; სადღაც იქ ალბათ თუ ჭირმა არ წარიტანა, ისევ მოგზაურობდა მისი ამხანაგი რობერტი, სადღაც იქ იწვა მკვდარი ვიქტორი, სადღაც შორს მისი ყრმობის წლების მომაჯადოებელი მონასტერი იყო, რაინდის და მისი მშვენიერი ასულების ციხე-კოშკი იდგა. მათხოვარივით დარბოდა შეშლილი, საწყალი რებეკა, ანდა იქნებ მოკვდა კიდევ. ყველა ეს მრავალი, შორს გაბნეული ადგილი, ეს მდელოები და ტყეები, ეს ქალაქები და სოფლები, ციხეები და მონასტრები, ყველა ეს ადამიანი, ცოცხალი თუ მკვდარი, მის სულში ბუდობდა და ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, არსებობდა მის მოგონებაში, სიყვარულში, სინანულში, მონატრებაში, და თუ ხვალ მას სიკვდილი წაიყვანდა, მაშინ ყველაფერი ერთმანეთის მიყოლებით ჩაინავლებოდა და გაქრებოდა. გაქრებოდა ეს მთელი წიგნთა წიგნი, ასე სავსე ქალებითა და სიყვარულით, ბაფხულის რიჟრაჟებით და ზამთრის ღამეებით. ოჰ, საჭირო იყო უკვე, კიდევ რაღაც გაეკეთებინა, რაღაც შეექმნა და დაეტოვებინა, რაც მის არსებობას გააგრძელებდა.

სამყაროში შესვლის დროიდან ამ ცხოვრების, ამ მოგზაურობების და ამ წლების შემდეგ ნაყოფიერი დღისათვის მცირე რამ ჰქონდა შექმნილი. დარჩა სახელოსნოში მუშაობისას რამდენიმე ფიგურა, კერძოდ, იოანესი, და კიდევ სურათთა ეს წიგნი, ეს არარეალური სამყარო, მოგონებების ეს მშვენიერი და ტკივილიანი სურათების სამყარო.

იქნებ მოეხერხებინა და რამდენიმე გადაერჩინა, გარეთ გამოეტანა ამ შინაგან სამყაროდან? თუ მუდამ ასე გაგრძელდებოდა:

კვლავ ახალი ქალაქები, ახალი სოფლები, ახალი ქალები, ახალი განცდები, ერთმანეთზე დახვავებული ახალი სურათები, რომლებისგანაც არაფერი დარჩა გარდა ამ მტანჯველი და თან ნაზი, შფოთიანი, გადავსებული გულისა?

სამარცხვინო იყო, ცხოვრება ხალხს ჯკუას როგორ ურევდა, სასაცილო და თან სატირალიც, ამ ცხოვრებას ეწაფებოდნენ, გრძნობებს ჰყვებოდნენ, ბებერ დედა ევას ძუძუს ძლიერად წოვდნენ ძალიანაც ლალობდნენ, მაგრამ წარმავლობას ვერსად ემალებოდნენ; ტყის სოკოს ჰგავდნენ, დღისით ლამაზი ფერებით რომ აივსება და მეორე დილით აღარ ვარგა. ანდა სახელოსნოს თავს აფარებდნენ, ხანმოკლე წუთისოფელს ძეგლს დაუდგამდნენ – შემდეგ კი ცხოვრებაზე უარი უნდა ეთქვათ, შემდეგ სხვათა იარაღი გამხდარიყვნენ.

და ბოლოს მარადიულის სამსახურში დგებოდნენ, ამით ამოიწურებოდნენ და კარგავდნენ სიცოცხლის სილალეს, სისავსეს და სიხალისეს. ასე ცხოვრობდა ნიკლაუსიც.

აჰ, მთელ ამ ცხოვრებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ორივე მიიღწეოდა და ერთმანეთისაგან არ გაიმიჯნებოდა.

შემოქმედება, როცა ცხოვრება უსასყიდლოდ მოგეცემა და ცხოვრება, როცა შემოქმედების კეთილშობილებაზე უარს არ იტყვი. განა ეს შესაძლებელი არ იყო?

იქნებ არსებობდნენ ისეთი ადამიანები, ეს რომ შეძლეს, იქნებ მოიძიებოდნენ ისეთი მეუღლეები და ოჯახის მამები, ერთგულებამ გრძნობათა სიტკბო-სიამე რომ არ დააკარგვინა?

იქნებ იყვნენ ისეთი მკვიდრნი, რომელთაც თავისუფლებისა და საფრთხის ნაკლებობამ გული არ გამოუფიტა?

შეიძლება იყვნენ. მას ასეთი არავინ უნახავს.

ყოფიერება ორად იყო გაყოფილი, წინააღმდეგობებით არსებობდა იგი. ქალი იქნებოდა თუ კაცი, მოხეტიალე თუ მდაბიო, გონების თუ გრძნობის ადამიანი – არსად არავისთვის არ იყო მოსვენება, კაცად ყოფნა და ქალად ყოფნა, თავისუფლება და წესრიგი, ლტოლვა და სული ერთდროულად იყო ყველასათვის განსაცდელი, ერთის დაკარგვით მუდამ მეორე მიიღწეოდა და მუდამ იყვნენ ერთმანეთისთვის საჭირონი, საყვარელი და მონატრების ღირსნი. ეს ალბათ ქალებისთვის უფრო იოლი გახლდათ, ბუნებით ისე იყვნენ შექმნილნი, რომ თავისთავშივე ატარებდნენ ნაყოფს და სიყვარულის ნეტარებას ბავშვი მოჰყვებოდა. კაცებს ამ უბრალო ნაყოფიერების ნაცვლად მარადიული სწრაფვა სტანჯავდათ.



ღმერთის მიერ იყო ყველაფერი ასე შექმნილი – ბოროტად თუ მტრულად, და ალბათ დასცინოდა კიდევ თავის საკუთარ ქმნილებას მისი ნაკლოვანებით გახარებული. არა, ის ბოროტი არ იქნებოდა, რამეთუ შექმნა მან შვლები და ირმები, თევზები და ჩიტები, ტყე და ყვავილები, წელიწადის დროები.

მაგრამ ამ ქმნილებას ერთი სუსტი წერტილი ჰქონდა, რაიც მას სრულქმნილებას ვერ სძენდა და აუბედურებდა. ღმერთმა ალბათ განზრახ მიუჩინა ყოფიერებას ეს სუსტი წერტილი. ან იქნებ ეს მტრის თესლი იყო, იქნებ მემკვიდრეული ცოდვა?

მაგრამ რატომ უნდა ყოფილიყო ეს მონატრება და უკმარისობა ცოდვა? განა მათგან არ მომდინარეობდა ყველანაირი სილამაზე და სიწმინდე, რაც ადამიანმა შექმნა და ღმერთმა მადლიერების ნიშნად მსხვერპლად შეიწირა?

ამ ფიქრებში გართულმა ქალაქზე გადაიტანა მზერა, თვალი შეაჩერა ბაზარზე, მერე თევზის ბაზარზე, ხიდებზე, ეკლესიებზე, რატუმაზე, აგერ სასახლეც გამოჩნდა, ამაყი, საეპისკოპოსო სასახლე, საიდანაც გრაფი ჰაინრიხი მართავდა ქალაქს. ამ კოშკურებისა და გრძელი სახურავების გარემოცვაში ცხოვრობდა აგნესი, ცხოვრობდა მისი მშვენიერი, დედოფლური იერის სატრფო, ქედმაღალი და ამაყი, სიყვარულისათვის ბევრ რამეს რომ გასწირავდა და მთელი არსებით მიეცემოდა. მასზე ფიქრი ახარებდა გოლდმუნდს. სიამოვნებითა და მადლიერებით იხსენებდა გუშინდელ ღამეს.

თურმე ამ ღამის ბედნიერების განსაცდელად, ამ საუცხოო ქალისთვის ბედნიერების მისანიჭებლად მთელი ცხოვრება ყოფილა საჭირო, მთელი მისი გამოცდილება ქალებთან, მთელი მოგზაურობანი და გაჭირვებანი, თოვლიან ღამეებში ხეტიალი, მეგობრობა და განდობა ცხოველებთან, ყვავილებთან, ხეებთან, წყალთან, თევზებთან, პეპლებთან. ამისათვის ყოფილა აუცილებელი ვნებისა და საშიშროების დროს ცინცხალი გონება, უსამშობლობა, მთელი ამ წლების მანძილზე შინაგანად დაგროვილი სურათების სამყარო.

სანამ მისი სიცოცხლე ბაღს ჰგავდა და აგნესასდარი ჯადოსნური ყვავილები ჰყვავოდნენ, მას დასაჩივლი არაფერი ჰქონდა.

მთელი დღე შემოდგომისეულ მაღლობებზე გაატარა, ხან დაეხეტებოდა, ხან ისვენებდა, ჯამდა პურს, აგნესსთან გატარებულ ღამეზე ფიქრობდა. რიჟრაჟმა რომ მოაწია, ისევ მიუახლოვდა ქალაქში სასახლეს. ციოდა, სახლების ფანტრები თვალებს ჰგავდა, თვალებს, საიდანაც წყნარი და წითელი შუქი იღვრებოდა. შემოხვდნენ სიმღერ-სიმღერით მიმავალი პატარა ბიჭები, ჯოხებზე გამოფუღურობებული თალგამები წამოეცვათ, რომლებზედაც სახეები ამოეჭრათ და სანთლები ჩაერჭოთ. პატარა მასკარადი ზამთრის სიმბოლო იყო. ღიმილით გააყოლა თვალი გოლდმუნდმა ბავშვებს. სასახლის წინ დიდხანს მოუწია ხეტიალმა. ისევ აქ იყვნენ სამღვდელოების წარმოგზავნილნი, აქა-იქ ფანტრებში მოჩანდნენ სასულიერო პირები. ბოლოს

შიგნით შეღწევა და მოახლე ბერტას პოვნა მოახერხა. ისევ ტანსაცმლის ოთახში დამალეს, ვიდრე აგნესი გამოჩნდებოდა და თავის ოთახში შეუძღვებოდა.

ალერსიანი იყო, მაგრამ უსიხარულო; მოწყენილი ჩანდა, დარდიანი, შეშინებული. მის გასამხნეველად ბევრს ეცადა კაცი. კოცნითა და სასიყვარულო სიტყვებით ცოტა დააიმედა.

– შენ ასე შეგიძლია ჩემი სიყვარული, – მადლიერებით უთხრა ქალმა, – რა საამო ხმა ამოდის შენი ყელიდან, ჩემო საყვარელო, თავს როგორ მევლები, ღულუნებ და მეთიტინები.

მიყვარხარ, გოლდმუნდ, სჯობს აქედან წავიდეთ! აქ აღარ მომწონს, თანაც აქ მალე დასრულდება ყველაფერი. გრაფის სამსახურის დრო ამოიწურა, სულელი ეპისკოპოსი ამოდის.

დღეს გრაფი გუნებაზე არ არის, ეკლესიის მსახურებმა გააბრაზეს.

აჰ, ნეტა არ გნახოს! ცოცხალს არ გაგიშვებს. მეშინია.

გოლდმუნდის მოგონებაში ამოტივტივდა ნახევრად მივიწყებული ხმები – ასეთი სიმღერა ხომ ადრე უკვე მოესმინა ლიდიასაგან, ასეთივე სიყვარულითა



და შიშით, ასეთივე ნაზი სევდით ნამღერი. ლიდია გამოვიდა მაშინ ღამით მის ოთახში, სიყვარულითა და შიშით, დარდითა და მოსალოდნელი საფრთხით შეძრული, სიამოვნებით ისმენდა გოლდმუნდი ამ ნარნარ, შიშნარევ სიმღერას. რა იქნებოდა სიყვარული მალვის გარეშე! რა იქნებოდა სიყვარული საფრთხის გარეშე!

სინაზით მიიკრა აგნესი, ეფერებოდა, მისი ხელი აიღო, წყნარად ჩამღეროდა ყურში სიტყვებს, შუბლს უკოცნიდა.

აფიქრებდა და აკრთობდა ის, რომ მისი გულისათვის ასე შეშინებული და შეფიქრიანებული იყო ქალი. თუმცა მადლიერებით იღებდა აგნესი ალერსს, თითქმის მშვიდად, მთელი სითბოთი ეხუტებოდა, მაგრამ სილალე აკლდა.

და უცებ ქალი შეკრთა, კარის დაკეტვის ხმა მოესმა, ოთახს სწრაფი ნაბიჯებით უახლოვდებოდა ვიღაც.

– ღვთის გულისათვის, ეს გრაფია, – დაიყვირა სასოწარკვეთილმა, – ჩქარა გადი ოთახიდან, არ გამეცე!

ტანსაცმლის ოთახში შეიპარა კაცი, მარტო იდგა, მერე ნელა დაიძრა სიბნელეში. შორიდან ესმოდა გრაფისა და აგნესის ხმამალალი ლაპარაკი.

ხელის ცეცებით გააღწია გასასვლელ კარამდე. უხმაუროდ აბიჯებდა, აი დერეფნის კართან მივიდა, და ფრთხილად შეეცადა გაღებას. მაგრამ როცა კარი გარედან ჩაკეტილი ნახა, მაშინ კი შეშინდა, გულმა გაშმაგებით, მტკივნეულად დაუწყო ცემა. შეიძლება ამას უბედურება მოჰყოლოდა, თუკი ვიღაცამ, როცა ის აქ შემოვიდა, კარი ჩაკეტა. აქამდე ამაზე არ უფიქრია. მახეში იყო გაბმული, ილუპებოდა. ალბათ ვიღაცამ დაინახა, აქ რომ შემოიპარა.

შეიძლება თავი წაეგო. აკანკალებული იდგა წყვდიადში და მაშინვე აგნესის გამოსამშვიდობებელი სიტყვები გაახსენდა:

«არ გამცე!» არა, ის არ გასცემდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, მაგრამ გადაწყვეტილებამ ძალა შემატა, კბილი კბილს დააჭირა.

ეს ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა. შემდგომ იქითა კარი გაიღო და აგნესის ოთახიდან გრაფი გამოვიდა, მარცხენა ხელში შანდალი ეჭირა, მარჯვენაში – შიშველი ხმალი. გოლდმუნდმა სწრაფად სტაცა ხელი რამდენიმე ირგვლივ ჩამოკიდებულ კაბასა და ქურთუკს და ილლიის ქვეშ ამოიჩარა. იქნებ ქურდი ვეგონოო და თავი დაეხსნა ამით.

იმწამსვე შეამჩნია გრაფმა. დინჯად წამოვიდა მისკენ.

– მანდ ვინ არის? რას აკეთებ? მიპასუხე, თორემ ახლავე გაგიყრი ხმალს.

- შემინდეთ, - დაიჩურჩულა გოლდმუნდმა, - მე ერთი ღარიბი კაცი ვარ, თქვენ კი ასე მდიდარი. ყველაფერს უკან დაგიბრუნებთ, ბარონო, რაც მოვიპარე, ნახეთ!

და ტანსაცმელი მიწაზე დააწყო.

- მაშ, მოიპარე? ეს ჭკვიანურად ვერ მოიფიქრე, არა მგონია, ძველი ტანსაცმლისათვის სიცოცხლე საფრთხეში ჩაგეგდო. ქალაქელი ხარ?

- არა, ბატონო, ერთი საწყალი უსამშობლო კაცი გახლავართ.

მოწყალება გამოიჩინეთ...

- ხმა, კრინტი! მინდა ვიცოდე, სანამდე გეყო თავხედობა, რომ მოწყალე ქალბატონის შეწუხება მოინდომე. და თუ არაფრის გულისათვის მოხვედი, არც ღირს გამოძიება. ქურდობაც კმარა. - დააბრახუნა ჩაკეტილ კარზე:

- მანდ ხართ? გააღეთ! - კარი გარედან გაიღო, ხმლებგაშიშვლებული სამი მსახური შემოვიდა. - კარგად შეკარით, - შესძახა გრაფმა მედიდურად და თან დაცინვით. - მაწანწალა ყოფილა შემოპარული, ჩასვით და ხვალ ადრიანად სახრჩობელაზე ჩამოკიდეთ ეს არამზადა.

გოლდმუნდს ხელები დაუბორკეს. არც გაძალიანებულა.



ასე წაიყვანეს გრძელი გასასვლელით, შემდეგ კიბით შიგნითა ეზოში ჩავიდნენ. მსახურმა ბაღის შანდალი გამოიტანა და გასაღებისთვის უკან გაიქცა. ასე იდგნენ ისინი, სამი შეიარაღებული და ერთი გათოკილი კაცი, და კართან იცდიდნენ.

ერთმა დაჭერილს შუქი სახეზე მიანათა. ამ დროს ორმა მღვდელთაგანმა ჩაიარა, სასახლის სამლოცველოდან მოდიოდნენ.

ისინი შეჩერდნენ, ყურადღებით შეათვალიერეს ვიღაცის თუ რაღაცის მომლოდინე სამი მსახური და გათოკილი კაცი.

გოლდმუნდი ვერც მღვდლებს ხედავდა და ვერც თავის დარაჯებს, გარდა ნელა მოციმციმე შუქისა, რომელიც მის სახესთან ახლოს მიეტანათ და თვალებს უბრმავებდა. შუქის მიღმა ნაცრისფერ წყვილადში კიდევ რაღაც ელანდებოდა, რაღაც უფორმო, დიდი, გაურკვეველი: უფსკრული, აღსასრული, სიკვდილი. გაოგნებული იდგა, ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა. ერთი მღვდელი დაჟინებით ეჩურჩულებოდა მსახურს. როცა შეიტყო, კაცს სიკვდილი არ ასცდებოდა ქურდობის გამო, ჰკითხა, მოძღვარი თუ მოუყვანესო.

არა, რას ბრძანებთ, ახლა ხანს წავასწარით ქურდობაზეო, უთხრეს.

- მაშინ მე მოვალ, - თქვა მღვდელმა, - დილით, ადრიან წირვის წინ მასთან და წმინდა ნაწილებს მოვიტან და აღსარებას ჩავიბარებ. აღმითქვით, რომ მანამდე არ წაიყვანო.

დღესვე დაველაპარაკები ბატონ გრაფს. ყოველ ქრისტიანს, თუნდაც ქურდს, ნება აქვს მოძღვარის მოხმობისა და წმინდა ზიარების მიღებისა.

წინააღმდეგობის გაწევა ვერც გაბედეს. იცნეს სასულიერო პირი, ეკლესიის წარმომადგენელთა შორის რომ იყო და რამდენჯერმე შეამჩნიეს კიდევ გრაფის სუფრაზე. ან რატომ არ უნდა მოესმინა საწყალი მაწანწალას აღსარება?

სასულიერო პირნი წავიდნენ. გოლდმუნდი გაოგნებული იდგა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოიტანა მსახურმა გასაღები და კარი გააღო. პატიმარი თალიან სარდაფში შეიყვანეს, ბორძიკითა და ბარბაცით ავიდა იგი რამდენიმე საფეხურზე.

ორი-სამი უზურგო სამფეხა სკამი იდგა მაგიდის ირგვლივ.

ეს ღვინის სარდაფის წინა ოთახს წარმოადგენდა. სკამი მაგიდასთან მიუწიეს და, დაჯექიო, უთხრეს.

- დილით ადრე მღვდელი მოვა და აღსარებას გათქმევინებს, - უთხრა ერთ-ერთმა მსახურმა. მერე წავიდნენ და მძიმე კარი საგულდაგულოდ ჩაკეტეს.

- სანთელი დამიტოვე, მეგობარო, - სთხოვა წასვლის წინ.

- არა, ძმაო, რამე არ მოახდინო. ასეც არაფერი გიჭირს.

ჭკვიანად უნდა ყოფილიყავი. რა გაეწყობა.

- რამდენ ხანს ენთება მაინც სინათლე?

ერთ საათში ხომ ისედაც ჩაქრება. ღამე მშვიდობის.

და აი, გოლდმუნდი მარტო აღმოჩნდა წყვდიადში, იჯდა სკამზე, ხელები მაგიდაზე ედო. უხერხული იყო ასე ჯდომა, ნაჭდევები სტკიოდა ხელებზე. ტკივილის მიუხედავად მაინც არ ასვენებდა ფიქრები. პირველად იჯდა ასე და, როგორც საჯალათე კუნძზე, მაგიდაზე ედო თავი. ხორციით და ფიქრით იმის გაკეთება უნდოდა, რაც გულზე შემოსწოლოდა.

ჩაძირულიყო გარდაუვალში, მინებებოდა სიკვდილის გარდუვალობას.

თითქოს საუკუნე იჯდა ასე, ტკივილებისაგან მოკაკული, და ცდილობდა ეს



თავისი მდგომარეობა განეცადა, შეეგრძნო, დაენახა და მისით აღვსილიყო. ახლა სადამო იყო, მალე დაღამდებოდა, ამ ღამის დასასრული კი მას ბოლოს მოუღებდა.

ცდილობდა გაეაზრებინა, რომ დილით აღარ იქნებოდა ცოცხალი. ჩამოახრჩობენ. ფრინველები შეესევინან და დაკორტნიან. ის იმად გადაიქცევა რადაც მხატვარი ნიკლაუსი, რადაც ლენე დამწვარ ქოხში და რადაც ყველანი ისინი, სახლებში თუ ფორნებზე რომ ნახა წყება-წყებად დალაგებულნი. ადვილი არ იყო ამის შეგნება და ამით განმსჭვალვა.

სწორედ რომ შეუძლებელი იყო ამის წარმოდგენა.

უამრავი იყო ის ყველაფერი, რასაც ჯერ არ დაშორებოდა, რასაც ჯერ არ გამომშვიდობებოდა. ამ ღამის საათები იმისთვის მიეცა, რომ ეს ყოველივე მოეხილა.

უნდა გამომშვიდობებოდა მშვენიერ აგნესს, ველარასოდეს იხილავდა მის მოქნილ ტანს, მის ღია ბზინვარე თმას, მის ცივ ცისფერ თვალებს, ველარასოდეს იხილავდა მედიდურებადაკარგულ ამ თვალების მინაბვას, უტკბეს ოქროსფერ ბუსუსებს მის სურნელოვან კანზე. დიდხანს იცოცხლეთ, ცისფერო თვალებო, იცოცხლეთ, სველო, ვნებიანო ბაგენო!

როგორ იმედოვნებდა, ხშირად ვეამბორებიო ამ ბაგეთ. ჰოი, ჯერ კიდევ დღეს გორაზე, გვიანი შემოდგომის მზეზე რამდენს ფიქრობდა მასზე, მას ეკუთვნოდა, ენატრებოდა! ახლა კი უნდა გამომშვიდობებოდა გორაკებსაც, მზესაც, ცისფერი და თეთრი ღრუბლებით დაფარულ ცასაც, უნდა გამომშვიდობებოდა ხეებსა და ტყეებს, მოგზაურობას, დღისა და წელიწადის დროებს. ალბათ ბის ახლა მარია, საწყალი კოჭლი მარია, თავისი კეთილი, საყვარელი თვალებით იმზირება, ბის და უცდის. მერე ჩაეძინება თავის სამზარეულოში და ისევ გაელვძიება, გოლდმუნდი კი აღარ მივა სახლში.

ქაღალდი და ფანქარი აგონდებოდა, თავისი ოცნებანიც სულში არსებული ყოველი ფიგურის შექმნაზე. იქით, იქით ეწეოდა გული! ნარცისის, საყვარელი მოციქული იოანეს ნახვის იმედს ვერ ელუოდა. იმედი მაინც უნდა ჰქონოდა.

უნდა გამომშვიდობებოდა საკუთარ ხელებს, საკუთარ თვალებს, შიმშილსა და წყურვილს, სასმელ-საჭმელს, სიყვარულს, ბარბითზე დაკვრას, ძილ-ღვიძილს, ყველაფერს. დილით იგი გაირბენდა ჰაერში, მაგრამ გოლდმუნდი მას ვეღარ დაინახავდა, გოგონა იმღერებდა ფანჯარაში და ის ვეღარ მოისმენდა, მდინარე იდენდა და მუქი თევზები იცურავდნენ მდუმარედ, ქარი ამოვარდებოდა და მიწიდან მოხვეტდა ყვითელ ფოთლებს, მზე გამოანათებდა და ვარსკვლავებით მოიჭედებოდა ცა, ყმანვილები გაეშურებოდნენ საცეკვაო მოედნისაკენ, პირველი თოვლი მოვიდოდა შორეულ მთებზე – და ყველაფერი გაგრძელდებოდა, ყველა ხეს ექნებოდა

ჩრდილი, ყველა ადამიანს ექნებოდა ცოცხალი თვალები, მხიარული ან მოწყვნილი მზერა, ძაღლები იყეფებოდნენ, ძროხები იზმუვლებდნენ სოფლის ბოსლებში, ეს ყველაფერი კი უმისოდ იქნებოდა, მისი კუთვნილება აღარაფერი იქნებოდა, იგი ყველაფერს იქნებოდა მოშორებული და მოწყვეტილი.

თითქოს შეისრუტა მინდორში დილის რიჟრაჟი, – იტკბო მაჭარი და ნედლი კაკალი, მოფრინდა მოგონება, მის შეძრულ გულში მთელმა ფერადოვანმა სამყაროს ანარეკლმა გაიკაშკაშა, კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მთელმა ლამაზმა, მოუსვენარმა ცხოვრებამ, გულისწყვეტითა და დაშორებით, ფიქრითა და აზრით. იძალა ტკივილმა და ცრემლი ცრემლზე ამოედვარა თვალებიდან. ოხვრით მიეცა მის ტალღას, ღვარ-ღვარად მოედინებოდა ცრემლი, უსასრულოდ ეჩვენებოდა ტკივილი განადგურებულს.

ჰოი, ხეობებო და ტყიანო მთებო, ნაკადულებო მწვანე მურყნარში, ჰოი, გოგონებო, მთვარიანო საღამოებო ხიდეებზე, როგორ დაგტოვოთ! მშვენიერო შექმფინარე სურათებიანო სამყაროვ! გოლდმუნდი გადანოლილიყო მაგიდაზე და უნუგეშოდ, ბავშვივით ტიროდა.

გულის სიღრმიდან მძიმედ აღმოხდა გმინვა: «ო, დედავ, ო, დედავ!» და რაწამს ამ ჯადოსნურ სახელს წარმოთქვამდა, მოგონების სიღრმიდან პასუხად მისი სახე ამოტივტივდებოდა. ეს არ იყო მისი ფიქრებისა და მხატვრის



ოცნების დედის სახე, ეს იყო საკუთარი დედის სახე, მშვენიერი და ცოცხალი, რომელიც მონასტერში ყოფნის შემდეგ აღარასოდეს ეხილა.

მოთქმით შეჰყვებოდა მას, სიკვდილის გარდაუვალობის გაუსაძლისი გაანდო. მას გადასცა ტყე, მზე, თვალეები, ხელები, მას დაუბრუნა მთელი თავისი არსება და სიცოცხლე, დედის ხელებს გადააბარა ყოველივე.

შუა ტირილში ჩაეძინა. დაღლილობამ და ძილმა დედობრივი სითბოთი უნანავა. ერთი თუ ორი საათი ეძინა, ტკივილებმა შეაკრთო იგი და გამოაღვიძა. გაუსაძლისად ეწვოდა შებორკილი ხელები. ზურგში და კეფაში დაუარა საშინელმა ტკივილმა, ძლივს წამოიმართა, გონს მოვიდა და ისევ გაახსენდა თავისი მდგომარეობა. შავი წყვდიადი იწვა მის ირგვლივ, არ იცოდა, რამდენ ხანს ეძინა, არ იცოდა, რამდენი საათის სიცოცხლე დარჩენოდა. შეიძლება სულ მალე მოსულიყვნენ და მოსაკლავად გაეყვანათ. მღვდლის დაპირება გაახსენდა.

არ სწამდა, რომ ეს ბიარება რამე შვებას მოუტანდა. არ ეჭერა, რომ უსასტიკესი სასჯელიდან დაიხსნიდა თავს და ცოდვების მიტევებით ცაში ავიდოდა. არ უწყოდა, არსებობდა თუ არა ცის საუფლო, მამადმერთი, სამსჯავრო და მარადისობა. ამ საკითხების რწმენა დიდი ხანია დაკარგა.

მაგრამ მარადისობას უბოძებდნენ თუ არ უბოძებდნენ, იგი ამას არ

მიელტვოდა, მას სხვა არაფერი უნდოდა გარდა ამ უნდო, წარმავალი ცხოვრებისა, ამ სუნთქვისა, ამ სახლში – თავის ტყავში – ყოფნისა. სიცოცხლის გარდა მას არაფერი აღარდებდა. უცებ წამოდგა. სიბნელეში მილასლასდა კედელთან, მთელი ტანით მიეყრდნო და ფიქრი დაიწყო.

შეიძლება განეთავისუფლებინათ! იქნებ ეხსნა იმ მღვდელს, იქნებ თავის უცოდველობაში დაერწმუნებინა იგი და ერთი სიტყვით შეეწია მისთვის, ან ხელი შეეწყო სასჯელის გადადებასა თუ გაქცევაში? ისევ შორს წავიდა ფიქრში, თუ ეს არ გამოვიდოდა, ამის იმედზე არ დარჩებოდა, თამაში არ უნდა წაეგო. ისე რომ, ჯერ უნდა ეცადა მღვდლის თავისკენ გადმობირება, მთელი გარე ძალის მოკრებით მისი მოხიბლვა, მეგობრულად მიღება, მისი დარწმუნება და მოტყუება. ამ თამაშში მღვდელი საუკეთესო კარტს წარმოადგენდა. ყველა სხვა დანარჩენი შესაძლებლობა ოცნება იყო. არც შემთხვევებსა და ბედის გაღიმებას გამორიცხავდა. ხომ შეიძლება ჯალათს ჭვალი გასდგომოდა, ან სახრჩობელა გატეხილიყო, ან ადრე წარმოუდგენელი გაქცევის საშუალება გაჩენილიყო?

გოლდმუნდი ყველა შემთხვევაში სიკვდილს იცდენდა თავიდან, რასაც ვერა და ვერ შეგუებოდა. ეს არ მოხდებოდა.

თავს დაიცავდა, ძალასაც მიმართავდა, დარაჯს ფეხს დაუდებდა, ჯალათს ძირს დაახეთქებდა, უკანასკნელ წუთამდე, სისხლის ბოლო წვეთამდე

გაუმკლავდებოდა სიკვდილს, – ჰოი, მღვდელი რომ დაერწმუნებინა, მისთვის ხელები გაეხსნა!

შესაძლებლობა უსასრულოდ ბევრისა ჰქონდა.

თავს ძალა დაატანა, ტკივილისათვის ყურადღება არ მიექცია, და თოკს კბილებით ღრღნა დაუწყო. გადაღლილსა და თავგზააარეულს ეს გაუძნელდა და დიდხანსაც მოუნდა.

კბილებმა ცოტა არ იყოს უმტყუნა. აქლოშინებული იდგა თავის საპყრობილეში ამ ღამეში, დასიებული მხრები და ხელები მეტისმეტად სტკიოდა. როცა ისევ მოითქვა სული, ხელის ცეცებით და ნაბიჯ-ნაბიჯ მილასლასდა სარდაფის სველ კედელთან გამოწეული ქვის კიდის მოსასინჯად. საფეხურები ჩაუცვივდა და ზედ კიდევაც წაიბორძიკა ამ ჯურღმულში.

მერე ისევ მოძებნა, დაიხარა და შეეცადა ქვის საფეხურის კიდებზე გაეხეხა თოკი. ესეც გაუჭირდა. თოკის ნაცვლად ქვას თითები ხვდებოდა, ცეცხლივით წვავდა ტკივილი, იგრძნო, სისხლი სდიოდა, მაგრამ საქმე არ მიუტოვებია.

ჭიშკარსა და ზღურბლს შორის რუხი რიჟრაჟის საცოდავმა წვრილმა ზოლმა რომ შემოაღწია, მაშინდა მოათავა.



გადახეხა თოკი, გადაჭრა, ხელები გაითავისუფლა! თითებს ველარ ამოძრავებდა, ვერც დასიებულ ხელებს, დიდი ჯაფა დაადგა. ხელები უნდა გაეფარჯიშებინა, რათა სისხლს ემოძრავა.

მას ხომ გეგმა ჰქონდა უკვე მოფიქრებული და მისი აზრით კარგი გეგმაც.

თუ მღვდელს დახმარებაზე ვერ დაითანხმებდა, მაშინ უნდა მოეკლა იგი. თუ სულ მცირე ხნითაც მასთან დასტოვებდნენ, სკამით მოახერხებდა ამას. მოხრჩობით ვერ მოახრჩობდა, საამისოდ მკლავებში ძალა არ ეყოფოდა. ჰოდა, როცა მოკლავდა, სასწრაფოდ მღვდლის კაბას ჩაიცვამდა და ასე დაიძვრენდა თავს! ვიდრე სხვები მკვდარს ნახავდნენ, ის სასახლიდან გაიპარებოდა და მერე ირბენდა და ირბენდა!

მარია შეუშვებდა და დამალავდა. ეს უნდა ეცადა, ეს შესაძლებელი იყო.

თავის სიცოცხლეში გოლდმუნდს ჯერ არასოდეს მონატრებია ასე ძალიან დილის რიჟრაჟი, თუმცა თან ეშინოდა მისი. დაძაბულობისა და გადანწყვეტილების შიშით აცახცახებული, მონადირესავით უთვალთვალავდა თვალთ ჯიშკრის ქვევიდან მკრთალი ზოლის თანდათანობით მატებას. მერე მაგიდასთან მიბრუნდა, ხელები მუხლებს შორის მოიქცია და ისეთნაირად ლამობდა სკამზე ჩაცუცქებას, უბორკილობა მაშინვე არ შეტყობოდა. რაც ხელები გაითავისუფლა, სიკვდილზე აღარ ფიქრობდა, გადანწყვეტილი

ჰქონდა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, მთელი ქვეყნიერებაც რომ დაქცეულიყო, ეცოცხლა. ცხვირის ნესტოები უთრთოდა თავისუფლებისა და სიცოცხლის წყურვილით, ვინ იცის, იქნებ გარედან მოსულიყო ვინმე მის სამშველად? აგნესი ქალი იყო და ბევრი არაფერი შეეძლო, შეიძლება არც მოენდომებინა, თუმცა კიდევ იცოდა მისი ფასი. ქალს ხომ უყვარდა იგი, იქნებ რამე ეღონა. იქნებ მოახლე ბერტას მოეხერხებინა მისი გაპარება. ის მეტყინიბეც ხომ არსებობდა, რომელზედაც, ქალის თქმით, დანდობა შეიძლებოდა? და თუ არავინ გამოჩნდებოდა მისთვის ნიშნის მისაცემად, მაშინ იგი გეგმას სისრულეში მოიყვანდა. ბედმა თუ არ უმტყუნა, კარისკაცებს სკამით დახოცავდა, თუნდაც ორი-სამი თუ მეტი მისულიყო. ერთი უპირატესობა კი ჰქონდა: ბნელ ოთახს შესჩვეოდნენ მისი თვალები, სიბნელეში წინასწარ გრძნობდა და შეიცნობდა ყველა ფორმასა და ზომას, სხვები კი აქ პირველად ვერაფერს შეამჩნევდნენ.

სიცხიანმა მაგიდასთან ჩაიცუცქა, ზუსტად უნდა მოეფიქრებინა რა ეთქვა მღვდლისთვის, რომ დამხმარედ მოვლინებოდა, რადგანაც აქედან უნდა დაეწყო, თან ხარბად ათვალიერებდა ღრიჭოდან მომავალ სინათლის თანდათან ზრდას.

ის წუთი, ამ რამდენიმე საათის წინ ასე რომ აშინებდა, ახლა გულით მოენატრა, ახლა ლოდინი ერჩივნა. საშინელ დაძაბულობას ვეღარ უძლებდა; აღარ სურდა ასეთი ძალისხმევა, ყურადღება, გადანწყვეტილება და ფხიზლად

ყოფნა. ნეტავ მალე მოსულიყო დარაჯი მღვდელითურთ, ვიდრე ამ დაძაბულ მზადყოფნას, გადარჩენის გადანწყვეტილებას სიმძაფრე არ მოკლებოდა.

როგორც იქნა, სამყარომ გაიდვიდა გარეთ, როგორც იქნა, მოუახლოვდა მტერი. გაისმა სასახლის ქვაფენილზე ნაბიჯების ხმა. გასაღები ბუდეში ჩადეს და გადაატრიალეს, ყოველი ხმაური ხანგრძლივი სამარისებრი სიჩუმის შემდეგ ქუხილივით ისმოდა.

აი, მძიმე ჭიშკარი ფრთხილად, ხრჭიალით გაიღო მცირედად.

შემოვიდა სასულიერო პირი მცველების გარეშე. ორსანთლიანი შანდალი ეჭირა ხელში. ახლა ისევე შეიცვალა ყველაფერი, შეიცვალა მთელი მისი ჩანაფიქრი.

ჰოი, საოცრებაჲ! შემოსულ მღვდელს, რომელსაც დახვეწილი მიმოხვრა ჰქონდა და რომლის უკან ვიღაცამ კარი ისევ ჩაკეტა, მარიაბრონის მონასტრის ორდენის სამოსი ეცვა, გოლდმუნდისათვის კარგად ნაცნობი და მშობლიური სამოსი, აბატი დანიელი, მამა ანსელში და მამა მარტინი რომ იცვამდნენ.

შემოსულის სახემ უცნაურად შეუძრა გული და დიდხანს ვერ შეძლო მისი ყურება. მონასტრის სამოსის გამოჩენა კარგი ნიშანი იყო, მაგრამ იქნებ ეს არ



იყო გამოსავალი და მაინც უწევდა ვიღაცის მოკვლა? კბილები ერთმანეთს დააჭირა. ძალიან გაუჭირდებოდა ამ ორდენის ძმის მოკვლა.

# თავი მეჩვიდმეტე

– დიდება იესო ქრისტეს, – წარმოთქვა მღვდელმა და მაგიდაზე დადგა შანდალი. დაბლა დაშტერებულმა გოლდმუნდმაც ბუტბუტით გაიმეორა.

სასულიერო პირი მდუმარედ და მომლოდინედ იდგა, გოლდმუნდი მოუსვენრობამ შეიპყრო და თავის წინ მდგომი კაცისაკენ დაკვირვებით მიმართა მზერა.

ამ კაცს, ასე ხადავდა გონებაარეული, არა მარტო მარიაბრონის მამის სამოსელი ეცვა, არამედ იგი აბატის ხარისხის ნიშანსაც ატარებდა. და აი, აბატს სახეში შეაცქერდა. მას გამხდარი, მტკიცედ და ნათლად გამოკვეთილი თხელტუჩებიანი სახე ჰქონდა. ეს ის სახე იყო, რომელსაც გოლდმუნდი კარგად იცნობდა. რა მონუსხულივით უყურებდა გოლდმუნდი ამ სახეს, მხოლოდ სულიერებასა და ნებას რომ გამოხატავდა.

უნდოდ დასწვდა შანდალს და უცხოს სახეში მიანათა, რომ შეეცნო იგი. მიაშტერდა და შანდალი ხელში აუკანკალდა.

– ნარცის! – წაიჩურჩულა. ყველაფერი აერია თავში.

– დიახ, გოლდმუნდ, მაშინ ნარცისი ვიყავი, მაგრამ დიდი ხანია სახელი

შევიცვალე. შემოსვის შემდეგ იოანე მქვია.

გოლდმუნდს გული შეეძრა. მთელმა სამყარომ სახე იცვალა.

მყისვე ზეადამიანურმა დაძაბულობამ უეცრად შეარყია და ლამის მოგუდა, აკანკალდა, თავბრუდახვეულს თავი თითქოს ბუშტივით დაუჩუტა, მუცლის გვრემა დაეწყო, თვალები აეწვა, ქვითინი მოაწვა. ტირილი, ცრემლები, გულის წასვლა – აქეთკენ უბიძგებდა ყველაფერი ამ წუთას. ყრმობის გახსენების ჯადოსნური სიღრმიდან ნარცისის სახით გაფრთხილება ამოტივტივდა: ერთხელ, სიჭაბუკეში, ამ ლამაზი, მკაცრი სახის წინ, ამ მუქი, ყოვლისმცოდნე თვალების წინ ხომ იტირა და წავიდა. ამის გაკეთების ნება კი არ ჰქონდა.

და აი, მისი ცხოვრების ამ საოცარზე საოცარ წუთს. ნარცისი ისევ ჩრდილივით გამოეცხადა, ალბათ მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად – და აი, მას ისევ ან უნდა ეტირა ან გული წასვლოდა? არა, არა, არა. იგი შეჩერდა. თავს მოერია, მუცლის ტკივილმა გადაუარა, თავბრუსხვევას შეებრძოლა.

სისუსტის გამოჩენის უფლება არ ჰქონდა.

არაბუნებრივად ძლიერი ხმით მოუვიდა თქმა:

– ნება მომეცი, კვლავ ნარცისი დაგიძახო.



- ასე დამიძახე, ძვირფასო. არ გინდა ხელი გამომიწოდო?

ისევ ძალა დაატანა გოლდმუნდმა თავს. ბიჭივით გაჭიქებულმა და აღმატებულმა, ირონიულად, - ზუსტად მოწაფეობაში რომ სჩვეოდა ხოლმე - გასცა პასუხი.

- მაპატიე, ნარცის, - თქვა, - ვხედავ აბატი გამხდარხარ, მე კი ისევ დავვხეტები. მაგრამ ჩემთვის სასურველი ეს საუბარი, სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გასტანს, რადგანაც, ჩამოხრჩობა მომისატყეს და ერთ საათში ან შეიძლება უფრო ადრეც ჩამომკიდონ. ამას იმიტომ გეუბნები, რომ საქმის არსი აგიხსნა.

ნარცისმა წარბი არ შეიხარა. მცის იგრძნო მეგობარი პატარა ბიჭივით ბაქიბუქობდა და ესიამოვნა. ამ ბაქიბუქის მიღმა მიმალულ სიამაყეს კი, რის გამოც გოლდმუნდმა არ მისცა თავს ნება ტირილით მკერდზე მიჰხუტებოდა, მიუხვდა და შინაგანად გამხნევდა. მასაც სხვაგვარად წარმოედგინა შეხვედრა, თუმცა ეს პატარა კომედია არ გაჰკვირვებია.

სხვა ვერაფრით შესძლებდა გოლდმუნდი ამაზე სწრაფად მეგობრის გულის მოგებას.

- აბა, - ისევე დინჯად წამოიწყო ნარცისმა, - სხვათა შორის უნდა დაგამშვიდო. შეგიწყალეს, დავალებული მაქვს - ეს გაგანდო და თან

ნაგიყვანო. ქალაქში დარჩენის უფლება არა გაქვს, მაშასადამე, ერთმანეთთან სასაუბროდ დრო საკმარისი გვექნება. მაგრამ რა ხდება, არ გინდა ხელის ჩამორთმევა?

ერთმანეთს ხელი გაუწოდეს. დიდხანს იდგნენ ასე, ერთმანეთის სულის მჭვრეტელნი, თუმცაღა კიდევ კარგა ხანს გაჰყვა მათ სიტყვებს სიფიცხე და კომიკურობა.

– კარგი, ნარცის, მაშასადამე, ვტოვებ ამ მცირედ პატივსაცემ თავშესაფარს და შენ მოგყვები. მარიაბრონში ბრუნდები? ჰო? ძალიან კარგი. რით ბრუნდები? ცხენით?

შესანიშნავია. მაგრამ ჩემთვის რომ ცხენი საშოვნელია.

– გვეყოლება, მეგობარო, ორ საათში უკვე გავემგზავრებით.

ოჰ, რა დღეშია შენი ხელები? გადატყავებული, დასიებული და დასისხლიანებული!

ო, გოლდმუნდ, ღვთის გულისათვის, რა დაგემართა?

– არაფერია, ნარცის, ეს მე თვითონ დავმართე ჩემს ხელებს.

შებორკილი ვიყავი და თავი უნდა გამენთავისუფლებინა.

გეტყვი, არც ისე იოლი იყო. სხვათა შორის, ეს ვაჟკაცობაა შენი მხრივ, რომ თანმხლების გარეშე აქ შემოხვედი.

- რა ვაჟკაცობაა? ეს ხომ საშიში არ იყო.

- ოჰ, მხოლოდ პატარა საფრთხე გელოდა ჩემგან, შეიძლება დამერტყა შენთვის. როცა მითხრეს, მღვდელი მოვაო, ვიფიქრე, მოვკლავ და მისი სამოსით გავიპარები-მეთქი.

კარგი გეგმა იყო.

- მაშ, შენ სიკვდილი არ გინდოდა და პირიქით, თავდაცვას აპირებდი?

- რა თქმა უნდა. ვაპირებდი. შენ თუ იქნებოდი ის მღვდელი, ამას ხომ მართლაც ვერ წარმოვიდგენდი.

- კაცმა რომ თქვას, - თქვა ნარცისმა ყოყმანით, - მაინც საშინელი გეგმაა. ნამდვილად შეგეძლო აღსარების მისაღებად შენთან მოსული მღვდელი მოგეკლა?



- ბუნებრივია, შენ არა, ნარცის, და ალბათ არც ერთი თქვენი მამათაგანი, რადგანაც ისინი მარიაბრონის მონასტრიდან არიან. მაგრამ ნებისმიერი სხვა მღვდელი, კი. დამიჯერე.

- უცებ ხმა დაუნადვლიანდა და ჩაეხლიჩა. - ეს პირველი ადამიანი არ იქნებოდა, ჩემგან მოკლული.

ორივე დადუმდა. ორივე ტკივილს განიცდიდა.

- იცი, ამ საკითხზე, - თქვა ნარცისმა ცივად, - მოგვიანებით ვილაპარაკებთ. შეგიძლია ერთხელ აღსარება მითხრა, თუ მოისურვებ. მეც მაქვს შენთვის საამბოები და ეს მახარებს, წავიდეთ?

- კიდევ ერთი წუთი ნარცის! რაღაც დამავიწყდა, ჰო, იოანე ერთხელ უკვე გიწოდებ.

- ვერ გავიგე.

- ცხადია, ვერც გაიგებ. შენ ხომ არ იცი, ეს რამდენიმე წლის წინ იყო, ერთხელ სახელად იოანე დაგარქვი, და ეს სახელი მუდამ შენი იქნება. მე ხომ უწინ მოქანდაკე და ფიგურების მთლელი ვიყავი, და კიდევ ვფიქრობ, ამ საქმეს დავუბრუნდე, ჰოდა, საუკეთესო სახე, რომელიც მაშინ ხეში

გამოვკვეთე, ანუ მოციქული, შენი სახეა, მაგრამ ნარცისად კი არა, იოანედ წოდებული. ეს იოანე მახარობელია ჯვარქვეშ.

იგი ადგა და კარისაკენ გაემართა.

– მაშასადამე, ჩემზე ფიქრობდი? – წყნარად ჰკითხა ნარცისმა.

– ო, დიახ, ნარცის, მე მუდამ, მუდამ შენზე ვფიქრობდი, – წყნარადვე მიუგო გოლდმუნდმა.

გოლდმუნდმა ღონივრად გამოაღო მძიმე კარი. მკრთალმა დილამ შემოიხედა. ისინი ალარ ლაპარაკობდნენ. ნარცისმა თავისთან წაიყვანა სასტუმრო ოთახში. მისი თანმხლები ყმანვილი ბერი გასამგზავრებლად ალაგებდა ბარგს. გოლდმუნდს აჭამეს, ხელები დააბანინეს და მსუბუქად შეუხვიეს.

მალე ცხენები მოჰგვარეს.

ცხენებზე რომ შესხდნენ, გოლდმუნდმა თქვა:

– კიდევ ერთი რამ უნდა გთხოვო. თევზის ბაზართან გავიაროთ, იქ რაღაც საქმე მაქვს.

ქვევით დაუყვნენ ცხენებით გზას. გოლდმუნდი სასახლის ყველა ფანჯარას აკვირდებოდა, იქნებ აგნესი გამოჩნდესო, მაგრამ ვერსად მოჰკრა თვალი. თევზის მოედანი გადაიარეს.

მარია ძალზე შეწუხებული დახვდა. მას და მის მშობლებს დაემშვიდობა, დიდი მადლობა გადაუხადა, აღუთქვა, კიდევ გნახავთო, და წავიდა. მარია სახლის კართან იდგა, ვიდრე მხედრები თვალს არ მიეფარნენ. მერე ნელა შევიდა შინ კოჭლობით.

ოთხნი მიდიოდნენ ცხენებით: ნარცისი, გოლდმუნდი, ყმაწვილი ბერი, შეიარაღებული მეჭინიბე.

- გახსოვს ჩემი ცხენი ბლესი? - ჰკითხა გოლდმუნდმა, - თქვენი მონასტრის თავლაში რომ იდგა?

- რა თქმა უნდა, თუმცა იმას ვეღარ ნახავ და არც მოელოდე.

შვიდი თუ რვა წლის წინ გამოვემშვიდობეთ.

- კიდევ გახსოვს ჩემი ცხენი?

- ჰო, მახსოვს.



გოლდმუნდი დიდად არ დაღონებულა ბლესის სიკვდილით.

თუმცა კი გაუხარდა, რომ ნარცისმა, ვისაც ცხოველები არ აფიქრებდა და არც არასოდეს იცოდა მონასტრის ცხენების სახელები, ბლესი ახსოვდა. ეს ძალზე ესიაშოვნა.

– გაგეცინება ალბათ, – ისევ წამოიწყო გოლდმუნდმა.

– პირველი არსება ჩვენს მონასტერში, ვისზეც მე შეგეკითხე, ის საბრალო ცხენი იყო. უხერხულია ცხენზე ლაპარაკი, მართლაც სხვა რამის კითხვა მინდოდა, უპირველესად ჩვენი აბატი დანიელის ამბისა. ალბათ გარდაიცვალა, რაკილა იგი შეცვალე.

სიკვდილზე საუბარი არ მინდოდა, სიკვდილის გაგონება აღარ მსურს, იმ წასული ღამისა და ჭირის გამო, რომელმაც ბევრი რამის მნახველი გამხადა. თუმცა ამას ვერც ჩვენ გავექცევით, ერთხელაც ხომ უნდა მოხდეს. მითხარი, როდის და როგორ აღესრულა აბატი დანიელი, მას ძალიან ვაფასებდი, ისიც მითხარი, მამა ანსელმი და მარტინი ცოცხლები თუ არიან. სულ ცუდ ამბებზე კი გეკითხები, თუმცაღა მიხარია, რომ არ შეგყრია ჭირი. შენს სიკვდილს ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

მტკიცედ მწამდა, რომ ჩვენ შევხვდებოდით.

მაგრამ, სამწუხაროდ, რწმენა შეიძლება გაცრუდეს, მე ამას მივხვდი.

ჩემი მხატვარი ნიკლაუსიც, მოქანდაკე, თუ მოკვდებოდა, ვერ წარმომედგინა, მეგონა, აუცილებლად ვიპოვიდი და ხელახლა ვიმუშავებდი მასთან. მაგრამ როცა მივედი, მკვდარი დამიხვდა.

- გეტყვი ყველაფერს, - თქვა ნარცისმა, - აბატი დანიელი უკვე რვა წლის წინ გარდაიცვალა. არც უავადმყოფია და არც გაწვალებულია. მე ის არ შემიცვლია, ერთი წელია, რაც აბატი გავხდი. მისი შემცვლელი მამა მარტინი იყო, უწინ ჩვენი დარაჯი, ის შარშან მოკვდა, სამოცდაათი ჯერ არ შესრულებოდა, მამა ანსელმიც აღარაა ცოცხალი. მას შენ უყვარდი, ხშირად ლაპარაკობდა შენზე. უკანასკნელ დროს სულ ვეღარ დადიოდა, წოლა კი მისთვის დიდი ტანჯვა იყო; წყალმანკით გარდაიცვალა.

დიახ, ჭირიც იყო ჩვენთან, ბევრი წაიყვანა, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. კიდევ გაქვს რამე შეკითხვა?

- ცხადია, ძალიან ბევრი. უპირველესად, როგორ მოხვდი აქ, ამ საეპისკოპოსო ქალაქში და მეფისნაცვალთან?

- ეს გრძელი ამბავია და მოგწყინდება, იგი პოლიტიკას ეხება, გრაფი მეფის ფავორიტია და ზოგიერთ საკითხში მისი რწმუნებულიც, ამჟამად მეფესა და

ჩვენს ორდენს შორის ზოგი რამ მოსაგვარებელია. ორდენმა დელეგაციის ხელმძღვანელობა დამაკისრა, გრაფთან მოლაპარაკებები გვექონდა არცთუ დიდი წარმატებით.

ნარცისი დადუმდა. გოლდმუნდს აღარაფერი უკითხავს.

არ სჭირდებოდა იმის გაგება, რომ გუშინ სალამოს, როცა ნარცისმა გრაფს გოლდმუნდის სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა, ეს სიცოცხლეც გოროზმა გრაფმა სხვა დათმობებს მიათვალა.

ისინი კვლავ გზას მიუყვებოდნენ. გოლდმუნდი მალე დაიღალა, ტანი ძლივს ეჭირა უნაგირზე.

- მართლა ქურდობის გამო დაგიჭირეს? კარგა ხნის შემდეგ ჰკითხა ნარცისმა:
- გრაფი მიმტკიცებდა, სასახლეში საქურდავად შემოიპარაო.

გოლდმუნდს გაეცინა.

- მართლა ავაზაკი ვგონებოვარ. გრაფის საყვარელთან მქონდა კავშირი, უეჭველია, მან ეს იცოდა. ძალიან მიკვირს, რომ გამომიშვა.
- მე კი ასე მითხრა ეს ამბავი.



მათ ვერ შეძლეს ამ დღის გასავლელი მანძილის გავლა.

გოლდმუნდი ძალზე დაიღალა, სადავეს ხელში ვეღარ იჭერდა.

ერთ სოფელში დაიკავეს ოთახი. პატარა სიცხე ჰქონდა და საწოლში ჩააწვინეს. მეორე დღესაც იწვა. გზას შემდეგ გააგრძელებდნენ.

როცა ხელები მოუშუშდა, ცხენით მგზავრობა ძალზე ეამა. რა ხანია ცხენით აღარ უვლია! გამოცოცხლდა, გაახალგაზრდავდა და გახალისდა, ალაგ-ალაგ მეჭინიბესაც შეეჭიბრა ჯენებაში. კარგ გუნებაზე მყოფმა მრავალი კითხვა დააყარა მეგობარ ნარცისს. მშვიდად, სიხარულით აუბა მხარი ნარცისმა. იგი კვლავ მოხიბლა გოლდმუნდმა, ძალზე მოსწონდა მისი მეტისმეტად ბავშვური შეკითხვები; გოლდმუნდსაც ეტყობოდა, რომ მეგობრის ჯკუა-გონებას დიდად აფასებდა.

- ერთი შეკითხვა, ნარცის: როდისმე ებრაელები თუ დაგიწვავთ?

- ებრაელები დაგვიწვავსო? ამას როგორ ჩავიდენდით?

ჩვენთან ებრაელები არ არიან.

- მართალია, მაგრამ იცოდი კი, რომ წვავდნენ? რამდენად დასაშვებად მიგაჩნია ეს ამბავი?

- რატომ უნდა მიმაჩნდეს დასაშვებად? ფანატიკოსი ხომ არ გგონივარ?

- გამიგე, ნარცის, მე რას ვგულისხმობ: შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ამ შემთხვევაზე, ანუ ებრაელების ამოწურვებაზე ბრძანება მოგცეს და შენ მას დავეთანხმე? ბრძანებები ხომ არაერთმა ჰერცოგმა, ბურგომისტრმა, ეპისკოპოსმა და სხვა მაღალმა ხელისუფალმა გასცა.

- ასეთ ბრძანებას დავეთანხმებოდი? პირიქით, საკითხავი ისაა, ასეთი საშინელება რომ მენახა, მოვითმენდი თუ არა.

- მოითმენდი?

- რა თქმა უნდა, თუკი წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლებოდა.

გინახავს ებრაელებს როგორ წვავენ, გოლდმუნდ?

- მინახავს.

- ჰოდა, უშველე რამე? აი, ხომ ხედავ.

გოლდმუნდმა დაწვრილებით უამბო რებეკას ამბავი, რამაც გული მოუღბო და დაასევდიანა.

- აბა, - დაასრულა ბრაზით გოლდმუნდმა. - განა ეს ქვეყანაა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ? ჯოჯოხეთს არ ჰგავს?

განა აღმაშფოთებული და საშინელი არაა?

- ცხადია, ცხოვრება სხვა არაფერია.

- ასე ხომ! - გაბრაზებით შესძახა გოლდმუნდმა. - არადა, ადრე რამდენჯერ გიმტკიცებია ჩემთვის, რომ ქვეყანა ღმერთმა შექმნა, ჰარმონიულად ბრუნავს ყველაფერი, ქვეყნიერების შუაგულში შემოქმედი მბრძანებლობს, ღვთისგან ქმნილი ყოველი კეთილია და ასე შემდეგ. შენ ამბობდი, არისტოტელესთან, წმინდა თომასთან ასე არისო. მაინტერესებს, როგორ ახსნი ახლა საწინააღმდეგო აზრს.

ნარცისს გაეცინა:

- გასაოცარი მეხსიერება გქონია, მაგრამ ცოტა რამ შეგეშალა.

მე სრულყოფილ შემოქმედს ვეთაყვანები და არა ქმნილებას.

მე ქვეყანაზე ბოროტება არ უარყავი. რომ მიწიერი ცხოვრება ჰარმონიული და სამართლიანია და ადამიანი კეთილია, ეს ჩემო საყვარელო, ჯერ არც ერთ



ჭეშმარიტ მოაზროვნეს არ დაუმტკიცებია, რომ მრავალი შეთხზული რამ და გულისთქმანი კაცისა ბოროტულია, რაც მთელი დამატერებლობით არის ნათქვამი წმინდა წერილში, ამის მტკიცებას ყოველდღე ვხვდებით.

- ძალიან კარგი. ბოლოს და ბოლოს გავიგე, როგორ ფიქრობთ თქვენ, სწავლულები. მაშასადამე, ადამიანი ბოროტია, დედამიწაზე ცხოვრება კი - სიმდაბლე და ღორობა, ასე განსაზღვრეთ თქვენ. მაგრამ სადღაც თქვენს აზრებსა და სასწავლო წიგნებში სამართლიანობა და სრულყოფილებაც მოიძიება.

ისინი არსებობენ, შეიძლება დაამტკიცოთ, მაგრამ არ იყენებთ.

- შენ დიდად შემოგვიწყერი თეოლოგებს, საყვარელო მეგობარო!

მოაზროვნე შენგან არ დამდგარა, ყველაფერს ერთმანეთში ურევ. არადა, უნდა ისწავლო. რატომ ამბობ, სამართლიანობის იდეას არ განამტკიცებო? ყოველდღე და ყოველ საათს ვიქმთ ჩვენ ამას. მე, მაგალითად, აბატი ვარ და მონასტერს ვმართავ, ამ მონასტერში კი ისე ცოტა მოიძიება სრულქმნილება და უცოდველობა, როგორც მის კედლებს მიღმა ქვეყანაზე. ჩვენ მაინც ვეწინააღმდეგებით გამუდმებით მემკვიდრეობით მიღებულ ცოდვას და კვლავ და კვლავ სამართლიანობის იდეასა და ჩვენს არასრულყოფილ ცხოვრებას ვუდარებთ ამ თანდაყოლილ ცოდვას. ჩვენ ვცდილობთ გამოსწორებას

ბოროტისას და ჩვენი ცხოვრების ღმერთთან მიახლოებას მარადიული ურთიერთობით.

– რა თქმა უნდა, ნარცის, მე არ მიგულისხმია, რომ შენ კარგი აბატი არა ხარ. მე ვფიქრობ რებეკაზე, დამწვარ ებრაელებზე, ხალხის საფლავებზე, დიდ სიკვდილზე, ქუჩებსა და სახლებში უპატრონოდ დაყრილ, აყროლებულ გვამებზე, მთელ ამ საშინელ უბედურებაზე, ამ დაუცველ, მიტოვებულ ბავშვებზე, დამშეულ, ეზოში დაბმულ ძაღლებზე – და როცა ყველაფერ ამაზე ვფიქრობ, როცა ეს სურათები თვალწინ დამიდგება, მაშინ გული მტკივა და მეჩვენება, რომ დედებმა ჩვენ უიმედო, საშინელ და სატანისეულ სამყაროში გაგვაციინეს, რომ კარგი იქნებოდა არ დავბადებულიყავით, ღმერთსაც ეს შემზარავი სამყარო არ შეექმნა და მაცხოვარიც ამაოდ არ სცმოდა ჯვარს ჩვენთვის.

სიყვარულით დაუქნია თავი ნარცისმა მეგობარს.

– ჭეშმარიტად მართალი ხარ, – მაშინვე დაუდასტურა, – ილაპარაკე, მითხარი ყველაფერი. მაგრამ ერთი რამე გეშლება:

შენ იმას, რასაც ლაპარაკობ, აზრებად მიიჩნევ, სინამდვილეში კი ეს გრძნობებია!

ეს იმ ადამიანის შეგრძნებებია, ვისაც ყოფიერების ვარაში განუცდია, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ ეს სევდიანი და სასოწარკვეთილი გრძნობანი მთლიანად უპირისპირდება ერთ ამბავს! როცა შენ ცხენზე თავს კარგად გრძნობ და მშვენიერ მიდამოს გაივლი ანდა როცა საკმაო სისულელეს სჩადი და სადამოს გრაფის სატრფოსთან სასიყვარულოდ სასახლეში იპარები, მაშინ ქვეყანასაც სხვაგვარად უყურებ და ჭირშეყრილი სახლები თუ დამწვარი ებრაელები აღარ გადარდებს, არ გინდა გუნება გაიფუჭო. ასე არაა?

- მართლა ასეა, რამეთუ ქვეყანა სავსეა სიკვდილითა და ტანჯვით, ამიტომ ვიმშვიდებ გულს მუდამ და ამ ჯოჯოხეთის გულში ლამაზი ყვავილების მოსაკრეფად ვპოულობ ხალისს, რათა ცოტა ხნით ვარაში დავივიწყო, ამიტომ არის, რომ ვარაში მიმცირდება.

- შენ ეს ძალიან კარგად ჩამოაყალიბე. მაშასადამე, ხედავ სამყაროში სიკვდილითა და ვარაშით გარემოცულ შენს თავს და ამიტომ გეძალება ხალისი, თუმცა ის წარმავალია და კვლავ უდაბურებაში გტოვებს.

- დასტურ, ასეა.

გრძნობენ ამას, და ცოტას აქვს იმის მოთხოვნილება, ამ გრძნობათა წყალობით შეიცნოს თავი. მაგრამ მითხარი: გარდა ხალისსა და ტანჯვას შორის აქეთ-იქით სასოწარკვეთილი ხეთქებისა, გარდა ამ სიცოცხლის



ნდომისა და სიკვდილის გრძნობის შორის ტრიალისა, არა გაქვს სხვა გზა მოსინჯული?

- ო, რა თქმა უნდა მაქვს, ხელოვნებამ მიმაგნებინა. ხომ გითხარი, სხვათა შორის ხელოვანიც გავხდი-მეთქი. ერთ დღეს, როცა სამი წელი მონასტრის გარეთ ვიყავი და თითქმის მთელი დრო მოგზაურობას შევალიე, ერთ სამონასტრო ეკლესიაში ხისგან გამოკვეთილი ღვთისმშობელი ვნახე, რომელიც ისეთი ლამაზი იყო და ისე მიმიზიდა მისმა სახემ, მის შემქმნელს ძებნა დავუწყე. ვიპოვე ეს ცნობილი მხატვარი და რამდენიმე წელი მასთან შევირდად ვიმუშავე.

- ამის თაობაზე მოგვიანებით მომიყვები. მაგრამ რა მოგცა ხელოვნებამ და რითი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი?

- ეს წარმავლობის დაძლევა იყო. ვხედავდი, რაც ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის გიჟური როკვიდან რჩებოდა და განაგრძობდა არსებობას, ეს იყო ხელოვნების ნაწარმოებები.

ისინი იკარგებიან, იწვებიან, ფუჭდებიან თუ იმსხვრევიან, მაგრამ მაინც განაგრძობენ ბოგიერთი ადამიანის სიცოცხლეს და დროის მიღმა სურათებისა და სინმინდეთა მშვიდ სამყაროს ქმნიან. ამაზე მუშაობა სასიამოვნოდ და მანუგებელად მიმაჩნია, რამეთუ ეს თითქმის წარმავლის მარადისობად გარდაქცევაა.

- ძალიან მომწონს ეს, გოლდმუნდ. ვიმედოვნებ, კიდევ მრავალ ნაწარმოებს შექმნი, მჯერა შენი. ვფიქრობ, მარიამბრონში დიდხანს დარჩები ჩემთან სტუმრად და ნებას მომცემ სახელოსნო მოგიწყო. კარგა ხანია ჩვენს მონასტერს ხელოვანი აღარ ჰყოლია, მაგრამ ვგონებ, ხელოვნებაში საოცრებისთვის ჯერ არ მიგიცია შენეული განსაზღვრება. ჩემი აზრით, ხელოვნება მართო ის კი არაა, რომ ქვით, ხით და ფერებით რაღაც ცოცხალი, მაგრამ მოკვდავი სიკვდილს გამოსტაცო და დროში დაამკვიდრო. მე ზოგიერთი ხელოვნების ნაწარმოები მინახავს, წმინდანის თუ მადონას სახე, და ვერ დავიჯერებ, რომ ესენი მხოლოდ ბედმინვნით შესრულებული ასლია ცალკეული ადამიანებისა, ერთხელ რომ იცოცხლეს და მათი ფორმები თუ ფერები ხელოვანმა შეინარჩუნა.

- შენ მართალი ხარ! - შეჰყვირა გოლდმუნდმა სხარტად.

- ვერ წარმოვიდგენდი, ხელოვნება თუ ასე კარგად გესმის!

გესმის, რომ ხელოვანის კარგი ნაწარმოები ნამდვილი, ცოცხალი სახე არაა, თუმცა ამ სახეს საბაბი აქვს გაცოცხლებისა.

შესაქმნელი სურათი არ არის ხორცი და სისხლი, ის სულიერია. ეს ის სურათია, ხელოვანს სულში რომ აქვს სამშობლო. ჩემშიც ცოცხლობენ, ნარცის, ასეთი სურათები, რომელთაც ალბათ ერთხელ იქნება გამოვხატავ და გიჩვენებ.

- რა კარგია! შენ, ჩემო ძვირფასო, შენდა შეუცნობლად ახლა ფილოსოფიის გულისგულში მოექცევი და შენი საიდუმლოებებიდან ერთ-ერთი გამოთქვი.

- შენ მე დამცინი.

- ო, არა. შენ შეუქმნელ სურათებზე ილაპარაკე, ანუ იმ სურათებზე, შემოქმედის სულის გარდა რომ არსად არსებობს, მხოლოდ მატერიაში ხორციელდება და ხილული ხდება.

ვიდრე ხელოვნების ნაწარმოები ხორცს შეისხამს და საჩინო გახდება, ის უკვე არსებობს, როგორც სურათი ხელოვანის სულში! ეს სურათი კი, ეს შეუქმნელი სურათი ზუსტად იმას წარმოადგენს, რასაც ძველი ფილოსოფოსები «იდეას» ეძახიან.

ჰო, ეს დამაჯერებლად ჟღერს.

- ხოლო მაშინ, როცა იდეებსა და შეუქმნელ სურათებს შეიცნობ, შენ ხვდები სულიერ სამყაროში, ჩვენს, ფილოსოფოსებისა და თეოლოგების სამყაროში, და გვაჩვენებ, რომ ცხოვრების არეულ და ტკივილიან ბრძოლის ველზე, ამ ხორცისეულ ყოფიერების უსასრულო და უაზრო სიკვდილის როკვისას შემოქმედებითი სული არსებობს. იცოდე, მუდამ ამ სულისკენ მიგმართავდი მას შემდეგ, რაც ყმანვილი ჩემთან მოხვედი. ეს სული შენში მოაზროვნის



სული არ არის, ეს ხელოვანისაა. მაგრამ ეს სულია, ის სული, გრძნობათა შფოთიან, სევდიან სამყაროში სიხარულისა და სასოწარკვეთას შორის განუწყვეტელ ქანაობისას გზას რომ გვიჩვენებს.

აჰ, ძვირფასო, თავს ბედნიერად ვგრძნობ, ამგვარად გააზრებული შეცნობა შენგან რომ მოვისმინე. ამას ველოდი მას აქეთ, რაც მოძღვარი ნარცისი დატოვე, და გულისხმაჰყავ, რომ შენ შენ გამხდარიყავი.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ხელახლა მეგობრები ვიყოთ.

ამ წუთს გოლდმუნდს ისე ეჩვენა, თითქოს მისმა ცხოვრებამ აზრი შეიძინა, თითქოს ამ ცხოვრებას ზემოდან გადმოხედა, და ახლა მკაფიოდ ხედავდა თავის სამ დიდ ნაბიჯს:

ნარცისზე დამოკიდებულებასა და მისგან წასვლას – თავისუფლებისა და მოგზაურობისთვის – და უკან დაბრუნებას, სიმწიფეში შესვლას და მოსავლის მოწვევის დასაწყისს.

ხილვა კვლავ გაქრა. მაგრამ ნარცისთან კავშირი ჰპოვა აქ მოსვლით. ეს ნარცისთან დამოკიდებულება კი არა, თავისუფლებისა და დაპირისპირების ურთიერთობა იყო. შეურაცხყოფის გარეშე შეეძლო ამ აღმატებულ ბერთან სტუმრად დარჩენა, რამეთუ მან გოლდმუნდის სახით თავისი ტოლი

შემოქმედი შეიცნო. თავის თავს წარმოუდგენდა, თავის შინაგან სამყაროს სურათებში ხილულქმნიდა. ამისი წყურვილი ავსებდა ხოლმე სიხარულით მოგზაურობის დროს, ხანდახან ფიქრებით შემოჭარულს.

– ნარცის, – შეჰბედა მან, ასე მგონია, კარგად არ იცი, შენს მონასტერში ვინ მოიყვანე. მე ბერი არ ვარ და არც მინდა ვიყო. მე ვიცი სამი დიდი აღთქმა, გამომივლია გაჭირვებაც, არც უცოდველობა და არც მორჩილება მიყვარს. ეს სათნოებანი კაცის საქმედ არ მიმაჩნია, ღვთისმოსაობისა ჩემში აღარაფერი დარჩა. წლობით არ მითქვამს აღსარება, არც მილოცია, არც ვზიარებულვარ.

ნარცისი წყნარად უსმენდა.

– როგორც ვატყობ, წარმართი გამხდარხარ. მაგრამ ამისი არ გვეშინია. რად უცქერ ამაცად შენს ცოდვებს? შენ ბოროტული გზით გაჰყევი ცხოვრებას, შენ უძღვები შვილიშვიტ ღორები მწყემსე, შენ არ იცი, რა არის კანონი და წესრიგი.

ცხადია, შენგან ძალიან ცუდი ბერი დადგება. მე საიმისოდ არ მომიწვევია, რომ ორდენში შეხვიდე. სტუმრად მოგიპატიჟე, სახელოსნოს მოგიწყობ ჩვენთან. და კიდევ ერთი:

არ დაგავიწყდეს, მაშინ, ჩვენი ყრმობის წლებში, მე ვიყავი ის კაცი, ვინც შენ გამოგალვიდა და ამქვეყნიურ ცხოვრებაში ფეხი შეგადგმევინა.

შენგან ცუდი თუ კარგი ვინმე გამოვიდოდა, ამაზე პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა. მინდა ვნახო, რა დადგა შენგან, ეს კი უნდა გადმომცე სიტყვებით, მაჩვენო ცხოვრებით, შემოქმედებით. როცა ამას მიჩვენებ, მაშინ ვნახავ, არის თუ არა ჩვენი სახლი შენი ადგილი და მე პირველი გთხოვ აქ დარჩენას.

გოლდმუნდი ამჯერად მეტად გააოცა მეგობრის სიტყვებმა, როცა მისმა სიდიჩემ, დამაჯერებლობამ, ერისკაცთა თუ საერო ცხოვრებისადმი ირონიული დამოკიდებულების დავიწყებამ მისთვის ცხადი გახადა, რა კაცი დამდგარიყო ნარცისი: ეს იყო კაცი სულისა, კერძოდ, კაცი მონასტრისა თავისი თლილი ხელებითა და სწავლულის სახით, კაცი რწმენითა და მხნეობით სავსე, წინამძღვარი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე. ეს კაცი წინანდელი მორჩილი ნარცისი აღარ იყო, არც სათნო, მოციქულ იოანესდარი, და ეს ახალი ნარცისი, მამაკაცური და რაინდული, თავისი ხელით უნდა გამოეკვეთა. ბევრი ვინმეს გამოქანდაკება ელოდა მას: ნარცისის, აბატი დანიელის, მამა ანსელმის, მხატვარი ნიკლაუსის, მშვენიერი რებეკასი, ლამაზი აგნესის და კიდევ მრავალი მეგობრისა თუ მტრის, ცოცხლისა თუ მკვდრის.

არა, მას არ სურდა მამათა ორდენის წევრი გამხდარიყო, არც ღვთისმოსაობა და სწავლეულობა უნდოდა, მას შემოქმედება სწყუროდა, მისი მაშინდელი ყრმობის სამშობლო ამ ქმნილებათა სამშობლოდ გადაიქცეოდა, და ეს ფიქრი მას ბედნიერს ხდიდა.



ცივი, გვიანი შემოდგომა იყო. ერთ დილას შიშველ ხეებს სქლად დაედო თრთვილი, მათ გადაიარეს ცარიელი, მოწითალო ჭაობიანი ადგილები, ტალღოვანი შორეული მხარე, რომლის ჰორიზონტზე ძველი ნაცნობი ერთმანეთზე გადაბმული გორაკები მედიდურად, რალაცის მანიშნებლად იყურებოდნენ.

აი, მაღალი იფნის ტყე, ნაკადული, აგერ ძველი ფარდული, რომლის შემხედვარე გოლდმუნდს გული დაუსერა სიხარულმა და შიშმა. ის გორა შეიცნო, რომელზედაც მაშინ რაინდის ასულ ლიდიასთან ერთად მიდიოდა ცხენით, და ის მდელი, თხელი თოვლით დაფარული, სადაც მაშინ განცდილით უსაზღვროდ დაღონებული იდგა, და საიდანაც დაიწყო მისი ახალი მოგზაურობა. თავი წამოყვეს შეჯგუფულმა მურყნებმა, აი, წისქვილი და ციხე-კოშკი. საოცარი ტკივილი იგრძნო იმ სამუშაო ოთახის ფანჯრის დანახვაზე, საიდანაც მაშინ, მის საარაკო ჯაბუკობაში, რაინდი თავის ყარიბულ მოგზაურობაზე უყვებოდა გოლდმუნდს და მის ლათინურს უსმენდა. ნარცისი და გოლდმუნდი იმ ეზოში შევიდნენ, მათი მგზავრობისას წინასწარ განსაზღვრული რომ იყო დასასვენებლად.

გოლდმუნდმა აბატს სთხოვა, არ ეხსენებინა აქ მისი სახელი, პურსაც მოსამსახურესა და მეჭინიბესთან ერთად შეჭამდა. ასეც მოხდა. აქ აღარ იყვნენ აღარც მოხუცი რაინდი და აღარც ლიდია, თუმცა რამდენიმე მონადირე და მსახური კი დარჩენილიყო ამ სახლში, სადაც მომხიბლავი, ამაყი,

მბრძანებლური და კეთილშობილი ქალბატონი იულია მართავდა ყველაფერს თავის მეუღლესთან ერთად. კვლავ საოცრად ლამაზი იყო იგი, ლამაზი და მშვენიერი, თუმცა მის სახეზე სიავეც იკითხებოდა. ვერც მან და ვერც მსახურებმა ვერ იცნეს გოლდმუნდი. ნავახშმევს, მოსალამოებულზე გოლდმუნდი ბაღში შეიპარა, ღობიდან გადაიხედა და დაბამთრებულ კვლებს შეავლო თვალი. თავლის კართან მივიდა მალულად და ცხენებთან შეიჭვრიტა.

მერე მეჭინიბესთან დაიძინა ჩალაზე. მოგონებები გულზე ლოდევით აწვა და ხშირად ეღვიძებოდა. ო, რა დაფლეთილი და უნაყოფო იყო გავლილი ცხოვრება, მშვენიერი სურათებით მდიდარი, მაგრამ დაშლილი, ღირსებითა და სიყვარულით მწირი! დილით, გამგზავრებისას, გულშეძრული იხედებოდა ფანჯრებში, იქნებ იულიასთვის მოეკრა თვალი. ცოტა ხნის წინ საეპისკოპოსო რეზიდენციის ეზოშიც ასე იყურებოდა, იქნებ აგნესი დავინახო. ვერც ის ნახა და ვერც იულია ახლა. ასეთი იყო თითქოს მთელი მისი ცხოვრებაც.

გამომშვიდობება, გამგზავრება, დავიწყება, ხელცარიელი და გულგაყინული ასე დგომა. მთელი დღე ისე გაატარა, სიტყვა არ დაუძრავს. დაღონებული იჯდა უნაგირზე. ნარცისს ხელი არ შეუშლია.

და აი, რამდენიმე დღის შემდეგ მიზანს მიუახლოვდნენ.

ვიდრე კოშკი და მონასტრის სახურავები გამოჩნდებოდა, გადაიარეს ის ქვიანი ნასვენნი მინდვრები, სადაც მან, – ო, რა დიდი ხნის წინ! – კრაზანები შეაგროვა მამა ანსელმისათვის და სადაც ბოშა ლიზემ კაცად აქცია. აი, გაიარეს მარიაბრონის ჭიშკარი და უცხო წაბლის ხის ძირას ცხენებიდან ჩამოხდნენ.

გოლდმუნდი ფრთხილად მიესიყვარულა ვარჯს და ბუძგა ბუდიდან გამომხტარი წაბლისკენ დაიხარა; აუარება ჩამჭკნარი და გაყავისფრებული წაბლი ეყარა მიწაზე.



# თავი მეთვრამეტე

გოლდმუნდი პირველ დღეებში მონასტერში ცხოვრობდა, ერთ სასტუმრო სენაკში. შემდეგ მისივე თხოვნით სამჭედლოს პირდაპირ, ერთ სამეურნეო შენობაში გამოუძებნეს ოთახი, რომელსაც ბაზრის მოედანივით დიდი ეზო ერტყა გარს.

მოჭადოებულებით განიცდიდა იგი აქაურობასთან შეხვედრას, რაც ხანდახან თვითონაც აოცებდა. აბატის გარდა არავინ იცნობდა, არავინ იცოდა მისი ვინაობა. აქ ადამიანები, ძმები, მორჩილებიც მკაცრ წესრიგს მისდევდნენ, ნიადაგ საქმიანობდნენ, მას ხელს არ უშლიდნენ. მაგრამ ხეებმა იცნეს იგი, კარიბჭეებმა და ფანჯრებმა, წისქვილმა და წყლის ბორბლებმა, დერეფნების ქვის ფილებმა, დამჭკნარმა ვარდის ბუჩქებმა გალერეაში, წეროების ბუდეებმა ბელელზე და სატრაპებომ. ყოველი კუთხიდან ტკბილსა და მიმზიდველ სურნელს აფრქვევდა მისი წარსული, ხანი პირველი ჭაბუკობისა.

სიყვარული უხმობდა მას, უნდოდა ყველაფრის ნახვა, ყველა ხმის გაგონება – მწუხრის ზარებისა თუ კვირადღის გალობისა, თავის ვიწრო ხავსიან კედლებში წისქვილის ჩხრიალისა, ქვის ფილებზე სანდლების ფრატუნისა, თუ ბინდისას გასაღებების ჩხარუნისა, როცა კარისკაცი ძმა დასაკეტად მიდის. წყლის ქვის ღარების გვერდით, სადაც მორჩილთა სატრაპებოს ჭერიდან წვიმის წყალი

ჩადიოდა, ისევ ის პატარა ბალახები, ნემსინვერა და მრავალძარღვა წამოზრდილიყვნენ, სამჭედლოს ბაღში ძველი ვაშლის ხე ისევ ისე აქანავებდა თავის გაბორჯილ ტოტებს. ყველაზე უფრო მეტად სკოლის პატარა ბარის წკრიალის მოსმენა უძრავდა გულს, ისიც, როცა დასვენებაზე მონასტრის ყველა შეგირდი კიბეს ჩაირბენდა და ებოში ხმაურით გამოიშლებოდნენ.

რა ბავშვურად სულელური და რა ლამაზი, ბიჭური სახეები ჰქონდათ მათ – ნუთუ ისიც ოდესღაც ასე ახალგაზრდა, ასე მოუქნელი, ასე კოხტა და ასე გულუბრყვილო იყო?

გარდა ამ კარგად ნაცნობი მონასტრისა აქ, თითქოს რაღაც უცხოც ჰპოვა, პირველ დღეებშივე თვალში რომ ეცა და, თანდათან უფრო და უფრო ეუფლებოდა. მაშინ როცა კარგად ნაცნობს ნელა-ნელა აღიქვამდა და მაინც არაფერი მომხდარა აქ ახალი, ყველაფერი უცვლელად იყო, როგორც მისი მოწაფეობის ჟამს, ამაზე უწინაც, ასი და ასზე მეტი წლების წინათაც, ყოველივე ამას ახლა შეგირდის თვალთა აღარ უყურებდა. იგი ხედავდა და შეიგრძნობდა ამ ნაგებობათა ზომას, ეკლესიის თაღებს, ძველ ნახატებს, ქვისა და ხის ფიგურებს საკურთხეველზე, კარიბჭეებში. და თუმცა აქ ისეთი არაფერი იყო, რაც მაშინაც არ ყოფილა ამ ადგილზე, ახლა პირველად შეიგრძნო ამ საგანთა სილამაზე და სული, რამაც ისინი შექმნა. დაინახა ძველი ქვის ღვთისმშობლის ქანდაკება ზედა სამლოცველოში, რომელიც ბიჭობაშივე უყვარდა და გამოარჩევდა, მაგრამ თვალხილულმა ახლალა შეიცნო და

მიხვდა, რომ ეს საოცარი ქმნილება იყო, მასზე უკეთესი, მასზე გამართლებული ნამუშევარი არასოდეს შეხვედრია.

ასეთ საოცარ საგნებს ბოლო არ უჩანდა, ყოველი მათგანი მნახველს ატყვევებდა და არც ერთი შემთხვევითი არ იყო. ყოველი მათგანი ერთი სულიდან მომდინარეობდა.

და იდგნენ ამ ძველ კედლებს, სვეტებსა და თაღებს შორის, როგორც თავის ბუნებრივ სამშობლოში. რაც აქ რამდენიმე ასეული წლის წინ აშენებულა, ამოკვეთილა, დახატულა, ვისაც აქ უცხოვრია, უაზროვნია, უსწავლია, ეს ერთი ხისა, ერთი სულისა იყო, და ერთმანეთს ერთი ხის ტოტებივით ერწყმოდნენ.

ამ სამყაროს წყნარ, მყარ ერთიანობისას გოლდმუნდს თავი მეტისმეტად ემცირებოდა. კიდევ უფრო პატარად გრძნობდა თავს აბატ იოანესთან, თავის მეგობარ ნარცისთან, რომელიც ამ ძლიერ, მაგრამ მშვიდ მეგობრულ წესრიგს ქმნიდა და წარმართავდა. თუნდაც ესოდენ დიდი სხვაობა ყოფილიყო თხელბაგეებიან აბატ იოანესა და უბრალო, კეთილ, თავმდაბალ აბატ დანიელს შორის, თითოეული მათგანი მაინც ემსახურებოდა იგივე საქმეს, იგივე შეხედულებებს, იგივე წესრიგს, რომელთა წყალობითაც ეგზომ აღწევდნენ ღირსებას და ყოველივე ამას საკუთარ პიროვნებას სწირავდნენ. მონასტრის სამოსელივით მათ მსგავსებას ესეც ჰქმნიდა.



ამ მონასტერში ნარცისი შესამჩნევად გაიზარდა გოლდმუნდის თვალში. გულთბილი ამხანაგისა და მასპინძლის გარდა კიდევ სხვა რაღაც იგი, ვისაც ძლივს გაუბედა «შენობითა» და სახელით მიმართვა.

– მისმინე, აბატო იოანე, – უთხრა ერთხელ, – ალბათ თანდათან შევეჩვევი შენს ახალ სახელს. უნდა გითხრა, რომ აქ, თქვენთან ძალიან მომწონს, მგონი, უკვე შევძლებ დიდი აღსარების თქმას და მონანიების შემდეგ მორჩილად მიღების თხოვნას. თუმცა კი მაშინ ჩვენი მეგობრობაც დასრულდება.

შენ აბატი ხარ, ხოლო მე დამწყები ძმა, მაგრამ შენ გვერდით ასე ცხოვრებას, შენი საქმიანობის მაცქერლად ყოფნას, როცა მე თავად არაფერს წარმოვადგენ, შენს ხელმძღვანელობას დიდხანს ვერ ავიტან. მეც მომიხდება მუშაობა და იმის ჩვენება, რა ვარ და რა შემოიძლია, რათა დაინახო, რომ ამაგი დაგიფასდა, რომ სახრჩოებელას ტყუილად არ გადამარჩინე.

– მოხარული ვარ, – თქვა ნარცისმა და თავისი სათქმელი კიდევ უფრო ბუსტად და გამოკვეთილად გამოხატა, ვინემ სხვა დროს. – ნებისმიერ დროს შეგიძლია შეუდგე საქმეს, სახელოსნო მოიწყო, მჭედელსა და დურგალს ახლავე ვეტყვი, მოგემსახურონ. რა სამუშაო მასალაც გვაქვს, იმას მოვანერსივებთ, რაც შესაკვეთი იქნება, მეეტლეების საშუალებით ვიშოვნით. ამას ამოვწერ, შემდეგ გითხრა: მე სწავლული ვარ და უნდა შევეცადო ჩემი

სამყაროს თვალით შევხედო შენს საქმიანობას. მე სხვა ენა არ გამაჩნია ამის გარდა.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ უნდა გამომყვე, რაც წარსულ წლებში ხშირად თმენით გიკეთებია.

– შევეცდები გამოგყვე, მითხარი.

– გაიხსენე, ჯერ კიდევ სკოლის დროს რომ გეუბნებოდი ხანდახან, ხელოვანი მგონიხარ-მეთქი. მაშინ მეგონა, შენგან პოეტი გამოვიდოდა; კითხვისას და წერისას გარკვეულ მიდრეკილებას ამჟღავნებდი ცნებებისა და აბსტრაქციებისადმი და ენაში განსაკუთრებით გიყვარდა ის სიტყვები და მათი ჟღერადობა, რომელთაც გრძნობიერ-პოეტური ფასი გააჩნდათ და მათი საშუალებით რაღაცის წარმოდგენა იყო შესაძლებელი...

გოლდმუნდმა გააწყვეტინა:

– მაპატიე, მაგრამ განა ცნებები და აბსტრაქციები, რომელთაც უპირატესობას ანიჭებ, წარმოდგენები და სურათები არ არის? ნუთუ ის სიტყვები გვიყვარს და გვინდა სააზროვნოდ, რომლებითაც მართლაც ვერაფერს წარმოიდგენ? ან კი შეიძლება ისე აზროვნება, რომ ვერაფერი წარმოიდგინო?

- კარგია, ამას რომ მეკითხები! თუმცა, ცხადია, შეიძლება წარმოდგენების გარეშეც იაზროვნო. აზროვნებას წარმოსახვებთან სულ მცირედი კავშირიც არა აქვს. ის სრულიქმნება არა სურათებით, არამედ ცნებებითა და ფორმულებით.

სწორედ იქ, სადაც სურათხატები წყდება, ფილოსოფია იწყება.

ეს ის იყო, რაზედაც მაშინ ყმანვილები ხშირად ვკამათობდით.

შენთვის სამყარო სახეებით წარმოსდგება, ჩემთვის – ცნებებით. მე მუდამ გეუბნებოდი, მოაზროვნედ არ ივარგებ-მეთქი. ისიც გითხარი, რომ ეს ნაკლს არ წარმოადგენს, რამეთუ ნაცვლად ამისა შენ სურათხატების სამყაროდან ბატონობ. კარგად მისმინე, უფრო ნათლად გეტყვი.

თუ შენ შემოქმედის ნაცვლად მოაზროვნე გამოხვიდოდი, მაშინ უბედურება მოხდებოდა. კერძოდ, მისტიკოსი შეიქნებოდი.

მისტიკოსები, მოკლედ და უხეშად რომ ვთქვათ, ის მოაზროვნენი არიან, რომლებმაც წარმოსახვებს თავი ვერ დააღწიეს, ანუ, საერთოდ, მოაზროვნეებად ვერ ივარგეს.

ისინი ფარული ხელოვანნი არიან: პოეტები ულექსოდ, მხატვრები უფუნტოდ,



მუსიკოსები უმელოდიოდ. მათ შორის შეხვდები მეტად ნიჭიერსა და კეთილშობილ სულებს, მაგრამ ყველა ისინი გამონაკლისის გარეშე უბედურნი არიან. ერთი მათგანი შენც იქნებოდი. ამის ნაცვლად, მადლობა ღმერთს, ხელოვანი გამოხვედი და სურათების სამყარო დაიმორჩილე, სადაც ძალგიძს შემოქმედი და მბრძანებელი იყო, ნაცვლად მოაზროვნისა, სულ რომ უკმარობის გრძნობა გექნებოდა.

- მე მეშინია, - თქვა გოლდმუნდმა, - რომ ვერასოდეს შევძლებ, შენს სააზროვნო სამყაროში, სადაც წარმოდგენების გარეშე აზროვნებენ, ცნებათა აზრს ჩავნვდე.

- ო, ახლავე შეძლებ. მისმინე, მოაზროვნე კაცი სამყაროს არსის შეცნობასა და წარმოდგენას ლოგიკის საშუალებით ცდილობს. მან იცის, რომ ჩვენი გონება და მისი იარაღი - ლოგიკა არასრულყოფილი საშუალებებია - ისევე როგორც ჭკვიანმა ხელოვანმაც იცის სინამდვილეში, რომ მისი ფუნჯი და საჭრეთელი ანგელოზისა თუ წმინდანის სხივოსან არსებას ვერასოდეს გამოკვეთავს და მაინც ორივე ცდილობს მოაზროვნეს და ხელოვანიც, თავიანთი შესაძლებლობებისამებრ ამის გაკეთებას. სხვაგვარად მათ არ შეუძლიათ და არც ნება აქვთ. რამეთუ ადამიანი, როცა ბუნებით ბოძებული ნიჭის განხორციელებას ცდილობს, უმაღლესსა და ერთადერთი აზრის შემცველ რასმე იქმს, როგორც მას ძალუძს. ამიტომ მითქვამს შენთვის ასე ხშირად: ნუ ეცდები მიბაძო მოაზროვნესა თუ ასკეტს, შენ შენი თავი იყავი, შენ შენი თავი განახორციელე.

- მე ნახევარი ვერ გავიგე. რა არის განხორციელება?

- ეს ფილოსოფიური ცნებაა, მე მისი სხვაგვარად გამოხატვა არ ძალმიძს. ჩვენთვის, არისტოტელეს და წმინდა თომას მოწაფეებისათვის, ყველა ცნებაზე მაღალი ცნება სრულყოფილი არსებობაა. სრულყოფილი არსებობა კი ღმერთია.

სხვა დანარჩენი, რაც არის, მხოლოდ ნახევარი, ნაწილი, გარდაქცევადი, შერეული, შესაძლებლობებისაგან შემდგარი.

ღმერთი კი არ არის შერეული, იგი ერთია. მას შესაძლებლობანი არ გააჩნია. იგი მთელი და მთლიანად ჭეშმარიტებაა.

ჩვენ კი წარმავალნი, გარდაქცევადნი, შესაძლებლობანი ვართ. ჩვენთვის არ არსებობს სრულყოფილება, სავსედ ყოფნა.

როცა ჩვენ უნარიდან საქმეზე, შესაძლებლობიდან განხორციელებაზე გადავდივართ, ნამდვილ ყოფნასთან გვიდევს წილი, სრულყოფილსა და ღვთაებრივს ვემსგავსებით ერთი საფეხურით, ესე იგი, ვხორციელებით.

ეს ამბავი საკუთარი გამოცდილებიდან უნდა იცოდე, შენ ხომ ხელოვანი ხარ და რამდენიმე ფიგურა შეგიქმნია, თუ ამგვარმა ერთმა სახემ მაინც

გაგიმართლა, თუ ადამიანის სურათი შემთხვევითობისაგან გაანთავისუფლე და სუფთა ფორმა მიეცი – მაშინ, როგორც ხელოვანმა, ადამიანის ეს სახე განახორციელე.

– ახლა გავიგე.

– შენ ხედავ, მეგობარო გოლდმუნდ, მე იმ ადგილზე ვარ და ვმსახურებ, სადაც ჩემს ბუნებას გარკვეულწილად იოლად ძალუძს განხორციელება.

შენ მხედავ ძმებთან ტრადიციულად მცხოვრებს, რაიც შემფერის და რაიც მეხმარება.

მონასტერი ზეცა არ არის, ის სავსეა არასრულყოფილებით, მაგრამ ჩემნაირი ადამიანისათვის მონასტერში მუდმივი ყოფნა უსასრულოდ მრავლის მომთხოვნია, ვიდრე ქვეყნად ცხოვრება. აღარაფერს ვიტყვი ზნეობრივზე, სუფთა, პრაქტიკულ აზროვნებას რომ მოითხოვს. წვრთნა და სწავლება ჩემი ამოცანაა, სამყაროს წინაშე ჩემი ნამდვილი დამცველი, ანუ ჩემი განხორციელება აქ, ამ ჩვენს სახლში უფრო იოლად მიმდინარეობდა, ვიდრე ეს შენთან მოხდა, მართლაც, შენ შენი გზა მონახე და ხელოვანი გახდი, მაგრამ მაოცებს, ესოდენ მძიმე ტვირთი შეგხვდა წილად.

გოლდმუნდი გაწითლდა, ისე შერცხვა და თან გაახარა შექებამ. საუბრის საგნის გვერდასაქცევად მეგობარს შეაწყვეტინა:



- იქიდან, რისი თქმაც შენ ჩემთვის გსურდა, მეტი წილი გავიგე. მაგრამ ერთს კი ბოლომდე ვერ ჩავწვდი: კერძოდ, იმას, რასაც შენ აზროვნებას ეძახი, ანუ შენს ეგრეთ წოდებულ აზროვნებას უსურათებოდ და არაფრის გამომხატველი სიტყვებით.

- კეთილი, მაგალითს მოვიყვან. წარმოიდგინე მათემატიკა!

რა წარმოსახვებს შეიცავენ ციფრები, ანდა ნიშნები - პლუსი, მინუსი? რა სურათებს წარმოგიდგენს ტოლობა?

არავითარს! როცა არითმეტიკულ თუ ალგებრულ ამოცანას ხსნი, წარმოსახვა არ გეხმარება, შენ ნასწავლი ფორმულების საშუალებით ასრულებ ფორმალურ დავალებას - ასეა, ნარცის. თუ ციფრებისა და ნიშნების რიგს ჩამომიწერ, ყოველგვარი წარმოდგენების გარეშე შემიძლია მათი საშუალებით ანგარიში, პლუსის და მინუსის, კვადრატების, ფრჩხილების და სხვათა და სხვათა გამოყენებით ამოცანა ამოვხსნა. ანუ შემეძლო ადრე, ახლა დიდი ხანია აღარ შემიძლია.

მაგრამ განა არ სჯობს მოწაფე მახვილგონიერებაში გაიწაფოს, ვიდრე ფორმალური ამოცანები ამოხსნას? ანგარიშის სწავლა კარგია, მაგრამ მე ეს უაზროდ და ბავშვურად მიმაჩნია.

როგორ უნდა იჯდეს კაცი მთელი ცხოვრება ასეთ საანგარიშო დავალებებზე და წინ მუდამ ციფრებით სავსე ფურცელი ედოს.

- ცდები, გოლდმუნდ, შენ გგონია, თითქოს ეს ბეჭითი მოანგარიშე მუდამ მასწავლებლის მიერ მიცემულ სკოლის დავალებებს ხსნის. მას თავად შეუძლია შეკითხვები დასვას, რომლებიც მისდათავად აღეძვრება ხოლმე. მან ზოგიერთი არსებული და ფიქტიური სივრცე მათემატიკურად უნდა გაითვალოს, გაზომოს, როგორც ამას მოაზროვნე ახორციელებს სივრცის პრობლემაზე.

- ჰოდა, სივრცის პრობლემა, როგორც წმინდა სააზროვნო პრობლემა, სინამდვილეში ისეთ საგნად არ მიჩანს, ვაცმა რომ იმუშაოს და თავისი წლები ამაზე გაფლანგოს. სიტყვა სივრცე ჩემთვის არაფერია და ფიქრადაც არ მიღირს, ვიდრე ნამდვილ სივრცეს არ წარმოვიდგენ, რაღაც ვარსკვლავების სივრცეს, თუმცა რომ დავაკვირდე და გავზომო, ეს მაინც ალბათ ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ნარცისს ღიმილი მოერია.

- შენ მართლაც აზროვნებასთან საქმე არა გაქვს, თუმცა კი ცდილობ გაარკვიო მოაზროვნის მიმართება პრაქტიკულ და ხილულ სამყაროსთან.

მე შემეძლია ამაზე გიჟასუხო:

ჩვენი აზროვნების ასათვისებლად არც შესაძლებლობა კმარა და არც ნება. მაგალითად, მოაზროვნე ნარცისის აზროვნების შედეგები ჩანს როგორც თავის მეგობარ გოლდმუნდის, ისევე ყოველი ბერის მიმართ, და მათ მუდამ იყენებს. მაგრამ ვერა და ვერ გამოიყენებდა, თუ რომ ადრე არ ჰქონდეს ნასწავლი და ნავარჯიშევი. ხელოვანიც ხომ მუდამ ავარჯიშებს თავის თავსა და ფანტაზიას, რასაც მხოლოდ მაშინ შევიცნობთ, როცა რამდენიმე ნაწარმოებს წარმოგვიდგენს.

შენ არ შეგიძლია აზროვნება, როგორც ასეთი, უარყო და მის გამოყენებას კი დაეთანხმო. წინააღმდეგობა აშკარაა.

მაშასადამე, ნება მომეცი მშვიდად აზროვნებისა და ჩემი აზროვნება მისივე ნამოქმედართ გასაგებად, ისე როგორც მე შევაფასებ შენს ხელოვნებას შენი ნაწარმოებებით: შენ ახლა აფორიაქებული და გაღიზიანებული ხარ, რადგან შენსა და შენს ნაწარმოებებს შორის კიდევაა დაბრკოლებები. გადალახე ისინი, მოძებნე ანდა აიშენე სახელოსნო და მუშაობა დაიწყე! მაშინ მრავალ საკითხს თავადვე გადაჭრი.

ამაზე უკეთესს ვერაფერს ისურვებდა გოლდმუნდი.

მან ჭიშკართან სახელოსნოსთვის გამოსადეგი ადგილი მონახა.



დურგალს სახაზავი დაფა და სხვა ხელსაწყოები მისცა, რომ მისთვის ზუსტი ნახაზი გაეკეთებინა. ერთი ფურცელი გაავსო იმ საგნების დასახელებებით, მონასტრის მეეტლენი დროდადრო სხვადასხვა ქალაქებიდან რომ ჩამოუზიდავდნენ.

დურგლის სახლში და ტყეში ყველანაირ მასალას ათვალიერებდა, მოჭრილი ხეებიდან ნაჭრებს ირჩევდა და თავისი სახელოსნოს გვერდით ბალახზე აწყობდა გასაშრობად, საკუთარი ხელებით გადახურა სახურავი. მჭედელთანაც ბევრი საქმე ჰქონდა, რომლის მეოცნებე ბიჭი მან მეტისმეტად მოაჯადოვა და მოხიბლა.

გოლდმუნდი დიდხანს იდგა მასთან ერთად ქურასთან, გრდემლთან, გობთან, სადაც გავარვარებული ლითონი ცივდება, თუ სალესავ დაზგასთან, ყველა იმ ბლაგვი თუ სწორი დანის, საჭრეთლისა და ასტამის დასამზადებლად, ხის დასამუშავებლად რომ სჭირდებოდა.

მჭედლის ვაჟი, ასე ოციოდე წლის ერიხი გოლდმუნდის მეგობარი გახდა. ყველაფერში ეხმარებოდა, თანაუგრძნობდა და ინტერესს იჩენდა. გოლდმუნდი შეჰპირდა, რომ ბარბითზე დაკვრას ასწავლიდა, რაც ბიჭს ძალიან ეწადა, და ხეზე კვეთასაც დააწყებინებდა. როცა მონასტერში თუ ნარცისთან იგი ხანდახან ზედმეტად იგრძნობდა თავს, დაღონებული, ერიხთან აყოლებდა ხოლმე გულს. ერიხთან, ვისაც ასე კრძალვით უყვარდა და ასე

უსაზღვროდ აფასებდა. ხშირად აამბობინებდა ყმაწვილი მხატვარ ნიკლაუსზე, საეპისკოპოსო ქალაქზე და გოლდმუნდიც სიამოვნებით უყვებოდა. მერე კი აოცებდა, რომ აქ მოხუცივით იჯდა და წარსულის მოგზაურობებსა და საქმეებზე ჰყვებოდა, თუმცა მისი ცხოვრება სწორედ ახლა უნდა დაწყებულიყო.

ის ამბავი, რომ ამ ბოლო ხანს ძალზე შეიცვალა და თავის წლებზე მეტი ასაკი დაეტყო, ვერავინ შეამჩნია, ვინაიდან ვერც ვერავინ იცნო. მოგზაურობისას სხვადასხვა ადგილებში ცხოვრებამ და გაჭირვებამ მოტეხა იგი, შემდგომ კი – ჭირიანობამ და მისგან გამონვეულმა შიშის ზარმა. ბოლოს გრაფთან დატყვევებამ და სასახლის სარდაფში იმ საშინელმა ღამემ გულის სიღრმემდე შეძრა და კვალად დაუტოვა:

ქერა წვერში შერეული ჭაღარა, წვრილი ნაოჭები სახეზე, დიდი ხნის მანძილზე ცუდი ძილი, ხანდახან გულის გარკვეული გადაღლა, ხალისისა და ცნობისწადილის შესუსტება, გულგრილობა დაკმაყოფილებისა და მაძღრობისადმი. მაგრამ თავისი სამუშაოსთვის მზადებამ, ერიხთან საუბრებმა, მჭედელთან და დურგალთან საქმიანობამ გაამხნევა, გამოაცოცხლა და გაახალგაზრდავა, ყველას აოცებდა და ყველას უყვარდა, ოღონდაც არცთუ იშვიათად ნახევარი თუ მთელი საათი დაღლილი, მომღიმარი და ფიქრებში წასული იჯდა ხოლმე, აპათიასა და გულგრილობას მიცემული.

საიდან, რითი უნდა დაეწყო მუშაობა, ეს შეკითხვა არ ასვენებდა. პირველი ნაწარმოები, აქ რომ შეასრულებდა და მონასტერს სტუმართმოყვარეობისთვის ვალს გადაუხდიდა, შემთხვევითი, რაღაც ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი კი არა, ამ სახლის ძველი ნაწარმოებების მსგავსი, მთლიანად ნაგებობებისა და სამონასტრო ცხოვრებისათვის განკუთვნილი და მისი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ყველაზე დიდი სიამოვნებით საკურთხეველს ანდა კათედრას გააკეთებდა, მაგრამ ეს ორივე არ სჭირდებოდათ და არც სივრცე იყო საამისო. ამიტომ სხვა შეარჩია, მამების სატრაპეზოში მაღალ ნიშაზე შეჩერდა, სადაც ტრაპეზობისას ახალგაზრდა ძმა მუდამ საღვთო წერილს კითხულობდა. ეს ნიშა მოუჩუქურთმებელი იყო, და გოლდმუნდმაც გადანყვიტა საკითხავ მერხამდე ასასვლელი და თვითონ ნიშაც ხის ჩუქურთმაში ჩაესვა, კათედრისათვის დაემსგავსებინა, ნახევრად ამოწეული და რამდენიმე თითქმის თავისუფლად მდგომი ფიგურით შეემკო. აბატს რომ გაუმჟღავნა გეგმა, მან შეაქო და დალოცა.

როცა ბოლოს მუშაობას შეუდგა – თოვლი იდო და საშობაო დღეები მიწურულიყო – გოლდმუნდის ცხოვრება ახლებურად წარიმართა. თითქოს მონასტრისათვის აღარ არსებობდა.

აღარავის დაუნახავს იგი, აღარ უცდიდა მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს, აღარ დახეტილობდა ტყეში, აღარ ტრიალებდა გალერეაში.



მენისქვილესთან სადილობდა ხოლმე. ეს ის მენისქვილე არ იყო, ვინც მოწაფეობაში ბევრჯერ ენახა. სახელოსნოში დამხმარე გლეხის გარდა კაციშვილს არ უშვებდა და იყო დღეები, როცა მასთანაც არ იღებდა ხმას.

პირველი ნაწარმოებისათვის, პატრონიკესთვის, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ეს გეგმა დასახა: მისი ნამუშევრის ორივე მხარეს, ერთგან ქვეყანა, მეორეგან საღვთო წერილი უნდა გამოესახა, ქვედა ნაწილი, მუხის წინწამოწეული და მასზე მოტრიალე კიბე წარმოდგენილი იქნებოდა დაბადებით, ბუნების სურათებითა და პატრიარქთა თავმდაბლური ცხოვრებით. ზედა ნაწილს, მოაჯირს, ოთხი მახარებლის სახე შეამკობდა. ერთ მახარებელს ნეტარი აბატის დანიელის სახე ექნებოდა. მეორეს – ნეტარი მამის, მისი შემცვლელის მარტინისა, ლუკას სახით კი მხატვარ ნიკლაუსის სახეს მარადიულობას მიანიჭებდა.

ამის მოფიქრების შემდეგ იგი დიდზე დიდი სიძნელეების წინაშე დადგა, სულ ამაზე დარდობდა, მაგრამ ეს ტკბილი დარდი იყო, თავდაჭერილი ქალივით ხან ალაფროთოვანებდა და ხან სასონარკვეთილებაში აგდებდა თავისი ჩანაფიქრი. როგორც მეთევზე ანკესზე წამოგებულ ქარიყლაპიას, ფრთხილად, გამუდმებით ეჭიდებოდა მას. ყოველი წინააღმდეგობა ცოდნას მატებდა და გრძნობას უხვეწდა. ყველაფერი დაივიწყა.

დაავიწყდა მონასტერი, თითქმის ნარცისიც, რომელიც რამდენიმეჯერ მასთან მივიდა, მაგრამ ნახაზების გარდა ვერაფერი დაინახა.

ერთ დღეს გოლდმუნდმა მოულოდნელად მიმართა თხოვნით, აღსარება მომისმინეო.

- აქამდე საამისოდ ვერ განვეწყვე, შენ წინაშე საკმაოდ დამცირებულად ვგრძნობდი თავს. ახლა წელში გავიმართე კაცი, ჩემი სამუშაო მაქვს და არარაობის შეგრძნება გამიქრა.

რადგანაც ერთხელ უკვე ნამყოფი ვარ მონასტერში, მინდა მის წესრიგს დავემორჩილო.

მისთვის დრო გაიწელა, ლოდინი აღარ სურდა. პირველივე კვირიდან ჭვრეტით სავსე ყოფამ, მონასტერთან შეხვედრამ, ჭაბუკობის დროინდელმა ფიქრებმა, ერიხის თხოვნით ამბების თხრობამ გადაახედინა თავის ცხოვრებისათვის და ამან გარკვეული წესრიგი და სინათლე შეჰმატა ყოველივეს.

ბარ-ზეიმის გარეშე მიიღო იგი ნარცისმა სააღსარებოდ, რომელიც ორი საათი გაგრძელდა. ნაკვთის შეუტოკებლად ისმენდა აბატი თავისი მეგობრის თავგადასავლებს, ვნებებს, ცოდვებს, არ შეუწყვეტინებია. ხანდახან თუ კითხვას მისცემდა.

გულმოდგინედ მოისმინა აღსარების ის ნაწილი, სადაც გოლდმუნდი

სამართლიანობისა და სიკეთისადმი რწმენის გაქრობაზე გამოუტყდა. იგი შეძრა აღმსარებლის აღიარებულმა ზოგიერთმა ცოდვამ. მან დაინახა, რამდენჯერ შეურყევია ეს კაცი ეჭვებს, შეუშინებია, შეცოდებასთან მიუახლოვებია.

შემდეგ კვლავაც ღიმილი მოჰგვარა და გააკვირვა მეგობრის უცოდველად დარჩენილმა ბავშვურობამ; როცა ნახა, რაოდენ წუხდა და ინანიებდა თავის უღმერთო აზრებს, რომლებიც მის საკუთარ ეჭვებთან და აზროვნების უფსკრულთან შედარებით უწყინარნი ჩანდა.

გოლდმუნდის გასაოცრად, დიახ, გასაოცრად და გულდასაწყვეტად, მოძღვარმა მისი ცოდვები არცთუ ისე მძიმედ მიიჩნია.

გააფრთხილა კია და დაუნდობლად სასჯელიც დაადო ლოცვის, აღსარების და ზიარების უპატივცემულობის გამო. დააკისრა მონანიება, ზიარების მიღებამდე ოთხი კვირა თავდაჭერილი, უმწიკვლო ცხოვრება, ყოველ დილით ცისკრის წირვის მოსმენა და ყოველ მწუხრზე სამჯერ «მამაო ჩვენოსა» და «გიხაროდენის» თქმა.

შემდეგ დასძინა:

– გააფრთხილებ და გთხოვ, ეს მონანიება იოლად არ მიიღო.



არ ვიცი, გახსოვს თუ არა კიდევ წირვის ტექსტი ზუსტად.

შენ მას სიტყვასიტყვით უნდა მიჰყვე და შენი ფიქრებით ჩაერთო. მამაო ჩვენოსა და რამდენიმე საგალობელს დღეს თვითონვე გეტყვი და მიგითითებ კიდევ, თუ რა სიტყვებსა და მნიშვნელობებს უნდა მიაქციო განსაკუთრებული ყურადღება. წმინდა სიტყვები ჩვეულებრივი სიტყვებით არ უნდა წარმოთქვა და მოისმინო. რამდენჯერაც კი შეამჩნევ, რომ სიტყვებს მხოლოდ მექანიკურად კითხულობ, ხოლო ეს უფრო ხშირად მოხდება, ვიდრე გგონია, ეს წუთები და ჩემი გაფრთხილება გაიხსენე, თავიდან დაიწყე და სიტყვები ისე თქვი, გულში ისე შეუშვი, როგორც მე გეტყვი.

ეს მხოლოდ კარგი დამთხვევა იყო თუ აბატის ღრმა ზემოქმედების შედეგი, ამ აღსარებისა და მონანიების შემდეგ გოლდმუნდს სისავსისა და სიმშვიდის ხანა დაუდგა, რამაც ის დიდად გააბედნიერა. მეტად დაძაბულ, გადამღლელ და სასიამოვნო მუშაობის ჟამს ყოველ დილა-საღამოს იოლი, მაგრამ კეთილსინდისიერად შესრულებული სულიერი ვარჯიშების წყალობით დღის მღელვარებისაგან თავისუფლდებოდა და მთელი არსებით უმაღლეს წესრიგს უბრუნდებოდა.

ამან კი იგი ხელოვნების სამიშ სიმართლეს გამოსტაცა და ბავშვივით ღვთის საუფლოში შეიყვანა. მარტოსული ერკინებოდა იგი თავის ქმნილებას, სწირავდა მას თავის თავს და კვლავ უცოდველობისაკენ მიუძღვებოდა.

სიბრაზისა და მოუთმენლობისაგან რეტდასხმული ანდა მთელი არსებით აღტაცებული ხშირად მუშაობისას ჩაყვინთავდა ხოლმე, ვითარც ღრმასა და გრილ წყალში, ამ ღვთისმოსაურ სავარჯიშოებში და აღფრთოვანებისაგან, სასონარკვეთილებისა თუ ქედმაღლობისაგან განიწმინდებოდა.

მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო. ხანდახან გადამქანცველი სამუშაო საათების შემდეგ საღამოობით სიმშვიდე და გულისხმიერება ეკარგებოდა, ავიწყდებოდა სავარჯიშოები და თავის თავში ჩაძირულს ხშირად ტანჯავდა და აწვალავდა ის ფიქრი, რომ სადღაც ლოცვების კითხვა უფლისადმი, რომელიც არ არსებობდა, ბავშვური ცდა იყო, ანდა იგი მას მაინც არ შეეწეოდა. ეს კიდევ შესჩივლა მეგობარს.

– ასევე განაგრძე, – უთხრა ნარცისმა. – შენ ეს აღთქმული გაქვს და უნდა შეასრულო.

იმაზე არ იფიქრო, უფალი შენს ლოცვას შეისმენს თუ არა, ან ღმერთი, რომელსაც შენ წარმოიდგენ, საერთოდ არსებობს თუ არა. არც იმაზე ფიქრი გმართებს, რომ შენი მცდელობანი ბავშვურია. იმასთან შედარებით, რისადმიც ჩვენი ლოცვებია მიპყრობილი, მთელი ჩვენი საქმიანობა ბავშვურია, ეს გიჟური, ბალღური ფიქრები ლოცვისას თავიდან უნდა ამოიგდო მთლიანად. შენ შენი მამაო ჩვენო და გიხაროდენი უნდა წარმოთქვა, სიტყვებს მიეცე და მისით აივსო ისევე, როგორც სიმღერისას თუ ბარბითზე დაკვრისას რაიმე

ჭკვიანურ აზრსა და გონებით ჭვრეტას კი არ მიჰყვები, მელოდიას თითების მოძრაობებით შეძლებისდაგვარად სუფთად და სრულყოფილად ასრულებ. სიმღერისას სიმღერის სარგებლობაზე კი არ ფიქრობენ, მღერიან. ასევე უნდა ილოცო.

და მან კვლავ შესძლო ამის მოხერხება. ისევ განქარდა მისი დაძაბული და უძლები მე წესრიგის ფართო თაღებში, ისევ განიცადა ღირსი სიტყვები და ვარსკვლავებივით გაბრწყინდნენ ისინი.

დიდი კმაყოფილებით შეჰყურებდა აბატი გოლდმუნდს, მონანიებისა და ზიარების მიღების შემდეგ ყოველდღიურ ღოცვებს კვირებით, თვეებით რომ ასრულებდა.

ამასობაში მისი ქმნილება წინ მიიწევდა. სქელრიკულებიან კიბეებიდან გამოიზარდა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა სახეების პატარა სამყარო, რომლის შუაგულში, ვაზის ფოთლებსა და მტევნებში, მამა ნოე მოჩანდა. ხელოვანის სურათხატებიანი სამყარო ღვთის ქმნილებასა და მის მშვენიერებას აქებდა, ადიდებდა. იქ თითქოს ყველაფერი ლალად, თამაშ-თამაშით, მაგრამ ფარული წესრიგითა და მორჩილებით წარმართულიყო. თვეების განმავლობაში ქმნილება არავის უნახავს, გარდა ერიხისა, რომელიც გოლდმუნდს ეხმარებოდა და ხელოვანად დალოცვა სურდა. თუმცა ზოგჯერ არც მას ჰქონდა სახელოსნოში შესვლის უფლება. ზოგჯერ კი გოლდმუნდი



მზრუნველად ასწავლიდა და საქმეზე ავარჯიშებდა, უხაროდა, ღვთისნიერი მოწაფე მყავსო. ქმნილება თანდათან სრულდებოდა. გოლდმუნდს ერისის მამის თხოვნა ახსენდებოდა, შენი ერთგული დამხმარე აღზარდეთ.

მახარებლების ფიგურებზე იგი იმ დღეებში მუშაობდა, როცა ყველაფერი ჰარმონიულად მიდიოდა და ეჭვი არ სტანჯავდა.

ყველაზე კარგად მისი ფიქრით ის ფიგურა გამოუვიდა, რომელსაც აბატი დანიელის სახე მისცა, ვინც ასე ძალიან უყვარდა და ვისი სახეც უცოდველობასა და სიკეთეს ასხივებდა. მხატვარ ნიკლაუსის ფიგურა არც მაინცდამაინც მოსწონდა, თუმცა ერისის ის მეტისმეტად აღაფრთოვანებდა.

ეს სახე გაორებასა და მწუხარებას გამოხატავდა, მაღალი შემოქმედებითი გეგმებით სისავსეს და იმავე დროს შემოქმედების სარგებლობაზე დაეჭვებასა და დაკარგულ ერთიანობასა და უცოდველობაზე სევდასაც.

როცა აბატი დანიელის ფიგურა დაამთავრა, ერისის სახელოსნო დაასუფთავებინა. დამთავრებულ ნაწარმოებს ნაჭერი ჩამოაფარა და მზეზე დადგა. შემდეგ კი ნარცისთან წავიდა, მაგრამ მას თურმე არ ეცალა და გოლდმუნდს მეორე დღემდე უნდა ელოდა. შუადღე იყო, როცა ნარცისი თავის სახელოსნოში მიიყვანა.

ნარცისი იდგა და უყურებდა. გოლდმუნდი თავის მხრივ გულმოდგინედ აკვირდებოდა გვერდიდან სწავლულის სახეს, მდუმარედ ელოდა გულში ქარიშხლის ჩაწყნარებას. - ოჰ, - ფიქრობდა, - რა ბოროტება იქნებოდა, ერთ-ერთი ჩვენგანი რომ არ იყოს, მაგრამ თუ ნაწარმოები საკმაოდ კარგი ვერ არის, ანდა იგი ვერ ჩანვდეს, მთელი ჩემი საქმიანობა წყალში იქნება ჩაყრილი. და ისევ ცდა დამჯირდება.

წუთები საათები ეგონა, ის დრო გაახსენდა, როცა მხატვარმა ნიკლაუსმა მისი პირველი ნახატი ხელში აიღო. ნარცისი დაძაბულობისაგან ოფლიან ხელებს ისრესდა.

მაგრამ როცა ნარცისი მისკენ მოტრიალდა, მაშინვე შვება იგრძნო. მეგობრის ნატიფ სახეზე რაღაც ისეთი გადაიშალა, რაც ჭაბუკობის წლების შემდეგ მისთვის აღარ შეუმჩნევია.

ეს იყო ღიმილი, ამ სულიერებითა და ნებისყოფით სავსე სახეზე თითქმის მარადიული ღიმილი, სიყვარულისა და გატაცების ღიმილი, გასხივოსნება, თითქოს ამ სახეს მართლობა და სიამაყე წამით ამოერეცხა და მხოლოდ სიყვარულით სავსე გული გამოჩნდა.

- გოლდმუნდ, - თქვა ნარცისმა ძალზე წყნარად, სიტყვების აწონ-დაწონვით, - ჩემგან ნუ ელი, უცებ ხელოვნებათმცოდნე გავხდე. შენ იცი, ამას ვერ შევძლებ.

შენს ხელოვნებაზე ისეთს ვერაფერს ვიტყვი, შენთვის სასაცილო არ იყოს. მაგრამ ერთის თქმის ნება მომეცი: პირველი შეხედვისთანავე ამ მახარებელში ჩვენი აბატი დანიელი შევიცან, და არა მართო ის, არამედ ყველაფერი, რაც მაშინ გვასწავლა:

ღირსება, სიკეთე, უბრალოება. როგორც ჩვენს სიჭაბუკეში ნეტარი მამა დანიელი ღრმა მოწიწების აღმძვრელი იყო ჩვენში, ახლაც ისეთივე დგას ჩემ წინაშე და მასთან ერთად ის ყველაფერი, რაც მაშინ ჩვენთვის წმინდა იყო და რამაც ის დრო ჩვენთვის დაუვიწყარი გახადა. შენ ამით გამამდიდრე, მეგობარო, შენ მხოლოდ ჩვენი აბატი დანიელი კი არ წარმომიდგინე, თავად პირველად შეგიცანი მთლიანად.

ახლა ვიცი, ვინ ხარ შენ. ამაზე აღარ ვილაპარაკოთ, ამის ნება მე არა მაქვს. ო, გოლდმუნდ, ჩვენთვისაც დადგა ეს წუთები!

დიდ ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. გოლდმუნდმა შეამჩნია, როგორ შეძროდა მეგობარს გული. იგი მძიმედ სუნთქავდა.

– დიახ, – მოკლედ თქვა ნარცისმა, – მიხარია. ახლა კი სადილის დროა.



# თავი მეცხრამეტი

ორი წელი მუშაობდა გოლდმუნდი ამ ქმნილებაზე, მეორე წლიდან ერიხი უკვე დაიმონაფა. კიბეზე ამოჩუქურთმებულ ნაწარმოებით პატარა სამოთხე შექმნა, გატაცებით ამოკვეთა ტურფა ბუნება ფოთლოვანი ხეებითა და მცენარეებით, სადაც ტოტებზე ფრინველები, ცხოველთა სხეულები და თავები მოჩანდნენ. ამ წყნარ, პირველყოფილ ბაღში მამათა ცხოვრების რამდენიმე სცენა წარმოადგინა. ამ სამუშაოთი გართული თითქმის არ ისვენებდა. ზოგჯერ კი მუშაობა აღარ შეეძლო, რადგან დაღლილსა და გაბეზრებულს თავისი ქმნილება მოებზრებოდა. ჰოდა, შეგირდს დავალებას მისცემდა, თვითონ კი აქეთ-იქით დარბოდა, ცხენით მიდიოდა, თავისუფლებისა და მოხეტიალე ცხოვრების უცნაურ სურნელს სუნთქავდა ტყეში, აქა-იქ გლეხის გოგოს მონახავდა, სანადიროდაც მიდიოდა და საათობით იწვა მწვანეში, ხის კენწეროთა თაღოვან სივრცესა და გვიმრითა და კურდღლისცოცხათი დაფარულ ადგილებს მიშტერებოდა. ერთ-ორ დღეზე მეტი გზაში არ დარჩენილა. მერე თავის ქმნილებას ახალი გზებით უბრუნდებოდა, გატაცებით კვეთავდა ყარყარა ბალახოვან მცენარეებს, მშვიდად, სათუთად გამოჰყავდა ხიდან ადამიანთა თავები, საჭრეთლის ძლიერი მოქნევით უკეთებდა პირს, თვალებს, ხშირ წვერს. ერიხის გარდა მარტო ნარცისს ჰქონდა ნანახი მისი ქმნილება. ხშირად მოდიოდა ხოლმე აქ, ხანდახან სახელოსნო ყველაზე საყვარელ ადგილს წარმოადგენდა მისთვის ეკლესიაში.

სიხარულითა და გაოცებით შეჰყურებდა. და ჰა, გაფურჩქვნის ხანა დაუდგა იმას, რასაც მისი მეგობარი თავისი შფოთიანი, ჯიუტი და ბავშვური გულით ატარებდა, იზრდებოდა, ხარობდა ქმნილება - პატარა ჰორელიეფური ნაწარმოები: იქნებ თამაში, მაგრამ, ცხადია, ლოგიკაზე, გრაფიკაზე და თეოლოგიაზე არცთუ ნაკლები.

ერთხელ დაფიქრებულმა ნარცისმა უთხრა გოლდმუნდს:

- მე შენგან ბევრს ვსწავლობ, ხელოვნების გაგებას ვიწყებ.

უნინ მეგონა, ამროვნებასა და მეცნიერებასთან შედარებით იგი სათვალავში ჩასაგდები არაა მეთქი. დაახლოებით ასე ვფიქრობდი: რადგან ადამიანი სულისა და მატერიის საეჭვო ნარევია, რამეთუ სული მარადისობას შეაცნობინებს, ხოლო მატერია ქვევით ეზიდება და წარმავალს აჯაჭვებს, იგი გრძნობიერს უნდა განერიდოს და სულიერისაკენ ისწრაფვოს, რათა თავისი ცხოვრება აღამაღლოს და ამრი შესძინოს. ჩვეულებრივ ხელოვნებას დიდ ყურადღებას ვაქცევდი, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მაინც ქედმაღლურად ბემოდან დავყურებდი. ახლა პირველად მივხვდი, თუ რამდენი გზა არსებობს შესამეცნებლად. სულის გზა ერთადერთი არ არის და ალბათ არც საუკეთესო. ეს ჩემი გზაა. მე მას მივყვები. მაგრამ შენ საპირისპირო, გრძნობათა გზაზე გხედავ. ყოფიერების საიდუმლოება ისევე ღრმად ჩასაწვდომი და შესაქმნელია, უფრო ცოცხლად გადმოსაცემია, ვიდრე ეს მოაზროვნეთა მეტწილმა შესძლეს.

- შენ მიმიხვდი, - მიუგო გოლდმუნდმა, - რომ არ შემიძლია ჩავწვდე აბრს წარმოდგენების გარეშე?

- მე ეს დიდი ხანია ვიცი. ჩვენი აბროვნება მუდმივი აბსტრაქციების, გრძნობათა უარყოფის და წმინდა სულიერი სამყაროს აშენების მცდელობაა. შენ კი სწორედ ყველაზე უფრო არამუდმივი, ყველაზე უფრო მოკვდავი მიგაქვს გულთან ახლოს და სამყაროს აბრს წარმავალ ცხოვრებაში აცხადებ. შენ წარმავლობას გვერდს არ უვლი, შენ მას ბოლომდე გრძნობ, წარმავალი ცხოვრების გრძნობას ზენარ გრძნობად აქცევ და მარადიულს ამსგავსებ. ჩვენ, მოაზროვნენი, უფალთან მიახლოებას ვცდილობთ, მაშინ როცა შენ მისი შემოქმედება გიყვარს და ხელახლა ჰბადებ. ეს ორივე ადამიანის მიერ ქმნილა, ორივე უკმარია, მაგრამ ხელოვნება უფრო უბიწოა.

- არ ვიცი, ნარცის. ეს კია, ცხოვრებასთან შებრძოლება, სასონარკვეთის თავიდან აცილება თქვენთვის, მოაზროვნეთა და თეოლოგებისათვის უფრო ადვილი მისაღწევია. მე დიდი ხანია შენი სწავლეულობის არ მშურს, ჩემო მეგობარო, მაგრამ მშურს შენი დუმილის, შენი გულგრილობისა და სიმშვიდისა.

- შენ ჩემი არ უნდა გშურდეს, გოლდმუნდ. ისეთი სიმშვიდე არ არსებობს, როგორსაც შენ გულისხმობ. სიმშვიდე, ცხადია არის, მაგრამ არა ისეთი, ჩვენში ხანგრძლივად რომ იმკვიდროს და აღარ დაგვტოვოს, ერთი სიმშვიდე



არსებობს მხოლოდ, უწყვეტი ბრძოლით მოპოვებული და დღითი დღე ახლიდან დასაძლევია. შენ მასთან ჭიდილში ვერ მხედავ, შენ არც ჩემი წინააღმდეგობანი იცი მეცადინეობისასა და არც ჩემი ბრძოლები – სამლოცველოში. კარგია, რომ არ იცი.

შენ მარტო იმას ხედავ, რომ შენზე ნაკლებად ვარ გუნებაწამხდარი, რასაც შენ სიმშვიდეს ეძახი. ეს კი ბრძოლაა, ეს სამსხვერპლო შერკინებაა, როგორც ყოველი მართალი ცხოვრება, შენიც მათ შორის.

– ნუ ვიკამათებთ ამაზე. ვერც შენ ხედავ ჩემს ყველა ბრძოლას. მეც არ ვიცი, თუ გესმის, რაც ჩემს გულში ხდება.

როცა იმაზე ვფიქრობ, რომ ჰა, მალე ეს ნაწარმოები დასრულდება, მიიტანენ და გამოფენენ, შემდეგ ქების სიტყვებს არ დაიშურებენ, მერე მოვბრუნდები დაცარიელებულ სახელოსნოში დაღონებული, რადგან ნაწარმოებში ბევრი რამე უნაკლოდ ვერ შევასრულე, რისი შემჩნევაც თქვენ გაგიჭირდებათ და სახელოსნოსავით გამოცარიელებული და განძარცული მეგონება ჩემი თავი.

– ალბათ ასეა, – დაუდასტურა ნარცისმა, – ჩვენგან არც ერთს არ ძალუძს მეორე კაცს ბოლომდე ჩანვდეს, კეთილი ნების ადამიანებისათვის საერთო კი, იცი, რა არის:

ის, რომ ჩვენი ნაწარმოებები ბოლოს ჩვენ აღგვემატებინ და მსხვერპლი კვლავ თავიდან შესაწირია.

რამდენიმე კვირაში გოლდმუნდმა თავისი დიდი ნაწარმოები დაამთავრა და ის გამოფინეს. მოხდა ის, რაიც მან ადრევე ივარაუდა: ნაწარმოებს ბევრი მნახველი მოაწყდა, დაათვალიერეს, განსაჯეს, შეაქეს, ადიდეს და პატივიც მიაგეს. მისი გული ნაწარმოებისაგან განთავისუფლდა, აღარც ახსოვდა, რა მსხვერპლის ფასად დაუჯდა თავისი ქმნილება. ფარდის ახდის დღეს იგი მამებმა ტრაპეზზე მიიწვიეს, საზეიმო სუფრა გაშალეს და მონასტრის უძველესი ღვინით დაამშვენეს.

გოლდმუნდმა თევზი და გარეული ფრინველის ხორცი იგემა, თუმცა ღვინოზე უფრო მეტად იმ სიხარულმა და თანაზიარობამ გაათბო, როგორითაც ნარცისმა მისი ქმნილება შეაფასა.

აბატის მიერ მოსურვებული და შეკვეთილი ახალი სამუშაოს მონახვაში უკვე გააკეთა, ეს ღვთისმშობლის საკურთხეველი იყო სამლოცველოსათვის მონასტრის კუთვნილ ახალ უბანში, სადაც მარიამბრძოლელი მამა მღვდლად გამწესდებოდა.

ამ საკურთხეველისათვის სურდა გოლდმუნდს ღვთისმშობლის ფიგურის შექმნა და მასში თავისი ყმანვილობის ერთერთი დაუვინყარი სახის, რაინდის

მშვენიერი და მფრთხალი ასული ლიდიას უკვდავყოფა. სხვათა შორის ეს დავალება მისთვის არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო და ფიქრობდა, ეს სამუშაო ერისს უფრო შეეფერება, როგორც მონაფეს, და მას შევასრულებინებო.

დაასაქმებდა რა ერისს, იგი თავისთვის მუდმივსა და კარგ დამხმარეს შეიძენდა, რომელიც შესცვლიდა ხოლმე და იმ სამუშაოებისაგან გაანთავისუფლებდა, რომელთა შესრულებაც მართოს ემძიმებოდა. ახლა იგი ერისთან ერთად ფიცრებს ეძებდა საკურთხევლისთვის, რომელიც მასვე ააწყობინა. ხშირად მართოსაც ამუშავებდა, რადგან თვითონ ხეტიალი და ტყეში წანწალი წამოიწყო ისევ.

ერთხელ გოლდმუნდი რამდენიმე დღე აღარ გამოჩნდა, ეს ამბავი ერისმა აბატს შეატყობინა; აბატი შეფიქრიანდა, ვაითუ სამუდამოდ წავიდაო. მაგრამ გოლდმუნდი კვლავ დაბრუნდა, რამდენიმე კვირა ლიდიას ფიგურაზე იმუშავა, მერე ისევ ყიალი მოუნდა.

ახლა სულ დარდიანი იყო, დიდი სამუშაოს დასრულების შემდეგ მისი ცხოვრება აირია, ცისკრის წირვებს აცდენდა, ღრმა შფოთმა და უკმაყოფილებამ მოიცვა. ახლა ბევრს ფიქრობდა ოსტატ ნიკლაუსზე, ეგონა, მეც ისეთი გავხდებო.



მხატვარი ნიკლაუსი ხომ გულმოდგინე, მაგრამ გულგრილი, შემოქმედებითი ძალებისაგან დაცლილი, ჩაკეტილი მოხუცი იყო. ერთმა ამბავმა გოლდმუნდი შეაფიქრინა და ერთხანს დარდადაც გაჰყვა. ხეტიალში გლეხის გოგონას გადაეყარა, სახელად ფრანცისკას, რომელიც ისე მოეწონა, მის მოსახიბლად წინანდელივით ყველა საარშოიყო სიტყვა მოიშველია.

გოგონა სიამოვნებით უსმენდა მის ლაყბობას, მხიარულად იცინოდა, მაგრამ საალერსოდ ახლოს არ მიიკარა, გოლდმუნდმა მაშინ პირველად იგრძნო, რომ ამ გოგოსთვის იგი ბებერი იყო. ამიტომაც აღარ მისულა მასთან. მაგრამ ეს ამბავი ვერა და ვერ დაივიწყა. ფრანცისკა არ შემცდარა, იგი სხვა კაცი გახდა, ამას თვითონვე გრძნობდა, არა მარტო ნაადრევად შეჭაღარავებული თმა და თვალებთან რამდენიმე ნაოჭი, არამედ მის არსებაში, ხასიათში რაღაც იყო კიდევ შეცვლილი. იგი თავს დაბერებულად გრძნობდა, მხატვარ ნიკლაუსთან დაუფარავ მსგავსებას ნახულობდა. უკმაყოფილოდ აკვირდებოდა თავის თავს და მხრებს იჩეჩავდა. ის თავისუფალი აღარ იყო, ფესვები მოეკიდა. არწივივით აღარ დანავარდობდა, კურდღელივით აღარ ფრთხოდა, შინაური ცხოველივით დაბინადრებულიყო. გარე-გარე ხეტიალისას წარსულის სურნელს ეძებდა, ახალ მოგზაურობასა და ახალ თავისუფლებაზე მეტად თავისი წინანდელი მოგზაურობანი ახსენდებოდა, რასაც ისეთი მონატრებითა და უიმედობით ეძებდა, როგორც ძაღლი დაკარგულ გეშს. ორი-სამი დღე გარეთ რომ დაჰყოფდა, ცოტას გაისეირნებდა თუ გამხიარულდებოდა, გული კვლავ უკან ეწეოდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა,

რომ სახელოსნო მის მოსვლას ელოდა. აფიქრებდა დაწყებული საკურთხეველი, მომზადებული ფიცარი, პასუხისმგებლობას გრძნობდა ერისისადმიც. ის თავისუფალი აღარ იყო, და აღარც ახალგაზრდა. მტკიცედ გადაწყვიტა:

როცა ლილია-მარიამი მზად ექნებოდა, მოგზაურობას წამოიწყებდა და კიდევ ერთხელ გაუსინჯავდა გემოს მოხეტიალის ცხოვრებას. უძნელდებოდა მონასტერში მხოლოდ კაცებთან ყოფნა. შეიძლება ბერებისათვის ეს კარგი იყო, მაგრამ მისთვის არა. კაცებთან ლამაზად, ჭკვიანურად შეიძლებოდა ლაპარაკი, ხელოვანის ნიჭს ხვდებოდნენ, მაგრამ სხვა დანარჩენი, ლაყბობა, სინაზე, თამაში, სიყვარული, სიამოვნება დაუფიქრებლად და განუსჯელად, კაცებთან ამას ვერ იპოვიდა, ამისათვის საჭირო იყო ქალები და მოგზაურობა, ხეტიალი და კვლავ ახალი სურათები. აქ ყოველივე მის ირგვლივ უფერული და სერიოზული, მძიმე და მამაკაცური იყო და აქაურობის დატოვება უნდოდა, მოგზაურობა სისხლში ჰქონდა გამჯდარი.

მოგზაურობაზე ფიქრმა ანუგეშა იგი. ყოჩაღად მუშაობდა, რომ მალე დაემთავრებინა. და როცა ხიდან თანდათან გამოეკვეთა ლილიას სახე, როცა ნატიფ მუხლებზე სადა კაბის ნაკვეციები ჩამოეშვა, შინაგანმა და ტკივილიანმა სიხარულმა შეაკრთო, შეაკრთო მშვენიერი მორიდებული გოგონას ფიგურის, მაშინდელი ამბების, პირველი სიყვარულის, პირველი მოგზაურობის, ყრმობის ტკივილიანმა სიყვარულმა. ჩაფიქრებით მუშაობდა იგი ნაზ სახეზე. თავისი

ყრმობის ნაგმა მოგონებებმა, მის ცხოვრებაში ყველაზე უკეთესმა ერთიანობაში აგრძნობინეს ქალი. ბედნიერება იყო მისი ყელის, თბილი, ნაღვლიანი პირ-ბაგის, მშვენიერი, ხელების, გრძელი თითების, თითის ფრჩხილების ლამაზი თალების გამოსახვა; გაოცებით, პატივისცემითა და სიყვარულით შესციცინებდა ერიხიც ფიგურას, როცა კი ნახვის საშუალება მიეცემოდა.

გოლდმუნდმა დასრულებამდე აჩვენა იგი აბატს. ნარცისმა უთხრა: ეს შენი უმშვენიერესი ნაწარმოებია, ძვირფასო, ამისი ბადალი მონასტერში არაფერი მოიძებნება. უნდა გამოგიტყდე, ამ ბოლო თვეებში რამდენჯერმე შემაწუხა შენმა დარდმა. შფოთიანი და გატანჯული გნახე, და როცა შენ ერთ დღეზე მეტხანს გადაიკარგე, გულს ჯავრი შემომანწვა, ვაითუ აღარ დაბრუნდეს-მეთქი, შენ კი ეს საოცარი ფიგურა შეგიქმნია. მიხარია და ვამაყობ შენით.

- დიახ, - მიუგო გოლდმუნდმა, - ფიგურა მშვენიერია.

თუმცა მისმინე, ნარცის! ეგ რომ კარგი გამოსულიყო, ამისთვის თურმე მთელი ჩემი სიჭაბუკე ყოფილა საჭირო, ჩემი მოგზაურობანი, ჩემი გამიჯნურება, მრავალი ასულის ტრფიალი.

ეს ის წყაროა, საიდანაც იგი შევქმენი. წყარო მალე დაიშრიტება, უდაბურება დაისადგურებს ჩემს გულში. ამ ღვთისმშობელს რომ დავამთავრებ, კარგა



ხნით წასვლის ნებას მივიღებ და არ ვიცი, რამდენი ხნით წავალ. ისევ გავიხსენებ ჩემს სიჭაბუკესა და ყოველივე იმას, ჩემთვის ადრე ძალზე საყვარელი რომ იყო. გამიგებ ამას? იცი, მე შენი სტუმარი ვიყავი და ამ სამუშაოში არასოდეს არაფერი ამიღია...

- მე შენ ეს ბევრჯერ შემოგთავაზე, - სიტყვა არ დაამთავრებინა ნარცისმა.

- მართალია, მაგრამ ახლა მჭირდება. ახალ ტანსაცმელს შევაკერინებ და, როცა მზად იქნება, ცხენსა და რამდენიმე ტალერსაც გთხოვ, შემდეგ კი გავუდგები გზას. ნურაფერს მეტყვი, ნარცის, და ნურც დალონდები. არ გეგონოს, აქ არ მომწონდეს ყოფნა, უკეთესად ვერსად ვიქნები. საქმე სხვა რამეს ეხება. შეგიძლია სურვილი შემისრულო?

ამაზე ბევრი აღარ ულაპარაკნიათ. გოლდმუნდმა უბრალო მხედრის კაბა და ჩექმები შეუკვეთა. როცა ბაფხული მოახლოვდა და ღვთისმშობელმა დამთავრებული სახე მიიღო, ისეთი სიყვარულითა და სიფრთხილით ეფერებოდა მის ხელებს, სახეს, თმას, თითქოს ეს მისი უკანასკნელი ქმნილებათაა.

თითქოს აქედან გამგზავრებაზე ყოყმანობდა, ფიგურაზე უკანასკნელ საამო სამუშაოებს მართლაც ყოვნებით აკეთებდა.

დღე დღეს მისდევდა, მას კი კვლავ და კვლავ რაღაც რჩებოდა მოსაწესრიგებელი.

თუმცა ნარცისი მოსალოდნელ გამომშვიდობებას მეტად განიცდიდა, ხანდახან მაინც ეღიმებოდა, გოლდმუნდს ასე რომ შეუყვარდა ღვთისმშობლის ფიგურა, ასე უჭირდა მისთვის თავის დანებება.

მაგრამ ერთ დღეს გოლდმუნდმა მაინც გააოცა იგი, როცა უცებ გამოსამშვიდობებლად გამოეცხადა. ღამით მიუღო გადანყვეტილება.

ახალ კაბასა და ქუდში გამოწყობილი ეახლა იგი ნარცისს გამოსათხოვრად.

ცოტა ხნის წინ აღიარა უკვე ცოდვანი და ეზიარა. ახლა იგი კეთილი სურვილების სათქმელად მოსულიყო და კიდევ იმიტომ, მისთვის ნარცისს გზა დაელოცა. განშორება ორივეს ემძიმა, გოლდმუნდს მხნედ და დამაჯერებლად ეჭირა თავი, თუმცა სინამდვილეში სულაც არ იყო ასე.

- ნეტა გნახავ კიდევ როდისმე? - ჰკითხა ნარცისმა.

- ო, თუ შენმა მშვენიერმა ბედაურმა კისერი არ მომტეხა, ცხადია, მნახავ. აქ ხომ აღარავინ იქნება ისეთი, ვინც ნარცისს დაგიძახებს და სადარდებელს გაგიჩენს, რაიც სულაც არ გჭირდება. იცოდე, ერიხზე თვალი გეჭიროს. ჩემს

ფიგურასაც ნურავინ შეეხება! ჩემს ოთახში იდგეს, როგორც გითხარი, შეგიძლია გასაღები შენ დაიტოვო.

– გიხარია მოგზაურობა?

გოლდმუნდმა თვალები აახამხამა:

– ჰო, მიხარია, მიხარია, მაგრამ ახლა, როცა უნდა წავიდე, რაღაც სხვა გრძნობა შემეპარა, თითქოს ჩემი ქმნილებები აღარ მიშვებენ, იქნებ გაგეცინოს, მაგრამ ადვილად ვერც შენ გშორდები, ეს კი არ მომწონს. ეს ავადმყოფობას ჰგავს, რაც ახალგაზრდა და ჯანმრთელ კაცს არ შეეფერება.

მხატვარი ნიკლაუსიც ასე იყო. აჰ, რა აზრი აქვს ლაპარაკს!

დამლოცე, ძვირფასო, უნდა გამოგეთხოვო!

და გოლდმუნდმა დატოვა იქაურობა.

ნარცისი ბევრს ფიქრობდა თავის მეგობარზე, დარდობდა და ენატრებოდა იგი. ნეტავ თუ ისევ მოვიდოდა მასთან ეს გაფრენილი ჩიტი, ეს საყვარელი თავისნება კაცი? აი, გაივლიდა კვლავ ასობით გულის გამაწვრილებელ გზას ეს საოცარი, საყვარელი ადამიანი, იხეციალებდა სამყაროში ეს ხარბი და



ცნობისმოყვარე კაცი, მინებდებოდა ძლიერსა და ბნელ ლტოლვათ ქარიშხალივით დაუოკებლად ეს დიდი ბავშვი. უფალი რომ მასთან იყოს, სამუდამოდ აქ მობრუნდებოდა, არადა, იფარფატებს ისევ პეპელა, ისევ შესცოდავს, შეაცდენს ქალებს, თავის ვნებებს შეეკვრება, იქამდეც კი, იქნებ ვილაცა მოკლას, საფრთხეში, საპყრობილეში ჩაიგდოს თავი, რამდენ ფიქრს უშლიდა ერთ ადამიანს ეს ქერა ბიჭი, დაბერებაზე რომ ჩიოდა და ასეთი ბავშვური თვალეებით კი იყურებოდა? სხვებს როგორ უნდა შინებოდათ მისი! არადა, ასე ძალიან ხომ იმიტომ მოეწონა «ეს ჯიუტი ბავშვი», რომ ესოდენ ძნელი მოსათოკი იყო, რომ ასეთი ხასიათი ჰქონდა, აი, წავიდა ისევ და რქებსაც მოიმტვრევს.

ყოველდღე რაღაცა დროით თავის მეგობარზე ფიქრს უბრუნდებოდა აბატი მონატრებით, სიყვარულით, მადლიერებით, ზრუნვით, ხანდახან თავის თავსაც საყვედურობდა.

იქნებ არ უნდა ერჩია მეგობრისათვის აქაურობის დატოვება?

არადა, რა ძალიან უყვარდა იგი, როგორ გამდიდრდა მისით და მისი ხელოვნებით? თავად კი რა ცოტა რამ უსურვა?

ამის თაობაზე ცოტა ელაპარაკა, ალბათ ძალზე ცოტა. ვინ იცის, იქნებ შეეკავებინა იგი?

გოლდმუნდმა განა მართო გაამდიდრა, გააღარიბა კიდევ, გააღარიბა და დაასუსტა. კიდევ კარგი, რომ მეგობარს ეს არ შეამჩნევინა. სამყარო, ეს სამშობლო, სადაც იგი მკვიდრობდა, მონასტერში ცხოვრება, სამსახური, განსწავლულობა, ლამაზად დანაწევრებულ აზრთა შენობა მეგობარმა ხშირად ძალუმად შეურყია და დააეჭვა. ცხადია: მონასტრიდან გონებითა და ზნეობის თვალთ დანახული მისი საკუთარი ცხოვრება უფრო უკეთესი იყო, უფრო სწორი, უფრო მყარი, უფრო მოწესრიგებული და სანიმუშო. ეს იყო ცხოვრება წესრიგისა და მკაცრი მსახურებისა, მუდმივი მსხვერპლის, სინათლისა და სამართლიანობისადმი განუწყვეტელი სწრაფვის, ეს იყო ცხოვრება უფრო წმინდა და უკეთესი, ვიდრე ხელოვანის, მოხეტიალისა და ქალების მოყვარულისა, ოღონდაც ზემოდან დანახული, ღვთისაგან დანახული – თუმცა განა სამაგალითო ცხოვრების წესრიგი და მორჩილება, სამყაროსა და გრძნობად ბედნიერებაზე უარის თქმა, ტკივილისა და სისხლისაგან შორს ყოფნა, ფილოსოფიაში უკან დაბრუნება და ლოცვა გოლდმუნდის ცხოვრებაზე უკეთესი იყო? განა მართლა წესიერი ცხოვრებისთვის შეიქმნა კაცი, როცა ლოცვების აღვლენას საათობით ზარები მიანიშნებენ? განა იმისთვის შეიქმნა ადამიანი, რომ არისტოტელე და თომა აკვინელი ისწავლოს, ბერძნულს დაეუფლოს, თავისი გრძნობანი აკლას და სამყაროს გაეცქეს?

განა თავადაც არ იყო ღვთისაგან შექმნილი თავისი გრძნობებითა და სწრაფვით, სისხლში გამჭდარი ბნელი ძალებით, შეცოდების უნარით, ხალისითა და სასოწარკვეთით? ეს აზრები უტრიალებდა აბატს თავში, როცა

მეგობარზე ეძლეოდა ფიქრს.

დიახ, ალბათ მართო ბავშვური, ადამიანური არ იყო გოლდმუნდის ცხოვრება, ეს იყო მაინც უფრო გაბედული, უფრო დიდი, საშიში მდინარებით შფოთიანად რომ წააყვანივნებს თავის ცხოვრებას, ჩაადენინებს ცოდვებს და მის მწარე შედეგებს ატვირთებს, ნაცვლად იმისა, რომ სამყაროსგან მოწყვეტით სუფთა ხელებით წარმართოს წმინდა ცხოვრება, ჰარმონიული, ლამაზი აზრების ბალი გააშენოს და მოვლილ კვლებში უცოდველად იაროს. ალბათ უფრო ძნელი, უფრო მამაცური და კეთილშობილი იყო დაგლეჯილი ფეხსაცმლებით ტყეებსა და სოფლის შეკვებში ხეტიალი, მზისა და წვიმის, შიმშილისა და გაჭირვების ატანა, გრძნობათა სიხარულთან თამაში და მისი ვნებებით გადახდა.

ასეა თუ ისე, გოლდმუნდმა მას აჩვენა, რომ ზენარისკენ მსწრაფმა ადამიანმა შეიძლება ძალზე ღრმად ჩაყვინთოს ცხოვრების სისხლიან, დამათრობელ მორევში და დიდ მტვერსა და სისხლში ამოითხვაროს, მაგრამ არ დამდაბლდეს და არ დაკნინდეს, თვისი სულის სინამდვილეში ღვთაებრივი შექი და შემოქმედების ძალა არ ჩაკლას. ღრმად ჩააფიქრა ნარცისი თავისი მეგობრის აწეწილმა ცხოვრებამ, მაგრამ მისდამი სიყვარული და ყურადღება არ შემცირებია. ო, არა, მას აქეთ, რაც გოლდმუნდის დათხუპნილი ხელებით შექმნილი ეს საუცხოო, მშვიდი, ცოცხალი, შინაგანი ფორმით და წესრიგით გაშუქებული სურათები ნახა, ეს სიღრმისეული, სულიერებით გაცისკროვნებული სახეები, ეს უცოდველი მცენარეები და ყვავილები, ეს



მავედრებელი თუ ლოცვად აწვდილი ხელები, ყველა ეს ძლიერი თუ ნაზი, სიამაყითა თუ სიწმინდით სავსე მოძრაობა, მას აქვთ კარგად იცოდა, რომ ამ მოუსვენარი ხელოვანისა და მაცდუნებლის გული სინათლითა და ღვთის მადლით აღვსილიყო.

მისთვის ადვილი იქნებოდა საუბრებისას მეგობარი დაერწმუნებინა, რომ ვნებანი მორჩილებისა და აზროვნების წესრიგს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ განა გოლდმუნდის ფიგურების ყოველი ნაკვთი, თვალი, პირი, პნკალი თუ კაბის ნაკვეცი უფრო დიდი, უფრო ჭეშმარიტი, უფრო ცოცხალი და შეუცვლელი არ იყო, ვიდრე ის ყველაფერი, რასაც მოაზროვნე წარმოადგენდა? აკი წარმოაჩინა ამ ხელოვანმა, ვისი გულიც სავსე იყო წინააღმდეგობებით, ვისაც გული შეჭირვებული ჰქონდა, არა მარტო დღევანდელი თუ ხვალისდელი ადამიანებისათვის, მათი გაჭირვებისა და მისწრაფებათა მგრძნობიარე სურათები, სახეები, რომელთა მიმართ მრავალგზის ლოცვა, პატივისცემა, შიში და მონატრება აღიძვროდა, რათა ადამიანებში იმედი, სიმყარე და სიძლიერე გაღვიძებულიყო?

ღიმილითა და სევდით გაიხსენა ნარცისმა ჭაბუკობის დროინდელი ამბები, როცა თავის მეგობარს გზას უჩვენებდა და მოძღვრავდა, რასაც მეგობარი მადლიერებით იღებდა და მის აღმატებასა და წინამძღოლობას მუდამ აფასებდა.

შემდეგ კი დიდი სიჩუმით დამძიმებული ცხოვრების ქარიშხლიდან და ტკივილიდან ნაწარმოებები იშვა – სიტყვები, მოძღვრებები, განმარტებანი, გაფრთხილებანი კი არა – ჭეშმარიტი ამაღლებული ცხოვრება. ის კი რაოდენ ღარიბი აღმოჩნდა თავისი ცოდვებით თავისი მონასტრული მორჩილებით, თავისი დიალექტიკით!

ამ კითხვებს დასტრიალებდა ნარცისის ფიქრი და გონება.

როგორც მაშინ, მრავალი წლის წინ, გოლდმუნდის ჭაბუკურ ცხოვრებაში რომ ჩაერია გასაფრთხილებლად და შესაძვრელად და მისი ცხოვრება ახალ სივრცეში გადაიტანა, ახლაც, უკან დაბრუნების შემდეგ, მეგობარმა საზრუნავი გაუჩინა, შეძრა იგი, დააეჭვა და საკუთარი თავის გამოცდა აიძულა.

იგი მას გაუთანაბრდა: არაფერი მიუცია ნარცისს მისთვის ისეთი, რაც მრავალჯერ არ მიეღოს მისგან.

აქედან წასულმა მეგობარმა მას საფიქრელად დრო დაუტოვა.

გადიოდა კვირები, დიდი ხანია აყვავდა წაბლის ხე, დიდი ხანია ჩამუქდა წიფლის რძიანი, მომწვანო ფოთოლი, დიდი ხანია კარიბჭის კოშკზე ბუიტები გამოჩევეს და დააფრთიანეს წეროებმა.

რაც უფრო დიდხანს არ ჩანდა გოლდმუნდი, მით უფრო აშკარა ხდებოდა ნარცისისათვის მისდამი თავისი დამოკიდებულება.

მას სახლში რამდენიმე სწავლული მამა ჰყავდა, ერთი პლატონის მცოდნე, ერთი ბრწყინვალე გრამატიკოსი, ერთი თუ ორი ღრმა თეოლოგი. ბერთა შორის რამდენიმე თავისი ერთგული და მოსაუბრეც გააჩნდა, რომლებთანაც დინჯად ეჭირა თავი, მაგრამ თავისი დარი აქ არავინ ეგულებოდა და აქ ვერავის გაიტოლებდა. გოლდმუნდს ვერავინ შეუცვლიდა.

მისი არყოფნა გაუძნელდა. მონატრებით ფიქრობდა შორით წასულზე.

ხშირად მიდიოდა ხოლმე სახელოსნოში, ამხნევებდა შეგირდ ერისს, რომელიც საკურთხეველზე მუშაობას განაგრძობდა.

თავისი ოსტატის წასვლის შემდეგ იგი საქმეს შიშით ეკიდებოდა. ხანდახან აბატი გოლდმუნდის ოთახს გააღებდა, სადაც ღვთისმშობელი იდგა, ფარდას გადასწევდა და მის წინ ჩერდებოდა. ფიგურის წარმოშობაზე არაფერი იცოდა, გოლდმუნდს არასოდეს უამბნია მისთვის ლიდიას ამბავი. მაგრამ გრძნობდა ყველაფერს, ხედავდა, რომ ამ გოგონას სახე მისი მეგობრის გულში დიდი ხანია ცოცხლობდა. შეიძლება აცდუნა, მოატყუა და მიატოვა. სულით კი იგი მიიღო და საუკეთესო მეუღლეზე უფრო ერთგულად გულში ჩაიმარხა.



დაბოლოს, თუმცა მრავალი წელი აღბათ იგი აღარც უნახავს, ამ მომხიბლავი გოგონას მშვენიერი ფიგურა შექმნა, ვისი სახე, თავდაჭერა, ხელები, მთელი სინაზე სატრფოს მშვენიერებასა და მონატრებაზე მეტყველებდა. სატრაპეზოს საკითხავი კათედრის ფიგურებშიც კითხულობდა თავისი მეგობრის ამა თუ იმ ამბავს. ეს გახლდათ მოხეტიალე, ვნებებსაყოლილი, უსამშობლო და უნდო კაცის თავგადასავალი, მაგრამ გამოხატული ლამაზი, ერთგული და ცოცხალი სიყვარულით.

რა იდუმალი, სევდიანი და სწრაფი ნაკადებით მდინარი იყო ეს ცხოვრება და რა კეთილშობილი და ნათელი დანატოვარი კვალი!

ნარცისის გულში გრძნობათა ჭიდილი იყო. ის თავის თავს ფლობდა, მას არ უღალატია თავისი გზისთვის, არაფერი გაუცდენია თავის მკაცრ სამსახურში. მაგრამ ტანჯავდა დანაკარგი – ხელოვანისეული სამყარო.

ტანჯავდა ის ფიქრი, რომ გული, რომელიც მარტოდენ უფალსა და სამსახურს უნდა ჰკუთვნებოდა, მეტისმეტად მიჯაჭვოდა ამ მეგობარს.

# თავი მეოცე

მიდიოდა ბაფხული, ჭკნებოდა და ქრებოდა ყაყაჩო და ღიღილო, ჭიოტა და ასტრი, გუბურაში დანყნარდნენ ბაყაყები და როცა წეროები მადლა აფრინდნენ, გამოსამშვიდობებლად მომზადებულნი, მაშინ დაბრუნდა გოლდმუნდი!

მოვიდა ნაშუადღევს, როცა გარეთ ცრიდა. მონასტერში არ შესულა, პირდაპირ სახელოსნოს მიაშურა. მოვიდა ფეხით, უცხენოდ.

ერიხი შეშინდა მის დანახვაზე. მაშინვე იცნო და მისმა ხილვამ გული აუძგერა. ეტყობა, სულ სხვა კაცი გამხდარიყო აქ მოსული. იქნებ არც იყო გოლდმუნდი? თავის ასაკთან შედარებით დაბერებული და ჩამქრალი ჩანდა, მტვრიან, ფერმკრთალ, ავადმყოფურად გატანჯულ სახეზე კეთილი, ძველი, თმენით სავსე ღიმილი დასთამაშებდა მაინც. ძლივს მოდიოდა, მოლასლასებდა, ანდა, ავად იყო და ძალზე დაღლილიც.

უცნაურად შეჰყურებდა ეს შეცვლილი, უცხო გოლდმუნდი თავის ახალგაზრდა თანაშემწეს თვალებში. ახალი ჩამოსული რომ იყო, არ ეტყობოდა ქცევაზე, თითქოს მეორე ოთახიდან ეს ესაა გამოვიდაო. ხელი გაუწოდა, არაფერი უთქვამს, არც სალაში, არც უკითხავს, არც მოუყოლია რამე. მარტო ეს თქვა,

უნდა დავიძინო, მეტისმეტად გადაღლილი ჩანდა. ერიხი გაუშვა და სახელოსნოს გვერდით თავის ოთახში შევიდა. ქუდი მოიხადა და დააგდო, ფეხსაცმელები გაიხადა და საწოლისაკენ წავიდა. ოთახის კუთხეში მდგომ ნაჭერჩამოფარებულ მადონას თავი დაუკრა, მაგრამ ფარდის მოსახსნელად და მისასალმებლად არ მისულა, ამის ნაცვლად ძლივს მილასლასდა სარკმელთან. გარეთ ერიხი დაინახა, რომელიც მას ელოდებოდა; დაუძახა, ნურავის ეტყვი ჩემს მოსვლასო, გადაღლილი ვარ, დილამდე ასე ვიქნებიო.

შემდეგ ტანსაცმლიანი ძლივს დაწვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ძილი რომ არ მიეკარა, ადგა, გაჭირვებით მივიდა კედელთან, რომელზეც პატარა სარკე ეკიდა, და ჩაიხედა, ყურადღებით დააკვირდა გოლდმუნდს, სარკიდან რომ შემოსცქეროდა:

დაღლილ გოლდმუნდს, გადაქანცულ, მოხუც და დამჭკნარ ჭაღარა წვერიან კაცს. ეს მოუვლელი მოხუცი პატარა სარკიდან მოწყენილი გამოჰყურებდა. კარგად ნაცნობი, მაგრამ გაუცხოვებული სახე ამქვეყნიური კაცისას არ ჰგავდა, ალბათ მოხდა მის თავზე რაღაც. ბუნდოვნად ახსენდებოდა ნაცნობი სახეები, აი, მხატვარი ნიკლაუსი, აი, ხანში შესული რაინდი, რომელმაც მაშინ მისთვის პაუზის ტანსაცმელი შეაკერილა, აი, წმინდა იაკობი ეკლესიაში, მოხუცებული, წვეროსანი, ყარიბი მლოცველის ქუდი ახურავს, ჭარმაგი, მაგრამ მაინც მხნე.



ისე გულმოდგინედ აკვირდებოდა სარკეში ამ უცხო კაცის სახეს, თითქოს ევალა მისი შეცნობა, თავიც კი დაუკრა ოდნავ და მერე იაზრა: ეს ხომ თვითონ იყო, ეს ხომ თავის თავს უყურებდა, ძალაგამოლევულსა და თითქოს გამოთაყვანებულ ბერიკაცს, ჩამოსულს მოგზაურობიდან, ყველასათვის უცხოს და უნახავს, თუმცა მისდამი მტრობა მაინც არ ჰქონდა, მაინც მოსწონდა: რაღაც იკითხებოდა ამ სახეზე, რაც წინანდელ გოლდმუნდისთვის არ შეუმჩნევია; დაღლილობასა და აფორიაქებასთან ერთად კმაყოფილება თუ გულგრილობაც გამოკრთოდა. წყნარად გაიცინა თავისთვის და სარკეშიც მასავით გაცინებული სახე დაინახა. ვიშ, რა მშვენიერი ბიჭი დაბრუნდა შინ მოგზაურობიდან! ცოტა ხნით განავარდების შემდეგ მრავალჭირგადახდილი და ჩამქრალი მოვიდა ისევ; ცხენი, სამგზავრო ჩანთა და ტალერები კი არა, სხვა რაღაცებიც დაკარგა და განძარცული დაბრუნდა: წავიდა ჯანმრთელობა, თვითდაჯერება, სახის ფეროვნება და მზერის სიძლიერე.

მაინც მოსწონდა სურათი. სარკეში ეს ბებერი სუსტი ბიჭი უფრო უყვარდა, ვიდრე ის გოლდმუნდი, როგორიც უწინ იყო, მართალია, უფრო მოხუცი, სუსტი, საბრალო, მაგრამ უფრო უწყინარი და კმაყოფილი, არა, ჯობდა სარკეს მოშორებოდა. ჩაიცინა და ცალი დანაოჭებული თვალი დახარა. მერე ისევ საწოლზე დაწვა და ჩაიძინა.

მეორე დღეს ოთახში მაგიდასთან დახრილი იჯდა და რაღაცას ხატავდა, როცა ნარცისი მოვიდა მის სანახავად. ნარცისი კართან შეჩერდა:

- მითხრეს, დაბრუნდაო. ღვთის მადლით, ძალიან მიხარია.

რახან თავად არ მინახულე, მე მოგაკითხე. ხელს ხომ არ შეგიშლი მუშაობაში?

იგი უფრო ახლოს მოვიდა; გოლდმუნდმა ქალაქს თავი ანება, წამოიძარტა და ხელი გაუწოდა. თუმცა ერიხმა გააფრთხილა ნარცისი, მაინც მეგობრის მზერა გულში ხანჯალივით გაეყარა, გოლდმუნდს მეგობრულად გაუღიმა.

- დიახ, ისევ აქა ვარ. გესალმები, ნარცის, დიდი ხანი არაა, რაც ერთმანეთს დავშორდით. მაჰატიე, დაბრუნებისთანავე რომ არ გინახულე.

ნარცისმა თვალებში ჩახედა. არც მას გამოჰპარვია ამ შემჭვნარი სახის ჩამქრალი და გატანჯული იერი, სხვაც შეამჩნია, დამცხრალი გულის საოცრად საამო იერი, დიახ, დამცხრალი გულის, თვინიერების და მოხუცისათვის ჩვეული სიკეთის გამომხატველი. ადამიანის სახეთა ამოცნობაში გამოცდილმა ნარცისმა ისიც შეატყო, რომ ესოდენ გაუცხოვებული და შეცვლილი გოლდმუნდი აწმყოს აღარ ეკუთვნოდა, ან მეტისმეტად დასცილებოდა მისი სული სინამდვილეს და ოცნების გზაზე წასულა, ანდა იმ სამყაროში გადასასვლელ კართან იდგა.

- ავად ხარ? - ჰკითხა მზრუნველად.

– ჰო, ავადაც ვარ. მოგზაურობის პირველი დღეებიდანვე გავხდი ავად. მაგრამ მიმიხვდები, რომ მაშინვე არ შემეძლო უკან დაბრუნება. სასაცილოდ ამიგდებდით, ასე ჩქარა რომ მოვბრუნებულიყავი და ჩემი მხედრული ჩექმები დამეყარა.

არა, ცხადია, ამას არ ვიზამდი. გზა განვაგრძე და იქით-აქეთ ვიარე, მრცხვენოდა, რომ მოგზაურობა არ გამიმართლდა, ბევრს ვლაპარაკობდი, პირი ავიქაფე. ჰო, კარგი, კარგი, მაშასადამე, მრცხვენოდა, ჭკვიანი კაცი ხარ და ალბათ მიმიხვდი უკვე. მაპატიე, რაღაცა მკითხე? ჯადოქმნილივით მაზიწყდება ხოლმე, რაზეა ლაპარაკი. თუმცა ის, რაც დედაჩემს ეხება, შენ გიმაღლი.

მართლა ძნელი იყო, მაგრამ...

ლულულუდი ღიმილში ჩაიკარგა.

– ჩვენ ისევ გამოგაკეთებთ, გოლდმუნდ, არაფერი გაგიჭირდება.

მაშინვე უნდა მოსულიყავი, ცუდად რომ გახდი!

ნამდვილად არ უნდა გრცხვენოდეს ჩვენი. მაშინვე უნდა მოსულიყავი.

გოლდმუნდმა ჩაიციხა.



- კი, ახლა ვიცი, ოღონდაც ასე უბრალოდ დაბრუნება ვერ გავბედე. ეს ხომ სირცხვილი იქნებოდა. ახლა კი მოვედი.

ახლა ისევ კარგად ვარ.

- ტკივილი ძალზე განუხებდა?

- ტკივილი? ჰო, საკმაოდ მანუხებდა. თუმცა იცი, ტკივილი ცუდი არ ყოფილა, გონზე მომიყვანა. ახლა აღარ მრცხვენია, აღარც შენი. საპყრობილეში რომ მნახე, და სიცოცხლე შემინარჩუნე, კბილი კბილზე უნდა დამეჭირა, ისე მრცხვენოდა.

ახლა კი სირცხვილმა გამიარა.

ნარცისმა მხარზე ხელი დაადო, გაჩუმდა და ღიმილით დახარა თვალები. მყისვე მშვიდად ჩაეძინა. აბატი დაბნეული გაიქცა აქაური ექიმის მამა ანტონის მოსაყვანად. როცა ისინი მოვიდნენ, გოლდმუნდი ჩაძინებული იჯდა სახაზავ მაგიდასთან.

საწოლთან მიიყვანეს. ექიმი მასთან დარჩა.

გადარჩენის იმედი არ იყო. სწეულთა ოთახში მოათავსეს.

ერიხი თავს დააყენეს.

უკანასკნელი მოგზაურობის ამბავი მთლიანად ვერ დაასრულა.

ზოგს ყვებოდა, ზოგზე მიაწიწებდა, ხშირად გაირინდებოდა, ხან სიცხე აეწეოდა და არეულად ლაპარაკობდა, ხან გონება გაუნათდებოდა, მერე ნარცისს უხმო, ვისთვისაც გოლდმუნდთან ბოლო საუბრები დიახაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

გოლდმუნდის აღსარებიდან ზოგი ნაწყვეტი ნარცისმა მოჰყვა, ზოგიც შეგირდმა.

– როდის დამეწყო ტკივილი? ეს მოხდა მოგზაურობის დაწყებისთანავე.

ტყეში რომ დავდიოდი, ცხენიანად ნაკადულში ჩავვარდი, მთელი ღამე ცივ წყალში ვიწექი ნეკნებჩამტვრეული.

მას შემდეგ ტკივილი მაქვს. მაშინ არცთუ შორს ვიყავი აქედან, მაგრამ არ მინდოდა დაბრუნება, ბავშვურად გამოვიდოდა, მეგონა სასაცილო გავხდებოდი. ჰოდა, გზა განვაგრძე და როცა ცხენზე ჯდომა ვეღარ შევძელი ტკივილის გამო, გავყიდე და დიდხანს ვიწექი ჰოსპიტალში.

ახლა აქ ვრჩები, ნარცის, ცხენით სიარული მორჩა, დასრულდა მოგზაურობაც. ცეკვა და ქალებიც ჩემი საქმე აღარაა.

აჰ, თუკი ერთხანს კიდევ გავძელი, ერთი წელი მაინც, რაკი გარე-გარე ხეტიალი უკვე აღარ მახარებს, ვფიქრობ მიწაში ჩასვლამდე, რაღაც უნდა დავხატო და რამდენიმე ფიგურა შევქმნა, რომ გასახარელი რაღაც მაინც მქონდეს.

ნარცისმა მიუგო:

- მიხარია, კვლავ რომ დაბრუნდი. ძალზე მომაკლდი, ყოველდღე შენზე ვფიქრობდი, ხშირად გამკრავდა იმის შიში, ვაითუ აქ მოსვლის სურვილი აღარასოდეს აღეძრეს-მეთქი.

გოლდმუნდმა თავი გააქნია:

- ჰო, ჰო, რა დიდი დანაკარგი იქნებოდა.

ტკივილითა და სიყვარულით გულანთებული ნარცისი დაიხარა და ის გააკეთა, რაიც მთელი მათი მეგობრობის მანძილზე არასოდეს გაუკეთებია, გოლდმუნდის თმასა და შუბლს ბაგით ფრთხილად შეეხო.

გოლდმუნდმა ჯერ გაიოცა, შემდეგ მიხვდა, რატომაც მოხდა.



- გოლდმუნდ, - ყურში ჩასჩურჩულა მეგობარმა, - მაპატიე, უფრო ადრე რომ ვერ გითხარი. არადა, ჯერ მაშინ უნდა მეთქვა, როცა საპყრობილეში გნახე, ანდა საეპისკოპოსო რეზიდენციაში, ანდა როცა შენი პირველი ფიგურები გნახე, ანდა როდისმე მაინც. ნება მომეცი დღეს გითხრა, თუ რა ძალიან მიყვარხარ, რა დიდი რამ იყავი მუდამ ჩემთვის, როგორ გამიმდიდრე ცხოვრება. შენთვის ეს ბევრს არ ნიშნავს.

შენ სიყვარულს შეჩვეული ხარ, შენთვის ეს იშვიათი ხილი არაა. შენ ხომ ბევრ ქალს უყვარდი და განუბივრებული იყავი. ჩემი ამბავი სხვაა. ჩემი ცხოვრება სიყვარულით მწირი იყო, მე ეს ყველაზე მეტად მაკლდა. ჩვენმა აბატმა დანიელმა მითხრა მაშინ, ქედმაღალი კაცი ხარო. ჯეშმარიტად მართალი იყო. ადამიანების მიმართ მე უსამართლო არა ვარ და ვცდილობ პირუთვნელი და მომთმენი ვიყო მათთან, მაგრამ სიყვარულით არასოდეს მყვარებია ისინი. ორი სწავლულიდან მონასტერში ერთი მიყვარს; სუსტი სწავლული თავისი სისუსტის გამო აროდეს მყვარებია. სიყვარული შენ მასწავლე. ერთადერთი ადამიანთა შორის მხოლოდ შენ ხარ, ვინც მე მიყვარს. შენ ამას ვერ გაიგებ. ეს წყაროა უდაბნოში, აყვავებული ხე უდაბურ ტყეში. შენ ერთს გიმადლი იმისათვის, რომ გული არ დამიშრიტე, რომ ჩემში ერთი კუნჭული მაინც მადლით აღავსე.

გოლდმუნდმა მხიარულად და თან დარცხვენით გაიღიმა.

წყნარი და ჩუმი ხმით, როგორც გონების წამიერ განათებისას ჰქონდა, წარმოთქვა:

- მაშინ, სახრჩობელიდან რომ გამათავისუფლე და ერთად წამოვედით, ჩემი ცხენის, ბლესის შესახებ გკითხე და შენ მიპასუხე. მაშინ მივხვდი, რომ შენ, რომელიც ცხენებს ერთმანეთისაგან ძლივს არჩევ, ჩემი ბლესი გახსოვდა. ვიგრძენი, რომ ეს ჩემს გამო მოხდა, რითაც ძალზედ გახარებული დავრჩი. ახლა ვხედავ, რომ მართლაც ასე იყო და რომ ნამდვილად გყვარებივარ. მეც მუდამ მიყვარდი, ნარცის, ჩემი ცხოვრების ნახევარს შენდამი სიყვარული შეადგენს.

მე ვიცოდი, რომ შენც გიყვარდი, მაგრამ არასოდეს მეტერა, ოდესმე თუ ამას მეტყოდი.

შენ ამაყი კაცი ხარ. შენ ეს ახლა მითხარი, ამ წუთში, როცა ყოველივესგან განძარცული ვარ, როცა მოგზაურობამ, თავისუფლებამ, ამა სოფელმა და ქალებმა გაჭირვებაში მიმატოვეს. მე ეს მესმის, ამისათვის მადლიერი ვარ.

ლიდია-მადონა ოთახში იდგა და იყურებოდა.

- სიკვდილზე ფიქრობ? - ჰკითხა ნარცისმა.

- ჰო, ამაზე ვფიქრობ და იმაზეც, რა დარჩა ჩემი ცხოვრებიდან.

სიყმაწვილეში, შენი მოწაფე რომ ვიყავ, სურვილი მქონდა შენსავით სასულიერო პირი გამოვსულიყავ. შენ დამარწმუნე, რომ საამისოდ არ ვიყავ მოწოდებული. მე ცხოვრების მეორე გზა ვარჩიე, რაიც გრძნობებმა და ქალებმა გამიიოლეს, დამყოლებმა და უძღვებებმა. სადაც ხალისს ვპოვებდი.

და მაინც არ მინდა მათზე და გრძნობათა ვნებათაღელვაზე უპატივცემულოდ ლაპარაკი. ძალზე ხშირად კმაყოფილებისა და ბედნიერების განცდა დამუფლებია, რადგან ვნებას შეიძლება თურმე გასულიერდეს. აქედან წარმოსდგება ხელოვნება. ახლა კი ორივე ცეცხლი ჩაქრა.

ახლა აღარ მგვრის ვნება ცხოველურ ბედნიერებას და აღარც მომგვრის, დღესაც რომ მომნახონ ქალებმა. და აღარც ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნაა ჩემი სურვილი. მე საკმაო ფიგურები გავაკეთე, ვერც დაითვლი. ახლა ჩემი სიკვდილის დროა, მე მას მივუძღე და ცნობისმოყვარეობით ვეგებები.

- რატომ ცნობისმოყვარეობით? - ჰკითხა ნარცისმა გოლდმუნდს.

- დიახ, სისულელეა ჩემგან, მაგრამ მართლაც ცნობისმოყვარე ვარ. იმქვეყნიური ცხოვრების გამო არა, ნარცის, ამაზე ნაკლებად ვფიქრობ და, თუ ამისი გულახდილად თქმის უფლება მაქვს, აღარც მწამს. არ არსებობს საიქიო. გამხმარი ხე სამუდამოდ მკვდარია, გაყინული ფრინველი ვეღარ გაცოცხლდება და ადამიანიც ასეა სიკვდილის შემდეგ, ცოტა ხანს კიდევ



შეიძლება იფიქრო მასზე მისი წასვლის შემდეგ, მაგრამ ეს დიდხანს არ გასტანს. სიკვდილისადმი ცნობისმოყვარეობა იმან აღმიძრა, რომ ჩემი რწმენა და ოცნება მაინც დედაჩემისკენ მიმავალი გზა იყო. ვფიქრობ, სიკვდილი დიდი ბედნიერება იქნება, პირველი სიყვარულის ასრულებასავით დიდი ბედნიერება. მე იმ ფიქრზე უარს ვერ ვიტყვი, რომ ცელიანი სიკვდილის ნაცვლად დედა უნდა დამხვდეს, რომელიც ამიყვანს და არყოფნასა და უცოდველობაში დამაბრუნებს.

ერთ-ერთი თავისი უკანასკნელი სტუმრობისას, როცა გოლდმუნდი რამდენიმე დღე უკვე აღარ ლაპარაკობდა, ნარცისმა იგი კვლავ მღვიძარი და მოსაუბრე იხილა.

- მამა ანტონის აზრით, ხშირად ტკივილი ძალზე უნდა განუხებდეს. როგორ ხარ, გოლდმუნდ, ხომ მშვიდად იტან ტკივილს? ასე მგონია, შენ ახლა სიმშვიდე გმოსავს.

- უფალთან სიმშვიდეს გულისხმობ? არა, მე ის ვერ ვპოვე.

მასთან მშვიდობა არც მინდა. მან სამყარო ცუდად შექმნა.

არ არის საჭირო მისი შექება და ჩემს შექებას ისიც მცირედ ირწმუნებს, ცუდად შექმნა მან ეს სამყარო. მაგრამ მე რომ ჩემს გულისტკივილთან დავამყარე

მშვიდობა, ეს მართალია. ადრე ტკივილის გადატანა მიჭირდა და, თუმცა ხშირად მეგონა, რომ სიკვდილი ამით გამიადვილდებოდა, ეს მაინც სიგიჟე იყო. როცა მართლა დავაპირე ამის დატერება იმ ღამით გრაფი ჰაინრიხის საპყრობილეში, გაირკვა: მე, უბრალოდ, სიკვდილი არ შემეძლო, ესოდენ ძლიერი და ველური ვიყავ. ჩემი სხეულის თითოეული ნაწილის მოკვლა მათ ორჯერ მოუხდებოდათ. ახლა კი სხვაგვარადაა.

ლაპარაკმა გადაღალა, ხმა მიუსუსტდა. ნარცისმა თხოვა, თავი დაიზოგეო.

- არა, - მიუგო, - მინდა გიამბო: გაგეცინება და, ადრე ამისი თქმისა მრცხვენოდა. როცა მაშინ ცხენზე შევჯექი და აქედან გავემგზავრე, მთლად ალაღბებდზე არ მომხდარა ეს ამბავი. ხმა მომივიდა, გრაფი ჰაინრიხი ისევ ამ მხარეშია და მისი საყვარელი აგნესიც მასთან ბრძანდებოა. თუმცა ეს შენთვის დიდად არაფერს ნიშნავს და დღეს არც ჩემთვის წარმოადგენს დიდ რასმე, მაშინ ამ ამბის გაგებამ საოცრად აღმანთო, აგნესის გარდა აღარაფერზე ვფიქრობდი; ეს ულამაზესი ქალი იყო იმ ქალთა შორის, ვისაც ვიცნობდი და ვინც მყვარებია. მინდოდა მისი ნახვა, მინდოდა კიდევ ერთხელ გავბედნიერებულიყავი მასთან. წავედი და ერთი კვირის შემდეგ მოვძებნე კიდევ, მაგრამ მე თურმე უკვე გამოვცვლილვარ.

მოვძებნე-მეთქი აგნესი, რომელსაც სილამაზე მოჰკლებოდა, მივაგენი და კიდევ შევძელი შევხვედროდი და მელაპარაკა. და იცი, ნარცის: მას აღარ

სურდა ჩემი ამბების გაგება! მისთვის ბებერი აღმოვჩნდი და სიამოვნების მონიჭებაზე უარი მითხრა. აღარ ვჭირდებოდი. ასე დამთავრდა ჩემი მოგზაურობა. მეც წამოვედი, მაგრამ არ მინდოდა ასე იმედგაცრუებული და სასაცილო მოვსულიყავი თქვენთან. ჰოდა, ცხენით რომ მივდიოდი, ძალა, ახალგაზრდობა და ჯკუა უკვე მთლიანად ისე დავკარგე, ცხენიანად ხევში ჩავვარდი და ნეკნებჩამტვრეული ღელეში ჩავრჩი. მაშინ პირველად გამოვცადე ნამდვილი ტკივილი. დაცემისთანავე ვიგრძენი, შიგ მკერდში როგორ ჩამიტყდა რაღაც და ამ ჩატეხვამ სიხარული მომგვარა, სიამოვნებით, კმაყოფილებით ვუსმენდი მის ხმას წყალში განრთხმული და ვგრძნობდი, რომ უნდა მოვმკვდარიყავი, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად იყო, ვიდრე მაშინ, საპყრობილეში. მე ახლა მისი საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, სიკვდილი ცუდად აღარ მიჩანდა.

ის ძლიერი ტკივილი მას შემდეგ ხშირად მიმეორდება. ჰოდა, მაშინ მეჩვენა, არ ვიცი სიზმარში, არ ვიცი ცხადში, რაც გინდა ის დაარქვი, მწოლიარეს გულში თითქოს ცეცხლი მევიდა და როცა მიშველეთ-მეთქი დავიყვირე, ის მხიარული ხმა მესმა, რომელიც ბავშვობის შემდეგ აღარ გამიგონია.

მე ვიცან დედაჩემის, ქალის ძლიერი ხმა, ვნებითა და სიყვარულით სავსე. და ვიგრძენი, რომ დედა ჩემთან იყო და მე კალთაში ვყავდი, რომ მან მკერდი გამიხსნა და თითები ღრმად ჩამიყო ნეკნებში გულის ამოსაცლელად, ვიგრძენ, რომ უკვე აღარ მტკიოდა. ახლაც, როცა ტკივილი შემომიტევს, იგი



ჩემთან მტრულად აღარ მოდის, იგი დედის თითებია, რომლებიც გულს მიგლეჯენ. ამისათვის ირჯება იგი.

ხანდახან ხელს მაჭერს გულზე და ვნებააშლილივით კვნესის.

ხანდახან იცინის კიდეც და ნაზად მღერის. ხან ჩემთან არ არის და ზემოთ, ცაში, ღრუბლებშია სევდიანად მოღიმარი.

მისი სევდიანი ღიმილი სწოვს ჩემს არსებას, გული ამოაქვს მკერდიდან.

იგი სულ დედაზე ლაპარაკობდა.

- იცი, რას გეტყვი კიდე? - უთხრა ერთ-ერთ ბოლო დღეს. - ერთხანს დედაჩემი დამავიწყდა, მაგრამ შენ მას ისევ შემახვედრე. მაშინაც დიდი ტკივილი მტანჯავდა, თითქოს დინგიანი ცხოველები მიჭამდნენ გულ-ღვიძლს. მაშინ ჯერ კიდეც კოხტა ყმანვილი ბიჭები ვიყავით, მაშინ მე დედამ მიხმო, მას უნდა გავყოლოდი. ის ყველგან არის. ის იყო ბოშა ლიზე, მხატვარ ნიკლაუსის მშვენიერი მადონაც, ის წარმოადგენდა ცხოვრებას, სიყვარულს, ვნებას, შიშსაც, შიმშილსაც, ლტოლვასაც. ახლა ის სიკვდილია და თითები ჩემს მკერდში აქვს ჩაყოფილი.

- ბევრს ნუ ლაპარაკობ, ძვირფასო, - სთხოვა ნარცისმა, - დილამდე მოითმინე.

გოლდმუნდმა ღიმილით შეხედა თვალებში, იმ ღიმილით, მოგზაურობის შემდეგ რომ ესწავლა. დაბერებული და მოტეხილი გამოიყურებოდა, ხანდახან გონება ებინდებოდა, დროდადრო მაინც სიკეთე და სიბრძნე იმზირებოდა მის თვალთაგან.

- ჩემო ძვირფასო, - ჩურჩულებდა, - დილამდე ვეღარ გავაღწევ. უნდა დაგემშვიდობო, უნდა გითხრა ყველაფერი.

ერთი წუთით კიდევ მისმინე. მინდოდა დედაზე მომეთხრო შენთვის, მისი თითები გულზე მაქვს შემოჭდობილი. რამდენიმე წლის წინ ჩემს უსაყვარლეს და უსაიდუმლოეს ოცნებას დედის ფიგურის შექმნა წარმოადგენდა, ჩემთვის სურათთა შორის ყველაზე უწმინდესი ის იყო, გულში მუდამ სიყვარულითა და დღუმალეებით ვატარებდი. ცოტა ხნის წინ მეტისმეტად აუტანელი იყო იმაზე ფიქრი, რომ უნდა მოვმკვდარიყავი ამ ფიგურის შეუქმნელად; ჩემი ცხოვრება ფუჭი მეჩვენებოდა.

და აბა, ნახე, რა საოცრად მოვიდა ის ჩემთან:

ნაცვლად იმისა, ჩემს ხელებს მიეცა მისთვის ფორმა და გამოეძერწა, თავად მაძლევს ფორმას და თავად მძერწავს. ჩემს გულს ხელები შემოახვია, რათა იგი გამოაცალკევოს და დამაცარიელოს.

მან სასიკვდილოდ მაცდუნა, ჩემთან ერთად ჩემი ოცნებაც, დიდი ევა დედის ლამაზი ფიგურაც კვდება. მას კვლავაც ვხედავ, ხელებში ძალა რომ მქონდეს, გამოსახვას შევძლებდი.

მაგრამ მას არ სურს თავისი საიდუმლოების ხილულქმნა.

ჩემი სიკვდილი უფრო სიამოვნებას ჰგვრის. მეც სიამოვნებით ვკვდები, ის მიმსუბუქებს სიკვდილთან შეხვედრას.

შეძრული უსმენდა ნარცისი ამ სიტყვებს, კარგად უნდა დახრილიყო საწოლისაკენ, თავისი მეგობრის ნათქვამი რომ გაეგონა: ზოგი ცუდად, ზოგი კარგად ესმოდა, მაგრამ მაინც დაფარული დარჩა დედის არსი მისთვის.

და აი, ავადმყოფმა თვალები ისევ გაახილა, დიდხანს უყურა მეგობარს სახეში. თვალებით გამოემშვიდობა, დაიჩურჩულა: - როგორ აპირებ სიკვდილს, ნარცის, შენ ხომ დედა არ გყავს და მას არ ემორჩილები? უდედოდ არ შეიძლება სიყვარული, უდედოდ არც სიკვდილი შეიძლება.

მერე რაღაცას ბუტბუტებდა გაუგებრად. აღარ ისმოდა.

ორი დღე და ღამე იტდა ნარცისი გოლდმუნდის საწოლთან.



მის თვალწინ ჩაქრა იგი. გოლდმუნდის ბოლო სიტყვებმა გულზე ცეცხლი  
წაუკიდა.